§60(უაკ) 050(479.22) M|c 2233-3312
ა-376

# ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

## ათინათი

## 2017 / 3 / (25)

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2017



## მამა გაბრიელი

***

მამა გაბრიელ შენით ვსულდგმულობ,
შენით ჩავიცვი, მადლის სამოსი...
თავდახრილი ვარ, კი არ ვდიდგულობ,
მაცვია ლექსის ტანისამოსი.

*გულნაზ ხარაიშვილი*



**ხორციით ზიარება**

მხატვარები: გიორგი ლარიაშვილი, ხატია ლარიაშვილი და არჩილ სარჯველაძე



**სისხლით ზიარება**

მხატვარები: გიორგი ლარიაშვილი, ხატია ლარიაშვილი და არჩილ სარჯველაძე



**მეუფე თადეოზი**
**(მირიან იორამაშვილი)**

*******

მეუფეო, დაგვპატრონობ ციდან,
ჩვენს „ათინათს“ აძლიერებ ვიცი.
მთელი წლები მათოვდა და მცრიდა
რწმენა მშველის, დარდით აღარ ვიწვი.



**მამა ამირან**

მამა ამირან, გამოჩნდი მაშინ,
ბეწვის ხიდზე რომ მიმოვდიოდი...
დავტივტივებდი ცხოვრების ზღვაში,
ნაპირზეც ვეღარ გამოვდიოდი,

ახლა მშვიდად ვარ, ხმალსაც ჩავაგებ,
რადგან მამაო, მლოცავ და მლოცავ,
უმიზნოდ მარცვალს არსად ჩავაგდებ,
მწამს, რომ მოსავალს სჭირდება მოცდა.

***გულნაზ ხარაიშვილი***



## ბექან ხარაიშვილის ბიუსტი

მოქანდაკე გიორგი ლარიაშვილი

ძმაო, ახალგაზრდად დარჩი,

ბედმა ბევრნაირად გქექა.

ბიჭო, შენ პოეტად გაჩნდი,

მე კი ლექსებს ვჩორკნი, ბექან,

შენი სიტყვა იყო ბრძნული,

რადგან წლების შემდეგ ბრწყინავ.

ლექსი მზის სხივებით წნული,

ბედი, ქარიშხალი, წვიმა.

**მამა ამირან ამირანაშვილი**



# აღსარება

სამოცდაათი მიიწურა როგორც დღე ერთი
და ვინაიდან ჯერ-ჯერობით არ მიხმობს ღმერთი,
მსურს გადავხედო წარსულ დღეებს ჩემი სოფლიდან
რა დავაშავე, რა შევქმენი ჩემი ოფლიდან.
პატარა ქოხში სიყვარულის კოცონი ენთო,
ცხრა პიროვნება ვეტეოდით ორთვალ ბინაში.
მარიამ ბებო, მშობლები და სამი და და ძმა
ვეჯიბრებოდით შრომაში და ტკბილ სიმღერაში.
არ ვწუწუნებდით, სიღარიბეს შრომით ვთრგუნავდით
ერთ სულოვნებით ვამარცხებდით სატანურ ბრძოლებს.
ექვსივე შვილი ფიზიკურად ვიყავით ჯანზე,
სოფელს ვუყვარდით, მტერს ვუვსებდით ამღვრეულ თვალებს.
პირველად ორი გაგვიფრინდა, უფროსი დები,
ნაზი ეთერი და ბარდღუნა ჩემი ნორია.
მერე ბიჭებიც დაიზარდნენ, ისურვეს ფრენა,
ანზორიკა და ცელქი ჯეკაც გვტოვებენ ნელა.
დარჩნენ მშობლები მე, ბებო და პატარა დოდო,
ჩვენი ოჯახი გადაიქცა ხუთსულიანად,
ოჯახის ჯაფა გადმოვიდა ჩვენზე მთლიანად.
მამა მსახურობს, ბებია კვლავ დიასახლისობს,
ჩვენ ორნი ვსწავლობთ, დედა ისევ იმპრესარიობს.
დოდოს სისუსტემ მთელი ტვირთი მე დამაკისრა:
ბაჩი წისქვილი, ბაჩი წყალი, ბაჩი ძროხები...
თოხი თუ ბარი... აღარ დარჩა დრო სწავლისათვის
დღე დღეს მისდევს და წუთებს ვიპარავ ფეხბურთისათვის.
ხელს გავშლიდი და ჩემი ცეკვისთვის ტაშსაც მიკრავდნენ,
ბურთს შევაგდებდი — „გოლ!“ ყვიროდა მთელი სოფელი,
აქვე ჩუმჩუმად სიყვარულსაც თურმე ვსწავლობდი
და ამირანი ამ ბრძოლებში ჩამოვყალიბდი.
დედა თბილისმა სიყვარულით ჩამიკრა გულში,
სწავლასთან შრომა შევათავსე ჰარმონიულად.
ფეხი ავიდგი, მოვიარე მთელი სამყარო,
დიდი გზა განვვლე რთულ მწვერვალებს ვიპყრობ გმირულად.
სიყმაწვილეში გასტროლები იყო საშიში,
ვის არ გაიცნობ, ვის არ ნახავ — მტერს და მოყვარეს.
ავსტრალიაში, სინგაპურში თუ ინდოეთში,
გერმანიაში, ბულგარეთში, ჩეხეთ, სლავეთში,
საფრანგეთი, რუმინეთი და შვეიცარია,
დიდი რუსეთი, უკრაინა თუ პოლონეთი,
შუა აზია, უზბეკეთი და ყაზახეთი,
აქვე თურქეთი, საბერძნეთი და ამერიკა,
ზოგს ვერ ვიგონებ, ეს მსოფლიო მთლად ამერია.
ჩხარელი კაცი ხეტიალში გავჭაღარავდი,
ძლიერ მომინდა ცოდვებისგან თავის გამოხსნა.

უარვყავ თავი და ავიღე ჯვარი უფლისგან,
მრავალი წელი კათალიკოსს გვერდით ვუდექი,
შემდეგ მსოფლიო პატრიარქის ვიყავ მეგზური.
სტამბულ-პარიზის საქართველოს შევკარი ჯაჭვი,
უკან მეძახდა სვეტიცხოვლის, სიონის ზარი.
შავით მოსილი დღესაც უფალს ვემსახურები,
სამ ათეულ წელს ისმის უკვე ჩემი ლოცვები.
სამოცდაათი აღმირიცხა ჩემმა წამზომმა,
სამოცდაათჯერ იყო შობა, უფლის აღდგომა.
სად არ ვიშრომე, ვკითხულობდი უამრავ საგნებს:
სასულიეროს, კულტურას და პედაგოგიკას.
ჩემი სტუდენტით მოფენილია მთელი ქვეყანა,
რადგან უფალმა ოდითგანვე ერთად შეგვყარა.
ცოდვათა შორის იყო ცოდვა მსახიობობის,
ბევრ გმირს შევეხე სულიერად ქართულ სცენაზე.
ოცი წლით ვიყავ მე ამ ცოდვის პირადი მეკვლე,
ბოლო როლი კი იყო მეფე დიდი ერეკლე.
ცოტაოდენი კინოებშიც წავიცოდვილე
და იუბილე აღმინიშნეს, როგორც მოღვაწეს.
აკადემიებს დაუგზავნეს ჩემი „სივები“
(მტერო შესდექი ბოლმისაგან ნუ გასივდები),
გამხადეს წევრი სამი დიდი აკადემიის.
ჩემი უარი, თავმდაბლობა არაფერს არ ცვლის
და უფრო მეტი: პირადობა შეუვსია მწერალთა კავშირს.
საოცარია სიყვარული ქართველი ხალხის.
მადლობა ძმებო, რომ დამადგით მძიმე უღელი,
უფალს ვთხოვ, მომცეს ძალი ტვირთის სატარებელი,
ჯერ არ ჩამოდგეს ჩემი წასვლის მატარებელი...
მწერალთა კავშირს „რუსთაველში“ აქვს იუბილე.
პატივი მერგო მეც, ვიყავი იქ მიწვეული,
ამდენ მწერლების, პოეტების გვერდით აღმოვჩნდი
და ჭაბუკივით მეც ვიყავი გახარებული.
ახლა სხდომები არა ერთი აკადემიის,
„პრეზენტაცია“ ჟურნალების, ჩვენი წიგნების.
სიბერისათვის ვის სცალია, მოიცა ძმაო,
ჟამი დაიწყო ძიებების ახლის მიგნების.
ჩემმა ლოცვებმა შეიძინა ახალი მადლი,
ჩემმა ტაძარმა გაიხარა ახალი მრევლით.
სხდომების შემდეგ ტრაპეზები ნამდვილ ქართული,
გვერდს მიმშვიდებენ ოთხმოცი წლის ბიჭები ჩემი,
ყველას სალოცავს წარმოადგენს სამშობლო ჩვენი,
ყველა მზად არის უფალს შესწირონ დღენი ნარჩენი,
იცოცხლეთ ძმებო, იდღეგრძელოს ქართველმა გენმა,
ერთად ვადიდოთ ჩვენი ძმობა ჩვენი გამჩენი.
ოთხი დიპლომა დამიგროვდა, ცოდნის დასტური,
შემდეგ ამ ცოდნას უშურველად ყველას ვანდობდი.
სერვანტესივით გავიარე გზები კაცური,
სულ უკან მდევდა „ვერბოვკების“ დიდი საცდური.
„მუსტანგს“ მეძახდნენ, ვერ გამხედნეს ბოროტ ძალებმა,
აქა იქ მაინც კბილი გამკრეს „ლამაზ ქალებმა“.
მე ჩემი ევა ავირჩიე, მშვიდი თამარი,
აგუძერაში გადავწყვიტეთ ოჯახის შექმნა
და სიყვარულის ნაყოფები გვიბოძა ღმერთმა —
ჩემი თეონა ლამაზი და უჭკვიანესი,
კლდიაშვილების ვაჟკაცებს ზრდის დიდი ალერსით,
ილიკოს, დავითს და ნიკუშას დიასახლისობს,
სამსახურების თავდადებას ის არ საკლისობს.
გრიგოლი ეხლა ჩამობრძანდა ამერიკიდან,
იქით დატოვა თათუკა და მეუღლე ლიკა.
ვიდრე თბილისში ოჯახისთვის აიგებს ბუდეს,
შემდეგ ოჯახთან გააგრძელებს ცხოვრებას მშვიდად.
ჩემს ნაოფლარად მიმაჩნია სახლი თბილისში,
სახლი, სოფელში სადაც ეხლა თბილად ვისვენებთ.
შავი ზღვა გვიყვარს მე და თამარს ჭაბუკობიდან,
ბათუმშიცა გვაქვს გაბმული ბუდე ასლანისაგან.
ჩვენ რაც შევძელით პატიოსნად მე და თამარმა,
ერთი მეორე სიყვარულით, რწმენით ვატარეთ.
ეხლა გვაჯობონ, ესტაფეტას უთმობთ მომავალს,
გვსურს, ასე ტკბილად გავატაროთ ჩვენი სიბერე.
თბილისში ზამთრად, ზაფხულში კი ჩხარი, ბათუმი.
შვილიშვილები კოჯორში და ნიუ იორკში.
ასეთი არის ოჯახური გეოგრაფია.
ზოგჯერ კლასელებს ვეფერებით ჩხარის წყაროზე,
ოქტომბერში კი კურსელებმა დავთქვით შეკრება.

ამ შეკრებაზე მოვიგონებთ წარსულ მეგობრებს,
შემდეგ ხარხარით გავიხსენებთ ახალგაზრდობას.
თბილისში მრევლი მელოდება სულმოუთქმელად,
ყველა ერთმანეთს ეჯიბრება ჩემ სიყვარულში.
მარიამობას ვიკრიბებით, აღვავლენთ ლოცვას,
დედა, ღვთისმშობელს შევავედრებთ ქვეყანას ჩვენსას.
ოდერის ღვინით ვადღეგრძელებთ სამშობლოს ერთხმად,
დედა თბილისი გაიზრდება ახალგაზრდებით,
სტუდენტი სწავლას შეუდგება, პოეტი წერას,
დაიტვირთება მეტროები, ყველა ტრანსპორტი,
აგუგუნდება სამება და სვეტიცხოველი,
ლოცვა-კურთხევას აღასრულებს ყველა ქართველი.
შემოდგომაზე დაიწყება საქვეყნოდ რთველი,
ყველა მოიმკის, რაც იშრომა და რაც დათესა
და შრომის ოფლით მოწეულ პურს გატეხავს გლეხი,
„მრავალჟამიერ“ დაიქუხებს ქართულ მიწაზე.
ზეცით ბანს მისცემს ანგელოზთა დასი მრავალი,
ღმერთი განდევნის და დაგვიცავს უცხო თესლთაგან,
ჩვენ საქართველოს ყველა ვნახავთ ერთიანს მთლიანს,
მაშინ ექნება ჩვენ სიცოცხლეს ორმაგი ფასი,
სამოცდაათის ბიჭები ვართ ჩვენ გვინდა ასი.

## მთვარესთან გასაუბრება

მთვარევ, ჩამხედე თვალებში,
ირონიული ღიმილით,
სიჭაბუკეში ვხარობდით,
არ ვიღლებოდით სიგიჟით.
ღამევ, გვიხმობდი ალერსით,
ალერსი სურდათ ლამაზებს,
ჩვენთან ტეხავდი ღამეებს
დღეს უკვე აღარ გაბრაზებთ.
ნეტავი რად არ გვრცხვენოდა,
ღამის წყვდიადის მნათობო.
მთელ დედამიწას ანათებ
ახალგაზრდების გამრთობო.
ადრე შენი არ გვრცხვენოდა,
ზღვასაც არ ვერიდებოდით.
ადამ და ევას ფორმაში,
ზღვის ტალღებს ვუერთდებოდით.
იყო ხარხარი, კისკისი,
მეამიტური ფლირტები
ალალი გოგო-ბიჭების,
ვნებით დაღლილი ფილტვები.
ქვიშაზე დავეყრებოდით,
პირქვეს გვათბობდა კენჭები,
შენც ჩვენთან ვნებივრობდი და...
მოგწონდა სველი ბიჭები.
იყო და არა იყო რა,
ერთად დავბერდით მთვარეო,
კვლავ მოვეფეროთ ერთმანეთს
ჩვენთან შენც გაიხარეო.



იროდი ასანაშვილი

# მამა ღმერთი, ძე ღვთისა, სულიწმინდა

**მ**ადლი მოგვმადლა მამა ღმერთმა ადამის მოდგმას,
**ა**დამიანო, გარდისახე წმინდად პირჯვარი,
**მ**აღალი ღმერთის წყალობით ვართ დედამიწაზე,
**ა**რ დაივიწყოთ, რაც ჩასახა ჩვენში მიზანი!
**ღ**ვთის წყალობა და მფარველობა არ მოგაკლდებათ,
**მ**არადიულად სიკეთისა თესლი დათესეთ,
**ე**მიგრანტები სამშობლოსკენ შემოაბრუნოთ,
**რ**ადგან უფალმა ეს წალკოტი მოგვცა ქართველებს.
**თ**ურქ-ოსმალები, ყიზილბაშნი თავს რომ გვესხმოდნენ,
**ი**წერდნენ პირჯვარს ქართველები, მტერს აკვდებოდნენ,
**ძ**ლიერ წამებას როცა უკვე ვეღარ უძლებდნენ,
**ე**წირებოდნენ, მაგრამ მონად არა რჩებოდნენ.
**ღ**ვთით კურთხეულთა, მოვაღწიეთ დღევანდელამდე,
**ვ**ალდებულებით დავიცავით მიწა ქართული,
**თ**ვით ღმერთი გვედგა ჩვენთა ყოფის მემატიანედ,
**ი**სტორიაში ყველა რჩება თავის წარსულით.
**ს**აქართველოში ძირძველ ფესვებს ვერ აღმოფხვრიან,
**ა**მოფეთქდება ყლორტი, კვლავაც შეურყეველი,
**ს**ულს ჩვენში ასე განამტკიცებს უფლის წყალობა,
**უ**ზენაესით დაიძლევა შეუძლებელიც.
**ლ**ოცვა და მადლი არ მოაკლო, ღმერთო, სამშობლო
**ი**ლოცებს ყველა, მათ სულებში რომ დაივანო,
**წ**ყალობა შენი დაგვყენათლოს უკუნისამდე,
**მ**ამაო ღმერთო, ძეო ღვთისა, სულო წმიდაო!
**ი**ხარონ მარად ქართველებმა წმინდა მიწაზე,
**ნ**იადაგს ედემ-წალკოტისას ძენი უმრავლოს,
**დ**ედაო ღვთისავ, დაგვიფარე შენი სიწმიდით,
**ა**დამიანი დაიფარე ციდან, უფალო!..






**გულნაზ ხარაიშვილი**

ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი


## ჩემო სამშობლოვ!

გავსრესს, გავჟუჟავ, საქართველოს მტერს,

დროს მზის სხივებით ავაფერადებ,

ჩემი სიტყვები იმედივით ჟღერს,

უფალს წარვუდგენ კრძალვით ყველაფერს!

# პოეზია



**მეუფე თადეოზი**
**(მირიან იორამაშვილი)**

## ჩანახატი

მზემ ოქროს შუბით გაარღვია
თეთრი ღრუბლები,
აჩურჩულა ალუჩები და ალუბლები...
ნაზად ელავენ ყვავილებში მწვანე ნაძვები
და მზისფერ აპრილს უფრო მეტად ალამაზებენ.
ბუნება ლაღობს, მხიარულობს, აღარა ხუმრობს...
და ყველაფერი მღერს სიმღერას საგაზაფხულოს,
ამღევნებია უჩვეულო ფიქრი თავნება
და მიღიმიან მელნისფერი იასამნები.

## ***

უკეთუ საკუთარ თავს მოერიე,
მაშინ ხარ ყველაზე ძლიერი,
ჟამმან, მრავლის მქმნელ გარდამქმნელმან
შენ ვერ შეგიცვალოს იერი.
მთავარი სიმტკიცეა სულისა,
კლდე რაა, ნაჭედი რვალისა?
არცა გეშინოდეს სიკვდილისა,
არც მისი მსახვრალი ხმალისა.
მშვიდად ხარ აღმასრულებელი
ამა საწუთროის ვალისა...
იმედი, რწმენა და სიყვარული
ისე გადაგაქცევს ხალისად,
არცა შიში გქონდეს, არცა დარდი
მიმგებელობისა ხვალისა.

## უფალო ტკბილო

შენ ხარ ღმერთი წინაპართა
სალოცავი, სათაყვანო,
შენ წინაშე შვილთა შენთა
უყვართ მუხლი მოიყარონ.
შენ შეამკე ცა ვარსკვლავით,
შენ ანათე მზე და მთვარე,
შეგვეწიე, დაგვიფარე,
გვაპატიე, გაგვახარე.
შენ ხარ ჩვენი სასოება
სიცოცხლე და სიხარული,
შენ სავანედ სამყარო გაქვს
და კეთილი კაცის გული.
უცნაური არის ყოფნა
მარტივი და თანაც რთული,
შენ სამყაროც კი ვერ გიტევს,
მაგრამ გყოფნის კაცის გული.

## ***

დაგვლოცე და დაგვიფარე, უფალო,
გვაკურთხე და მზიანი გზით გვატარე,
გონი მოგვეც ზეცით თავისუფალი,
და ამინდიც ზეცით გამოადარე.
გვაღიმილე, რათა ვიყვარებოდეთ,
გაზაფხულთა აფეთქებას გვადარე...
მხოლოდ ასე, წამებაც კი ტკბილია,
განგვინათლე გული სევდით ჩაგრული...
შეიწირე გლახაკთ ესე მწვლილია,
ვით რაინდის სიმღერები ჩარგლური.

## ო, დიდება შემოქმედო

ანარეკლი ბრწყინავს ჭავლი,
ნატამალი ციურ წყალთა...
მე მივტირი დღეებს ჩავლილს,
როს მფარავდა მშობლის კალთა
და უმანკოს შუქად მადგა
ნათლის სახე წინაპართა.
ანგელოზებს უცინისო
პატარაზე იტყოდიან...
მერე სულში დაიზამთრა,
გაზაფხული იყო გვიან...
ნეტარების ყვავილები
ჟამთა ქროლვას დაუჭკნია.
თითქოს ხედვა დაბარბაცდა,
დანისლული სევდის ჩრდილით,
რა შორს დარჩა იგი განცდა
ბავშვობისა, ესდენ ტკბილი,
ცისკრის სახედ აღბეჭდილი.
..................................................................
უხილავი კვლავ ჩამძახის,
ესე ნატვრად დავიგულე:
თუ გსურს სდევდე ისევ პეპლებს,
ჰკრავდე დღეთა თაიგულებს,
ყველას ყველა მიუტევე,
ბავშვის გული დაიბრუნე.
გალაღდი და გახალისდი
ლოცვის მადლის დაგებითა,
გავცოცხლდი, აღმსუბუქდი
სულის განსპეტაკებითა,
აღფრინდი და აიქროლე,
ოქროვან ფრთებნაქებითა.
მადლი შენდა შემოქმედო,
სახიერო ბუნებითა,
შიშით ასამაღლებელო,
კრძალვით და რუდუნებითა,
უცვლელო და მოუკლებო
დროის ეტლთა ბრუნებითა;
განწირულთა, მცოდველ შვილთა,
უნებლიედ თუ ნებისად,
სულგრძელებით მიმტევებო
ყველა ჩვენი ცდუნებისა,
სიკვდილის გზის გადამკეტო
მზისკენ შემობრუნებითა.

1980 წ.

***

ნეტარნო მამანო,
ნეტარნო დედანო,
დიდნო წინაპარნო,
მეუფის მხედარნო,
მარად ზემსწრაფველნო,
არ ქვეგამხედვარნო,
სულის დიდმსახურნო,
დიდების მხედარნო,
დიდი სილამაზის
მჭვრეტელნო, მხედველნო,
შველას გევედრებათ
ერი წამებული,
ჩამოღამებული,
ლოცვით აღგვადგინეთ
ზეცა განგვინათეთ
და წინ გაგვიძეხით
დიდი სიყვარულის
კვლავ გამოღვიძებით.
ციური მამული
აქედან იწყება,
სამშობლო, სამშობლო
ნუ დაგვავიწყდება,
ვიდრე ჩვენს მამულში
მტრის ხმა არ მიწყდება,
სულ მთლად არ ჩაკვდება
და არ დამიწდება,
უწმიდეს ვალისა
არ ხამს დავიწყება,
თორემ ცოდვა დაგვსჯის,
ზეცა გაგვიწყრება.
ღირს გადარჩენისთვის
თავის დავიწყება,
რადგან უკვდავება
აქედან იწყება.
ვისმინოთ მამულის
გმინვა და გოდება,
სად შურისძიების
წყურვილი ბორგდება,
ვინც ღმერთის შვილია
ყველა გამოდგება,
სიცოცხლის მსახური
არასდროს მოკვდება.

## დასასრულებელი


მამა ამირან ამირანაშვილი

აგირგალდა გრიგალები,
აქარიშხლდა ქარიშხლები,
წვიმისა და სეტყვის ბუღში
გაეხვია ქალაქები.
ხე მოთხარა, სოფლის სახლებს
გადაგლიჯა სახურავი,
წვიმამ მთლად აგვაწიოკა,
მზესთან რა გვაქვს სამდურავი.
ზღვა ღელვით გადაირია,
დაიფრინა ტურისტები,

ტყეებში ცეცხლი გიზგიზებს...
ღმერთო შეგვინდე ცოდვები.
მტერ-მოყვარე აირია,
წაიბილწა ზღვა და ხმელი,
მორღვეული გვაქვს საზღვრები,
რაღა დამრჩა სათქმელი.
თამარის დროშა აღვმართოთ ,
უხმოთ დავითს და ერეკლეს,
ქართველნო, ხმალი ავლესოთ,
შეუდგეთ უფალს, ჩვენს მეკვლეს.

## ბათუმი 2017, 22 აგვისტო

სიცხე როგორ არ გვინახავს
მით უმეტეს აზიაში,
მაგრამ ბათუმს რა ეტაკა,
ლამის ტვინი გალღვა თავში.

არც ზღვა გვშველის, არც ბულვარი
არსაიდან არ უბერავს
ყინულიან წყალს მივირთმევთ
გათანგულებს სითხე გვბერავს.

შავი კაბით მე დავდივარ,
ჩემთან არაბი ქალები,
მე თავი მაინც მომიჩანს,
იმათ კი მხოლოდ თვალები.

პლიაჟისკენ თუ გაივლი,
ადგილი გაგიჭირდებათ,
ადამ და ევას ნაშიერთ,
ფოთლებიც აღარ ჭირდება.

სიტყვა „სირცხვილი“ დაკარგეთ,
თოკებით ვკოჭავთ ალაგებს,
ადრე სირცხვილი თუ იწვევდა,
დღეს „შეზლონგზე    ვალაგებთ.

## ჩემო სოფელო

ჩხარო, ჩემო ტკბილო დედავ,
უძველესო ჩხარის წყარო,
საყვარელი მშობელი ხარ,
შენ შემაყვარე სამყარო.

დიდებულო მაცხოვარო
პანთეონო წინაპართა,
გულში იკრავ ჩვენს ღვიძლ მშობლებს,
ახლობლებს და მეგობართა.

განათლების დიდი სკოლა
საამაყო სწავლულებით,
მეცნიერებით, მწერლებით,
გმირებიც გყავს განთქმულები.

ჩვენი გვარი საამაყო
შალვა, პეტრე, მედეათი,
იყვნენ დიდი ხელოვანნი,
მუზეუმიც კი გვაქვს მათი.

მე, ცოდვილი დეკანოზი,
დიდ მწერლებში გავერიე,
ვერასდროს წარმოვიდგენდი,
ჩემ სოფელს გადავერიე.

# აღსარება

უფალო, მე შენი ადამი ვარ,
ხელით შემთხზე და შთამბერე სული,
ყველა სიკეთე რაც კაცს სჭირდება,
შენ ჩემში ჩადე, რომ ვიყო სრული.

სისრულეს უნდა მუდმივი ხვეწა,
ლოცვა-კურთხევა, რომ აღვასრულო
შენსკენ სავალი გზა სამოთხისკენ
მუდმივი წრთობით მსურს დავასრულო.

შენგან მივიღე მე ათი მცნება,
ორ ქვის ფიცარზე, რომ დამიწერე,
ქვა მძიმე იყო, დავიზეპირე,
გულის ფიცარზე გადავიწერე.

სრული სამოთხე დამიმორჩილე,
მაგრამ მე მაინც ვიყავ მოწყენით,
მიმიხვდი მიზეზს, მომგვარე ძილი,
ქალი შემითხზე ევას სახელით.

დავტანტალებდით სამოთხის ბაღში
შენ გვასწავლიდი, ვმეცადინობდით,
იმ აკრძალული ხის ნაყოფისკენ,
საერთოდ არც კი ვიხედებოდით

მაგრამ ეშმაკი, რის ეშმაკია,
შეშურდათ ჩვენი, სულ რომ
ვლაღობდით,
მოძებნეს გველი და მისი ხელით
ვიგემეთ ხილი, მყისვე დავღონდით.

პირველი ცოდვით დაირღვა მცნება,
შერცხვენილები ბუჩქებში ვძვრებით,
სასირცხვო ადგილს ფოთლით
ვიფარავთ,
ჩვენ შემქმნელ მამას ვემალებოდით.

მამის წინ ვიწყებთ თავის მართლებას,
მამამ დაგვსაჯა სხვა და სხვა ფორმით:
ქალი შვილს შობდა დიდი ტკივილით,
მე პურს ვიპოვი შრომით და ოფლით.

გველს მიესაჯა მუცელზე ხოხვა,
ქალის ქუსლიდან თავის გაჩეჩქვა,
ასე აღმოჩნდით ცოდვილ მიწაზე
კაცობრიობა სანამ დარჩება.

აბა — მიწაზე ნახე ცოდვები,
იქ ერთი იყო — აქ ათასია,
აქ ცოდვა — მადლი ერთად თუხთუხებს
ვნახოთ, ადამი აქ რა კაცია.

ვიყავი ძლიერ მორიდებული,
სამოთხის ცოდვას ვერიდებოდი,
იყვნენ ევები გაავებული
ვგრძნობდი მათ ცეცხლში მეც
გავდნებოდი.

ბევრს ავარიდე ცოდვილი თავი,
ბევრი დღესაც მყავს გულჩათუთქული.
სასახლეებიც შემომთავაზეს,
კარიერები, სიმდიდრე, ფული.

სიყვარულისთვის ოჯახს ანგრევდნენ,
ოღონდაც ჩემგან ეხილათ ხილი,
აღარაფერი აღარ უნდოდათ,
აღარც ოჯახი, აღარც ქმარ-შვილი.

იყო შემთხვევა იცვლიდნენ მრწამსაც,
ბევრმა იფიქრა სამშობლოს შეცვლა,
ზოგმა ზარდახშით მომართვა ოქრო,
მკაცრი ადამი აქაც არ შეცდა.

კარიერისგან თავს ძლივს ვაღწევდი,
იყო თეატრი მცირე თუ დიდი.
რამდენ გენერალს უთხარ უარი,
არ გავხდი სიძე ყალბი და ფლიდი.

აქეთ საბჭოთა უშიშროება
რას არ მპირდება, მიგებდნენ კოშკებს,
თანამდებობა, სახლი და კარი...
განათლებები ჩემს ძვირფას ბავშვებს.

ვატიკანიდან სტამბულის გავლით
კარდინალობას მთავაზობს რომი,
მიტროპოლიტად ავსტრალიისთვის
ბართოლომეოსი მამზადებს მგონი

პარიზში მაინც დამჭირდა ომი,
ევა და შველი იყო ერთ ქალში.
ევა კი არა ის იყო, გველი
იტალიელი შერწყმული ფრანგში.

გადავრჩი მშვიდად, დავბრუნდი სახლში,
ადგილობრივი იწყება ბრძოლა.
ბათუმში ბევრმა მიმიღო მოძღვრად,
ზოგიერთებმა თვალით ჩამქოლა.

რა ვქნა ადამმა დავბერდი მგონი,
დღესაც კიაფობს ნაღვერდალები.
ჩაფერფლილ ადამს კვლავ უცქერიან
მოხუცი ევას თბილი თვალები.

ბევრი ვითმინე, ბევრი შევცოდე,
შენ უფრო გახსოვს — იყავი ჩემთან,
ბევრი მცნებები შემომერღვია,
გულის ფიცარიც გაცვთა, დაბერდა.

გემუდარები, შემინდე ღმერთო,
ყველა ცოდვანი ძველიც, ახალიც,
სამოთხის კარი არ მომიხურო,
მე ადამი ვარ, გულით ალალი,
შენთან არა ვარ მაინც მართალი.



მაყვალა გონაშვილი

## იქნებ გაგვახსენდეს

მზე რომ დედა არის ჩვენი, მთვარე კიდევ მამა,
ვარსკვლავები – დები, ძმები, აღარავის ახსოვს,
სიყვარული, თავგანწირვა, დანდობა და რწმენა,
არც მეტი და არც ნაკლები,
ერთ კუპონად ფასობს.
პოლიტიკა, აი, ჩვენი თეატრი და კინო,
პოლიტიკა, აი, ჩვენი მარილი და პური,
მთავარია ჩვენი აზრი, სხვა სუყველა ცრუობს
და ბრძენკაცის რჩევასაც კი არ დავუგდოთ ყური.
მერე რა, თუ ამ ქვეყანას ჩალაც არ ახურავს,
მერე რა, თუ სითბო უნდა კერაჩამქრალ სახლებს,
გამოაკლდა ჩემს თაობას არაერთი ბიჭი,
მიემატა დღეს მუშტარი ჯიხურებს და დახლებს.
აირია ერთმანეთში რწმენა, ცოდვა, მადლი,
აგორდა და აიზვირთა ცა, მიწა და წყალი,
რა დაწყევლილ დროში ვცხოვრობთ,
ერთი დღით და ღამით.
ზოგს წარსული დაეკარგა და ზოგს მომავალი.

მესიზმრება, ზღვა ბობოქრობს,
ნავზე რჩება ეშმა...
იცინის და დაუნდობლად
ფეხებს აჭრის მტრედებს.
იქნებ ბინდი გადავყაროთ, იქნებ გავიღვიძოთ,
მზე რომ დედა არის ჩვენი, იქნებ გაგვახსენდეს.

## ძახილი

დედაო ევა, სად ხარ, დედა?!
დედა, დედა! დე!!!
მინდა რომ ვიყო ქვეყნის მეფე
თიხად ქცევამდე.
მეც მიყვარს თავი. მინდა ვიყო თავის უფალი,
სანამდე ჩემს სულს მიიბარებს მამაუფალი.
სანამ სხეულში მზე ბუღრაობს, სანამ ცა მოთოვს,
სანამდე მკერდღან ვარდს დავაჭკნობ
და ფერხთან – ლოტოსს.
რადგან ქალი ვარ, მეც მახელებს ცნობის წადილი,
მეც გამიმწარდა ბევრი თაფლით ტბილი წანდილი.
მეც ბევრჯერ ვნებით მომეხვია სხეულზე გველი.
ბევრჯერ დავძლიე მორჩილებით დაუძლეველი.
რა, არ იცოდი, მამაღმერთო, რომ მომეც სული
ქალი სულმოკლე, სულსწრაფია და სულწასული
გამოცდილებით თუმც ათასჯერ ამიცრეს ტანი,
მაინც ათასჯერ ვიყავ მონა ტრფობის, სატანის.
ყელთამდე წყალში ვიდექი და მწყუროდა წყალი,
ვით ტანტალოსი, საუკუნო ტანჯვის ამტანი.
ხომ არ გრცხვენია, მამაღმერთო, შენი ხელობის?
ჩვენი სიბეცის, ულმერთობის, ასე ხელობის?
მზე ჭკნება ცაზე, დედამიწა იფარავს შვილებს,
დამდგარა ჟამი უკეთობის და თვითმკვლელობის.
წლები გვამძიმებს, ცოდვებით და გამოცდილებით.
ვხვდებით ჯოჯოხეთს, რა ჟამს წამით გამოგცილდებით
და მაინც გელით და იმედი ბჟუტავს კვარივით.
თვალები გვრჩება გახელილი ზეცის კარივით,
აგედევნებით ბოლოს მაინც მორჩილ კრავივით,
გავივლით ნეტავ ამ ბეწვის ხიდს, თუ ვერ გავივლით,
მოვასწრებთ რამეს გარდაუვალ ბედისწერამდე?
კულისებიდან განათებულ აიმ სცენამდე?
აღზევებიდან დაცემამდე, მიწად ქცევამდე?
ჩემო საწყისო, სახევ ჩემო, დედაო ევა,
წლები გვაშორებს ათასობით, მაინც შენ გგევარ,
მშობელო ჩემო, პირმშოვ ჩემო, სად ხარ დედა, დე!!!
მტკივა სხეული დაქცეული თხემით ტერფამდე!

## ზვარაკი

სულთმოფენობის დამდგარა ჟამი
და სურნელებით ივსება ტევრი,
ღმერთმა გვიბოძა მცირედი ხსოვნა,
ცრემლი და სევდა — ძალიან ბევრი.
საღამოს ბოდვას, საკრალურ ცოდნას,
საოცარ ცოდვას იფარავს სული,
კვლავ ერთი ღამით კვდება მნათობი,
უბერებელი, უფლის ასული.
ვარ სევდით სავსე, როგორც ღრუბელი,
და თვით არ ვიცი, როდის ვიწვიმებ.
ვფურცლავ ლექსიკონს, ვკინძავ ძველ სიტყვებს,
გადავიწყებულს, როგორც სიწმინდეს.
უნდა მოვასწროთ, ვჭამოთ, შევირგოთ,
თორემ სიწმინდე მძიმე ბარგია,
დროა ასეთი? რა შუაშია
დრო, თუ ჩვენ თვითონ აღარ ვვარგივართ.
თუკი გავწირეთ ყველა რჩეული,
თუკი დავისვით თავზე ტეტია,
რა ღირს კაცობა? ერთი გასროლა,
აქაც და იქაც ჯოჯოხეთია.
რამდენი რამ მსურს გიამბო, მაგრამ
ვზივარ, ტკივილებს ვასკდები უხმოდ,
ღმერთი ერთია, თუმცა ცოდვილნი
უფალს სხვადასხვა სახელით ვუხმობთ.
გადავივიწყეთ ერთურთის ენა
და ღმერთს რა პირით ველაპარაკოთ,
თუ გვიხსნი, ისევ შენ უნდა გვიხსნა,
ისევ შენ, უფლის წმინდა ზვარაკო.
ჩვენ შეჩვეულნი შენით შენდობას,
ისევ გავჭედავთ ჯვარსა და ლურსმანს,
შემოგავედრებთ პატიჟის შიშით
სულს, ერთხელ შობილ სხეულის ტუსაღს.
ჩვენივე ნებით დავივსეთ თვალი,
მობჯენილი გვაქვს გულზე ცხრა დანა
და ქვესკნელეთის ლაბირინთებში
კვლავ საღრეობოდ გვიწვევს სატანა.
ენაშეშლილნი, სახეშეცვლილნი
უფალს რა პირით ველაპარაკოთ,
თუ გვიხსნი, ისევ შენ უნდა გვიხსნა,
ისევ შენ, უფლის წმინდა ზვარაკო!

## სხვა რა ძალმიძს

ფეხზედ მაცვია ქალამნები, სხივით ნაქარგი,
ჰა, გიშრის თმაზე მზემ თავისი ჯიღა დამადგა,
ეს ხარ-ჯიხვია დღეს მეუფე და ჩემი სწორი,
და ეს ბერმუხა უბერები — მინდვრის თაამადა.
რა ბევრსა ნიშნავს ეს მზის რკალიც თითზე ბეჭედად,
ჰო, დღეის იქით სულ სხვაგვარი მედება ვალი,
გადვილეწები თავთუხებში ექვსჯერ კივილით,
დედას მიწოდებს ოთხი ვაჟი და ორიც ქალი.
ვაჟებს ყოველჟამს ამირანის ზღაპარს მოვუთხრობ,
ეთერის ზღაპარს და წიქარას ვუამბობ ქალებს,
ვასწავლი ქალებს ერთგულებას, ვაჟებს სიმხნევეს,
სიკეთის ნერგი სიპ ქვაზედაც რომ გაიხარებს.
თუმცა ავკაცნი ზოგჯერ ამ ნერგს ამტვრევენ ტოტებს,
ჰო, ასეც ხდება, ზოგჯერ ქვეყნად ყვავი არწივობს,
ასე ექვსივეს ხელთ სიმართლის მივცემ კელაპტარს,
საქართველოს მზე რომ ლამაზი მხრებით ასწიონ.
ვეტყვი, რომ სხვა მზე მეც აროდეს დამიფიცია,
რომ არასოდეს არ მიცვლია ფერი და ნირი,
უხილავ ხელმა გამომთალა ლერწმის ღეროდან,
მიწას სიმღერით მოვუქარგო რომ გულისპირი.
სხვა ¡ რა ძალმიძს? მეც ამ მიწის ვარ ერთი ბელტი —
ადევნებული ოცნებებით უხედნავ ქარებს...
და ჩემი სულის, ჩემი სულის თეთრი შროშანაც
მხოლოდ ამ ცის ქვეშ, ჰო, ამ ცის ქვეშ თუ გაიხარებს.

# ჯგუფი ზღვარი



სერგი ლომაძე

## სიცოცხლემისჯილი

*(ვაჟა–ფშაველას გენიალური პოეზიიდან*
*ჩამრჩა გონებაში სიტყვები „ლამაზი ძმა“,*
*როგორც, ვთქვათ, სულიერი სილამაზის,*
*ამაღლებულობის გამოხატულება.*
*შემდეგში, ეს ვაჟასეული სახე–ხატი,*
*უფლის შესახებ განვაზოგადე)...*

აზრი არა აქვს ლექსებსო, — მითხრეს,
ეგ პურს ვერ გაჭმევს, ეგ დაგღუპავსო;
მე რომ არ ვწერო, უფალო ქრისტე,
არ შემიძლია!.. მე ვწერ უფასოდ.
იქნებ არც ვიცი, როგორ ვწერ, რას ვწერ...
მაგრამ კალამი თავისით ხატავს
ქართული სიტყვის უამრავ ნაწერს,
ამისთვის ვმადლობ ღმერთსა და კალამს.
იესო, ჩემო ლამაზო ძმაო,
მე, სხვა რამ, ქვეყნად, არ შემიძლია;
თუ ჩემი შრომა არის ამაო,
მე ლექსებს დავწერ ისე, ნისიად,
სულაც უფასოდ, აზრით, უაზროდ...
ბოლოს ცეცხლშიაც შეაგდონ იქნებ
ის ერთადერთნი, მართლა რომ ვგრძნობდი,
და რომ იტევდნენ ჩემს გულს და ფიქრებს...
მადლობელი ვარ შენი, რომ ვწერდი,
და მე ბოლომდე ასევე დავწერ,
და ეს ცხოვრება — ჩამქრალი გემი,
მიჰყვება ტალღებს, კალმისგან ნაწერს...

## გული

*(იმ ქალს, რომელიც*
*უმანკო თოვლივით დამამახსოვრდა).*

ვთრთი, ფეხაკრეფით მივდივარ სადღაც,
შენი დაღლილი ხმა მწვდება, მათოვს;
და მე არ ვიცი, რასა ვგრძნობ ახლა;
და შენ არ იცი, ვარ რარიგ მარტო;
ფეხდაფეხ მომსდევს შუქები ღამის,
შუქები ფიფქთა თაიგულს ანთებს;
იცი? — თქმა მინდა უთვალავ რამის,
მაგრამ თეთრ ღამეს სიტყვას ვერ ვკადრებ.
აი, შენი ხმა კი მკრთალად ისმის,
ისმის, ვით ფიფქთა შრიალის ექო,
ან ვით ცახცახი ნაძვის ხის წიწვის,
მე კი სულ ვფიქრობ, სულ ვფიქრობ მე ხომ!..
მივდივარ, სულში იღვრება სისხლი,
მარტო ვარ, ფიფქის სულს ვხედავ თითქოს,
და უთეთრესად წითელი ფიფქი
მკვდარი გულივით ეცემა მინდორს...

**ნელი გულისაშვილი***

## მოლოდინი

... და დაიმსხვრნენ ცის ბროლივით
ჩემი ოცნებანი;
მეგობარო, მეგობარო,
შენ მომეცი ბანი;
მე არ ვიცი და ვერ გეტყვი
რა მომელის ხვალე, –
ან სიკვდილი, ან სიცოცხლე,
მოვა ალბათ მალე;
დაეშვება მწუხარების
ფარდა გიშრის დარი. . .
მომეხმარე, მომეხმარე
და გამიბი ლარი, –
ლარი, რომლის გავლაც შეძლოს
მხოლოდ ერთთაგანმა,
ან სიცოცხლემ, ან სიკვდილმა,
ჩემთან მომავალმა...

*** ნელი გულისაშვილი ჯგუფ „ზღვარის“ წევრი არ არის, მაგრამ სერგი ლომაძის თხოვნით მის გვერდზე იბეჭდება – რედაქტორი.**



კახა ბაციკაძე

## გადმოსვლა შენს თვალებში

უბრალოდ, ჩუმად ვფიქრობ, და გიმზერ,
სულის ზეცაზე ვარსკვლავად კრთები,
არ ვეძებ ამგვარ შეგრძნების მიზეზს,
უბრალოდ, მე შენს თვალებში ვკვდები...
 გიწამე, როგორც სამყაროს არსი,
 როგორ მკვეთრია ამ რწმენის ფერი!
 ცის ანგელოზთა ღვთიური დასიც
 შენი მშვენების ამბავზე მღერის!
მე კი ლექსს გიწერ, დღე მიდის ასე,
ცას ეხატება ფრინველი გულის,
მიიღე ჩემგან, გთხოვ, გრძნობით სავსე
ფერად სტრიქონთა ეს თაიგული,
და ასე ძვირფასს, და ასე ლამაზს,
დღეიდან გერქვას თვით სიყვარული...
 უბრალოდ, ჩუმად ვფიქრობ, და გიმზერ,
 სულის ზეცაზე ვარსკვლავად კრთები,
 არ ვეძებ ამგვარ შეგრძნების მიზეზს,
 უბრალოდ, მე შენს თვალებში ვკვდები...

## ქალი, რომელიც ზღვასავით მიხმობს...

ცას ამშვენებს ვარსკვლავები,
ჩემი ვარსკვლავები შენზე ფიქრებია,
და ვანათებ, როგორც შეღამების ზეცა...
თეთრი დღეები დათოვლილი გორაკებივით
მიჰყვებიან ერთმანეთს.
ფრთები არსებობს ასაფრენად,
ეს ხომ იცი,
პოეზიაა ფრთები, რომელნიც
ყველაზე მაღლა,
სამყაროს ყველაზე მიუვალ
კუნჭულშიც კი მიგიყვანს...
გულის ფსკერზე ზღვასავით გაჩნდი,
და ამ სილურჯეში,
ამ ზღვისფერ შეგრძნებაში,
სამყაროში,
დაცურავენ ლექსის ხომალდები...
გამხვიე ვნების ტალღებში და
მომატარე მრავალი კუნძული
თუ ქვეყანა;
მე მინდა დავრჩე
ამ ვნების ტალღების
მარადიულ მეკობრედ...
ცას ამშვენებს ვარსკვლავები;
ქალს ამშვენებს ლექსები,
მიძღვნილი ჭეშმარიტი პოეტისგან...
და მიხმობ, ზღვასავით,
შეუცნობი განცდებისაკენ.

## პოეზია და სიყვარული

ფიქრის პეპელა ჩამომჯდარა გულის სარკმელთან,
სტრიქონი ჩუმად იხატება, როგორც სიზმარი...
პოეზია და სიყვარული კვლავ გადაკვეთავს
ერთმანეთს, რადგან ეს ორია დაუვიწყარი.
 როდესაც ზღვაზე, მზე, ოქროსფერ სხივებს გააწყობს,
 პოეტურია ოცნებათა აალმასება,
 სტრიქონთ სიამე, მოსასმენად, ლექსის, განგაწყობს,
 მერე გრძნობები კიდევ უფრო გალამაზდება...
მივყვეთ ოცნების ლაბირინთებს, მიდის ცის გულთან,
აზრს სად ვიპოვნით ოცნებათა გზების გარეშე?
სევდის წვიმები თვალის ველზე თუ დაგიგუბდა,
ერთად წავიდეთ ირეალურ, უცხო მხარეში...
 დრო არ არსებობს, როცა ფიქრობ უკვდავებაზე,
 როცა სამყაროს შენ აღიქვამ, როგორც პიეტას...
 ვინაც პოეტად დაიბადა ამქვეყანაზე,
 იმას სიცოცხლის უარყოფაც ეპატიება...
ფიქრის პეპელა ჩამომჯდარა გულის სარკმელთან,
სტრიქონი ჩუმად იხატება, როგორც სიზმარი...
პოეზია და სიყვარული კვლავ გადაკვეთავს
ერთმანეთს, რადგან ეს ორია დაუვიწყარი.



**გურამ ჭავჭანიძე**
**Гурам Чавчанидзе**

## დიდა

გადიყარა, სიომ დარდი გაანელა,
გულო, ნულარ მეხურები,
ვაზის ლერწზე, თითქო იყოს საქანელა,
ქანაობენ ბეღურები

## შემოდგომა

შემოდგომა, ოქროს რთველი,
ზურმუხტი და ლალები,
საპატარძლოდ მოსართველი
ეშხიანი ქალები.
ნეტავ, კარგო, შენი პეშვით
ღვინო დამალევინა,
მერე მომკლა შენი ეშხით,
სული დამალევინა.

## როცა ნავარდობს სიცოცხლე

მე მიყვარს, როცა დილის მზით
დაიფერება ცისკარი,
როცა იღვიძებს თბილისი,
ეს ახდენილი სიზმარი.
მერცხლების ჟივილ–ხივილში
როცა ნავარდობს სიცოცხლე,
ღმერთო, მიცოცხლე თბილისი,
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!

## გულისტკივილით

გულისტკივილით გყვედრი, ქართველო,
რომ არც შენა ხარ ცამდე მართალი,
მაშ, რად ისჯება დღეს საქართველო?
რატომ დადუმდა ღვთის სამართალი?
ცოდვები მოგვდევს, ხალხო, ქართველო,
გრძელია მათი ჩამონათვალი,
მიტომ ისჯება დღეს საქართველო,
ცხინვალ–აფხაზეთჩამონათალი!

## ვაზი

ყოველ დილით ჩემ სარკმელთან თავს იწონებს ვაზი,
აზურმუხტებს, ალამაზებს მიდამოს,
თანაც ნაწნავს რომ გაიშლის, კეკლუცი და ნაზი,
თითქო მიხმობს, მოფერება მინდაო.
განა არა, მიყვარს ვაზის მოფერება, გასხვლა,
ნეტა მალე გამოისხას მტევნები,
ვენაცვალე, არ ჭირდება საყვარულის ახსნა,
ისეც ხვდება თავს რატომაც ვევლები.
აშკარაა, ყოველ დილით თავს მაწონებს ვაზი,
ლამაზია, როგორ უნდა ვიდავო,
ჰოდა, როგორ გაძლებ კაცი, ვაზი ასე ნაზი
როცა გიხმობს, მოფერება მიდაო.

22.03.2016

**Владимир Маяковский**

### А ВЫ МОГЛИ БЫ?

Я сразу смазал карту будня,
Плеснувши краску из стакана;
Я показал на блюде студня
Косые скулы океана.
На чешуе жестяной рыбы
прочел я зовы новых губ.
А вы
ноктюрн сыграть
могли бы
На флейте водосточных труб?

### ВЛАДИКАВКАЗ -ТИФЛИС

.... .
*Я знаю:*
*глупость — эдемы и рай!*
*Но если*
*пелось про это,*
*должно быть,*
*Грузию,*
*радостный край,*
*подрозумевали поэты.*

**Автор текста** Лебедев-Кумач В.
**Композитор** Дунаевский И.

### КАК МНОГО ДЕВУШЕК ХОРОШИХ

Как много девушек хороших,
Как много ласковых имён,
Но лишь одна из них тревожит,
Унося покой и сон, когда влюблен.

Любовь нечаянно нагрянет,
Когда её совсем не ждешь,
И каждый вечер сразу станет
Удивительно хорош, когда поешь.

Сердце, тебе не хочется покоя,
Сердце, как хорошо на свете жить,
Сердце, как хорошо, что ты такое,
Спасибо, сердце, что ты умеешь так любить.

**Александр Пушкин**

### ПРО СЕБЯ

Великим быть желаю,
Люблю Росии честь,
Я много обещаю,
Исполню ли? бог весть!

ვლადიმერ მაიაკოვსკი (თარგმანი)

### თქვენ შეძლებდით?

საღებავით ვასხვაფერე
დროთა სრბოლა ნება-ნება,
ზღვაურს ყინვა შევაჯერე,
ოკეანეს — გაავება.
ზვიგენის ფხამ, როგორც დანამ,
დამისერა სმენად ყურნი,
შევიცანი ხმები სისხამ დილის,
თქვენ შეძლებდით ვინმე განა,
რომ დაგეკრათ ნოქტიურნი
ფლეიტაზე წყალსადინარ მილის?

19.06.17.

### ვლადიკავკაზი-ტფილისი

.... .
მე ვიცი:
სისულელეა — სამოთხეც და ედემიცა!
მაგრამ თუკი
უმღეროდნენ ამასო,
ეტყობა, რომ პოეტები,
შენს მშვენიერ ცას და მიწას
გულისხმობდნენ,
საქართველოვ ლამაზო.

15.05.17

### რამდენი ტურფა ასულია ამქვეყნად

რარიგ ამრავლა ქვეყნად ღმერთმა
ტურფა და ნაზი ასული,
მაგრამ იმ ერთმა, მხოლოდ ერთმა
წარიღო სული და გული, დადაგული.

დაუკითხავად გულის კარებს
შეგინგრევს ტრფობა მალული,
ყველა საღამო იცის კარებს
სიმღერით და სიხარულით, სიყვარულით.

გულო, დაუღალავო ჩემო გულო,
გულო, ეგ ძგერა იმედს მიცოცხლებს,
გულო, ბოლომდე უნდა მიერთგულო,
მადლობა, გულო, რომ ასე გიყვარს სიცოცხლე.

15.04.17

ალექსანდრე პუშკინი (თარგმანი)

### ჩემს შესახებ

დიახაც, მინდა ვიყო დიდებით,
ღირსეულ რუსეთს ვეტრფი და ვფიცავ,
დაპირებებით ბევრს დაგპირდებით,
უფალმა უწყის, თუ მათ დავიცავ.

04.05.17



**ირინოლა ორბელიანი**

**ლექსები**

***

მინდორში გვირილა ზღვასავით ღივლივებს,
ყვითელი გულები მაყრიან ღიმილებს,
თეთრკაბა ქალები მიწნავენ გვირგვინებს
და შავ დალალებში ავლებენ გვირისტებს.

გორების დასასრულს ღრუბლები მღერიან,
უნაზეს პეიზაჟს ქარგავენ თითებით,
დღე არის ისეთი, სამოთხის ფერი აქვს,
ტრიოა ასეთი — მე, შენ და იმედი.

მინდორში გვირილა ზღვასავით ლიცლიცებს,
დარია ნათელი... სამყარო ტრიალებს...
შენს ხელებს მიწიდან ზეცაში ავყავარ
და კაბის კალთები ჰაერში ფრიალებს.

გორების დასასრულს ღრუბლები მღერიან,
უნაზეს პეიზაჟს ქარგავენ თითებით,
დღე არის ისეთი, სამოთხის ფერი აქვს,
ტრიოა ასეთი: მე, შენ და იმედი.

არ ვიცი რა გითხრა, იმდენი ვიფიქრე,
თუმცაღა თვალებით უთქმელად მიხვდები,
შენ მზე ხარ პატარა, ვინც გულში ჩაგხატე
და „ბედნიერება" დაგარქვი სახელი.

***

სუ... არ გინდაო...
ნუ იხსენებ გარდასულ დღეებს,
ნუ გააშიშვლებ ცივ ქარებში,
თოთო ბავშვია,
ვერ დაიოკებს ამ სიცივეს,
მწარედ იტირებს,
გულს აუჩუყებს,
მოიხურავს დარდის მანტიას.
არა, ძვირფასო,
დე, ცრემლებმა წალეკონ თვალნი,
დაე, ნისლებმა გადაფარონ,
არ მადარდია,
როგორ არ გითხრა,
ჩემო კარგო,
რარიგ მიყვარდი,
მარტის თვეა და ტყემლის კვირტებს თეთრად ანთია.
რამდენჯერ ღამე მიფრენია ცაზე ოცნებით,
ნამგალა მთვარე საიდუმლოს ჩუმად მანდობდა,
ვარსკვლავებიდან მიჩუქნია შენთვის კოცნები,
ბებერი ქარი ეჭვებისგან როცა შარობდა.
ყოველ სისხამზე მაღვიძებდა შენი სურნელი,
ყოველ დაისზე სილამაზე ვარდის მათრობდა,
შენ იყავ ჩემი არსებობის ლექსი უთქმელი,
შენი ღიმილი ყვავილებად ჩემ გულს ათოვდა.
შენ ნაფეხურებს ყოველ დილით სანთლებს ვუნთებდი,
მზე ეშვებოდა წმინდა სხივად,
გულში ვარდობდა,
მოღუღუნებდნენ გოგმან-გოგმან მტრედის გუნდები,
ცა იხსნებოდა და სამყარო შენით ხარობდა.
იცი, პატარავ, შენ მაჩუქე სითბო უშრეტი,
ზღვა სიყვარულის, უსასრულო ტკბილი ზმანება
და გრძნობა იყო ისე მძაფრი, ისე უტევი,
მე განვიცადე დაბადებაც... გარდაცვალებაც...
დიახ, ძვირფასო, შენ იყავი ჩემი საწყისი,
ამქვეყნად ყოფნის სიამეც და უტყვი წამებაც,
შემოქმედი ხარ,
შენ შექმენი ჩემში ქალღმერთი,
შენი მადლია ჩემი სულის ფერიცვალება.



**თამარ (იამზე) ქელიძე**

+++

დროვ ძლიერ მინდა სიწმინდეში შემომესახლო,
და დიდ გაგების მაჯისცემას ვგრძნობდე ჩემს ახლოს.
და ჯვარს იწერდეს სიყვარული ჩვენს თბილ სახესთან,
ყველა მორბოდეს, ჩვენთან სურდეს თვალის ახელა.
მშვენიერებას შემოჰქონდეს ფართე სამოსი,
ეუბნებოდეს ყველას, ყველას, ჩემსკენ წამოდით,
და გალობანი კარს გვიღებდეს მკურნალის დარად,
სიხარული კი კიბე–კიბე ცვლიდეს დიდ დაღლას.
მშვენიერება აღვიძებდეს დილას, საღამოს
და გზა და კვალი მოუჩანდეს ყოველს საამოდ.
შემოდიოდეს მთლად იესოს ღიმილის ფერი
სიბრძნე დიადი ზეიმობდეს ერი და ბერი.

## ნუგეშისმცემელს დავეძებ ყველგან

ნუგეშისმცემელს დავეძებ ყველგან,
სიცარიელე რეკავს და რეკავს,
თვალდათხრის ამბავს ყვება და ყვება
მიმძიმს, ვუხურავ ფიცხლადვე მე კარს.
ცრემლის მომწმენდი გამორბის ჩემსკენ,
და მზის ღიმილში მოვყვები წამებს,
მაგრამ ვიღაცა სისხლიან ლექსებს
მასმენს და გლოვა მომყვება ცამდე.
ისევ ობლობის გამოწვდილ ხელებს
ვხედავ და გული მიკვდება ძლიერ,
ისევ მოვუხმობ გულის დამწველებს,
და ვეფერები დაქანცულს, მშიერს. . .
ჩემი ღიმილი შფოთვას ეძლევა,
როცა დრო ბოდავს და ჟამი ყვირის,
და ფეხზე მდგომი როცა ეცემა
უფრო ღრიალებს ეს გასაჭირი.
და დახანაბა სანამდე გაცლის,
წამი და წუთი ისევ უხეში,
გიტევს და ხედავ, რომ გაგძვრა ქანცი,
ნუგეშის მცემელს ყველგან დავეძებ,
ოი, სადამდე ველოდო ამინდს,
რომ სულიერად აღარ დავეცე,
ლამის სიცოცხლე დავტოვო, ლამის. . .
მაგრამ შორიდან ვხედავ მოდიან,
იმედის შუქი ინთება მაინც,
კარი იღება ხანგრძლივ ლოდინთან,
მე რომ მიყვარდა ჩამესმის ხმა ის.



თეა კანდელაკი

## მე მოგართმევდი წითელ თაიგულს

მე დაგიკოცნი შენს ლამაზ ბაგეს,
ასეთ მომხიბლავ ღიმილს რომ ბადებს.
დაგიკოცნიდი შენს ლამაზ თვალებს
და გაგიშლიდი ფერხთით თეთრ ვარდებს.
მე მოგართმევდი წითელ თაიგულს
ვარდების კონას
და მის სანაცვლოდ გამოგთხოვდი
ღიმილს და კოცნას.
დაგანახვებდი მტრედისფერ ზეცას
და ერთგულ თვალებს,
რომ ეს შეხვედრა განშორების
დაუვიწყარ წუთებად დაგრჩეს.

01.05.1996

## მიყვარხარ ძლიერ, ბატონო...

მიყვარხარ ძლიერ, ბატონო– მე შეიძლება გითხრა,
მაგრამ, ეს სიტყვა ოდესღაც იქნებ დაფაროს ფიფქმა.
იქნებ, ქარს გაჰყვეს კვალდაკვალ და გამოისხას ფრთები,
მითხარი, კარგო, ქარიშხალს მე როგორ დავეწევი.
მიყვარხარ ძლიერ,  ბატონო, მე შეიძლება გითხრა,
მაგრამ, მე მინდა შენ ჩემი გული იწამო წმინდა.
იმას თვალებიც გეტყვიან, რაც ვერ გაგანდო ფიქრმა,
რომ, მხოლოდ შენი ღიმილი და სიყვარული მინდა.
იქნებ, ეს გრძნობაც, ბატონო, სიცარიელედ დამრჩეს
და თუ არ გეტყვი, იქნება, შენც იმ ქარიშხალს გაჰყვე.
გული ერთს ამბობს თავნებად, ბგერა აკვდება ბაგეს,
ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს გრძნობა მე საიდუმლოდ დამრჩეს.

01.05.1996

* * *

უფალო ღმერთო, რაღაც მტანჯავს,
რაღაც მაწუხებს ყველაზე ძლიერ...
საჭმელ–სასმელი? – არ მაკლია შენი წყალობით,
არც სიმდიდრე და თაყვანცემა არ მაქვს ურიგო,
მაგრამ, სულ სხვაა ის ტკივილი – რაც ასე მტანჯავს!
მაგრამ, სულ სხვაა ის განცდები – რასაც განვიცდი..
რაც გვსურს იმწუთას შევისრულებთ გიჟურ წადილით,
კაცსაც კი მოვკლავთ, ოღონდ ჩვენი „მე“ იყოს კარგად.
ასე გაივლის დრო და ჟამი... ეს საუკუნეც
და გვავიწყდება, რომ ყველა გზა შენს კართან მოვა.
1994.ფლორიდა, აშშ

## მე მოვალ შენთან ვით გაზაფხული

მე მოვალ შენთან ვით გაზაფხული,
ჩამოგაშორებ გულიდან ყინვას.
მე მოვალ შენთან ვით ანცი სიო,
რომ, სიყვარულზე რაიმე გითხრა.
გზა თუ ამებნა შენსკენ სავალი
სიზმარში მაინც უთუოდ გნახავ,
მე დაგიტოვებ ბაგეზე ამბორს
და ფეხაკრეფით უჩუმრად წავალ.
თუ, მოგენატროს ჩემთან ალერსი,
ჩემი თვალები თუ გაგახსენდა,

მე ყვავილების თეთრი ბილიკით
თვით სიყვარული მომიყვანს შენთან.
და როცა მოვალ ვით გაზაფხული,
კრძალვით შემოვხსნი შენს სულში კარებს,
მე მოვალ შენთან ისე უჩუმრად,
რომ გაოცებით მომაპყრობ თვალებს.
გადაგავიწყებ ყოველგვარ წყენას
და დაგიკოცნი თაფლისფერ თვალებს,
მე შეგიყვარებ ისე ძლიერად,
რომ შეშურდება შენი სხვა კაცებს.

01.07.1997

## მე დაბადება არ მითხოვია

მე დაბადება არ მითხოვია,
თავად ღმერთია ამისი მოწმე
და თუ განგებამ ასე ინება
გზას ნუ მომიჭრით სიკეთის მყოფელს.
სულს არ მიშფოთებს ქვეყნად არა-რა,
თვალთმაქცობის და ღალატის გარდა.
არ მინდა მოვკვდე მარტოობაში,
ვით, განდევნილი ღმერთისგან მარად.
მინდა მხარგაშლილ მდინარეს ვგავდე,
ანდა დავქროდე ქარიშხლის მსგავსად,
არ მიყვარს სული დატყვევებული,
გაფიქრებაც კი ამისი მზარავს.
და თუ მომართვით სიცოცხლის თასი,
მინდა ბოლომდე მეც რომ დავცალო

და რომ გავიგო ამ ქვეყნის ფასი
სულ ცოტა ხანიც უნდა მაცალოთ!
დე, უკვდავებას მეც ვეზიარო,
მაშ, სიყვარულის თასიც მომართვით!
იალქანს სიოც ააფრიალებს,
თუ შეცურდება ზღვაში ხომალდი
და როცა გავალ ეკლიან ბილიკს,
მე აღსარებას ყველას გაგანდობთ
და თავად ღმერთი თუ მაზიარებს,
სულს მოეცხება, როგორც მალამო...
ქვეყნად დიდებაც არ მითხოვია,
თვითონ ღმერთია ამისი მოწმე
და თუ განგება მომიზღავს თავად
გზას ნუ მომიჭრით სიკეთის მყოფელს.

10.04.1996

* * *

აწმყომ დარდი დამავიწყა
წარსულს გაჰყვა მწუხარება,
სულში სიყვარულთან ერთად
დაივანა მდუმარებამ.

დრო გარდასულ დღეებს ითვლის,
თითქოს სევდაც დავივიწყე,
ღმერთმა მომცა ის, რის გამოც
სიყვარულზე დაგიფიცებ.

12.10.1996



უშანგი მოსიაშვილი

## საქართველოს

ვინ ინატრებს ქვეყნად უფრო,
ლამაზ მთას და მდელოს.
შენ რომ ხარ დახატული,
ჩემო საქართველოვ!

ყველა კარგი შენს კალთებზე
დაუბერტყავს ბუნებას,
მომადლებული სიკეთით
მტერს უფუჭებ გუნებას.

უამრავი სიკეთე გაქვს
შენს წიაღში ჩარგული,
მიტომ ვერაფერს გაკლებს
მტერი ცრუ და ავგული.

ჰევრმა ქარიშხალმა გლეწა,
მეხმაც გადაგიარა...
მაგრამ ქართვლის დედამ ცრემლით,
მოგიშუშა იარა!
და მას შემდეგ ბევრმა წყალმა,
დიდმა დრომ ჩაიარა...

შენ კი ისევ მძლავრად დგახარ,
სისხლით ნაპოხ მამულში.
სტუმრებს სიყვარულით ხვდები,
შეურცხვენელ ნამუსით.

## ჩვენი ცხოვრება წააგავს ალბათ...

*ვუძღვნი გმირულად დაღუპულ ტარიელ*
*შარიფაშვილს და გოჩა ყარყარაშვილს*

მეტეორივით მოწყვეტილს ვგავარ,
ჩემო ქვეყანავ, შენზე ფიქრებით.
ისე გავიღებ შენთვის სიცოცხლეს,
ერთი წუთითაც არ დავფიქრდები.

შენს მონიჭებულ ბრწყინვალებითა,
ისე დავიწვი ამ ქვეყანაზე,
შენი ლოცვის და კურთხევის გარდა
არ მომადგება არა ენაზე.

ჩვენი ცხოვრება წააგავს, ალბათ,
მეტეორების გაელვარებას,
წუთებს მიითვლის ჩვენი სიცოცხლე,
სულის ამოსვლას და მღელვარებას.

წუთისოფელი ჰქვია ქვეყანას
ჩვენს გატარებულ ცხოვრების გზასაც,
კაცურად ვხანით, კაცურად ვთესეთ
და ვპატრონობდით ჩვენს მომავალსა.

მიტომ ვიბრძოდით ჩვენ ვაჟკაცურად,
მიტომ ვიხდიდით სამშობლოს ვალსა,
აჰა, მიიღე ჩვენი სიცოცხლე,
მომავლისათვის გიტოვებთ კვალსა.

მეტეორივით მოწყვეტილს ვგავდით
ჩვენ ვაჟკაცები შენზე ფიქრებით,
შენ მოგიძღვენით ჩვენი სიცოცხლე
და სამუდამოდ შენთან ვიქნებით.

## შურიან კაცს

მოგცეს უფლება, არ ნიშნავს იმას,
წერო ყოველი, რაც რომ თქვენ გჯერათ,
შურით აღვსილ და ბოროტ სულიდან
გადმოანთხიო ნაღველი მთელად.

რომ სწერ იცოდე მაგ შენს ნაწერებს,
სადღაც უნდა ხომ ელოდეს ლხენა,
რომ სამომავლოდ შენმა ნაღველმა
არ შეგახვედროს დიდ გზაზე წყენა.

თუმც ოდითგანვე სჩვევიათ მავანთ,
რომ ბოროტებით სძლიონ კეთილი,
მაგრამ ცხოვრება თავისას შვრება,
მათ ვერ უშველით თუნდაც ვექილი,

თუ ცხოვრებაში გზას ვერ დაადექ,
ვერ ჩადექ ძმათა ფერხულში შენა.
სხვისი ძაგება შენ რას მოგიტანს,
თუნდაც წიწაკით დაიწვა ენა.

და თუ შენ ასე ძლიერად გჯერა,
შენ შენი ნიჭის გაქვს დიდი რწმენა.
კარგი კაცობით უფრო აჯობებ,
თუ ვინმემ შენზე ცუდი დაწერა,

მაგრამ თუ სულში გიზის სატანა,
გაგიჭირდება კარგის ატანა.
თუ ასე ცხოვრობ, იცოდე, ყველას
გაუჭირდება შენი გატანა.

თუ დაიჯერებ, სჯობს, დაიხიო,
სულში ჩაიდო სიკეთე ქვეყნის,
რაც გიჯღაბნია, სულ მთლად დახიო,
კარგ კაცის სახელს ვერავინ შერყვნის.

როცა ვფიქრდები, მსურს, დავიჯერო,!
რომ ეშმაკი ხარ უფრო მელაზე.
თუ არ შეჩერდი, მალე გიხილავთ
ჩამოკიდებულს სახრჩობელაზე.

## შთამომავლობამ იცხოვროს კარგად

მინდა, რომ ციდან ვწყვეტდე
ვარსკვლავებს
და ჩემს ქვეყანას ვუხდიდე ხარკად,
რომ მის წიაღში ყველა ხარობდეს
და ყველა კაცი ცხოვრობდეს კარგად.

რა ვქნა, არ მყოფნის შესაძლებლობა,
რომ შევუცვალო ჩემს ცას იერი.
და ჩემს ქვეყანას დავედო წამლად,
რომ იყოს იგი კვლავ ბედნიერი.

## უნდა გჯეროდეს

ერთი რამის, ჩემო კარგო,
უნდა გჯეროდეს,
ვისაც სიმღერა გამოსდის,
უნდა მღეროდეს.
ვინაც კარგი საქმე იცის,
უნდა საქმობდეს
და საქმე ისე აკეთოს,
სხვას არ ავნებდეს.

მდიდარსა და ღარიბს შორის,
ზღვარს არ ავლებდეს,
ღარიბს არაფრად აგდებდეს,
მდიდარს აქებდეს.
ყველა კაცი თავით ფასობს
თავის კაცობით,
არა სხვისი ძარცვა-გლეჯვით
და ბაცაცობით.

თუ გინდა, რომ შენ ამ ქვეყნად,
კარგად იარო
რაც რამ კარგი გააკეთო,
არ აღიარო.
ეს ქვეყანა ჯერ ისედაც
ერთი პეშვია,
ავის და კარგის გარჩევა
ღმერთის ხელშია.

## ო, როგორ გიჭირს კურთხეულო, ჩემო ქვეყანა!

ო, როგორ გიჭირს კურთხეულო, ჩემო ქვეყანავ,
დღემდე არა გყავს ღირსეული კაცი მმართველი,
ქვეყნის ერთგული, კაცობით და გონით ძლიერი,
სიტყვის პატრონი, გულიანი ნაღდი ქართველი.

რომ დანაწევრდა მამული შენი,
მტრებმა ჩახოცეს შვილები ჩვენი
რატომ, სად გვქონდა გადასაცემი
მიწა და წყალი?
და არც არასდროს არ გვქონია
ჩვენ არვის ვალი.

ყველგან და მუდამ ხმლით ხელში იდგა
შენი მებრძოლი,?
ამიტომაც დახოცილი მტერი ყველგან ეყარა,
სისხლის ფასად დაგვიტოვეს მათ მთლიანი მამული,
მაგრამ შემდეგ ჩვენ დიდება დავიბრუნეთ ვეღარა.

## გაღიარებენ კარგ კაცთა ტოლად

მითხარ ლექსი რამ დაგაწერინა,
სიხარულმა, თუ... წუხილმა, წყენამ?
ბევრს ამ გრძნობებმა დაუდგა ძეგლი —
სამარადისოდ მოჰგვარა ლხენა.

ლექსის თქმა სულის აფეთქებაა
და სტრიქონების დაწყობა კონად,
თუ მისი ტალღა სულს არ ჩაეწნა,
სამარადისოდ დარჩები მონად.

და ტალღასავით მომსკდარ სტრიქონებს,
დიდებისათვის თუ არ იგონებ,
ამ დროს ნათქვამი და თანაც სწორად,
მტრის და მოყვარის გზას ის გაჰყოფს ორად.

და თუ ნათქვამი სულის სიღრმიდან
ვინმეს სიკეთეს მოუტანს სწორად,
მაშინ იქნება კაცი მართალი,
გაღიარებენ კარგ კაცთა ტოლად.

## საქართველოს გასაჭირი

უბედური ხარ შენ, საქართველო,
რომ არ გეღირსა კარგი ცხოვრება.
უცხო მტრისა თუ მოყვრის ჭიდილში
არეული გაქვს მუდამ გონება.

არ ვიცი, ასე რად გტანჯავს ღმერთი,
შენ ხომ ამ ქვეყნად ხარ ერთადერთი,
შენებრ ლამაზი და სათაყვანო
მე არ მინახავს სხვაგან არც ერთი.

მუდამ ჭიდილი და კინკლაობა
ჩხუბში იმარჯვებს ყოველთვის ერთი,
იქნებ შევიკრათ და გავმთლიანდეთ
და ჩაერიოს ამაში ღმერთი.

ასეთი ქცევით თითოკაცობით
ჩვენ ჩვენ ქავეყანას დავასხით რეტი,
ქვეყანას ვანგრევთ, კი არ ვაშენებთ
რა გავაკეთეთ ამაზე მეტი?

## ნუგზარ ნადარაიას

ბატონო ნუგზარ მე მინდა
მოგიძღვნა ძმური სალამი,
ქვეყნად სიკეთის მთესველო
ავახმიანო კალამი.

მთელი ცხოვრების მანძილზე
კაცურ კაცობით იარე,
ბევრს დაუამე ტკივილი
და ძმობაც გაუზიარე.

სამოცდაათ წელს გილოცავ
რაც სიყვარულით გალიე.
დიდ წინაპრების ხსოვნისა
რომ სადღეგრძელოც დალიე.

მათ ხსოვნას გულით ატარებ,
როგორც ვაჟკაცის წესია.
ბევრს გაუღვიძე სურვილი,
რომ იყვეს უკეთესია.

ჩვენ ვერ დავითვლით ამ ქვეყნად
თუ სიკეთე გაქვს რამდენი.
ჩვენო ნუგზარ შენ იცოცხლე
კიდევ ორი ამდენი.

## შალვა იღურიძეს

მინდა რომ ლექსი მოგიძღვნა
ავახმიანო კალამი,
ძმობილო მინდა მოგწერო
დაუვიწყარი სალამი.

შენი ხმატკბილი ჰანგები,
გულს რომ უხარებს ყველასა,
ყველა მეგობარს უყვარხარ,
შენგან მოელის შველასა.

ბუნების ნაბოძები გაქვს
სიყვარული და კაცობა.
მრავალი მეგობარი გყავს
მეც მინდა მათი გაცნობა.

კაცები ბევრნი ვიქნებით,
ერთურთს მოვუტანთ შვებასა,
ღმერთიც ხელს წამოგვაშველებს,
დავიმსახურებთ ქებასა.





**მანანა ბრაჭული**

## სურათი

ტინს პიტალოზე უყვავის
მწვანე სიზმარი ღვიისა.
დაუმალია სურვილი,
გაუსროლელი ტყვიისა.
ნიავს მიჰყვება ქერჭრელი,
ქორი დაჰბრუნავს ქარაფებს,
ქართლს მეციხოვნედ დაადგა
მზე, ჩაფრენილი ქარკაპებს.

## მწვერვალებისკენ!

*ანა ყურშაშვილს*

ქვას ვეზიდები, მწვერვალებს
უხდება ციხე — ქალაქი,
ჯერ ვერ შავაბი ქვიშისას,
შავი სიკვდილის დანაპირს.
ჯიუტად ვკაწრავ ქარაფებს,
ქარებს ვეხვევი თანატოლს,
ავალ და ჰაერს ვაკოცებ,
გულს გავუხეთქავ „თანატოლს“.
სიყვარულისას ვიმღერებ,
სიკვდილის სუნთქვით დანატორს,
სიცოცხლეს დავეტოლები,
ჩემი მაცხოვრის დანატოვს!

## ხარების ვარდები

*ვანგელია ბორბოპულოსს*

ცისფერი ვარდები დაღლილან ვანგელია;
ლანდია სილურჯის ლარნაკში მკვნესარი,
ყოველი ხარება სველი წამწამია
ძველი ხალიდონის ღრუბელთა მკემსავი.
მარია — ნოემბრის მრწყინვალე არია —
შენი მირონი და ქარქარა შროშანი,
ჩვენი სიზმრები ხომ ყველა ამხდარია,
მარის ზმანებების ახდენის დროც არის. . .
ხანიის ხავერდი ცვდება რა ხანია,
მთვარეს და მზეს შორის ქვეყანა ცთომილი,
შენი ეგეოსი პონტოს დობილია,
ჩვენი დობილობაც ზღვის წყლებს მინდობილი...
ახლა, აგვისტოში, გრილი დამლევია,
იწვის ჰაერი და ფიქრის ნაგუბარი...
მთვარე, სამი დღისა, შუქის ნამლევია,
ლექსი ჩემია და ცრემლი ნაქურდალი...

## სულ ცოტა დარჩა. . .

უსაზღვრობაში, სივრცეთა იქით,
ვინ შეიბრალებს ამ სილამაზეს?!
დასასრულამდე სულ ცოტა დარჩათ
მღვრიე საღამო — იასამანებს...
მზიდან გავდივარ და სევდიანი
მიმაქვს სიზმარი მწვანე საროსი,
რომ დროის იქით მეძებოს ქარმა
ქრისტეს ცრემლი და სიტყვის სალოსი. . .

## აგვისტო

ცრემლი უბრწყინავს მტკვარს, მთვარის ხნისას,
ტურფა ზაფხულის მოაქვს ცხედარი,
გადაბუგული ტყეების ჯავრი,
გაავდრებული ჩემი მზედარი. . .
რა მიზეზია, ან რა მიზანი,
ღვთიურ მშვენების იავარქმნისა,
უშემოდგომოდ მკვდარი ფოთლების
და შეკვამლული დიამანტისა?!

როცა მირკანი კართან მოდგება,
ჰაერში იგრძნობს დამწვარ ჩიტის სუნს,
არავინ ჰკითხოს, არავინ მკითხოს,
არავინ გვკითხოს, ვისი სული გვსურს...
ბოლავს მამულის მიწა ბებერი,
დამწვარ ბუდეებს ნაცრით იფარავს,
დანაკვერჩხლებულ ფესვებს ჩაჰღმუის
და ვაჟკაცურად ცრემლებს იპარავს.

## მარინე!

ქარი აღელვებს ზღვას.
შენ ჩემს ცხოვრებას აღელვებ.
ჩემი არ გესმის რა,
წვიმა თუ ცრემლი მასველებს...

დროს მოლოდინი კლავს
დიდი სიმშვიდის? — არ ვიცი!
ქარი აღელვებს ზღვას,
შენ ჩემს ცხოვრებას აღელვებ!

## გაზაფხულდება

მალე გათბება მთა-ბარი, გაილღობს დამზრალ მკლავებსა,
მიწა ეყმობა ყოილთა, შუპყა-ველს, ქარი — ბანებსა,
სიმწვანე ყვირის, იფერებს ბორტყვი სიცოცხლის ძალებსა,
გაიცინებენ შინდები, თხილი აისხამს ლალებსა,
დეკიანებში სელშავი ააფახულებს თვალებსა,
ყაყაჩო — მთვრალი ხევსური — დაეწინდება თაველსა,
შოთხი-ბულბულთა საფარი — ჭყანტას მოუდებს ალებსა.
მღერიან, ცასთან მისულებს რეტი ესხმებათ დგნარებსა
ლოდს ჩაჭიქული იელი უხდება არე-მარესა.
რო ამღერდება იფანი, ცრემლი დაულბობს თვალებსა,
დიდება დამბადებელო, მღერით გიხდიან ვალებსა.





ზეინაბ ასისტიშვილი

## სამკაულად დამეკიდე

გულზე როცა სამკაულად დამეკიდე,
როცა გულმა სიახლოვე ნახა,
ამის მერე ტყვედ ვიქეცი უკვე,
ამისთანა ნეტავ მითხრა, რა ხარ?
ჩემი თავი დამავიწყდა უკვე,
შენ გაჩუქე მთელი ჩემი ძალა,
ბულბულივით მხოლოდ შენთვის ვმღერი.
მე, ხომ შენი სიხარული მკმარა.
ხეივნის ქვეშ ვისეირნოთ ერთად,
ანათებდეს სიყვარულით გული,
მაშინ კვდება ყველაფერი უცებ,
თუ გაქრება დიდი სიყვარული.

## ჩემს პირველ შვილს

(ალეკოს იგივე ლექსოს)

პირმშო როცა ჩაგიხუტე,
სამყარო მთლად შეიცვალა,
ამის მერე მე სიცოცხლე,
შენთვის მინდა ჩემთვის არა;
შენ ჩემი სიხარული ხარ,
მშობლების დიდი იმედი,
უცხოეთშიც შეგიყვარეს,
შენი კეთილი ფიქრებით
შრომაში ვერ დაგეწივნენ,
სიკეთის სხივსაც აფრქვევ,
მე ბედნიერი დედა ვარ,
ყველგან გაქებენ ქართველს.
მე ვარ ამაყი დედა,
ორივ კარგი ხართ შვილო,
არ შემარცხვინეთ არასდროს
არ გამიტეხეთ ძილი
მაგრამ ერთი მაქ დარდი,
შორსა ხარ ჩემო შვილო,
ისევე იყო ჩვენს გვერდში,
და ტკბილად გამიცინო.
შენ ერთი შვილი გახარებს,
შენთვის მზეა და მთვარე,
კარგი და კარგათ გყოლოდეთ,
შენ მისით გაიხარე.

## ჩემს დიას

ბედნიერი ვარ, სიცოცხლევ!
რადგან შენა ხარ ჩემი,
შენ ჩემი გულის სიმი ხარ,
ეს გულიც შენით მღერის.
სხვა ვერაფერი ვიპოვე,
ბედნიერება რაც არი,
ეს შენ ხარ ბედნიერება,
ჩემი სიკეთის მარცვალი:
ჩემი სიმდიდრე შენა ხარ,
შენა ხარ ჩემი იმედი,
ბედნიერების მწვერვალზე,
შენი სიკარგით მივედი.
მე შენი სხივი მანათებს,
ეს სხივია, რომ მათბობს,
შენით მე მუდამ ვამაყობ,
და სიყვარული მათრობს,
შენა ხარ, ჩემი იმედი,
შენა ხარ ლექსის წყარო,
მწვანით იარე, გამრავლდი
და ამით გავიხარო
— ქართველო ქალო!
სიყვარულით სავსე გაქვს გული,
ოჯახისთვის ხარ,
შენ, ძვირფასო დაბადებული.
ქართველი ქალის ღირსებას,
ვიცი რომ მუდამ ატარებ,
შვილებს: ზრდილობა, სიკეთე,
ეს შენ ასწავლე პატარებს.
შენი გიორგი და შოთა,
არის შენი თვალის ჩინი,
ნამდვილ ქართველ ვაჟკაცებად,
გაგეზარდოს ორივ შვილი.
ჩემი ლოცვა და უფლისა,
წყაროს წყალივით წმინდავ!
თუ რამ კარგია სიცოცხლევ!
მე, შენთვის გულით მინდა!
უფლით გქონდეს კურთხევა,
ქმარ–შვილს უყვარდე ძალიან,
სულ ბედნიერი იყავი.
შევთხოვ! ღვთისმშობელ მარიამს;

## შემოდგომა

შემოდგომა მოსულა,
დაწყებულა რთველი
ყველას გეპატიჟებათ,
კარგი მასპინძელი.
ქალაქიდან სტუმრები,
დიდიცა და პატარაც,
ყველა ბედნიერია,
შრომამ სულ არ დაღალა,
იკრიფება ყურძენი,
პატარების ხელებით,
აკვირვებენ ერთმანებს,
ეს, რამხელა მტევნები...
კახეთია გულუხვი,
ყველაფერი ბევრი,
ყურძენი დაიწურა,
ამოივსო ქვევრი.

მაჭარმა დუღილი იწყო,
დუღს დიდ ქვაბში თათარა,
ბედნიერი პატარები,
ამას რა სჯობს, აბა რა?
ჩქარა ხილის ხვავი ნახეთ,
გაუსინჯეთ ყველამ გემო,
ტკბილ თათარას, რა სჯობია,
აბა ნახე! ჩემო თემო.
თათარა ხომ ყველას გვინდა,
ჩავიტკბილოთ პირი.
ბებო ჩურჩხელებს გაგვივლებს.
დაიწყება ლხინი.
სუფრა უკვე გაიშალა.
შეიწვება მწვადი მალე,
მოდი ჩქარა, ჩემო ლევან!
შამფურიდან გააცალე.

შეხეთ ყველა აცეკვდა,
რა სჯობია ამას?
სიხარულის ცრემლები აქვს,
დედასა და მამას,
ბავშვებს წასვლა აღარ უნდათ,
ღამეც ტკბილად გაატარეს,
ზოგი ზღაპარს უყვება ძმას,
ზოგიც ლექს დაგვიწერს მალე.
ახლა წასვლა სულ არ გვინდა,
ნეტავ ერთად ვიყოთ ხვალე,
რა კარგია თქვენთან ყოფნა,
მასპინძელო გაიხარე,
შემოდგომას კიდევ გელით,
ზაფხულშიაც გაგვახარეთ
ჩვენო ტკბილო, პატარებო,
ბედნიერი გზით იარეთ!

## ჩემო ბებო, ჩემო პაპა

პატარა ვარ, მაგრამ ვიცი,
დავაშავე როცა რამე,
მაგრამ ყველაფერს გვპატიობ,
ჩემო ბებოვ გენაცვალე;
დედას, მამას აწყენინებს,
ნუ დატუქსეთ ჩემი ბავშვი,
გაიზრდება, შეიცვლება,
ჭკუა გაეზრდება თავში.
ჩვენც ეს გვინდა გვიხარია,
რომ ქომაგი არის სახლში,

კარგად ვხვდებით რომ ვტყუივართ,
მაგრამ ნუ გაგვაგდებთ კარში
ბოდიშს გიხდით გვაპატიეთ,
ცელქი არის ყველა ბავშვი,
გავიზრდებით, გაგახარებთ;
არ ვიქნებით ცუდი გვარში.
ჩემო ბებო, ჩემო პაპა
თეთრი გაგიჩინეთ თმაში,
მაგრამ, ვიცით, ჩვენზე მეტად,
არ ვინ გიყვართ ცხოვრებაში.



**ლამარა ასისტიშვილი-ჯამასპიშვილი**

*(ვუძღვნი პატარა ლილე ტაბატაძეს*
*ჩემი თანაკლასელის შვილს)*

## ლილე

„თბილისში“ შევხვდით პირველად...
მაშინვე გამიღიმე
მრავალ ბავშვებში, მხოლოდ
შენ შეგამჩნიე ლილე.
გაგესაუბრე პატარავ,
გვარიც, სახელიც გკითხე.
რომ მიპასუხე კითხვაზე,
მაშინვე ისა გკითხე...
— თემურის შვილიშვილი ხარ?
ტაბატაძეო, რომ სთქვი.
დიახო, შენმა დედიკომ
პასუხი გამცა სიტყვით...
... შენ გამახსენე ბავშვობა,
... განვლილი სკოლის წლები,
მონატრებული დები და,
მონატრებული ძმები.
ქეთინო, ლალი, ნანი,
თემური, გივი, სხვებიც...
ღმერთმა დაგლოცოს პატარავ!
ნაზო, ფერია ლილე!,
შენი ბავშვობაც და მომავალიც,
დალოცვილ იქნეს ლილე!

* * *

*ვუძღვნი ყვარელის რ-ნის, სოფ. ახალსოფლის, 1-ლი*
*საშუალო სკოლის 1970-71 წლის*
*კურსდამთავრებულებს,*
*ვუძღვნი ჩემს მონატრებულ თანაკლასელებს*

ჩემო დებო; ჩემო ძმებო!
ჩემო თანაკლასელებო!...
წმინდა გულით დაგლოცავთ და,
ვნატრობ, თქვენთან ყოფნა მერგოს...
ის ბავშვობის სკოლის წლები,
ისე სწრაფად გაგვიფრინდა,
მოხედვაც ვერ მოვასწარით,
ისე დავფრთხილდით ყველა...
ზოგს მიზანი შეუსრულდა,
ზოგს სჭირდება ღმერთის შველა...
არასოდეს დავივიწყოთ,
რომ ვიყავით, ჩვენ ერთ კლასში.
შატალოზეც დავდიოდით,
ჟრიამულიც გვქონდა კლასში...
ყველა ერთნაირი არ ვართ.
ზოგი მეტად წყნარი არის.
ზოგიც მეტად მხიარული,
ეს ხომ ღმერთის ნებით არის.
ღმერთმა როგორიც დაგვბადა,
ისეთები გვსურდეს ყველა,
უფლის ნებით, გაიხარეთ,
გქონდეთ მუდამ უფლის რწმენა.
თქვენს ნაბიჯებს, თქვენს ცხოვრებას,
ღმერთი მუდამ მფარველობდეს,
ნიღბიანი ნუ ვიქნებით,
რაც გულში გვაქვს, მას ვამბობდეთ!...
ერთი თხოვნა შემისრულეთ,
როცა თქვენ შეიკრიბებით,
სურვილი მაქვს თქვენთან ყოფნის,
მსურს გიხილოთ კლასელები.
დამირეკეთ, მომიკითხეთ,
მეც გავჩნდები თქვენთან წამში,
იმ ბავშვურ წლებს მივსტირი და,
მენატრებით ყველა ბავშვი.
ჩვენ დავბერდით, მაგრამ გული,
ზოგჯერ ისევ ბავშვური გვაქვს...
იმ ბავშვური მონატრებით,
დაგლოცავთ და გეფერებით...

## „ჩვენ ცოდვილნი ვართ ყველა...“

ანგელოზები არავინ არ ვართ,
ცოდვა ყველას გვაქვს ალბათ ჩადენილი,
უცოდველი მხოლოდ მაღლა ღმერთია,
და უცოდველი არის კიდევ, ახლადშობილი.

მათ სულს, ჩვენ ვკვებავთ, მათ სულს ჩვენა ვზრდით,
და როგორც ვზრდით, დამეთანხმებით, ისე იზრდებიან...
მე გთხოვთ სუყველას, გავზარდოთ ისინი მსგავსად
ანგელოზის,
ეს ჩვენი ვალია, და ჩვენი ხვედრია...

პატარა ცოდვები ყველას გაგვაჩნია,
ნებით თუ უნებურად არ ვიცი,
მაგრამ გთხოვთ, დიდ ცოდვას ნუ ჩავიდენთ,
მიტევება გვქონდეს, ერთმანეთის.

ანგელოზებად იბადებიან, და გავუფრთხილდეთ
პატარებს ყველას...
ეშმაკის სულს გულში ნუ ჩავუსახლებთ,
სიკეთე, სიყვარული, მივუძღვნათ ყველამ.

სიყვარული და სიკეთე თუ არ გაგვაჩნია,
თუ ერთმანეთის მიტევება არ შეგვიძლიან,
მაშინ ნუ ვითხოვთ ღმერთისგან შველას.

ანგელოზებად იბადებიან, და გთხოვთ
გავზარდოთ ანგელოზებად ისინი ყველამ.

## „ვის უნდა ვენდოთ ნეტავ?...“

გულზე დამადგა მძიმე ნაბიჯები,
ჩემმა საყვარელმა ხალხმა,
ვისაც ვენდობოდი, ვინც ძლიერ მიყვარდა,
ვისიც მჯეროდა და მწამდა...

მაგრამ ეს რწმენა დამაკარგვინეს,
გული დამისერეს დანით.
ცრემლების მორევში, დამიხრჩვეს გული,
ღამის ვეღარ ვსტირი, ღამის...

ეჭვიანი არასდროს არ ვიყავ,
ახლა მეც არ ვიცი, რა ვარ.
დარდი არ ვიცოდი, რა იყო ამ ქვეყნად,
ახლა დარდიანი დავალ...

ვფიქრობდი, ქვეყნად ვერავინ მოგვერევა,
მეგონა ვიყავით ერთად.
გული გამიძარცვეს, უგულო ხალხმა,
დავრჩი, ეულივით კენტად.

შენი რომ გღალატობს, არაფრად არ გინდობს,
გულს ის გტკენს ყველაზე მეტად,
ვფიქრობ და მაინც პასუხს ვერ ვპოულობ,
ვის უნდა ვენდოთ ნეტავ?!...



**ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილისა**

## მშობლიურ ჭალებს

შენ ჭალებში ხეტიალი მინდა,
მომენატრა სიჭაბუკის წლები,
მაშინ იყო ოცნებები წმინდა,
წმინდა იყო კლდის ნაკური წყლები.
გავცურავდით ნაპირიდან ნაპირს,
ქვახვრელის და უფლისციხის ჭალებს,
შატალოზე გაპარული კლასი
ვესეოდით სანაპიროს ბაღებს.
ავირბენდით საცალფეხო ბილიკს
და კისკისით ვაყრუებდით ექოს.
ტიტებისგან დავიწნავდით გვირგვინს
დავლაშქრავდით კლდე–ქვაბულის ბექობს.
ჩემში კვლავაც სილამაზე ცოცხლობს
და ბავშვობაც ჩემში ისევ მეფობს.
ოცნებებში გადავთქერავ ჭალებს
და ეს გრძნობა ყველაფერზე მეფობს.
შენს ჭალებში ხეტიალი მინდა,
ჭილის სუნი სურნელებას აფრქვევს,
მე ტიტების მოლზე ისევ დავალ
ეშხით მთვრალი ჩამოვირბენ თავქვეს.

18.02.2013 წ.

*ყველაზე ძვირფასი ადამიანი ჩვენი ცხოვრების,*
*ამ ლექსის დაწერის დროს დედა ამ ქვეყნას*
*იყო და მე ისევ პატარა მეგონა თავი.*

## დედას

მე დედა ვარ,
 დედაშვილზე მეოცნებე, —
დედის შვილი,
 ფიქრით სახედადარული.
მე დედა ვარ,
 მძიმე ტვირთშეჭიდებული
დედის შვილი,
 ცრემლით თვალებდაფარული.
მე დედა ვარ,
 თმაში შეჭაღარებული —
დედის შვილი
 დილის ნამით დაცვარული.
ლანდი – ლანდებს
 გაცვლილი და გაძარცვული;
დარდი – დარდით
 ცუდის კარგად დამნახავი,
ფიქრი – ფიქრით
 მეოცნებე, მეცრხოვნე;
ოცნებებში? ...
 შვილის ჭიშკრის მეცრხოვნე.
მე დედა ვარ,
 ისევ შვილის საწყისებში,
ისევ შვილი
 დედის გულის მეინახე,
ამ პატარა ოკეანეს
 ხელში ვიტევ,
მის ფსკერზე კი,
 ბევრი დარდი შევინახე

## ჩემს ბაღნარში

ჩემს ბაღნარში გაპენტილხართ მშვიდად
და ეზო-კარს სურნელებით ავსებთ,
თქვენი მზერა ჩემს სამზერელს ხიბლავს,
ჩემი ენა თქვენზე ამბობს ლექსებს.
უდროო დროს ნუ დამიკრეფთ ხელებს,
იცოცხლეთ და მეც მაცოცხლეთ ერთ დროს,
რომ მოვკვდები, მომეფინეთ მშვიდად,
დამებნიეთ ჩემს სამარის ერდოს.
ყვავილებო, გამიღიმეთ წყნარად,
გაანელეთ ჩემი გულის ცეცხლი,
მზის სხივებზე ოქროსავით ბრწყინავთ,
საღამოს კი სიმბოლო ხართ ვერცხლის.
მინდვრად კონებს გვირგვინებად დავწნავ,
ის სურნელი, თქვენს სურნელს რომ ერთვის,
ჩემი ბაღის ყვავილების კდემას
სხვა ედემის სურნელება ვერ ცვლის.

30.07.2013 წ.

## მე ვცხოვრობ ყველგან

*მე სულით ძლიერი ქართველი ვარ და ვცხოვრობ მთელს საქართველოში*

მე ვცხოვრობ ყველგან — ბათუმში, ფოთში,
მე ვცხოვრობ ყველგან — წაღვერში, ხონში,
მე ვცხოვრობ ყველგან — თელავში, ონში,
მე ვცხოვრობ ყველგან — შატილში, ფხოვში,
მე ვცხოვრობ ყველგან — ხულოში, გორში,
მე ვცხოვრობ ყველგან მარხვით და ლოცვით,
ვარ მოქალაქე ჩემი ქართულის,
ვარ სიკეთეში სულით ჩარგული
და მხოლოდ ლოცვით ფიქრში გართული,
მე ვცხოვრობ ყველგან ჩემი ქართულით.
განა რა ძნელი მისახვედრია,
ქართული ჰანგი მსურდეს ბევრია?!
და ეს ტკივილიც ჩვენი ხვედრია.
უგუნურისთვის მზეც კი ბნელია.
მე ვცხოვრობ ყველგან: ჰერეთშიც, ქართლშიც,
კახეთისა და სვანეთის მთებში,
გურიას, სამცხეს, თიანეთს, ხევში,
ხევსურეთსა და სამეგრელოში,
რაჭის ჭიუხში, აჭარის მთებში,
ჯავახეთსა და აფსუას გზებში,
სამაჩაბლოში, ჩვენს ტკბილ წალკოტში
და მაინც ქართლში, მე ვცხოვრობ გორში.
მე ვცხოვრობ ყველგან ჩემი ქართულით,
ბარში და მთაში შრომით ჩართული,
ქვეყნის მომავლის ფიქრში გართული,
მე ვცხოვრობ ყველგან მხოლოდ ქართულით.
უფალთან ფიქრით, ლოცვით გართული
ვითხოვ დაგლეჯილ მკერდში ჩაკრული
შემოაცალოს ეკლის მავთული,
გაამთლიანოს მიწა ქართული.
მე ვცხოვრობ ყველგან, სოხუმში, გალში,
ახალ ათონში გავდივარ ფონში,
ახალგორიდან ვბრუნდები გორში,
მე ვცხოვრობ ყველგან საქართველოში,
კასპში და გორში, რკონში და თხოთში,
ბათუმში, ონში, ბორჯომში, წრომში, თელავში, ხონში,
მე ვცხოვრობ თქვენში, გულში ქართველის,
თბილისში ხარ თუ სოხუმს წახვედი.
იქ, სადაც ყვავის ჩვენი მთა-ველი.
და მაინც ყველგან ვცხოვრობ ქართულით,
ვარ სიკეთეში სულით ჩართული
და მე ქართლისთვის ლოცვით გართული,
მე ვცხოვრობ ყველგან ჩემი ქართულით.

7.05.2015 წ.



გერონტი მესხი

## საქორწინო სადღეგრძელო

*(ვუძღვნი ია და დათო პაპიძეების ჯვრისწერას)*

თქვენ,
ჩემო ქართველებო,
მოდგმით — საჯიშენო:
მირიან,
გიორგი,
ირაკლი,
დავით!
ოცნების საქართველო
უნდა ამიშენოთ,
ლოცვად გადაგებულ
გულით და თავით.
მხრებზე გვემსხვრეოდა
ათასი ქარტეხილი,
ნუგეშს არ ვპოვებდით
ოხვრით და ვიშით
ვერასდროს ვერ გვიხილეს
რწმენაგატეხილი,—
ჩვენ ხომ დარდის მოკვლაც
სიმღერით ვიცით.
ზღვა გულთა კავშირები
და მეტად გამრავლება,
ოჯახის სიმტკიცე,
სიმტკიცე—ფიცის.
ხშირად დავუშლივართ
მტერს მარტივ მამრავლებად,
მაინც ვერ აღგვგავეს
პირისგან მიწის.

მეტი ქორწილები
ვისთვის ლახვარია,
ვისთვის გადარჩენის მაგვარი რამე.
განთიადს ველოდებით
ხედავთ,
რა ხანია,
ძალზე გაგვიგრძელდა აშარი ღამე.
მწამს, ჩვენი ერთმორწმუნეც
მალე განათლდება,
მჯერა,
მოარჯულებს რუსს უფლის კვერთხი.
ჩემი საქართველო
უცილოდ განათდება
ციური ნათელით
ღვთისმშობლის
ფერხთით.
დრო აღარც კი გვიტოვებს
ქართველებს არჩევანს,
მტერი ჯიქურ გვიტევს,
აელვებს ფარ-ხმალს...
ამდენ ხანს რომ არ ფიქრობ
შვილების გაჩენას,
ვინ ხარ,
მარტოსულო,
ქართველი არ ხარ?
გვინდა კი სამშობლო
არ ერქვას რაჭას, სვანეთს,

სხვა ფერი დაჰკრავდეს
რიონს და ხრამულს?
ეულად რომ დახვალ,
გონს ძალა დაატანე,
ნუ ართმევ მომავალს
ქვეყანას,
მამულს.
წარსულში ფესვგადგმული
უთუოდ სჭირდება
აწმყოს და მყობადს
ბებიაც, ბაბუც.
მაგრამ ჩვენს გადარჩენას
და ხვალის დიდებას–
შვილების გაჩენას ახსენით ტაბუ!
გამრავლდით,
იხარეთ ერისთვის
ია–დავით,
ირინა–მირიან,
ზეზვა და
მზია!
მოედვეთ ქვეყანას ვარდსა და
იასავით,
გისურვებთ
მომავალს
ნათელს და
მზიანს.

2009 წ.

## ნეზართვა

სამყარო დიოდა...
ბიჭს ფიქრი სტკიოდა...
მის წინ მიდიოდა
ქალი და, როგორი ქალი!
ყელყელა, ყირმიზა,
სისხარტე — ირმისა,
იმედი დილისა,
არ ეშორებოდა თვალი.
ვარსკვლავებს ცით კრეფდა,
მიჰქონდათ ფიქრებს და
თან ბიჭსაც ითრევდა
რაღაც ანდამატის ძალით.
მიმოხვრით ართობდა,
სურნელით ათრობდა,
და მზერით ათბობდა,
სხივს ტოლს არ უდებდა ქალი.

ამდენს რომ ქურდობდა
ვნებების ურდოდან,
ბიჭს გაცლაც უნდოდა —
ქალს შემოეგება ქმარი.
კაცმა რაც შენიშნა,
ჩანს, ცუდად ენიშნა,
ბიჭს მისცა შენიშვნა:
უნდა გადინოო ძმარი!
ბიჭმა თქვა — მოდი და
გამოვყვეთ ოდითგან:
მითხარი, როდიდან
არ ძალმიძს მშვენებით ტკბობა?
თუ ფიქრს ემძლავრება
და გონს ეძალება,
არც თვალს ეკრძალება
შევლება და ხილვით თრობა.

შენ თავს გდის ნაყოფი
ცის წიაღს ნამყოფი,და თავზე
სამყოფი...
ჩანს მხოლოდ ნაჭარბი ვნება.
შენ, ძმაო, რა მოგდის,
თუ ვაშლებს სამოთხის
ვერ შევჭამ, გამოდის,
არცა მაქვს შეხედვის ნება?
ქმარი ჯერ გაოცდა,
და, მერე, საოცრად
ნაზად ქალს აკოცა
გრძნობით ამაყით და წმინდა...
გზას კოცნით გაუყვა,
ბიჭს გრძნობა ჩაუკლა
და თვალი ჩაუკრა:
გვიყურე, რამდენიც გინდა!..

2011 წ.

## გამრავლება ცხრა ძმამდე

*(ფუძლვნი ნიკა პაპაშვილის და ელენე ბიბილურის ქორწინებას)*

პატარძალი
მოტაცებულს
არ ჰგავს სულ,
თქვენი ყრმობა თითქოს ერთად დადისო.
გისურვებდით ბევრს და
საზღვარსგადასულ
სიყვარულს და
ყოფნას სამარადისოდ.
გუშინ იყო წმიდა მარიამობა–
თქვენც ხვთისმშობლის წმიდა კალთა გფარავდეთ!
ერს სჭირდება ბოკვერების მამობა
და აღჭურვა
ხმლიდან–
დამცავ ფარამდე.
ხელთუქმნელი
შებრძანდება
ანჩისხატს
დღეს და
ლოცვა კვლავ ვთქვათ ციურ მამისა.
საქართველო
ომს და ვარამს გადიტანს,
ეს ქორწილიც სიმბოლოა ამისა.
ლოცვად დავდგეთ
ქვეყნად
ყველა ქართველნი,
თითქოს ვწვდებით უკვე აიაზმამდე...
ჯიშს შემატეთ
ორბ–არწივის მართვენი,–
გამრავლება,
გამრავლება–ცხრა ძმამდე!

2009წ.



**ხათუნა ჩიტაძე**

## ავტოპორტრეტი

მხრებს მინდვრის შალი მიმშვენებს,
ოჯახს სითბო და შვილები,
ღმერთი როგორ არ მიშველის
მისთვის ვიწვი და ვილევი.
წლები მძივად მაქვს ასხმული,
გულს მფარველი ჰყავს, რჩეული,
მადლობელი ვარ განგების,
ცხოვრებით გამორჩეულით!
რითმა მეტრფის და ფერებით
სულ ზეცამდე ვაფრინე,
ცას ვხვდები, დაუღალავი,
ამიხდა, რაც კი ვინატრე,
ტყე გადავლახე, უღრანი,
და მზესთან ერთდ ვინათე!
ჩემი ფესვები მყარია
რჩეული მამა-პაპანით,
ეს მე ვარ, ქართლის ქალია
აწ უქრობელი ლამპარი!
17 იანვარი, 2017 წ.

***

წვიმას ჩემი სურვილები მოაქვს,
მოლოდინი კარებს ისევ მიმტვრევს,
იცი, წვიმას შენი სუნი რომ აქვს,
ცა მიქარვებს გადაქცეულ იმედს!
წვიმას ჩემი ფიქრი უყვარს... უყვარს!..
ხელებს ვუშვერ და ვიშუშებ ტკივილს!
ჩუმად ვხატავ ისევ ნაცნობ სურათს,
ფეხს აიდგამს და უთუოდ ითვლის!
წვიმა მღერის ისევ ნაცნობ სტროფებს,
მეჩვენება გაცვეთილი, ძველი...
ვინ მომიტანს ჩემი სულის მოლბერტს,,
ხელგაწვდილი გრძნობა სველი, მწველი!
...წვიმას შენი სურნელებაც მოაქვს!..
11 მარტი, 2017 წ.

***

არ ვუშინდებით წლებს, გადაფრენილს,
არც მომავალი გვაფრთხობს და გვსუსხავს,
რადგან სულ გვახსოვს ჩვენ ჩვენი ვალი,
გზადაგზა ვკრეფთ და ვარიგებთ ნუგბარს!
წლების გალავნებს ემსგავსებიან,
შევდუღებულვართ რადგან, რაოდენ,
ამ გრძნობას ვითომ გვეცილებიან,
მათი ქმედება მძულს, ან მაოცებს!
ჩვენ კი...
ჩვენს შარას ნელი-ნელ მივალთ,
ჩვენ კი ბევრი გვაქვს სიტკბო და მეტი,
ო, ეს შვილები, მჭვირვალი მინა!
გადასახედი წარსულის ხედით!
როცა თვალებით სახლში შემოსულს
დამეძებ, და მეც იგივეს ვხედავ...
ახალ ძნელია ამის შემოსვა
ლექსში! — ამას ხომ უფალი ხედავს...
ისევ მიყვარხარ!
თუმცა უფალმა
ბევრჯერ დახურა სავალი გზები,
ალბათ, იმიტომ უნდა გვეწამა.
რომ დაგვეთესა მომავლის კვლები!
წლების ქარავანს მივყვებით რწმენით,
უფალი ჩვენში ჰგიებს და სახლობს!
და ახლა ვხვდებით...
ჰო! — ახლა ვხვდებით
მხოლოდ ჩვენა ვართ
ერთნი და...
ასლი!...

20 აგვისტო, 2017 წ.

## მთებიდან

ჭრილობიდან თუ იზრდება ია,
ამ იას უკვე იმედი ჰქვია...
გულს თუ აღარ ჰყავს ორგული ჭია,
სულიც ხომ მზეა...
და ფიქრშიც მზეა...
ავი ფიქრები თუ მიაქვს ნიავს,
ამ ნიავს სულის სიმშვიდე ჰქვია...
ხელისგულს მაზის მცინარა ია,
და ღამე — დღეა...
და მთვარეც — მზეა...

ჭრილობიდან კი იზრდება ია!
მთაში ვარ!
ამ მთებს აღდგომა ჰქვია!

26 აგვისტო, 2017 წ.

## მე ვარ ქალი!

მე ვარ ქალი!
ამომსკდარი
მიწის ცხელი გულ-მკერდიდან?
ანდა სულაც
სულის ქნარი
უზენაესი სიტყვიდან!
მე ვარ ქალი,
ტრფობის ქნარი,
მზე სისხამზე თმებს მიწნის და...
ვარ შლეგი და
თან ვარ მდარი
გამოთლილი ამ მიწიდან!
ისევ ლაღი...
ისევ მღერი,
გაზაფხულიც ისევ მეტრფის,
ისევ თალხი!
ისევ ჭრელი,
არც რა მინდა ამის მეტი?
ისევ ცისკრის ვარსკვლავს ვუმზერ,
ისევ მჯერა საოცრების,
ისევ მზის სხივს ლაწვებს ვუშვერ
და არასდროს გაოცდებით,
თუ ყვავილებს ლექსს დავუწერ,
თუ იმედებს დავიმღერი,
თუ თვალებით ლოცვას ვუკმევ
მტერს!
    და ამით არ ვიცლები!
... და რამდენი საოცარი
იცით, რატომ?
    მე ვარ ქალი!
ცხელ მიწიდან ამომსკდარი,
შავი არა,
თეთრი  ბწკარი
მე ვარ ქალი...
ანდა სულაც
ერთი სუსტი ბიკილ-ღერო
იქნებ გესმა
ანდა სულ არ
ეს ზღაპარი დაიჯერო...
და უბრალოდ,
მე ვარ ქალი...
არც რა მინდა ამის მეტი?
სიყვარული!
საოცარი!
ეს სულ თქვენთვის გავიმეტე!

8 მარტი, 2017 წ.

## მონატრება

მომენატრე!
უცნაურად,
სევდიანად...
მომენატრა
შენი თვალის გულისფერი,
მომენატრე
მთლიანად და ერთიანად!
ამ დარდების უდაბნოში როგორ გელი...
მომენატრე...
რა ღირსი ხარ! — მაგრამ, მაინც...
ცის თაღებზე სურვილები,
სულის მშვენი
იღიმიან,
გიღიმიან,
გვიღიმიან!
მომენატრე!
მზისფერის
და ნაცრისფერი...
მომენატრა შენი სულის სიჩუმეში,
რომ ბობოქრობს აშვებული,
მზერა, მწველი...
მომენატრე!
მომავლიდან გადმოსული
მე, წარსულის აჩრდილი ვარ,
გაუშლელი...
გრძნობის საზღვრებს,
ალბათ, უკვე გადაველი,
სულის საზღვრებს
ვერ უშველის მხოლოდ დარდი,
გავიქეცი...
მაგრამ მაინც ვერ წაველი...
და დამიგო ბედისწერამ ასე, ფანდი...
მომენატრე...
კი, გაივლის,
მაგრამ როდის?!
მოდის!
ჩემი ზაფხულის ცა,
შენით მოდის!
... მენატრები...

19 მარტი, 2017 წ.

## როცა...

როცა  უპეებში გააკავებ ტკივილს,
როცა წამწამებში კვდება ვნება,
როცა ტკივილებით, ეს გუგები კივის,
როცა ვარდისფერი  თვალთახედვა ქრება,
როცა ნაცრისფერი ხდება ახლო,
როცა ყველაფერი აირევა თვალში,
როცა დასაგმობი უნდა დაგმო,
როცა სურვილები  დაგაქვს ქარში...
როცა შენ აღარ ხარ ის, რაც იყავ!
როცა შენ აღარ ხარ ისევ ბავშვი!
როცა მიაღწიე, თითქოს, მიზანს,
ეს მიზანიც ფრთებს უხეშად გაშლის...
...მაშინ მოვა შენი შვილი, ძირი...
შენი უცოდველი, თეთრი ბავშვი,
 და დაგკიდებს გულზე მძივებს,
თავის ხელით აბმულს და გაშლილს!
როცა აღარ გტკივა მკვდარი გული!
მაშინ დააყუჩებ ვნებებს,
შენს გვერდით დგას გარეული
და გაუწვდი გაციებულ ხელებს!
მაშინ დედამიწა ფეთქავს, ფეთქავს...
მაშინ ერთგულებაც აღარ გტოვებს
მაშინ ყველაფერი მიაქვს ერთ წამს
იმ ადრეულ წარსულს გააყოლებ...
მაშინ დგახარ, როგორც ღმერთი!
მაშინ არ არსებობს ჯიში!
როცა შენი შვილი მოდის,
მოდის ჭირშია თუ ლხინში!
მაშინ არ არსებობს კვნესა!
მაშინ ვეღარ ხედავ დამღას,
მაშინ აღარ გიწევს კემსვა...
როგორ მოწყალეა ღმერთი
ოჯახს დედაბოძი იცავს...
მე აღარ ვარ, ღმერთო, ერთი!
შენს გზას არ ავცდები, ვფიცავ!
გულს მიმშვენებს ჩემი შვილის
აბმულ-გაწყობილი მძივი,
იცით? ლხინი, — ზოგჯერ ჭირი,
ჭირი — არის ზოგჯერ ლხინი...

...როცა უპეებში ვერ ვაკავებ სევდა.

7 აგვისტო, 2017 წ.



მანანა ზაზიკაშვილი

## სად ჩავსახლდები

ჩემი მშფოთვარე სული
სად ჩასახლდება ნეტავ,
ისიც თუ მარტო იქნება,
ჩემსავით ივლის კენტად?!
ცხოვრება რთული ყოფილა,
ვითვლი წამებს და წუთებს,

ლექსები მიყვარს ძალიან,
წიგნებს ღამეებს ვუთევ.
ყველაფრის მოსწრება მინდა,
არაფერს ვტოვებ უთქმელს,
სად დავასრულებ ნეტავი,
სიცოცხლის ბოლო წუთებს?!

## ქუდზე კაცი

მზემ სხივებით ბორჯომს
ცეცხლი წაუკიდა,
აბა, ჩქარა, ბორჯომელებს
ვუშველოთ,
ხომ იცით, რომ
ძმა ძმისთვის არს გაჩენილი,
შენც იჩქარე,
რას გავხდებით უშენოდ!
ქუდზე კაცი,
გამოვიდეთ ყველა ერთად,
დავამარცხოთ, გველეშაპი
ხანძარი,
ბორჯომი ხომ ყველას
გულის მალამოა,
ჩემი ფიქრიც ბორჯომისკენ დავძარი.
სახანძროებს, შვეულმფრენიც მივაშველოთ,
გული სევდით ლამის დამინახშირდა,
დედაღვთისსა ხომ არ არის დღეს
გამწყრალი,
ეს ხანძრები ასე როგორ გახშირდა?!

## ქვაც მიყვარს ჩემი მამულის

მიყვარს ირმები მყვირალა,
ბარში მათი რქის ჯახანი,
თბილისი სუფთა, კრიალა,
სახლები ახალ-ახალი.
ფშავლების მოდგმა, ხევსურთა
სახლიც და ნასახლარებიც,
სვანეთის მთანი მაღალი,
მტრისთვის ვერ მისაკარები.
ღვინო კახური, ქვიშხეთის
ცოცხალ-ცოცხალი ტარანი,
ცოლიკაურის მაჭრითა
აბორგებული მარანი.
მე მიყვარს ჩემი თბილისი,
ჩემი ჭალა და ხაშური,
იცოცხლეთ საქმე ბევრი მაქვს
მოსასწრები და საშური.
მე მიყვარს ხალხი ხმათაფლა,
მუდამ გამტანი ლელოსი,
ქვაც მიყვარს ჩემი მამულის,
მზეც მიყვარს საქართველოსი.

## კარგი მითხარით რამე

არ მაქვს რადიო, ტელევიზორი,
გამოვეთიშე ყველას,
ლექსების გუდა წამოვიკიდე,
არც არავის ვთხოვ შველას.
კინოფილმებიც აღარ მადარდებს,
არც გაზეთებზე ფიქრი,
ყურს აღარ ვუგდებ ცხელ-ცხელ
ამბებს და
დრო უფრო სწრაფად მიჰქრის.
ვინ ვინ მოკლა და
ვინ ვინ აკუწა,
აღარ მიშფოთებს ღამეს,
ტყუილ-მართალი სულ ამერია...
კარგი მითხარით რამე!!!

## დაგჭირდებათ ილეთი

თქვენ გინახავთ ცხრა ძმის ქუჩა?
იქვე-სამურზაყანო,
თუ წვიმაში მოხვდით აქა,
ფარ-ხმალი არ დაყაროთ!
თან ატარეთ წვიმის ჩექმა,
დაგჭირდებათ ილეთი,
მთელი ქუჩა წყალს მიაქვს და
ხალხი ტოპავს მილეთი...



ნიკო ბაღაშვილი

## ცხოვრება თითქოს ქარიშხალია

ქარმა მოსტაცა ჭადარს
ფოთოლი
და თავის სევდა
გამოატანა,
ნუ მსაყვედურობ,
გთხოვ დამარიგო,
ნუ მსაყვედურობ,
ნუღარ დამტანჯავ!
ჭადრის ფოთოლი
შორს გადაფრინდა,
ქარმა წაიღო,
სად არ ატარა,
შეშინებული,
გაყვითლებული,
დაფარფატებდა
მინდვრად პატარა.
მეც ფოთოლივით,
სად არ ვეხეტე,
სად არ ვეგდე და
სად არ ვივიშვე,
კარგ სამსახურში
ვეძებდი ადგილს,
კარგ სამსახურში?!
მე ვინ შემიშვებს?!
ცხოვრება თითქოს
ქარიშხალია,
კაცურ კაცს ებრძვის,
ვიცი, ნიადაგ,
კვლავ რეჟისორის
ამპლუაში ვარ,
კვლავ ხალხში ვეძებ
ისევ ნიადაგს.

## აღტაცებული დავალ ამ ქვეყნად

აქ სხვანაირად ფრთამალობს ქარი,
აქ სხვანაირად არის ცხოვრება,
ატენის მზე და ატენის მთვარე,
მე სამუდამოდ მემახსოვრება.
გაყინულ სულში ვგრძნობ სისადავეს,
აქ ფორიაქობს წლები ბავშვობის,
ადრე თუ დედა მიკრავდა გულში,
იმ ბავშვურ დღეებს უკვე დავშორდი.
ახლა სხვა ქალი თავზე მევლება,
სურს დამავიწყოს ჩემი დარდები,
მოაქვს სინაზე და ერთგულება,
მეც დავუფინე გზაზე ვარდები.
დავალ თეთრ რაშზე ამხედრებული,
ახლოდან მესმის ზარების რეკვა,
ერთი ბატკანი ბღავილით დამდევს,
აღტაცებული დავალ ამ ქვეყნად...

## ფიქრი მაცალეთ

ფიქრში გავლიე წუთისოფელი,
მზეს გავატანე
ჩემი იარა,
გულში რომ დამცეს
ბერდანის ტყვია,
სისხლმა ღელემდე
ცრემლად იარა.
ამოვთქვამ დარდით
ჩემს გულის
ნადებს,
ფრთამალი აზრი
არაქათს მაცლის,
თქვენ არ გეგონოთ,
განწირული ვარ,
ჩემს წილ სიმწარეს,
ბოლომდე დავცლი!!!
უენო ხარი
დავრჩები ქვეყნად,
კარგი ცხოვრება
მე თქვენ გაცალეთ,
გზაზე დაგიფენთ
ეკალს და ვარდსაც,
ოღონდაც, ახლა
ფიქრი მაცალეთ!!!



ლეილა გაფრინდაშვილი

## წვიმა

ეხეთქება წვიმა ფანჯრის მინას
არ მასვენებს , ყურადღებას ითხოვს,
თქაშა–თქუშით მომდინარე წყალმა
სევდის კვალი ჩამორეცხა თითქოს.
ცის გამგებელს ხელთ ეჭირა კოკა
გამეტებით, რა გიჟურად წვიმდა,
დარდის კონა გამომტაცა წყალმა
გული შემრჩა ანკარა და წმინდა.
გადაიღო, ცისკენ გარბის თვალი,
მხიარული, ლოცვით, პირჯვრის წერით
მადლიერი, ფეხის წვერზე ვიწევ,
იქნებ, უფლის სახლს შევეხო ხელით.

## მე ჯარისკაცი ვარ!

მე ჯარისკაცი ვარ!
მამაცი რაინდი, მაცვია ფარაჯა,
დიდგულა ქართველი
სამშობლოს სიმშვიდეს ვუდგევარ დარაჯად!
ჩემი გულის ძგერა
მამულის კუთვნილი ჰიმნია, მჭექარე,
მტრისდა შესამუსრად
მკლავში ძალა მერჩის,
დუღს სისხლი მჩქეფარებს.
მე სააკაძე ვარ, ვარ ანწუხელიძე, ვარ მღვდელი თევდორე,
წარსულის, აწმყოსი, მომავალ ეპოქის ვარ თანამედროვე.
მოძმეთა დაღვრილი სისხლი პასუხს ითხოვს,
მდაგავს და მაწვალებს,
სიცოცხლე მკარნახობს:
„პასუხის პასუხად სიკვდილი მაცადეთ“
რიგითი მებრძოლის,
მამაცი რაინდის მაცვია ფარაჯა
ქალი მეომარი,
სამშობლოს სიმშვიდეს ვუდგევარ დარაჯად!

## რას გაუგებ ნეტავ?

ვირტუალურ სამყაროში
ქოხი ავაშენე,
ეზო ბუჩქით შემოვღობე,
ბაღი გავაშენე.
ხილი დავრგე,
ყვავილები მიმოვფანტე ველზე,
ოცნებები, სურვილები,
ჩამოვკიდე მზეზე!
ფუტკრის სკები ჩავამწკრივე
ღობის მიღმა, ველზე
მოჩუხჩუხე წყაროს ახლოს,
გაზაფხულის ჯერზე–
მოვიწვიე პოეტები
ქოხში, სადღაც მთაში,
სირინოზის ბუმბულა ფრთა
ჩავიბნიე თმაში!
თურმე, იქვე შორი–ახლოს
წრიალებდა მუზა,
პოეტების სალხინეთში
ჩამოშალა ღუზა......
ვპაექრობთ და მთა გუგუნებს,
რითმებს ვქსოვთ და ვპენტავთ,
პოეტების ფანტაზიას
რას გაუგებ ნეტავ?!

## ქალი ვარ

სხივი აირეკლა სარკიდან
სახეს დაგეფინა ნათელი,
სიყვარულს, მალულს და უსიტყვოს
მე ლოცვად ავუნთე სანთელი.
გრძნობა, ვარდისფერი არშიით,
გარემოს ცეცხლისფრად ანათებს,
ახედე, ცას მოწყდა ვარსკვლავი
მაოცებ, რად არ გრძნობ არაფერს?
აგერ ცისარტყელაც გამოჩნდა,
სხეულზე მეფინა ფერებად,
შემხედე, რა ცისკრად ვანათებ
ქალი ვარ! შობილი მშვენებად.
მოასწარ, ეს ტრფობა ხალასი
ქარმა არ დაგტაცოს ხელიდან,
გულწრფელი გრძნობის და ღიმილის
მიიღე ბარათი ჩემიდან.
თოვლივით ქათქათა, ბრჭყვიალა
კალამი, გწერს ცისფერ ბარათებს,
ქალი ვარ! მოსული მშვენებად
მოდი! სიყვარულად ამანთე.

## შიში

ფიქრს აეკვიატა შიში,
ხელი კარს კანკალით კეტავს,
საათის წიკ-წიკიც მაკრთობს,
ფუი, ავსულსა და ეშმაკს.
ეს თავაშვებული ფიქრი
აჰყვა სასაფლაოს აღმართს,
სულების ჩურჩული მესმის,
ძილი ველურივით დაფრთხა!

დუმან მოხატული ქვები,
მარცხნივ თბილისის ზღვა ღელავს,
ნაცრისფერ საფლავებს შორის
ჩემი მომავალიც ელავს.
შიშსო თვალები აქვს დიდი....
ვმედგრობ, ეშმაკს ჯიქურ ვხვდები,
ხისტად და ჯიუტად ვებრძვი,
იქნებ . გამოვტაცო წლები.

იმედს წამოვავლე ხელი,
შიშის კარს ურდულით ვკეტავ,
დღეები, საათები, წლები
რამდენს ჩამოვბერტყავ ნეტავ?
.
............................................
შიში, იმედი და ფიქრი
აჰყვა სასაფლაოს აღმართს...

## სძინავს ქალაქს

სძინავს ქალაქს,
შემოდგომა ზამთარს ებრძვის,
შენს ოთახში ახლაც შუქი ანთია,
სიცივეა, ფიქრი ტანზე მეყინება
იმედიანს ველოდები განთიადს.
ქარი ფერად-ფერად ფოთლებს გულზე მაყრის
ცივა, ირთვილით დაინამა ყოველი,
ალვის ხეზე მიყრდნობილი, სევდიანი,
შენგან გრძნობის ამანათებს მოველი.

ფანჯრის შუქი აივანზეც ათინათობს,
ჩემი განცდა ამდენს ველარ აიტანს....
ხელისგულზე დავიგროვე სიყვარული....
თითო-თითოდ მოვაყარე აივანს.
სინათლეზე არასოდეს იძინებდი,
ეჯიბრები ღამეს, ჩემზე ფიქრიანს?
თუ არ მელი, დამთმე, მართლა დამივიწყე
გამთენიას შუქი რატომ გინთია?
ლეგა

## მგლოვიარე გვირგვინები

ზოგს არ აცდა ნარ-ეკალში ხეტიალი ,
აღმაფრენა წილად ერგო მავანს ,
არ გვანსხვავებს მხოლოდ მკაცრი ბედისწერა
ვერვინ ვცდებით დიდი სოფლის შარას.

ამ შარაზე მიგვაცილებს გვირგვინები,
ცრემლი, დარდი, შინაურთა გლოვა
გუმბათივით დაგვედები მიწაყრილი,
დაგვეყრები ყვავილების გროვა

ახლობლები დუმილით გზას გვილოცავენ,
გვაყოლებენ თვალსევდიან მზერას,
-ცხოვრების გზის გაგრძელების მოლოდინში
მიიჩქარის ყველა თავის კერას.

დარაჯად ვინ დაგვიდგება ღამისთევით
ამ უკუღმერთ და ავბედიდ ხნულზე?
-ყვავილები, მგლოვიარე გვირგვინები
ჭკნებიან და გვაკვდებიან გულზე.

## გამიძელ..

ჩემს აზრებს და ფიქრებს როგორ იტევ,
რვეულო, მოხატულყდიანო,
ბედისწერამ ჩემთან შეგახვედრა,
გარგუნა,რთულ გზებით იარო!
რითმის მწკრივს მხარს ტვირთად
დაგკიდებ თუ....
დარდით დაგამძიმებ, თავნება,

დაგხაზავ, მოგხატავ, შეგასწორებ,
გამიძელ აიტან წამება.
კუთხეში მიმალვას ნუ ეცდები,
მოგძებნი და მაინც მიგაგნებ,
ფურცლებს გაგიხარჯავ, დავწერ, წავშლი.
უსაქმოდ არასდროს მიგაგდებ.
ნუ ბრაზობ, მიხვდი და გაიგე,

უშენოდ არ ძალმიძს არსებობა,
აზრები მომტაცე, შეისრუტე,
შენს სახლში კონებად წაიღე!...
ძილის წინ „ნანინა“ წამიმღერე,
მთვლემარემ ჩავაქრო სანთელი,
ხვალ დილა იმედით გამითენე,
ახალ ლექსს მოვფინო ნათელი!



ლეილა ვადაჭკორია

## თავის გზით მიდის

ჩვენი ცხოვრების ანარეკლია
მეცხრე ცის იქით,
არ ვიცით, როდის დაგვიბრუნებს
პასუხს სამყარო;
ამბიციები, სურვილები,
მცირე თუ დიდი,
„ძაღლი ყეფს, მაინც ქარავანი
თავის გზით მიდის“.

## შენ გქონდეს

მიწის სურნელი მაცოცხლებს
ცაზე ვარსკვლავთა კამარა,
მე შენი მონა-მორჩილი
ჭიანჭველა ვარ პატარა.
გულს მივენდე და დავმარცხდი
სულ მოტევებამ დამღალა,
ვშრომობ, ვჭახირობ აა ვარ
მაღალი ღმერთის ამარა.
ყველას თავისი ბედი აქვს
ზოგი ცას წვდება იოლად,
მე კი მცირედსაც ვერ ვწვდები
უბრძოლველად და უომრად.
ჩემთვის ასიდან ერთია
თუმცა შენ გქონდეს ასივე
ოღონდაც კაცის გატანა
და სიყვარული მაღირსე.

## ღირდა სიცოცხლე

არ ვიცი ასე რა მიხარია
რად დამეუფლა აღმაფრენა და
ისე მსუბუქად ვიგრძენი თავი
თითქოს შემასხა ფრთები ზენამა.
რაღაც ახალი იშვა ჩემს სულში
ხელს ვერ შევახებ, თუმც ავერც ვხედავ,
ისეთი სითბო დამიდის ტანში
თითქოსდა გულში ჩამიკრა დედამ
არც ბევრი ფიქრი, არც ბევრი ბჭობა,
ისე, უბრალოდ შემოდის ჩემში
წუთები როცა ვიხილე ეს ცა
თითქმის მიწურულ ოქტომბრის თვეში.
გზად მომდევს მზერა ალალი, წრფელი
ისე ხალასი, ისე გულღია,
მარტო ამისთვის ღირდა სიცოცხლე
სიკვდილი ჭირსაც კი წაუღია.

## გთხოვ ზეციერო

ყოველ ნაბიჯზე ცდუნებაა
ჩასაფრებული არსებით ღვთისნიერის
ვეძებ ნაკვალევს,
მაინც მაცდუნეს მომაბეზრეს
თავის სიურჩით,
თან ამ ქირქილით ღმერთო ჩემო
როგორ დამღალეს.
ჰო, დავიღალე მიწიერი
ცოდვების ხილვით,
გთხოვ, ზეციერო გამარიდო
ამ ცოდვის წუმპეს,
იქნება ქარმა გამიტაცოს
შორს, სხვა სივცეში,
როგორც ღრუბლებში დავფრინავდი
ოცნებით წუხელ.

## მიწაც დატოვე

სახლები ერთურთს მიჯრილი
სუნთქვა დაკარგა ქალაქმა,
მიწას დავეძებ სანთლით, რომ
შისველი ფეხი დავადგა.
ცოტა შორს მიმოიხედეთ
განა ცოტაა საშენი,
მიწაც დატოვეთ მტკაველი,
დედამიწისთვის სამშვენი.

## მომნატრებია

მომნატრებია რატომღაც
ალალი გლეხის სალამი,
ეჰ, მიწას დაფოფინებდნენ
ძირგაცვეთილი ქალამნით.

## მიზანთან

ოცნებას ვერ დავეწიე
თუმცა გამიცნდა იმედი,
ქარტეხილს გადამატარა
მიზანთან ახლოს მივედი.
ახლა ცის კიდეს ვბინადრობ
რეალობასაც ვეხები,
იქნება გიჟად მომნათლონ
ერთი უბრალო, შეხედვით.
ცა ისევ ეტორტმანება
ოცნებით სავსე კოშკურას,
და კარის გამოსახსნელად
ბებერი მთვარეც მოსულა

## სულ ნატრული ვარ

სულ ნატრული ვარ რაღაცის
ხან წვიმის, ხანაც ბალახის,
ნატრული მთა და მდელოსი
მზიანი საქართველოსი.
ერთს ვეფერები მეორის
ალერსისა მკლავს სურვილი
მინდა მოვხვიო მკლავები
რომ დავიოკო წყურვილი.
ერთად ჩავიკრა გულში და
არ დამრჩეს კუთხე კუნჭული
მესმოდეს წყაროს რაკრაკი
თბილი ნიავის ჩურჩული

## მაინც წინ ვიწევთ

შენი აჩრდილი ამ ქუჩაზე
კვლავ დააბიჯებს,
ის ანარეკლი ამ ცას, ღრუბლებს
ისევ ატყვია,
ამ ხესაც თურმე დასცემია
მაშინ მეხი და
ან ამ კედელზე ვინ ამოშლის
იმ ძველ ნატყვიარს.
მოგონებაში იღვიძებენ
მძიმე დღეები,
მაინც წინ ვიწევთ და მივარღვევთ
სივრცეს ცთომილთა,
თუმცა ზამთარი იყო დიდი,
გაუსაძლისი,
მაგრამ ხომ ხედავ გაზაფხული
მაინც მოვიდა.

## ხელმეორედ დავიბადები

გაძარცვულ ხეებს ქარი უმღერს
სევდიან სონეტს,
ამდევნებია ნაღვლიანი
შენი თვალები,
ცა გარინდული, ცარიელი
ღრუბლის ამარა
ფოთლებში ისევ ფეხაკრებით
დავიარები,
გაზაფხულამდე თუ მივაღწევ ნაიარევი,
თუ მოვესწრები ამღერებულ
სიცოცხლეს კვირტთა,
ორღობეს ისევ გადაპენტავს
თეთრი ვარდები,
კვლავ აუყვები ოცნებათა
ცისფერ ბილიკებს,
კვლავ ქვეყანაზე ხელმეორედ
დავიბადები.

## ვერ შეელევა

მწუხრის დღეებმა იმატა
ღრუბლებს გაანდო ფიქრი თელებმა,
ვარდებიც დაჭკნა თვალცრემლიანი

ჭირსაც სცოდნია თურმე შეჩვევა.
დარდმა გატეხა ჭადარიც
მუხავ ცრემლი არ შეგეფერება

თორემ ტირიფი/
ტირიფი ტირილს
ხომ ვერასოდეს ვერ შეელევა.



მაია ხოფერია

## ქალი ათასი

ღამენათევი რითმებს მივყავარ,
მინდოდა გეთქვა, მაგრამ სულ დუმხარ,
როგორც შევძელი ისე მიყვარხარ,
რა მოხდა მერე თუ მიჭირს სუნთქვა.
შენც ვერ შეძელი გაგეგო ერთი,
ირგვლივ დაჰქროდა ქალი ათასი
და თუ ვიყავი მე შენი ნეკნი,
გამომარჩევდი ათიათასში...

***

ყველაფერი ვთქვი რისი თქმაც მსურდა,
გუშინდელ ლექსებს დავხევ ამაღამ,
სანატრელი თუ მიუწვდომელი,
დარჩი და ჩემში ასე დამთავრდა.
შენც ასე გსურდა, გავჩერდი კიდეც,
გზის გაგრძელებას არა აქვს აზრი,
ეს სიყვარული რატომ ვერ ზიდე,
ვისი მიზეზით გაუჩნდა ბზარი ?!

***

ახლა შენი მოფერება ჰაერივით მჭირდება,
სული სხეულს არ ნებდება, სადღაც მაღლა ფრინდება,
ძვირფასად გთვლი,ისე, როგორც ნახატს თვლიდა გოია
და ფიქრებში შენთან ყოფნა გატანილი გოლია...

## დღეს ხომ შენი დაბადების დღეა...

ივლისია და თბილისი იწვის,
შენ კი ახლა თოვლში ბილიკს კვალავ,
მაგ თაფლისფერ და სევდიან თვალებს,
ნეტა ვისზე ფიქრი გადაფარავს...
დღეს ხომ შენი დაბადების დღეა,
როგორ მინდა მოგილოცო კოცნით,
ჩემს დაღლილს და არაფრის მთქმელ მზერას,
ახლა მხოლოდ ოცნებები ჰყოფნის...

## ზღვიდან მთებში

მზე ამაღამ გაგიქრება, ზღვაში გაშლის საწოლს
და ვნებებით გათანგული რამდენ რამეს დათმობს.
მეც გაგიშლი თოვლში ლოგინს და ქათქათა ზეწარს,
დაგიფენ და მერე სული ვანდოთ ისევ ზეცას.
მეც გავკვალავ შენთან ერთად, იმ ჯადოსნურ ბილიკს,
ასე რატომ გეღიმება, ასე რატომ გიკვირს ?!
დავიბენი ოცნებებში, ზღვასთან მომწონს მთები,
მინდა ჩემთან ახლოს იყო და ფიქრებით ვთვრები...
თავს იწონებს, პალმას მწვანე გაუშლია კაბა,
ზღვა ლურჯია და მის ტალღებს მლაშე გემო დაჰკრავს,
სველი ქვიშა ტანზე მეკვრის, რითმებს ქარში ვფანტავ,
თოლიას კი წითელ ფეხზე წერილს ძაფით ვაბამ
პ.ს. და სიყვარულს მზესთან ერთად ზღვიდან მთებში ვატან...

## მე არ მინდა

მე არ მინდა გული სხვასთან გაყოფილი,
არც სიყვარულს ვეხარბები საზიაროს,
თუ მუხლებზე ვიყავ შენთან დაჩოქილი,
ახლა მინდა სინამდვილეს გაზიარო.
ფიქრში ტირის ოცნებები დამსხვრეული,
ვიბრძვი, მაგრამ ამ ცხოვრებას ვერ ვერევი,
წამლეკავი გრძნობით თუ ვარ დაბნეული,
მომეხმარე და ყველაფერს მოვერევი...
ნუ გგონია დაპყრობილი მწვერვალი ვარ,
ან  ბალახი შენს სავალზე გათელილი,
ოცნებებში, რომ ნატრობდი ის ქალი ვარ,
ნაწვიმარზე ცისარტყელად განფენილი...

## გამახსენდება.

შენი აღმართი, მთაწმინდა და მამადავითი,
თბილისის ანძას გულსაკიდად უხდება მთვარე,
იისფერ ცაზე, მე ვარსკვლავებს შენთვის დავითვლი
და ასე ფიქრში გავათენებ იისფერ ღამეს...
გამახსენდება თბილისური ეზო და კიბე,
ხავერდის ბალიშს შენი თმების სურნელი ქონდა,
წავიბორძიკე, გახსოვს ხელით ცამდე რომ მზიდე ?!
რაც ჩემი იყო, იმას გული ვის დაუთმობდა...
მერე კი იყო გათელილი ვნებებით ღამე,
ტანზე მეკვროდა სისხლისფერი ატლასის კაბა,
შენს თეთრ პერანგზე პომადის კვალს თუ წაშლის რამე,
ვიხსენებ წარსულს და ფიქრებში სიცოცხლეს ვკარგავ...
მოდი დავიწყოთ ყველაფერი ისევ თავიდან,
მამადავითზე მნათე ექვსზე დარეკავს ზარებს,
სულ ერთხელ გნახო, მოგეფერო, მეტი რა მინდა
და შევეშველოთ გადარჩენილ ცხოვრების ბწკარედს...

29.07.17.

## სახალისო.

აგვისტოა და თბილისი იწვის,
ახლა შენთან ყოფნა მინდა მაგრად,
თუ გახსოვარ, ან ჩემზე რა იცი,
მდინარიდან ამომხტარ თევზს ვგავარ...
მომაწოდე პეშვით ცივი წყალი,
ან ღიმილით გამაგრილე ჩემო,
გავირუჯე ეს ფითქინა ქალი,
გადარჩენას ისევ შენით ვჩემობ...
მომიტანე იისფერი თოვლი,
ლურჯი ღამე ვარსკვლავებით სავსე,
არ შეშინდე, რას გაიგებს ცოლი,
ფურცლებზე თუ მოფერებით გავსებ...

5.08.17.

## მინდა წავიდე

მინდა  წავიდე, მიგატოვო შეშლილ ქარებთან
და ფეხშიშველი ჩამოვუყვე მთაწმინდის დაღმართს,
ფიქრში რამდენჯერ მოგაკითხე სახლის კარებთან,
არ შემეგებე, იქნებ შენც გრძნობ ამ გულის დაღლას...
ვიცი ინანებ უთქმელობას და დროს დაკარგულს,
გთხოვდი ფერებას, სიყვარულის მინდოდა თოვა,
წავალ და ასე მიგატოვებ გრძნობა დაფანტულს,
წლები კი ფიქრში გაგათეთრებს თუ როდის მოვალ...
დავტოვე კვალი შენს სხეულზე არ დავიწყების,
მზისფერი თმების მოფერების სურვილი მოგკლავს,
დრო არ დამდგარა ჯერ ყველაფრის გადავიწყების
და ფერუცვლელი სიყვარული სიდინჯით მომაქვს...

20/08.17.

## ვით ბედისწერა

თუ მაშინ ბედი იყო შეშლილი,
არც შენ იყავი იმ ღამეს მშვიდი,
ცამდე აგყავდი და ფერ შეცვლილი,
სიყვარულით და ფერებით მშლიდი...
მერე პირობა ასჯერ ნათქვამი,
„ჩემთან დარჩები, ვერ გაგიმეტებ ,
მე დავიჯერე ყველა ზღაპარი
და იმ ზღაპარშიც რომ გამიმეტე,
მაშინ ამტკივდა სხეულში სული,
გულში გრძნობები ვერ დავატიე
და თეთრ ფურცლებზე რითმებად თქმული,
ვწერე და ღამეც სულ გავათიე...
ახლა შორსა ხარ, ჩამოხვალ მალე,
დაგხვდები როგორც წყარო ანკარა,
მე კიდევ მინდა შეშლილი ღამე,
დავრჩე წარსულში მარტო არ კმარა...
გადავაბიჯებ ჩემს სიამაყეს
და როცა შენზე ფიქრები მოთოვს,
აგეკიდები ვით ბედისწერა,
მოვალ და ჩემს წილ სიხარულს მოგთხოვ...



**იზო სანთელაძე**

* * *

გაზაფხულს, მინდა შევხვდე რაჭაში,
იქ .გაზაფხული სხვაგვარად დგება,
თბილ ქვეყნებიდან მოფრენილ მერცხლებს,
სახლი და ბუდე სულ ღია ხვდებათ.
გამოიღვიძებს ჩემი სოფელი,
ცას მორკალავენ ცისარტყელები,
გამოესკვნებათ ტყემლებს ლუწ–კენტი,
მოიჩითება მინდორ–ველები.
ყურში ჩამესმის დგაფუნი ასკის,
გავყვები ნაპირს და ჩემს ბავშვობას,
ვხედავ ბაბუას,ვაზს ფოთოლს აცლის,
ჩვენ მზისგან როგორ ამოვხრუკულვართ.
შემოვუვლიდი მინდორს და ჭალას,
იქ ჭინჭარიც კი არ ისუსხება,
საღამოს ვახშამს გავშლიდი მოლზე,
გული საგულეს არ დამეტევა.
მზეს დავასწრებდი ადგომას დილით,
შემოვურბენდი ტყეში მაყვლოვანს,
ყელს შევიმკობდი მოცვების მძივით,
ვემსგავსებოდი სოფლელ ბანოვანს.
გავიჭრებოდი რიონის პირას,
რომ მენახულა ჩემი ურთხმელი,
მოვუყვებოდი მთისას, ბარისას,
არ დამრჩებოდა არც რა უთქმელი.
გამოვაღებდი ფართოდ დარაბებს,
გავფრინდებოდი მოგონებებში,
რომ გადარჩენილ მწვანე ბალახებს,
მივუალერსო უნდა სოფელში.

* * *

ვდგავარ სიყმაწვილის ბაღთან,
ტკბილი მოგონებით ვთბები,
უკვე არ ვმეგობრობ დარდთან,
დიდი სიყვარულით ვტკბები...
ჩვენი სიყვარულის მსგავსი,
ხომ არ არსებულა არსად,
ჩვენი ერთად ყოფნის არსი,
ზეცად გადაწვიტეს ალბათ...
თოვლი, თოვლი მოდის ბარად,
ქრება მწუხარება ფიქრის,
ერთად უნდა ვიყოთ მარად,
სევდა ქარს მიჰყვება, მიქრის...
უკვე ახმაურდა კერა,
ლხინი გაუმართავთ ჩიტებს,
ახლა გადავწყვიტე წერა,
გული სიყვარულს ვერ იტევს...
ისევ ბრმად მივყვები ამ გზას,
მთებზე დაუწყია თოვა,
ფუნჯით მოგიხატავ ლურჯ ცას,
მერე გაზაფხულიც მოვა...

* * *

შემომეჩვიე ისე თამამად
და შენზე ფიქრმა ამიყოლია,
აღმოსავლეთში აფრინდა გნოლი,
აქ, ზღვის ტალღებზე ცეკვავს თოლია...
ნანაობს ტალღა, სადღაც, ქარი ქრის,
ჩქარობ გაკაფო ტრამალ, კორდები,
ოდეს ჩაუშვებს მზე ზღვაში ღუზას,
თეთრ იალქანთან დაგელოდები...
მივყვეთ დინებას მშვიდად, ღუღუნით,
აქ ჩურჩულიც ხომ ძალზედ მეტია,
ბედის ვარსკვლავი გვინათებს ზეცას,
ზეცას, რომელიც ზღვაზე მეტია...



**მაკა გელაშვილი**

## ციური ნათლიას

ტაძარში ფრესკებს სწვდებოდა ლოცვა,
სანთლებს სურვილები მიჰქონდათ ღმერთთან,
ანგელოზები ხარობდნენ ცაში
თქვენ კი იყავით სულ ახლოს ჩემთან.



**ციური ხარაიშვილი**

უფლის ნებით და ლოცვა–კურთხევით
კათაკმეველი მომნათლეთ იმ დღეს,
მღვდელისგან წასმული მირონია მადლი
თქვენი წყალობით დღევანდლამდე მსდევს.

თავად მორწმუნემ მასწავლეთ მრწამსი,
და მომაქციეთ ურჯულო რჯულზე,
წყალში ნავლები ოქროს ჯვრის სახით
რწმენა უფლისა დამკიდეთ გულზე.

თქვენ მიმაახლეთ წმინდა ბარძიმთან,
რისგანაც შევსვი „წყარო ცხოვრების“,
გმადლობთ, რომ ჩემი ნათლია გახდით
და წინამძღოლი სულის ცხონების.

———————————————————————

\+ + +

იესო ტკბილო, ჩემი განცდა ხარ,
დავმონებივარ სიყვარულს შენსას!
ჩემი ფიქრები და გულის ფეთქვა
განადიდებენ სამებას ერთარსს.

მინდა გრძნობებში გულწრფელი ვიყო,
და გულზე შენი სახე მეხატოს.
შენდობისათვის, წყალობისათვის
წმინდა ცხოვრებით გადამეხადოს!



დილარ ივარდავა

## ვედრება

დაწყევლილია ჩემი გზაწვრილი,
ზოგს დაებედა ხვედრი მორჩილი,
თუ დაიბადე ეშმას ზაკვილი
მუდამ იქნები ბედდაჩოქილი.
არა ყოფილა ყოფა იოლი,
ძნელია თასის ბოლომდე დაცლა,
აგერ არ იყო გალაკტიონი,
ვერ განერიდა თბილისურ ჯვარცმას.
ვერცა ტატომ და ვერცა ილიამ
ველარ გაუსწრეს მხრებით რუბიკონს,
ალბათ წინასწარ ჩახერგილია
კაცთა სავალი ეშმას ზურგითო!
ეს გზა ვინ იცის სად იგეგმება,
თუხთუხითა და თავის დაღებით,
ან ზოგის გული ხმალს რად ეგება,
წმიდა გზნებისთვის ტანჯვის გამღები!
ყველამ თავისი იტიროს მოთქმით.
მე კი ბოლომდის ჩემს მკვდარს მივსტირი,
სულ მოვლილი მაქვს ლოცვით და ჩოქვით,
მამულის ჩემის ფუძე–ქვითკირი!
ნუ, ნუ დამიშრობ, მზეო, წყაროს თავს,
ნუ კი გამაქრობ, დღეო, უკვალოდ, –
უშველე ჩემს ერს, მუდამ სალოცავს,
შენ გევედრები,
შენ ერთს — უფალო!

## მოჭქრის განახლების მარცი

თოვლის, ნუშის, ტყემლის ფიფქთა
სუროგატით
შიშველ სივრცეს ფრთოსანივით
სერავს მარტი.
გადათხუპნულ ყალამს სუსხში
აცოდვილებს,
ნისლში ახვევს გაზაფხულის
მკერდცივ დილებს!
უჩინარი ხემით ქარებს დირიჟორობს
და ცრემლებად მოწანწკარებს წამი
ჟოლობს.
მგლის მშიერი მადლით დათრთის
ჭრელი მარტი,
ალუფხული ფერთა მღვრიე კომბინატი.
თავსატეხი თავსაყრელად გააჩნია,
წუხელ ქარმა ღამე შავად გაათია,
ცვალებადი ხასიათის ხშირი ბურით
დიდ–პატარა გაიხადა უმადური!
მსუსხავია, ბუზღუნაა, წიწმატია,
რო არ იყოს ამდაგვარი, რის მარტია?!
სხვანაირად? აპრილი ვერ იაპრილებს
და მაისი ივნისს ველარ მიაკივლებს.
გაზაფხულის ყველა თვეს აქვს
თავის ხვედრი,
რომ ზაფხულთან გადავიდეს ალავერდი!
რა ქნას მარტმა თუ კი არის ჭირვეული,
უსათუოდ მშრომელია მწირველ გულით!
სამოქმედოდ არ უცხრება წამით ვნება,
უფლის სურვილს მთელი გრძნობით ენივთება!
...მოჯაჯღანებს, მობუზღუნებს მღვრიე მარტი,
სიმწვანის და ვარდ–ყვავილთა სუროგატი!



ბელა ალანია

## მოვალ შენამდე...

შევეგებები მეწამული ფერის განთიადს
და გადავირბენ ლაჟვარდოვან მთათა მწვერვალებს,
ჩამოვუჯდები დაუდგრომელ მფრინავ ღრუბლებს და
სულ გადავსერავ არემარეს, მოვალ შენამდე.
ჩამოვუყვები ბილიკ-ბილიკ სოფლებს, ქალაქებს
და ამოვკრიფავ უბე-უბე სიტყვის ფარდაგებს,
ხან შემოვირბენ მინდორ-ველებს, ჭალებს, სათიბებს
და კონა-კონა შევაგროვებ მინდვრის ყვავილებს.
სულ მუჭა-მუჭა მოვუყრი თავს გრძნობებს ნათიბებს
დ ა გულისგულში მისასვლელ გ ზას ვიცი გავიკვლევ,
აღარ დავტოვებ კუთხე-კუნჭულს, ყველას ავიკლებ
და მალე მოვალ, დამელოდე, არსად წახვიდე...
ვიცი, დამხვდები, ხელებს ისევ ძლიერ ჩამკიდებ,
მეტყვი, "გელოდი, თვალისჩინო, დასაბამიდან,
შენ მოხვედი და არასოდეს არსად გაგიშვებ"
აპრილი, 2013

## არ ვიტყვი...

არ ვიტყვი საყვედურს არასდროს,
სიყვარულს ჩემს გულში დავმარხავ,
შენზე დარდს მდუმარედ ვატარებ,
ვფიცავარ, არასდროს არ გნახავ.
არ ვიტყვი, რომ ასე გიყვარდი,
ამბობდი, თავთავთა ყანა ვარ,
შენ – ქარი მოჯანყე, შეშლილი,
ქარი– მოვარდნილი ანაზდად.
უშურველ სიყვარულს გიტოვებ,
უბრალოდ, წავალ და დავკარგავ,
არ ვიტყვი, არაფერს არ ვიტყვი,
თავთუხებს მინდორში დავფანტავ.
მაისი, 1990წ

## ფრენის ხიბლი

მივხვდი, რომ დიდი ცდუნებაა მწვერვალი მთათა.
ვდგავარ ქარაფზე, გადაშლილა სამყაროს კალთა,
სურვილი მიპყრობს, გამოვცადო სიგიჟე ქართა,
ფრენის ხიბლი და აღტაცება უმოკლეს წამთა.
უცანაურია უჩვეულოდ თანმდევი განცდა,
თითქოს ცისა და დედამიწის კავშირი გაწყდა.
სურვილი მძალავს გავერიდო ცივ მიწის კალთას
და შევერიო გალაქტიკებს უშორეს ცათა.
გავშალო ხელი, ჩავეკონო ღრუბელთა ტალღას,
დავიწყო ათვლა უსასრულო მგ ზავრობის ჟამთა...
ვხვდები, რა დიდი ცდუნებაა მწვერვალი ცათა,
ხოლო სიცოცხლე – ირონია წარმავალ წამთა.
დეკემბერი, 2015

## ქართული მიწა

ხელი არ ახლო წმინდათა წმინდას,
ქართველთა სისხლით ასე ნაპკურებს,
დაჭრილს, დაქანცულს, დაგლეჯილს მტრისგან,
ხორბლის ველებით ასე ნაპურებს.
არ გაეკაროთ ჩვენს ქართულ მიწას,
მახვილი ჩვენი სდევნის ავსულებს,
დრო იყო, როცა საქართველოში
აბჯარს ასხამდნენ მეფის ასულებს...
მტერი მტერია, შინა თუ გარეთ
ვინც დავალებებს სხვისას ასრულებს.
ერთურთში ურევს მტერს და მოყვარეს,
ათასი ჯურის და ზნით მართულებს...
ისტორია კი მიუჩენს ადგილს,
ყველა გამყიდველს თუ თავგასულებს,
ვისაც არ სტკივა მშობლის სხეული
და ფულზე ჰყიდის მოხუც მამულებს...
რას ეუბნებით აწმყოს, მომავალს,
პატივი ეცით ჩვენგან წასულებს,
რას დაახვედრებთ შთამომავლობას,
რომელ ენაზე ისმენთ საუბრებს?
ღმერთს გეფიცებით, რომ ვაზის ცრემლით
დასერილ გულზე დავითვლი მჯიღებს,
საკადრის პასუხს მიიღებთ ჩვენგან,
მახვილი კვლავაც სდევნის ავსულებს.
ვერ მოგვერევით, ჩვენ ყველას ერთად
ასე ერთგულებს, მუშტად შეკრულებს,
თავისუფლების ბაგე ნაპკურებს
და ასე ამაყ მამულიშვილებს.
არ დაგანებებთ არც ერთ გოჯ მიწას
ასე მადლიანს, ღვთიურს, ქართულებს.
მაისი, 2017



**იზა ჭიკაიძე**

## მინანქრული ფრთებით

ეს რამხელა გზა გავკვალე, სიყვარულის ჯოხით ხელში,
ზეციერი მამის ნებით... შვიდ ათეულს ვაბალავრებ
ღუმილით და მინანქრული ფრთებით...
გადავურჩი რამდენ ზამთარს... ვაგემოვნებ სიტყვას მართალს!
იმქვეყნიურ ხარიხებში, დიდი ჩანთით რიგში ჩამდგარს,
ვერ შემამჩნევთ შიშს და დაღლას,
ვერც იმ ნატვრას, რომ მომერყა მთის ფესვები,
უჩემობა როგორ სტკივათ მენესოს მზეს, დგნალს და ჭართალს...
ეს რამხელა გზა გავკვალე, ეს რამდენი გამივლია
სიყვარულის ჯვარით ხელში, ზეციერი მამის ნებით,
ღუმილით და მინანქრული ფრთებით...

## ღმერთის ხელები და ხელოვნება

აბსურდულია ამა ქვეყნის მარადისობა,
თუმც აბსურდულის მინიშნება ვერაფერს გვშველის,
ვერც ბოლო ჟამის, წარღვნის შიში გვიმოკლებს ცოდვებს
და სიყვარულის სიძულვილით კვლავ ლხენას ველით!
ზოგჯერ ფხიზლდება გონება და, დარბის კითხვები,
სად არს ფესვები, რანი ვართ და რანი ვიქნებით,
აბსურდის კედლებს წავაწყდებით ჩვენივ ღირსებით,
გამოსავალის მოძიებას შვილებს ვპირდებით...
მერე შვილები იჩიჩქნიან აბსურდის კედლებს
და შედარებით ფრთხილი მზერით თვალებს ძაბავენ,
შედარებითი რას ეყოფა გონების ნათელს,
მამა    შვილები თუ ერთმანეთს აზრებს პარავენ?!
აბსურდის ცნობას, ამბოხსა და აღიარებას
ვერ შეაჩერებს გალღობილი აისბერგები...
ხელოვნება და ჭეშმარიტი სიტყვა გვიშველის,
ღვთისმშობლის მადლით, მაცხოვრით და ღმერთის ხელებით!!

## არ მომანატრო ლექსი ქართული

პეტრეს სინანულს ნუ დაიშურებ,
მეძავის ცრემლით თვალი დამილტე,
მეზვრის ლაღადი მასწავლებინე,
მადლიერებით სული დამიტკბე!
უფალო ღმერთო, შენი სახე ვარ
და ანარეკლი შენი დიდების,
ზვაობის ჟამზე რომ გამოჩნდები,
სირცხვილის ცრემლის გამო ვფითრდები!
ბილწ სიმღერებზე აღერებული,
მეძავი ფიქრით დარდებს ვაქარვებ,
სხვისი მოლხენა მყოფნის იმედად,
შურსა და ბოღმას გულს არ ვაკარებ!
ამპარტავნების ტრფობის კვირტებზე
ზოგჯერ განკითხვის სენი მჩვევია,
ცოდვებმა ზურგი გადამიტყავა,
სხვისი რა ჩემი გასარჩევია?!
ზოგი უკუღმა ლესავს სამყაროს,
ზოგს წაღმა ესმის ბედის ტრიალი,
ორივე უფლის ხატად შექმნილა,
ორივეს ჰქვია ადამიანი!!
ღმერთო, გამხმარი ხეც შემაბრალე,
თავზე ნაცარი დამაყრევინე,
მგლის ხროვასა და ძაღლებთან ერთად
ცრემლის მორევი დამალევინე!
დამადებინე თავზე უღელი
და მძიმე გზებით მატარებინე,
დედოფლობაზე ხელაღებულმა
თავი შენებურ მამდაბლებინე!
თორემ გაჭირდა ცოდვის ტალღებში
წლების თრევა და ხელის ფათური...
შენი დიდებით მაცხოვნე, ღმერთო,
არ მომანატრო ლექსი ქართული!!

## ღმერთი და ჭეშმარიტება

კახეთისა და მთის სისხლი დუღს
ლურჯი ორთქლებით,
ბებერი გული ამიტომაც
არა ღვინდება...
ჩემი მომრევი ცაში მხოლოდ
მამა ღმერთია,
მიწაზე — ისევ ლოგიკური
ჭეშმარიტება!
კრიზისია საქართველოში
დგას ბანკომატი მედიდურ მზერით,
მივეახლებით საამო მღერით,
ჩაყლაპავს ფულს და ამაოდ ველით,
ვიღლებით მისი ლოდინით, ცქერით.
გაეჭედება ეკრანი ჯინზე,
ცხელი ხაზებიც დარდს გმატებს წყლულზე,
დამუნჯებულა თითქოს ყველა, თუ
ბანკომატია დეგენერატი...
ურტყამენ თავში, ლანძღვენ გულში,
ქვითარს არ გვაძლევს! . . რა მოხდა, მერე,
ქაღალდს დაზოგავს, მანაც კი იცის,
რომ კრიზისია საქართველოში...

## დავაგვიანე

როგორც ყოველთვის, დღესაც ისევ დავაგვიანე,
ცოდვით დამთვრალმა, როგორც გუშინ, ვერ ვაღიარე...
ჩამოიზამთრა დასაწველი კალთები გულმა,
დაგვიანება და ალერსი ქალს მუდამ სჭირდა!
ვერ ვიმსახურებ! ვის რა ვთხოვო, დავაგვიანე!
გათენებამდე თუმცა რჩება რაღაც წუთები...
ქარს გადავუთვლი წუთისოფლის ქირას მისხალით,
დროულად მოსვლას, ვაგლახ ქალი, ვერა გპირდები!
მაინც წამოვალ, გადმოვხეთქავ დარდის ნაპრალებს,
უძილო მთვარის გალექსებას შენ დაგაბრალებ!
არ შემიშინდე , თმენის ძაფებს ვსანთლავ რითმებით,
შეგიკრავ გულზე, ვიდრე ერთად არ დავღვინდებით!
გამაისდება ზამთრის ბოლოს ყინულის კვირტი,
წყალს დავიგუბებ თევზის დარად და არას ვიტყვი!
სათქმელი, ჩემში დავანებულ აჩრდილს ვუთხარი...
ღარიბ   უგონოს, ვაგლახ გულზე, დამდევს უფალი!
როგორც ყოველთვის, დღესაც ისევ დავაგვიანე
და როგორც გუშინ, ცოდვის კვალზე, ვერ ვაღიარე.
ბოლო დროს გული აღარ   საით არ იჩქარისა...
ღმერთო, მომეცი რწმენა რომის ასისთავისა!

## კაცი და ხე

თვალზომა არ ყოფნით კაცსა და ხეს...
ერთ სისხამ დღეს, თავიანთ კალოს
რომ გალეწავენ კაცი და ხე,
გონების თვალით და არშინის სიზუსტით
დაგვიხატავენ მავანნი ყველა ფერს...
მწოლიარენი უფრო კარგად იზომებიან კაცი და ხე,
მით უფრო, თუ წაქცეული ბერმუხა შარაზე დევს
და კაცი საფლავში წევს...
მანამდე, ძირს ვუთხრით, ფესვს ვუღრღნით...
ტალახის სროლებით, წყევლებით, ურვებით,
ვაი ხესა და კაცს! უფლის არმაღანი სულიც გვშურს,
თუ კაცი ფეხებზე მყარადა დგას!
მერე, გამხმარ ხესა და მომაკვდავ კაცს,
გამალებით ვუმარჯვებთ ზაფხულში ცეცხლს,
ზამთარში წყალს... და სიკვდილის ჟამს
ქება   დიდებით ავიქავებთ ქლესა და მრუდე ენებს...
თვალზომა არ ყოფნით კაცსა და ხეს,
რადგან მაშინ უკეთესად იზომებიან,
წაქცეული ხე შარაზე თუ დევს და კაცი საფლავში წევს...
და ჩვენც, სიზუსტით გაგვზომავებ ერთ სისხამ დღეს...



**ლალი ასაბაშვილი**

* * *

მე მინდოდა შენთვის ბევრი რამე მეთქვა !!! მივყვებოდი ქუჩას ქარი ფიქრებს წეწდა.. ჩემი გული ჩუმად შენზე ლექსებს წერდა.. ძალზე ძლიერ ქარში გულს გაქონდა ფეთქვა.. მე მინდოდა შენთვის ბევრი რამე მეთქვა.. ვიცი ახლა ნანობ ალბათ მიცდი კარში.. მიხვდი შენს შეცდომებს, რომ გამიშვი ქარში..

წუხელ სიზმარში!!! სიზმარში წუხელ საქართველოს მთებში ვიფრინე, და ჩემი ფრთებით მივაპობდი ქარების ტალღას.. გადმოვყურებდი ჩემს სამშობლოს გახარებული, ერთი წამითაც არა ვგრძნობდი ფრენისგან დაღლას.. მწვანედ ღვიოდნენ ჩემი ქვეყნის ლამაზი მთები, არსად, არც ერთ მთას ცეცხლის კვამლი არასდიოდა.. გახარებული ზურგს ვაქცევდი ძველ მოგონებებს, ქართველ გლეხ-კაცსაც თვალზე ცრემლი აღარ დიოდა .. „სამშობლოს მთებო" – ჩამესმოდა ილიას ხმები, მთების აჩრდილნი ალაზნის ველს ეფინებოდა.. და მთების ერთხმად შეძახილი – „ვაჰ დრონი დრონი" ყველა ქართველის გულში წყაროდ ედინებოდა.. მშობლიურ მიწას შევხაროდი უსიტყვოდ უხმოდ, მინდოდა გულსაც ღრმად შეეგრძნო მისი სურნელი.. სამშობლოს მთები დამილოცე უფალო ჩემო, და ყველა ხალხი მის მომავლით ბედის მსურველი ..

*

ალბათ მთებზე გაწოლილი
ნისლი ხარ,
ჩემს თვალებზე ცრემლის
ერთი მისხალი..
მზის სხივი ხარ დილის
ამობრწყინება,
გაზაფხულზე ის პირველი
მერცხალი..

ბევრმა წყალმა
ჩაიარა უშენოდ,
ქვიშანი კი დღემდე
რჩება ნაპირებს..
ვცხოვრობ, ვსუნთქავ,
დავდივარ და ვარსებობ,
ვერ ვივიწყებ გულში
შენს დანაპირებს..

ზეცას შერჩი ანგელოზად
დაფრინავ,
ამ ქვეყანას ბევრი ცოდვა
ამძიმებს..
დედამიწაც ძველებურად
ტრიალებს,
ტრიალებს და ტკივილებს
ვერ იამებს..

*

ოქროსფერი შემოდგომა
დაგდგომია ქალო,
გატყობ სევდა მოგერევია
სხვას აყოლებ თვალსო..
გაირბინეს ურცხვად წლებმა,

ისევ მარტო ხარო,
გულში ფიქრობ რომ ასაკი
გაჰყოლია ქარსო..
რად ემდური შენს ბედ–იღბალს,
და საკუთარ თავსო?..
იმ წუთიდან, როცა გაჩნდი

ყველაფერი უფლის ნებით,
იწერება წამსო..
გაუყევი შენს ბილიკებს
და გაგიყვანს გზასო..
არ დაეცე.. არ შეჩერდე ,
ნუ დაკარგავ აზრსო ..

*

ბავშური ტყეში მიმაქვს საღებავი, ფუნჯითა და მოლბერტით.. ყელზე ბაბთით პალტოთი და თავზე ლურჯი ბერეტით.. მინდა ვხატო ფანქრით ფუნჯით, აკვარელით.. გუაშით.. მოგიხატავთ ფოთოლცვენას, მზეს დავხატავ შუაში.. მომაშველეთ საღებავი, თუ გინდ იყოს აკრილის.. შემოდგომის მზეს ჯობია, დამიჯერებთ?.. აპრილის.. მინდა ვხატო ლურჯი ჩიტი, და პატარა ფინია.. ეს ფოთლებიც საოცრებო, ირგვლივ მოფენილია.. არ მინდა რომ ვაწყენინო, ზღარბს ბუთქუნას ეკლიანს.. საქართველოს ტყეს მოვხატავ, მის ზეგანს და ღელიანს..

*

დავიღალე... –ამ ცხოვრებით,
გულიც მტკივა – ვერაფრით ვერ ვახარებ..
რადგან ქვეყნად შური, ბოღმა,
ბოროტება ხარხარებს..

სულ არ მინდა მოგახვიოთ,
ჩემი მელანქოლია..
ცხოვრებაში სიყვარული
სიხარულიც მქონია..

მზე ამოვა თვალს ჩამიკრავს,
ჩამახუტებს მის სხივებს..
გავალ გარეთ გულს გავართობ,
ვუალერსებ სხვის შვილებს ..

*

მინდა ყველაფერი წავშალო !!! მინდა ყველაფერი წავშალო – რაც იყო, და ჩემი ცხოვრება დავიწყო ნულიდან, მეწმუნეთ არ იყო ადვილი ყოველი, ყველაფერს გიამბობთ ამ ჩემი გულიდან .. იყო და არ იყო ...და მაინც ხომ იყო, ცხოვრება რომელიც გამხდარა სასჯელი, ვიცხოვრე ვიარე, ეს როგორც შევძელი, არაფერს უკეთეს არასდროს არ ველი... ტკივილმა დამცალა, მაგრამ ვერ შემცვალა, მე ჩემი ჯვარი მაქვს, ამ ქვეყნად სატარი... რამდენჯერ დამემსხვრა ოცნება და მაინც, – იმდენჯერ ავაგე ლამაზი ტაძარი.. ვეწვალე ცხოვრებას ვიშრომე ვიარე, ძალზე ძნელი იყო ყველაფრის ატანა.. სულში მეღვრებოდა მოყვასის სიყვარული არასდროს ვნებდებოდი ცხოვრების სატანას.. მინდა ყველაფერი წავშალო ის ცუდი, რაც გულმა ინახა, რაც დღემდე ვატარე.. ძალა აღარ შემწევს.. ტკივილს ველარ ვიტან – მაკმარე უფალო რაც გადამატარე..

ნატვრა მინდა მოვიარო მარტომ, მინდორ-ველები და მთები.. როგორ გადავლახო ვფიქრობ, იქნებ გამომესხას ფრთები.. გულმა გამიწია ზემოთ, ალბათ გადავუფრენ შხარას.. და თუ ვერ შევძელი ფრენა, ისევ გავუყვები შარას.. მინდა მოვიარო ყველგან, სადაც არ დაუდგამთ ფეხიც.. ამდენს რანაირად ვბედავ, ვაი თუ, შემეყაროს მხეციც... ისევ მინდორ-ველებს ვივლი, გვირილებს ჩავიწნავ თმებში.. და თუ შემომხვდება ვინმე, ერთად გავუყვებით მთებში..

*

მთელი ღამე ვიჯექ ბაღში
და ვუსმენდი შოპენსა და ვერდს,
მომეძალა ნოსტალგია
ვერ ვუვლიდი გვერდს.
მერე უცებ შეწყდა ვერდი,
და ისმოდა ბაღში მხოლოდ შოპენი,
ვიცი ახლა რა ფერებით
იქარგება სოფელი,
შოპენის ვალსს ეპყრა ბაღი,
ხეთა ჯარის გაისმოდა ჩივილი..
ამოვარდა ქარი უცებ,
და ფოთლები მიმოფანტა კივილით..

*

ვფიქრობ წავიდე ხევსურეთში,
მინდა მოვიარო ბარისახო...
ისე მომეძალა ეს სურვილი,
ვიცი გზები როგორ დავისახო..
ალიონს შევხვდები შატილში,
კოშკებს რომ ნისლები გავყარო..
მოხევე თუ შემხვდა არაგვზე,
იქნებ გულს დარდი ავყარო..
ხევსურეთს რომ წავალ, მის მთებზე
მინდა ცხვრის ფარა ვიხილო..
დაისზე მზის ჩასვლას დავუცდი,
ღამესაც ვიქნები უძილო..
მუცოსაც ვეწვევი მოვივლი ,
მის კოშკზე შევწვდები მზის სხივებს..
რა კარგი იქნება შატილში,
როდესაც შევხვდები ხევსურებს..

## მოგონება...

ეს დღეები ჩემს სოფელში გავატარე სულში დარდი ... გულში ფიქრი ჩავისახე... ვიგონებდი დავეძებდი ძველ ნაცნობებს, დამიჯერებთ? – სულ ვერავინ დავინახე... ის სოფელი ძველებური ვერსად ვნახე, სადღა იყო.. რაც კი იყო.. რაც მახსოვდა.. ხევის პირას გავყურებდი მდინარე ჩელთს, თვალზე ცრემლი თვითნებურად მოდიოდა.. დავდიოდი ჩვენს ძველ სახლში ძველებურად, დავეძებდი დედაჩემის ნაფეხურებს.. მომენატრა მშობლიური სიყვარული, ჩავფიქრდი და ავუყევი საფეხურებს... მოგონება გულში ცრემლად დამეღვარა, სამეზობლოც დაცლილიყო.. სადღა იყო.. ბევრი სახლი დაკეტილი, დანგრეული, ნასახლარი გამხდარიყო.. სოფელს ისევ ძველებურად გადმოყურებს მთები, მინდოდა რომ შემომევლო ის ბავშობის გზები.. მომეძალა განცდები და ვერ მოვხუჭე თვალი, თურმე როგორ დაუნდობლად გაფრენილან წლები.. ეს დღეები ჩემს სოფელში, ჩემს შილდაში ვიყავ, ჩემი იყო ერთ დროს, მაგრამ გამხდარიყო სხვისა.. დედაჩემიც აღარ იყო ამ სოფელში წასულიყო .. წაეყვანა ერთ ანგელოზს ღვთისას... ლალი ასაბაშვილი



**ბეჟან ხარაიშვილი**

***

ყურძენს მიჩვეულმა ბავშვმა
ერთხელ შემთხვევით შეჭამა ძახველი,
და მტრისას იყოს, სისხლი მოეწამლა;
ნუკრები უკოცნიდნენ თვალებს გახელილს...
დედის აჩრდილივით აფრთხობდა წყურვილს
და
ტუჩებზე მიედო რძისფერი სახელო,
ღმერთმა დაგწყევლოს...
ღმერთმა დაგწყევლოს!
გათათრებული ქართველის სისხლზე
xom ar amodixar Zaxvelo?!

## რომელი ჯობნის

გამოზაფხულზე, მოგიხმობს როცა,
სხვა მაისობის თეთრი ლანდები,
ლეღვივით მწიფე ნაკვთების რხევით
დიდი სარკის წინ შეტრიალდები.
გარეთ კი სიო ალუბლის რტოზე
ღამეულ ცვლათა ცვლილებებს არკვევს,
— რა ლამაზი ვარ — ფიქრობ სარკის წინ,
— რა ლამაზი ხარ! — გიღიმის სარკე.
ოთახში უხმოდ შემოდის ლანდი
და წარმოდგენით ცოცხლდება წამსვე,
რომელი ჯობნის? — გაიფიქრებ და
შენი მწიფობა იწყება ასე.
ფიქრი კი შორეთს მიჰყვება ისე,
როგორც მწევარი წვიმიან ნაკვლევს,
— რა თვალები მაქვს? — იფიქრებ ისევ,
— რა თვალები აქვს? — იფიქრებს სარკეც!
ვეღარ შენიშნავ რა ხდება გარეთ,
სიზმრისეული სიამე გავსებს,
გადაირეკავს გული სადარდელს
როგორც მთის ჩქერი ნაპრალთა ხავსებს.
ოთახში უხმოდ შემოდის იგი
და ორეულთან მესამე ჩნდება,
— როგორ მიხდები!    დახედავ კაბას,
— შენ კი გამიქრი! — გპასუხობს დედა!

## სიზმარი

ბაღი ვნახე და სიზმარი ერთად
ყვავილთა უცხოდ ნაფერი მოლით,
ბოლოკს ვარდების სურნელი ჰქონდა,
ვარდი ძალათი ისხამდა ბოლოკს!
მზე ანათებდა მაგრამ გზის პირად
მუხა ტოტებში ცრემლად დნებოდა...
„პლანი“, „პლანიო“, სტვენდა ნარცისი
მინდვრის ოხშივარს ეტანებოდა!
— გონს მოდით მეთქი! — ვიყვირე ერთხელ,
ვიდრე არ არის ბიჭებო გვიან,
— ჩვენ ქეშები ვართ! შეტყდი მანდედან
ჩაიხავილა ხახაში ხვიამ.
— არაყს მოველით;
ცის ნამს ვილა სვამს,
გოიმებად და შტერებად გთვლიან,
— მეც მოდას მივდევ! მოდი, მაკოცე
გამომწრიპინა ბუჩქიდან იამ!
ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება,
არა და ბაღო, როგორ მიყვარდი.
შევეხე ვარდს და...
ბოლო კი დარჩა
...ეს შენ იყავი...

***

მომიახლოვდი, როგორც არასდროს,
მომიახლოვდი!
– ვყიდი ვარძიას,
– ვყიდი ხერთვისს,
– ვყიდი არხოტს და
– ვყიდი ხოშარას...
მე აღარ მინდა თქვენი ლიბანი,
ისრაელი და მთელი კამბოჯა,
მე საკუთარი დარდი გამბოჭავს,
მე საკუთარი ბოლმა მომშხამავს,
შენ კი ჯიბეზე ხელებს იფარებ,
მე ამიტირდა მუხრანი...ანა...
მე რომ გავყიდო, იყიდი განა?
მე რომ გავგიჟდე მომკლავდი განა?
მე თვალებდათხრილ დიდ ფრესკებს გიცვლი,
მხარჩამოკვეთილ ამ ხერთვისს გიცვლი
იმ პირველადქმნილ საოცრებაზე.

## ეს ცხოვრება

თუ რამ სადმე მეტი შევსვი,
გადმომდინდა ცხვირში ძმარად,
ეს ცხოვრება ბაგირია
ხან დავძლიე, ხან დამძალა.
ოქროს ჩიტი მოფრენილი
ბევრჯერ თვალწინ ამაცალა,
ფეხი წავკარ, წავიჩოქე,
სულის მოთქმა არ მაცალა,
ხან ალერსით მანებივრა,
ხან დამაგდო ბაღში ცალად,
ეს ცხოვრება ბაგირია
ხან დავძლიე, ხან დამძალა,
ხან ცხელ-ცხელი პური მომცა,
ხან მაჭმევდა ცივ მჭადს მცირედს,
ეჰ, ცხოვრებავ, ვერ გადაგძლევ...
შენ ორს ებრძვი
მე და იმედს.

***

ისევ გინატრე ყვავილობისას,
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!
და შორეული მგზავრივით დაღლილ
მზერაში ჩანდეს შენი თვალები
მერე დავამსხვრევ ნიღაბს შიგნიდან
და ჩემშიც ვეღარ დამემალები...
ჩემი გულივით გელის და ღელავს,
ახლა კი თოვსდა... ალუბლის ტოტი
ილევებს ცაზე, როგორც ფურცლებზე,
ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს ელვა.
მე იანვარში დავბადებულვარ
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!

## სხვაობა

მაგნიტოფონი მივიწყებულ სიმღერას იწერს,
გულის ძარღვები მამულის სუნთქვას,
მაფნიტოფონი ჩანაწერის გადაშლას იწყებს,
გულში ჩანაბეჭდს ვინ ამოთუთქავს?!
მაგნიტოფონი უცხო მიწის მსმენელსაც იწვევს
...მამულის ბედზე ვის უნდა უთხრას?!



**გულნაზ ხარაიშვილი**

## სანამ ვიცოცხლებ

ობოლს თუ ბევრჯერ გენატრებოდა,
მამის ალერსი — რადგან არ გყავდა.
გულს დედის ლოცვა გემატებოდა,
შენში სიკეთის ნერგებს რომ რგავდა.
გზების გაკვალვა, ნიჭით შეძელი,
ლუკმის დაზოგვით ზენიტს გადაცდი.
სხვის გამოკაფულს კი არ ეძებდი,
ღვთის გზას მისდევდი, და არ დამარცხდი.
გლოცავ ყოველდღე, გლოცავ ფიქრებში,
ფიზიკურად და სულით ლამაზო,
ყოველი წამის ათვლის ციფრებში,
გული ბრძოლისთვის უნდა დარაზმო.

## გამახარე

ტელეფონით გაგიცანი შვილო,
ჩემი გვარის მამლაყინწა ბიჭო.
სიყვარულით გთხოვ არ მაშიმშილო,
შენ ხარ ჩემი მყარი ფუძის ჭიგო.
ხარისთვალა ჩვენი გვარის ჯიში,
მამულისთვის ბევრი შეეწირა...
არა ჰქონდათ მოძალადის შიში,
მათთვის კალამს ბევრჯერ გამოვპირავ,
გამახარე, სიკარგით და წინსვლით,
დარდიანი გული რომ გამითბეს,
ე, მაშინ კი თავაწევით ვივლი,
მტრის ეკალი შენით თუ გათიბე.

## ახლოს მსურს ვიყო

***(ბათუმში არის დედათა მონასტერი,***
***რომელიც ზღვას მთიდან გადაყურებს).***

ბათუმის ზღვაში დავცურავ და
შენკენ მაქვს თვალი,
შემაძლებინე, რომ შენს ხატებს
ხელი შევახო.
მოვეფერები, რადგან უფლის
მეცა მაქვს ვალი,
ახლოს მსურს ვიყო,
ჩემი სულის რწმენის ვენახო,
როცა ამოვალ, შევავედრებ ამერ–იმიერს,
დიდ გზას ვადგავარ, ციცაბოა,
კლდეთა აღმართი,
სანთლის ანთებით, შვებას ვიგრძნობ
თუნდაც წამიერს,
მერე წამოვალ, გემი არის
ჩემი სამართი.

## შენი ლოცვა

***(მამა ამირან ამირანაშვილს)***

შენი ლოცვა, მადლს მფენს,
გულს მიკურნავს,
ვგრძნობ ყოველთვის ჩემი მფარველია.
შენ უხდები „ათინათის“ ჟურნალს,
„ათინათი“ პურის თაველია.
ეს დღე უფლის სიყვარულით შედგა,
ღვთის ტაძრისკენ მივიწევდი მთაში,
ხელს მიქნევდა, თითქოს ქართვლის დედა,
მივდიოდი წვიმასა და ქარში.
გამახსენდა ამაღლების წირვა,
როს მამაო, ლოცულობდი ღვთისთვის,
ქადაგება მხრებს მოვისხი შირმად,
და ვირწმუნე რომ დამეთმო მტრისთვის.
ვხარობ მაშინ, როცა სხვაცა ხარობს,
თუ ტირიან, მეც ვტირივარ ცრემლით.
თუმცა ქარი ძველებურად ქარობს,
გავეცალე... რომ არ მომწვდეს ცელით.

## ძმას მას ვუწოდებ

ძმას მას ვუწოდებ, ვიხილავ ვისშიც
სულს სპეტაკსა და გულკეთილობას.
რა საჭიროა გენი და ჯიში,
ვალის გადახდის გაბათილება.
კეთილია და მორჩა, დამკვიდრდა,
დაძმობის ფიცის ალილუია,
ფლიდმა, ორპირმა, ფულში გამყიდა,
განა დაძმობა მხოლოდ ფულია?!

## ალი და ნინო

***(ალისა და ნინოს ქანდაკებას)***

მათ წინ ცეკვავს ზღვისპირეთის ფანტანები,
განშორებას ტალღა გადაბელავს,
მიხარია, რომ ყოფილან ამტანები,
მათაც სტუმრობს ქუხილი და ელვა.
სხეულს წყდება დარდებისგან გულის ხუფი,
სიყვარულით ცეცხლით განათუთქი.
ეხებიან, შორდებიან, წყენის წუთით,
საზრდოობენ ორნივ ზღვათა სუნთქვით.
თვე–თვეს მისდევს, წელიწადი, წელიწადებს,
ხშირად ვსტუმრობ, მიყვარს ზღვასთან ბრძოლა.
ვუყურებ და დარდი ფიქრში გამოვწალდე,
ქარმაც წუთით შეაჩერა ქროლვა.

## მინდა

მინდა სიკეთე, სუყველას ვაჩუქო,
რომ ბოროტების სიყალბე ვქოლო,
შენ ბედისწერის ბოლო ნაქურჩო,
შენგან ტკივილებს, მოვუღებ ბოლოს.

## წარსულის ანარეკლო

შორს დარჩი წარსულის ანარეკლო,
გულში ჩატეხილო ნემსო.
გაფრთხილებ, ჩემთან არ დარეკო,
ქარის და ქარიშხლის მწყემსო.

## მასწავლებელო

***(მანანა ხაბელაშვილს***
***– კოდის დაწყებითი სკოლის პედაგოგს)***

შენ თავდაბლობით ამაღლებულო,
მასწავლებელო, გულის მალამოვ,
ნიჭიერების აზრთა კრებულო,
ხომ მოიცალე მისთვის კალამო.
რამე გეტკინოს? არ შეიძლება,
სხირტლაძეების რძალო რჩეულო,
ახლა ეს ლექსი მოგეახლება
რჩეულ ქალებში გამორჩეულო.
კარგად აღზრდილი დედის შვილი ხარ,
დედას ვფიცავარ, მეამაყები.
ასე მგონია მამისშვილიხარ,
ქარის ენას რომ არსად დაყვები.
რადგან ამ ცოდვილ დედამიწაზე
უფრო ჭარბობენ ბოღმით ავსილნი,
მასწავლებელო, შენი ვიწამე,
შენხარ მზის სხივის ერთი ნაწილი.

## როცა

როცა დარჩები წლებით შიშველი,
იტყვი, რა არის უკვე სიცოცხლე...
რაღაც ძალები ციდან გიშველის,
რაღაც ძალებით გინდა სიცოცხლე.
იქით სჭირდები შენს ხალხს ისევე
აქეთ ვაჟი, ან ქალი გეზრდება.
თუ მგლებს საჯიჯგნად შემოგისევენ,
ფუძის ბოკვრები წამოგეზრდება.
წამოგეზრდება თამარ, ლევანი,
თეონა, ნანა, ნიკა, ვახტანგი,
თავმდაბლებიც და ზოგიც თამამი,
იოანე კი კალმით ნახატი,
გამრავლდებიან ისევ და ისევ...
მირზა, იამზე, დავით, ნათია,
ამ იმედების სასმისებს ვივსებ,
ცას კი ვარსკვლავი ჩემიც ანთია.

## ასეთი უგულო

ასეთი უგულო როგორ ხარ, არ ვიცი,
სიკეთე ჩაფარცხე მიწას...
ნისლი ხარ, ღრუბლებში ნათელი ნარცისი,
მძულხარ? ყველაფერს ვფიცავ!

## ეს ყველამ უნდა იცოდეს

გვიან მეწვია მუზა და...
გვიან გავხსენი კარიბჭე,
ნიჭს ჭკუა თუ დაუზავდა,
ლექსით ტიტულებს ვანიჭებ.
ხან ასე ხდება, ხან ისე,
მე ბედმა ეს დამაბედა,
ქარი ძალიან სისინებს,
ბრძოლას მასთანაც გავბედავ,
არ ავყოლილვარ მოდურად,
სხვის დუდუკსა და ქარაფებს,
ვარიგებ ყველა მომდურავს,
მათგან არ ვიღებ არაფერს.
ვავსებ ტრფიალის ელექსირს,
ზოგჯერ ტერეზაც მიწოდეს,
დარდიანს კურნავს ალერსი,
ეს ყველამ უნდა იცოდეს.

## დროვ არ გამინაპირო

სულის არე „ათინათობს“,
დიდხანს ეგაზაფხულოს...
ვუშვებ ჟურნალ „ათინათს“ და...
მთვარის სიზმრებს ვნახულობ,
დავალ, მადლი თან დამყვება,
ზამთარშიაც აპრილობს.
გული ყველას უმოყვრდება,
დროვ, არ გამინაპირო.

## რამხელა გული მქონია

რა სიყვარული მცოდნია,
რა სიძულვილიც იქვე,
ფლიდს, უხეშსა და ცოდვიანს,
ვურჩევ სიკეთედ იქცეს.
რამხელა გული მქონია,
სულ ტკივილებით სავსე.
მტერიც მრავალი მყოლია,
ვერსად ვერ ნახავთ მსგავსებს.
გადავალ, შიში არა მაქვს,
აქანავებულ ბინდის,
სტრიქონიც მორბის არაგვად,
ჩემი გულიდან მოდის.
ბნელეთის ღრუბლებს ავყრი და...
ავაფერადებ ირისს,
მოვდივარ გუდამაყრიდან
იქაც მამული ტირის.
გული მევსება ტრფიალით,
მართლაც წმინდაა სათნო,
ცხოვრების ორომტრიალში
კლდემოსილებას არ ვთმობ,

## გულის სარკე

გული შინდივით არ გაიკვირტა,
გული მთვარისგან უარყოფილი.
ბაგეს სიმწრისგან კბილებით ვკვნიტავ,
იმედით ვეღარ დავკმაყოფილდი.
ვის მოვეფერო, უკვე არ ვიცი,
სიცოცხლე ვისლა გავუნაწილო.
ფერადი კაბა ძლივსღა ჩავიცვი,
მაგრამ ეს ბედი იწილ-ბიწილობს
ხან, გავწითლდები წითელ ვაშლივით
ხან, ძველებურად მოვმართავ საჭეს,
სხვა ქალებივით თუ არ გავშიშვლდი,
რად ვერ ჩახედეთ ჩემს გულის სარკეს.

## ბეღურა ჩიტი

მოვითარეშე, ფიქრებით სივრცე,
სამოსელს ვიცმევ ყველგან სიკეთის...
ბეღურა ჩიტი ნაღველით მიცქერს,
ჩემს გულს რომ ხედავს, ორად გაკვეთილს.

## დროს ვსადილობთ

*(ციური ხარაიშვილს)*

დროს ვსადილობთ, მზე მიიწევს ჩასასვლელად,
სხვა რა გზაა, უნდა მივყვეთ ღვთიურ ნებას,
უკვდავების წყალს დავეძებ, ასავსებად,
სანამ წლები ფიფქებივით გამიდნება,
შენს თვალებში, ჩემი ცრემლის ცრემლი წვეთავს,
ძარღვები კი გვარ და ჯიშის ნაწილია,
ახლა ფიქრით გავათიე ღამე თეთრად,
სული ჩემი ლექსის ცვარით ავსილია.
წარსულით კი დამსერია გული ბედით,
ქარი ქროდა, საზარელად ორპირია,
რკინად ვიქეც, დიდ ტკივილებს შევაბერდი,
გაგიცანი, ახლა ჩემში აპრილია.

## ჩემი ლექსი

თუკი შენს სულს დაამშვიდებს ჩემი ლექსი,
ან აგიშლის კვლავ საღერღელს, შექმნა რითმა,
ბრალი აქ მაქვს, ზეციური ხმები მესმის,
უნებურად ფიქრი, „ფიფქთან“ გაირითმა.
მირჩევნია, შენც სხვებივით ხსოვნას შერჩე,
აღარა მსურს მზის სხივივით გავაშუქო,
ნუ ქარაგმობ, ნუ მიყვები რაღაც „რეჩებს“,
ცის სამრეკლო პოეტურად არ მაჩუქო,
შეგახსენებ, წმინდანივით დავაბიჯებ,
ცხვრის მაგივრად, შენში მგელი მეგულება
გაბედე და ერთხელ საქმით შემეჯიბრე,
დაგიკარგავს ნამუსიც და ერთგულებაც.

## მე

მე ჩემს ლექსს ვაიარაღებ,
სიცრუე მიუკარები.
ჯიქურ შენს კარებს გავაღებ,
ფრთხილ-ფრთხილად მოვიპარები.
ფიქრით მხარდამხარ სულ ვივლი,
ამოსუნთქვით და სურვილით,
ლექსები არის გულთბილი,
ლექსით მოვიკალ წყურვილი,
მოვალ და ყურში ჩაგძახებ,
რა შორს-შორს დაიარები,
იცოდე არსად გაძაგებ,
რადგან გსურს ბაირაღები,
წადი! გაშალე აფრები,
ფიქრებს ვერავინ დამიშლის,
ცრემლით სველი ვარ გავშრები,
ფიქრია ღამის ბალიში.

## აღარ მჭირდება

ნუ ჩემობ, ბილიკს ჩემგან გაკვალულს,
ნუ დაფათურობ, სულის უბეში,
დარდებს ვერევი და გულს გაკვეთილს,
აღარ მჭირდება შენი ნუგეში.

## კალამი

კალამი ცრემლით ამილესია,
ლექსია ჩემი ოცნების კიდე.
ლექსი მწვერვალზე უმაღლესია,
ლექსი მხარს შირმად გადავიკიდე.

## წადი

წადი გაყევი ქარავანს,
იარე ხელის აწევით.
მე შენი ჭკუის არა ვარ,
არა ვარ უღლის გამწევი.

## ვფიქრობ

ვფიქრობ, გული ხმიადივით გამოვაცხო,
ნატეხ-ნატეხ ლუკმა-ლუკმა დავამტვრიო.
ბოროტების ლაქა სხეულს არ მოვაცხო,
ჩემი დარდი, ისევ ჩემში დავატიო.

## წლებო

თვალებში ჩამხედე გაგახსენდება,
წლებო რომ გჯობნიდი ოდეს...
ფიქრი წარსულში გადასვენდება,
სწრაფად მიდიხარ და... მოგდევ.

## მივხვდი

ახლა აქა ვარ, ვხვდები შენს სტრიქონს,
დროთა ომებით, ნაგვემს დანაწერს,
ეგ, ნოველები მე ასე ვფიქრობ,
მთელ საქართველოს ტკივილებს აღწერს.

აი, ამიტომ წარსულსაც ჩავწვდი,
ჩავწვდი, შენს ნაქარგ, ქარაზმულ კაწრებს,
შენ შენი ხალხის ტკივილით იწვი,
მივხვდი, შენსავით ვერავინ დაწერს.

## ისრიმი რითმა

ისრიმი რითმა, რომ არ დაყანდეს,
შავბნელი ღამე თეთრად ვათიე,
ყველას ვუყვარვარ, შენ არ გიყვარდე,
ამას თვით ღმერთიც არ გაპატიებს.

## დარდო

დარდო, კეთილი საქმით მოკლულო,
სულს გული წმინდა ხატებთან მიჰყავს,
იმედით მღერი ისევ „ჩაკრულოს“,
და ეს სიცოცხლეც იმედით მიყვარს.

## ჩუმი დარდი

დედის უსაშველო ტკივილს,
გულის შეძლებაა ნგრევა.
ბაგეს არ იკარებს ღიმილს,
როცა მარტოდ-მარტოდ რჩება.
უნდა ჩაიხუტოს გულში,
შვილს ჩანაცვამი ქურქი,
თითქოს ყოფილიყოს გუშინ,
შვილის, რომ ატარებდა მუცლით.
ახლა დარდიმანდი ბიჭი,
უფალს მოუხმია ცაში,
ტანი დასუსხია ჭინჭრით
როცა გარდაცვლილა მაშინ.
ტირის საცოდავი უხმობს,
ფიქრებს, შარვალ-ხალათს აცმევს...
ციდან ხმა მოესმის უცხო;
დედი, ცრემლიან წყალს მასმევ
აქ, მყავს მამაჩემი დედი,
ჩვენთვის კარგადა ვართ ერთად,
ნუღარ, სევდიანობ ბედით,
ნუღარ, ემონები სევდას.
ვიცი შფოთიანობს ღამე,
ცრემლებს სხვის უჩუმრად აფრქვევ...
ნუღარ გაიმწარებ წამებს,
ყველა შენს ქალობას აქებს.
წარსულ პოეტების გვერდით,
ო, რა სიამაყით ვდგები,
შენც ხომ პოეტი ხარ დედი
ლექსით ნამტირალი გედი.
შენზე ლეგენდები დადის,
ამას მე ყველაფერს ვხედავ,
ჩუმი დარდის ფიფქი გბარდნის
მაინც ძლიერი ხარ დედა.
დედის მონატრების დღეებს,
სულ მთლად გაცვეთია ფერი...
სიმწრით დაიკვნიტავს ხელებს,
ტირის, არასოდეს მღერის.
უნდა ჩაიხუტოს გულში,
შვილის ჩანაცვამი ქურქი,
თითქოს ყოფილიყოს გუშინ,
შვილს, რომ ატარებდა მუცლით.

## არ ვიცნობდი მამის დედას

*(წარსულში ფიქრით ხეტიალი)*

არ ვიცნობდი მამის დედას,
რადგან გარდაიცვალა.
მამას ცრემლი დაებედა,
დედა გამოიცვალა.
როცა გაჩნდა მამაჩემი,
სხვა მონახეს გამზრდელად,
შეხვდა ბედის განაჩენად,
ტკბილი ქალი ნამდვილად.
ცხრა ჰყოლია შვილი თავად,
მამა იყო მეათე,
მას მოვნახავ ცას რომ ავალ,
დიდ საჩუქრებს მივართმევ.
მამაჩემი როს ყოფილა
ხუთი, ასე ექვსი წლის,
პაპას უთქვამს მე წავიყვან,
თორემ მშობლად არ ჩამთვლის,
გამზრდელისთვის მიუმართავს,
რიდითა და ბოდიშით,
ბედმა ასე რად დამმართა,
დღეებს ვითვლი ლოდინში.
გამზრდელს უთქვამს, სულ რომ მომკლა,
ვერ გაგატან ბატონო,
არ, ვაკლებდი შენს შვილს მოვლას,
ახლაც კარგად ვპატრონობ.
შემიყვარდა შვილზე ძლიერ,
ჩემი ძუძუთ გავზარდე,
გაჭირვებას უკვე ვძლიე,
ახლაც სადილს ვამზადებ.
ჩემს შვილს ძროხის რძეს ვაძლევდი
რძე რომ ორს არ ჰყოფნიდა,
არ მეგონა თუ დავძლევდი,
ჯაფამ მეც მამყოფნა.
მოეფერა თურმე პაპა,
და ხუმრობით მიმართა:
ლუკმას სიმწრით ძლივსღა ვყლაპავ,
ბედმა ეს რა დამმართა?!
სტუმრად მაინც მომიყვანე
ჩემი შვილი ჭიჭიკო,
მერე ისევ წაიყვანე,
იმ დღეს რომ ვიჭიკჭიკო.
დათანხმდება ბოლოს ქალი,
ქალი, მამის გამზრდელი,
ვინც გაზარდა ათი შვილი,
ლამაზი და ჯანმრთელი.
**დედის დედა მუდამ იყო,**
გულში სევდის წამშლელი,
მისებრ ბედი მეცა მბრიყვობს
აღარ დადგა საშველი,
ხან მეუღლე, ხანაც შვილი,
ხანაც ძმები, მამიკო,
მხოლოდ გული შემრჩა თბილი,
და ეთერი დაიკო.
ამირანი და თამაზი,
დაუძლურდნენ დარდებით,
ადრე იყვნენ ღვთით ჯამბაზნი,
იყვნენ დარდიმანდები.
ცას არიან შეხიზნული,
ლევან, ბექან, იუზი,
გულო, მიტომ დაუძლურდი,
დადგა ცრემლის აუზი.
**პაპა როცა სხვას დასჯიდა,**
მე ყოველთვის მაქებდა.
ლუკმა – ლუკმით პურს დაჭრიდა,
ყველას სახელს არქმევდა.
ლევანს, თამაზს, გულნაზს, ბექანს,
ეთერის და ამირანს,
ავიღებდი ჩემთვის ნაზად,
სხვისი ახლაც არ მინდა.
ყველაფერი ტკბილი იყო,
ბებოს განაკეთები,
სხვისთვის ცეცხლში დადნებოდა,
წმინდა სულისკვეთებით.
მონატრების ზღვა ადიდდა,
მოწყდა გულის ჯებირებს,
ცრემლიც ბევრი გადმომდინდა,
ზეცაც წვიმას აპირებს.
მიმიხედეთ ჩემს შვილს ყველამ,
ჩემი გელა მანდ არის,
გულს არაფრით არ ეშველა,
დარდს არ აქვს საზვარი.
მომაგონდით წინაპრებიო,
თქვენი ტკბილი ალერსით,
იყავთ ჩვენი საარსებო
სახლის, არემარესი.

## ვიღებ შენიშვნას

ვიღებ შენს რჩევას, ტკბილო მამაო,
აღარ ვახსენებ მტერს ისევ მტრულად.
მე შევეცდები თუკი გამოვა,
რადგან ჭარბობენ მელა და ტურა.
შავი ნახშირით წავშლი მტრის სახელს,
ვარდისფერებით გზას გავაგრძელებ,
ქარსა და წვიმას აღარ გავამხელ,
ლოცვით სიცოცხლეს გავიხანგრძლივებ.
შემინდე მამავ, ცოდვილს ცოდვები,
არპატიება, ცოდვად მეთვლება.
შეურაცხყოფის დღეებს, ვშორდები,
ვხედავ, რომ ჩემში მზე გათენდება.

**დათო ყანდაშვილი**



## ავტორისაგან

ერთი ჩვეულებრივი ადამიანი, რომელსაც არ სურს სიყალბით იცხოვროს ეძებს თვითრეალიზაციის გზებს. მას სურს შინაგანად გაწონასწორებული მდგომარეობის მიღწევა. ამიტომაც ჰქვია წიგნს „სასოებიდან სიყვარულამდე – გზა ჭეშმარიტი ბედნიერებისაკენ“. ეს პიროვნება ფაქტიურად ყველაფერს ებღაუჭება, რასაც შეიძლება ოდნავ მაინც ჩაეჭიდოს. ამის შედეგად ის ხან ძალიან სენტიმენტალური და ერთობ ბანალურია, ხან კი ცივი და პრაგმატული.

თავიდან ის ყველაფერს, რასაც დაინახავს და შეეხება, ლამაზ სიტყვებს არქმევს, უხვად და განუსაზღვრელად აფრქვევს ირგვლივ, რისთვისაც თითქოს ისჯებასავით. მერე კი, თავისი ფანატიკური გამოხტომების შედეგად მიღებული უსიამოვნებები არ მოსწონს.

და ასე გრძელდება იქამდე, ვიდრე ეს ადამიანი არ მიდის იმ დასკვნამდე, რომ აუცილებლად ესაჭიროება გონების უფრო მეტად და მეტად გახსნა. როდესაც ის ამ საქმეს შეუდგება რეალურად პოულობს შინაგან სიმშვიდეს, თავისუფლდება სიყვარულის ობიექტის ძიების პათოლოგიისაგან. ის ხდება ჩამოყალიბებული ინდივიდი, დახვეწილი პიროვნება და ბოლოსდაბოლოს ახერხებს ჩასწვდეს თავისი საოცნებო მიზნის, სიყვარულის ჭეშმარიტ არსს.

წიგნი მთავრდება იმ პათოსით, რომ დედამიწაზე, მინიმუმ ჩვენს მიმდინარე რეალობაში, ჭეშმარიტად ღირებული და არათვალთმაქცური ურთიერთობების დამყარება ადამიანებს ადამიანებთან უბრალოდ არ (ან აღარ) შეუძლიათ. იმ იმედით, რომ ვინმეს გააღვიძებს სულიერად ეს ადამიანი მოუწოდებს ყველას გახსნან უფრო მეტად თავიანთი გონება და გაცილებით უფრო გულისხმიერნი გახდნენ, პირველ რიგში, საკუთარი სულის და შემდგომ სხვა ადამიანების მიმართ.

დათო ყანდაშვილი

### ლექსი ლექსებს

როცა შიგნიდან გულის ზრახვა ამეწეწება,
ამერევა კარგი ცუდში, ავს ვერ ვერევი,
როცა ვნება მომეძალება, ისე რომ მკრუნჩხავს,
რა მშველის იცით ამისაგან მაშინ – ლექსები.
როცა ვერავის ვაგებინებ ჩემში მყოფ ცოდნას,
როცა ვერავინ ხდება ჩემით ამის შემმცნები,
სავსე ჭიქიდან გადმოღვრილი წყალივით ვღელავ,
გაინტერესებთ რა მშველის მაშინ – ჩემი ლექსები.
აი, გათენდა, თითქოს რაღაც აკლია დილას,
ამ ნაკლულობას განვიცდი, მტკივა, მაგრამ ვერ ვშველი,
რითი ვახერხებ იცით მაშინ ამის შევსებას?
დიახ, ასეა, ისევ მათით – ჩუმი ლექსებით.
ჩემს ცხოვრებაში ბევრი რთული წიგნები ვწერე
და მომავალში რამდენს დავწერ ამას ვერ გეტყვით,
მაგრამ რა ქმნიდა ამ რთულ წიგნებს ნამდვილად ვიცი,
რა ქმნიდა და ეს მარტივი, სველი ლექსები.
ახლა ამ წამს თავს ისე ვგრძნობნ თითქოს ახალი
რაღაც იწყება ცეცხლივით ჩემში, მაგრამ ვერ ვხვდები
და ამ მხურვალე ალის სითბოდ გარდასაქმნელად
დამეხმარება ისევ ისე, ბრძენი ლექსები.
რა აფხიზლებს ფანტაზიას მიძინებისგან,
რომ არ მოკვდეს, გაიგუდოს ცივი ტექსტებით,
რა აკავშირებს გამოსახულს წარმოსახვასთან,
დილის ცვარივით ცოცხალი და ნაღდი ლექსები.
დღე და ღამე გულს აყოლებს სიმღერებს ყველა,
მუსიკის ძლიერ, ძლევამოსილ ძალას ვერ ვხვდებით
და ისევ რაა, როგორ ფიქრობთ, მისი საყრდენი,
ავად თუ კარგად გარითმული გამა ლექსების.
თუ საკუთარ ტვინს საკუთარ გულზე მაღლა აყენებთ,
ეს იმას ნიშნავს პოეზიის ძალას ვერ სწვდებით,
სჯობს მოინდომოთ, გააღვიძოთ მთვლემარე გული,
გრძნობით იკითხეთ და თავად სცადეთ წეროთ ლექსები.

### სასოწარკვეთილების ზღვარზე

რატომ მეძალება ნეტავ ბოროტება,
თუ ამდენი ხანი თავი შევიკავე,
იცი, ჭიანჭველაც სპილოდ გეჩვენება,
თუკი დაიღალე, მაგრად დაიღალე.

### გულახდილობაში გამოწვევა

თუ ინსტინქტებით არ იმართები
გადმოალაგე შენი დავთრები,
მეც ჩემსას გეტყვი, გაგენდობი,
მერე დავთვრებით,
ერთ რამედა ღირს, თუ ინსტინქტებით არ იმართები.

## გამოუთქმელი წუხილი

ცხოვრება უცნაური ფიცხი მირაჟია,
საკუთარი თავი სადღაც გეკარგება,
აღარაფერი აღარ გიხარია,
თანდათან გავიწყდება რა არის ნეტარება.
უცნაურია, ხშირად მეფიქრება,
არ უნდა იყოს ასე, ნაღდად ვიცი,
ზოგისთვის სანატრელი ოთხი ფიცარია,
რამე შეიცვლება, ზოგიც ამით იცდის.
რას უცდის, რატომ ჰგავს ცხოვრება ჯოჯოხეთს,
რადა ვართ დასჯილნი ამდენი ხალხი,
რამდენი წელია ამას ვუკირკიტებ,
ხელახლა როგორ შევქმნათ სამოთხის ბაღი.
ერთის სიხარული, მეორის მწუხარებით,
მეორის გულგრილი გადავლით ხდება,
პირველიც დაისჯება მესამის გამოჩენით,
მაგრამ ის რატომღაც ვერაფერს ხედება.

ამდენი ძნელძნელობა, ამდენი ვაი-ვიში,
ამდენი სიცივე, შიმშილი, ნგრევა,
მაგრამ რა... რისთვის და რატომ
ამისთვის რატომღაც არავის სცხელა.
ყველა დაიღალა, სისხლიც დაიღვარა,
თავიდან ეს სისხლი შერაცხეს წმინდად,
მაგრამ დრო გავიდა და იცით მერე რა თქვეს?
ვინ სთხოვდათ, ნეტავ რა რჯიდათ.
დრონი მიდიოდნენ, წამები კიოდნენ,
რადგან დრო მოეკლათ ცდილობდა ხალხი,
იმას ვინ ფიქრობდა, ვერავინ ხვდებოდა,
თავის თავს იგდებდნენ წყვდიადის ხრამში.
ცხოვრება უცნაური ფიცხი მირაჟია,
საკუთარი თავი სადღაც გეკარგება,
აღარაფერი აღარ გიხარია
და სულ მთლად გავიწყდება,
რომ არსებობს ნეტარება.

## სუსტი წერტილი

არ მინდა ვინმეს უნებლიედ რამით ვატკინო,
ალბათ, ყველასთან ყველაფერში ვფრთხილობ ამიტომ,
ჩემს სამყაროში არ მინდა იყოს ძალმომრეობა
და თუ ვერ ვაღწევ, ამიტომაც ვკარგავ მხნეობას.
იმ ოცნებებში, სადაც მე ვარ, სიტკბო ზეიმობს,
იქ არავინ არ გაჰყვირის, თავში მე ვიყო,
იქ ცდილობენ ტყუილებით არ ჰქმნან საქმნელი,
საკუთარ თავებს არ დაარქვან მეფის სახელი.

ჩემს სამყაროში სანთლებივით უნდათ დაიწვან,
სურთ ერთმანეთის სიყვარული მკაცრად დაიცვან,
იქ ცდილობენ ეგოისტურს არ აჰყვნენ ვნებებს,
გულით ცდილობენ, როგორც ძალუძთ, ჩასწვდნენ ღვთის მცნებებს.
მაგრამ როდესაც იმ ქვეყნიდან აქეთ ვბრუნდები
აღლოს ვერ ვუღებ, ვერც ვსაუბრობ, თითქოს ვბრუვდები.
თუ არავის, არავის არ სურს ჩემი გაგება
სხვა გზას ვერ ვხედავ, კვლავ ჩემს სამყაროს დავუბრუნდები.

## წარსულში შეხვედრილ ადამიანებს

მე მეგონა დამავიწყდით,
თურმე აქ ხართ, გულში ზიხართ,
ერთად ამდენს როგორ გიტევთ
ნეტავ გული, ერთი ციდა?

## მუზა

თუ რამის წერა გწყურია, ეს უკვე სიყვარულია,
სხვა ვერ გაგიგებს, რთულია, ეს შენი სასწაულია.
არ დაუჯერო არავის, დასაღონებლად არრა ღირს,
ფურცელზე სული დაღვარე, რომ არ დამუნჯდე მარადის.

## ნოსტალგია

მომნატრებია, სიყვარულად ვიყო დაღვრილი,
მომნატრებია, ვიღაცის ნდომით ვიყო დაღლილი,
მომნატრებია, ვინმეს გულთან გაზიარება,
მომნატრებია, შიგნით რაღაც ხმის რეკვა ზარებად.

მყვარებია?! უსაშველოდ, უაზროდ, ძლიერ,
ალბათ, მიტომაც კარგავს ყოფა აზრსა და იერს.
შევიყვარებდი?! უფრო გიჟურად, უფრო უაზროდ.
რად იმალება? — ალბათ უკეთ რომ მოვუარო.


მზიური დათიაშვილი-აფციაური

ოცდამეერთე საუკუნეში რუსთაველური სიყვარული თუ კიდევ იარსებებდა არ მჯერა. წაიკითხეთ ავტორის ლექსი, ვიცი, დაგაინტერესებთ...

*რედაქტორი*



ვალერიან აფციაური და
მზიური დათიაშვილი


ვალერი აფციაურის სიცოცხლის
ბოლო პერიოდი

-1-

ვუძღვნი ჩემი სიცოცხლის იდეალურ, განუმეორებელ სიყვარულს, ღირსეულ ქართველს და ქომაგს, მთელი ცხოვრების თანამგზავრს, ერთგულ მეგობარს და მზრუნველ მეუღლეს – ვალენტინა აფციაურს (გარდაიცვალა 22/IX-2016წ) – მეუღლე მზიური (მზია) დათიაშვილი-აფციაური.

უკანასკნელი სიტყვა შენგან ესმის ახლოს!...
მე კი ვავედრები... იქნებ ზრუნვა ჩემი ვაახლო...,
ვერ მივუსწარი... ცოცხალ-მკვდარი ესვენა ხელში,
ვაი, საწყალო, ვალიკო!... – და ხმა იხშო,
როგორც სიკვდილს ამოჰყვა სიმწრით და ტკენით,
და საცოდავად განწირული ოხვრით და ხვნეშით,
შევალალადებდი, რომ სიცოცხლე, სულ ერთი წამით,
კიდევ მიეცა, ვილოცავდი უფალს ცრემლში.
ო, ვალიკო! – ჩემი ეს მონის ოცნება ძნელი!

თავდაყირა დადგა სამყარო, მაინც ვერ აიტანა შენი გარდაცვალება. ცოცხლად და – დავითისმშობელი სამი დღე, კადნიერებით ვეძებდი მთელი ზეცას. შენ!... არ ვიცი, როგორი ძლიერი ხარ, მაგრამ მე გავიგონე, შემდეგ, გარდაქმნილი, უძრაობით დავყრუებდი,... ვეღარ ვაკავებდი და ცრემლი არ მიშრებოდა. ჩემი გონება შენს გონებაში ჩაქრა და ამით შევყურებდი იმ გზას, სადაც უნდა წასულიყავი, უფრო თავი უკვე მიდიოდი...

ჩემო სიყვარულო, ერთად რომ უნდა გვევლო, რადგან აქ ჩემს გვერდით ნაშთი არ დამრჩა (მარტოობა დამრჩენია დავიწყებია) და სულ მარტო ვარ! – ჩემო! სად ხარ? ვაი, ჩემო თავო, ნეტა შეიძლებოდა ახლა ვავყვეთ ერთმანეთს? – შენ მე მეგულებოდი..., და მე არ ვიცოდი რა მომელოდებოდა.

შენ უკვე, მარტო უნდა შეგეგრძნო ის გზა, რომელსაც ვერ ასცდები წარმოუდგენლად. ვიცოდი, არსებობს უფლის გზა, რომელიც ოდესღაც უნდა გაგვევლო, მაგრამ ახლა? –, ასე უმალ გაიცა და ამის აღქმა ძალიან ძნელი აღმოჩნდა:

სიბნელე ჩამოწვა, ცა მთლად მოიქუფრა,
ღრუბლებმაც შენელეს დენა,
უსასრულოდ დარჩენილს... (ვერავინ მოიგონოს),
ვერავინ ამოიცნოს ეს...
ძნელია იქ... ზეცაში, გაიღო სარკმელი,
და წვიმამ დაიწყო ცვენა!...
ლამობდა შენს სახეზე ცრემლი მოესხურა,
ციურ წვეთებს ლოცავდა ქვეყანა.
შენს სხეულს დაფარულს გული მისტიროდა,
თბილი გულ-მკერდის დაკარგვა ხვევნა...
– გული გაჩერდა!... – და ეს თქვენს თუ არა,
მაშინვე ახდნა ზეცა...
– სიცოცხლე გათავდა! – ავარდა უეცრად...
...და მის ჩამოაჩრდილა ეს!...

-2-

ვ — ლოცულობს! — ღმერთო მაღალო! — მომმადლე ძალა ძლიერი,
ე — სიყვარულით არ მომკლა, მყავს ამით ქვემადლიერი,
ძ — ენი გვაჩუქე. მოხლემოიყრით, ვმადლობ მე, გულითმხმელი,
ღ — მერთო, შეგვინდე, რაც ვქენი, ვერ ვხედავთ ჩვენსა მტერი.
ვ — ინ ვაჩით ოცნებით ამქვეყნად? — არც არვინ, ჩემ მიწიერი,
ნ — ება შენია უფალო! — ღრთო გადიდებულო, ხნიერო,
ი — ღწვის! ასწეულის სურვილი, ყომარბით ნათელი, მშვიდი.

ჩ — ვეულებს დღით — ყველას მაცნე, რის ხმა მეჩვენებოდა გულზედა,
ე — ხვევა მთისა და ველისა, ზეცადან ღრუბელთა ქროდა,
მ — ზიანს და სურნელში ჩვეული, ფერიელ სიმღერა ჩერდა,
ს — ლუბოდა ცად სიყვარული, „მარადიულ“ ფიქრს ღებდა.

ს — ამყაროს ამქვეყნიური წყვდიადა სიცოცხლის ნაღველს,
ი — აგარიშმნილი ქარი კი ეკვებოდა ხვალის;
ც — ეცხლი ანთებდა კოცონად, ჩირაღდნის ადგენდა ნალელს,
ო — ცნებას ფერებს ... ეწვეოდნენ ხვალის,
ც — ისკრის ფერისცვლის გვაჩვენებდა ალიონს ყოველ მაღლის,
ხ — ეთ ჯაჩს მომელის დაანთებდა ნისლიანბურნუსით გავალის,
ლ — არლახვეული ზეცისკენ ისწრაფოდა მისი მთოვარე.
ი — ნეკებოდა კოცონს, ვით ცრემლიანი წითელ-ვარდი,
ს — ანეს ვეფურნიდი ვით ხეები, ხავერდით ხმა-მღელვარე.

ი — ლიმბრიოდა, სიმღერით, ვერის გაკვრებდა ვარსკვლავს,
დ — იდი გზა ქარიდან საუცხოდ ამქვეყნიურად კარს კრავს,
ე — ვედრებოდა ვარსკვლავს — ერთად ეხამ მე ცად ამზიდს,
ა — ლიერებდა მიწიერს, — თუ ვერ გადიხარ ნაჩქარევს!
ლ — ამაზ სიცოცხლის ფრთებზე: ხან მზის თბილი, ხან ცას! ...
უ — საყვარლესი ოჯახის ბედნიერებით გარეცხავს,
რ — ადგნენ და რეკდნენ ზარები, არ მიელოდნენ ქარცს, და ...

გ — ული ჩამწყვიდე, მე შენთან ერთად ვეფერები ცრემლს,
ა — ღარ მინდოდა სიცოცხლე, რა უნდა გამეცინებინა, ? —
ნ — ეტავ ახს ყველა მოვუყვდე, თუ არა და ვეფერებინებს,
უ — მისოდოდ ნატი მუდამ — ვისეგან იდუმალ მჩქეფებს: —
„მ — იყვარდი ჭამში ოცნებო! — ძალა აქვს ამ „მაცინებს“.
ე — რთდე მდინარე და ცვარ, — აფრინდე ვარსკვლავებს!
ო — ნ ერთი და მაისის მოვეწონოდ გმინვით მიწას,
რ — ისთვისაც ვარსკვლავის ამქვეყნად არ ვეწამები და ცრემლს,
ა — რ ხარ რაინდი, თუმცა ვერ მიჩნევენ ვაცემ ძმობა,
ე — რთ მდინარე შემიწყე და ცხოვრ მიანიჭე წყობა.
ბ — ედს ნუ უხმობთ და სხვისი ნუ შეუშინდებით ხმობა,

ე-შეხვდე ოდაოის ფეხსთა, რომ შემაცდენელ მზერთა,
ლ-ელით შენს გაქვს, ვხატავ ქვეშით მზრუნველისა თვალთა.

საიდან სიყვარულის ქარიშხალი ნისლი და ყინვა,
ი-ცოდე ყველას ფასი, სიცრუვისა ქარიშხლის ხრიალია, (ნხთვნია)
ყ-ვავილი ვიყვარდეთ ვიცით, ყვავილისთვის ქარიშხლის ხმაურია,
ვ-ალიფით თვალისა შუქით, შენი არ იყოს მზერაა.
ა-რც აჩვენა მზეავი შენ არა ქარიშხლის ყოფნა,
რ-ამდენ წამიწლის და სითბოს დაიკარგული ვეძებნიდეს,
უ-რიცხვით არ ძალუძს, ადამიანს მოლოდინით ცრემლა,
ლ-ხინის ვარდი? — არა, არ, არ, აღარ ნისლიანი ძებნა.
ს-აიდან ვიძინებენს ფილმით და დაფიქრა ვამეცნობა,

დ-ღე შენთვის იყო სასწაული — ასეთ სიყვარულის დარი,
ი-მედი ქვეყნით ცისკარი — ღვთისმშობლის ვარი,
დ-აჩქს შენ თვალის ფერებით, ჟრიამულის, მუსიკა,

ს-ულკენ ზღვის კისკისებდა, სევდიანი განაგარი.
უ-საზღვროდ შენ, ვაჰთა, მოვლენის ვაზ-მაყარი,
ლ-აბნეტ შიგ ჩაყუჯე? — თუ არ აღვიძებ ქარი? —
ი-ლოცეთ თვალისა შუქიერი: — თქვენი ხსნა დიდი არი!
ე-ვედრეთ მადლისა ზეცას: ღმერთ მოვლენის მშვიდი, წყალი
რ-ამდენ ლოდი მადლით ზეცას მოძღვრებით ქარი!

მ-ოციქულებად ფრთოსნებით, მოძღვრისთვის შიმშილი არი,
ვ-ედრები ნეტავ ძალა — ჩვენების დიდი ვარი,
უ-რიცხვით დღეც სიყვარულის ვერ შეხედნენ მზერანი;
რ-ომლის ვიდრე გზაზე: მთამომავალი ყოფანი,
ნ-ეტარებით ვლოცვებზე მოვლენაში წყალნი,
ა-რსება და ჭაღარა ზეციური მოციქულთა სივრცენი,
ლ-აჟვარდოვანი ვინ წრეებზე მოცემით ვარდი-თამანი,
ს-აიდან სილამაზის სხივი, სხვაგვარად თხზვანი,

დ-ა ვაჟკაცის დღეებს დაფიქრებული ფიქრის წვანი,
ა-რ შენს არც ერთ სითბოსთვის ახალი ჩვენ ნაზი.
ქ-ვა სალ-კლდით-თეთრი ქორწილი, მოზრდი მოვლენა, გულის,
თ-ავის ჭიქებს ვაწყვეს, ლამაზი ბუნების მზეთა,
მ-თებს ზღვისპირის, ტრიალი აქვს სიცოცხლის ვნების,
ა-ბერე მთის არწივს ნიავი და სისხლს სვამს ყვავის,
ქ-უხილს, ვაჟკაცობით, ელის მაშველის ქვეყნის,
ს-ად ხარ, ასე სად ნავარდობ, სიმღერით, ვაჟკაცის მზრდელის? —

— მამა ღმერთის, იდეალს გავეყრები, შენ, ჩემო სიყვარულო,
— თ-ხოვნა მფარველისა მხედრისა მიიღო სიყვარულით,

[illegible]

ლ- აფარონ ვერილი და მჯვიტე, მთელი ცხოვრების ეკლესია.

მ- ზეზე გვასწავლიდა, ამაყთა სულთა აქმეს სხივები,
ე- რთგული საქმენის მცველები, მას სითბოთი ვანათებენ,
ო- ვალოვნებდით ცისკარსა, ჩვენს გზას ვინიდენ მთიები,
დ- ღეთინი მეცნიერთა მოვლინებუ და დაგვიწნის თები.
ლ- ოცვ ზეცას ნისლი ვავრა, აცრემლებენ დაიდით ლვები,
ე- ნაცრთებით ჩვენსავით ვაკუ ქამ- დახატებები.
ს- იყვარულის ველის წამლამან: ვერც ცრემლი, ვერც ა წყლებით.

- ვ- ეძებ, ვეძებ, ლაბირინთის სად ჩათობზე კარები,
ა- ლუბითა კვავსი ფერად- ფერადი ვარსკით,
ლ- ოცვ მოების ჩამოჯდომისა ცად მოწყვეტილი ცვარები
ი- ადონები „ვალოთები" — ო, ეს ვეღარ ქალები,
კ- ოცნობის მთათა მეგობარებს, ვერ აჩერებენ ქარები,
ო- მს ოცნებათან ამიხანს, ცეცხლით ნდებინ ქარები,
- ს- იყვარულის ოქროს მოძალიკვთ, ცრემლებით ი გეთაყვანებით!

ი- ამ კავლით კარები მამის ცრემლებზად ვაწვიმდა,
კ- ასხენი ოცნო სამყარო, სად დათ ელ- ჭერით მაწვიმდი,
ი- რმთა მეგობრობის ოქავჩინით სასმის ვანდებდა,
ვ- ა ღვთ, მაკ ძმის სიცოცხლის სულ ნანილ- ნაღით ანდებდა.
ე- ძებდა ეულით ვედრებს სიზმრის, ოაცდავს ნდომდა.

ჯ- ავე, ვინ დავკარგე, სიყვარულს, ორი ვორ იცავდი ოაინდი,
ა- რ იცვლიებოდა შენი კოცნა კვლა სამოვნებით ამინდი,
ლ- ამაზ თეშა სიმღერის მოვკავს შენი სალოცთი ქმა - მინდი,
ე- ლი საოცარ თბნილებსას, მეოცნებენე ხმა - წმინდი.
რ- ეალურ დროთა ცვლილებას ვაძისავით ნვა მეინდის,
ი- მედით მავსებ: ოამეთი, მწამს ლოცვილობავან ვაწრწყინდა,
ა- მსთან, ჩვენი ლიხსებს ვაცეი- ვაცოზის არს წინდი,
ნ- იშნად ვანათებულს იწვი, ვარ დის სიწმინდით დაწინდა.

- ა- ძი აპოფეოზადა - ეს სამშვიდობო მალები,
ფ- ოთა ფერთას უყმოსკოს არწივმა, ცად მიაქვს დანაბარები;
ც- ოძილის ზღვას ოი ოძ ვალდოფერიდა, მეძინდება ჩემი ნაბიჯები,
ი- მედით ლოცვას წარმოვდგება, ვიცო- და ესაპიალები.
ა- ნიჩი სულით, სიყვარულს, სინიჩით ოფოთის ძვალები,
ო- სიყვარულით აფეთქება, ცოდვებსა ამყრის ბრძყალები,
რ- ამდენ სიკვდილსაც ისორავ, იმედიერ ჩემი თვალები,
ს- იცოცხლის მოვამავებენ, სვე- ბედისწერის ცალები.

მ- ე მაქცეე შენი ნიოფეას, ნეცი მწყემსად თვალისჩინი,
ზ- ეცად ველის წმინდა სიზმრე, მათთან კი არ დაიხცვინი,
ი- ცი? - მაროვალ ვაცის ზოდი, სიმართლე ვით შელს მიწით,
ა- რ არსებობს ცოდი განსჯა, ლოცვის იყვარს ოთმ მოითმინი.
- შ- ევიწროე!... წაქცეული, ორცა ვნახე მე ქვარამი,
ე- ოთვის ნიდი სიცოცხლის, სული მოვავლე ღვთის მეშვი,...
ნ- ეცავ იმ წოთს, ჩოს ერთმანეთს, ვეპირიზებოდით თამაშში,
ი- ცინოდი, მელოდიებს აჟღერებდა ბავშვური ხმაში.

-6-

მ-ინდა მიყვარდეს მომავალ, არ დავიმჩნიო წუხილები,
ხ-ენაა ამისი მოწმე და ნაწუგარი ნაბეჭდი...
ი-არჩინდა ოდითგანვე ვეფხვი გული-განამწყრალები,
უ-ჩვად მიხმობდა ნაბიჯში ხმა ექოდ განამწარები.
ნ-ულის ვაფიცებდი შეხვედრისა: ეწერე თვალთმოსიცლინები,
ი-ნანად მკვდარი მეგობრე სიმართლე-დანაცრობები.
ჴ-იდ ოჯახის მთამავეს, გულის დარდიც დიდი გქონდა,
ა-რავის ჩიმ არ უმხელდი, ღვინის სმაში გადაქონდა,
თ-ეთრ ლამურში ჩიმ ათევდი, ნაძირის თრევლიც ჩიმ გათევდა,
ი-ცოდლობდა დიდ ნაღვერლს, აღმოაფერხი გახსოვდა,
ა-თეულობდი დიდ ჭადარს, ოჯახი კი მისას ვერხოვდა,
შ-ენი დიდი მომავალი — ცოლ-შვილი ცას გამოხედავდა,
ვ-ალიფეთ მზე შენთვის წვიმდა, და წვიმა კი ნაბადს ქსოვდა,
ი-დილის ცრემლებსა ვინ გადა სიკვდილ დავითმობდა?...
ლ-ექსი მშობლის გასახლებად, ასე ესე კალამთანდა,
ი-ოდეთადი იდილია, ჩასაც შენი გული გრძნობდა...
ნ-ამდვილია სამშობლოს ვნააწმენდილი „ორსანი",
ფ-ერფლისად ძენცი და წყალთა, მონ გაამრნე ხორხანი,
ც-ოდნიანი ევედრე ოჯახის, მზერით დაცვით სირბანი,
ი-ვართქმნილი ნასხლიდი, ღასცუ ძაბის ვითარც ლოირანი.
ა-ძირმეთა არი შევწირით გული ნამწყრალები,
უ-სიყვარულოდ აქმნულად ცოდვათაგან დანაზრდილები,
ნ-იეთ ზნეობა სიკვდილი, სიცოცხლით ფეთქნი ჭალები
ი-ცი; კოდელ დიდა სიცოცხლე, გვეცვი: „თქვენ გენაცვალებით!"
ა-მოსვლიდა ცხოვრების, ძირამ გარადა სათქმელი,
ჭ-ინიერებით ფასიონი, მაკრამ იყავ სულ თქმელი,
ა-ჩრდი ლეპორთა შენი სიდინჯე და ყოფა ძმური,
ნ-აცვრად დაგრჩა: სიცოცხლეში მოგენდობია შენ სათქმელი.

P.S. — შენ დაიფერფლე, ოჯახიც კი ცი ლვთაებისაგან ძმენელი,
კართაცვალებამ შე დამახვედრა დიდ თვეანის ლომელი,
იდუმალება კაცობრივი — საიდუმლოთა წმელი,
სიზმარი დამრთვე, წმინდა ვენახად —
სულ შემომდგომად სხმელი!...

შენი ძმა (ძმიკო) დათაშვილი ავთანდილ
22/X-2017წ..

# საბავშვო განყოფილება

## ბურა-ანბურა



ღვთისშვილთა ბრძოლა დევ-კერპებთან
საყმო ლაშქართან ერთად

მითოსი /ნაწილი მეორე/.

[illegible] 1.

# ღვთისშვილთა გადმოსვლა საყმო ლაშქარის დასახმარებლად

რქადახრილასთან დაიჩოქა საყმო ლაშქარმა, წინ წარსდგა ხევისბერი- მკადრე ღვთაებისა და მორიგე ღმერთს ლაშქრის დალოცვა და კურთხევა შეჰღაღადა, შეჰვედრა ღვთისშვილთ შემწეობა, მტერზე გამარჯვება და სახელოვანი სიკვდილი. მორიგე ღმერთმა არ დააყოვნა; „სენსამსალაით" დაფერილი იარალი დაულოცა ღვთისშვილთ; მათრახი, ლახტი და სხვა საომარი სასაგნავები და ლოცვა-კურთხევით გამოაგზავნა საყმო ლაშქარზე შემწეობის მოსაღებად.

კოპალამ, წმინდა გიორგიმ და იახსარმა სამასსამოცდასამი მხარე მათრახი (სამოცდასამმხარიანი მათრახი, ზეცის 9კარით და სინათლის 7ფერით გადაფერილი) აღიღეს ხელთა, გრდემლი მოსწყვიტეს მიწიდან იმ მათრახებით და ზეცად ზეაიტაცეს.

სხვა ღვთისშვილთაც, წყაროსთვაულმა, ნაღვარმშვენიერმა, ბერბაადურმა ხელთ იპყრეს ელვის მათრახები, ქარის მათრახები, მზის მათრახები; შესხდნენ ლომებზე, ჯიქებზე, ავაზებზე, ორბსა და ფასკუნჯებზე და გამოემართნენ საყმო ლაშქარის დასახმარებლად.

მათრახები გადმოუქირეს და კლდეზე ჩანჩქერები დაჰკიდეს. გრდემლი ესროლეს დევთა, როკაპთა ავსულთა და ერთიანად ამოჟლიტეს. განახვნეს კარნი ქვეშეთისანი და იქიდან, ვითა ბროლის წყარო კლდის დედა გამოიყვანეს, მზეთუნახავი შუქსხივმფინარე.



დასწყვიტეს ველზე მათრახნი
მიკლაკ-მოკლაკნეს ხეობად,
ცაში აფრინდა ალალი,
ამცნო ღვთისშვილთა ზეობა,
გაუშვეს წყალნი კლდისანი,
ნახეთქი მიწის გულიდან;
მდინარე არაკისანი,
მლოცველი გაზაფხულისა.

© [illegible]



მხატვარი ნესო გელევანიშვილი

სადაც კლდეები განწირულნი სწერენ ეპოქებს,
სად, წეროები ლაჟვარდოვან მირაჟთ მეფობენ,
სად უცნაური თვალი დამზერს ტყიან ფერდობებს
და ჰყეფს ბინდისფრად წუთისოფელი ხეთ შენატროტებს,

[illegible], სპირალების უძირო ფონზე,
ანგელოზები-ღვთისშვილები საშველად მოვლენ,
სულში უძირო ნიაღვრები ბროლის მთებს მოსწყდნენ
და ყოვლადწმინდა-კალთანამძივად შეინატროტეს.

◆

## ღვთისშვილთა ბრძოლა ბნელეთის მოციქულთა და დევ-კერპთა წინააღმდეგ საყმო ლაშქართან ერთად

ქარი სისინებს, ქარიშხალს უხმობს მომეცი ძალია,
მუდარის ცრემლი ჩამოსდის, გულს სჭვალავს სატკივარია,
უხილავს, ჯერუხილავი, ღრუბელთ მგლისფერი ჯარია,
ციხენი ჯანღით ნაგებნი, ელვის პრიალა ხმალია,
    საომრად გამზადებული დევთა შეკრული რაზმები,
    თვალები გადარღვეული, შუბლს გაწყვეტილი ხაზებით,
    ზვავთა ლაჯებით დამშვებნი, ღვართა სამზადი ბრაზები,
    ამბობენ: მთები მოვგლიჯოთ, მინას ვუმტვრიოთ რაზები,
დავლეწოთ კაცთა ნაგები სახლ-კარი, მივცეთ დელგმებსა,
რომ ვერ შეირგეს ულირსთა, ვბუგავდეთ იმათ ედემსა,
დავაწიოკოთ ცოლ-შვილით, ვსჭრიდეთ სახვეწარ ყელებსა,
საძიძგნად მივცეთ ქორ-ძერებს, ზედ დავახვევდეთ გველებსა,
    ჩავყაროთ კუპრის მდინარეს, ქვესკნელს გავულოთ ხახანი,
    წავლალოთ მათი ხარ-ძროხა, ცხვარი, სარჩო და ალალი-
    ნავართვათ, მწირზე დავტოვოთ; ტურა, მგელი და აფთარი
    იმათის ლეშით დავაძღოთ, ჩავქოლოთ კლდეთა ნაშალით.
ქარს გაუშლია მკლავები, სწეწავს ღრუბელთა ტყვიებსა,
ელის ქარიშხალ-გრიგალებს, ავთა საკლავად, მშიერსა
და აჰა, დანაპირები ზეცის კივკივა ტინებსა
მოადგა თეთრი გრიგალი, ზათქით მოდენის ტივებსა.
    დაშალა რუხი ბალღამი, ჩაჰპირა ელვის ლაშები,
    წააძრო შავი ნაბადი, გამოუშიგნა ფაშვები,
    აჰკაფა ბილწი ნადირი; არწივნი სისხლზე ნაგეში
    ზედ მიუსია, უმტვრია რვალი, ჩაჩქანი, დაშნები.
გამოაჩინა ზეცაში გველი, საზარის სახითა,
უზარმაზარი ფრთეენის ხევის-ხევამდე გაშლითა,
ავის თვალების ბრიალით, ჭანგთა ფოლადებრ მაშითა,
პირიდგან ცეცხლის მფრქვეველი, სავსე სიბილწე-შხამითა,
    გველზე შემსხდარი ლაშქარი; ალნი, ჭინკები,ქაჯები,
    ხელში ნამსხვრევი მზეებით, შარდის ნაღვარის დამშვებნი,
    დევები ბანჯგვლიანები, ჯოჯონი-მათი რაშები. . .
    შურდულში დიდრონ ლოდებით, კუდებით-ქამანდგაშლებით.



შეძრწუნდნენ, როცა გრიგალმა პირბადე ჩამოახია
ჩაუტყდათ კოკზი ნაცარში, ქარმაც დაჰლმუელა. . . ახია. . .
ეძგერა, ზეცას მიჭუჭკნა, ცუდად არ უვაგლახია,
გამჩენი დაანწყევლინა, მისცა შიში და ფახია.
ქარიშხალს მოჰყვნენ ღვთისშვილნი-მშველნი საყმოის ჭირისა,
ლაშარ, კოპალა, იახსარ, ლომისა, მტკიცნი პირისა,
საბრძოლო ლახტით, ჰოროლით, შუბით, ნაწრთობის რკინითა,
ცეცხლ — ნავთით ბერი—ბაადურ, თერგვაულ ჯაჭვის კრინითა,
გიორგი ნალვარმშვენიერს მოსძახის წყაროსთვაული,
გამოჩნდის ბრძენი კვირიაც და მზეჭაბუკი ფარული,
ისარ-კაპარჭით, მშვილდებით, სამძივარ, პირმზის მხარულით,
ვით მნათნი, დიდნი ვარსკვლავნი-დანი მზისა და მთვარულის,
ზოგი ფასკუნჯზე მსხდომარნი, ზოგნი ორბზე და არწივზე,
ხარებზე სპილენძიანზე, ლომებზე ფაფრიანებზე,
ცის იალქნებზე წეროთა გუნდებზე ნაფრთიანებზე,
მთვარისა ტყუპსა ძაღლებზე, ტახზე ეშვ-ადლიანებზე,
ასწიეს მთაგრეხილები, ქედს შეანყვიტეს ქედები,
დასეტყვეს ზეცის ცხრა ფონი, ქვანი შესტყორცნეს ფეთებით,
ზეაიტაცეს ჩანჩქერნი, ჩანჩქერნი ბროლის წვეთებით,
ამსხვრიეს მყინვართ ენები, იმარჯვეს კომბალ-კეტები,
დააცხრენ ციურ გველეშაპს, მისი ლაშქარი ცემესა,
ზოგსა კისერი უგრიხეს, ზოგსა აჭრიდნენ ხელებსა,
ზოგნი დაჰბუგეს და ზოგნიც, ხევსა ღვარცოფით მხეველსა
თავგაჩეხილი დაუშვეს, ბნელო! ჩაეშვი ბნელეთსა.
საყმო ერთ თემად შეკრული, ერთ მუშტად, ერთის სულითა,
ერთსა ვულკანში ნადული, ერთ გრდემლს ნაფერის რკინითა,
ერთ აზრით, ერთის გუმანით, ერთის წადილის ხიბლითა,
ერთ სალოცავის დამცველნი, ერთის იმედის სხივითა;
ჩასხმული ჯაჭვის პერანგში, თორ-მუზარადის რვალებით,
სახითა სვილისფერებით კლდის ვეფხვნი, ვეფხის თვალებით,
ფარებით, საფუხრეებით, უროთ უმძიმეს მკლავებით,
მუხლებით ფეხჩაუხრელნი, მამულზე ლოცვიანები
ბილიკით გადაპოხილით, იმათის სისხლის პოხითა,
წინაპართ საძვალეებზე ბრძოლნი და შრომნი ოფლითა,
არც რის დამთმობნი, არ მშიშნი, მტრისა ჭირის და შფოთისა,
ფეხდაფეხ მიჰყვნენ ღვთისშვილებს, ძლევის სურვილმა მოთიბა
ნისლები დარდიანები, ბურუსნი ბინდიანები,
ბილიკნი შვავით წამლებნი,მთები ხმალ-ქამრიანები,
დრონი ჟამგაუტეხელნი, ჭიუხნი თოვლიანები,
სივრცენი დაგრეხილები, დღეები ღამიანები.
შურთხი გაუსტვენს, გასძახებს მოძმეს წარსულში მსტვენავსა,
კლდეებში გადაფრინდება, ცვარზე დაიწყებს ლხენასა,
ჩამოჰკრავს როჭო ზარის-ზარს, გველი ისწავლის ფრენასა,
არწივი დაიყაშყაშებს სიმღერით გამარჯვებასა





## ღვთისშვილი თეთრი მთის ქორი - თერგვაული

თეთრი მთის ქორი-თერგვაულ, სინი-მთოვარე ვერცხლისო,
დღე სინ-დელიოდ მოვალის, ვერას დააკლებს მგელიო,
ნათელვარსკვლავის სახით სჩანს იახსარ, ჩვენი მშველიო,
კოპალა-ირმის ნახტომი, იგრი-წყლის ღმერთი სველიო.

მანგური მეტად მშფოთვარი გადაიქცევა მღერიოდ,
ხატები-ლომისკარული, ცის ლაჟვარდების კლდენიო,
პირქუში ცეცხლის ალებით, ცეცხლის მათრახის მჭერიო,
პირიმზე გზებსა გვინათებს,სხივთა დაუწნავს წნელიო.

სინათლის დედაც გადმოდგა, ანათა ქვეყნის კიდენი,
ჰა, აგერ მჰერიც-ვანის კლდე, დედის ბროლს შენაბინდები,
გასჩქვიფეს ბევრი სიმური, ბნელთა ბჭდეთ შენაჭიდები,
ქვეშეთს მიმავალ გზებზედა შეხვდათ გველჭრელა ქიმერი.

სულღუმი ფრთებს რომ გადაშლის მზე დაბნელდება ცაზედა,
ფასკუნჯი, ნატვრის თვალივით, წიოკს მიიტანს ავზედა,
გადმოენთება ბროლია, ალმასებრ ციას ასწვდება,
ქაჯნი კბილსავარცხლიანნი დღე-ათინათზე დაფრთხება.

გაიქცევიან დევები, ლოდთა დალეწენ ფეხითა,
იმათ მიჰყვება როკაპი, შხამით, კრულვით და წყევლითა,
ჭინკანი წიოკს მორთავენ, ეშვთა და კბილთა ღრეჭითა,
შეჰგალობს შაშვი ტოროლას, მტრედი ფრთეას გაშლის ლხენითა

ისეთი ჰანგი ასტყდება, ისეთი ჟივილ -ხივილი,
კბოდეს მოდგება ხარლალი, დიდის გაბმულის ყვირილით,
ცა გაიხსნება ცხრა ზეცის, ცისკრის ლაჟვარდა ღიმილით,
ვისაც სურს როკვა დაიწყოს და სიხარულის ტირილი.

◆





ღვთისშვილთა ბრძოლა საყმო ლაშქართან და ცეცხლის ღვთაება
აგუნა [illegible] ერთად დევ-კერპების წინააღმდეგ

მთის კალთა ჩამოაზვავეს აბჯაროსანმა ლოდებმა,
წამოიყოლეს საჯაროდ ქალთა უთქმელი გოდება,
ბავშვთა უძუძუდ ბოქირი, მკერდთა ურძეოდ ლოდნება,
უბრძნეს მოხუცთა ჩიფჩიფი, სატრფოთ ყელდაყელ ტოტება,
უენო ხართა ბღავილი, მიწის ბელტებად ლოდინი,
სამწყემსურები დაცლილი, ძაღლნი ბრძოლებით მოღლილნი,
მგელთ ხროვა გალაღებული, ხევთა უმთვარო მოტივი,
თვალები ნათვალთვალები, ვნების მიმხმობი ფოფინით.
ჩამოჰყვნენ საყმო ლაშქარსა ღრუბელნი რუხის-რუხები,
ღვთისშვილნი-მოცაურები, ელვით და ქუხა-ქუხებით,
ცაზე გაშალეს ნაბდები, თავს წამოიცვეს ქუდები —
ჩაფხუტნი მტკიცე რვალისა, სამკლავნი, რკინის ფუხრები.
კოტებით ნაირნაირი, მორჭმულით მონახატებით,
ფარებით ბორჯღალიანით, მკერდებით ხატის-ხატებით,
დიაცთა ამოქარგული, ნამღერი ციცა-კატების,
ბეგთარი, ჯაჭვის პერანგი, ცეცხლზე ფიც-ვერცხლით ნაფერი.

დედო სტიროდა, ვაიჰმე, ვაიჰმე მკერდო დამწვარო!
ვაიჰმე, მწვანე ჯეჯილო, სისხლო ძარღვებში გამშრალო,
ყრმაში ჩაკლულო ალერსო, მომსკდარო შხამო-სამსალო,
შუქო სულიდან მოსულო, მზეო, ღრუბლებში გამკრთალო,
ჯანდაბას ჩემი თავია . . . გამმზერ ეტყოდა სივრცესა,
შვილნი თუ მომიკალია, მეცა შამრიე ბინდებსა,
მყობადში გაგვთენებოდეს, აწმყო თუ ტანჯვად მიგვცემსა,
გაგვმარჯვებოდეს დუშმანზე . . . გულსა უშლიდა ფიქრებსა.
აზავთებული მიჰქროდა ლაშარ-ლაშქარის ჯარია,
გული მიენდო დიდგორთა, ფრთა-ფრთითა ნაფერთალია,
ფურჯანი სივრცეს ლეჭავდნენ, ოფლის სდიოდათ ღვარია,
ბილიკნი ქარ-ქარ ფრინავდნენ, წინ ედოთ ცოდო-ბრალია.
მოწყენით ისხდნენ ყვავილნი; ქუჩნი, ღვია და დეკანი,
ახსენდებოდათ პირთეთრას წმიდა თვალების ფეთქვანი,
მკერდნი ტალღობდნენ გრძნებათგან, ყვავნი, ყორანნი,ძერანი,
ფრაშფრაშით ფრთებსა ჰკეცავდნენ, სისხლმომლოდინე ცქერანით.
სამასსამოცდასამისა სამების წმიდა ხატები
ზეცაზე ლანდის ჩრდილივით იდუმალ დანახატები,
უხილავ წამში მავალნი, დროთა მოკლება-მატებით,
ნამყოსკენ უკუმავალნი, წაღმა-უკუღმა მძახენი:
გამჭვრიტნი სამომავლოსი, სამანთ დამცველი ძირები,
კაცობის მავედრებელნი, მშველნი ბედ-განაწირების,
მახვილნი ამომართულნი, შუბნი წვერჩანამწკრივები,
ტყვიის ღრუბლებით იძვროდნენ-ღმერთის უბადლო გმირები.
მკადრესთან ჰქონდათ ბაასი, ვინცა იკისრა ბერობა,
ხევსა წინამძღვრად დაუდგა, საღვთოს დაუწყო ფერობა,
ადიდა ხმალზე სიკვდილი, სიცოცხლეს სწირა მღერობა,
ყოფის და არაყოფისა ინამა არაფერობა.
სახელად ერქვა აგუნა, მამა ურიცხვი თემისა,
ტრფიალი ლამაზ არსისა, მებრძოლი გათენებისა,
მქმნელი მარადის სიკეთის, მომხვეჭი უკვდავებისა,
ღმრთისა სამართლის დამცველი, ერთგული საყმო-ერისა.
გამოიტანა დროშები ნაჯაფ-დაკოჟრილ ხელებით,
რამოდენიმე ხმიადი, შესაწირავი კვერები,
ლუდი და ჟიპიტაური, ნაკურთხი, ნაიმედები,
ღვთისა საკლავი კურატი, რქათა აღერილ წვერებით
მოჰგვარეს, როგორც მიმღები ამქვეყნიური ცოდვისა,
შავი, ვით კუპრი იმფერი, ნაღვარი ღვთიურ ბოსლისა,
მდუღარე სისხლის გამცემი, მლოდნე მეორად მოსვლისა,
იმ ქვეყნად განათლებული, მლოცველი ამა სოფლისა.
მუხლმოიყარა მკადრემა, მზერა აღაპყრო მაღლითა,
ევედრა, ლოცვა შეჰკადრა გამრიგეს, თხოვნა-მადლითა,
შეწევნა, ბრძოლა-ომებში ძლევა სატანის ლაშქრისა,
წყვდიადის ჩანაფიქრალის მსხვრევის, დაცვარვის, დაშლისა.
აგუნა ბერი კურატსა ეფერა თვალთა რბილებით,
მერე, მარილი აჭამა, ცრემლი მოსწმინდა ნინველი,
ნიკორას შუბლზე უსხურა ნაკურთხი წყლისა ცინცხლები,
შეზრზინა, ხანჯლის ორპირი, უსწორა დანალირები.
დაჰკლა და სისხლში ნაბანი თითნით ისახა ჯვარები,
სხვათაც დასწერა პირჯვარი, მოყმენი დანაჯარები
დალოცა, გამარჯვებისა ხმალნი, შუბები, ფარები,
მეხის ხმასავით აგრგვინდნენ ყმანიც მუხისა ტანები.
შეჰფიცეს, გულით შეჰფიცეს; სიკვდილი ომში ფარზედა,
ვინ იცის, ეჰე, ვინ იცის, ბედს რა უწერავს ქარზედა,
-სიმხდალე არის სირცხვილი, კაცობა სისხლით ჰბანეთა,-
ეს უთხრა ბერმა და მადლი უძღვნა მზესა და მთვარესა.

## ᲓᲐᲚᲝᲪᲔ ᲛᲝᲪᲐᲣᲠᲔᲑᲘ

დადიან ქვებზე რუქები, პრეისტორიულ ხანისა,
ქედებით ჩანამუქებით, ხსოვნებით გაუმქრალიაად,
ისრები გამიზნულები, გალაქტიური ქარისა,
ნეტავი საით მიდიან, სად მიაქვთ გლოვა, საით?
ქვისა, მზისა, თუ კაცისა,
                    გზისა თუ არა ვიცისა,
უჩინო შეჰქმნა ნარცისად,
                    არა ინამა ფიცისა,
არც უერთგულა მოყმეთა,
                    არც სიყვარული აჩუქა,
გაჰფანტა უკიდეგანოდ, ცოდო-ბრალობით დატუქსა,
არ ვარგა ძმობილს უგანო, მარტო სძიძგნიდე ნასუქსა.
დაუდექ, გვერდში დაუდექ,
გაჰკივლე მიეც ნუგეში,
ძარღვებში სისხლი ადუღდეს,
ხმალთა წკრიალა შუქებში,
          ნაუძებ, საყმოს ნაუძებ,
          გიერთგულებენ ბრძოლებში,
          ნუ, იტყვი იმათ აუგებს,
          წილა-ბუდილას მოეშვი,
აბარტყე ღვთისაშვილები,
ბერი, თერგვაულ, იახსარ,
ლომისა, არსმშვენიერი
პირიმზე, მსგავსი იასა,
          სამძივარ, ნალვარმშვენიერ,
          კოპალა, წყაროსთვაული
          ერთად შეჰყარა ბედნიერ
          ლაჟვარდოვანი ზღვაურით.
დალოცე მოცაურები,
ღვთისშვილნი მსგავსი ელვისა,
სიტყვა უთხარი ბრძოლის წინ,
მხნეობა-თავდადებისა;
          იბრძოლონ მზეთა — მზეობის,
          სულეთას გამარჯვებისად,
          ყმათ მოწადინეთ ერთობის
          დროშა მიეცი ლემისა.
ნუ, დაუსაზღვრავ სივრცესა,
სიმთგზნებას ფანდურ-ჭუნირსა,
გაუფანტავდე ნისლებსა,
სძლვნიდე იდუმალს პურისას,
          მის მოსვლას, მისას გაჩენას,
          სიოცეს გაზაფხულისას,
          დროთა, უდროოდ დარჩენას,
          სხივთ შორად ჩამოწნულისად.
უთხარი, რისთვის მოვიდნენ
(მოვიდნენ განა, სალხენად. . . !)
დაბორიალებს შორით კლდე,
გულთანახვევის გამხელად,
          რად, აჩენ, ანდა რადა ჰკლავ?
          რად, აკვლევინებ ერთურთსა?
          რად ამოზიდე ვლოვის მთად,
          მთა მომლოდინე ფერხულსა,



ზედ ლოდნი რატომ დაუდე,
ლოდქვეშ რად დაჰფალ ლეშები,
გვითხარ, რად მოგვეც საუნჯე,
ტირილით განაშეშები,
ცრემლი რად მოგვეც ზღვასავით,
ცრემლი მდუღარე გულისა,
რად მოჰკალ სული მცინარა,
სანყისი დასასრულისა
რა, ოსტატურად მიაბი
რა, ოსტატობით გვაოცე,
შენი მპოვნელი ვინ არის,
ჯოჯოხეთსა და სამოთხეს?
ვზივარ, ვიცინი, ვღვარღვალებ,
ვსტირი და არცა ვსტირია,
ყელს სალამური ჩავიდგი,
კვნესას მივეცი სტვირია,
რაი ხარ, დამბადებელო,
ვსაუბრობ ალბათ ბნედასა;
ვადიდებ სიკვდილს ვადიდებ
და ვლოცავ დაბადებასა,
შენს მდუმარ თვალებს შევსცქერი,
შენსას მოკუმულ ბაგესა,
შენსას აზრების ტრიალსა
მღვრიენი მიაქანებსა,
ჯანლები მიქეიფობენ,
ზვავნი იზმორვენ ტანებსა,
ნეტავი, რამეს იტყოდნენ,
ნეტავ გახსნიდნენ კარებსა,
ცხრა მთისას, ცხრავე ცისასა
დამანახვებდნენ ზეიმსა,
იმ, ერთადერსა უკვდავსა,
სასულეითას მზეისა,

მჭვირვალსა ბროლის ცვარებსა,
დედასა ცრემლში მზირალსა,
სიყვარულისა ქარებსა,
ფრთალაღით დასაფიცარსა.
გადმოდგნენ მეშვიდე ცაზე
ანგელოზ-მოცაურები,
ვუმზირე, ვერა ვკადრე რა,
ვერცა გავძეხი ყურებით,
მათ მითხრეს: ყოჩაღ, მაშვრალო,
რომ არ გვივიწყებ ხსოვნითა,
გამარჯვებული იარე,
შენის სამშობლოს მოვლითა,
რაცა მიწაზე მომხდარა,
ხდება ან აწი მოხდების,
ყოველი წყდება ზეცაში,
გვესმის მოყმეთა თხოვნები,
გვესმისა თქვენი ცილობა,
მცდელობა დრტვინვა-შფოთისა,
დიდია ჩვენი წილობაც,
ჟამს ველოდებით მოსვლისას,
გამჩენი კიდეც დაარჩენს,
თავის გაჩენილს მიწაზედ,
სიკეთისათვის იომეთ
და სათნოება იწამეთ.
მადლობა ვსწირე, თუმც წელან
ბედზედ ვიყავი მწყრალია,
ერთსა მცინარსა ყვავილსა
ენაცვლოს ჩემი თავია.



## ბერი-ბაადურ ეშვება ციდან

ბერი — ბაადურ ეშვება ციდან,
მხრებზე უსხია არწივის ფრთენი,
კოჭობნ უბყრია ნავთ-ცეცხლით სავსე,
რათა დაჰბუგოს სასტიკი დევნი.
მორიგე ღმერთმა მისცა საგმირო,
მორიგე ღმერთმა ცათ მოავლინა,
უჩინთ-უჩინნი უნდა გაჰგმიროს,
უნდა დაიცვას სამკვიდრო ბინა;
ღვთაების მორჩილ და ერთგული ყმების,
უფსკრულის პირას, სამოთხის წინა,
წყვდიადეთს უნდა დალახნოს გზები,
შავეთას მოსპოს ქაჯების ქშინვა.
ეხში რომ ქაჯნი იმალვის,
მზეს რომ ამწყვევდნენ ბნელშია
არ გამოუვათ მცდელობა,
ზეიმი ქაჯავეთშია
ბერი — ბაადურ თერგვაულ
მთის მალი თეთრი ქორია
მზე-მთვარე-ვარსკვლავთ დაიხსნის,
უფლის განგებათ მდომია.

◆

## გახუა მეგრელაურზე

ოქროს შიბებით განგება მაცნეებს უშვებს ზეციდან,
ღვთისშვილთ უბრძანებს ლოცვებით ბნელსა ანათეთ მზე-დილა,
ერთს მკადრეს ნაიყვანოდით შავეთას ეშმათ წყვდიადეთს,
გახუა მეგრელაურსა ღვთის ნება გაუზიარეთ.
კავშირს ამყარებს ზეციერს შიბით და ნიავ-თმებითა,
შურისძიების დრო დადგა, ყავლი გავიდა თმენისა,
მთლად გათავხედდნენ დევები, ბილწავენ კაცის ბინასა,
დააძლეს ყორან-ძერები ყმათ სისხლით კლდეთა პირასა,
დაანიოკეს ნვრილ-შვილნი, ჯალაბნი ღვთისა მლოცველნი,
არ დარჩათ მოხუც-საპყარნი, დაჩეხილ დაუხოცველი,
ცხვარ-ძროხა წინ გაირეკეს წაასხეს ცხენთა ჯოგებიც,
გამრიგევ, შენ ხარ მეოხი და საპასუხოს მომცემი.
მძვინვარებს დიდი მორიგე, აცოფებს დევთა ქცევანი,
საყმოთ სადგომებს დაეცნენ, ქავთა დაუწყეს რღვევანი,
უნგრიეს ციხე-კოშკები ურცხვინეს დიაც- ქალები,
ვით ჰკადრეს ცათა გამრიგეს უკადრე, შემაზარები.

.......................................................

რისთვის დაჰკიდეს მთიელებს ხანჯლები, გულთა რვალები,
თუ, არ დაჯარდნენ საომრად, თუ, არ დალახვრეს ქაჯები,
თუ, არ დაოთხეს ლურჯანი, ტანთ არ ჩაიცვეს ჯაჭვები,
არ დაცალეწეს დუშმანთა ციხენი სამტრედ ნაგებნი.

◆



## იახსარისა და ცხრათავიანი დევის ბრძოლა

იახსარ-დევი შეიბნენ, დაბუღრეს კლდისა ფლატანი,
დალეწეს ყველა ჩაჩქანი, დახიეს რკინის ჯაჭვები,
ამსხვრიეს მუზარადები, -საფუხრე, -მკლავის სალტენი,
ფარები შეჭედილები, აფთანი მოკიაფენი.
კბილები შემოუმტვრიეს, ყველას-საგმიროდ სახმარსა;
ხრმალსა, ლახტსა და ყამასა, თასმა ღვედიან მათრახსა,
პიროფლიანი შეიქმნენ, თუმცა ვერ გრძნობდნენ დაღლასა,
მყრალი ჰქშენს, წითელენანი, ლაშზე უწყებენ ფართხალსა.
ბოლოს, ფლატეებს მოედვნენ, ქვები ისროლეს წვრილები,
შემდეგ ლოდებით დიდრონნით დევს შეუმტვრია წვივები,
იახსარ მარჯვე გამოდგა, ღმერთ ძალა მოსცა ტინებრი,
დევი მუხლებით ჩასჩოქა, შვავს დააცურა ტივებრი.
თვითონაც მიჰყვა ფეხდაფეხ, ლომგული მტევი ლავებრი,
უბეს ნაქონი ხანჯრითა დევსა დააჭრა თავები,
კარი გაუღო მზე-მთვარეს-მოჰფინა ნატვრის თვალები,
დევისგან იხსნა მოყმენი, მაცნედ გაუშვა ქარები.

◆

## ღვთისშვილთა ბრძოლა ქაჯავეთთან

ბაცალიგოელ გახასა,
გახასა მეგრელაურსა
ხმასა უქებენ ხაფასა,
მოგვერდს და შუაკაურსა,
რკინის გულს, რვალის მარჯვენას,
ეშმათ გულუძვრელ კაფასა,
მკადრეა ღვთისშვილებთანა,
ჰპატრონობს ბედშავ-გლახასა.

## ღვთისშვილთა და მოყმეთა ბრძოლა დევ-კერაპებთან

ომის ქალღვთაეზანთან [illegible] -

ომის ქალღმერთი მიმოჰქრის ისრებს უბლაგვებს პირებსა,
არ აჭრევინებს მახვილსა, მოყმეზე დანაპირებსა,
შეჰყრის რამ ნისლსა და ჯანლსა, თვალთა შეაყრის რთვილებსა,
არ გაახარებს მტერს, არა, ჰპატრონობს ერთგულ შვილებსა.
სამძივარ შემოძახილობს, ქარს აუყენებს ბუქებსა,
ჩამოშლის ღამის საბურველს, ყიამეთს მუქით-მუქებსა,
დაღალულთ მიეშველება, რკინის ჩაუდგამს გულებსა,
ილოცეთ, ხალხნო, ილოცეთ, დედა ჩვენ გვიერთგულებსა.
-ღაღადებს ბერი ხვადია, ფარ-ხმალთა გააქვთ ჟღრიალი,
„ისარნი მოციქულობენ, ქერუბიანნი, ფრთიანნი",
ვერა სჭრის საფეხურეებსა დუშმანთა შუბის ტრიალი,
ფეხთქვეშ ეშლებათ ტინები, ზვავები ტიალ-ტიალი.
პირქუშის გაჭედილია ყველა ჯაჭვი და რვალია;
ლახტი, ჰოროლი, მახვილი, ხანჯალი ნაკვერალია,
ჩაფხუტნი, ბექთარ-პერანგნი დაწნული-ნაგრეხალია,
თუ, ნიავია მოყმეთთვის, ავთათვის ქარიშხალია.
შედგების არხოტის თავზე იახსარ ცეცხლის მფრქვეველი,
გრდემლით მიჰხვეტავს ხეობას დევთა და კერპთთა მტვრეველი,
უფსკრულში გადაუძახებს ქაჯთა ლაშქრობას, მზე-ველი
ველარ იხილონ ბოროტთა, დღე უდგათ დამანგრეველი.
ბევრი სიმური გასჩქვიფეს ღვთისშვილთა, ბევრი ნისლები,
კოპალა შუბნურს მოუხმობს, გველსა დავაძროთ კბილები,
დავაჭრათ შხამის თავები, ამოუქოლოთ პირები,
ვაყლაპოთ ლამი, ღვარცოფი, თვალნი დავსთხაროთ მზირები.
ორბისა ფრთენით ფასკუნჯზე ბერ-ბაადური მღელვარებს,
გიორგი ნალვარმშვენიერს ღრუბელთა ფერდის-ფერდაზე
მიუგდავს თავის ლურჯაი, ბედით ჰკიდია ღმერთაზე,
ყურშა ჰყეფს, ჰყივის არწივი, სიკეთის გამარჯვებაზე.



ბოლოთქმის მაგიერ

## სადაც კლდეები განწირულნი სწერენ ეპოქებს

მე მაქვს მისია, მთა მიცვნია მისნის-მისანად,
რაც მიწისაა, ის ცისია დედა-ძიძანად,
ცვარნი ცას ცრიან, სისინებენ ქარნი მწივანას,
ძილ-ღვიძილია, ჟამმან თუ, არ დაიგვიანა.
აგერ, ბრძოლები მთის ბროლებში ანათრთოლები,
ეს ციათეთრა ბროლიები დანათოვლები,
ცისკრის სულები ასულები სხივთა ქროლვებით
და ლანდთ დუმილი შენივთული, შენატბორები.
აუ, რამდენი დრონი თანმდევნი გამოუვლია,
თვისი შექმნილი, წყვდიადს ტყვედქმნილი, დღეს ვერ უცვნია,
გადუფურჩქვნია ფოლიანტნი, გადუფურცლია,
ბედის შაორით ნაკად შაონი უსვამს, უმცრია.
ზღვათა თოლიებს , მაგნოლიებს და სხივთ მიმოზებს
რა, უმღერიათ, რა უგალობთ, რად რა კილოზე,
ქვიშა უთვლიათ, კლდენი უფშხვნიათ სანაპიროზე
და წაუღიათ საოცნებოდ მჟღერ სირინოზებს,
სადაც კლდეები განწირულნი სწერენ ეპოქებს,
სად, წეროები ლაჟვარდოვან მირაჟთ მეფობენ,
სად უცნაური თვალი დამზერს ტყიან ფერდობებს
და ჰყეფს ბინდისფრად წუთისოფელი ხეთ შენატოტებს,
ხეთა, რომელთაც ნისლოვანი უპყრიათ სივრცე,
ოქროს ძაფებით, ნათლის გამლები მათ სუნთქვას ისმენს,
სიყვარულს ენდე, მადლით როს შესწვდე ელვასებრ მიმფრენს
წამს სიწმინდისას, ბავშვო კეთილო! ჰანგივით მიჰყე.
და მწამს წრებრუნვით, სპირალების უძირო ფონზე,
ანგელოზები-ღვთისშვილები საშველად მოვლენ,
სულში უძირო ნიაღვრებით პირთეთრათ მოლზე
ზეციერისკენ აღავლენენ უწმინდეს ლოცვებს.





ნაირა ნიჟარაძე

# ხანძარი

/ზღაპარი/



ირგვლივ მაღალი მთები,
და მოჩახჩახე მზეა,
სოფელი მწვანედ მოჩანს,
სასიხარულო დღეა.

წუხს მინდვრად ფერაფერა,
ქალაქში ძალზე ცხელა,
კალიებს ცეკვა, როკვა,
გაუმართიათ ველად.

სალამით შეხვდა კატა,
სტუმრად მოვიდა ლეკვი,
ყურებპანტურა, თეთრი,
ხტუნვა-ხტუნვით და ცეკვით;

გაშალა თეთრი სუფრა,
დიასახლისობს კატა,
მიართვა ჭყინტი ყველი,
ერთი ნაჭერი ქადა,

ფიჩხით დაანთო ცეცხლი,
ბალახებს შორის იჯდა,
შამფურს ხელმარჯვედ თლიდა,
მწვადებიც შეწვა მშვიდად.

ქარი მოვარდა ავი,
აღარ იშლიდა ქროლვას,
თვალს ადევნებდა მწვადებს,
ცისფერი კვამლის რბოლას.

კნუტებს დაუდგათ ლხინი,
თაგვებს გაუტყდათ ძილი,
შემოცუნცულდნენ ჩუმად,
სტუმრებს მოართვეს ხილი.

გაცეცხლდა ცეცხლის ალი
ელვარე წითელ ეშხით,
გამხმარ ბალახებს გაჰყვა
და შეიპარა ტყეში.

ალი აინთო ძლიერ,
მისწვდა აქოჩრილ ბალახს,
ფისოს ცოტა აქვს წყალი,
უხმო მეზობლებს სწრაფად.

— ვიწვებით, შეკრთა ფიჭვი,
— ძმებო, ალია, ვიწვით,
ტოტზე გადახტა ციყვი,
ნაძვს შეეჯახა წიწვი.

მოგროვდნენ: ტურა, მელა,
კურდღელი, თაგვი, ზღარბი,
როგორ ჩააქრონ ცეცხლი,
სუყველა ერთად დარბის.

ალი სულ წინ-წინ რბოდა,
გაჩნდა ფიჭვების ძირას,
გამოაფხიზლა კუ და
ვისაც ხშირ ტყეში ძინავს.

მოასხეს ვედრო წყალი,
არ შველის არაფერი,
ცეცხლი არ იშლის თამაშს,
ხელს უწყობს ცელქი ქარი.

— ჰამ, ჰამ, – აყეფდა ლეკვი,
— გადაიწვება მთები,
— გამოვიძახოთ ვინმე,
მოგვეშველება წყლებით.

— „112 –ია, ვიცი,
ყველას მშველელი ველად,
—აბა, დარეკე, მელავ,
მოგრიალდება ხელად.

მელა ტელეფონს მისწვდა,
— მოდით, გვიშველეთ ყველამ,
გაწითლდა მაღლა ზეცა,
ტყეში ხანძარი ელავს.

გაძლიერდა და მირბის,
შრიალებს წითლად ცეცხლი,
ქათმებსაც აღარ ძინავთ,
მისი გუგუნი ესმით.

გამოჩნდა ხანძრის მტერი,
„112 –ია მხსნელი.
გაჭირვებულებს, მტირალს,
ეს გუნდი მუდამ შველის.

მოვიდნენ დიდზე დიდი,
სახანძრო მანქანები,
მიასხეს ცივი წყალი,
მილებით, გამალებით.

მოფრინდნენ ვერტმფრენები,
„ნუ გეშინიათ, ძმებო,
— ნურც თქვენ შედრკებით, ჩემო,
ამწვანებულო მთებო?

გაფითრდა ვარდკაჭაჭა,
ყვითლად ელვარე ტუხტი,
მალე ჩაქრება ცეცხლი,
ფიჭვი მადლობას უხდის.

როგორ იქნება უმტრო,
ამ აყვავებულ მდელოს,
მუდამ მშვიდობის ცეცხლი
და სიხარული ენთოს!

სახანძრო მანქანებმა
მიუშვეს წყლების ჭავლი,
ცეცხლმა დახუჭა თვალი,
ვარსკვლავებს მიჰყავთ ქარი.

— არ გადააგდოთ ნამწვი,
ხმელ ბალახებზე, ძმებო,
თუ არ გინდათ, რომ დიდი
ტანჯვა — წამება გერგოთ!

ცაში გაფრინდა ბოლი,
ცისფერ ღრუბლიდან ესმით:
— მტრებო, სადა ხართ ნეტავ,
ვინ გაგვიჩინა ცეცხლი?!

სოფელი, ჩვენი მიწა,
სოფელი საგანძური,
რა შრიალია მსხლების,
მწიფდება ხეჭეჭური.

ჭრიჭინობელა მღერის,
მწიფდება ყურძნის წყება,
ლეღვები ხეზე დნება,
უნაბი ტოტზე ჭკნება.

შეწუხდა ფიჭვის ტყე და,
წყარო — მიდამოს ლხენა,
ტოროლა ვეღარ გალობს,
დადუმებია ენა.

ცხვრები შეჯგუფდნენ ერთად,
არ კიკინებენ თხები,
გადაარჩინე, ღმერთო,
ეს მოქუჩქუჩე მთები.

— ფხიზლად, ტურავ და მელავ,
მუდამ ვიცხოვროთ ერთად,
დავიცვათ ჩვენი მიწა,
სანამ დიად მზეს ვხედავთ?

სიმდიდრეს მოვლა უნდა,
არ შემოგვეჭრეს მტერი,
არსად გაგვიჩნდეს ცეცხლი
არ შეგვიცვალოს ფერი.

ფოცხვერი გარბის ხევში,
ირემი მთების წვერზე,
დათვი მიწაში ძვრება,
ციყვი ამძვრალა ხეზე,

მგლები ჩარბიან ხევში,
იწვება მათი ბინა,
— რა ხდება? — ყვირის ვირი,
ჩერდება წყაროს პირას.

იქნებ მტერია ახლოს,
იქნებ „ტერაქტი ხდება,
ალი მძვინვარებს წითლად,
ფიჭვიდან ნაძვზე ხტება.

წყალი აქრობს და ახშობს,
ცეცხლის ელვარე ტალღას,
— ვაშა, მეზობლის ნდობას,
— ვაშა, ერთიან ძალას!

— შორს მტრობა, შური,
გვყავს მეგობრები ფარად,
მშვიდობა იყოს ყველგან,
მთელ მსოფლიოში მარად!

# მგელი და მერცხალი



მგელმა უცებ სახლის ჭერზე,
დაინახა მერცხლის ბუდე,
დადგა ქვემოთ, შემოსძახა,
დაიღრიჯა სახე მრუდე.

მგელი — გამარჯობა, სად იყავი?
სიზმრად ვნახე შენი სახე,
გაზაფხულის მახარობელს,
ვერ დავიგე ვერსად მახე.

მერცხალი ხარ, ხმაჭიკჭიკა,
სადაც გინდა იქ დაფრინავ,
გიყვარს შენი სამშობლო და
სადაც გინდა იქაც გძინავს.

ბუდეს აგებ ბუმბულისგან,
პაწიები ბევრი დაგყავს,
საჭმელიც გაქვს თავსაყრელად,
ხომ არ გვეტყვი რამე ახალს?

შესციცინებ ფერად ლაჟვარდს,
ქვემოთ ყვავილთ იაგუნდებს,
მე კი ვყვირი საცოდავად,
ჩუმად დავსდევ ცხვრების გუნდებს.

რა კარგი ხარ, რა ლამაზი,
ზამთრის ყინვას ხომ გაურბი,
გაფრინდები თბილ ქვეყნებში,
დაგიხურავს მათი ქუდი.

გაზაფხულზე მოფრინდები,
როცა ნუში თეთრად ჰყვავის,
ვერ გაჩერებს ვერაფერი,
თუმცა სვავი ახლოს ჩხავის.

მე კი მქვია ავი მგელი,
ირგვლივ კლდე-ღრეს მოვედები,
ვეძებ საზრდოს, ტყეში, მინდვრად,
შვილები და ჩემი ძმები.

გიყვარს ცხვარი და თხის ჩრდილი,
გვიყვარს სხვისი გამოზრდილი,
დავიჭერთ და ვისადილებთ,
გვიყვარს ხორცი ნორჩი, თბილი .

სულ დაფრინავ მხიარული,
გიყვარს ზვარში სიარული,
მე დავრბივარ მოწყენილი,
არასდროს მაქვს მშვიდი ძილი.

მერცხალი — გულთეთრა ვარ,
მოვფრინდები,
ხის ტოტებზე ავმღერდები,
მე შენსავით არ ვარ ავი,
შევაყვარე ყველას თავი.

— წადი, წადი, შე ბოროტო,
ამ მიწაზე მოწანწალევ,
რისთვის გიყვარს წყარო ცივი,
მომდინარე, მოწანწკარე.

მგელი — რა ვქნა, გული მეც მაქვს
მკერდში,
მაგრამ სამტროდ ყველას ვერჩი,
ყმუილი თუ ვიცი ღამით,
ასეთია ჩემი ბედი.

გუშინ ვირი დავიჭირე,
ყელი უცებ გამოვღადრე,
ავაყვირე, ავატირე,
გავიქეცი ტყეში ადრე.

თუკი ვინმემ თვალი მომკრა,
შიშისაგან გარბის ყველა,
ხშირ ბუჩქებში ვიმალები,
არავინ მყავს ტყეში მცველად.

სოფლად ზოგჯერ გამოვჩნდები,
არ მაქვს ბინა, არ მაქვს სახლი,
და თუ სადმე თვალი მომკრა,
მონადირე ტყვიას მახლის.

მერცხალი — ეს იმიტომ, ჩემო კარგო,
შენ არ გინდა ვინმეს არგო,
გსურს შეჭამო კვიცი, ცხენი,
ხალხისათვის არ ხარ სარგო!



ავი ხარ და მტაცებელი,
მგლისგან ყველა ბოროტს ელის,
მსოფლიოში კარგად გიცნობს
ეჯავრება სოფელს მგელი.

— შენ არ იყავ? თხა რომ გვყავდა,
დაგლიჯე და გაიტაცე,
დაუნდობი, მტაცებელი,
არვინ გიყვარს ამ დიდ მთაზე.

— საძაგელო, სისხლის მსმელო,
დაიკარგე აქედანა,
იმ შენს ლეკვებს რას ასწავლი,
სოროში გყავს, მუდამ ფარავ.

მგელი — მეც კი მინდა მქონდეს ფრთები,
ჩავატარო ცაზე ცდები?
მუდამ ვიყო მხიარული,
დავიჭირო დიდი ცხვრები.

მონადირეს თუკი სადმე,
უცაბედად გადავურჩი,
შვილებს ვფიცავ, არასოდეს,
არ ვიქნები ქვეყნად ურჩი.

— მაგრამ რა ვქნა, მტაცებელად,
გამაჩინა მაღლა ღმერთმა,
მითხრა: – იყავ საშიშარი,
ტყე შესძარი ერთად ერთმა.

— შენც გახსოვდეს, ჩიტუნიავ,
თუ გავკარი კბილი ძველი,
ვერავინ ვერ გამასწორებს,
და ვიქნები მუდამ მგელი.

მართალს გეტყვი: მეც კი მინდა,
შენისთანა მქონდეს გული,
მსოფლიოში დავამყარო,
მშვიდობა და სიყვარული!

# ბუნების შვილი

რად გინდა წაგყვე
ქალაქში, მტვერში.
სადაც ხმაური
მანქანის შეგშლის.

ჭინჭით დახუნძლულ
მაღაზიებში,
ეკლესიებში,
მეტად ხნიერში.

აეროდრომზე,
თვითმფრინავებში,
ღრუბლების დამშეულ
რკინის ნავებში.

ვიხილო დიდი
ცათამბრჯენები,
სახლი, ქოხები,
ათასფერები.

არ დამანახო
ტანკი და თოფი,
ზარ-ზარბაზანის
ცეცხლი და ცოფი.



— მე მინდა მთებში,
უსიერ ტყეში,
ვენახში, ზვარში,
ბალახთა ტევრში,

რომ მოვისმინო
ბულბულთ გალობა,
წყაროს წანწკარი,
მიწის ზანზარი.

ქუნქულა ცხვარში,
გაშლილ ველებში,
ნაკადულებით
სავსე ფერდებში.

მინდა დავკრიფო
შინდი — ღილები,
წითელ — წითლები,
როგორც მძივები.

ვავსო კალათი,
ავკრიფო სოკო,
შხამა არ იყოს,
ვიცოდე, ოღონდ.

თან ჩამოვკრიფო
ასკილ-კუნელი,
ხეზე შემტკბარი,
ლეღვი ულევი.

ვნახო მინდორზე
გაწოლილები,
მცხუნვარე მზეზე
ჭრელი გველები.

მინდა შემომხვდეს
ლამაზი ვეფხვი,
როგორც შენა ხარ,
ტანით და ეშხით.

იასამანის
შევკრა მტევნები,
ვაჟკაცს მოგართვა
თეთრი ხელებით.

შემხვდნენ ბავშვები,
მოცქრიალენი,
მოჭიკჭიკენი,
წითელ ბაბთებით.

ნიავი გრილი,
ყაყაჩო შლილი,
ვარ სიცოცხლის და
ბუნების შვილი!





მზეგული ტყეშელაშვილი

## სიტყვა მივეცი

სადაა, ბიჭო ასანთი?
ბრაზობს ბებია ასმათი.
თივას თუ ისევ გადაწვავ?
იცოდე, ჯოხით გაგლახავ!
რას მეუბნები ბებია,
სიტყვა მივეცი პაპაჩემს...
უპირო კაცი როდი ვარ —
ხანძარს არასდროს გავაჩენ!
შარშან ვიყავი პატარა,
ახლა ვისწავლე ჭკუაო,
თუ თივას ცეცხლს წაუკიდებ
მოვა და შემჭამს ბუაო!

2010 წელი

## ნაცარა

ბოსტანს ეწვია კურდღელი,
ყურდაცქვეტილი ნაცარა,
დროზე გაუგო მურიამ,
ქურდობა აღარ აცალა.
მერე... დაფიქრდა კურდღელი:
სხვის სავარგულში რა მინდა,
ახია ჩემზე — წუხელის
რაც დამესიზმრა — ამიხდა!

2012 წელი

## მიცუნცულებს მელა

ზამთარია, მელა —
მიცუნცულებს გზაზე,
უკუნეთი ღამე...
ფიქრობს: გზას არ ავცდე
ჩაიარა შუკა,
ღელეც უკან დარჩა
აუჩქარა ნაბიჯს
საქათმესთან გაჩნდა.
საცოდავმა, ქათამს —
კბილი ვეღარ გაჰკრა;
ვერ ივიწყებს სახრეს,
პაპამ რომ გადაჰკრა!

2012 წ.

## მინდვრის თაგვი

მინდვრის თაგვი, ფხორია
ადრე ადგა დილით,
საკუჭნაო გაავსო
კაკლითა და თხილით.
მუყაითი რომ არის
დაუფასდა გარჯა,
ზამთრის სარჩო ფხორიამ,
უკვე დაამზადა.

2012 წელი

## ვისაც უყვარს

ვისაც უყვარს ბოსტნეული,
ხილს მიირთმევს მწიფეს,
მოზარდისთვის ბევრსაჭირო,
ვიტამინებს იღებს!
გიყვართ? ფეხით სიარული,
ამას რა სჯობს ზაფხულს,
ჯანმრთელი რომ გაიზრდები,
მას მიაღწევ, რაც გსურს!

2013 წელი

## რა შუაშია

ჩემ დაიკო მაიას,
ეძახიან: „წუწკა ქალს,
მოიპავას მურაბას
ქილას დაამატებს წყალს!
მერე... კნუტს დააბრალებს,
(რა შუაშია კატა!)
სინდისიც საქონელია...
ახლა, მართლა და მართლა!

2013 წელი

## ბეკეკა

მურიკელამ და ბეკეკამ
ეზო სულ ჩხუბით აიკლეს,
რად ემტერება მურია —
ამას უთუოდ გავიგებ.
იხვის ჭუკს მიუტანია,
კოჭლი ციცარისთვის ენა:
დავინახეო, ამ დილით,
მურასა დაუპირა რქენა!

2013 წელი

## სააღდგომოდ

ციცარმა თქვა: კვერცხის დება
დავასრულე დღესო...
სააღდგომოდ გაიხარებს,
ანდრია და ბესო!
ზეგ აღდგომა გათენდება,
ფუსფუსი აქვთ ძმებსო,
ბებოს შველის ანდრია და
დედას კიდევ – ბესო!

2013 წელი

## მოძალადე

აიშენა მერცხალმა —
მშვენიერი ბუდე,
მორთო, დააწკრიალა,
კუნჭული და კუთხე.
გადმოხედა ბეღურამ,
მოუვიდა თვალში,
გადაწყვიტა, პარტონი
არ შეუშვას სახლში!
მერე... მოიკალათა,
სხვის ბუდეში ჩაჯდა;
გადაწყვიტეს მერცხლებმა
მოძალადის დასჯა!
ყველამ ერთად, ნისკარტით
მოიტანეს ტალახი —
ამოქოლეს ბუდე და
მიაძახეს: „ნახვამდის?!“

2013 წელი

## პრანჭიკუდა

ჩვენი მარი, მარიკუნა —
ბაღში იყო დაგვიბრუნდა;
ბებო მიესიყვარულა:
ჩემი გოგო, პრანჭიკუდა!
ვინ დაგარქვა ეგ სახელი,
ეკითხება მამიდები —
პაპამ, რადგან ვარ პრანჭია,
სულ სარკეში ვიხედები!

2013 წელი

## ჭრელა

ვანო პაპას ძროხის —
სახელია ჭრელა,
დაარიგა ბებომ
ვანიკო და ლელა:
მოერიდეთ პირუტყვს,
არ მიხვიდეთ ახლოს
როცა ხბოს აწოვებს
ან შია, ბალახობს!

არ იდარდოთ, მალე
შეგეჩვევათ, ისე...
დაინახეთ, ჭრელა —
გეგონება, გვისმენს!

2012 წელი

**„მეზღაპრე“ ლალი კახიძე**



## „ლუსია“

**ზღაპარი**

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გოგონა სახელად ლუსია. ლუსიას მშობლები ადრე გარდაეცვალა და ცხოვრობდა მარტო. სახლის საქმეებით იყო დაკავებული. სოფელში მარტოდ დარჩენილი მოხუცებს უვლიდა. ყველა ეფერებოდა ლუსინკას. ისეთ კარგ საქმეს აკეთებდა. ლუსინკამ გადაწყვიტა თავის სახლში მოეყვანა მოხუცები და იქ მოევლო მათთვის. ლუსინკას მშობლებისგან დარჩა ძალიან დიდი სახლი. მართლაც ლუსინკამ გადმოიყვანა ათი მოხუცი გაანაწილა ოთახებში და თავგამოდებით უვლიდა. ელვის სისწრაფით მოედო სოფელს ეს ქველმოქმედება, ყურადღება ოცი წლის გოგოსი.

ეს ამბავი გაიგო მეფის ვაჟმა, სანადიროდ იყო წასული და ვეზირმა უამბო. გაოგნდა მეფის ვაჟი, დიდი სურვილი გაუჩნდა, გაცნობოდა ლუსიას. გასცა ბრძანება: – ნანადირევი გაასუფთავეთ, გაამზადეთ, მოხარშეთ, შეწვით და პურ-მარილი ლუსიას მოხუცებულებთან გააგზავნეთ, მოემზადოს ამალა და მეც იქ მივდივარ.

ეს იყო მეფის ვაჟის – ლაშას ბრძანება, დაირაზმა ლაშქარი და გაუდგა გზას.

სოფელს გაეგო ლაშა უფლისწულის ბრძანების ამბავი და ყველას ლუსიას სახლში მოეყარა თავი.



– მეფის ვაჟი მობრძანდება

გამოცხადდა საყვირის ხმა.

იქ ამბავი იყო, ყველას თვალები ცრემლით ევსებოდა, სიხარულის ცრემლით.

ლაშამ გაიცნო ლუსია, იმდენად მოიხიბლა უფლისწული მისი კეთილი გულით და შეუფასებელი სიმშვენიერით, ცოლობა სთხოვა.

ლუსია დათანხმდა მეფის ვაჟს, მაგრამ მოხუცები არ მიუტოვებია, მისი ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობდა მათი მოვლა პატრონობა.

ყველამ ვაკეთოთ სიკეთე და ერთი ათად დაგვიბრუნდება.

ხედავთ, ჩემო პატარებო, რა კარგია სიკეთის თესვა?! გვიყვარდეს მოხუცები, ისინი ჩვენი წინაპრები არიან.

ძილი ნებისა.

## მზექაბუკი

**ზღაპარი**

ერთ სოფელში ცხოვრობდა ორი მოხუცი ბებია და ბაბუა ისინი უშვილოები იყვნენ, რასაც ძალიან განიცდიდნენ. მთელი ცხოვრება ელოდნენ შვილს, მაგრამ ამაოდ... მოხუცებს ყავდათ ერთი ქათამი, რომელიც შვილივით შეიყვარეს, მოხუცებმა ქათამს მაშიკო დაარქვეს. მაშიკო მთელი დღეები დადიოდა სოფელში. მეზობლებთან კარ და კარ ყველა გიჟდებოდა მაშიკოსთვის, ის ხომ ძალიან ლამაზი იყო. მეზობელს ყავდა მამალი, რომელსაც მაშიკო ერქვა. მიშიკო ისეთ დეზებზე იდგა, ძლიერ ფეხებზე, მართლა კაცივით. კუდი ჰქონდა ულამაზეს ფერებში, თითქოს მოუქარგიათო. თვალები მაშიკოსკენ გაურბოდა, როგორც კი თვალს მოკრავდა ატეხავდა: – ყიყლიყო! ყიყლიყო არც მაშიკო იყო გულგრილი, როგორც დაინახავდა მიშიკოს, დაბზრიალდებოდა აუვლიდა და ჩა-



უვლიდა მიშიკოს, მოკლედ ბევრი, რომ არ გავაგრძელო სიყვარულს დიდი ძალა აქვს და შეიყვარეს ერთმანეთი მაშიკომ და მიშიკომ – დედალ – მამალმა.

– სად არის ჩვენი მაშიკო?

დარბოდა ბებია.

– სად წავა, მობნელდება და მოვა

აწყნარებდა ბაბუა.

ასე გრძელდებოდა დღეები, დიდი სიყვარული არ ქრებოდა პირიქით.

ერთ მშვენიერ დღეს მაშიკომ დადო კვერცხი. კვერცხი იყო სასწაული, გარდამავალ ფერებში. ფერებს იცვლიდა ცისარტყელასავით ბებიას ულამაზეს თასზე.

დაედო კვერცხი და ყოველდღე ეფერებოდა კვერცხს. უმღეროდა იავ-ნანას ბებია და ბაბუას სიხარულს საზღვარი არ ქონდა. ბედნიერების მოლოდინში იყვნენ მოხუცები. მეზობლებიც ხარობდნენ, მოდიოდნენ მათთან სტუმრად რათა ენახათ ეს საოცარი მოვლენა – საოცარი კვერცხი. მთელი სოფელი რაღაც სასწაულს ელოდა და მართლაც ერთ მშვენიერ დღეს კვერცხი გადაიხსნა და დაიბადა ოქროს თმიანი ბიჭუნა, რომელსაც მოხუცებმა მზეჭაბუკი დაარქვეს, გაიხარეს მოხუცებმა, გაიმართა სოფელში ლხინი, ყველა ოჯახიდან ცეკვა – თამაში და სიმღერები ისმოდა.

ახალი სიცოცხლე შეემატა სოფელს გაბრწყინდა მომავალი.

## „საქო და კაკო"

### ზღაპარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა იყო ერთი სოფ. განსაკუთრებული, სადაც განსაკუთრებული ხალხი ცხოვრობდა, ეს იმაში გამოიხატება, რომ სოფელში ყველა შრომობდა. ხალხი თავისი პატიოსანი შრომით ირჩენდა თავს და არჩენდა ოჯახებს. ამ სოფელში ცხოვრობდა ერთი ოჯახი, რომელსაც ორი ტყუპი ვაჟი ჰყავდათ. ეს იყო გიორგი პაპას ოჯახი. გიორგი პაპას შვილი და რძალი ავტო-კატასტროფაში დაიღუპნენ და მათი ორი ვაჟი, შვილიშვილები გიორგი პაპამ მარტოდ-მარტო გაზარდა თავის პატიოსანი შრომით. ბიჭები ძალიან ზარმაცები იყვნენ სულ ეძინათ და მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ რა ეჭამათ.



– ბიჭებო ადექით, გათენდა წამოდით ჩემთან ერთად სამუშაოდ.

– არა პაპა, გთხოვ დაგვაცადე გვეძინება.

იყო ბიჭების პასუხი, რომელიც ყოველდღიურად ერთი და იგივე იყო.

ითმინა პაპამ ითმინა და ბოლოს მოთმინების ფიალა აევსო, ბიჭები სახლიდან გააგდო, გაყარა და მათ უთხრა: სადაც გინდათ იქ წადით. ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახოთ.

წავიდნენ ბიჭები. დაადგნენ ქალაქის გზას. ქალაქის შესასვლელში შენდებოდა „მზიურ-ქალაქი" საბავშო გასართობი ცენტრი. მათ დაიწყეს ამ ქალაქის მშენებლობაში მონაწილეობის მიღება და კარგად გამოუვიდათ. ძალა და ღონე კი ქონდათ ღვთის ნაბოძები. აშენდა ულამაზესი „მზიურ-ქალაქი".

საქო და კაკო სიმღერის ნიჭითაც იყვნენ ღმერთისგან დაჯილდოვებულები. მათ გადაწყვიტეს პატარებისთვის ხალხური სიმღერები ესწავლებინათ. მართლაც ძალა და ენერგიას არ ეშურებოდნენ ძმები რათა პატარა მეგობრებისთვის სიმღერა ესწავლებინათ. ჩამოაყალიბეს ანსამბლები და სხვადასხვა სოფლებში მოგზაურობდნენ.

ერთ დღეს თავიანთ სოფელშიც ჩაატარეს დიდი კონცერტი. გაიხარა გიორგი პაპამ თავისი შვილიშვილების წარმატებით, ულოცავდა მთელი სოფელი პაპას. ბიჭებს რისი ნიჭი და უნარი ქონდათ არ დაკარგეს და წარმატებულად გამოიყენეს მომავალი თაობის აღსაზრდელად. ამიტომ ნუ დავაძალებთ შვილებს ჩვენს მიერ არჩეულ პროფესიას. თვითონ რისი ნიჭიც აქვთ, გაუყვნენ იმ გზას ჩემო ძვირფასო მშობლებო.

ძილი ნებისა ჩემო პატარებო.

# სპილო და გოგონა

### ზღაპარი

იყო ერთი სპილო, რომელიც ტყეში ცხოვრობდა ის ყველას უყვარდა. აფრიკელი სტუმარი იყო, შემდეგ ისე მოეწონა ჩვენი კუთხე მხარე, მასპინძლობა ქართველი ხალხისა აღარ დაბრუნდა თავის სამშობლოში.

– მე თქვენ ძალიან შეგიყვარეთ თუ ნებას დამრთავთ თქვენთან დავრჩები.

ყველამ ერთად დასტური მისცა ტყის ბინადარმა.

ცხოვრობდნენ შეხმატკბილებულები სიხარულში და სიყვარულში.

სოფელში ცხოვრობდა ერთი გოგონა ძალიან ლამაზი, პრანჭია ნანუკა. ნანუკა ხშირად იპარებოდა სახლიდან კალათით ხელში ტყეში სოკოს, ყვავილების, მაყვლის საკრეფად.

ერთ დღესაც გამოიპარა თავზე წითელი ბაფთა უკეთია და ტყეში შეხვდა გაპრანჭული მელია კუდა გრძელიას წითელი შლიაპით.

– წამოდი ჩემთან მე შენ სპილოს გაგაცნობ.

– მე რომ ძებნას დამიწყებენ ჩემი მშობლები?

– არა უშავს მერე მე შენ დაგეხმარები გზის გაკვლევაში.

მართლაც წავიდნენ სპილოს გასაცნობად.

გოგონა სპილოს ჩაეკრა. სპილომაც გაიხარა გოგონას სტუმრობით. ნანუკას სახლში წასვლა აღარ უნდოდა დაუმეგობრდა სპილოს, უკითხავდა ლექსებს, უმღეროდა.

ნანუკას მშობლები ძალიან შეწუხდნენ. ღამდებოდა გოგონა არ ჩანდა. მთელი სოფელი ფეხზე დადგა. სანთლებით, ლამპრებით ხელში დაუდგნენ გზას ტყისაკენ. გზაში მელია შეხვდათ იმ წუთში მელაკუდა მიხვდა ვისაც ეძებდნენ და უთხრა მათ: – მე ვიცი, ნანუკა სადაც არის, წამოდით, გაჩვენებთ. ძალიან სასაცილო სურათი დახვდათ – სპილოს ხორთუმზე ჩამოძინებული ნანუკა, რა ტკბილად სძინავს. გაალვიძა დედამ: – შვილო როგორ შეგვაშინე, წამოდი სახლში.



– არა დედა, მე სპილოს გარეშე არსადაც არ წამოვალ.

სპილომაც სთხოვა: – ჩვენ ხომ მეგობრები ვართ? – ყოველთვის მოდი, მაგრამ ეხლა კი სახლში წადი ჩემო გოგონი.

არაფრით არ წაყვა მშობლებს გოგონა.

სპილო და გოგონა ტყეში დარჩნენ. რამდენიმე დღის შემდეგ დაუჯერა სპილოს ნანუკამ და თავის სოფელში ერთად წავიდნენ. როგორ გაიხარა ოჯახმა, სოფელმა ეს უნდა ნახო, ისე ვერ გაიგებ. ერთი კვირა სუფრები იმართებოდა სოფელში. ხალხი მოდიოდა ეფერებოდნენ სპილოს.

– ეხლა კი ჩემი წასვლის დროა, გამოაცხადა სპილომ. დაემშვიდობა მასპინძლებს და გაუდგა ტყის გზას. ნანუკამ თვალი გააყოლა სპილოსკენ და შესძახა: – მე ყოველთვის მოგინახულებ მეგობარო.

ხედავთ რა კარგია ურთიერთობა, სიყვარული. გისურვებთ ბედნიერებას ყველას.

# პოემები



**სერგი ლომაძე**

## უსაზღვროება

### პოემა

(მირაჟიზმული სურათი)

მესამე დღეა ვხეტიალობ...
დილაა, თბება ირგვლივეთი,
ნელ–ნელა თბება,
ჯერ კვლავ სუსხია,
გულშია ტყვია მონახვედრი
სიცივისაგან...
მზის ცრემლი ცვივა
უსიერ ტევრში,
ცვივა მზის თქეში –
ნათელი და მძაფრი წვიმა,
ფერადი წვიმა სინათლისა,
და ლამაზია...
დაუხაზია მზის სხივებს ტყე,
და ტევრიც გალღვა
(სინათლემაც დაადნო იგი),
აღარც ისეთი უსიერია,
აღარც ისეთი გაუვალია...
ტყეში კვალია, კვალი მკრთალია,
მივყვებოდი მას ღამითაც კი,
მღალავდა ღამის ანომალია,
მღალავდა ღამის
მისტიკა და ანომალია...
მერე, როს გატყდა
დიდი წყვდიადი,
როცა დაიწყო სიმფონია
ლურჯ ზეცისადმი,
როცა ფრთოსნებმა აღავლინეს
ღვთიური ლოცვა...
მოკლედ, თენება რომ დაიწყო,
დაიწყო როცა,
როს გამეჩხერდა, ნელ–ნელა, ტყე,
ძალადაცლილი,
ჩამქრალი ცეცხლით –
დაობლებულ ჩირაღდანითა,
გაველ ზღვის ნაპირს,
ზღვა ჰგავდა ვამპირს,
ტალღებს ამსხვრევდა ლოდებს
პირდაპირ,
ქვიშის ნაპირზე ლოდება იწვა,
ვით ვეშაპები დაღუპულები –
მათ ამოართვეს თითქოსო გული
და შეაყვარეს ბებერი მიწა...
ლურჯ ზღვის ნაპირზე,
მუქ ზღვის ნაპირზე,
შავ ზღვის ნაპირზე,
ლოდები იწვა...
მზე ეცემოდა
(ზღვა ეცემოდა)
მბრწყინავ ლოდების ლურჯ ზედაპირებს,
ირეკლებოდა ფერებად მერე,
და თუკი ზღვაზე წვიმას აპირებს,
ან თუ აპირებს გამოსვლას ნისლი,
აირეკლება ფერები მათშიც –
წვიმაში, ნისლში ცხოვრობს ფერები,
ფერები, როგორც ცისარტყელები
ან ჩრდილოეთის ციალი როგორც,
დიდი ციალი,
ისე ცხოვრობს ფერები

ნისლშიც, წვიმაშიც,
ზღვაზე...
მე ვფიქრობ
თეთრი ნისლის ფარდების
უუფერადეს, დიდ სპექტაკლებზე...
ხოლო ამ ფიქრებს
დაემთხვა თითქოს:
ნისლი მოედო მუღლუფა ზღვის
ვრცელ, ლურჯსა მინდორს,
და თეთრმა ნისლმა
სულ დაიპყრო
შავი მინდორი
(ახლა უკვე დამშვიდებული),
ნისლმა აღმართა ზედ
ქალაქი უზარმაზარი,
ქალაქი, როგორც
უთეთრესი, დიდი ტაძარი
ზეცისა და ზღვის,
გრანდიოზული,
გრანდიოზული ტაძარი იგი,
თითქოს
თეთრი კრიალი ბროლის,
და აღიმართა ქალაქი ზღვაზე,
ნისლის ქალაქი,
როგორაც თოვლი...
გაქვავებული შევყურებ სივრცეს —
ჩვეულებრივ სახლებსა და
გრანდიოზულ ტაძრებსა ვხედავ
(ტაძარში — ტაძრებს),
ტაძრებზე ნისლი ისვენებს ისე,
როგორც სევდაზე
კიდევ სხვა სევდა,
ვით ოცნებაზე სხვა ოცნების
სილუეტი რაიმე მკრთალი,
როგორც შეშაზე, ხმელ შეშაზე,
ყაყაჩოსფერი ცეცხლისა ალი,
სისხლისფერი ცეცხლისა ალი
(სიმკრთალეების და, ასევე, სიმკვეთრეების
ერთობა არის, იქ, ირგვლივეთი). . .
ნისლის სიზმარში —
იმ თეთრ სივრცეში
ჯერ არ შევსულვარ,
თუმც გამიწია იქითკენ სულმა...
ზღვაზე წევს ნისლთა მარადისობა...
ზღვაზე წევს ნისლთა მარადისობა...
ზღვაზე წევს ნისლთა მარადისობა...
და იმ უცნობი,
შეუცნობი სიღრმიდან ნისლის,
ნელა გამოკრთის
უცნაური მუსიკის ხმები —
იბადებიან ნოტები ნისლში,
და უსასრულო, თეთრ კიბეებით,
ცისკენ მიდიან, ცაში მიდიან,
მაგრამ თან, იმათ,
ისიც იციან,
რომ მხოლოდ ცაში
არ ისმენენ მათ:
ისმენენ ყველგან,
სადაც კი ესმით
ნისლის მუსიკის მარადისობა,
როგორც ცეცხლის, წყალის,
მიწის, ჰაერის. . .
როგორც ზეცის უსაზღვრო გრძნობა. . .
გამომეცხადა მხედარი ვინმე,
ნისლისფერ ცხენზე ამხედრებული,
ამ ხვედრებული სრულნისლეთისგან
გათეთრებული იყო იგიცა,
და ანაღვლებდა, ალბათ, იგი ცა,
ცა სამოთხისა,
მისწვდებოდა, მისი მზერა,
რასაც, ვერასდროს...
მჭმუნვარე სახით შემომხედა და
მანიშნა — ნისლში რომ შევყოლოდი,
ნისლის ქალაქი რომ შემეცნო,
შეძლებისდაგვარად, ბოლომდი...
მომგვარა მეცა
ნისლისფერი ცხენი, ისეთი,
წყალზე სიარულს
დაჩვეული იყო რომელიც —
ალბათ თუ იყო

რამე ჯადო-ძალის მფლობელი...
ჩვენ შევერიეთ, ნისლის ცხენებით,
და არცთუ ისე ჩქარი ჭენებით,
ნისლის ღრუბლების ვრცელ სამყაროში,
გავცდით სიცოცხლის და სიკვდილის
სამბრძანებელს და
თეთრი სამეფოს სანახები
შემოგვეფეთა...
ამეკვიატა ეს თეთრი ფერი,
მრავალ სიმბოლოს ვატევ მე მასში,
როდესაც თეთრად სამყარო მღერის,
თავს ვგრძნობ მისტიკურ უკვდავებაში,
და აჰა,
ირგვლივ მისტიკა მეფობს...
მე ვხედავ ნისლის ადამიანებს,
ო, რამდენია! —
ნისლის ქუჩებში და სახლებში
და იმ ტაძრებშიც,
ზღვას რომ
ზეცის გულის ძგერად
შემორჩენია...
მე ვხედავ ხალხის უსასრულობას,
თუმც — ხალხის არა,
ნისლის გენიას...
ცათამბჯენებიც მოვიხილეთ
(იყო ასეთნიც)...
ყველაზე მაღალ ცათამბჯენის
თეთრი კიბენი
ნისლისფერ ცხენთა
ნისლის ფლოქვებმა
ოდნავაც არ დაალაქავა...
და მე ვიგრძენი,
რომ აქა ვარ,
სწორედ აქა ვარ,
სად უკვდავება დააბიჯებს
ცეცხლოვან მზერით,
სად ვერ გაარჩევ
ღმერთს
და სატანას,
სად სიხარულსაც და გლოვასაც
აქვს ერთი ფერი...
ავედით თავზე ცათამბჯენისა —
კილომეტრზე მაღალი იყო,
იქიდან ჩანდა ქალაქი მთელი,
და გადავხედეთ, ღმერთებივით,
როგორ დარჩა ჩვენსა ქვეშე
ეს ნისლეთი,
ნისლეთი ვრცელი...
თუმცა ფერები აირეკლა,
ცისარტყელის ფერადებზე აღმატებულნი,
ნისლის კედლებმა,
ხოლო მერე კი,
ციალები მთელს სამყაროს,
თითქოს, ედება,
თეთრი ფერებში შეერია,
ფერები თეთრში,
ფერმა ფერები ააფეთქა,
ფერებმა ფერი,
და აელვარდა
აენთო და ამირაჟიზმდა
პლანეტა სრული,
სამყარო მთელი...
გრანდომანი ვარ
სულით და სისხლით,
მე გრანდიოზულ მისტერიებს,
გრანდიოზულ ოცნებებს ველი...
იქ კი, იქ, ქვევით,
უამრავნი ჩანან ბუნდოვნად,
ხოდა უნდო,
მათ,
უყურებს ჩემი თანამგზავრი,
მერე ვხედავ,
თუ თეთრი კაცი —
თეთრი რაინდი
ნელა-ნელა
ვით იცლება თბილი სისხლისგან,
წითელ სისხლისგან,
თეთრი, წითელი და შავი ფერი
არეკლილია მის ლურჯ თვალებში,
სისხლი ალებრივ აენთო ირგვლივ,
და მეუბნება კაცი იგი:
„აი, შეხედე,

მე აქა ვცხოვრობ...
ერთმა მათგანმაც ვერ შემამჩნია...
არ გაეფანტათ თვალზე არშია...
მკვდარია ყველა,
და ამ მკვდრებს შორის,
ერთი ცოცხალი ჩემი მარშია —
დავდივარ აქეთ,
დავდივარ იქით,
არცა მწყურია
და არცა მშია,
როდესაც ირგვლივ მკვდარია ყველა,
სიკვდილი უკვე
შენს გულშიც არის,
სიკვდილი უკვე
გონში, თავშია...
აქ შემჩნევაც კი ვერშემჩნევაა
და არსებობა — არარსებობა,
აქ სიტყვას ამბობს სიცარიელე —
იგი გიწოდებს, მხოლოდ, მეგობარს...
აქ ერთმანეთის მტრად თუ ცხოვრობენ,
თუ სიცოცხლისთვის
ძალა ეყოფათ. . .
და არის კაცი,
ვით ობლობის მთა,
და მხოლოდ
ბოლო სიზმარს ენდობა..."
რაინდი ნელა გადაიღვარა
სისხლის ღვინოდ თუ
ღვინისა სისხლად,
ამ საზარელმა დასამარებამ
ჩემი გონება
მაგიური წრისაგან იხსნა:
დაიწყო დნობა ნისლის ქალაქმა,
ზღვის ადგილას კი ხმელეთი აღჩნდა,
უზარმაზარი გაშლილი ველი
ერთი მხრით
დიდ ტყით მოსაზღვრულიყო...
ვიდექი მარტო,
სულ მარტოდმარტო...
და არ იცოდა
სად წასულიყო
კაცმა, რომელსაც პოეტი ჰქვია...
ვიდექი მარტო,
სულ, სულ მარტო,
გაოგნებული,
გამოვერკვიე ძალიან გვიან...
მეგონა — გაქრა ქალაქი ნისლის,
არარსებული ხალხის მწკრივებით...
დრო გავიდა და
ერთ რამეს მივხვდი:
მთელი ცხოვრება იმ ქალაქში ვარ,
არ შემოვსულვარ,
გავსულვარ არცა,
(ჩემს მძიმე ბედზე
თვით ვიღიმები),
მთელი ცხოვრება
იმ ქალაქში ვართ,
და წყდება, კვდება
გულის სიმები...
დრო მოვა, მაინც გავარღვევ ჯებირს,
ფიქრით, ოცნებით, ცასაც გავცდები,
ნისლი ხომ მაინც „ფიქრია მთების",
და თვით მასწავლის გზას გამარჯვების,
იქნებ სიცოცხლით, იქნებ სიკვდილით,
იქნებ რაღაცა კიდევ სხვა გზებით,
მინდა დავძლიო ყველა ტკივილი,
ყველა დასასრულს, ზღვარს, მე გავცდები,
რადგან ზღვარშია უსაზღვროებაც,
ვიცი — ასეა, ვიცი — არ ვცდები...

თბილისი. 2017. 14 მაისი

# სიბრძნის სკივრი

დათო ყანდაშვილი



- თუ სწავლობ იმისთვის, რომ მიღებული განსწავლულობით, შედეგად მარტო მატერიალური კეთილდღეობა მოიპოვო, მაშინ სჯობდა საერთოდ არც დაგეწყო სწავლა.
- მატერიალური კეთილდღეობა დიდი რაოდენობით დიდი ძალაუფლებაა, ამიტომ ვინც ძალაუფლების სწორად გამოყენება არ იცის მას არც უნდა ჰქონდეს ის.
- მატერიალური კეთილდღეობა ცოტა რაოდენობით არსებობის საშუალებაა და ვინც არსებობის არსი სწორედ ვერ გაიგო, მას მატერიალური კეთილდღეობა არსებობის გარდუვალი აუცილებლობისთვის საჭიროზე ნაკლები ექნება მუდამ (იქამდე ვიდრე არსებობის არსის გაგებას არ მოინდობს).
- ვინც არსებობის არსი გაიგო (მეტ-ნაკლებად), მას ძალაუფლების სურვილი არ უნდა გაუჩნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის, რაც ჰგონია რომ გაიგო, სინამდვილეში ვერ გაუგია. ხოლო თუ მართლა გაიგო, მაშინ ძალაუფლება, სურვილის არ ქონისდა მიუხედავად, თავად მივა მასთან.
- ერთადერთი ჭეშმარიტი სიმდიდრე – ჭეშმარიტი ცოდნაა, განათლებაა, რომელსაც განსხვავებით მატერიალური სიმდიდრისა ვერავინ და ვერაფერი წაგართმევთ, ვერც ყაჩაღი ან პოლიცია, ვერც ავადმყოფობა ან ექიმი, ვერც სახელმწიფო უშიშროება ან საგადასახადო ინსპექცია, ვერც ბანკი და ვერც სიკვდილი.
- სწავლა კიბის საფეხურებს ჰგავს, რომელთა ათავების შემდეგ განათლება გელის და თუ ვინმე რომელიღაც საფეხურზე გაჩერდა ან სულაც უკან გამობრუნდა სწავლის უაზრობის ბრალი კი არ არის, მხოლოდ და მხოლოდ მისივე მოუთმენლობის ბრალია.
- სიყვარული წარმოუდგენელი ძალის სინათლეა, თვალებს რომ ვერ გაუსწორებ და ძალიან ძნელია წარმოდგენა იმისა, როგორ უნდა შეიგრძნო სიყვარული განათლების გარეშე.
- ვისაც უყვარს, მას არ უნდა სძულდეს.
  ვისაც უყვარს, მას არ უნდა ეშინოდეს.
  ვისაც ეზიზღება, მას ვერ ეყვარება.
  ეს ყოველივე იმ სიყვარულზე, რომელიც არაფერზე არ არის დამოკიდებული.
- ისწავლე რა არის ამ ქვეყნად მართლა საკეთებელი და ყოველთვის ის აკეთე რაც შენს გულს უნდა და არა ვინმეს.
- არ არსებობს გზა, რომელიც რაიმემდე არ მიგიყვანს. რა გზითაც მიდიხარ გაიხედ-გამოიხედე და დაფიქრდი – რატომ მოხვდი იქ? შემთხვევით არავინ არასოდეს, არსად არ მოხვედრილა და არც მოხვდება.
- არ არსებობს ისეთი დაპყრობილი მწვერვალი განათლებისა ადამიანის მიერ, რომლის შემდეგაც უფრო მაღალი მწვერვალი არ მოდიოდეს, თანაც თვალსაწიერის დიაპაზონში. უბრალოდ, თვალები კარგად უნდა მოიფშვნიტო და აწეული ცხვირი თავის ადგილზე უნდა დააბრუნო.
- ხელოვნური ბუნებრივის შვილია და სულსწრაფი ბავშვივით ტკბილი სასუსნავი უყვარს.
  ბუნებრივი სრულად მოიცავს ყოველივე ხელოვნურს რაც კი არის, ხელოვნური კი ბუნებრივს მთლიანად, ამომწურავად, სრულად ვერასოდეს მიაღწევს.
- ხელოვნური ურთიერთგაგების გამოხატვა, მლიქვენლობა, მაამებლობა ტკბილი გემოს საწამლავის მირთმევაა ღიმილიანი სახით.
- ყოველთვის, ყველგან, ყველაფერში იყავი ის, რაც ხარ. თვითმყოფადობა ბუნებრივობის უმაღლესი ფორმაა.
- ადამიანი იმიტომ ხდება შენი მტერი რომ შენი სურვილის განხორიცელებას მისით ხელი ეშლება. ეგებ ჯერ საკუთარი სურვილისთვის გადაგეხედა, ვიდრე გაემიჯნები და დაუპირისპირდები შენნაირვე ადამიანს.
- ერთი ადამიანისთვის პატივის მიგება მეორე ადამიანის შეურაცხყოფის ხარჯზე მრუშობაა ანგარებიანი. ადრე თუ გვიან ის პირველიც მეორის მდგომარეობაში აღმოჩნდება თუ ესეთი პატივის მიღება მოსწონს, სიამოვნებს და მისაღებად მიაჩნია.
- პატიოსნება სხვა ადამიანთა მხრიდან პატივის მიღებას, პატივისცემის დამსახურებას გულისხმობს თავად ამ ადამიანის დაუსწრებლად.

- თუ ვინმეს შეურაცხყოფ საკუთარი მიზნის მისაღწევად, განსაკუთრებით მის ზურგს უკან (დაუს-წრებლად), იცოდე, რომ შენს თავს მიაყენებ შეურაცხყოფას და მოგვიანებით კი, განხორციელებულ, მატერიალიზირებულ ზიანს.
- იმ სიმართლის თქმას აზრი არა აქვს, რომელიც ჭეშმარიტებას რაიმენაირი ფორმით არ ემსახურება. სხვა შემთხვევაში სიმართლის დეკლარირება საკუთარი პიროვნების უპირატესობის დაფიქსირება იქნება. ხანდახან დუმილი ოქროზე ძვირფასია.
- არ არსებობს ტყუილი, რომელიც არ გამომჟღავნდება,
  არ არსებობს სიმართლე, რომელიც არ დაფასდება,
  არ არსებობს ჭეშმარიტება, რომელიც არ დაჯილდოვდება,
  არ არსებობს სიმცდარე, რომელიც არ დაისჯება.
- ამპარტავნება თითქმის იგივეა რაც ანგარება იმ განსხვავებით, რომ ანგარება ეგოიზმის გამოვლინე-ბაა გონებრივ დონეზე, ხოლო ამპარტავნება ეგოიზმის გამოვლინებაა გრძნობისმიერ დონეზე.
- რეალურად, თითოეული ადამიანისათვის არსებობს ის, რის არსებობისაც სჯერა და ხედავს მხოლოდ მას, რისი დანახვა უნდა, რისი დანახვაც არ სურს, თვალწინ რომ დაუდო, მაინც ვერ დაინახავს.
- ადამიანის გარემო ყოველთვის ისეთია, როგორიც მისი შიდა არსია. თუ გარემოს შეცვლა გსურს შენი საკუთარი შიდა არსი უნდა შეცვალო.
- ამ ქვეყნად ყველაზე ძნელი აღზრდაა და თუ შენ ეს არ შეგიძლია, იმას მიეცი საშუალება ეს აკეთოს, ვისაც ეს შენზე უკეთ ძალუძს.
- ყველაზე დიდი სისულელე ამქვეყნად საკუთარი პიროვნების შეგნებულად ტყუილში მყოფებაა, რო-მელიც გარემოსთან მიმართებაში ნიღბის ტარებით, თამაშით გამოიხატება.
- ადამიანის მხრიდან სერიოზულობის ნიღბით ყოფნა მისი შიშების (სულიერი სიყვარულის სიმცირის) მაჩვენებელია და გარემოსგან დაცვის საშუალებას წარმოადგენს. თუმც, ჩემის აზრით, ეს უფრო სტრაუსის დაცვის მეთოდს უფრო ჰგავს.
- ადამიანის მხრიდან არასერიოზულობის ნიღბით ყოფნა მისი სისასტიკის (მატერიალური სიყვარულის სიმცირის) მაჩვენებელია და გარემოზე თავდასხმის საშუალებას წარმოადგენს.
- როცა ვილაცას რაიმეს თავზე ახვევ, აიძულებ, წარმოიდგინე რა გუნებაზე დადგებოდა შენთვის რომ ასე გაეკეთებინათ. ეგებ გეცადა აგეხსნა, რატომ ფიქრობ რომ ასე სჯობს გააკეთოს და არა სხვაგვა-რად. თუ საერთოდ არ სურს შენი მოსმენა იქნებ ჩარევა არც ღირდეს ძალმომრეობის ფასად, თუნდაც ამით ვილაცის მატერიალური ან სულიერ სიცოცხლეს შეექმნას საფრთხე.
- რასაც არაობიექტურად უდგები, ის რეალურად უცნობია შენთვის და, ალბათ, უკლებლივ ყველა ადა-მიანისათვის ყველაზე დიდი უცნობი საკუთარი პიროვნებაა.
- ის, ვინც საკუთარ პიროვნებას რეალურად ობიექტურად გაიცნობს, მისთვის მთელი სამყაროს ყველა საიდუმლოებები გაიხსნება.
- გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. განგება საკუთარი შესაძლებლობების შესაბამის წინააღ-მდეგობებს აძლევს ადამიანს. უბრალოდ საჭიროა გამოსავლის პოვნა.
- თუ ადამიანი ცალსახად და უალტერნატივოდ საკუთარი სხეულის ინტერესებს ემსახურება და ეს ცხოვრების მთავარი და ერთადერთი მიზანი ხდება, მაშინ მასში ღმერთის ცნება, იმაზე უკეთესად გარდაქმნის სურვილი, ვიდრე არის, კვდება.
- თუ ადამიანი აღარ ცდილობს გახდეს იმაზე უკეთესი, ვიდრე არის, მაშინ მისი არსებობა ბუნებრივი კანონზომიერების გადასახედიდან აზრს კარგავს. ამ წამიდან ეს ადამიანი იწყებს ნელ-ნელა კვდომას, ჩაქრობას.
- ყველა პრობლემა, რაც კი არსებობს ადამიანის გადასახედიდან, შეიძლება ითქვას, ხელოვნურად არის შექმნილი. ასე ვთქვათ, რეალურად, პრობლემა არ არსებობს. საჭიროა იმ ხელოვნური მარწუხე-ბიდან, რომლებშიც თავს ვიმყოფებთ, ბუნებრივ მდგომარეობაში გადასვლა და პრობლემა უბრალოდ გაქრება.
- პრობლემები უნდა იყოს ადამიანის მიზნების და სურვილების არსის და რაობის მოკარნახე.
- ინტერესები, მათი სიღრმე, მრავალფეროვნება და ეთიკური ხარისხი პირდაპირ კოპირებულად აისა-ხება ადამიანის მიღწევებში და წარუმატებლობებში, პრობლემებში და განცხრომებში.
- ინტერესების შესწავლით მთლიანად და ამომწურავად შეიძლება ადამიანის სრულყოფილი გახსნა. მითხარით თქვენი ინტერესები და გეტყვით ვინ ხართ თქვენ.
- ოცნება არსებული რეალობიდან გასვლის, მოწყვეტის საშუალებაა. რაც უფრო ღრმა არის ოცნება, მით უფრო მცირეა კონტაქტი რეალობასთან და შედეგად, მით უფრო დიდი სასოწარკვეთილება და თვითგვემა მოაქვს.
- თუ ერთი ადამიანის ინტერესები მის გარშემო მყოფ ადამიანთა ინტერესებს არ შეესაბამება, მაშინ იგი „უცხო სხეულად“ არის მიჩნეული და მარტოობისთვისაა განწირული, ვიდრე იმ გარემოს არ იპო-

ვის, სადაც იგივე ინტერესებით ცხოვრობენ; ან ვიდრე არ დაემორჩილება იმ გარემოს ინტერესებს, სადაც იმყოფება.

- თუ ადამიანის ინტერესები სხვა ადამიანთა ინტერესების დაკმაყოფილებით შემოიფარგლება და ცალსახად მათგან გამომდინრეობს, ასეთ ადამიანს საკუთარი „მე" არ გააჩნია და იმ ადამიანებს, ვის ინტერესებსაც აკმაყოფილებს, როგორც კერპებს ისე ემსახურება.
- თუ ადამიანის ინტერესები მხოლოდ საკუთარი ნება-სურვილების დაკმაყოფილებით შემოიფარგლება და სხვა ადამიანთა ინტერესების იგნორირებას ახდენს ან ცდილობს ეს მაქსიმალურად მოახერხოს, ასეთ ადამიანს საკუთარი „მე" აღზევებული ჰყავს და საკუთარ პიროვნებას როგორც კერპს ისე ემსახურება და შეძლებისდაგვარად სხვებსაც აიძულებს ამას.
- თუ ადამიანის ინტერესები სარწმუნო, მდგრადი, ღვთიური ინტერესების დაკმაყოფილებით შემოიფარგლება, ის თავისუფლებას მიაღწევს.
- *რაც შეეხება თავისუფლებას:*
  თავის უფალი მხოლოდ ის არის, ვისაც საკუთარი ცხოვრების (ბედის) განგების უფლება აქვს მინიჭებული. ისე რომ აბსოლუტური თავისუფლების მიღწევა ადამიანისთვის თეორიულ დონეზეც კი შეუძლებელია. თუ ადამიანი ასეთ მეტამორფოზას შესძლებს თავის თავში ის უკვე ადამიანი აღარ იქნება, ანუ ზეადამიანი (სულიერი სამყაროს სრულუფლებიანი წარმომადგენელი) გახდება.
- ჭეშმარიტი სიკეთე იმის კეთებაა, რაც მართლა, რაც ჭეშმარიტად საკეთებელია.
- საკუთარი პიროვნების ინტერესების შეგნებულად დაზიანების ფასად ჩადენილი ქმედება სიყვარულის სახელით (ემოციური მიჯაჭვულობით გამოწვეული) სინამდვილეში ბოროტებაა პირველ რიგში იმ ადამიანებისთვის ვისთვისაც გაკეთდა ეს ე. წ. სიკეთე. ეს ქმედებები ამ ადამიანების უპასუხისმგებლობის მკვეთრ აწევას იწვევს და შეუგნებლობის მომატებას ემსახურება.
- ჭეშმარიტი ბოროტება იმის კეთებაა, რაც ჭეშმარიტად არ არის საკეთებელი.
- საკუთარი პიროვნების ინტერესებისთვის ჩადენილი ქმედება სხვა, ამ ქვემედების პროცესში მონაწილე პიროვნების ინტერესების დაზიანების ხარჯზე (ამბიციური მიჯაჭვულობით გამოწვეული), ნამდვილად აშკარა ბოროტებაა, ამ შემთხვევაში, პირველ რიგში საკუთარი პიროვნებისათვის, ვისთვისაც გაკეთდა ეს ე. წ. სიკეთე. გარშემო მყოფი პიროვნებებისთვის კი, ეს უპასუხისმგელობის გამოვლინების დანახვის მშვენიერი საშუალებაა.
- თუ ვინმესთან მიდიხარ გერჩივნოს გულწრფელად გკითხონ რატომ არ მოდიოდი, ვიდრე გულში იფიქრონ, ან კიდევ უარესი, გითხრან: რატომ მოხვედი?!
- ხასიათი, ცალსახად შეიძლება ითქვას, ჩვევებისაგან შედგება.
- ვისაც საკუთარი ჩვევების რაობაზე ობიექტური წარმოდგენა აქვს, მას საკუთარი ხასიათის შეცვლის უნარიც გააჩნია ნებისყოფის ძალისხმევით.
- საკუთარი ჩვევების კონტროლირების მქონე ადამიანს საკუთარი ბედის განგების სერიოზული შანსები და შესაძლებლობები აქვს.
- ერთი, თუნდაც უმნიშვნელო ჩვევაც რომ შეცვალოს ადამიანმა თავის თავში მისი ხასიათი აუცილებლად შეიცვლება.
- ჩვევა რაღაცა სახით თავისთავად კერპია და მხოლოდ უჩვეულობით ანუ უშუალობით შეიძლება კერპებისაგან თავის დაღწევა.
- ადამიანისთვის ე. წ. ოქროს შუალეში გადასვლა, რაც, ფაქტიურად, ადამიანური შესაძლებლობების მაქსიმალური ძალისხმევით თუ შეიძლება მიიღწეს, სრული პასუხისმგელობით შეიძლება ითქვას, ე. წ. სიკვდილის ტოლფასია.
- ადამიანის მხრიდან ყველასთან და ყველაფერთან ობიექტური დამოკიდებულება (არაფრისა და არავის სუბიექტური არც მიმხრობა და არც გადადგომა) ანუ უშუალობა მხოლოდ მას შემდეგ მიიღწევა, რაც ოქროს შუალედს ჭეშმარიტად გაივლის. ეს უდიდესი ბედნიერებაა და მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.
- ადამიანში სიზარმაცის გამოვლინებას იმ დისკომფორტის, უხერხულობის გრძნობა იწვევს, რომელსაც მოიტანს ნებისმიერი ქმედება ადამიანის მხრიდან და რომელიც შინაგან აღქმაში წინასწარ უკვე ხდება ტვინში ან უკავშირდება იმ ქმედების შედეგებს, რომლებიც წარსულში უკვე იყო.
- უშუალობას სიტუაციების, ფასეულობების, ქმედებების, გრძნობებისა და, საერთოდ, ყველაფრის ბუნებრივი გამჭვირვალობა მოაქვს. ადამიანი აღარ არის დამოკიდებული იმ შიშზე, თუ რას იტყვის ან რას იფიქრებს ან რას მოიმოქმედებს გარემო მის შესახებ. იგი ფაქტიურად გარემოზე არ დამოკიდებული, გარემოსაგან თავისუფალი ხდება და გარემო თავად ხდება მასზე დამოკიდებული ნებაყოფილობითა და ხალისით.
- ხელოვნურად, არაბუნებრივად შექმნილი გამჭვირვალობა ადამიანში უშუალობას კლავს, ამცირებს და ადრე მორალით, საზოგადოებრივი წეს-ჩვეულებებით, თუ შინაგანი ცენზურით (სინდისით) შეზღუდული არასრულყოფილება უკვე სრულყოფილებად ასაღებს თავს და საზოგადოების ცნობიერე-

ბის მანკიერი ნაწილი სარეველა ბალახივით ედება საზოგადოებრივი ყოფიერების წესს. ასეთ საზოგადოებაში უმანკოება ნამდვილად ზედმეტი და, უფრო მეტიც, დასაცინი ატრიბუტი ხდება.

- არაძალისმიერება ჭეშმარიტად ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ფასეული ცნებაა.
- ძალისმიერება მმართველის მიერ სამართავზე მართულის იგნორირებას იწვევს (ინტერესების) და ამას დიქტატურას ეძახიან. სხვაგვარად ამას დემონურობაც შეიძლება ეწოდოს.
- ძალისმიერება მმართველის მიერ საკუთარი ინტერესების იგნორირების საზიანოდ და, ცალსახად, სამართავი ნაწილის ინტერესების სასარგებლოდ უსარგებლო, უსუსური, დაბეჩავებული მდგომარეობის წარმოქმნას იწვევს გარემოში და ამას უფრო დემოკრატიის დარქმევა შეეფერება. სხვაგვარად, ამას მონობაც შეიძლება ეწოდოს.
- დედამიწაზე ზოგადად ადამიანები იმის მიმართ, რაც უყვართ (ყოველ შემთხვევაში ამ სახელით იხსენიებენ) არაძალისმიერი მიდგომით გამოირჩევიან, ხოლო მათთვის კეთილდღეობის, სიამოვნების მინიჭებისათვის კი დანარჩენ გარემოს („მე“-ს სიშორის საფეხურეობრივი დაყოფის შკალით) ძალისმიერი მიდგომით უდგებიან. ხოლო ე. წ. ძალიან დიდი სიყვარულის შემთხვევაში კი, ხდება საკუთარი პიროვნების ძალისმიერების (შეგნებულად შეზღუდვა-შევიწროების) ქვეშ ყოფნა ამ საყვარელი არსების (ძირითადად ადამიანის) წინ დაყენებით. ამის შემდგომ კი, როდესაც საბოლოო ჯამში ღებულობენ არასასურველ შედეგებს ყოველთვის უმნიშვნელო სისულელეებს უკავშირებენ ამას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში საკუთარი თავის ქმედებებს გამოწვეულს მათი ფასეულობრივი აღქმიდან.
- არაძალადობა არის ძალით არ მიდგომა, ძალმომრეობით არ ზომვა როგორც გარემოს, ისე საკუთარი პიროვნების მიმართ. ძალის ნებისმიერ გამოვლინებას ჭეშმარიტ სიყვარულთან არავითარი საერთო არ გააჩნია და ეს წმინდაწყლის ემოციების შედეგებია.
- ძალადობის არ დაშვების, ან აღმოფხვრის მცდელობაც, თავის მხრივ, უცილობლად ძალისხმევაა, ე. ი. ძალადობაა და ის ადამიანის დადებითი ემოციებიდან იღებს სათავეს, თუ აღმოფხვრის (ან არ დაშვების) მიზანი ძალადობის არ დაშვებაა და არა შიში ახლობელი ადამიანის ან საკუთარი სხეულის დაშავებისა, დაზიანებისა.
- სისასტიკე ადამიანის მხრიდან იმ სიტუაციებიდან გამომდინარეობს, რომლებშიც ის დამოუკიდებელი ვერ არის და ეს დამოუკიდებლობა ძალის მეშვეობით (ძალადობით) უნდა მიიღოს.
- ეგოიზმს თუ განვიხილავთ როგორც რაღაც კონკრეტულ სიდიდეს და მის რაიმე ერთეულით გაზომვას მოვინდომებთ, მაშინ მე ვიტყოდი, რომ ეგოიზმის ერთეული არის ჩვევა, რეფლექსი, ინსტინქტი, რაც გინდათ ის დაარქვით, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს.
- ეგოიზმის, როგორც სიდიდის რეალური „რიცხობრივი“, ნომინალური მაჩვენებელი კი არის სიზარმაცე.
  მე ეს ყოველივე ე. წ. მათემატიკური ფორმულითაც კი შემიძლია გამოვხატო.
  ეგოიზმი = სიზარმაცე x ჩვევა.
- დამოკიდებულება, თავის მხრივ, მატერიალურის სიყვარულიდან, მატერიაზე მიჯაჭვულობისაგან მომდინარეობს. აქედანვე ჩნდება შიშები. ამ დამოკიდებულებას მოაქვს ისინი ვერ მიღების, ვერ დაცვის, ვერ შენარჩუნების, არ დაკარგვის, მიჯაჭვულობის ობიექტის მხრიდან არ შენაცვლების და ასეთი ტიპის ვარაუდებისაგან, ეჭვებისაგან.
- დამოუკიდებლობა სულიერების სიყვარულიდან, სულიერებაზე მიჯაჭვულობისაგან მომდინარეობს. აქედან ჩნდება ჭეშმარიტი სიყვარული. ამ დამოკიდებულებას მოაქვს ის თვითკმარობის დაცულობის, მიმდინარე რეალობის ობიექტურ რეალობად მიღების, მყუდროების, მიჯაჭვულობის ობიექტის მიმართ ერთგულების და ასეთი ტიპის შეგრძნებებისაგან.
- რა არის ადამიანის ცხოვრების არსი?
  მე დღეს ცალსახად შემიძლია ვთქვა, რომ ეს არსი მდგომარეობს ადამიანის იმაზე უკეთესად გარდაქმნაში, ვიდრე ის არის. სადამდე? ბოლომდე, ვიდრე ადამიანი ცოცხალია. ეს ძალიან, ძალიან ძნელია, შეუძლებელი თუ არ არის. და რა არის ბოლო? ადამიანი უნდა მივიდეს ღმერთის ცნობიერების აღქმის დონემდე და შეერწყას ღმერთს.
  სხვა ყველაფერი დანარჩენი არის ის მოვლენები, რომლებიც ამ პროცესში ხდება და თუ ვინმეს ეს მოვლენები უფრო მნიშვნელოვნად ეჩვენება, ვიდრე პროცესი, ის, უბრალოდ, უგუნურია, ხოლო მას ვისაც ეს მოვლენები არაფრად მიაჩნია, უნდა ყველაფერი გამოტოვოს, ყველაფერს გადაახტეს და პირდაპირ პროცესის ბოლოში მოხვდეს, ისიც მოუთმენელი და უგუნურია.
  ზუსტად პროცესის დროს მომხდარი მოვლენები უნდა იყოს მამოძრავებელი წინ უკეთესობისკენ და მათგან ადამიანი მხოლოდ სიამოვნებასა და ღმერთისადმი მადლიერებას უნდა გრძნობდეს.

# თარგმანები


მაყვალა გონაშვილი

## პოემა

### მარ ბაჯიევი

### ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ დაამარცხეს ყირგიზებმა ავღანელი ხანი შოორუკი

(გაგრძელება)

პოემის დასაწყისი იხილეთ
ანთოლოგიის №№ 3, 4, 5 ტომსა და ჟურნალი
„ათინათის“ №№ 18, 19, 20, 21, 22,23 ნომრებში

**ამბავი ალმანბეტისა**

ჰეი, ყური მომაპყარით,
ღმერთი ლოცვით განადიდეთ,
ჯერ სადა ხართ, უთვალავი
საამბობი  დამრჩა კიდევ.
ერთდროს ჩინეთს განაგებდა
ოთხი ვაჟი კაკანჩინის,
ალოოკე, ესენ, კარი,
აზიზ — მამის თვალის ჩინი.
ოცდახუთი წლისა გახლდათ
ნაზოლარა, აზიზხანი,
ზვიადი და უკარება,
წუნია და ქედმაღალი.
მისი ასე კენტად ყოფნა,
იყო ძმების საწუხარი.
შეიკრიბნენ ერთხელ ძმები
ერთი ფიქრით, ერთი აზრით,
რომ საცოლე შეურჩიონ,
მალე ქალი შერთონ აზიზს.
კარი ამბობს, ნეტა რა სჭირს,
არავისზე რჩება თვალი,
ნუთუ ქვეყნად არსადაა
მისი სწორი, მისი ცალი.
უკვე დროა, დაქორწილდეს.
შევურჩიოთ ერთი ქალი,
გაუჩინოს აზიზს ვაჟი,
მემკვიდრე და საფიცარი.
საპატარძლოდ შეარჩიეს
ქალწულები თექვსმეტ წლამდე.
ხუანხედან ირტიშამდე,
და დნეპრიდან ამურამდე.
გაუმართეს აემანი[1]
ბეიჟანის სასახლეში.
ქვაგრილსაც კიდასწვავს ვნებით
ტანკენარა ქალთა ეშხი,
გიშრის თვალთა ელვარება
გადაიყვანს ბრძენსაც ჭკვაზე,
გედებივით დაცურავენ
მარმარილოს მოედანზე.
ამ მშვენიერ ქალთა გუნდში
შეარჩიოს უნდა ცოლი,
ნუთუ ერთიც კი არაა
აზიზისთვის მოსაწონი.
რად შეუკრავს ხანს კოპები?
იბღვირება ნეტა რაზე,
უცებ აზიზს დასცდა ოხვრა,
ალტინაის დანახვაზე.
ქალს ამარტა შვენის ყელზე
ტანზე ჭრელი — ჭიჭნაური,
და აზიზხანს, უკარებას,
ქალზე შეუვარდა გული.
„ვეძებე და ძლივსა ვპოვე,
ჩემი ცალი, ჩემი სწორი,
აი, ჩემი არჩევანი,
ეს იქნება ჩემი ცოლი!“
მშვენიერი ალტინაი,
ბრწყინავს, როგორც ნამი დილის,
მაგრამ არის შიმუნვარი
თურმე ბაის ქალიშვილის.
თმაგიშერას, თვალვარსკვლავას
შვენის კაბა – ყირმიზია,
ის ბურუტი მამამისი
თურმე მწყემსი ყირგიზია.

[1]აემანი — მასპინძლობა.

აზიზმა თქვა, ცოლად ვირთავ,
იცით, სიტყვას არ ცვლის ხანი,
და მსახური ალტინაი
ასე გახდა დედოფალი.

. . .
იქორწილეს, მოილხინეს
გაიარა მცირე ხანმა,
ვაჟი გაჩნდა, ალმანბეტი
შეარქვა მას ესენხანმა.
ტკბილი იყო ყრმობის წლები,
სანამება დედის კალთას,
ექვსი წლისა რომ შეიქმნა,
გააგზავნეს ბრძენ აჟდართან.
სიბრძნის ზღვაა აჟდარბაი,
სიტყვით, ცოდნით რჩეულია,
ვარსკვლავებით მას ამინდის
გამოცნობა შეუძლია;
იცის, სნეულს ვით უწამლოს,
რა ძალა აქვს ბალახ-ბულახს,
ან ბობოქარ ოკეანეს
გემი როგორ გადასცურავს.
ხმლის მოქნევის, შუბის ტყორცნის,
იცის ბრძოლის ყველა წესი
და სახანოს კარგად მართვის
კანონი და განაწესი.
მშობლიური სახლიდან შორს,
დრო საოცრად გაიწელა,
როგორც იქნა გაიარა
სწავლის ათმა მძიმე წელმა.
სასახლეში წააბრძანეს,
როცა გახდა თექვსმეტისა.
ბრძენთა-ბრძენი აჟდარისგან
ყველაფერი შეითვისა,
მას ვერავინ შეედრება,
ვერც ბრძოლაში, ვერც სწავლაში,
მიაქვს სიბრძნე, რომლის ფასი,
განძი არ დევს ზარდახშაში.
აზიზმა თქვა: — ჩემი ვაჟი
გამხდარაო ქვეყნის თვალი,
თავის ცოდნით სახანოში
აღასრულოს სამართალი.
ბნელს შუქს მოჰფენს, გაანათებს,
ამითა ჰგავს ცოდნა სანთელს,
გული — წრფელი, ჭკუა — მჭრელი,
სხვა რა უნდა მოსამართლეს.
მხოლოდ კანონს სცემდა პატივს,
რისი ქრთამი, რისი ძღვენი,
მოსარჩლეც და მოპასუხეც,
ყველა იყო მადლიერი.
დიდი განძის, ცოდნის მფლობელს,
არ რჩებოდა ფულზე თვალი,
და ჩინეთის სახანოში.
ზეიმობდა სამართალი.
ერთხელ ნახა, მუსულმანი,
უსამართლოდ უცემიათ,
დაუდვიათ ბორკილები
ბნელ ორმოში ჩაუგდიათ.
თურმე საკუთარ მინდორში
ჩაის ზრდიდა ის საწყალი,
მაგრამ იმ წელს იყო გვალვა,
მოიფშრუკა მოსავალი,
წელში გაწყვიტა ბეგარამ,
გადუხდელი დარჩა ვალი.
გაამართლა ალმანბეტმა,
აღასრულა სამართალი.
ალოოკეს ვაჟს — კონურას,
უთხრა: — თუმც მაქვს შენთან ძმობა,
საქციელს ვერ მოგიწონებ
კმარა ასე თვითნებობა.
რას ერჩოდი იმ მუსულმანს,
დაიჭირე ნეტავ რისთვის.
გადასახადს შენ გიწესებ
უსამართლოდ მოპყრობისთვის.
რა შეიტყო კონურბაიმ
ბიძაშვილის განაჩენი,
სიბრაზისგან გადაყვითლდა,
ხტოდა, როგორც კამათელი.
თავში სისხლი აუვარდა,
დაეკარგა ჭამის მადა
და მახვილით მოსამართლეს
სასახლეში მიუვარდა.
დაუყვირა: — შე ბურუტო,
რას მიბედავ ხანის ვაჟსო,
მახვილს ისე ჩაგცხობ თავში,
დაგიბინდავ გონებასო.
დაატყვევე მუსულმანი,
თორემ აგქნი ასო-ასო.
სულელური კანონებით
გინდა საქმე დამითარსო?
გირჩევნია დაანებო
თავი ჭკუის სწავლებასო!
— რა გაყვირებს კონურბაი,
ვინ გგონია ნეტავ თავი,
მე არა მაქვს შენი შიში,
ავასრულე სამართალი.
მომივარდი იარაღით,
დაივიწყე ჩვენი ძმობა,

კონურბაი, მოგკლავს შენი
ყოყოჩობა, ქედმაღლობა.
შენ ხალხს ძარცვავ ყაჩაღივით,
მუდამ ხმალზე გიდევს ხელი,
ჩვენი ფიცის გამტეხი ხარ,
ჩვენი გვარის შემრცხვენელი.
ალოოკე ხანის ვაჟო,
არ შეგარჩენ ასე ქადილს,
სანამ გშვენის თავი მხრებზე,
გამეცალე, ჩქარა წადი.
— რისი ძმობა, რისი ფიცი,
შე ბურუტო, მუსულმანო,
მე არ ვიყო კონურბაი,
ეგ სიტყვა თუ არ განანო.
არაფერი გაგეგება,
თავი მოგაქვს მოსამართლედ,
მაგ თავს მოგჭრი, ფსუტიანი
ტაშტით ესენ-ხანს მივართმევ.
სიბრაზისგან უთრთის ხელი,
თვალი რისხვით დაებინდა
და მახვილი კონურბაიმ
ქარქაშიდან ამოზიდა.
მას დაასწრო ალმანბეტმა
და ნაჯახი სტყორცნა მარდად,
მხოლოდ ყუა მოხვდა მხარზე
და მახვილი დაუვარდა.
დასტურ, დასჭრის ალმანბეგი
ვერ წაუვა საქმე კარგად,
ცხენს მოახტა, გააჭენა,
ცხრა მთას იქით გადიკარგა.
გადაწყვიტა, რომ ესენ-ხანს
ყოველივე წვრილად უთხრას: —
ბატონს მონის დასჯისათვის
ვინ უწოდებს სულთამხუთავს —
გინდ მტყუანი, გინდ მართალი,
მონა მაინც არის მონა,
იმ ბურუტმა ალმანბეტმა
რა კანონი მოიგონა.
მოახსენა: — ესენ-ხანო,
დამიბნელდა თვალის ჩინი,
აღასრულებს ვითომ წესებს,
ხანებს ლანძღავს კაკანჩინი.
ცალი გვერდით — ბურუტია.
არად ულირს ჩვენი ნება,
დედამისის მოდგმისაა,
მსახურები ებრალება.
აკვნიდანვე ურჯულოა,
რას უშველის ჩემი ძმობა,
ის ტრამალის მგელია და
არ მოიშლის მგელი მგლობას.

გინდა ოქროს ტახტზე დასვი,
უნანავე გინდა ჩეროს,
სანამ დროა, ყეყეჩ ბურუტს
ჭკვა ვასწავლოთ, ბიძაჩემო.
საქმე ისე გავუხადოთ,
დადიოდეს, როგორც ცეტი.
სწორედ ამ დროს სასახლეში
შემოიჭრა ალმანბეტიც.
ბიძას უთხრა: — კონურბაი,
დამცინის და არად მაგდებს,
თითქოს თქვენთვის მე ვარ უცხო
და ბურუტად დავიბადე.
თუკი კანონს არ აქვს ძალა,
თუკი მე ვარ მხოლოდ ყბედი,
რად დამნიშნე მოსამართლედ,
რად მომანდე ხალხის ბედი?
მდუმარეა ესენ-ხანი,
თითქოს სახე გაუხევდა,
ადგა, ტახტი მიატოვა,
ალმანს ზედაც არ შეხედა,
თითქოს სილა გააწნეს და
თითქოს თავში ჩასცხეს კეტი,
ვერ აიტანს დამცირებას
გულმართალი ალმანბეტი.
უნდა, ბრაზი დაიოკოს.
ატრიალებს რისხვით თვალებს...
რად ეგონა ნეტავ ბიძა,
შორსმჭვრეტელი, გულმოწყალე?
არ შეარჩენს დამცირებას,
მოკლავს ესენს — ბრიყვს და სულელს.
თვით გახდება ხანთა ხანი
და სამართალს აღასრულებს.
ფრთხილად იყავ, ალმანბეტო,
რას გიშველის გამეხება,
ახლა უნდა სიბრძნეს უხმო,
ახლა გმართებს მოხერხება.
თუმც ნერგს წყარო ასაზრდოებს
ნიაღვრისგან ხეც კი ხმება.
შეებრძოლო შენს ჯიშს, ჯილაგს,
როდი არის ადვილიო,
ბრძენთაბრძენსაც უბნევს თავგზას
ზოგჯერ გულის წადილიო,
თუკი ძალაც არ მოგყვება
რას გიშველის ქადილიო.

. . .
ბიძას როგორ გაუსწორდეს,
იფიქრა და დათქვა ვადაც,
მაგრამ ამ დროს ესენ-ხანის
ქალიშვილი კარს მოადგა.

თმაგიშერა, ტანად სარო,
ვერ უპოვოს ვერვინ წუნი,
რა ხანია, რომ ალმანბეტს
ტანჯავს მისი სიყვარული.
მარმარილოს მხრებზე ასულს,
ჩამოშლია დალალები,
ბრძენი უცებ იქცა ბავშვად,
გული უცემს გამალებით.
„ო, ბურულჩა, მშვენიერო,
რა დღითიდღე ლამაზდები,
რა სხივივით შემოიჭერ,
გამინათე დარბაზები.
გაიღიმებ და თვალებში
ციმციმებენ ალმასები.
რა მალამო მოგაქვს ჩემთვის,
რით მიწამლებ, დარდით შეშლილს,
შე, ობოლო მარგალიტო,
ესენხანის საუნჯეში.
რას მიპირებს მამაშენი
ხალხის სისხლით განალეში?
ქალმა უთხრა: — აზიზის ძევ,
გულით მსურდა შენი ნახვა,
სხვები ეშმას გზას ადგანან,
შენ სიმართლის გზებით დახვალ,
სხვას ვის ვნახავ შენს ტოლებში
ჭკუით ბრძენს და ტანად ათლეტს,
შენ ჩინეთის რჩეული ხარ,
გულმართალი მოსამართლე.
ქედმაღალი კონკურბაი
ამხილე და გექცა ჭირად,
ნურც მამაჩემს, ნურც მამაშენს
ნუ ენდობი, იყავ ფრთხილად.
მამაჩემმა — ესენხანმა
ასე უთხრა აზიზსაო,
არაფერი არა სცხია
შენს მემკვიდრეს მამისაო.
აირჩიე, აზიზ ხანო,
ან მე — ძმა და ან ისაო,
ძილში მოჰკალ, კარგად იცი,
ღონე ერჩის ხარისაო.
მამის ასეთ ორპირობას
არ ელოდა ბრძენი ალმა,
ცალკე წყენით, ცალკე ვნებით
აუწითლა სახე ალმა.
უთხრა: — ბერულჩ, მშვენიერო,
შენ ხარ გულის მბრძანებელი,
ესენ-ხანი მოყვრად მსურდა,
ვაგლახ, ჩემი გახდა მტერი.
ვიცი, შენს თავს არასოდეს
მე არ მომცემს მამაშენი.
სხვას ერგება შენი გული,
ეგ მშვენება, ეგ სინაზე,
რას მიშველის სამართალი
უსამართლო დუნიაზე?
ნეტა მქონდა მე რა ცოდვა?
დავისაჯე ნეტავ რაზე?
ხანთან ჩემი გულმართლობა
დავამტკიცო რა ენაზე?
ვით აგიხსნა, გაგიმხილო,
უიმედო ჩემი გრძნობა,
მე სიკვდილზე უფრო მეტად
მეძნელება უშენობა.
ქალმა უთხრა: ნუ, ალმანბეტ,
ნუ წუწუნებ, ნუ ტირიო,
კარგად იცი, რომ ამ ქვეყნად
არცარაა მუდმივიო.
მოხუცია მამაჩემი,
მისი ზარიც ჩამოჰკრავსო,
ბედს თუ უნდა ხანად აქცევს
უქონელს და ამბოკარსო;
სანამ ჩემთან დაბრუნდები,
გადავრაზავ გულის კარსო,
უნდა შენს დროს დაელოდო,
გაუფრთხილდე უნდა თავსო,
სიყვარული, გამრავლება
როდი შეუძლია მკვდარსო.
შენ იქნები ჩემი ქმარი,
კარგად დაიხსომე ესო,
დრო მოვა და შეგეყრები,
ვით ნარგიზი ხვდება მზესო.
ახლა წადი, წადი ჩქარა,
მოერიდე მამაჩემსო.
შენს მეტს არვის გავიკარებ.
გინდ გავიდეს ასი წელი“.
ალმანბეტი ხანის ასულს
ეამბორა მოწიწებით,
გაუღიმა ქალმაც ტრფობით,
რაღა უნდა ალმას მეტი?
ქალმა ყელზე ჩამოჰკიდა
ბუდისტური ამულეტი.
მზე ბურულჩას მობრძანებამ
ვაჟი გულით გაახარა,
ერთსა ეჭვობს ალმანბეტი,
ვერ იჯერებს მამის ღალატს.
უთხრა: — მამი, კარგად ვიცი,
რა ზრახვა აქვს ესენს, ბოროტს,
ჩემი მოკვლა დაგავალა,
სურს, ორივე მოგვიშოროს.
ნუ ჭოჭმანობ, ჩვენ დავასწროთ,
დავუყენოთ ესენს თვალი,

ტახტი ხელში ჩავიგდოთ და
აღვასრულოთ სამართალი.
აზიზ-ხანმა მრისხანებით
შვილს შეხედა, შეუღრინა,
საკუთარი ბიძის მტრობა,
ვინ გასწავლა, მაცოდინა.
მკერდში გველი გამიზრდია,
რისი ბრძენი, რისი მცოდნე?
რა ხელი გაქვს მოძმის სისხლთან,
უნდა მტერთან მამაცობდე.
ბიძაშვილსაც დაექადნე,
ცოდვა ცოდვას მიუმატე,
დედაშენის სისხლი გიდუღს,
შე უჯიშოვ, მოღალატევ!
გაამტყუნე კონურბაი,
გამოზრდილი ძმასავითო,
შე, ბურუტო, შე, ალქატო,
ბოროტო და არსაითო!
თითქოს მკერდი დაუსერეს,
თითქოს თავში დასცხეს კეტი,
მამის ასეთ მრისხანებას
არ ელოდა ალმანბეტი.
მამის სიტყვა, გულქვაობა,
ალალს, მართალს, ექცა მეხად.
სიბრაზისგან ლამის ხმალი
მოღუნა და გადატეხა.
გულია თუ ქვაგრილია?
როგორ იტევს წყენას ამდენს?
უნდა ჩქარა გაერიდოს,
მამა რომ არ შემოაკვდეს,
გვარ-ტომისგან დაწყევლილი
სად იჩქარის სისხამ დილით,
როგორ უნდა მოიშუშოს
გული დამწვარ-დასერილი?
სახე გადაფითრებია,
ვერ ერევა შავბნელ სევდას,
ახლა მისი დამშვიდება
შეუძლია მხოლოდ დედას.
დედამ უთხრა: ეს სიცოცხლე
გენაცვალოს, ჩემო ერთა,
შენი თავი, მე საბრალოს,
მისახსოვრა თავად ღმერთმა.
ეჭვიანი აზიზ-ხანი
ჩვენ ორივეს გვიგებს მახეს,
იქნებ, არ ხარ მისი შვილი,
სულიწმინდით ჩამესახე?
ვერა გგუობს მამაშენი
მუსლიმანს და წინდაცვეთილს,
რადგან ჩემი მუცლიდანვე
ჯიშიც, რწმენაც გერგო დედის.
რადგან ცოდნით რჩეული ხარ,
შენი შური მოკლავს ხანებს,
ჩინელებში, ვიცი, შვილო,
ვერასოდეს გაიხარებ.
ჩვენ შეწევნა ვთხოვოთ უფალს,
მფარველსა და მადლის მომცემს,
ჩემს სამშობლოს მივაშუროთ,
შვილო, სანამ ამოგვხოცეს.
გაიპარნენ გვიან ღამით,
იქნებ ავ-ბედს, ხიფათს ასცდნენ
და ჩინეთის დიდ კედელთან
მესაზღვრეებს გადააწყდნენ.
დედა ამბობს: — „ჩქარა, შვილო,
ჭირად გვექცა ეს ქვეყანა.“
ალმანბეტმა გუშაგები
კურდღლებივით მიმოყარა.
როგორც იქნა, გააღწიეს,
როგორც იქნა, გასცდნენ ზღუდეს,
ნახავს დედა მონატრებულ
მშობელ ხალხს და თავის ბუდეს.
რას გაუგებ ბედისწერას
როდის გელის ჭირი, ლხინი,
ქალს ისარი დაეწია,
მოიცელა ბალახივით.
დაიჩოქა ალმანბეტმა,
აუწია დედას თავი,
შვილს აევედრებს მაინც უფალს
ბეჩავი და მომაკვდავი.
ეამბორა დედას შუბლზე
მშობელ მიწას მიაბარა,
ასე დარჩა ალმანბეტი
მარტო, ბედის ანაბარა.

(გაგრძელება იქნება)

**Ratiani Lali**
*Professor Doctor Staatlicher Universität Suchumi*



**WEG DES RUHMES**
**FORTSETZUNG**

Ich habe Gott-Menschen erwähnt und… plötzlich mich an das Buch von Frau Gulnazi Charaischwili „Gottmensch und Möwe“ erinnert. Ehe ich zur Poesie von Gulnazi Charaischwili

zurückkomme, möchte ich mich über dieses kleine Buch unterhalten.

„Gottmensch und Möwe“ist ein bekanntes prosaisches Werk von Charaischwili Gulnazi. Auf jeden Fall ist es jetzt so.

Wäre dieses Buch über den Gott-Menschen nach dem Umfang größer gewesen, hätte ich es als

märchenartigen und mosaischen Roman genannt. Es beträgt bis zur 60. Seiten, aber der Roman soll insgesamt wenigstens mehr als 100. Seiten enthalten. Man sagt, daβ es die Elfmärchensammlung sei. Hinter dem Hauptheld dieser Märchen-Erzählungen ist der Person des Gottmannes zu verstehen, in dem die Einigen einfach das Sammel-Gesicht der hochmutigen Menschen, das bestimmte Symbol sehen, aber die Anderen diesen Person direkt mit unserem ehemahligen Prämier-Herr Iwanischwili Bidsina verbinden. Diese Tatsache, daβ Iwanischwili Bidsina als ein erfolgreicher Geschäftsmann, gesellschaftlicher Tätiger, zuletzt als Prämier, einer der bekanntesten Personen in modernem Georgien war, wurde dieses Erzählungenzyklus aufsehenserregend geworden.

Das Buch ist im Jahre 2007 in Tbilissi herausgegeben. Als dieses Buch erschien, war damals Iwanischwili gar keine führende Persönlichkeit des Landes. Hinsichtlich, erwies es sich auch, daβ dieses Buch prophetisch wurde, nach einigen Jahren verwandelte sich Herr Iwanischwili Bidsina ins moderne Symbol der Gegenwart.

Es sei erwähnt, daβ Ende der achzighen und Anfang der neunzigen Jahren durch die Tätigkeit von Kostawa Merab, Gamsachurdia Swiad, Bakradse Akaki und durch die Anderen die Grundlage für das neue Georgien gelegt wurde.



Entwicklung, Aufschwung und Fortschritte des Landes wurde wegen des Putsches, der Verwirrung des 1992 Jahres gestoppt, die Erreignisse haben sich in einander gemischt.

Der Tod von Gamsachurdia Zwiad hatte die Regierungsjahre des zweiten und dritten Prä sidenten zu Folge gebracht, aber es erwies sich ganz klar, daβ es mehr kompliziert war, die Unordnugen, die Lage des Landes einzuregeln, im Vergleich dazu, wie es die Manchen gedacht hätten.

Es schien so, als wäre sich eine neue Bewegung des 2007 Jahres, ab 2012 in ieine dunkenblaue Revolution verwandelt.

Es war so oder ganz anders, stand an der Spitze des Landes ein beliebter Prämier-Minister, dessen Wunsch war, Georgien in eine neue Entwicklungsetappe und –Räume zu setzen.

Ich weiβ nicht, ob es korrekt ist in den Gulnazis Erzählngen das Gesicht von Iwanischwilis zu erkennen. Ich würde so sagen, daβ es mener Meinung nach so, oder anders ist. Die Schriftstellerin hat natürlich den Person des groβen Geschäftsmannes, Milliarders, Mäzen und Politikers deutlicherweise verwendet, aber sein Hauptheld ist doch mehr ein verallgemeinertes Gesicht, mit seinem riesigen Herzen, der ein starker, progressiver Person darstellt, der auch das Symbol des wahren Vaters der Nation ist.

Was es aber selbst Märchen-Erzählungen angeht, sind sie mit groβer Meisterschaft geschrieben und sich eben als die weiβesten Jungen in einem kleinen Buch versammelt. Aber es st zu bemerken, daβ ihr

Autor mehr Dichter als Schriftsteller ist. Jawohl, das ist eher eine poetische Prosa, die dadurch mehr, schöner ist. Gulnazis Erzählungen sind poetisch naiv, farbig und verwünderlich schön, die sich alle ohne Ausnahme gut enden, erfüllt den Lesern mit Hoffnung und bei ihnen der Glaube an Etwas, an jemanden und auch der Glaube an sich selbst, und auch das Gefühl des Lebensperspektive erweckend. Im Vergleich zu der Poesie von Charaischwili Gulnazi ist dieses Buch die Optimismusfeierlichkeit, das sich von dieser Arbeit durch komplizierte Farbenpalette unterscheidet, aber…

Das Buch über den Gottmenschen ist doch hauptsächlich für die Kinder bestimmt.(Wie man sagt, es wird von den Menschen im beliebiger Alter auch gern gelesen)Die Kinder lieben mehr eben helle Farben und Einfachheit, Lustigkeit und Frohheit. In dieser Hinsicht ist diese Geaschichte über den Gottmenschen wahrhaftig genau, entsprechend wiedergegeben worden.

Kurz gesagt, das ist noch eine erfolgreiche Arbeit von Gulnazi Charaischwili, die mich unterdessen an den „Kleienen Prinz“ von Antuan de Sankt Exupery erinnert hatte, der doch kompliziert schrieb. Seiner Schöpfnung entspricht mehr „Die Märchen-Erzählung.“Āuβerlich ist sie einfach, obwohl in einzellnen Absätzen vieles gemeint und enthalten wurde. Hinter seiner Maske war Exupery, wie auch Anri Allen, kein naiver Schriftsteller. Antuan war ein tief tragisches Individum und sein „Kleiner Prionz“ ist, kurz einschätzend, ein unsterbliches Denkmal des Alleinseins der Menschen. Dieses Märchen habe ich einst einem Kind vorgelesen. Es hatte mir gesagt :“ mir hat es gut gefallen, aber ich bin betrübt“Das ist einerseits gut, daβ Exupery dem Kind und dem Erwachsenem das Denken lehrte, aber…

Gulnazi Charaischwili hatte aber einen anderen Zweck gehabt. Sie schrieb über den Gottmenschen, um dann die Kinder durch dieses Buch ins Schreken und in den Schwermut nicht zu versetzen. Im Gegenteil bereitete sie den Kindern die Fröhlichkeit und sie hatte es doch erreicht, es war ihr gut gelungen.Und wenn es in ihren Märchen hin und her doch finstere Farben zu bemerken sind, gibt es mehr in solchen Episoden, wenn es in den märchenhaften Raum die Realität eindrängt. In ihren allen Märchen wird es doch chlieβlich das Güte gefeiert.

Exupery war Genie, Meister. Er schrieb so, wie es ihm seine eigene Geniealität diktierte.

Charaischwili Gulnazi erhebt keinen Anspruch auf ihre Genialität. Sie liebt einfach die Kunst und deshalb schreibt sie. Ohne Schreiben und Schaffen kann sie nicht und deswegen schreibt sie. Ihre Kraft liegt an ihrer Wahrheit und Sensibilität. Deshalb ist sie erfolgreich und poetisch.

Jetzt lieβ mir noch einen Namen von Hans Christian Andersen durch den Kopf fahren. Er war ein solcher Meister, daβ man ihn als König des Märchenerzählers genannt hat. Andersen schrieb aber einfacher als Exupetry. Seine Märchen sind naiver, sie enthalten auch wenige Implikationen. Sie sind von der riesigen, unvergleichen , menschlichen Wärme und von der Poesie erfüllt, gesättigt.Die Traurugkeit gibt es auch hier, aber das Güte hat dort einen Vorrang.

Andersen hätte aber solch einen idealen, poetischen Helden, den kleinen Prinzen, dieses kleine Wesen mit einem groβen Herzen, der die Traurigkeit der ganzen Menschheit trug, bis zur Vernichtung nicht führen können

Und doch es war nicht zufällig, daβ eben Andersen als König des Märchenerzählers benannt wurde.

Exupery schuff die Märchen für die wahre Prosa.

Andersen schrieb aber das Märchen, um es als Märchen zu lassen. Das Märchen war für Andersen auch als ein Teil der echten, groβen Prosa.

Ungeachtet solcher Unterschiede waren Exupery und Andersen Genien.

Als Märchenschöpfer geht Frau Gulnazi Charaischwili mehr den Andersensweg. Obwohl sie im Allgemeinen ( wie ich schon darüber erwähnt habe) verwunderlich ein bescheidener Mensch ist, verhält sie sich zur Welt der Genien ganz vorsichtig. Man kann dazu ungeachtet dessen offensichtlich eine Parallele ziehen, die Parallele ist dazu offensichtlich: sie schreibt das Märchen, ein wahres Märchen, als das für die Kinder bestimmte und auf die Naivität, die Güte aufgebaute Geschöpf, schönes Geschöpf. Ihre Märchen sind weder übertreibend erschöpfend und noch übertreibend traurig. Das sind aus elf Bildern geschaffene farbige poetische Ausstellung, Wort-oder Lautmalerei/Schreiben, woran sich der Leser ergötzt, was der Leser genieβt.

Es gibt doch eine Schattierung/Nuance: nach dem der Leser an dem handelnden Person des Gottmenschen Iwanischwili Bidsina erkannt hatte, hat sich alles verändert. Die Märchen werden in der Tat

nicht nur von den Kleinen, sondern auch von den Erwachsenen gern gelesen und das Buch wurde allmählich beliebt.. Das Interesse für dieses Buch wurde gestiegen nachdem an die Spitze der Regierung die Koalition“Kartuli Ozneba“( was es übersetzt aus dem Georgischen ins Deutsche „Georgischer Traum“ heiβt) kam. Man hatte dem Text mehr Belastung gegeben und beinahe wäre das für die Kinder bestimmte Buch ein einfaches, gutes, ein sehr schönes Buch als politischer Manifest erklärt/geworden…

Das ist aber ein ganz anderes Thema.

Ich komme aber zur Poesie, zu dieser Kunst, die Gulnazi Charaischwili anhimmelt, zurück.

Nicht einmal habe ich gesagt, daβ sowohl die Poesie mit der Musik zusammen der Anfang/ der Ansatz jeder Kunst, als auch die Philosophie der Anfang jeder anderen Wissenschaften ist. Die Poesie ist der Vater und auch der König zugleich. Sie ist vielleicht die Einzige, die einen Vorrang zu der Musik hat, weil die Poesie, die Wortenkunst und das Wort aber das Haupteste für das Menschendenken, Denkvermögen ist.

Ich schaffe und studiere solch eine hohe Kunst mein ganzes Lebenslang. Ich schaffe und erlerne , habe ich schon gesagt, wie ich es kann. Ich habe der Kunst das ganze Leben hingegeben. Ich versuche doch letzte 20. Jahre intenssiv in ihr Wesen , in ihre wahre Geiste/Seele einzudringen, zu ergründen, zu begreifen suchen.

Das ist fast perspektivlose und höllische Arbeit.

Ich versuche es doch.

Die Poesie ist doch das, was dir das ganze Leben verlieren lässt und die Unsterblichkeit verleiht, Die Unsterblichkeit dieser Art ist nicht irdisch, sondern himmelisch, ein gegestandsloser Traum, schöner als Regenbogen, aber vielleicht untauglich.

Kurz gesagt, die Poesie ist das Verlieren des Lebens und der Dichter bedauert nicht diesen Weg zu gehen. Der Dichter bedauert niemals, weil ein echter Dichter Idealist ist.

Die Poesie wurde von Rustaweli als Gotteszweig, Branche der Weisheit bezeichnet, genannt.

Die Weisheit war also, nach Rustaweli die Hingabe/das Opfer für die Ideale. Er war selbst doch gleich Esus ein absoluter Idealist und es ist nicht zu staunen, dass er mehr ein Mensch von Idealen und ein himmlischer Mensch, als ein irdischer Mensch war. Er war nur ein absoluter Poet, ein Mensch von Gefühlen, ein gefühlsvoller Mensch.

Sie sehen, daβ die Weisheit früher mit dem kalten Vernunft, wie es heute ist, völlig nicht zu assozieren, zu verbunden war. Und, dass wir beinahe die Menschenplaneten ins Imperium / Keiserreich der Kälte, des Eises verwandelt hätten. Aber , nein. Der frühere Weiser, wie auch der Poet sollte eine sensible, gefühlsvolle Persönlichkeit sein. Obwohl er sich oft darauf verzichtete, blieb die Wahrheit als Wahrheit, man assozierte den Dichter mit dem Weise und umgekehrt.( z.B. Plato hatte fast nie seine riesige Poetizität erkannt, er versteckte sich hinter dem Namen der Philosophie.

Der Dichter ist hauptsächlich eine unruhige, sehr lebhafte, bewegliche Persönlichkeit. Früher wunderte man sich über die Verrücktheit der weisen, klugen Menschen besonders nicht.

Heute aber...

Heute bemerkt man ab und zu die Verrücktheit der wahren verrückten Menschen nicht, aber die Weiser werden oft (nicht so selten) für die Verrückten gehalten, als Verrückte getauft).

Der Poet könnte früher als Bischof, Reitter, geistlicher Vater auftreten, der zugleich auch den Staat regieren kőnnte.(oft nicht ofiziell) Er war ein Mensch von besonderen geistlicher und physischer Macht, dem die Könige zuhörten. Für den Keiser war aber eine groβe Ehre, wenn eben die Dichter seine Kinder unterrichteten. z.B. Der mazedonische König Philiph hatte Aristotel, den Dichter-Philosoph, Autor der „Poetik„ und auch noch anderer genialen Schöpfnungen, ehemaligen Lehrling des Königs der poetischen Philosophie- Platon, als Erzieher seines Sohnes berufen.

Es war ja, auch solch eine Zeit.

Dann hatte sich alles allmählich verändert. Die Dichter haben ihre geistige Anführung/Anleitung auf unseren Planeten verloren und das Leben wurde auf diese Weise farblos.

Die antische Zeit-die erste riesige Aufschwung der Menschheit, europäische und Welttriumpf ist schon zu Ende gegangen.

Für die alten Griechen und Lateinen waren Gomeros, Gorazius, Vergilius, Owidius doch Halbgötter.

Der Poet-Philosoph Aristotel hatte doch Alexander Mazedonier, als Sohn des Königs Philiph, erzogen, der fast die ganze Welt, die Welt seiner Zeit beherrscht hatte.

Wie ich schon gesagt habe, hatten die Dichter ihren unvergleichen Einfluβ allmählich verloren. . . Der Dichter war doch und ist heute auch, ungeachtet dessen ein besonderer Mensch. Und nachdem die Dichter ihr geisitliches Königsreich auf die Nationen zurückerobert hatten, begann unsere Welt tausendfarbig/ in allen Farben des Regenbogens im Nu zu schillern, anzublitzen.

In Italien des Mitteralters tauchte aber Dante Alegier auf. Man hte ihn nicht erfreuen lassen, angegriffen und ihm das leben vergiftet.

Es war so, als hätte Dante verloren...

Es erwies sich aber, daβ seine Poesie und seine Ideen gesiegt hatten.

Die Renaissance, der zweite, gröβte europäische und Welttriumpf hatte sich auf die Kunst von Alegier beruht, die Grundlage zu Renaissance hatte eben die Kunst von Alegier gelegt.

Es sei hervorgehoben, daβ unter den gröβten christlichen Dichtern unser Rustaweli ein unmittelbarer Vorgesetzte von Dantes war. Das hatte eben schon damals Philosoph Nuzubidse Schalwa bemerkt und darauf die Theorie der östlichen Renaissance aufgebaut. Es war solche Zeit, als man die Namen von Nuzubidse, Schanidse, Kekelidse, Kauchtschwili, Tschikobawa in Georgien öfter hören könnte…Die Theorien von Nuzubidse und Nuzubidse-Honogman waren einst bei uns sehr beliebt.

Wollen wir aber unmittelbar zu den Dichtern zurückkommen.

Nach Dante und italjenischer und Weltrenaissance geriet die geistige Macht der Menschheit wieder in den Händen der Dichter. Die als erste Dichter seiner Zeit anerkannte Goethe und Bayron hatten. das ganze Europa und auch die ganze Welt erschüttet: Europa ist doch das Herz der Erde.

Es ist nicht nötig, weit zu gehen. War Ilja Tschawtschawadse doch nicht der jenige, der unsere ganze georgische Nation von voller Vernichtung gerettet hatte? Jawohl, Ilja der Gerechte wurde mit Akaki Zereteli zusammen von Vielen als nichtofizielle Regierer Georgiens anerkannt und ohne ein halb Jahrhundertlange mühesame Arbeit und Kriege von Ilja, hätte Georgien als Staat nicht existiert. Im Unterschied zu Akaki Zereteli besaβ Ilja Tschawtschawadse mehr Können und Energie. Das Leben hatte dieser gottgefälliger Mensch seiner gröβter Arbeit gegeben...

Und ob, wir hatten doch solche Dichter gehabt.

Ich erinnerte mich oft an alles, studierte es und vertiefte mich in diese allgemeingültige Thematen dieses Jahrhunderts.

Parallel versuchte ich etwas zu unternehmen, schöpferische Gruppen zu formieren. Es waren die neunzigen Jahren.

Wenn ich doch Frau Gulnazi Charaischwili damals gekannt h�tte. Mit ihrer Hilfe könnte ich viele Intrigen, Ränkespiele und Fallen vermeiden, in dennen ich mich ab und zu wegen meiner Unerfahrenheit, Beneideten und einfach wegen der Unwohlwollenden Menschen verwickelte.

Es erwies sich , daβ meine schöpferische Gruppen „Miradschj“ und :“Sgwari“erfolgreich waren. Über die Zahl der Mietglieder weder der Ersten und noch Zweten Gruppe wüβte ich nicht. In diesen Gruppen haben sich in verschiedenen Zeiten viele Menschen versammelt. Aus der Gruppe „Sgwari“könnte ich doch vor allem sechs und dann vier Mitglieder auswählen. Die Leitung der Gruppen haben Kache und ich übernommen und niemand wagte es uns dabei zu stören und niemand hatte Kacha und mir den Vorrang streittig gemacht. Anfangs war ich Erster, Schrittmacher und jetzt bin ich mehr als Ehrenleiter der Gruppe gemeint. Es ist lange Zeit her, seitdem ich die Führung Kacha übergegeben habe. Bei der Leitung halfen ihm kurze Zeit als Mitleiter anfangs Suchba, dann mein Bruder Waso. Kacha Bazikadse zeigte sich als echter Kunstphanatiker und unser Vertrauen zu einander und zur gemeinsamen Sachen, könnte man als musterhaft einschätzen, obgleich sich vier Mitglieder aus der Gruppe „Sgwari“ im allgemeinen auch vor der Formierung der Gruppe .mit der Literatur und der Kunst zusammen beschäftigt waren.

Wir haben die neunziegen Jahren und dann die ersten Jahrzehnten des neuen Jahrhunderts zusammen erlebt und…

Dann geschah es, womit ich dieses Buch begann: Im Jahre 2012 hat Kache mit mir zusammen die Dichterin Frau Gulnazi Charaischwili im Haupttempel der Stadt Tbilissi und des ganzen Georgierns kennengelernt.

Frau Gulnazi Charaischwili ist eine universalle Dichterin. Sie unternimmt alles, um sich den Pulsschlag der Nation zu fühlen und auch bestimmte Prozesse, nähmlich, die Prozesse der gemeinsamen Aufschwung der Kunst zu führen, die sich in die Entwicklung der ganzen Nation verwandeln soll.

Ihre groβe Erfahrung und Unternehmensfähigkeit gibt es ihr eine Möglichkeit, sich in Rahmen nicht einzusetzen, nicht kleinlich zu sein, ihre Handlungen als Abbildungen doch der alten gröβten Taten vorzustellen.

Es erwies sich, daβ Frau Gulnazi Charaischwili, die zahlreiche schöpferische Veranstaltungen organisiert hatte und worüber es schnell in der ganzen Stadt Tbilissi verbreitet wurde, ein Mensch von grenzlosen Energie ist.

Nehmen wir z.B. Januar und Februar des Jahres 2013. Und jetzt, als ich diese Phrasen schrieb, war es im März und Frau Gulnazi Charaischwili hatte in diesem Monat einige Abende organisiert. Selbst Mariam Ziklauri, Ika(Ia) Kadagidse und Kato Dschawachischwili hätten so viele und verschiedenartig schöpferische Abende nicht veranstalten können, wie es diese Dame im vorgeschrittenen Alter organisiert hatte. Die von mir aufgez�hlte Namen der Dichterinnen unterscheiden sich voneinander nicht nur durch ihr Schaffen, sondern auch durch ihre persőnliche Energie.

Es scheint so, als ob dieses Jahr vor kurzem begonnen wäre und Frau Gulnazi hat die der Zeitschrift und der Anthologie der Akademie gewidmete und auch noch verschiedene Kunst- und wissenschaftliche Abende veranstaltet. Vor kurzem hatte sie im bekannten Raum des Haupttempels die Veranstaltung organisiert, die der Frau Asmati und ihrer Kunst gewidmet wurde.Sie ist meiner Meinung nach, eine der besten Künstlerinnen unseres Landes. An diesem Abend waren Kacha, Wasiko und ich dabei. Das war ein groβer Feiertag unter der Leitung von unserer Gulnazi Charaischwili, die als Mensch die ganze schöpferische Fächigkeit der Gruppe „Sgwari' verwendet hatte, um die Veranstaltungen erfolgreich zu führen. Auf diese Weise hatte sie unsere Erfolge am besten dargestellt/ gezeigt. .

Ich soll zugestehen, sie lieβ uns kurz vor der Veranstaltung zu ihr kommen und auch uns wie Kinder belehren, uns auf die Rechte Bahn bringen und instruktieren: Wir sollten zur Veranstaltung gehen, Sergi sollte das Wort halten und Gedichte nach dem Wunsch vortragen. Sie wuβte davon, daβ Sergi nicht mag seine eigene Gedichte vorlesen… Sie würden dort keine Möglichkeit haben zum Vortragen Ihrer eigenen Werke……Und Kacha sollte auch unbedingt Gedichte vorlesen, unbedingt!

Unsere grausame und ambiziöse Persönlichkeiten verändern sich völlig vor ihr. Im Allgemeinen ist für uns doch eigen vor den älteren Menschen Respekt zu haben. Es geht hier aber nicht nur um das Alter. Frau Gulnazi Charaischwili gehört zur kleinen Gruppe solcher echten Menschen, die auf uns offen einen Einfluβ haben. Solch eine Ehre hat sie durch ihre menschlichen Eigenschaften verdient. Deswegen wird die überwiegende Mehrheit ihrer Aufträge von uns wortlos erfüllt.

Sie gehört zu solchen Menschen, der uns die Verletzung des Vermächtnises unserer Gruppe lieβ, wonach wir immer nur als Mitglieder unserer Vereinigung „Zgwari bleiben und sich in andere Organisation nicht vereinigen sollten. Unmittelbar auf ihre Initiative wurden wir die Mitglieder beider Akademien geworden. Nach ihrer Bitte und nach ihrem Verlang haben wir den Schriftstellerbund einiges Mal besucht. Ich soll gestehen, die Akademien haben uns in der Tat sehr geholfen. Dank der Akademien haben wir an zahlreicn, groβartigen Veranstaltungen, in manchen Fällen auch als Haupthelde teilgenommen...Die Zukunft besagt, auf welche Weise unsere Beziehngen mit dem Schriftstellerbund entwickelt werden

# პროზა



რევაზ მიშველაძე

## რას მერჩოდი

ჩიმჩონია ხარაბაძემ ზღვას გახედა.

ლურჯად მოლივლივე ზღვას ერთადერთი თოლია აწყდებოდა.

აფრინდებოდა მაღლა, შურდულივით დაეშვებოდა, ულამაზეს ფრთა-მკერდს წყალს გაუსვამდა და ისევ ჰაერში აიჭრებოდა.

თეთრ ქვიშაზე გამწკრივებული თოლიები ყურადღებით შესცქეროდნენ იმ ერთადერთ მონავარდე თოლიას.

„საოცარია, თითქოსდა იმისთვის ამოვარდა გუშინ ქარიშხალი... და ზღვა კინაღამ გადმოაბრუნა, ჩვენი გემი რომ დაღუპულიყო" – გაიფიქრა ხარაბაძემ და ქოქოსის პალმის ნაყოფიდან კაჟქვით თეთრი გულის ამოფხეკა განაგრძო.

ტურისტული გემი „ამიგო" გუშინ, შუადღისას ჩაიძირა.

აქაფებულმა, გადარეულმა ოკეანემ ჩიმჩონია უკაცრიელ კუნძულზე გარიყა.

შუაღამისას მოვიდა გონს ტანსაცმელშემოფლეთილი, ნაწამები ტურისტი.

თავდაღმა ეგდო ქვიშაში და ხელთ ნეილონის ლურჯი, ასე, ორმეტრანახევარი სიგრძის ნიჩაბი ეჭირა. ნავის ნიჩაბს ერთადერთი ლათინური ასე „რ" ეწერა.

თავი ძლივს წამოწია და პირველი, რაც მთვარის შუქზე გაარჩია, ნიანგის უშველებელი ხახა იყო. ეტყობოდა, ნიანგი დიდხანს დარაჯობდა მსხვერპლს და სწორედ რომ მის გაღვიძებას ელოდა. ხარაბაძეს ცივმა ოფლმა დაასხა. ნეილონის ნიჩაბი მთელი დარჩენილი ძალით ჩათხარა ნიანგს პირში და გაიქცა.

ნიანგი არ გამოჰკიდებია. რატომ? ვერ გეტყვით.

ღამე ზღვის პირას, ორ კუნძს შორის გაატარა.

კუნძები ისე ახლოს იყვნენ ერთმანეთთან რომ ძლივს ჩაეკვეხა, ორი მხრიდან მაინც ვიქნები დაცულიო.

შიგადაშიგ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ეძინა.

გათენდა თუ არა, წამოჯდა, გაიზმორა და აქლემის კუზებივით მორგებულ კუნძებს მკლავები გადაადო.

მოეჩვენა, რომ კუნძები ამოძრავდნენ.

განზე გახტა და ახლაღა შეამჩნია, რომ წუხელის თურმე ორ გიგანტურ კუს შორის ეძინა.

ბაობაბის სპილოს კანივით სქელ, დამსკდარ-დარღვეულ ტანს მოეჭიდა და კარგა ხანს იჭაპან-წყვეტა, ხეს წვერზე რომ მოჰქცეოდა.

აქედან მთელი კუნძული ჩანდა.

თეთრი ქვიშით და ლურჯი ანკარა ზღვით შემორკალული კუნძული დიდი არ იყო. დილიდან საღამომდე ძუნძულით შემოურბენდა კაცი. კუნძული უღრანი ტყით იყო დაფარული და არსად ჩანდა ადამიანის სიცოცხლის ნიშანწყალი – სახლი კი არა, თუნდაც პაწაწინა ქოხი და, რაც უფრო სავალალო იყო, კვამლიც არსად ამოდიოდა.

„ახია ჩემზე“, გაიფიქრებდა თუ ხმამაღლა იტყოდა ამ ფრაზას ქუთაისის რძე-ყველეულის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი მრჩეველი ჩიმჩონია ხარაბაძე, ამას ახლა მნიშვნელობა არ აქვს, იგი ხომ უკაცრიელ კუნძულზე იყო. უკაცრიელ კუნძულზე კი, გინდა იყვირე და გინდა ყირაზე გადადი, შენი დამნახავ-გამგონი არავინაა. ჩვენთვის მთავარი ის გახლავთ რომ, ხარაბაძეს არავინ დაუდანაშაულებია საკუთარი თავის გარდა. არც მეზობელი, რომელმაც ურჩია: „ვისთვის კუჭავ ამ ორ კაპიკს მუთაქაში, შვილი შენ არ გაწუხებს და ძირი, ერთხელ ხომ მაინც უნდა შემოხედო ქუთაისს შორიდან, წაი საზღვარგარეთ, პატარა თვალი გაახილე, გულს გადააყოლებ, სხვა კაცად მობრუნდებიო“.

„ისე მობრუნდა ჩემი დამაწყევარი, მე რომ აქედან მოვბრუნდი“, ცრემლი მოადგა ჩიმჩონიას და ბაობაბის გრილ კანს შუბლი მიადო.

ბარემ აქვე ვეტყვი მკითხველს, რომ ტურისტული გემი „ამიგო ძლიერი შტორმისაგან შუაზე გადატყდა და ჩაიძირა 427-ე „ბ“ პარალელზე 2001 წლის 3 აპრილს.

გემი მადაგასკარიდან სეიშელის კუნძულებისკენ მიცურვდა.

ჩემთვის ეს ამბავი განსაკუთრებით სავალალო იმიტომ გახლავთ, რომ „ამიგოზე“ სხვა ტურისტებთან ერთად ქუთაისის მკვიდრი ჩიმჩონია ხარაბაძე იმყოფებოდა, თორემ რამდენი გემი ჩაძირულა (და იძირება ახლაც, ჩვენ რომ არ გაგვიგია და მით უმეტეს, ნოველის თემად არ გაგვიხდია).

კაცი, რომელიც ახლა ბაობაბის ხის ტოტზე იდგა და სევდაჩამდგარი თვალებით ოკეანეს გადაჰყურებდა, საშუალოდ მაღალი, თაფლისფერთვალება, მეჩხერკბილება, დიდთავა, ვიწრობეჭება და გიდელმუცელა გახლდათ.

რიონზე ნასწავლი მხარული იცოდა, შარვლის გაუთოება შეეძლო, მიტინგობიის დროს ერთხელ ჯგლეთაში მოხვდა და რეზინის ჯოხიც იგემა ქედ-კისერზე, მაგრამ ახლა რომ დღეში ჩავარდა, ასეთი დღე არ დასდგომია.

ეხლა ვაი-ვიშის დრო არ იყო; პირველ რიგში ღამის გასათევი უნდა ეპოვა, რადგანაც პირლია, უშველებელი ნიანგის სიახლოვეს, ან თუნდაც გიგანტურ კუთა შორის თვლემა დასვენების საეჭვო იმედს უსახავდა ისედაც ამღვრეულ გულში.

ხიდან ჩამოსულს ათიოდე ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ მარცხნივ ლიანებს შორის უდაბნოსფერი მოლი შენიშნა. მიუახლოვდა და შიშისაგან გაქვავდა. ზარმაზარი მაიმუნყლაპია გველი მიიზლაზნებოდა მწვანე ბალახზე. „ჯუნგლების მეფეს“ თავი ბანანის ბუჩქის ძირას ედო და ტანს მიიგრეხ-მიიკეცავდა.

ხარაბაძეს „რობიზონ კრუზო“ წაკითხული ჰქონდა, პოპულარული იტალიური კინოკომედია „სენიორ რობიზონიც“ არაერთგზის ნანახი, მაგრამ ლოტოსის ფოთლებშემოვლებული და ისლით დახურული ბამბუკის ჯოხის კეთებას არ შესდგომია.

ნიანგებით, ანაკონდებით, აბეზარა მაიმუნებით, ორთავიანი სვავებით და მარტორქებით სავეს ჯუნგლებში ლერწმის ქოხის იმედზე ყოფნა თვითმკვლელობამდე მოეჩვენა და არცთუ საქებარი სიტყვები მოადგა ბაგეზე დანიელ დეფოს და უფრო მეტად „სენიორ რობიზონის“ მეტიჩარა დამდგმელ-რეჟისორის წინააღმდეგ.

კარგა ხანს იხეტიალა და ზღვის მიერ ჩამორეცხილ კედელზე, ლამის ჰაერში დაკიდებულ ფესვებს შორის გამოქვაბული აღმოაჩინა.

სწორედ ის იყო, რასაც ეძებდა.

გამოქვაბული ზედ წითელქანოვანი კლდის შუაში გამოეჭრა ბუნებას.

ქვემოდან ვერ მიუდგებოდი, ფესვს უნდა მოსჭიდებოდი და ზემოდან ჩაგეღწია.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ოთხფეხა მტაცებელი ვერ შეგაწუხებდა. რაც შეეხება მაიმუნებს, ფესვზე ჩასრიალება და წყალმცენარეთა საქანელაზე ქროლვა-ტრიალი მათი ხელობაა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ჩვენს გმირს მაიმუნების რატომღაც არ ეშინოდა. რიდი კი ჰქონდა. რასაკვირველია.

გამოქვაბულში წვეტიანი, სიპი ქვა იპოვა და გარეთ კლდენაშალზე საფეხურები ამოჭრა. ახლა უფრო იოლად შეეძლო მაღლა ამოსვლა.

პიჯაკს სარჩული გაურღვია და სახელოებით ყელთან განასკვა. მშვენიერი ზურგჩანთა გამოუვიდა. ზღვის პირას ჩავიდა და ორ გზობაზე სხვადასხვა ზომის ქვები, კაჟის ნატეხები, ნიჟარები, სირაქლემას ძვლები და ფრინველთა ფრთაბუმბული ამოიტანა.

„ჭურჭლეულობა“ კედლის გასწვრივ დაალაგა. მერე მწვანე, ჯერ დაუმწიფებელი, მაგრამ გაჭირვების შემთხვევაში საჭმელად ვარგისი ბანანა მოკრიფა, დიდხანს არხია ქოქოსის პალმა, მაგრამ ვერ ჩამოაგდო კაკალი.

ბამბუკის ორი ჯოხი ერთმანეთს გადააბა ხვიარას ფესვებით, თავზე ბამბუკისვე კაუჭი მიამაგრა.

ამ იარაღით ნებისმიერი ნაყოფის მოპოვება შეეძლო.

ანანასსაც მიაგნო, მაგრამ მუჭის სისხოც არ იყო. ერთი ანანასი მოწყვიტა, კაჟიანი ქვით შუაზე გაგლიჯა, მაგრამ მწკლარტე ეჩვენა, სამაგიეროდ ჯუნგლებში პაპაიაც (ველური ნესვი) აღმოაჩინა და შიმშილით სიკვდილს ხელი დაუქნია.

„ხორაგეულით“ რომ „გაავსო ბინა“, ლერწმისაგან საწოლიც გაიკეთა და ზედ საბან-ზეწრად ბანანის და ლოტოსის ფოთლები შვიდფერად გააწყო.

სასმელი წყლის პრობლემა ჯერ ვერ გადაწყვიტა, მაგრამ ხვალინდელი დღის იმედი ჰქონდა. არ შეიძლება ჯუნგლებში წყარო არ იყოს, ქოქოსის კაკლიდან წვენს გადმოვღვრი, კანაფს თოკის თასმებს გავუკეთებ და მათარად გამოვიყენებ. „მათარებს“ წყლით გავავსებ და ერთ ჩამოსვლაზე ხუთ ლიტრს მაინც ამოვიტანო.

ამასობაში დაღამდა კიდეც.

დაღლილი მიწვა და ზღვის შრიალში მალე ჩაეძინა.

შუაღამისას საეჭვო ხმაურმა გააღვიძა.

გამოქვაბულში ვიღაც იყო.

სიბნელეში ორანგუტანის ზურგის მსგავსი რაღაც დალანდა. დაუპატიჟებელი სტუმარი პირს აწკლაპუნებდა. აშკარა იყო, ხარაბაძის მიერ სიმწრით მოგროვილ ხილეულს შეექცეოდა, ხოლო ქვანიჟარებს, როგორც საჭმელად გამოუსადეგარს, ხელუკულმა ყრიდა.

ჩიმჩონიამ თვალები დახუჭა.

„ბანანს რომ მოათავებს, ალბად შემჭამს“, – გაიფიქრა უიღბლო ტურისტმა და გულმა ბაგაბუგი დაუწყო.

როგორ უნდოდა, ღმერთი ყოფილიყო ქვეყანაზე და, თუნდაც ამ ერთხელ, ყოველივე სიზმრად ექცია.

როცა ურჩხული მიუახლოვდა და მისი საზარელი ქშენა ზედ ყურთან მოესმა, ჩიმჩონია საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საბედისწერო სიცხადეს სიზმრად გადაქცევა არ ეწერა.

თვალები დახუჭა და თავი მოიმკვდანურა.

თავის მომკვდანურება ერთადერთი გამოსავალი იყო, რაც ახლა უიღბლო ტურისტს შეეძლო.

ბავშვობაში გაეგონა, ნადირთა უმეტესობა მკვდარს არ ეტანებაო, ზოგი კი პირიქით, მხოლოდ ლეშს მიირთმევსო.

ხომ შეიძლებოდა, გამოქვაბულში შემოხეტებული მხეცი სწორედ რომ ლეშიჭამია გამომდგარიყო, ან იმდენი გუმანი მაინც ჰქონოდა – მკვდარი ცოცხლისაგან გაერჩია.

ახლა ამის ფიქრის დრო არ იყო.

დაუპატიჟებელი სტუმარი ხარაბაძის მარჯვენას დასწვდა და ღონივრად ასწია.

ჩიმჩონიამ იგრძნო, რომ მისი ხელი თით-ბრჭყალებიან ღონიერ ხელს ეჭირა.

როცა მხეცმა ოდნავ შეუშვა, ხარაბაძემ მარჯვენა მოწყვეტით ჩამოაგდო, აქაოდა და მკვდარი ვარ, ამა ქვეყნისა არა მეყურება რაო.

კარგა ხანს სათითაოდ წევდა და უშვებდა სტუმარი ჩიმჩონიას ხელებს და ფეხებს.

„იქნებ მთლად განწირული არა ვარ, იქნებ როგორც შემოვიდა, ის გავიდეს, სხვა გამოქვაბული მოძებნოს. გამოქვაბულების მეტი რა იქნბა ამ კუნძულზე“, – ელვის სისწრაფით მუშაობდა წყალწაღებული ტურისტის გონება, მაგრამ იმედის მობდღვნილი ხავსილა შერჩა ხელთ, როცა „სტუმარი“ ხარაბაძის გვერდით წამოწვა და ხვრინვა ამოუშვა.

„მკვდარმა“ მთელი ღამე თვალდახუჭულმა გაათენა.

გამოქვაბულში ციაგი რომ გაკრთა, გაბედა თვალი გახელა. ნელა, გაუბედავად გააპარა მზერა, მერე კისერი შეაბრუნა და, როგორც შეეძლო, შეათვალიერა.

ჩიმჩონიას გვერდით ადამიანის მსგავსი არსება იწვა.

დაკუნთული ტანი ნელის სიგრძე ბალნით ჰქონდა დაფარული. ტანის სიგრძე ღონიერი ხელები თავზემოთ გადაეწყო და გაბურძგნული თმა-წვერი ცხვირ-თვალებზეც ჩამოჰფარვოდა. პირღია სუნთქავდა და წინ წამოწეული ქვედა ყბიდან თეთრი, თოხივით კბილები მოუჩანდა.

თავ-პირზე მორეული თმის და მაღალი, წინ წამოწეული ყბის გამო ჩიმჩონიამ დაასკვნა, რომ „სტუმარი“ მამრობითი სქესისა არ იყო. „თუმცა, რა მნიშვნელობა აქვსო, ძუ რომ აღმოჩნდეს, რა შეღავათია“.

ისე კი, სულო ცოდვილო, გულის სიღრმეში მაინც სურდა, ორანგუტანი დედალი აღმოჩენილიყო, მაგრამ წელს ქვემოთ რომ ჩაატარა მზერა, ეს იმედიც საბოლოოდ და ფრიად დამაჯერებლად გადაეწურა. „იქნებ, სანამ გაიღვიძებდეს, გავასწრო, ა,“– გაიფიქრა ხარაბაძემ და წამოჯდა იმაში დასარწმუნებლად, რომ კაც-მაიმუნს ღრმად ეძინა.

პირსახეს დაადგა მზერა იქ, სადაც მხეცს თვალები უნდა ჰქონოდა. სიმწრისა და მოულოდნელობისაგან გააჟრჟოლა. დაფანჩულ წარბებს ქვემოთ უიღბლო ტურისტს ველურის ორი სრულიად ფხიზელი, ცნობისმოყვარე თვალი შესცქეროდა.

„ჩვენ ბოდიში“ და ისევ თავის მომკვდანურება გვიანი იყო.

ოპერაცია „გაპარვა“ ჩაიშალა.

ბედს მიენდო ჩიმჩონია ხარაბაძე. რაც იქნება, იქნებაო, გაიფიქრა, შემჭამს, მეტს რას მიზამსო და ამ ფიქრმა, ცოტა არ იყოს გაბედულობა შემატა.

მთელი დღე ერთად დაჰყვეს.

ჩიმჩონია ხილს აგროვებდა, წყალს იმარაგებდა, წვეტიან ქვებს და კომბლებს ეძებდა და, თითქოსდა ვერ ამჩნევდა ორმეტრიან ველურს (როგორი ვერშესამჩნევია), რომელიც ყოჩაღი შეგირდის ერთგულებით იმეორებდა მის თითოეულ მოძრაობას.

მიმალვის საშუალებას აძლევდა კი არა, ნაბიჯზე არ შორდებოდა და როცა ხარაბაძემ, რაღა ნიანგის მსხვერპლი გავხდე, ისევ გამოქვაბულში გავათევ ღამესო, გადაწყვიტა, სტუმარი ეცა, თავის ხორაგ-იარაღიანად ხელში აიყვანა და კლდის ნაპირზე ხტომა ხტომით, ციმციმ დააბრუნა გამოქვაბულში.

„ეს ჩემი გამშვები აღარ არის. რატომ გამიშვებს რა, მოშივდება და შემჭამს“. – ფიქრობდა ჩიმჩონია და თავის დღევანდელ ნადავლს ველურს ერთგულად ულაგებდა წინ, აქაოდა, იქნებ გემრიელად ივახშმოს, ადამიანის ხორცი ამაღამ მაინც არ მოეგუნებოსო.

შუაღამისას წამოიწია.

ველურს ღრმა ძილით ეძინა.

ფორთხივთ მივიდა კედელთან.

გამოქვაბულს ოდნავღა ანათებდა მთვარის შუქი კი არა, ცისა და ზღვის ციაგი.

ახლაღა გაახსენდა, ამ ორი დღის განმავლობაში კუნძულზე მთვარე საერთოდ არ შეუმჩნევია.

კედელთან მიჩოჩდა.

კომბალი მოძებნა.

კოჟქვებს შორის ყველაზე მძიმე და ბასრპირიანი ხელით მოსინჯა.

კანაფის თოკით მიაბა კაჟქვა კომბალზე.

მერე მძინარეს ჩოჩვით მიუახლოვდა. ქვის ნაჯახი ორივე ხელით ჩაბღუჯა, უკან გადასწია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაჰკრა.

ველურმა დაიღრიალა და გასასვლელის ნაცვლად კედელს შეასკდა.

ჩიმჩონიას სხვა არაფერი დაუნახავს, დაჭრილი ღრიალებდა და კედელს მუშტებს უღერდა.

ჩიმჩონია ელვის სისწრაფით გახტა გარეთ.

საფეხურებით მაღლა ასვლაზე არც უფიქრია, უკანალით ჩასრიალდა.

კლდის ქიმს წამოედო, რამაც წამის მეათედამდე შეაყოვნა, ფეხები წინ გაიშვირა და მორივით ჩაგორდა.

ხათქუნ-ხათქუნით ეშვებოდა ქვებზე და გონებას იმიტომ არ კარგავდა, რომ მუხლი საშინლად სტკიოდა. ბოლოს ქვიშაზე მოადინა ზღართანი და წამებაც დამთავრდა.

კარგა ხანს გაუნძრევლად ეგდო.

ეგონა, არც ერთი ძვალი მთელი აღარ ჰქონდა.

სადღაც, სულ ახლოს შრიალებდა ზღვა და დამტვრეულ-დალეწილმა ჩიმჩონიამ იმდენი მოიფიქრა, რომ ვაივაგლახით გაფორთხდა ზღვისაგან გალოკილ, უშველებელ ქვამდე და სველ კენჭებზე გაგორდა.

ახლა იგი ქვას ზღვის მხრიდან ეფარებოდა.

ზღვის მლაშე წყალი დროდადრო სახეზე გადაევლებოდა ხოლმე.

თავიდან ფეხებამდე გალუმპულს ფეხები კლდეზე მიბჯენილი, რომ ღონიერ ტალღას ტანქვეშ ხრეში არ გამოეცალა და თვითონაც რწევა-რწევით არ გაეტაცა.

ველურის ღრიალი აღარ ისმოდა.

ერთი-ორჯერ სულ ახლოს გაშლიგინდა მდევარი.

ეს იყო სულ.

ახლოს არ მოსულა.

გატრუნულ ჩიმჩონიას თავისივე სუნთქვისა ეშინოდა.

როგორც იქნა – გათენდა.

ღელვისგან განსხვავებული ჩქამი რომ მოესმა და დაგორებული კენჭი მკერდზე დაეცა, ჩიმჩონიამ მაღლა აიხედა.

სულ ახლოს, ორიოდე მეტრში, ქვაზე ველური იჯდა. მხარზე, ლავიწის ძვალთან, შემხმარი სისხლი აჩნდა.

მდუმარედ, მაგრამ გუშინდელზე უფრო მკაცრად და მეტი ინტერესით დაჰყურებდა ნატურისტალს.

დიდხანს შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

ბოლოს ველური წამოდგა.

ორი ნახტომით ჩამოქვიშავდა და წავიდა.

„ალბათ, დიდ ქვას მოიტანს და თავს გამიჭეჭყავს. ღირსიც ვიქნები“, – გაიფიქრა ხარაბაძემ.

მუხლი საშინლად სტკიოდა.

ჩიმჩონიასაგან სრულიად მოულოდნელად, მას ხელში ქვა არ ეჭირა.

წყალში შედგაფუნდა, ჭრილობა ზღვის წყლით მოიბანა. მერე ჩიმჩონიას მიუახლოვდა და ფეხებში მოჰკიდა ხელი. მოჰკიდა ღონივრად. ველურის გაუფრთხილებლობით.

„ვაი!“ – დაიძახა ტურისტმა. თუმცა არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ „ვაი“ ველურის ენაზე შეიძლება სრულიად სხვა რამეს ნიშნავდეს, ვიდრე ყველა სხვა ცივილიზებული ხალხის ენაზე საერთოდ.

ჩიმჩონიას ფეხებზე ხელი უშვა, წელქვეშ შეუცურა ფეხისსიგრძე მკლავები, დაკეცილი ნაბადივით შეიგდო მხარზე და გამოქვაბულში აიყვანა.

ფრთხილად დაუშვა ლერწმის საწოლზე და, თითქოს რაღაც გაახსენდაო, გავარდა.

ჩიმჩონიამ თვალი მოავლო გამოქვაბულს.

ახლომახლო არათუ ქვის ნაჯახი, არც ერთი კომბალი და კაჟი ქვა აღარ ჩანდა.

ველური მალე დაბრუნდა.

ხელებში ანანასის და პაპაიას ნაყოფით დახუნძლული დამსხვრეული ტოტები ეჭირა, ლამის ძირფესვიანად მოთხრილი ბუჩქი.

ხეხილი ახლოს დაუწყო ავადმყოფს. თვითონ კი იქვე ინახით წამოჯდა და მიაჩერდა.

„მიაშტერდა“ კინაღამ წამომცდა, მაგრამ ვერ ვაკადრე ველურს, რომელიც ლამის თვალისდაუხამხამებლად, მორჩილი თანაგრძნობით, ნადირისთვის დამახასიათებელი მზრუნველობა-ერთგულებით და ათასი პასუხგაუცემელი კითხვის ნიშნით სავსე მდუმარებით ათვალიერებდა მის წინ გართხმულ, მუხლგაშეშებულ ჩიმჩონია ხარაბაძეს.

ვიცი, როგორ არ ვიცი, რას ფიქრობდა ჩიმჩონია, მაგრამ, რაკიღა არ ვიცი, რას ფიქრობდა ველური, მეტს აღარ გავაწვალებ ამ ჩემს მწირ გონებას და თხრობას აქ შევწყვეტ.

ასე აჯობებს, კი...

დავუსვი თუ არა ამ ნოველას წერტილი, ჩემს სიყმაწვილეში იმერეთში გაგონილი ერთი ანეგდოტი გამახსენდა და, რაკიღა მოთხრობილთან ცოტა კავშირი მაინც აქვს, თუ არ გეჩქარებათ, გიამბობთ:

ჭიჭიკია გზაჯვარედინთან მივიდა. წარწერა იუწყება: „მარჯვნივ წახვალ – მოგკლავენ, მარცხნივ წახვალ – მოგკლავენ, პირდაპირ წახვალ – ან მოგკლავენ, ან არა“.

„პირდაპირ“ გადარჩენის ცოტა შანსი მაინც არისო და პირდაპირ წასვლა ამჯობინა.

გაიარა ერთი კილომეტრი. წყაროსთან გველეშაპი წევს. „მოვიდა აღსასრული“, – ფიქრობს ჭიჭიკია.

გველეშაპი კეთილად უღიმის.

ხომ არ დაიღალე, ჭიჭიკიაო, ეკითხება,

იწვევს სუფრასთან.

რა გინდა, სულო და გულო.

იქეიფეს გემრიელად.

აბანოში პატიჟებს გველეშაპი. ნამგზავრი ხარ, მოგიხდებაო.

იბანავეს მშვენივრად.

გველეშაპმა ოქროები ჩაუჩხრიალა უბე-ჯიბეში. ვიცი, ქუთაისში ჭირს ცხოვრება და გამოგადგებაო.

მადლობელია ჭიჭიკია, მაგრამ მაინც ფრთხილობს.

ახლა, ნააბანოვარზე კარგია დასვენება და წაუძინოთ პატარაო, გველეშაპმა.

ა, ახლა აპირებს ჩემს შეჭმასო, ფიქრობს ჭიჭიკია.

დააწვინა აბრეშუმის ქვეშაგებში სტუმარი გველეშაპმა, თვითონ იქვე ფერხთით კედელთან მიეგდო.

ჭიჭიკიას რა დააძინებს.

მოდი, დავასწრებო, გადაწყვიტა. აიღო პურის საჭრელი უშველებელი დანა და მოაჭრა თავი გველეშაპს. ერთი თავის მაგივრად გველეშაპს ორი თავი ამოუვიდა. ახლა ორივე მოაჭრა ორის მაგივრად ოთხი თავი ამოუვიდა გველეშაპს.

ჭიჭიკიას ცივი ოფლი ასხამს. იცის, ეს ოთხი თავი რომ მოაჭრას რვა ამოუვა.

„რას მერჩი, ჭიჭიკია, არ ხარ ახლა შენ მოსაკლავი?“ – რომელიცხა პირით ეკითხება გველეშაპი და ყურს იფხანს.

## მაღლადური ცოიკაური

სახლში რა დამაჯენს. სახლში ჯდომა სიკვდილია ჩემთვის.

მოვლენ სამსახურიდან და შეიყუჟებიან ბინებში.

ერთი იმის ტურად გადამაქცია, რა აქვთ ამდენი სალაპარაკო ოჯახის წევრებთან.

„დაბრუნდნენ სკოლიდან?“

„მე ხვარავინ მიკითხა?“

„საჭმელი გაქვთ რამე?“

ა, ეს შეკითხვები მაქვს ცოლთან, მეტი რა ვარკვიო.

პოლიტიკაზე დოუწყებ ცოლს კამათს, ან, თუ გინდა, ფეხბურთზე? ჯერ ერთი, რა იცის მაგან და მეორე – სად ცალია საწყალს, მაქვასავით ბრუნავს დღე და ღამე.

ქუჩა სხვაა. ქუჩაში რომ ხარ, ცოცხლდები კაცი. რაღაცა საქმე გაქვს. ჩამვლელს სალამზე მაინც ხომ უნდა უპასუხოს ვინმემ. უცხო კაცს ავტობუსის გაჩერება ხომ უნდა მიასწავლოს ვიღაცამ.

მტრისას ქალაქი გაჩერებული კაცის გარეშე. ყველა რომ დაცუხცუხებს – ჭიანჭველების ბანაკია. ადამიანი იმიტომ ხარ ადამიანი, რომ ხანდახან უნდა გაჩერდე და ქვეყანას გადახედო.

ესეც არ იყოს, არ შეიძლება, ქუჩაში, რა გლახა დღეც უნდა იყოს, რაღაცა არ მოხდეს, რამე საინტერესოს არ წააწყდე, პატარა სალაპარაკო მაინც არ იშოვო მეორე დღისთვის.

მთლად უბრალო ამბავს გეტყვი. როდის იყო? ამას წინა პარასკევს არა, იქეთა პარასკევს, ახალშელამებულზე, ვდგავარ ასე, სასტუმროსთან და აგურისფერი „ჟიგული“ გამიჩერდა ცხვირწინ გადმევიდა ასე ორმოციოდე წლის ბიჭი და სახვეწნი რომ ექნება კაცს რამე, იმნაირი სახით შემომაჩერდა.

ვერ ვიცანი, სიმართლე გითხრა.

მაპატიეთ, ბატონო, ერთი საჩოთირო სათხოვარი მაქვს თქვენთანო.

ბრძანეთ – მეთქი.

რას ვეტყოდი სხვას.

მე თქვენ არ მიცნობთ, მაგრამ მე გიცნობთ შესახედავად, მინახიხართ ბევრჯერ აქანაო.

შესახედავად მთელი ქუთაისი მიცნობს, ალბათ. აქანა დავიბადე და აქანა დავბერდი მეთქი.

გაგიკვირდებათ, მარა უნდა გითხრათ მაინც ჩემი გაჭირვებაო. სიდედრი მყავს გლახათ. დილამდე, ეგება, ვერც გაატანოსო.

მერე მე რომელი პროფესორ-დასტაქარი მნახე, მე ვუთხარი.

ორ საავადმყოფოში ვიყავი და კაციშვილი ვერ ვნახე. სახლში წასულა ყველა ექიმი ჩემდა ილბლადო. მორიგე არ წამომყვა, დაჭრილებს ელოდებიან ხობიდანო. თუ არ გეწყინება, ჩავჯდეთ აგერ, წამომყევი, ვითომ ექიმი ხარ, ჩემი ოჯახობა მაგას ვერ მიხვდება და სიდედრს ამ ქვეყნის კაიხანია აღარაფერი ეყურებაო. მაჯას გოუსინჯავ, სიცხეს გოუზომავ და მეტს ნამდვილი ექიმიც არაფერს შვრება. ცოლის ჯაჯღანიდან ამომიყვან, მადლს იზამ, წლევანდელი დაწურული ცოლიკაური მაქვს, ბაღდადიდან მძახალმა ჩამომიტანა, თითო ჭიქას, ვიტყვით, ჭად-ყველს გავტეხავთ და საათში, საათნახევარში მე თვითონ ამოგიყვანთ გნებავთ აქ და, გნებავთ, სადაც გაგეხარდებათო.

თავიდან, გითხრა სიმართლე, უარის თქმა დავაპირე, მერე ვიფიქრე: ვინ იცის, რა ოჯახობის პატრონია, ხომ შეიძლება, გარდაიცვალოს სიდედრი და ცოლს ეგონოს, უექიმობამ მოკლა-მეთქი. ხომ შეიძლება, ამ ნიადაგზე აყვნენ ერთმანეთს და ოჯახი დაინგრეს-მეთქი. წავალ, ცოდნას რავა დავმადლი კაცს, ბაღდადურ ცოლიკაურსაც დავაჭაშნიკებ-მეთქი. ერთი სიტყვით, დავთანხმდი.

ნინოშვილის ქუჩაზე გადავახვევინე, ჟორჟიკია ხახალეიშვილი და სულიკონა მებუკე ჩევისვით და გოვუყევით გზას.

ავადმყოფი სიდედრის პატრონი ბაკისუმელი მამაგეიშვილი აღმოჩნდა. იქვე ნაცხოვრება არხგალმა, გიორგაძეების ბადრიჯნის ყანის ბოლოში.

მანქანის ხმა რომ გაიგონეს, სიდედრის თავმდგომები აივანზე გადმოდგნენ.

დოცენტი მევიყვანე, ოპერაციისთვის დავანებებინე თავი, მიხედე იქით საქმეს, ოთხ კაცზე გაშალეო, შეუკვეთა მამაგეიშვილმა ცოლს და სიდედრის ოთახში შეგვიძღვა.

ჯერ ტაბურეტზე დაწყობილი წამლები შევათვალიერე სათითაოდ, ეს კარგია, ეს რად უნდოდა-მეთქი, ჩავილაპარაკე, რავარც ექიმებმა იციან. მერე სიძეს მოვაყოლე, რა აწუხებდა ავადმყოფს. სიძეს იმიტომ, რომ ცოლი სამზარეულოში ფუსფუსებდა, ხოლო თვითონ ავადმყოფს საამქვეყნო პირი აღარ ჰქონდა. ენა წართმეოდა და ძლივს ფეთქავდა.

ასე და ასე და ასე და ასეო, ჩამოაჭიკჭიკა სიძემ. დარდით აღარ ვართ ხალხიო. მესამე წელია ლოგინზეა მიჯაჭვული, მარა ქე იყო კარგად, ამის ენას გაჩერებულს ვერ ნახავდითო. ეს სამი დღეა ჭამა შეწყვიტა და გუშინ საღამოს ცნობაც დაეკარგაო.

სიცილი კბილით მიჭირავს. არა და, მამაგეიშვილი უბედურ-ნახევარი ჰყავს გამჩენს. ისე გულწრფელად, მუდარით მეუბნება – შენი იმედი გვაქვს, ბატონოვო, რომ შემირცხვენია მესხიშვილის თეატრის არტისტები.

ჩემსას ვეცდები, ცოტა დაგვიანებული კია, მარა ცდას არ დავაკლებ, თუ რამე ვუშველე, ხომ კარგი, თუ არა და ღმერთი რომ არ ვარ, ქე გეცოდინებათ-მეთქი.

ავადმყოფს მაჯა გავუსინჯე, სიცხე გოვუზომე (ოცდათოთხმეტი ჰქონდა), ხელები დავიბანე და სასტუმრო ოთახში გაველი.

ჟორჟიკია და სულიკო მაგიდას უსხდნენ ახლომახლო. შევედით თუ არა, ნარდი დაკეცეს და წამოდგნენ.

რავაა საქმეო, ჟორჟიკიამ.

თვალს არ ახამხამებს.

ჩემზე დიდი აფერისტი რავაა ყველა-თქვა, გულში გამეცინა.

თამადად მებუკე დავსვით, მოკლე სუფრებზე მებუკეს უკეთესად გამოსდის თამადობა.

მესამე-მესამე ბოთლს ვაყუმბარებთ, საათმა ის-ის იყო პირველისკენ გეიწია, რომ სიდედრის ოთახში ჩრდილები აფათურდნენ.

წამოვდექი, ბოდიში მოვიხადე, ამ წუთში გეახლებით, ავადმყოფს დავხედავ, ხომ იცით, ჩემი პროფესიის ამბავი, ჩემს თავს არ ვეკუთვნი-მეთქი.

ჭირისუფლები მივწი-მოვწიე.

არ შეიძლება ასე, ერთად ნუ დაადგებით, ამას ახლა სიმშვიდე და ჰაერი სჭირდება და საერთოდ, ამდენი ადამიანი ნუ ხართ ამ ერთ ოთახში, ზოგმა აივანზე მოიცადეთ, ან ჩვენთან გამობრძანდით სუფრაზე-მეთქი.

მოვკიდე ხელი მაჯას, ვიშვლიპე საათი. სადაა მაჯისცემა.

წუთში სამი დარტყმა არც კი აქვს.
გამოვედი ბიჭებთან და ზორგეს ჩურჩულით ვეუბნევი თამადას.
– გადადი სულიკო დიდ ჭიქებზე, თვარა კვდება, მე მგონი, ეს დალოცვილი-მეთქი...
ნუ გეშინია, ბატონო, მაგი მასეა მესამე დღეაო, მამაგეშვილმა.
მე რისი მეშინია, გულში ვამბობ, შენ გეშინოდეს, ხვალიდან ბრინჯზე და თევზზე რომ იქნები გასაქცევი-მეთქი.
პატარა ხანში მამაგეიშვილის ცოლმა გამოგვაკითხა.
კვდება, ბატონო ექიმო, გვიშველეთო.
ახლა არ ნახა ამ წუთში? ექიმმა უფრო იცის, თუ შენ უფრო იცი, რას შვრება, დაგვაყენეთ ცოტა ხანს, არ მოკვდება, ნუ გეშინიათო, სიძემ.
რაღაცა ოთხი სადღეგრძელო გვქონდა დარჩენილი. ვთქით. დავამრგვალეთ სუფრა და ჭიშკარს რომ გამოვცდით, კივილი მოგვესმა.
ნირი არ წახდომია მამაგეიშვილს. სათითაოდ გადაგვკოცნა და გამოგვაცილა. თქვენს პატივისცემას ვერ გადევიხდიო, თქვენ აგაშენათ ღმერთმა, რაც დღე და საათი ჩემს სიდედრს დააკლდა, ასჯერ გამრავლებულად შეგმატოთ გამჩენმაო. დასაფლავებაზეც უნდა დამაფასოთ, ბარელამ ბოლომდე მეცით პატივიო. ჩვენი აწი ერთმანეთის დაკარგვა არ გამოვა ნამდვილადო.
ქელეხზე სხვა ღვინო ჰქონდა. იმასაც არა უშავდა, ოფშკვითური საფერე იყო, მარა ბაღდადის ცოლიკაური სულ სხვაა, მზის სუნი და გემო აქვს იმ დალოცვილს.

## ქართველები

კითხვით ვკითხულობ, როგორ არ ვკითხულობ, ბატონო, შენს ნაწერებს, თუ სადმე წავაწყდი, რასაკვირველია, მაგრამ გითხრა სიმართლე გულს არ ხვდება.
ასე მგონია, თქვენ მწერლები, ავი ფიქრებიდან ჩემს გამოყვანას, ჩემს გართობას ცდილობთ და მეტი არაფერი.
კარგია ხუმრობაც, ირონიაც, თავშესაქცევი ისტორიებიც, მაგრამ ახლა არაა ამის წერის და მით უმეტეს კითხვის დრო.
შენს ნოველებს სხვა მკითხველი სჭირდება: ნერვებდაწყნარებული, გალაღებული... რა ვიცი, რანაირი.
გული დამწყდა, წელან რომ ბრძანე, სადაა მკითხველიო, სულ ტყუილად ვჯახირობ და ვათენებ ღამეებს, აღარაფერს თქვენ აღარ კითხულობთო.
არ გიფიქრია იმაზე, რომ იქნებ მთლად ჩვენი ბრალიც არ იყოს ეგ ამბავი.
მე, დამარცხებული, გალახული, დაჩოქებული, ხალხის შვილი, გადავშლი შენს წიგნს და იმის მაგივრად, რომ რაღაც გულის მოსაფხანი მითხრა, იმედისკენ შემაბრუნო, რას მეღადავები, შე კაი კაცო.
შენს ხასიათზე ვარ თუ არა, არ უნდა მკითხო?
ვერ მოვიშორე, ბატონო, ვერა, დამარცხებულის სინდრომი.
ეს ოცი წელია წელში მტეხს ჩვენი სამარცხვინო გამოქცევები აფხაზეთ-სამაჩაბლოდან და მიწაში მიმათრევს.
ღნაირად-მეთქი, კაცო, ჩემს თავს ვეუბნები, ცხინვალში აგერ ა, გუშინწინ ორმოცდაათი პინგვინის დაჩოქების შემყურე. ხალხი, რომელსაც ცოტნე დადიანი, დიმიტრი თავდადებული, მღდელი თევდორე, სამასი არაგველი და გია აბესაძე ჰყავს, ასე როგორ დადედლ-დაგლახავდებოდამეთქი. შენ რომ მწერალი ხარ, რაღაცა ისეთი იმნაირი მითხარი. შეუძახე შენს ერს, შეანჯღრიე, გამოაღვიძე, შიში განდევნე მისი არსებიდან... ეგება მთლად განწირული არა ვარ, შენც იფიქრე და მეც მაფიქრებინე.
მე ისტორიკოსი გახლავარ, ორ ამბავს მოგიყვები ჩვენი ისტორიიდან.
ერთი შედარებით ახალია, მეორე – უფრო ძველი.
ნახე, დააკვირდი, იქნებ რამეში გამოგადგეს. ერთი-ორ მწერალს მოვუყევი, მაგრამ არაფერი დაწერეს.
ეტყობა, ვერ მოირგეს ენა-კალამზე.
მაშ, ასე:

ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი გაგონილი გექნება. გერმანელთა ყველაზე მკაცრრეჟიმიანი, გამართული, სისასტიკით გამორჩეული ბანაკი იყო.

სიკვდილის ამ უზარმაზარ ქარხანაში, როგორც იუწყებიან, ოთხ მილიონნახევარმა ტყვემ გაიარა შრომა-გასწორების გოლგოთის გზა. მათგან ოთხმოცმა პროცენტმა იქვე დაასრულა სიცოცხლე. ვინც გადარჩა, სამუდამოდ დახეიბრებულ-ტრავმირებული დახანხალებდა ერთხანს.

ახლა, რასაკვირველია, არც ერთი მათგანი აღარ იქნება ცოცხალი.

1943 წლის ივლისში ოსვენციმიდან თერთმეტმა ქართველმა სამხედრო ტყვემ მოახერხა გაქცევა.

ბანაკიდან გაიქცნენ, მაგრამ, რად გინდა, ზონიდან გასვლა ვერ შეძლეს.

ორ დღეს იმალებოდნენ ტყე-ჭაობში და ორი დღის მერე თერთმეტივე დაიჭირეს.

საგანგებოდ გაწვრთნილ გერმანულ ავჩარკებს სად გაექცეოდი.

ცემა-ტყეპით მილალეს უკან, ბანაკში, იმ საღამოსვე გაასამართლეს და თერთმეტივეს დახვრეტა მიუსაჯეს.

ყველაფერი დამთავრდა.

გადარჩენის იოტისოდენა შანსიც აღარ არსებობს.

თერთმეტივე ერთ საკანში შეყარეს ფაშისტებმა და, თქვენ როგორ ფიქრობთ, სხედან ქართველი ტყვეები და ზლუქუნებენ? არამც და არამც.

საკნიდან მხიარული ლაპარაკი, გადაძახ-გადმოძახება და, რამაც ფაშისტი გუშაგები სულ გააგიჟა, – უტკბილესი ქართული სიმღერა ისმის.

ისტერიულად, ტირილგარევით, მრისხანებით და ღრიალით კი არა, მშვიდად, ხმაშეწყობილად, ლამის აუღელვებლად მღერიან, ისინი, ვინც გამთენიისას, ასე 6-7 საათზე, უნდა მიყარონ კედელთან და დახვრიტონ.

შუაღამისას ბანაკის მთავარი ექიმი ოტო შვარცი პატრულის თანხლებით განწირულთა საკანს მიადგა და სიკვდილმისჯილი ლევან წერეთელი გამოიძახა.

შეიყვანა, შენ ხარ ჩემი ბატონი, იქვე, სამორიგეოში და რუსულად ეუბნება:

მეო, თბილისის უნივერსიტეტში ომამდე ლექციებს ვკითხულობდი და ბერიას მოედანზე ვცხოვრობდიო. მამაშენი კიმოთე-კიმა წერეთელი მაშინ ასისტენტად მუშაობდა და გერმანულს ვასწავლიდიო. ბევრი პატივისცემა მახსოვს მამაშენისგან. შენ არ გიცნობდი, მაგრამ საბუთები რომ გადავათვალიერე, მამის სახელიც რომ არ გამეგო, გაჭრილი ვაშლივით ჰგავხარ კიმასო. მოსვენება დავკარგე. რა პირით მოვაწერო ხვალ შენი დახვრეტის ოქმს ხელიო. ბანაკის უფროსმა ვერ გადამიწყვიტა შენი საკითხი და „ბრიგადენფიურერთან“ გავვარდი. როგორც იქნა, მივაღწიე შენთვის დახვრეტის მუხლის მოხსნის და მაიდანეკში გადაყვანის ბრძანებასო.

ამას ყველაფერს თავჩაქინდრული ისმენს ლევან წერეთელი.

სიხარულის ნიშანწყალი არ ეტყობა.

დიდი მადლობა, მოწყალეო ხელმწიფევ, მაგრამ ვერ ვიჩუქებ სიცოცხლეს თქვენგან, ჩემი გადარჩენა უსინდისობა იქნება იმ ათი ჩემი თანამოძმის წინაშე, ხვალ რომ დასახვრეტად წარსდგებიანო.

გაგიჟდა, თურმე, გერმანელი: რა დროს სინდისრევერანსებია, ნუთუ თავი არ გეცოდებაო.

დიდი ხვეწნის შემდეგ, ერთ რამეზე დაითანხმა: შებრუნდა კამერაში და აუხსენი ყოველივე, დარწმუნებული ვარ, ისინი შენ გადარჩენაზე უარს არ იტყვიანო.

როცა დაბრუნდა და უამბო ბიჭებს, რაც მის თავს ხდებოდა, კამერაში დიდი ბჭობა არ გამართულა.

ყველა ქართველი ერთხმად ურჩევდა გასვლას.

ჩვენ მაინც აღარაფერი გვიშველის და, შენ თუ საქართველოში ჩასვლა მოგიწია, ჩვენს ამბავს მაინც ჩაიტანო.

უსმენს ღიმილით ლევანი თანამებრძოლებს.

არ ველოდი ამას თქვენგანო.

ასე თუ გამწირავდით, ვერ ვიფიქრებდიო.

ნუთუ წამით მაინც დაიჯერეთ თქვენ,რომ მიგატოვებთ და დარჩენილ, გაძაღლებულ წუთისოფელს ისე გავივლი, რომ ჩემი ცოცხლად დარჩენის ეჭვს თავსატეხად დავუტოვებ ქვეყანასო.

ღამის ოთხ საათზე გამოუძახა თურმე ოტო შვარცს. დიდი მადლობა მოახსენა გარჯისთვის და უარი უთხრა.

დილით თერთმეტივე დახვრიტეს.

ეს ამბავი ოტო შვარცის დაკითხვის ოქმში სწერია. ჟურნალმა „ცაიტუნგმა“ გამოაქვეყნა 1962 წლის ნოემბრის ნომერში.

მეორე ამბავი ასეთია:

მარტვილის ახლოს, სოფელ თამაკონში, ტეხურგაღმა, ფალავების მშვენიერი სასახლე იდგა.

ფალავები, მოგეხსენებათ, ბრწყინვალე თავადები იყვნენ და ლეძაძამედან სალხინომდე მათი საგვარეულო მამული იყო გადაჭიმული.

თავადმა მელიტონ ფალავამ გვიან შეირთო ცოლი და კარგა ხანს შვილი არ ეძლეოდა.

იმედი რომ თითქოს გადაეწურათ, სწორედ მაშინ, მელიტონისა და შორენას ქორწინების მეცხრე წელს, ფალავების ოჯახში ბიჭი დაიბადა.

გადარჩა ფალავების სათავადო დინასტია. მემკვიდრე მოუვლინა განგებამ ამ ძირძველ, სახელოვან საგვარეულოს.

ბიჭს ზურაბი დაარქვეს.

ორი წლისა, ჩვეულების თანახმად, გასაზრდელად იქვე, თამაკონში, ღარიბ გლეხს – კიწი გაბუნიას მიაბარეს.

კიწის ორი შვილი ჰყავდა: ხუთი წლის გახუ და ზურაბის –კბილა – ბოჩო.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულის სამეგრელო მოგეხსენება.

გაჭირვებამ ავაზაკები მოამრავლა. საქართველოში მანამდე გაუგონარი – ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა გაჩაღდა.

თურქეთიდან შემოპარული თულები იტაცებდნენ, ვისაც მოიხელთებდნენ (უფრო ქალებსა და ბავშვებს) და სტამბულის ბაზარზე ჰყიდდნენ.

ტყვეთა სყიდვაში ქართველებმაც დაიდეს წილი და, რომ არა სოლომონ მეფის მრისხანე ბრძანება, ადამიანებით მოვაჭრეთა კოცონზე დაწვის შესახებ, ვინ იცის, კიდევ რამდენხანს შეგვარცხვენდა ეს კანიბალური საქციელი.

კიწი გაბუნიას მეუღლე – ღაღღა შვილებს საერთოდ მტრედის მზრუნველობით ზრდიდა, მაგრამ, ღმერთო, შეგცოდე, მომეტებულ ყურადღებას ზურაბისადმი იჩენდა, რადგანაც შავთვალება ზურაბი ფალავების საგვარეულოს იმედი გახლდათ.

ერთ უბედურ დღეს ხუთმა თურქმა ავაზაკმა ღამით ტეხური გამოტოპა და კიწი გაბუნიას სახლს გარშემოეწყო.

ოჯახის უფროსი შინ არ იყო.

ლებარდეში ყავრის საჭრელად იყო წასული.

აბრაგებმა ღაღღა ლოგინიდან წამოაგდეს.

ქალს ყელზე ხანჯალი დააბჯინეს და ყურში ჩასისინეს:

ხმა არ გაიღო, შენს შვილებს არას ვერჩით, ფალავას ვაჟის გასატაცებლად ვართ მოსული. მოგვეცი სწრაფად და ჩვენს გზას ვეწევით, თორემ შენ ყელს გამოგჭრით და სამივე ბავშვს თურქეთისკენ წავასხამთო.

შეიძლება არ დაიჯერო, რასაც ახლა გეტყვი.

ღაღღას ბევრი არ უფიქრია, თავისი ბოჩო ზურაბის ატლასის ახალუხსა და ჩოხა-მესტებში გამოაწყო, მხრებზე პატარა თეთრი ნაბადი მოახვია, ძილბურანში მყოფი ბიჭი გულში ჩაიკრა, ცრემლის ღვრით ჩაკოცნა და თურქებს გაატანა.

ასე გადაარჩინა გლეხის ქალმა ფალავების საგვარეულო უმემკვიდროდ გადაგებას.

ეს ამბავი ალე ხარგელიასგან ჩავიწერე თამარკონში 1965 წელს.

ა, ესაა სულ, ბატონო რეზო, რაც უნდა მეთქვა.

იქნებ ასეთი ამბების გახსენება უფრო გამოადგეს ჩვენს დაბეჩავებულ თანამედროვეს, იქნებ ამ ისტორიებში უფრო ჩანს ერის სული.

თუ ჭკუაში დაგიჯდეს, უამბე მკითხველს.

მოყოლა და გალამაზება შენი ხელობაა.

**თეა კანდელაკი**



## ხელოვნებაა უხილავი სული ღმერთისა

შორიდან მზერით ვერ ჩასწვდები ხელოვნებას. ვერ შეითვისებ და ვერ გაითავისებ ისე, როგორც ამას თავად მოითხოვს შენგან.

შორიდან მზერით, მხოლოდ შეიმეცნებ მის სილამაზეს, მის არსებობას, როგორც შეიცნობ ედემის ბაღს შორიდან ხილვით.

წამით შესდგები, დასტკბები მისი სილამაზით და გვერდს ჩაუვლი.

კვლავ გაჰყვები მოვარდნილ ნიაღვარს იმ ცხოვრებისა დაუსრულებლად რომ მიერეკება გზაზე შემომხვდურთ...

და შენ, ვერასოდეს შეისუნთქავ იმ სურნელოვან სუნს ყვავილისას, რომელიც ედემის შუაგულშია.

ვერ იგემებ მის ნაყოფს, ვერ დაისვენებ იმ სილამაზეში და ვერ ჩაისუნთქავ იმ სულს– ღვთაებრივს ხელოვნებისას.

... და როცა ევამ, იგემა ხილი აკრძალული, ხე– მცნობარისა,

მან კვლავ ინება დაბრუნებოდა იმ პირველ საწყისს, მაგრამ ამაოდ, უკვე შეიცნო იმ ხის ნაყოფი და რაღაც ჯაჭვი უხილავი ითრევდა მისკენ.

და როცა თავად, შენ ხარ ჩაბმული ამ ფერხულში– ხელოვნებისა,
სუნთქავ იმ ჰაერს და თავად ქმნი – მას, რამაც შეგქმნა,
ეს სტიმულს აძლევს შენს ცხოვრებას თუნდაც წამიერს.
ჩაგეღვენთება ხმა მუსიკისა და სულს დაატკბობს,
და ამ ჰანგის ქვეშ, როცა მკლავს გაშლი ვით ფრთას გედისას,
რომელიც, როცა შეიცნობს სიკვდილს მოახლოვებულს,
ყელმოღერებით ღმერთს ევედრება წუთის დათმობას,
მხოლოდ იმიტომ, რომ სიცოცხლეში ერთად–ერთხელ ამღერდეს
იგი და სასწაული როკვით ჩაკლას ცხოვრება ურჩი
და მერე თუნდაც...
და მერე თუნდაც ამ როკვაში აღმოხდეს სული...
... კვლავ თეთრი ფარჩის გოგმანი ვნახე,
ვნახე მკლავები ფრთა–თეთრი გედის,
დაცურავდა და ცის ანგელოზი,
გამოგზავნილი მეგონა ღმერთის.
თავს უმშვენებდა თეთრი მანდილი,
თვალები ჰქონდა უბიწო შველის,
ცეკვავდა ქართულს თავდავიწყებით,
ო, ეს გოგმანი რა რიგად შვენის.

კვლავ თეთრი ჩოხა დამიდგა თვალწინ,
წელს შემორტყმოდა პირბასრი ხმლები,
წინ გადაუდგა ქალს უცაბედად,
თითქოს არწივმა აშალა ფრთები...
რა საუცხოო გოგმანი ვნახე,
ქალი ცეკვავდა თუ თეთრი გედი,
დაცურავდა და ცის ანგელოზი -
გამოგზავნილი მეგონა ღმერთის.

12.03.1995 ჩანახატი
27.02.1996

## ინტუიცია!

კრიტიკულად დასმული კითხვა – რატომ?! პასუხგაუცემელ მეტაფორიად იქცევა ხშირად.

არსებობს რაღაც, რაც, წარმოსახვაში განხორციელებული სახელდება, სახელ დაურქმევი, უსახელოდ რჩება.

ფიზიკურად – წარმოსახვას მოკლებული, უსხეულო და მასა აუწონავი და ხელთ შეუხებელია კვლავ. სმენას მიმწვდარი, მაგრამ უბგერო, სიტყვით უთქმელი...

... და ფიზიკური თვალით უხილავი, შენშივე ბადებს მას, რაც შენშია, თუმც აქამომდე უძრავად მყოფი – „ზე-სკნელსა“ და „ქვე-სკნელს“ შორის გადებული ვიწრო ველია.

... და სუნთქვად ჩასუნთქული, ხშირად ფშვინვიერ სხეულთა მამოძრავებელ ძალად ავლენს თავს და სუფლიორის როლში მოვლენილი, სხეულის კულისებს მიღმა ამოფარებული, უტყუარი ცნობის მაცნედ გვევლინება. მაცნედ, რომელიც უნებლიედ გვაძლევს პასუხს: – რატომ?!. როგორ?!. რანაირად?!. დასმულ კითხვებზე.

... და ზენიტიდან გარდმომავალი ეს – გონთა მაკავშირებელი ხიდი, ფიზიკურ სხეულში – ი ნ ტ უ ი ც ი ა დ გვევლინება ჟამიდან-ჟამზე.

12.16.2001

## ვინძლო ჩვენამდე მოაწიოს საუფლომ განსჯის

ზოგჯერ, ადამიანის სულიერი მდგომარეობისათვის, უკიდურეს ჟამსაც კი, შენგან, მცირედი ყურადღება და თანაგრძნობის გამოხატვა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მატერიალური დახმარება...

ამიტომ, სანამ შეგიძლია, ნუ დაშვრები. რადგან საჭირო გახდე ვინმესათვის, თითოეულთა ხვედრია მხოლოდ და ხედავდნენ იმედს მხოლოდ შენში – ღვთის დიდი მადლი.

... და თუ არ გინდა, ჟამიდან-ჟამზე, სინდისი შენი გექცეს მწამებლად, ეცადე, მუდამ გააკეთო რაიმე კარგი და დაინახე, რომ ეს „ტიტული“ ჭეშმარიტია და არა ფარსი.

ადამიანო! არავინ იცის, ცხოვრება ქვეყნად უმზადებს ვის რას, რადგან დანახვა საკუთარ თავის ძნელად აღმავალ საფეხურს მიჰგავს.

იქნებ სჯობს, ოდნავ დახარო თავი, იქნებ შენს იქით ვინმეც შენიშნო, რომ შენს წინ ფეხ-ქვეშ მიგდებულ კენჭზე არ წაჰკრა ფეხი და შენს წინ გათხრილ უფსკრულში არ გადაიჩეხო.

ნუ დაშვრები და სანამ შეგწევს, აკეთო რამე, იქნებ სიკეთე, სიქველე და მადლი დათესო, ვინძლო, ჩვენამდე მოაწიოს საუფლომ განსჯის... ვინძლო სინდისმა, უფლის კართან არ შეგვაჩეროს.

იქნებ შეგვეძლოს ჭეშმარიტების ნათელ თვალებში ჩაბუდებული იდუმალება ამოვიკითხოთ, ან, ამ საწუთროს ბედ-უკუღმა ჩარხთა ტრიალის დაუნდობელი კანონები გამოვიკითხოთ.

ნუ შეგაშინებს ჭეშმარიტებას დაუდგე მხარში. ვიცი, ძნელია სიმართლის თქმა, აღიარება. გადაგიჭრიან გზას პირსისხლა კრავთა ნიღბები და ყოველ სიტყვას დაგაჩნევენ ტანს იარებად.

მაგრამ, მთავარი, სული ისევ დაგრჩება მთელი, ღვთის სამართალი ამ ქვეყნადაც დაიარება, ნუ შეგაშინებს თუნდაც ერთი ამბობდეს მართალს, იმ ერთის აზრი ბაირაღად აფრიალდება.

ნუ დაშვრები და სანამ შეგწევს, აკეთო რამე, იქნებ სიკეთე, სიქველე და მადლი დათესო, ვინძლო ჩვენამდე მოაწიოს საუფლომ განსჯის... ვინძლო სინდისმა, უფლის კართან არ შეგვაჩეროს.

03.04, 2002

ფლორიდა

სერგი ლომაძე



# რუსთავ-თბილისის შემოქმედებითი ურთიერთგადაკვეთა

ჩვენი აკადემიისათვის დასვენების სეზონი არ არსებობს. ცხოვრება არის ერთი დიდი, ინტენსიური, დაუსრულებელი ციკლი ბრძოლისა და მუშაობისა. ამიტომაც არაა გასაკვირი, ლეჟავა-ხარაიშვილის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიამ სწორედ ზაფხულში რომ წარუდგინა თბილისს სტაჟიანი პოეტი რუსთავიდან – მურად ჭოლოკავა – იქაური პოეზიის (ხელოვნების) ერთ-ერთი ლიდერი. წარდგენა მოხდა საჯარო ბიბლიოთეკის მესამე კორპუსში, საკონფერენციო დარბაზში, და გახსნა იგი ბავშვთა შესანიშნავმა მუსიკალურმა ანსამბლმა. მართლაც გასაოცრად მღეროდნენ.



**მურად ჭოლოკავას პოეზიის საღამოზე: გულნაზ ხარაიშვილი, თინათინ ხაბურზანია, ნათელა ხარაიშვილი, ლია მარტაშვილი, ალმარ ლომიძე, მურად ჭოლოკავა, ბელა ალანია, ნანა ყალიჩავა, ლეილა გაფრინდაშვილი**

შემოქმედებით საღამოს ისევ და ისევ თავად წარუძღვა აკადემიის პრეზიდენტი – გულნაზ ხარაიშვილი. მას გვერდს ვუმშვენებდით: ბატონი მურადი, მამა ამირან ამირანაშვილი, „ზღვარის“ ლიდერი კახა ბაციკაძე და მე. დამსწრეთა შორის იყვნენ როგორც თბილისის, ასევე რუსთავის წარმომადგენლები. განათლებული, სოლიდური საზოგადოება შეიყარა. სხვათა შორის, ბევრ დამსწრეთაგანს მიეცა გამოსვლის საშუალება, ოღონდაც მათი გამოსვლის საგანი მხოლოდ ბატონი მურადის პიროვნება და შემოქმედება უნდა ყოფილიყო, თემისგან დიდი გადახვევა, დიდი განვრცობა არც გამოვიდოდა, რეგლამენტისა გამო. ამიტომ გამომსვლელთა უმეტესობა პოეტის ლექსების წაკითხვით შემოიფარგლა. ისე გამოვიდა, რომ საღამოზე მურად ჭოლოკავას ბევრი ლექსი გაჟღერდა. ეს დადებითი მხარე აღმოჩნდა თუნდაც იმიტომ, რომ ბატონი მურადი გამორჩეული ძალის პიროვნება და პოეტი აღმოჩნდა.

მართალი გითხრათ, ვიცოდი, რომ ბატონი მურადი ძლიერი პიროვნება იყო, რადგანაც წინასწარ მქონდა ინფორმაცია მის შესახებ. მან ორი შვილის დალუპვის შემდეგაც კი არ მიატოვა შედევრთქმნადობა, დღესაც ერთ-ერთი ლიდერია თავისი ქალაქის ხელოვნებისა და საქართველოს მასშტაბითაც ამბობს თავის სათქმელს. ასეთი რამის შეძლება, ეგზომი სიდიდის ტრაგედიის მერე, ვის ძალუძს! შვილის დალუპვის სიმძიმეს თითოოროლა ადამიანმა თუ გაუძლო, მაგალითად, ქალბატონმა გულნაზმაც მოახერხა ასეთი საზარელი უფსკრულიდან ამოსვლა, დიდი სიმაღლეების დაპყრობაც, მაგრამ ჯერ-ჯერობით იგივეს ვერ ვიტყვი, ვთქვათ, უნიჭიერეს პოეტ ლიანა ოსიაშვილზე, რომელიც აკადემიის სიხარულად გვევლინებოდა ოდესღაც და მეყსეულად მოვარდნილმა ტრაგედიამ წელში გატეხა. კიდევ კარგი, რომ წერას მაინც აგრძელებს. გამეხარდა, ბატონი მურადის საღამოზედაც რომ წაიკითხა ლექსი. ვფიქრობ, ლია ოსიაშვილს უნდა მოვუწყოთ წარმატებული შემოქმედებითი საღამო, რათა ეს დიდებული ადამიანი უფრო მკვეთრად დაუბრუნდეს ჩვენს რიგებს. მე ასე მწამს: მისი შვილის ნათელ სულს ის უფრო გაუხარდება, დედა რომ ძველებურად ხალისიანი იხილოს. როგორმე უნდა დაუბრუნდეს, ჩვენი ლია, ცხოვრების ძველებურ რიტმს!..

ბატონი მურადი, დიახ, ძალიან ძლიერი პიროვნება აღმოჩნდა, გამაოგნებლად ძლიერი, და რაღა გასაკვირია, რომ ასეთ ზეკაცს ლექსებიც შესაბამისი აღმოაჩნდა. მის პოეზიაში ჩანს ძალა და დიდი პოეტურობა, ასევე – ღვთის, ერის, ადამიანის დიდი სიყვარული. ხოლო ის, რომ ლექსთა ნაწილი უსაზღვრო მამა-შვილურ სიყვარულს გამოხატავს, განა რა გასაკვირია! ამბობენ კაცია უპირატესი ადამიანი, უფროსი ოჯახისაო, მაგრამ უზენაესი მაინც კი დედა-შვილური სიყვარულიაო. აქ კი, მურად ჭოლოკავას ლექსებში, მამა-შვილური სიყვარული იკვეთება დიდის ძალით… თუმცა ქალიც, რაღა თქმა უნდა, განსაცვიფრებელი ქმნილებაა რაინდი სულის პოეტისათვის…

საერთოდ, დიდი შრომას მოითხოვს პოეზია მაშინაც კი, როცა რაღაც მარტივად იწერება. მე, მაგალითად, თუმცა სწრაფად ვწერ, მერე და მერე კი მაინც ბევრჯერ ვასწორებ ზოგ ნაწერს. ხანდახან არცაა გასწორება საჭირო, მაინც ვასწორებ, ვცვლი, თანაც ბოლომდე უკმაყოფილო ვარ. მაგალითად, ლექს „უკვდავების" მიძღვნაც კი არაერთხელ შევცვალე. „შენ არ მოკვდები, მზის სხივები კვლავ დაგაბრუნებს"… – როცა ვწერდი, მიხაროდა, მაგრამ არაერთხელაა შეცვლილი მიძღვნის საკითხიც მეთქი, და, დიახ, თვითონ ლექსიც, ამიტომ ძალიან გავიტანჯე. ახლა წარმოიდგინეთ ჩემზე გაცილებით ასაკოვანი და ბევრისმნახველი, უმძიმესდღეებგამოვლილი პოეტი, ნერვები რომ დაწყვეტაზე აქვს, და მაინც რომ ტიტანივით ეჭიდება სტრიქონებს. ცალკე რომ სიტყვები, ფრაზებია საკირკიტო, ცალკე კიდევ სასვენი ნიშნები, რომელნიც, არასდროს ფიქრობ რომ სწორად დასვი… მოკლედ, თან გიყვარს შენი შემოქმედება, თან კი არასოდეს ხარ კმაყოფილი და… ხარ ასე, თითქოს ჯოჯოხეთის ცეცხლში იწვი… აი, ასე იკვეთება შედევრები, იწრთობა ლექსის ფოლადისებური სხეული…

მურად ჭოლოკავა სიტყვებთან შერკინებული გლადიატორია, რომელიც გამარჯვებული გამოდის ამ ომებიდან. მე ეპიკური აზროვრება უფრო მაქვს, მაგრამ ლირიკაც ძალიან ახლოა ჩემს ბუნებასთან, და კარგად მესმის ლირიკოსების. ხოდა, დავინახე ნამდვილი ოსტატი ბატონი მურადის ლირიკაში. დიდი გრძნობა და დიდი განათლება ქმნის მისი პოეზიის იმპერიუმს. ხოლო ის, რომ ასეთმა ადამიანმა ადვილად აღანთო დარბაზი, აბა რა გასაკვირია, და ხშირი იყო იმ დღეს აპლოდისმენტები. სხვათა შორის, საღამოს ჩემი უახლოესი მეგობრები – ირმა ფირცხალავა და დარია ხიდეშელიც ესწრებოდნენ (ოდესღაც კლასელები იყვნენ). მათაც ძალიან მოეწონათ ღონისძიება, რომელიც „მისტერ ხელოვნებამ" – კახა ბაციკაძემ დახურა თავისი ფანტასტიკური პოეტურ-მუსიკალური გამოსვლით.

საბოლოო ჯამში ქალბატონმა გულნაზიმ კიდევ ერთი დიდებული, პოეტური შოუ დადგა იმ დღეს, მოიწვია, რა, კარგი პოეტი, და შეკრიბა, რა, კარგი პუბლიკა. ჩვენ ყველანი, იმ დღეს, პოეზიის სუფრაზე ვიყავით, ხოლო ვიგემეთ სიტყვათა პურ-ღვინო. მე კიდევ ერთხელ გავიაზრე ეპიკურად (ჩემებურად) ლირიკაც…

შედგა წარმატებული შემოქმედებითი საღამო, ზეიმი, ეს კი საწინდარია იმისა, რომ ბატონი მურადის ცხოვრებას შეემატება სინათლე. ვუსურვოთ მას დიდხანს სიცოცხლე თავის შვილიშვილებსა და ახლო ადამიანებში, კეთილმოსურნეებში, ასევე ვუსურვოთ ახალ-ახალი წარმატებანი შემოქმედებაში. ყოფილი პოეტი არ არსებობს: პოეტი მუდამ რჩება პოეტად, თქვენ წარმოიდგი-

ნეთ, არა მარტო სიცოცხლეში, არამედ სიკვდილის მერეც კი, – ესაა პოეტისა და პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი არსი.



**მურად ჭოლოკავას პოეზიის საღამოზე: გულნაზ ხარაიშვილი, თინათინ ხაბურზანია, ნათელა ხარაიშვილი, ლია მარტაშვილი, ალმარ ლომიძე, მურად ჭოლოკავა, ბელა ალანია, ნანა ყალიჩავა, ლამზირა შეყილაძე**

მე მხოლოდ და მხოლოდ პოეტი ვარ, თუმცა გარკვეული ადამიანები ძალიან მრავალმხრივ პიროვნებად ალმიქვამენ (არადა, ვინაა, მართლაც, პოეტზე უფრო მრავალმხრივი) და ზოგი მათ-განი, ვთქვათ, პოეტ-ფილოსოფოსსაც მიწოდებს. სხვათა შორის, ფილოსოფიური კუთხითაც შევ-ხედე ბატონი მურადის რამდენიმე ლექსს (მითუმეტეს, რომ მუსიკა და ფილოსოფია, ალბათ, ყვე-ლაზე ახლოს დგას პოეზიასთან, ფილოსოფია და მუსიკა პოეზიის უკიდეგანო სივრცეთა ნაწილ-ნიც კი მგონია). ასეთმა ხედვამ არაერთი რამ გამოკვეთა მურად ჭოლოკავას შემოქმედებაში, თუმცა ეს უკვე ცალკე კვლევის საგანია. ერთ წერილში (სტატიაში) ყველაფერს ვერ მოვაქცევ. ფრთხილად ვარ, სადავე რომ არ გამექცეს ხელიდან, რადგანაც პოეტი ვწერ პოეტის შესახებ, ესე იგი, შეიძლება რამდენიმე ტომი არ ეყოს ნაწერის მოცულობას, თუ დროზე არ დაისვა წერტილი.

თბილისი. 2017 წლის ზაფხული



გულნაზ ხარაიშვილი

როდესაც მაია ტყემალაძის პროექტს გავეცანი, გადავწყვიტე, რომ ჩემი ხელიც შეხებოდა შოთა რუსთაველის სტრიქონებს. გზაში ეს ფიქრები ამეკვიატა და აი, ამ რწმენით შევაღე კარები.

## ის რისი გაკეთებაც შეგიძლია

შენი რწმენა, შენი დამოკიდებულება, შენი ფიქრები, შენი პერსპექტივები, ვინ იქნებიან შენი მეგობრები, რომელ წიგნებს წაიკითხავ, რამდენ რისკს გაწევ, როგორი კეთილი იქნები, რამდენად ხშირად იტყვი მადლობას.

და მე მაია ტყემალაძეს უთვალავ მადლობას ვეტყვი ამ ისტორიული პროექტისათვის.



## ზღვასავით ღელვა შოთა რუსთაველის ვეფხვისტყაოსნის სტროფის ჩაწერისას

ასეთი შინაგანი ღელვა არასოდეს მიგვრძვნია, ეს პასუხისმგებლობა იყო შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის პოემის წინაშე, მიხაროდა, განვიცდიდი, ვფიქრობდი, ვთრთოდი, ზეციური კოსმიური ტალღები მატორტმანებდა. ვწერდი, ვკანკალებდი, ჩემს გვერდით მყოფებს შევხედე, შევატყე ისინიც ჩემზე უარეს დღეში იყვნენ. ფანქრით შემოხაზულ ასოებს შლიდნენ, ისევ წერდნენ. ძალა მოვიკრიფე და ერთი სტროფი ჩამოიქნა.

## ანზორ ჯაფარიძის აღსარება

ბატონი ანზორ ჯაფარიძის პიროვნება საზოგადოებისათვის ცნობილი სახეა. მან მკითხველს არაერთი პოეტური და პროზაული წიგნები მიაწოდა, მისი წიგნებიდან ყველაზე პოპულარული გახდა „აღსარება“. ბატონი ანზორი პატარაობიდანვე იყო კეთილი და მშობლების მიმფერებელი პიროვნება. ის იყო ძალიან კეთილი და ყველას ტკივილის გვერდში მდგომი. ამ წიგნში აღწერილია ის სინამდვილე, რაც ავტორს გადახდა. ამიტომაც დაარქვა „აღსარება“. ეკლესიური კი გახდა მამა ამირან ამირანაშვილის ურთიერთობის შემდეგ. მამაოს თბილმა და დამაჯერებელმა სიტყვებმა ისეთი ზემოქმედება მოახდინა ბატონ ანზორიზე ღვთის გზას დაადგა და წიგნიც დაწერა რომელსაც „აღსარება“ დაარქვა. მე პირადად წაკითხული მაქვს იგი და ჩემი შთაბეჭდილება ლექსად დავწერე და გადავწყვიტე ჩემი ჟურნალის მკითხველებისათვის მიმეწოდებინა. წიგნს ეტაპობრივად დავბეჭდავ ყველა ნომერში.

***„ათინათის“ რედაქტორი***

**ანზორ ჯაფარიძე**



### აღსარების გაგრძელება

### არ დაგძლიოს ბოროტმა, არამედ სძლიე, ბოროტს კეთილით....

მკაცრი, მაგრამ სამართლიანი იყო დედაჩემი: ვერ იტანდა უსამართლობას, განსაკუთრებით უყვარდა მიწა, თითოეულ გოჯს დატრიალებდა, ოჯახიდან დაუფიქრებლად ყველაფერს გააჩუქებდა, მაგრამ გოჯი მიწისათვის სისხლს დაღვრიდა, მე და მამაჩემი დამთმობნი და "მაამებლები" ვიყავით, ოღონდ მეზობელს არ წყენოდა, ვპატიობდით ყველაფერს, მახსოვს, ერთხელ ერთი უვარგისი მეზობელი დასახლდა ჩვენს მიჯნაზე, უადგილო-ადგილზე, რიყეში ჩაიდგა სახლი, მე და მამაჩემს შეგვეცოდა, ჩვენს ადგილზე ავაშენებინეთ კედელი, მან მიიღო რა ეს ნებართვა, გათამამდა და საწვეთურიც ჩვენსკენ გადმოუშვა, სათავსოებიც გაიკეთა, ეს რომ დაინახა დედაჩემმა, კარგად გამოგვლანძღა, რა არ გვიწოდა, ასე თავზე გადაიტარეთ ყველაო, არ დატოვა გამგეობა, საბჭო, ყველას შესჩიოდა. ჩემი მეგობარი იყო საბჭოს თავმჯდომარე - კარლო, იმასაც კი მიაკითხა, სამართალი დამიყენეო. ჩვენი სოფელი რედიო-ტელეფონიზირებული იყო, სახლებში გვქონდა ტელეფონები და მთელი სოფელი ვეკონტაქტებოდით ერთმანეთს. ერთხელ თბილისიდან ჩამოვედი, მეგობართან შევიარე, ცოტა გადავკარით და გამახსენდა, ვიფიქრე. მოდი დედას დაველაპარკები-მეთქი, ტელეფონში ხმაშეცვლილი (სულელურად) კარლოს სახელით ველაპარაკები, როგორ ბრძანდებით მარია დეიდა ხომ არაფერი გიჭირსთქო, დედამ გაიგო რა კარლოს სახელი, მე და მამაჩემიც გაგვლანძლა, ყველას თავს უხრიანო და ის მეზობელი სოკრატა ხომ ქვის ქვეშ ამოდო, მე ისევ კარლოს ხმით ვეუბნები, მარია დეიდა დაწყნარდი, გამოგიგზავნი კომისიას და სოკრატას სულ მიუნგრ-მოუნგრევ მაგ უკანონობასთქო. ამის შემდეგ ისევ გამიგრძელდა მეგობართან ქეიფი – ნასვამი მოვედი სახლში, სულ არ მახსოვს ეს საუბარი, დედა შემეგება და სულ ცქმუტავს. აი, შვილო, თქვენ, რომ ასე ათამამებთ სოკრატას, ჯერ ჩამოვიდეს კარლო მაგ გარეწარს რას უზამსო, მერეღა გამახსენდა ჩემი ჩადენილი სისულელე. ზოგი მეზობელი ღობის სარს მართლა შეგნებულად ეწეოდა ჩვენსკენ, ერთ სანტიმეტრს არ აპატიებდა დედა, მასში ჩქეფდა "კულაკის" სისხლი. ერთხელ მთხოვა: შვილო ცოდვა არიან შენი დები, ძალიან უჭირთო, თათრები დადიან, ძველმანებს ყიდულობენო – ზიზის და მედიკოს ბავშვების ტანსაცმელი აქვთ დარჩენილი (ძველმანები), ჩამოიტანე და ერთ-ორ კაპიკს მეც მივაწვდიო. ჩამოვიტანე თბილისიდან ორი-სამი ტომარა ძველმანები, გაუტანებია ვიღაც თათრისათვის ნისიად, ვხედავ, დედაჩემი დარდობს რაღაცას, ველარ ვცნობ, ვეკითხები: რა მოგდის-თქო, არ მეუბნება, მერე ვიღაც მეზობლისაგან გავიგე, რომ ამ ნი-

სიაზე დარდობდა, როგორღაც დავადგინე რა თანხა იყო და მეორე ჩამოსვლაზე ფული გადავეცი, დედა ვიღაც თათარი იყო, ბოდიში მოგიხადა დავაგვიანეო და ეს ფული გადმოგვცაო, დაიწყო დედამ ლოცვა, ღმერთო მაპატიე რამდენი ვწყევლე იმ პატიოსან ადამიანსო.

***

*"ნუ მიაგებთ ბოროტის წილ ბოროტს"*

## შაქრო ბეჟუაშვილი და კარლო დავითაშვილი

დედას დიდი სანათესაო ჰყავდა; მათ შორის ორ ოჯახზე მინდა მოგითხროთ; თელავში ცხოვრობდნენ ბეჟუაშვილები შაქრო ძია და ნინა ბიცოლა, მათ სამი ვაჟი ეყოლათ, ორი ექიმი გამოვიდა, მესამე უსწავლელი დარჩა ქალაქის დარდიმანდ ბიჭად ითვლებოდა, ლოთ შფოთიც... უფროსი ბიჭები, ექიმები, ფრონტზე დაიღუპნენ, ოჯახი დარჩა უმცროსი ვაჟიშვილის იმედად. ერთხელ, გადამთვრალი მოვიდა შოთა სახლში, შევიდა მარანში და ოცლიტრიანი მოწნული "შტოფი" ძლივს გამოათრია წასაღებად, ნინა ბიცოლამ უთხრა კიდევ დალევა გინდაო?! შოთამ დადგა შტოფი, აიღო წალდი, მიადგა ვაზის დიდ ხეივანს, ჩაჭრა ერთი ვაზი, ჩაჭრა მეორე, კივის ნინა ბიცოლა შე საზიზღარო, ნუ გვღუპავო, გადმოხტა შაქრო ძია, აიღო მეორე წალდი და შეუძახა შოთას, ეგრე შვილო, მიდი, შენ მოჭერი, მე ამოგისხიპავო... ისე იმოქმედა შოთაზე მამის ტონმა, წალდი ხელიდან გაუვარდა და ღვინოც ასევე მიტოვა.

**რათა, რად ეგრე, ძმობილო,**

**განა დიაც ვარ, ორსული,**

**მენაც გამზარდა დედამა,**

**ნეხვჩი არა ვარ მოსული.**

**ვაჟა-ფშაველა**

**"მამაკაცი კი არ შექმნილა დედაკაცის გულისთვის,**

**არამედ დედაკაცი მამაკაცის გულისთვის"**

**კარლო ვანოს ძე დავითაშვილი** – დედაჩემის დეიდაშვილის შვილი იყო, თელავის რაიონში არის სოფელი გულგულა, კომუნისტები ამაყობდნენ, პირველი კომუნა საქართველოში სოფელ გულგულაში შეიქმნაო; გააერთიანეს ოჯახები, ქონება და თითქმის ჯოგურ ცხოვრებას ეწეოდნენ. მეცნიერებმა დაადგინეს უცნაური ფაქტი: "პატრონს პატივს აღარ სცემს ის ძაღლი, რომელსაც პირველ რიგში კვებავენ, თუ პატრონი ჯერ თვითონ მიირთმევდა და ძაღლს ნერწყვებს აყლაპვინებდა, მერე აჭმევდა, ცხოველი თვინიერი და პატრონის მოყვარული ხდებოდა. გურულს

ჰკითხეს: - კოლმეურნეობა რა არისო და მან უპასუხა: - მომეცი მთელი მჭადი და მოგიტეხავ პაწიასო, აი, კომუნისტებიც ასეთები იყვნენ. გააერთიანებდნენ კოლმეურნეობაში ხალხს, შეატანინებდნენ ყველაფერს, რაც კი გააჩნდათ და შემდეგ პატარ-პატარას მიუგდებდნენ. ჯოგური პრინციპის ამ მეთოდით ხალხს ნამეტნავად უყვარდა კოლმეურნეობა. აი ასეთ სოფელში გაიზარდა დედაჩემის ნათესავი კარლო. 1944 წელს იყო დაბადებული კარლო დავითაშვილი, მაღალი, წელში გამართული, ნათელსახიანი, ხვეული ლამაზი თმებით, მოხდენილი, მიმზიდველი ვაჟკაცი. მამა ომში დაეღუპა, სახლში ქალები დარჩნენ, კარლო მეზობელ ვახტანგ ჩაველაშვილის ხელში იზრდებოდა, ვახტანგ ჩაველაშვილი ძლიერი ვაჟკაცი იყო, ჭიდაობდა, ახლო-მახლო სოფლებში მისი წამქცევი და ჩხუბში მომრევი არავინ იყო. განსაკუთრებით უყვარდა იარაღი და მის გარეშე ვერ ნახავდით. ვახტანგი კარლოს ზრდიდა დიდ ვაჟკაცად. ასწავლიდა ჭიდაობას, ულვივებდა თავმოყვარეობას, კაცურ ღირსებებს, პატიოსნებას, სიკეთეს, სიმართლის შეგრძნებას... კარლო დავითაშვილი და მე თითქმის ერთად ვიზრდებოდით, მასაც უყვარდა ჩვენთან ყოფნა და მეც ხშირად დავიარებოდი გულგულაში. მე უფროსი ვიყავი და განსაკუთრებული პატივისცემით მექცეოდა, სჯეროდა ჩემი, ასე იტყოდა ხოლმე: - ჩემთვის ვახტანგ ჩაველაშვილია და შემდეგ ანზორ ჯაფარიძეო. ძალიან მიყვარდა და ვამაყობდი კარლოთი, როგორც მართალი და პატიოსანი კაცით; კარლომ ჯარში გაიცნო რუსი სამხედრო მაღალჩინოსნის ქალიშვილი სვეტა, რომელიც ისე მოხიბლა, რომ ცოლად გამოჰყვა და საქართველოში ცხოვრებაზედაც დათანხმდა, ჯერ გულგულაში (სოფელში) დაიწყეს ცხოვრება, მაგრამ კარლოს შეეცოდა, ქალაქში გაზრდილი ქალია და მეც ქალაქში ვაცხოვრებო, თელავში იქირავა ბინა, აქ გააგრძელეს სიყვარულით შექმნილი ურთიერთობა. სვეტა მაღალი, ბრდღვიალა თვალებიანი, ლამაზ თვალ-წარბიანი ანგელოზის შეხედულების ულამაზესი გოგო იყო, უყვარდა ქმარი, გიჟდებოდა მასზედ, ბედნიერად გრძნობდა თავს ვაჟკაცი მეუღლის გვერდით, მაგრამ "ეს სოფელი ისეთია სამუდამოდ გაახარებს ვინმეს განა?!", განვლო სულ ცოტა დრომ და სვეტას უცნაური ცვლილება დაეტყო, დანაღვლიანდა, მოიწყინა, ყოველგვარი ხალისი დაკარგა, დღითი-დღე უკან-უკან მიდიოდა მისი სიხარული, ბედნიერება. დაეჭვდა კარლო, მიზეზი ვერ დაადგინა, დაუწყო ცოლს გამოკითხვა ჯანმრთელობა ხომ არ შეგერყაო, ან რაიმე ხომ არ შეგემთხვაო, რუსეთიდან ხომ არ გაქვს სანერვიულო ინფორმაციაო, სვეტა გაჩუმებული, მდუმარედ ისმენდა ქმრის დაკითხვას. ერთ დღეს სვეტა გაქრა, არავინ არ იცის სად წავიდა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, გამწარდა კარლო, არემარეს ანგრევს, ბოლოს გადაწყვიტა რუსეთში ძებნა და მართლაც მიაგნო რუსეთში დედ-მამის სახლში, აიძულებს, მიზეზს ეკითხება, რატომ გამოიქცა, ვერ ათქმევინა, ბოლოს იძულებით წამოიყვანა საქართველოში... სვეტა ისევ აგრძელებს დეპრესიაში ყოფნას და აი ერთ დღეს ქმარს გამოუტყდა, მე აქ ცხოვრება აღარ შემიძლია, რუსეთში წავიდეთ საცხოვრებლად. შენც გამომყევი, ან არა და მე გამიშვი, ჩემს ცოდვას ნუ დაიდებო, თან ყველაფერი ამოხეთქა, მიაძახა ქმარს: ქუჩაში ვერ გამოვსულვარ, როგორც ძროხას, ბუღები, ისე მიყურებენ და დამდევენ ქართველი კაცებიო, გადაირია კარლო, ეს როგორ შემომბედესო. ათქმევინა სვეტას: ვიღაც ტაქსის მძღოლი დაუსახელა. შენ როგორც გახვალ სახლიდან მოვა ტაქსით და მთელი დღე ჩვენს სახლთან ალამებს, თუ ხმა მომაწვდინა, გარეთ მიწვევს, გამოდიო, ასე ალამებს და ათენებსო, ან გეგმის ფულს რითი იხდის ან თვითონ როგორ ცხოვრობს... ბევრი იბორგა კარლომ, ბევრი ბოლმა დაუგროვდა და ბოლოს სვეტას მკაცრად მოსთხოვა; ხვალ მე გავალ სახლიდან, შენ გამოდი და ჩაუჯექი ტაქსში, თან უთხარი, - შუამთისკენ გავისეირნოთთქო, მართლაც ასე მოხდა ტაქსის მძღოლი გახარებული მიაქროლებს შუამთისაკენ სვეტას, შუამთაში ერთ ლამაზ კორდზე გააჩერა მანქანა და თავი ბედნიერად რომ იგრძნო, მოულოდნელად კარლოც გადმოვიდა მანქანიდან და ნაგანი დაადო თავზე, ნაცნობი აღმოჩნდა, მუხლებზე დაეცა, კარლო არ მომკლაო, კარლომ მანქანიდან გადმოიღო შამპანურის ბოთლი და უბრძანა – ჩვეულებრივ შემთხვევაში ნახევარლიტრიანი გეკუთვნოდა, მაგრამ ძალიან დიდი გოთვერნობა გაქვს ჩადენილი და შამპანურის გეკუთვნისო, ჩაიხადე შარვალი და სვეტამ უნდა გიყუროს როგორ დაჯდები ამ ბოთლზეო, რას იზამდა, ტყვია პირში ჰქონდა მიცემული, დაჯდა ბოთლზე და კარლო

ორივე ხელით მხრებზე დააწვა, გარეთ არაფერი დარჩესო. სამი თვე ადგას ექიმების გუნდი თავზე და ძლივს მოუშუშეს იარა.

ამის შემდეგ მთელმა რაიონმა ბოთლა დაარქვა ტაქსის მძღოლს. გახმაურდა ეს ამბავი, ლეგენდასავით გავარდა კარლოს სახელი, მაგრამ არ ისვენებს ეშმაკი და მისი მაცდური ვნება.

კარლო მიყვება: მე და სვეტა თელავში ვსეირნობთ, სიგარეტი გამითავდა, სვეტას ვუთხარი შენ აქ მომიცადე, მაღაზიაში შევალ, სიგარეტს ვიყიდი-მეთქი, შევედი მაღაზიაში, ფანჯრიდან მოჩანს სვეტა, გაჩერდა ყავისფერი ვოლგა, გადმოვიდა ცილინდრიანი კაცი და ხელის მოკიდებით ცდილობს სვეტა მანქანაში შეითრიოს, მივატოვე მაღაზია და გადარეული გამოვვარდი გარეთ, სვეტას მივაძახე სახლში წადითქო, მე კი ქურდ ზალიკოს (ასე ერქვა ამ ტიპს) ვუთხარი გამწარებულმა, დაქოქე მანქანა და ქალაქგარეთ გამიყვანე-მეთქი, ჩავედით აეროპორტში, მინდორზე გადავაყვანინე მანქანა და ვუყვირე – მანქანიდან გადმოდითქო, კარგად მიცნობდა ვინც ვიყავი, მაშინვე მუხლებზე დაეცა და არ მომკლა კარლოო, რასაც მეტყვი ყველაფერს გავაკეთებო – არ მოგკლავ ტანზე უნდა გაიხადოთქო – გაშიშვლდი სასწრაფოდ-მეთქი, მთლად დედიშობილა ბაგაჟნიკში ჩავსვი და ჩავკეტე გასაღებით, ამოვიყვანე თელავში ბირჟაზე, თეატრის წინ გავაჩერე მანქანა და საბარგული გავხსენი – გავსებულია ხალხით ბირჟა, მათ შორის შავი სამყაროც უყურებს სეირს - გავხსენი ბაგაჟნიკი და აბა ამოეთრიე და თავისუფალი ხარ-მეთქი, ამოლოლდა მკვდარივით, ამის შემდეგ თელავში ველარ ჩნდებოდა სირცხვილით. ეს ისტორიაც მოედო მთელს კახეთს.

გადის დრო და სვეტას მამა სამხედრო ჩინოვნიკი მაღალი წოდების კაცი ჩამოდის შვებულებით სიძესთან. კარლო ჰყვება: - ზაფხულია, ახალი ნასადილევი ვართ და შუადღის ძილს მივეცით თავი – ცოტა ხანში მესმის ძახილი – კარლო სახლშიაო? და ვიღაც პასუხის მიცემის გარეშე კიბეებზე ამოდის, ნაბიჯების ხმა მესმის. წამოვდექი, საცვლის ამარა, ჩაცმაც არ მაცალა ისე შემოაღო კარი, მომესალმა, მომიკითხა, ძალიან ახლო ნაცნობი აღმოჩნდა, უცბად მომმართა: როგორც კაცებმა, პირდაპირ მინდა გელაპარაკოო და აი საშინელება მომმართავს; სვეტა შემიყვარდა, შენ ლამაზი ბიჭი ხარ, კიდევ იშოვნი სხვა ქალს, ეს მე უნდა დამითმოვო – სანაცვლოდ სვეტა დააყენე სასწორზე ერთ მხარეს და მეორე მხარეს მის წონა ფულს ვდებო – თავი სიზმარში მეგონა, თვალებს ვიფშვნეტ, ეს რა მესმის-მეთქი და მივწვდი სიმამრის რევოლვერს, სამი ტყვია დავახალე და იქვე განუტევა სული, გარეთ გამოვვარდი, ვინც მოაცილა მან გამასწრო, ის ველარ მოვკალი, დავჯექი ასე ტრუსიკის ამარა მანქანაში და მილიციაში მივედი, ასე და ასე მოხდა-მეთქი.

შვიდი წელიწადი მიუსაჯეს და სასჯელი ყაზახეთში მოიხადა, რომელიღაც შრომა-გასწორების კოლონიაში. საინტერესო ის არის, რომ სასამართლოზე ერთმა ქალიშვილმა განუცხადა: ცოლად გამოგყვები და შენთან ერთად ვიცხოვრებ, სადაც გაგამწესებენო. ისე მოეწონა მისი კაცობა ყაზახეთში გაჰყვა, კოლონიაში კარლოს დიდ პატივს სცემდნენ. თურმე მშენებლობაზე პრარაბად ამუშავებდნენ, ცოლიც იქ ჰყავდა, ცალკე ბინა უქირავეს, ორი გოგონა ეყოლა.

ერთ დღეს ვზივარ ჩემს კაბინეტში და ტელეფონში მესმის დაცვის მუშაკეის ხმა, ბატონო ანზორ, გკითხულობენ – იქნებ გარეთ გამოვიდესო. გამოვედი, რას ვხედავ, კარლო დავითაშვილი დგას ჩემს წინ. გადავეხვიე, გამაცნო – ეს ჩემი ცოლია, ეს პატარები კიდევ ჩემი შვილებიო. ახალი 01-ით იყო მოსული, თურმე ყაზახეთიდან ასე მოდიან, „საძმოს" შეუგროვებია ფული და მანქანით დაუსაჩუქრებიათ.

კარლომ კიდევ ერთხელ გამაოცა. მე აქ ჩამოსვლას აღარ ვაპირებდი, ამ ცოდვის ჩადენის შემდეგ, მაგრამ მოკლულის ძმები თურმე მემუქრებიან. მე შევუთვალე – მოვდივარ და დამხვდით, ვნახოთ ვინ დავასწრებთქო. ამის გარდა, არ მასვენებს იმ კაცის ბოღმა, ჩემს სახლში ვინც

მოაცილა მოკლული, ის როგორ გამექცაო. მილიციაში მოვიდა და დაკეტილი ფანჯრიდან დამიწყო გინება, აქ უნდა ჩაკვდე, შე ასეთო და ისეთოვო, აი იმის ბოლმა მახრჩობს, არ მასვენებსო. დამისახელა კაცი, რომელიც ჩემი ნაცნობი იყო, გადავირიე: ამას კიდევ ეს უბედურება უნდა-მეთქი) ყველაფერი ვიღონე, ჩემი უახლოესი მეგობარია და გვენათესავება კიდეც-მეთქი. ჩავუჯექი მანქანაში და გამოვყევი გულგულაში. მთელი ღამე ვსვით, ვილოთავეთ, სპეციალურად ვალევინებდი და გამთენიისას ავაღებინე ხელი ჩანაფიქრზე.

ახლა ცოტა უკან დავიხევ. კარლოს სასამართლოზე მოხდა ერთი ინციდენტი, გურჯაანში გაიმართა სასამართლო სხდომა, მოსამართლე ამაყად შეუძახებს კარლოს (დიდი ფულის პატრონები იყვნენ მოკლულის ძმები), შე მხეცო, როგორ მოკალი კაციო, კარლომ სხარტად უპასუხა: - პატივცემულო მოსამართლევ, მე კაცი კი არა, მხეცი მოვკალიო, რომ არ მომეკლა, ჩემი ცოლი ვერ იხმარა, მაგრამ შენს ცოლს აუცილებლად იხმარდაო.

ძალიან ცუდი სიმთვრალე ჰქონდა კარლოს, ერთხელ მთვრალები ვახტანგ ჩაველაშვილი და კარლო მოდიან ჩემთან. შემოდგომა იყო. ქარი ქროდა, წვიმა ცრიდა, გზაში თურდოს ხიდთან მგზავრი დაუნახავთ, შეეცოდათ და მანქანაში ჩაისვეს, ისიც უგონოდ მთვრალი ყოფილა, მარტო ერთ სიტყვას იმეორებდა, - მე ამპარტავანი ვარო. კარლომ უსმინა, უსმინა და გააჩერა მანქანა, მოუარა, კარები გააღო და მეორე კარებიდან წიხლის კვრით გადმოაგდო. დაეცა ქუჩაში და ისევ გაიძახის – მე ამპარტავანი ვარო. გაგიჟდა კარლო, ჩაჯდა მანქანაში და მანქანის გადატარება უნდა ზედ, მაგრამ ვახტანგი გადაუდგა წინ, ამ დროს ხმაურზე მეზობლები გამოცვივდნენ. კაცო ამპარტავანი კი არა ქისტია, გვარად ამპარტანიო, რაზე კლავთ კაცსო.

ერთხელ კარლო მშიერი დაბრუნდა სახლში. მიდგა-მოდგა და საჭმელი ვერაფერი ნახა, ძალიან გამართული ოჯახი ჰქონდა, ვერ დათვლიდი, იმდენი ჰყავდა ქათამი, გოჭი, ღორი, ინდაური... მამიდა და დედა იყვნენ სახლში, საღამო იყო, ქათმები უკვე საქათმეში იყვნენ შებუდებული, დაუძახა დედას და მამიდას, დედა საქათმეში შეუშვა, ქათმები მოაწოდე მამიდასო, მამიდას წალდი მიაწოდა, კუნძი დაუდო და უთხრა: ის მოგაწვდის, შენ დაკალიო. აწვდის დედა, კლავს მამიდა – დაიღალნენ, მამიდამ შებედა: - უკვე თხუთმეტი დედალია, ხომ არ გვეყოფაო, გაეცინა კარლოს და უთხრა, ამჯერად საკმარისია, მაგრამ თუ სხვა დროსაც არ დამახვედრებთ ვახშამს, ღორს დაგავაკვლევინებთო.

გულგულაში ნათესავი გარდაგვეცვალა, გიგოლა ძია, მეტსახელად “ტრაბახა”, კარლომ ოჯახთან ერთად მიცვალებულს ღამე უთია თურმე და თან ნელა-ნელა არაყს წრუპავდნენ, კარგად გამოთვრნენ, დილით კარლომ აიჩემა, ანზორის უნდა შევატყობინო თბილის შიო, დაჯდა ეს არყით გამობრუჟული ჟიგულზე და გომბორის გზას გამოუდგა, ივრის პირას, სადაც პატარა ჰესია, კარლოს ჩაეძინა, ჯებირი გადაანგრია და 8 მეტრის სიღრმის დაგუბებულ წყალში გადაეშვა, ჯებირზე შეჯახებისთანავე, გამოეღვიძა. მიხვდა რაც ხდებოდა, საქარე მინები ამოუწია – ჟიგული ძრავის სიმძიმემ ყირაზე დააყენა, კარლომ მოასწრო უკანა “პარპრიზის” ამომტვრევა და საბარგულზე დადგა ფეხზე, წყალი საქამრემდე სწვდებოდა, საიდანღაც ამ ხიფათს რუსი სამხედროები წამოესწრნენ, უცბად მოიყვანეს სამხედრო ურალი და ჩაუშვეს ტროსი “ლეპიოტკა”, მაღლიდან ჩასძახიან, დერჟი-დერჟიო, კაცი ასეთ ხიფათშია წუთი-წუთ შეიძლება წყალმა ჩაითრიოს და იქედან „აბაროტს“ აძლევს “ტი სამ დერჟი იობ ტვოი მატო” – უძახის გადარეული. გაჩერდა მოძრაობა, შეიყარა ხალხი, ეხვეწებიან, ნაცნობებიც გამოჩნდნენ, კარლო მოკიდე ტროსს ხელიო, როგორც იქნა ამოიყვანეს, ერთ-ერთ თბილისისაკენ მიმავალ მანქანას – ნაცნობს ჩემთვის დაწერილი წერილი გამოატანა და მიაძახა: - თბილისში, რომ შეხვალ, ნავთობბაზაში, ანზორ ჯაფარიძეს გადაეციო.

*გაგრძელება იქნება*

**ციცინო ჩხაიძე**



# ანბანური ინტეგრალები

*გაგრძელება*
*დასაწყისი: ჟურნალი „ათინათის“ № 23, 24*

## იდუმალება

იადონის და იას იდუმალება იანვრიდან იწყება.
იანვრიდან?
იშვიათად იანვრიდან.
იანვარი იმედს იძლევა.
იცდის იადონი.
იგვიანებს ია.
იგვიანებს და...
იაც იშლება, იფურცლება, იფურჩქნება და ირგვლივ იხედება.
იქვეა იადონიც - იფნის იარუსზე. იგალობს და იხრება იისკენ. იაც იხიბლება იადონით, ინაზება, იპრანჭება, ირხევა.

●

იწყება ივნისი.
ია იწყენს.
იცვლება, იცრიცება, იფერფლება და... იკარგება.
იადონიც იცვლება.
იბუტება, იბუზება, იტანჯება, იგლოვს იას და... იცდის იანვრამდე.
იცდის და ითმენს იმედით.
იმედით იცოცხლებს, იმედით იცხოვრებს და იგალობებს, იკვნესებს და იხეტიალებს. იცის, ია ისევ და ისევ იქნება იადონისთვის იდუმალი, იადონი – იასთვის.
იწყება იანვარი.
იმედიც იწყება.
იწურება იანვარი.
იმედიც იზრდება, და...
იაც ილვიძებს.
იადონი ისევ იფანზეა. იისთვის იმღერებს, იისთვის იგალობს. იწვის და იდაგება იათი.
იაც იშნობს, ისევ ინაზება და ირხევა; ისიც იხიბლება იადონით.
იდუმალებაა.
იადონის და იას იდუმალება!

25.12.2014 წელი. თბილისი.

## კიკეთში

კახა და კობა კიევის კლუბის კალათბურთელებია.
კახა კარდანახელია, კობა – კიკეთელი.
კვირიკობისთვეა.
კახა კობასთანაა კიკეთში.
კობას და – კესო, კიბეზე კაბას კემსავს კარნავალისთვის. კუდაპრეხილი კატა კესოსთანაა და კრუტუნებს. კრუხი კალოს კეკავს, კანტიკუნტად კაკალს კენკავს და კრუხუნებს.
კერიასთან კალმახს და კეჟერას* კერძებს კაკლით კმაზავენ. კეცებზე კმაყოფილი კვერებია.
კობა კიტრებს კრეფს კალათაში. კახა კი კორდზე, კოინდრის კონას კრავს, კოჭლი კვიცისთვის. კვიცი კიბის კუთხეში კაკალთანაა და კრთის კრუხის კრუხუნზეც კი.
კახა კვიცს კიდეც კვებავს კოინდრით და კესოსთანაც კრძალვით კურკურებს, კაფიაობს.
კესო კისკისებს.

* კეჟერა - (გურ.) ფხალი ერთგვარი.

კეკლუცი კესოს კეფაზე კულულები კეწნწლაობენ.
კახა კოინდარს კბილებით კვნეტს – კესოსადმი კდემა კლავს.
კმაყოფილია კახა კიკეთში.
კმაყოფილია კესოც.
კახასთვის კიკეთი კაშკაშებს...

03.12.2014 წელი. თბილისი.

## ლელო

ლანჩხუთში ლელოა.

ლელო ლანჩხუთელთათვის ლოცვასავითაა, ლეგენდადქცეული „ლეკურია“.

ლანჩალაფიანები, ლოყებჩალურჯებულნი, ლაშისღელის ლოდებზეჩამომსხდარი ლანჩხუთლები ლანძღვა-გინებით ლაქლაქებენ.

ლანძღვა-გინება ლელოსთვის ლოიალურობაა.

●

ლელობურთი ლანჩხუთლებისაა.

ლელოს ლიდერი, ლადო, ლელობურთჩახუტებული ლასლასებს. ლადოც ლაზათიანადაა ლოყაჩამოკაწრული.

●

ლიბრია.

ლატუნის ლამპასთან ლადო და ლურჯთვალა, ლერწამივით ლელა ლელოზე ლაპარაკობენ.

ლეკვი, ლინდა, ლადოს ლოყაზე ლაქუცს ლამობს.

ლამპის ლიცლიცზე, ლურჯლილიებიანი, ლალისფერი ლარნაკი ლაპლაპებს.

16.01.2016 წელი. თბილისი.

## მხიარული მაყრიონი

მარიამობისთვის მიწურულია.

მარეხის და მინდიას მაყრიონი, მაჩხვარეთიდან მამათისკენ მანქანებით მიქრიან და მისადაგებულადაც მიიმღერიან:

„მივალ მამათისკენ მარა,
მშობლები მომენატრება,
მინდა მალე მივბრუნდე და...
მოვეხვიო, მოვეფერო და...“

მხიარულად მიაღწიეს მამათს. მაყრიონს მხიარულადვე მიეგებნენ მამათელი მასპინძლები. მზახლებმა მკერდზე მიიხუტეს მშვენიერი მარეხი და მამათის მკვიდრობა მიულოცეს.

„მეფე“ მოშინაურდა. მიუახლოვდა მარეხს, მანდილი მოხსნა, მოაშინაურა მარეხიც, მარჯვენა მოხვია, მიიზიდა და მიესიყვარულა.

მაყრიონი მაგიდასთან მიიწვიეს.

მრავლობდა მხიარული მიკითხ-მოკითხვა.

მოილხინეს.

●

მამათის მკვიდრმა მამლებმა მაყრიონი მოაფხიზლა.

მაჩხვარეთლებმა მეფის მაგიდა  მიატოვეს და მანქანებს მიაშურეს.

მასპინძლები მაყრიონს „მრავალჟამიერით“ მიაცილებდნენ.

მარეხიმ მოიწყინა.

მინდია მოეხვია მარეხს. მარეხიც მიენდო და მეუღლის მკერდს მიეყრდნო.

21.12.2014 წელი. თბილისი.

*(გაგრძელება იქნება)*

## ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი



# სულიერ ფასეულობათა ანბანი

*გაგრძელება*

*დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის მე-5 ტომში, ჟურნალ „ათინათის“ №№22, 23, 24-ში*

### კოსმიური გამოვლინება (მატერია)




რა არის მატერია? ***მატერია არის რეალური შედეგი იდეალური მიმართულებიდან გადახრისა.*** რას ნიშნავს ეს? შევეცდები ავხსნა მარტივი ფორმით. თუ წმინდა წერილებიდან ვიხელმძღვანელებთ, ბჰაგავატ-გიტაში მატერიასთან დაკავშირებით განმარტება შემდეგნაირად ჟღერს: „უფალი ღმერთი ზესულის ნაწილობრივი განსახიერებით თავად შევიდა მატერიალურ კოსმიურ გამოვლინებაში“.

პლანეტა მზე და პლანეტა დედამიწა ორივე მატერიას წარმოადგენს. ისინი სივრცეში არიან განლაგებულნი, მოძრაობენ და რატომღაც ერთმანეთს არ ეცემიან. აი, აქ შეიძლება მატერიის არსის ყველაზე მარტივი ფორმით დანახვაცა და გაგებაც. ჩვენი მატერიალური თვალისთვის ხილული მზე და დედამიწა წარმოუდგენლად დაშორებულნი არიან ერთმანეთისგან და სინამდვილეში კი მათი არამატერიალური, თვალისთვის უხილავი გარსები ერთმანეთს ეხებიან და ფაქტიურად წრიულად გორავენ ერთმანეთზე. ამ პრინციპის სიღრმისეული განხილვა ცალკე თემაა და დიდი მეცნიერებაა, რომელსაც აქ ნამდვილად ვერ შევეხები, მაგრამ თვალსაჩინოებისათვის, ვფიქრობ, ნათელი უნდა შეიქნას ის შეხედულება, რისი დანახვებაც მინდოდა. თუ ამ ყოველივეს საყრდენად მივიღებ, მაშინ აქსიომატურ ცნებამდე დადის ის, რომ მატერიის ერთადერთი რეალურად სწორი მიდრეკილება იდეალურობისკენ სწრაფვა, სრულყოფის მცდელობა უნდა იყოს, იმასთან შედარებით, ვიდრე იგი არის მოცემულ მომენტში, რამეთუ ***სწორედ მატერიაა, ხილული მატერიალური ნაწილია რეალური „ეგო“***. მატერია დროისა და სივრცის ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნება. ურთიერთქმედების წარმომქმნელი არის იდეა, რომელიც დროის განმგებლობითი პარამეტრიდან მომდინარეობს და სივრცე რაღაცა ნაწილში იდეას ერთიანად, მთლიანად ვერანაირად ვერ ღებულობს და ვერ ითავისებს. აი, ზუსტად იმხელა იქნება წარმოქმნილი მატერიის მოცულობა და ფორმა, რამხელაზეც არ იქნება მიღებული იდეა. შემდეგ თვითონ წარმოქმნილი მატერიის მხრიდან ხდება ათასგვარი ალტერნატიული იდეების წამოყენება, რაც, თავის მხრივ, წარმოქმნის სხვადასხვა იდეოლოგიებს, რომლებიც თავისთავად ე. წ. ჭარბ წონაში ანუ მატერიის მიერ მატერიის შექმნაში და ფარდობითობის ახალი სისტემების შექმნაში (მანძილში, ნომინალურ ზომაში), ილუზიის მიერ ილუზიის შექმნაში გამოიხატება. შედეგად რეალური მთლიანი „მე“ არარეალურად და მეორეხარისხოვნად ცხადდება, ხოლო გაეგოებული, მატერიალური „მე“ ერთადერთ რეალურ და პირველხარისხოვან „მე“-დ. ასე ვთქვათ მშობლების ურთიერთგაუგებრობის შედეგად წარმოქმნილი შვილები საკუთარი თავის მეტს ვეღარაფერსა და ვეღარავის ხედავენ, რაც შეიძლება ითქვას, მშობლებისთვის ძლიერი სტიმულია, რათა ერთმანეთში არსებული უთანხმოებისა და გაუცხოების მთლიანად გაქრობისკენ იყვნენ ორიენტირებულნი. სხვანაირად შვილები ვერასოდეს შეძლებენ თავისუფლებისა და ბედნიერების მიღწევას.

რა არის მოცულობა მატერიაში? ეს ცნება თავის თავში მოიაზრებს დროის პარამეტრის მიერ სფეროს პარამეტრის არ დაკმაყოფილებულ ნაწილს. ანუ ეს არის ის, რაც სფერომ არ გაიზიარა, არ მიიღო და ერთგვარად შემოტანილი იდეა განსახილველ საკითხად გადადო თავის პიროვნებაში. მატერიის მოცულობა საკუთარი ინდივიდუალურობის გამოვლინების ბაზისია. ის, რასაც მოიცავს ჩემი ინდივიდუალური მატერიალიზირებული სხეული, იმხელა არის ჩემი ეგოცენტრული „მე“-ს შინაარსი ანუ არსობრივი დატვირთვა. მატერიის აუცილებელ სასიცოცხლო, საარსებო, ფუნქციონალურ საჭიროებას წარმოადგენს ინფორმაციის ცნება. ინფორმაცია არის მოცულობის, არსის ცვლილებით ფორმის ცვლილება. საკვები, გართობა, განათლება, ჩაცმულობა (მოდა) და ა. შ. ეს ყველაფერი არის ინფორმაციის მიღება-გაცემის ფორმები სხვადასხვაგვარად გამოვლენილი. ინფორმაციის ტრანსფორმაციას ორი მიმართუ-

ლება გააჩნია. ერთი – ჩემსკენ და მეორე – ჩემგან, ანუ მიღება და გაცემა. ინფორმაციის ხარისხსაც ორი მიმართულება გააჩნია ერთი – გაფართოვება (თავისი მაქსიმალური დონით იმ სიღრმემდე, რომელიც საწყისს თავდაპირველს მოიცავს, ანუ იმას თუ საიდან დაიწყო ყოველივე და რატომ) და მეორე – შეკუმშვა (თავისი მინიმალური დონით იმ სიღრმემდე, რომელიც შედეგობრივს მოიცავს ანუ იმას თუ რა მოთხოვნილებები აქვს ჩემს ფიზიოლოგიურ, ცხოველურ „მე"-ს და როგორ უზრუნველვყო ისინი).

<u>რა არის ფორმა მატერიაში</u>? ეს ცნება თავის თავში მოიაზრებს სფეროს პარამეტრის მიერ დროის პარამეტრის არ დაკმაყოფილებულ ნაწილს. ანუ ეს არის ის, რაც დროის გადასახედიდან აუცილებელ ცვლილებას, რეფორმას (ერთ მთლიან ფორმაში სფეროში გამთლიანებას) ექვემდებარება, როგორც მრავალი მილიარდი ფორმიდან, ინდივიდუალობიდან ერთი მთლიანი ფორმის ინდივიდის ფორმირება. ფორმის აუცილებელ სასიცოცხლო ფუნქციონალურ საჭიროებას წარმოადგენს ინფორმაციის რეალიზაციის ცნება. ინფორმაციის რეალიზაცია არის ფორმის ცვლილებით მოცულობის არსის დამკვიდრება. ჭამა, სიამოვნება, სწავლება, შემოსვა და ა. შ. ეს ყველაფერი არის ინფორმაციის რეალიზაციის სხვადასხვაგვარად გამოვლინების ფორმები. ინფორმაციის რეალიზაციას ორი მიმართულება გააჩნია ერთი – რეალიზაცია ხდება ჩემზე (ჩემში) და მეორე – ჩემს მიერ. ინფორმაციის რეალიზაციის ხარისხსაც ორი მიმართულება გააჩნია. ერთი – ყველასთვის საჭიროებისა და საკეთებლის კეთება (სიკეთის ქმნა, როდესაც რეალიზაციის დროს ხელმძღვანელობა ხდება სასურველი, მაქსიმალურად მაღალი დონიდან ერთი მთლიანის საწყისის ინდივიდუალური რეკომენდაციებითა და, ყველაზე საუკეთესოა, უშუალო მიმართვით) და მეორე – მხოლოდ ჩემთვის საჭიროსა და არსაკეთებლის კეთება (ბოროტმოქმედება, თავისი მაქსიმალური დონით ცალსახად ჩემი ფიზიოლოგიური, ცხოველური სურვილების ასრულების მცდელობა ნებისმიერი საშუალებით).

<u>რა არის მასა (წონა) მატერიაში</u>? ეს ცნება თავის თავში მოიაზრებს მატერიის მიერ ინფორმაციის რეალიზაციის საშუალებით მატერიის შექმნას. ცოცხალ არსებაში ეს გამოვლინდება როგორც ფორმის ცვლილება მოცულობის უცვლელობით. ერთგვარ ინფორმაციულ უმოქმედობასთან გვაქვს საქმე, სადაც ფორმა ცდილობს თავისი ყოფიერება ერთგვარ გრაფიკულ ჩარჩოში ჩასვას და ერთგვარად გამომუშავებული ჩვევებით იხელმძღვანელოს. ფაქტიურად ნებისმიერი ქმედებაც, რომელიც ინფორმაციულ რეალიზაციას ასახავს ერთფეროვანი და ფორმალური ხდება. სინამდვილეში კი ინფორმაციის ფუნქციონალური არსი ნელ-ნელა კვდება, ხოლო რეალიზაციის პროცესი კი დაპროგრამებული მანქანის საქმიანობას მოგვაგონებს. ინფორმაციულ საკვებს მოწყურებული მატერია ცალსახად ხილულ „საკვებზე" გადადის ყველაფერთან მიმართებაში (ჭამაში, სიამოვნების მიღებაში, თუ გაცემაში, სწავლაში თუ ჩაცმაში) ვიზუალურადაც წონადობაში იმატებს და უსასრულოდ ჰქმნის მატერიას რაშიც განვითარების, არსებობისა და ევოლუციის ერთადერთ აზრს ხედავს. ფაქტიურად, მოცულობის ცნება ფიზიოლოგიურ „მე"-მდეა შეკუმშული და ცხოველური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სიცოცხლის ერთადერთ არსად არის აღიარებული, ხოლო ფორმის ცნება დაბადებიდან არსებულ „მე"-ზე ზემოთ იწევს, მაგრამ უმნიშვნელოდ.

<u>რა არის მანძილი (ზომა) მატერიაში</u>? ეს ცნება კი თავის თავში მოიაზრებს მატერიის მიერ ინფორმაციის ტრანსფორმირების საშუალებით ახალი ფარდობითობის სისტემების შექმნას. ცოცხალ არსებაში ეს გამოვლინდება როგორც მოცულობის ცვლილება ფორმის უცვლელობით. აქ კი ერთგვარ ფორმაციულ უმოქმედობასთან გვაქვს საქმე, სადაც მოცულობა ცდილობს ყველა არსებული ჩარჩოების დანგრევას და გამომუშავებული ჩვევების, კულტების, დოგმების მოსპობას. ფაქტიურად ნებისმიერი ქმედება, რომელიც არსებულ ფორმაში არსებული ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გაშლას მოჰყვება სპონტანურობის და ძალისმიერების დემონსტრირებაა. საბოლოოდ ფორმის ფუნქციონალური არსი და დანიშნულება ნელ-ნელა კვდება, ხოლო მოვლენები აბსოლუტურად წინდაუხედავი და ამოუცნობი ხდება გაუთვალისწინებელი შედეგებით. ასეთი ინფორაციული საკვებით გადამაძღარებული მატერია ცალსახად მის გადმოფრქვევაზე გადადის, საკუთარი გავლენის სფეროს ზრდის მიზნით. ეს ფენომენი სურდოს ვირუსის პრინციპით ვრცელდება და არათუ გამავრცელებლის გავლენის სფეროს ზრდის, არამედ მისნაირი გაგების მქონეებს ამრავლებს, რომლებიც, თავის მხრივ, საკუთარი ადგილის ძიებას იწყებენ და საკუთარ „მასწავლებლებს" უპირისპირდებიან და ძალიან ხშირად სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უმართავენ. ფაქტიურად დასკვნის სახით – ფორმის ცნება არანაირად არ იცვლება, ხოლო მოცულობითი ცნება ფიზიოლოგიურ „მე"-ზე დაბლა ეცემა და საკუთარ „მე"-ში გაჩენილი სურვილების ასრულება ნებისმიერი საშუალებით გამართლებულადაა მიჩნეული. თუ მატერიის დასკვნით შეფასებას გავაკეთებ, მისი ძირითადი განმსაზღვრელი პარამეტრების ერთიან მთლიანობაში შეფასებით, ასეთი რამ მიიღება: 4. მანძილის (ზომის) პარამეტრი იწვევს ყველასი და ყველაფრის ზომვის (და როდესაც რეალიზებული რეალობა მატერიის გაზომილ დაგეგმარებულობას არ ემთხვევა განკითხვის) მიდრეკილებას საკუთარი ფორმაციული გადასახედიდან, სადაც ეს ფორმაცია კონსტან-

ტურ მუდმივად არის გამოცხადებული, რომელიც აღარანაირ ცვლილებას აღარ უნდა რომ ექვემდებარებოდეს და რეალურ უმოქმედობას ახალი ფარდობითობის სისტემების შექმნით ავსებს. 3. ეს ყოველივე კი შედეგია იმისა, რომ არსებული „ფორმა“ ანუ ფორმირებული, ჩამოყალიბებული გონება გაზრდისკენ არის მიდრეკილი. ამისთვის საჭირო „მოცულობას“ ანუ ინფორმაციას, რომელიც პოტენციურად დელტა ფორმაციად, დელტა გონებად უნდა გადაიქცეს, უბრალოდ არ ეძებს, ან სასოებით არის დაკავებული, რომ ამ დელტა ფორმაციას ვინმე უწყალობებს, ან თვლის, რომ მისი გონების გაზრდაზე „ზებუნებრივმა“, მასზე მაღლა მდგომმა ფორმაციებმა, ღმერთმა უნდა იჭყლიტოს ტვინი, საკუთარი ძალისხმევის გარეშე. თვითონ კი მთელ თავის პოტენციურ ენერგიას მისი რეალური მყოფადობის სფეროში არსებული საჭირო პასუხისმგებლობის დაცვასა და შენარჩუნებას ახმარს. 2. ეს კი, თავის მხრივ, შედეგია მთლიანი კოსმიური „ფორმის“, სფეროს არასრულყოფილი მიდრეკილებისა თავისზე უფრო მაღლა მდგომი ფარდობითობის სისტემისკენ, სადაც ფარდობითობა უფრო მცირეა. ***ფორმისა და მოცულობის ერთიანობა მაშინ ხდება, როდესაც ფორმა მოცულობას ყოველგვარი პირადი მოსაზრების გარეშე ემორჩილება.*** ანუ ფორმაში ხდება ინფორმაციის რეალიზაცია და თუ ეს ინფორმაცია ხარისხობრივად უფრო მაღალი დონის ფარდობითობის სისტემიდან მომდინარეობს, ფორმაში მიკროფორმები ვერ შეიქმნება და სფეროც ერთი მთლიანი მონოლითური იქნება, მაგრამ როდესაც ფორმა ხარისხობრივად უფრო დაბალი დონის ფარდობითობის სისტემიდან მომდინარე ინფორმაციის რეალიზაციას ახდენს, ვიდრე თვითონ არის თავისი მაქსიმალური ზღვრული პასუხისმგებლობრივი დონით, ფორმაში მიკროფორმები ჩნდებიან. ასე ხდება მთელი კოსმიური გამოვლინება, ფორმა, სფერო მატერიის დედად, მაგრამ ძირითადი ტენდენცია არის ის, რომ მოცულობის, ინფორმაციის რეალიზაციით ხდება ფორმის ანუ ფორმირებული, ჩამოყალიბებული გონების ცვლილება, ძირითადად გაზრდა, მაგრამ ხანდახან ერთგვარი მუტაციაც (გონების ნაწილის ფუნქციონალური და ვიზუალური გადაგვარება). აი, ამ მუტირებული ფორმის გამოვლინებაა ყველანაირი არსებული მატერია. 1. ეს კი, თავის მხრივ, შედეგია მთლიანი მოცულობის, ყველაზე უფრო მცირე ფარდობითობის მქონე, მთელი კოსმიური ფორმის ინფორმაციის წყაროს არასრულყოფილი მიდრეკილებისა აბსოლუტურად არაფარდობითობის სისტემისაკენ, სადაც ფარდობითობა, შედარებითობა რეალურად საერთოდ არ არსებობს. მოცულობა თავისში ჩაღრმავების მსურველ კოსმიურ გამოვლინებულ სფეროს სიამოვნებით აწვდის ინფორმაციას, რითაც უცილობლად უზარმაზარ სიამოვნებას ანიჭებს მას. ეს ურთიერთობა სიყვარულის გამოვლინების უმაღლესი ფორმაა, სადაც სფერო, დაახლოებით რომ შევადაროთ, ხანგრძლივი ორგაზმის, ნეტარების მდგომარეობაში იმყოფება, მოცულობა კი იმითაა კმაყოფილი, რომ სფეროს ასეთ სიამოვნებას ანიჭებს. მაგრამ... თუ მოხდა თუნდაც მცირედი პორციით სფეროზე, კოსმიურ გამოვლინებაზე მიჯაჭვება, რაც იმაში იქნება გამოხატული, რომ მოცულობას თვითონ მოუნდება სფეროდან სიამოვნების მიღება, სფერო ტრანსიდან ამ ორგაზმული ზმანებიდან, ნეტარებიდან გამოვა და საკუთარი ინდივიდუალიზმის გამოვლინებას დაიწყებს, რის შემდეგაც მოხდება ერთგვარი გათანასწორების ილუზია სფეროში და ინფორმაციის წყაროს ილუზიური თვითლიკვიდაცია მოცულობაში, იქამდე, ვიდრე მოცულობა სიამოვნების მიღების მცდელობისგან არ გათავისუფლდება, ხოლო სფერო კი ინდივიდუალურად თვითდაკმაყოფილების მცდელობაზე არ იტყვის უარს. აი, ამ „ურთიერთგაუგებრობის“ შუალედში ჩნდება მატერიალური სამყარო.

ძალიან ხშირად გაიგონებთ განსწავლული ადამიანების მხრიდან ყოველივე არსებულის სამი პარამეტრითი ჩამონათვალით წარმოსახვას, რომლებსაც ასევე სამ განზომილებად მოიხსენიებენ ხოლმე. ესენია: დრო, სივრცე და მატერია (კოსმიური გამოვლინება). მე პირადად დავამატებდი კიდევ ერთ პარამეტრს, რომელიც თავისი მართლაც სერიოზული მნიშვნელოვნების გამო, ვფიქრობ, იმსახურებს იმის უფლებას, რომ ამ უდიდესი სამი ცნების გვერდში დავაყენო, თუმც არც ისეთი ცოცხლად ხილული და ხელშესახებია, როგორც ისინი, მაგრამ უდიდეს გავლენას ახდენს უკლებლივ ყველაზე და ყველაფერზე და ისევე, როგორც ამ ზედა სამის შემთხვევაში, მას ვერაფერი გამოვლინებული, რომელსაც ინდივიდუალიზმის თუნდაც ძალიან უმნიშვნელო თვისება აქვს, გვერდს ვერ აუვლის. ***ეს არის ინტერესები.*** მისი ძირითადი განმსაზღვრელი პარამეტრები ჩემის აზრით არიან: ორიენტაცია (მიმართულება), ადაპტაცია, ინერცია და იმპროვიზაციული ინტერპრეტაცია.

(გაგრძელება იქნება)

# პროექტი

ანზორ ჯაფარიძე



## კახეთისა და აჭარის შიდა ბაზრისა და კუთხეების დაკავშირების შესახებ

2004 წელს აჭარელი, ბათუმელი მეგობრების თხოვნით არენდით ავიღეთ რესტორანი „არ დაიდარდო“. მიზანი იყო – კახური მაღალხარისხიანი ნატურალური ღვინოების მიწოდება – გაცნობა აჭარელებისათვის (აჭარა განიცდის მაღალხარისხიანი ღვინისა და ყურძნის დეფიციტს).

ბათუმში ჩავიტანეთ მაღალხარისხიანი 3 სახის ღვინო: წითელი პინო, თეთრი „ბერების ზვარი“ და თეთრი „ჯანაანურა“, აგრეთვე მუხისა და თუთის კასრში დაძველებული ჭაჭა, შედეგი წარმოუდგენელი იყო, უზარმაზარი მოწონება დაიმსახურა. ჩვენი ბათუმში ყოფნის პერიოდში მოგვიხდა თანამშრომლებისათვის ბინის ქირაობა ბათუმის მოსაზღვრე სოფელ ადლიაში კერძო სახლში, რომელიც ციტრუსების ბაღში იდგა.

მთელი ზამთარი შევყურებდით თუ როგორ ლპებოდა ციტრუსების ნაყოფი ხეებზე მაშინ, როდესაც კახეთში უხარისხო ციტრუსების ნაყოფსაც კი ცეცხლის ფასი ჰქონდა და კახელ მაცხოვრებელს ენატრებოდა. ამით ხაზი მინდა გაუსვა იმას, რომ შიდა ბაზარი არ მოქმედებს, ანუ აუმოქმედებელია, ვერ ვაკავშირებთ მთას და ბარს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ამავე დროს მწარედ მივტირით რუსეთისა და სხვა უცხო ქვეყნების დაკარგულ ბაზარს.

შემომაქვს წინადადება ქ. ბათუმში და ქ. თელავში კახეთისა და აჭარის დაკავშირების მიზნით, შიდა ბაზრისა და აჭარელი და კახელი კუთხეების მამაპაპური წეს-ჩვეულებების გაცნობის მიზნით გაიხსნას ე.წ. „წარმომადგენლობები“, რომლებსაც ექნებათ თავისი ეკონომიკური ბერკეტები, რესტორანი, კონფერენც-დარბაზი, ღვინის სახლი, კახური თონე, შოთი, კახური ჩურჩხელების გამზადების პროცესი, „ზაოდობა“ და სხვა, ასევე აჭარული ტრადიციები, ციტრუსებით ბითუმად ვაჭრობის, თევზით ვაჭრობის ბაზები და სხვა აჭარული ხალხური სიმდიდრეები.

გაიმართება აჭარული და კახური ხალხური შემოქმედების დღეები, ურთიერთგაცვლა.

იმ მძიმე პერიოდში, როდესაც აჭარაში მძვინვარებს სტიქია, მეწყერსა და წყალდიდობას მიაქვს მიწის დასახლებული პუნქტების მნიშვნელოვანი ნაწილი, აჭარელ კაცს რომ შესთავაზო კახეთში ჩასახლება, დარწმუნებული ვარ, თავს შეიკავებს. კახეთის ბარაქას, სილამაზეს, კულტურას კარგად ვერ იცნობს საქართველოს მრავალი კუთხე, ასევე, კახეთი და სხვა კუთხე ერთმანეთს.

კახელ კაცს ზღვა რომ ენატრება და აჭარელს მშრალი ჰავა რომ სჭირდება – ამას ე.წ. „წარმომადგენლობა“ შეუქმნის წინაპირობას და, რაც მთავარია, ეკონომიკურ ურთიერთობებს.

## საცხენოსნო ტურიზმი

1988-89 წლებში (ე.წ. გარდაქმნის ხანაში), როდესაც საკმაოდ ხელმისაწვდომი იყო კურორტებზე დასვენება და ზოგადად ტურიზმი, შევქმენი საინიციატივო ჯგუფი და საგარეჯოს რაიკომის მდივანს მივმართეთ თხოვნით, რათა მათსავე რაიონში – გომბორის მიმართულებით, სოფელ ოთარაანთკარში იჯარით გადმოეცათ მიტოვებული სოფელი მოსაცური. სოფელი მდებარეობს მთის კალთებზე, ალპურ ზონაში, მდიდარია წყაროს წყლებით, უნიკალური პეიზაჟებით, ზომიერი მთის კლიმატით, არსებობს პირობები მინი-სათხილამურო სპორტისათვის. აქ ვვარაუდობთ საცხენოსნო ტურიზმის განვითარებას უჯარმის ციხე-სიმაგრის და თიანეთის მიმართულებით, კერძოდ, ლაშქრობას ბოჭორმის ეკლესიის, ციხესიმაგრეების, ახმეტის, კვეტერის, ცხრაკარის, ალავერდის, იყალთოს აკადემიის, თელავი-წინანდლის, შუამთის მონასტრის და გომბორის მიმართულებით და საბოლოო პუნქტი უნდა ყოფილიყო მოსაცურის ტურისტული ბაზა.

რაიონის ხელმძღვანელობამ მოიწონა ჩვენი წინადადება და დავიწყეთ მოქმედება ასეთი მიმდევრობით: ჩვენი მიზანი იყო ტურიზმის განვითარებისათვის შეგვექმნა დამხმარე მეურნეობა ოთარაანთკარში ანუ სოფ. მოსაცურის მახლობლად. ერთ თვეში ავაშენეთ ფერმის შენობა. გროზნოდან ჩამოვიყვანეთ 400 სული ღორი საუკეთესო ჯიშის, ყაბარდო-ბალყარეთიდან ჩამოვიყვანეთ არგორის ჯიშის 100 სული თხა, რომლის ბეწვიც და რძეც უნიკალურია და დიდი მოთხოვნაც არსებობდა. გავაკეთეთ 4 ჰა ტბორი, სადაც 1,5 ტონა ლიფსიტა გავუშვით, რისგანაც 50-60 ტონა თევზის მიღებას ვვარაუდობდით. აქვე გვქონდა მოაზრებული ივრისპირა ჭალებში სანადირო ზონა. ამ ზონისათვის საგანგებოდ შევაჯვარეთ შინაური დედალი და გარეული მამალი კურდღელი, ამგვარად მივიღეთ ჯიში, რომელიც, გარეულთან შედარებით, ნაკლებად სწრაფია და თანაც საბინადრო ადგილს არ იცვლის. აქვე გადაწყვეტილი გვქონდა ტურისტებისათვის სამეცადინო სასროლი სტენდის მოწყობა – სპეციალისტ-ეგერები ჯერ თოფის სროლაში, ნადირობის ინსტრუქტაჟს ჩაუტარებდნენ და შემდეგ მათივე მეთვალყურეობის ქვეშ ტურისტებს ანადირებდნენ. ასევე ტბორებზე მოწყობილი გვქონდა სათევზაო ბოგირები ანკესით სათევზაოდ, იქვე დაგეგმილი გვქონდა კვების ობიექტი ტურისტებისათვის, სადაც საკუთარ ნანადირევს და ასევე თევზს მოამზადებდნენ.

სოფელ მოსაცურში დაგეგმილი გვქონდა საცხოვრებელი კოტეჯები, სპორტული მოედნები მინი-ფეხბურთისა და ჩოგბურთისათვის, საჯინიბოები. ჩემი გაანგარიშებით დამხმარე მეურნეობა თავისი შემოსავლებით მთლიანად შეძლებდა ობიექტის ფინანსურ უზრუნველყოფას, ტურიზმიდან მიღებული თანხები კი წმინდა მოგება იქნებოდა.

აქვე განვითარებული გვქონდა მეფუტკრეობა, რადგანაც საუკეთესო ღალიანი ადგილია, – 100 ოჯახი ფუტკარი გვქონდა. ნორმალურ პირობებში, მშვიდობიან დროს უკეთეს დასვენებას და ცხენოსნურ ტურიზმს, ალბათ, ყველა ინატრებს, მათ შორის – უცხოელი მაღალი დონის სტუმრებიც. მაგრამ დაიწყო 90-იანი წლების ქაოსი, ომი და ყველაფერი დაინგრა. თუ ვინმე დაგვიჭერს მხარს, ჩვენ მზად ვართ აღვადგინოთ მიტოვებული საქმე.

თელავის რაიონში არის უძველესი წმინდა ქართული სოფელი ახატელი (სულ ასი კომლი). მის მეზობლად მდებარეობს სოფელი ყარაჯალა (მათ ერთი მშრალი ხევი ჰყოვს). სულ 50-70 წლის წინ ახატელის ნაწილი, ახატელის შენობა-ნაგებობები და მიწა თანდათან დაიკავა ყარაჯალელმა მოსახლეობამ, რომელიც ამჟამად 2000 კომლს აღემატება და ყოველდღიურად განიცდის მიწის დეფიციტს ინტენსიური გამრავლების გამო. სოფელ ყარაჯალასთან, მიჯნაზე დგას ჩვენთვის და მართლმადიდებლობისათვის უძვირფასესი სალოცავი – მაცხოვარი ძველი ბაზილიკის სტილის (უფრო სწორად, იდგა) ამჟამად, რელიგიური, ასე ვთქვათ, დაპირისპირების გამო ნანგრევებად არის ქცეული, გაუთვითცნობიერებელი მუსულმანი მოსახლეობა ანგრევდა და ბილწავდა ამ ჩვენს წმინდა სალოცავს, რასაც მძიმედ განვიცდიდით მთელი სოფელი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიწის უკმარისობის გამო, ჩუმად, უნებართვოდ, პარტიზანულად, ხანდახან ღამის საათებშიც კი, შენდებოდა ერთდროულად რამდენიმე სახლი. მივმართავდით რაიონის ხელმძღვანელობას, მაგრამ ეთნოკონფლიქტის შიშით თავს იკავებდნენ, და მოკრძალებით, ფრთხილად ვუდგებოდით ჩვენც ამ საკითხს, ვიყავით წლების განმავლობაში ასეთ განცდებში. მე, როგორც პროვინციიდან ქალაქში წამოსულ თანასოფლელს, იმედით მიყურებდა სოფელი – იქნებ რაიმე გვიშველოსო.

ბევრს ვცდილობდი, ბევრს ვმუშაობდი ყარაჯალის ხელმძღვანელობასთან, მაგრამ ეკლესია ინგრეოდა, სახლების მშენებლობა და მიწის მიტაცება – გრძელდებოდა.

ერთ ღამეს (1987 წელს), სიზმარში ვიდექი დანგრეული მაცხოვრის კედლებთან, უკვე ე.წ. კარებთან. ხელში მეჭირა ბარი, ინსტიქტურად ჩავარჭე მიწაში და ჰოი საოცრებავ, გაიპო მიწა და როგორც ვულკანი, ისე ამოიფრქვა ოქროს ლავა, ზოდები, გაიხსნა ცა და კიდევ უფრო დიდი საოცრება დავინახე – როგორ მოფრინავს ციდან ულამაზესი ვაჟკაცი თეთრი წვერით, თეთრი სამოსით, მაღალი, ბრწყინვალე. მოფრინდა, დაბრძანდა და პირდაპირ დანგრეულ კარებთან დამიდგა ფეხი და მომმართა: „შვილო ანზორი სად ეძებს შენი სოფელი სიმდიდრეს, თქვენი სიმდიდრე აი აქ არის“ ... და გაუჩინარდა. გამომეღვიძა და სასწაული განცდა დამეუფლა, ველარ ვლაპარაკობდი, არ ვიცოდი ეს რა მოხდა, როგორ უნდა ამეხსნა. პარტიის წევრი ვიყავი, მაგრამ უაღრესად მოშიში და თაყვანისმცემელი ღმერთისა და სალოცავების. სამი თვე ვეწამე, ვერავის ვუმხელდი ჩემს ზმანებას, როგორ მოვქცეულიყავი არ ვიცოდი და აი ერთ დღეს გავბედე და სო-

ფელს მოვუწოდე: მაცხოვარი უნდა აღვადგინოთო. ჩემი ოჯახიდან, ჩემი მეგობრებიდან, ჩემი სოფლელებისაგან ვიგრძენი უდიდესი მხარდაჭერა. მაცხოვარი მდებარეობს მდინარის მიტოვებული კალაპოტის პირას, რიყეში, მაშინ ბარდებში იყო ჩაფლული. 50-60 კაცით გავდიოდი სამუშაოდ, გავწმინდეთ, გავიტანეთ ქვა-ღორღი და ნაცვლად შევიტანეთ მიწა, ავაშენეთ 1000 კვ. მეტრის გალავანი. გარშემო დავრგეთ კვიპროსები და ბზა. შევაგროვეთ ნანგრევი, რომელსაც ახლაც მივდივართ და ვემთხვევით, ე.ი. უდაბნოში გავაკეთეთ ულამაზესი წალკოტი, ჩავატარეთ დიდი ზეიმი და დავასრულეთ თითქოსდა ღვთის კარნახი. აქვე გვერდით, ჩემი ოჯახის ინიციატივით აღვადგინეთ ხვთისმშობლის ეკლესია და ღვთაების უზრწყინვალესი ძეგლი. მივიყვანეთ მაცხოვრამდე 1- კილომეტრიანი ასფალტიანი გზა და ჩავთალეთ, რომ მოვიხადეთ წმინდა ვალი.

აქვე, ჩვემი სოფლის ხელმძღვანელობას ვთხოვე, რომ ამ ქვიან რიყეში მოეზომა ნაკვეთი, რათა გაგვეკეთებინა საზღვარი და შეგვეჩერებინა მუსულმანების მოწოლვა. მომბაძა კიდევ რამოდენიმე კომლმაც, მათაც აიღეს მიწები და ამრიგად შეჩერდა უკანონო მშენებლობები, ეკლესიის დარჩენილი ნაწილის ნგრევა, პირიქით, მოვიდა ყარაჯალის იქვე მომიჯნავე მაცხოვრებლები და გვთხოვეს, რათა მიგვეცა ლოცვის უფლება ჩვენს მაცხოვარში, რაზედაც, რათქმა უნდა, დადებითი პასუხი მივეცი, თითქოს დაწყნარდა, დალაგდა ყველაფერი...

მაგრამ გავიდა დროის რაღაც მონაკვეთი. ზუსტად აღარ მახსოვს, მგონი ინგლის-საქართველოს ერთობლივმა კომპანიამ დაიწყო ნავთობის საძიებო ღონისძიებები ალაზნიდან გურჯაანის რაიონის სოფელ ჭერემამდის. იზვერებოდა

35 – კილომეტრიანი ტრასა. ძიება დაიწყო ალაზნიდან, მოუახლოვდნენ მაცხოვრის ტერიტორიას, მოვიდნენ ჩემს ნაკვეთში და კიდევ საოცრება – ჩაატარეს 15 მეტრზე ბურღვა და ხელსაწყომ დააფიქსირა ნავთობისა და გაზის დიდი მარაგი, ჩაუშვეს მეორე ბურღიც, დამიწყეს ძებნა და მთხოვეს კონტრაქტის გაფორმება. ეს კიდევ იმით შემიძლია დავასაბუთო, რომ 1976-იან წლებში აქ დიდი საძიებო სამუშაოები მიმდინარეობდა. 2-3 წელი იბურღებოდა, შემდეგ კი მიატოვეს და დარჩა ჩაწყობილი მილები ღიად. მშენებლობის დროს ამ მილს გაუკეთეთ „ფლიანეცი" და პლასტმასის მილით 500 მეტრზე მივიყვანეთ წყლის პატარა ნაკადი როგორც მშენებლობისათვის, ასევე ნერგების მორწყვის მიზნით, დავდგით პატარა ძარა და იმაში გროვდებოდა სითხე და საოცრება – ყარაჯალელმა ბავშვმა შემთხვევით ასანთი მოუკიდა და აინთო საკმაო რაოდენობით. ამ ჭაბურღილზე შემდგომ დიდი ხანძარიც გაჩნდა: პლასტმასის მილების გადაჭრა სცადეს, ახსოვს ახლო მაცხოვრებლებს – თელავის სახანძრო ნაწილმა ჩააქრო.

ალბათ დამიჯერებთ, რომ ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ ამ ადგილზე ნავთობისა და, შეიძლება, გაზის დიდი დებეტი არის. ინგლისელებთან საუბარში მახსოვს ახსენეს- ალაზნისოდენა ნაკადი პროგნოზირდებაო. მაშინ, როგორც მახსოვს, ჩეჩნეთის, პანკისის პრობლემებმა შეაჩერა ეს საკითხი. იქნებ დრო არის მოუბრუნდეთ ამ აქტუალურ საკითხს?

როდესაც ინგლისელებს თარჯიმანის საშუალებით ველაპარაკებოდი და მითხრეს ამ საბადოს არსებობა, მე დაჩოქილმა დავიწყე პირჯვრის გადაწერა და იმავე წამს გამახსენდა ღმერთის ცითმოვლენილი ხილვა-გაფრთხილება.

# წერილები

ლუარა სორდია



## გალაკტიონ ტაბიძის მებაღე, მემარნე და მეღვინე

იდუმალების ბურუსშია გახვეული გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის, ერთი შეხედვით, რეალური, ჩვეულებრივ სიტყვათახმარებაში დამკვიდრებული სახეები, ცნებები.

პოეტმა გაამრავალფეროვნა, ახლებურ კონტექსტში მოიაზრა ბაღის, მებაღის სახეები.

ბიბლიაში ორგვარი ბაღი და ვენახი გვხვდება.

მიწიერი ბაღი ებრაელი ხალხის მეტაფორაა: „...იქნები მორწყული ბაღივით და წყაროსავით, რომლის წყლები არასოდეს შრება“ (ესაია წინაწარმეტყველი 58,11 (1,117).

ამის კვალობაზე, ბაღის სახეში სოციალური, ფილოსოფიური, რელიგიური, პოლიტიკური, ესთეტიკური ქვეტექსტები ამოიკითხება.

გალაკტიონის პოეზიაში სიმბოლური ბაღების მთელი წყება იქცევს ყურადღებას: სანეტარო ბაღი გადამხმარი ბაღი, (გადანახულოი დროშები), გაუდაბურებული ბაღი (დაბმული ჭინკა), ძველი ბაღი, მკვდარი, კვალდაკარგული ბაღი (ძველი წიგნების გვერდებს არეულს), მომაკვდავი ბაღი (შემოდგომის დღე), უსივრცო ბაღი (გული), უსუფთავესი ბაღი, წახდენილი ბაღი, რომელიც არ ბალობს (მშვიდობის წიგნი), ფანტაზმით მოსილი ბაღი შავი ჩრდილით, დავიწყებული ბაღი (აივანზე), ღია ბაღები (ლენინი), ბაღი, ოდნავ გაღებული კარებით (გზაში), მშვენიერი ბაღი (მელანქოლიური მოსიმღერე), გულცივი ბაღები (რამდენიმე დღე პეტროგრადში), ნაცნობი ბაღი (ვარდები), უახლოესი, უუძველესი ბაღის სურნელი (მწოლარე), მშვენიერი ბაღი (ისევ ოცნება და სიყვარული), შადრევნებიანი ბაღი (გამონაკლისი),



ბაღის მძიმედ აშადრევნება (საახალწლო ეფემერა), ბაღის შემოშენება (განიახლე, განიახლე) ვარდებიანი ბაღი (სანამ არ დამსხვრეულად), ნაცნობი ბაღი, ზამთარ–ზაფხულ მოყვავილე ვარდებით (ვარდები), მაისის ალით აზამბახებელი, შეყვარებული და მეოცნებე ბაღები (შერიგება), დამთვრალი ბაღის გობელენი (გობელენი), ზეციური ბაღი (მშვიდობის წიგნი), დაუკრეფელი სიცოცხლის ბაღი (ძალა–იარალი), მშვენიერი ბაღები ფიქრების ფონით (ოქრო), ოცნების მდიდარი ბაღი (მილიონებში ხელისმრეველი), ვარდთა ბარდებიანი ბაღი (მილიონებში ხელისმრეველი), ოცნების ბაღი) (სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში), გამარჯვებათა ბაღები (ყოფილან მწარე დღეები), ძმებისაგან გაყოფილი მოხუცი ბაღი (პირიმზე).

„ბაღი ედარება ცისფერ მოგონებას“ (ფარდების შრიალი), „ბაღს ძველი დალი წიგნების აზის“ (მშვიდობის წიგნი).

ამავე ჭრილში გაიაზრება „თეთრი ტყეები“ (თოვლი), საშიშარი ტყე-ველი (რა ღრიანცელში ვიდოდა გემი), მთვარიანი ტყე (ქალაქისაკენ), ტყის წელი, საუკუნეთა ტყე (პოემა ვეფხვისა), ღამისებრ ტყე, (იმ ბილიკით). ტყე არის თეთრი, ყრუ,

ტკივილიანი, სიყვარულიანი, ბნელი (იხ. ბაღის სახისმეტყველება გალაკტიონის პოეზიაში, წიგნში მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიონის პოეზია 2001).

რაკი პოეტმა ბაღი და ტყე ალეგორიულ ასპექტში წარმოაჩინა, ბუნებრივია, მებაღეც არა-პირდაპირი მნიშვნელობით გაიგება.

„ავდრის მოლოდინში" (2,325-326) რელიგიური ლექსია, რომელშიც რწმენის-უარმყოფელი ეპოქის სევდა ჟონავს. წარსულში თოვდა თოვლი ია-ზამბახის, თაყვანისცემის საგანი იყო „მზე-თუნახავი და მკრთალი ალვა", პოეტის ფიქრები სავსე იყო „ძველ გაზაფხულის მღელვარე სუ-ნით": „წარსულმა ღამემ შენს ფანჯარაში დათოვა თოვლი ია-ზამბახის. შენი ალვა დგას, როგორც დარაჯი, მზეთუნახავი და მკრთალი სახის... ძველ გაზაფხულის მღელვარე სუნი მიჰყვება ფიქ-რებს ნისლში და ქარში".

ზამბახი საღვთისმშობლო სახელია, ალვა სიცოცხლის ხისა, ღმერთის, ხან ჩვენი ზეციური დედის („დედოფალი ალვა") სიმბოლოა.

გაზაფხულის, ძველი ქართულით, ზაფხულის საღმრთო სახელად გააზრების ტრადიცია მომ-დინარეობს დავით წინასწარმეტყველისგან: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე"(ფს. 65,12) (3,588).

ლექსის „ნელ ლერწებით და ვაზის მტევნებით დაგვირგვინებული „ქალწულის" სახეებში დე-და–ძე გვეცნაურება, რადგან ვაზი ქრისტეს, ქალწული ღვთისმშობლის სიმბოლოებია.

აშკარაა ურწმუნოების ქარის თარეში, დარის ავდრით შეცვლის ნიშნები, სათუოა „მებაღის" მოსვლა: „ამ მწიფე მტევნებს დალეწავს ქარი, თუ მწიფობისფემ შეცვალა დარი, მებაღემ მოსვლა თუ არ ინება".

მებაღე უზენაესის მეტაფორაა.

დანტესთან ასეთი მნიშვნელობით გვხვდება „უფლის ბაღი", „მარადიული მებაღე": „... ვჭვრეტდი უკვე თამამად, მთელს მოცულობას, სიდიადეს უფლის ბაღისას" (4,399)... „იმ ზომად მიყვარს მე იმ ბაღის ფურცლოვანება, მარადიული მებაღისგან გაშენებული" (4, 382).

მებაღის სახის რელიგიური მნიშვნელობით გაგების ნიმუშია გალაკტიონის ლექსში „მელანქო-ლიური მოსიმღერე" (5,38), რომელშიაც მშვენიერი ბაღი წარსულშია დარჩენილი, ხოლო მებაღე გაუჩინარებულია: „მშვენიერი მახსოვს ბაღი, მებაღე მას არ თარგავს, დავკარგე და ვიგრძენი რომ კარგი რამ დამიკარგავს".

მებაღის გარეშე ყოფნა ხალხის ურწმუნოებაზე მინიშნებაა.

„დავიწყებული ჭიშკრის" (საზღვრის, კარის), გამქრალი დარბაზების, წაქცეული სვეტების, კუ-ბოში მოლანდებული იის, გაუჩინარებული წინაპრების ფონზე „ძმებისაგან" გაყოფილი „მოხუცი ბაღის" მეტაფორა იმდენად გამჭვირვალეა, რომ რწმენაწართმეული, დამოუკიდებლობაწაგვრილი სამშობლოს ტკივილს გვაზიარებს: „... დილით დამჭკნარი არის ბალახი, ზედიზედ ისევ ეცემა სვეტი. გაიყვეს ძმებმა მოხუცი ბაღი და მწუხარება დამრჩა ასეთი" (პირიმზე) (2,406).

„ძმები" იგივე მოყვრის ნიღბით მოვლენილი მტრებია, ბაღის წახდენის ოსტატები, როგორც „მშვიდობის წიგნში".

გალაკტიონის მიზანი იყო „ბაღის შემოშენება", ნამიანი, ცვრიანი „ყვავილთ შემოშენება".

ნამი და ცვარი უზენაესის სიმბოლოებია.

მივმართოთ წყაროებს „... განთიადის საშოდანვე შენთანაა ნამი შენი სიყრმისა" (ფს. 109, 3) (3,645).

„ვიქნები ცვარი ისრელისთვის, აყვავდება, როგორც შროშანი და ლიბანივით გაიდგამს ფეს-ვებს" (ოსია წინასწარმეტყველი, 14,6 (1,273).

პოეტების მეფის შემოქმედებაში ქრისტიანული ღმერთის სიმბოლოებად გვევლინება შემდეგი მაგალითები: ღვინო (ზღვის ეფემერა, საახალწლო ეფემერა), ძველი ღვინო (ვერხვები, მშვიდობის წიგნი), ძველისძველი ღვინო (ძველისძველი ღვინოს), ძვირფასო ღვინო (მოგონებები), ცისფერი ღვინო (სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს), ბახუსის ალი, ღვინის სიანკარე (პუშკინი პარიზში), უანკარესი ღვინო (ცხოვრება ჩემი), ღვინის ფარი (ეს იყო 15 წლის წინათ), მომრჩენი ღვინო (მშვიდობის წიგნი) (იხ. დაწვრილებით „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს").

ამ სახეების შთამაგონებლად შეიძლება მივიჩნიოთ ესაიას წინასწარმეტყველების „ძველი, დაწმენდილი ღვინო" (ესაია, 25,16) (1,91).

წმინდა წერილის კვალობაზე, ბუნებრივია, „მეღვინე“ და „მემარნე“ საღვთო სახელებად წარმოჩნდება ქართველი პოეტის შემოქმედებაში.

„შენ მეღვინე, ღვინო გვასვი, თვალს ნუ მიეძინება. ფიქრები გვაქვს ასჯერ ასი, როგორც ღრუბლის დინება“ (ეს მძინარე მთა და ველი) (5,260). ასე ორიგინალურად, მიგნებულად ხდება მინიშნება პოეტის რელიგიურობაზე.

ამიტომაც მისი თანამეინახეები „ძველ ღვინოში“ ეძებენ შველას (კოსმიური ორკესტრი) მეზღვაურები (პოეტები) „ღვინის“ მისაღებად გროვდებიან (მეზღვაურთ ღვინო დაურიგდებათ) მარანში „ძვირფას ღვინოს“, „უკვდავ ღვინოს“ ეწაფებიან (მოგონებები) ენატრებათ „ცისფერი ღვინოები“ (სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს), „წარსულის „ვალში“ მოიხსენიება „მუსიკა, ღვინო და ყვავილები“ (საახალწლო ეფემერა), თვრებიან ყოფნით ცეცხლით (რწმენით) (მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით), „თვალყურს ადევნებენ“ ძველისძველ ღვინოს ფერიულ აკადოს“ (ძველისძველ ღვინოს), „უგუნოდ, მძაფრად“ ეწეფებიან „ძველ ღვინოს“ (ვერხვები), ქვითინებენ „ძველ, „ლალისფერ ღვინოზე“ (ელეგია)...

წუხილის მიზეზია ის, რომ თასი ხშირად ღვინით კი არა, საწამლავებით ივსება (პორტრეტი).

სატანების ზეობის ჟამსაც ეძებენ „ზამქბახის პრინცესას“ (მარიამ ღვთისმშობელს), სწყურიათ „ცისფერი ვარდები“ (ქრისტე), ურწმუნოების გრიგალთან ბრძოლის გზად დასახულია „ღვინის ფარები“.

ახალ აღთქმაში „სიმართლის ჯავშანი“, „ხსნის ჩაჩქანი“, „სულის მახვილი“, „რწმენის ფარი“ არის იგივე „ღვთის სიტყვა“ (პავლე მოციქული, წერილი ეფესელთა მიმართ 6,11,14,15,16,17) (3,422).

გალაკტიონის „ღვინის ფარი“ რწმენის ფარს გულისხმობს და ვფიქრობთ, ამ სახის შექმნის იმპულსი შეიძლებოდა ყოფილიყო ბიბლიური პარადიგმები.

ღვინოსთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ასევე წმინდა წერილი: „ღვინო ლმობიერებისა“ (დავითი 83,17). „ძველი, დაწმენდილი ღვინო“ (ესაია წინასწარმეტყველი, 25,16), „ღვთის მძვინვარების ღვინო“ (იოანე მოციქულის გამოცხადება, 14,10), „მეძავების ღვინო“ (იოანე მოციქულის გამოცხადება, 14,8).

უზენაესის სიმბოლოდ მოაზრებულია იოანე ოქროპირის „სიბრძნის ღვინო, სულიერი ღვინო“ (6,163).

გალაკტიონის „მოგონებებში“ (2,781). აქცენტირებულია მარნის, მემარნის, ძვირფასი ღვინის, თასის და წიგნის პარადიგმები: „შენ მხარზე დოქით, მე ხელში წიგნით მივედით მარანს, მივედით მარანს, შევედით შიგნით – ჭურს მტვერი ფარავს. არ ჩნდა მემარნე, მაგრამ ძვირფასი ღვინო მოვიგნეთ, უკვდავი ღვინო – შენ ჩემი თასით, მე შენი წიგნით“.

ლექსის „მემარნე“, წიგნი „მამალმერთზე, „ძვირფასი ღვინო“, „უკვდავი ღვინო“ ქრისტეზე, თასი კი მარიამ ღვთისმშობელზე მიმანიშნებელი.

ასე გაამრავალფეროვნა, ახალი ნიუანსებით, ახლებური ეპითეტებით მოიაზრა დიდმა პოეტმა ბაღის, მებაღის, ღვინის, მეღვინის, მემარნის კანონიკური სახეები, რომლებიც დასაბამს ბიბლიიდან, ღვთისმეტყველებიდან, სასულიერო მწერლობიდან იღებს.

**დამოწმებანი**


1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
4. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941
5. გალაკტიონ ტაბიძე ორ ტომად, ტ. I, თბ. 1988
6. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წ. I, თბ. 1990.

ლიანა წურწუმია



# ანტიკური ხელოვნება

ანტიკური კულტურა 10 საუკუნეზე მეტს მოიცავს. მას უს-წრებს წინაანტიკური პერიოდი, რომელსაც ეგეოსური კულტურის სახელით მოიხსენიებენ.

ანტიკური კულტურის ქვეშ გულისხმობენ ბერძნულ-რომაულ კულტურას. საბერძნეთისა და რომის მხატვრულ კულტურას საერ-თო მსოფლმხედველობრივი საფუძველი ჰქონდა. ეს იყო სამყაროს აღქმის შეფასებით-კრიტიკული პოზიცია, რომელიც ესთეტიზებული სახით მხატვრულ კულტურაში ხორციელდებოდა.

ძვ. წ. XXX საუკუნიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში ყველაზე ად-რე ეგვიპტური კულტურა შეიქმნა. თანადროულად (ძვ. წ. III ათასწ.) გაჩნდა შუამდინარეთის კულტურაც. ეგვიპტური კულტურა აბსო-ლუტური ერთმმართველობის მონათმფლობელური სახელმწიფოს კულტურა იყო: ფარაონის, პირამიდების, მუმიების სამფლობელო. იგი რელიგიის უპირატესი მონაწი-ლეობით ვითარდებოდა, ჩაკეტილი იყო, ვერ გავრცელდა მეზობელ ქვეყნებში, თუმცა მისი გავლენა მაინც შეინიშნება ბერძნულ კულტურაზე. შუამდინარეთის კულტურა გახსნილი იყო იმდენად, რომ იგი გარდამავალ, შემაერთებელ ხიდს წარმოადგენდა აღმოსავლურ და ევროპულ კულტურას შორის. შუამდინარეთის სახელმწიფოები: შუმერების ქალაქ-პოლისები, ბაბილონის სამეფო, ასურეთის სახელ-მწიფო, ხეთებისა და ხურიტების სამეფო – ისეთ მაღალ კულტურას ქმნიან, რომელიც უშუალოდ ახ-დენს გავლენას მოგვიანებით წარმოშობილ ანტიკურ კულტურაზე. ევროპული კულტურა ვერ იქნებო-და, თუ არა შუამდინარეთი. დამწერლობა, მეცნიერება, ენათმეცნიერება, ლიტერატურა, ტექნიკა – ყველა სფეროში თქვეს თავიანთი სიტყვა შუამდინარეთის კულტურის წარმომადგენლებმა. მაგრამ ეგ-ვიპტისა და შუამდინარეთის კულტურა მთლიანად რელიგიურ-მითოლოგიურ მსოფლხედვას ემყარე-ბოდა. ამ მსოფლმხედველობით, ადამიანი სამყაროს ილებდა ისეთს, როგორსაც ხედავდა. მეფე-ფარა-ონი ღმერთების შვილი იყო, ამიტომ იგი განაგებდა ამქვეყნიურ სამყაროს. აქ ყველაფერი კანონზომი-ერი იყო, კანონზომიერებას კი ღმერთები აწესრიგებდნენ. ეგვიპტური და შუამდინარეთის მსოფლხედ-ვა ადამიანს პასიურ არსებად აქცევდა. სამყაროსადმი შემეცნებითი დამოკიდებულება კონკრეტიზა-ციით ხასიათდებოდა, ე.ი. მიმართული იყო მოვლენებისადმი მათი კონკრეტული დახასიათებით.

ანტიკური მსოფლმხედველობა კრიტიკული აზროვნების გამომხატველია. ასეთი აზროვნება ანა-ლიზის, განსჯის, განზოგადების საფუძველზე იწყებს სამყაროს შემეცნებას. ანტიკური აზროვნება მი-ზეზ-შედეგობრივ კავშირს ეძებს სამყაროში. ადამიანი აქტიურია, შემმეცნებელია. ადამიანი ღირებუ-ლია, სამყარო მასზეა მორგებული. ამიტომ სამყაროს აფასებენ ადამიანთან მიმართებაში, კეთილია იგი, მშვენიერია თუ ჭეშმარიტია ადამიანისათვის.

საბერძნეთის და რომის კულტურა ჰუმანისტურ მსოფლმხედველობაზე დგას, ამიტომ ორივე ქვეყ-ნის კულტურა გარკვეული პერიოდის მანძილზე ანტიკურად იწოდება. ესაა ძვ. წ. IX-- VIII სს.-დან ახ. წ. VI ს.-მდე (529წ.). ანტიკურ კულტურას წინ უძღვის წინაანტიკური პერიოდის ანუ ეგეოსური კულ-ტურა, რომელშიც გულისხმობენ კრეტისა და მიკენის კულტურას. ეგეოსურ კულტურაში შეაქვთ წრი-ული კუნძულების „კიკლიდების“ კულტურაც.

ეგეოსური და ანტიკური კულტურების პერიოდიზაცია ასეთი სქემით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1) ძვ. წ. XX-XIX სს. ეგეოსური კულტურის დასაწყისი ძვ. წ. XII სს.– დასასრული;




2) ძვ. წ. XI-X სს. – „ბნელი წლები“;
3) ძვ. წ. IX-VIII სს. – ე.წ. გეომეტრიზაციის ხანა ანუ ჰომეროსის ეპოქა (ანტიკური);
4) ძვ. წ. VII-VI – არქაული პერიოდი, ელინური პერიოდი (ანტიკური)
5) ძვ. წ. V-IV ს. II ნახ.-მდე – ძვ. წ. კლასიკური პერიოდი – ელინური პერიოდი (ანტიკური)
6) ძვ. წ. IV ს.ის II ნახ.-იდან – ძვ. წ. II ს.– ბერძნულ-ელინისტური პერიოდი (ანტიკური)

ძვ. წ. II ს.– ახ. წ. V ს. – რომაულ-ელინისტური პერიოდი (ანტიკური).

ძვ. წ. II ათასწლეული – ბრინჯაოს ხანის დიდი ცივილიზაციების გაფურჩქვნის ხანა ყოფილა. ასე, რომ ძველი მითები და ლეგენდები აშკარად რეალურ ფაქტებს ეყრდნობოდა. ამდენად, მართლები იყვნენ ძველი ბერძნები, როცა მითებს რეალობად აღიქვამდნენ. ეს ცივილიზაცია ყვაოდა ეგეოსური კულტურის სახით ანუ გმირთა ეპოქის კულტურის სახით, რომლის ისტორია იწყება ძვ. წ. XX-XIX სს.-დან ძვ. წ. XII ს.-მდე. აქედან გამოყოფენ მინოსურ ანუ წინარე ბერძნულ კულტურას, რომელსაც კრეტის კულტურასაც უწოდებენ – ძვ. წ. XX-XIX სს.-დან ძვ. წ. XVI-X ს-მდე, ხოლო კონტინენტურ საბერძნეთში თავად ბერძნები ქმნიან იმ ცივილიზაციას, რომელიც აისახა მითებში პერსევსის, თეზევსისა თუ ჰერაკლეს შესახებ, არგონავტების ლაშქრობებზე, ტროას ომზე, თებეს ტრაგიკულ ამბებზე. ძვ. წ. XIV-XII სს. ძველბერძნული ე.წ. B-ხაზოვანი დამწერლობის სისტემით შესრულებული წერილობითი წყაროები მოწმობენ, რომ მრავალი მითოლოგიური პირის სახელი ცნობილი ყოფილა იმ ეპოქაში. არქეოლოგთა აღმოჩენები კი გვიჩვენებენ, რომ ქალაქები, სადაც მითების სიუჟეტები ვითარდება, სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მათგან განსაკუთრებით მიკენი გამოირჩეოდა, ამიტომ გვიანბრინჯაოს ხანის ცივილიზაციას ძვ. წ. XVI-დან XII-მდე მიკენურს უწოდებენ.

ამრიგად, კრეტა-მინოსური კულტურა ეგეოსური კულტურის პირველი ეტაპია. ესაა წარჩინებული ცივილიზაციისა და კულტურის ადგილსამყოფელი, სადაც სხვადასხვა დროს არაბერძნული და ბერძნული წარმოშობის ტომები ცხოვრობდნენ. მიკენური კულტურა ევროპას შლიმანმა გააცნო XIX ს.-ში. შლიმანის აღმოჩენა ცნობილი ფრაზით დაიწყო: „მე გავთხრი ტროას“. ვაჭრობით მონაგები მილიონები დახარჯა, რომ ტროას, მიკენის, ტირინთოს და ორქომენის საიდუმლოება გაეხსნა. მას შეშლილსაც კი ეძახდნენ, მაგრამ როცა 1873 წ. ოქროს საგანძურს მიაკვლია ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, ძველი ტროას ნანგრევებში და მას „პრიამუსის საუნჯე“ უწოდა, მისი მქირდავები გაჩუმდნენ.

შლიმანმა შრომებიც დაწერა: „ითაკა“, „მიკენი“, „ტროა“ და მთელი ეპოქა შექმნა ჰომეროსამდელი საბერძნეთის შესახებ. მალე პროფ. ვილჰელმ დორპფედმა ოლიმპია გათხარა.

შლიმანმა ოცი ენა შეისწავლა, მათხოვრიდან უმდიდრეს კაცად იქცა, მაგრამ ისტორიაში შევიდა, როგორც ტროასა და მიკენის კულტურის აღმომჩენი. მან ინახულა ოდისევსის კუნძული ითაკა. როცა ოთხი ქოფაკი ყეფით ეცა, შლიმანმა გაიხსენა ოდისევსის ფანდი, მიწაზე ჩაჯდა და ამით გადარჩა. მითი და სინამდვილე ერთმანეთს დაემთხვა. შლიმანმა ააგო „ჰომეროსის სასახლე“, შეირთო ბერძენი ქალი (პირველი მეუღლე ხარკოველი იყო) და შვილებსაც აგამემნონი და ანდრომედე უწოდა.

შლიმანის შემდეგ ამერიკელმა მეცნიერმა ბლეჯენმა აღმოაჩინა ტროა VII – ეს „ილიადაში“ აღწერილი ტროა იყო. ჰისარლიყის ბორცვზე ძვ.წ. 3 000 – 2 500 წლებში გაშენებული ტროა – უდიდესი ციხესიმაგრე, დამწვარი რამდენიმე ხანძრით, ბოლოს დაეცა „დანაელთა ცხენის“ მიზეზით. ძვ. წ. VIII ს. ბერძნები აქ საბოლოოდ ამკვიდრებენ ახალ ქალაქს „ილიონს“.

ბერძნების, როგორც ეთნოსის, ჩამოყალიბება დაიწყო ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგს წინარე ბერძნული ტომების – აქაველების, იონელების შემოსვლით, სხვა წინარე ბერძნულ ტომებთან აღრევით და დასრულდა ჩრდილოეთით ძვ.წ. XII-XI სს. –ში დორიელთა შემოჭრით.

1900 წლიდან კუნძულ კრეტაზე აღმოჩენები გააკეთა არტურ ევანსმა. ამას მოჰყვა კიკლიდურ (წრიული კუნძულები ეგეოსის ზღვაში) კუნძულებზე არქეოლოგიური აღმოჩენები, რამაც დაადასტურა ძვ. წ. II ათასწლეულში კრეტასა და მიკენში მაღალგანვითარებული კულტურის არსებობა, რომელიც ძვ. წ. VIII ს.-ის ჰომეროსის ეპოქისათვის იდეალი იყო. ძველი წყაროებით, ბერძნები შორეულ წარსულში მოსახლეობდნენ ეგეიდაში, ოიდიპოსის თებეში, აგამემნონის მიკენში, მენელაოსის სპარტაში. წინარე ანტიკურ ბერძნულ კულტურას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ: ეგეოსური ან მინოსური (კრეტის ცნობილი მეფის მინოსის სახელის გამო) და მიკენური (აგამემნოსის – აქადელების მეფის – სატახტო ქალაქის მიხედვით). მართებული იქნება, თუ მას ეგეოსურს ვუწოდებთ და წარმოვიდგენთ სამი განშტოებით: 1) კიკლიდური, 2) მინოსური, 3) მიკენური ანუ ელადური (კონტინენტური).

**მინოსური კულტურა (კნოსოსი, ფესტოსი – მთავარი ქალაქები)**

!

კრეტის მინოსური კულტურა 5 საუკუნის მანძილზე (ძვ. წ. XX-XV სს.) ყვაოდა, როგორც კულტურა ცენტრალიზებული სახელმწიფოსი, დედაქალაქით კნოსოსი, ბრწყინვალე სასახლით 20 000 კვმ ფართობზე. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ ვერ აღმოაჩინეს იარაღის კვალი, ნანგრევი, ომის თუ ხანძრის ნიშნები. ეტყობა მინოსური კულტურა მშვიდობიან პირობებში იქმნებოდა და მშვიდობიანადაც გაქრა. ნაპოვნია კრეტის წერილობითი ძეგლები იეროგლიფურ-პიქტოგრაფიული ხასიათისა, რომლებიც არ არის გაშიფრული. კრეტის მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობისა და ეთნიკური შემადგენლობის შესახებ ჯერაც ბევრი რამ დაუდგენელია. ეს მინოსის ლაბირინთის სამფლობელოა, მინოტავრისა და თეზევსის მითით.

ბერძნული მითოლოგიიდან ცნობილია, რომ მინოსი ზევსისა და ევროპეს შვილი იყო, რომელიც იშვილა კრეტის მეფემ ასტერიონმა. მამობილის სიკვდილის შემდეგ მან ტახტი დაიკავა და ცოლად შეირთო ჰელიოსის შვილი პასიფაე. მინოსსა და პასიფაეს ჰყავდათ ვაჟი ანდროგენოსი. პასიფაეს პოსეიდონისგან, თუ მისგან მოგზავნილი ხარისაგან, უშვია მინოტავრი, რომელსაც მინოსი ლაბირინთში მალავდა. თეზევსმა არიადნეს ძაფის დახმარებით იპოვა იგი და განგმირა.

კრეტელთა რელიგიურობის შესახებ არაფერი ვიცით. ტაძრების ნანგრევებიც კი ვერ იპოვეს, როგორც ჩანს, კრეტაზე არ იყო კანონიზებული რელიგიური ურთიერთობები. თავისუფალი დამოკიდებულებაა რიტუალებისადმი, რელიგიური კულტებისადმი, ცხოვრების სხვა საკულტო საგნებისადმი. აქედან გამომდინარე, კრეტის ხელოვნება თავისებურია და განსხვავდება მისი დროის ეგვიპტური და მესოპოტამიური ხელოვნებისაგან. კრეტაზე არ აშენებენ გრანდიოზულ ტაძრებს – ზიკურატებს ან პირამიდებს. კრეტის ძირითადი არქიტექტორული ფორმა იყო სასახლეები და საცხოვრისები, რაც მინოსური კულტურის საერო ხასიათზე მიუთითებს. არც ღმერთების ქანდაკებებს დგამდნენ, სახვითი ხელოვნება საცხოვრისის გაფორმებას ემსახურებოდა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ კრეტელებს რელიგიურობა, როგორც მსოფლხედვა, დიდად არ აწუხებდათ. ეს ხელოვნება არ ემორჩილება ქურუმთა კასტის მოთხოვნებს, ხელოვანი თავისუფალი, აქტიური შემოქმედია, მოხსნილია ზეწოლა და ეს კარგად ჩანს კნოსოს სასახლის ფრესკებზე, ჭურჭლის მოხატულობაზე. მინოსური ხელოვნების განსაკუთრებულ სამყაროს კერამიკა წარმოადგენს, გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტის საოცარი შეხამებით. „კამარესის“ სტილის (ასე უწოდებენ აღმოჩენის ადგილის გამო) თხელკედლიანი, კვერცხის ნაჭუჭის სისქის პატარა ჯამები გამოირჩევიან სინატიფით. ჭურჭელზე გამოყვანილია მრავალფეროვანი (თეთრი, ლურჯი, წითელი, ყვითელი) დეკორი, რომელიც არსად მეორდება. ჭურჭლის ღია ზედაპირი მოიხატებოდა მუქი საღებავით, სტილიზებული, მაგრამ რეალისტური გამოსახულებით.

ეს სტილი მალე, სამ საუკუნეში შეიცვალა ახლით, მცენარეული და ზღვის არსებათა დეკორით. კრეტის მინოსურ ხელოვნებაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ზღვის თავისებური ხედვა – მდიდრულადაა წარმოდგენილი ფლორა და ფაუნა, თუმცა ფრესკებსა და კერამიკაზე ზღვის პეიზაჟები არ ჩანს, აქ გარკვეული საგნობრივი სამყაროა დაფიქსირებული. საგნებს ზღვის ცხოველთა თუ მცენარეთა ფორმები აქვს და არა ფუნქციონალური კონსტრუქციისა. მაგალითად, ზღვის სტილით შესრულებული ჭურჭელი, რომლის ორნამენტად რვაფეხის გამოსახულებაა გამოყენებული. ყოველი ნივთი ცოცხალი არსების შთაბეჭდილებას ახდენს. ჭურჭლის ღია ზედაპირი მოიხატებოდა მუქი საღებავით, სტილიზებული, მაგრამ რეალისტური გამოსახულებით.

კრეტულ კერამიკაზე არ ჩანს ადამიანი, როგორც გამოსახვის მთავარი საგანი. სამაგიეროდ, კრეტის ფრესკულ ფერწერაში გვხვდება სცენები კუნძულის მკვიდრთა ცხოვრებიდან – მსხვერპლშეწირვის, აკრობატიკის, ცეკვის და ა.შ. ფრესკებზე გამოსახულია „პრინცი შროშანის გვირგვინით“, ქუ-

რუმი-მეფე, რომელსაც თან მოჰყავს სფინქსი ან გრიფონი, „ცისფერი ქალები“ – კრეტელი დიდებული ქალები, მდიდრულად შემკული, ერთმანეთში საუბრობენ.

კნოსოსში საინტერესოა ე.წ. ფრესკების სახლი, რომელშიც ფრესკები: „ცისფერი ჩიტი“, „ხარზე მხტომელი“ ცისფერი, ყვითელი, წითელი, აგურისფერი ფერებითაა შესრულებული; ერთ ფრესკაზე ყმაწვილები და ქალები წყვილად სხედან სკამებზე და გადასცემენ ერთმანეთს ჭურჭელს. ეს სარიტუალო სცენაა, მისი ნაწილია ფრესკაზე გამოსახული ე.წ. „პარიზელი ქალი“ – ქურუმი საკულტო ხვეულებით ყელზე. მოხატულობებში დიდია აბსტრაქტული ელემენტები, დეკორთა ხვედრი წონა.

კნოსოსის არქიტექტურის სიდიადე მეტყველებს მაღალ სამშენებლო კულტურაზე: უზარმაზარი შიდა ეზოს გარშემო ნაგებობათა კომპლექსი, ვრცელი დარბაზები მოხატული კედლებით: მაგ, „დედოფლის ანუ ცისფერი დელფინების ოთახი“, სააბაზანო ოთახი, სატახტო დარბაზი ე.წ. მინოსის ტახტით. კრეტაზე არ გვხვდება მონუმენტური ტაძრები, მათ ნაცვლად აგებული იყო სამლოცველოები 2-3 მლოცველისთვის. ფრესკაზე გამოსახული ქალის ძირითადი ატრიბუტია გველი. კრეტის ღვთაებანი ანთროპომორფულია, არ არის ნახევრად ღმერთები, ან ნახევრად ცხოველები, მსგავსად ეგვიპტისა.



**ბაბილონის გოდოლი**

კრეტის სკულპტურაში თავისებურია ადამიანის პროპორციათა სტილიზაცია – აქცენტირება ქალის მკერდის ამობურცულობაზე, მამაკაცის წელის სივიწროვეზე. კრეტის სტატუების ტიპის სკულპტურა დიდხანს ინარჩუნებდა ფრონტალობასა და სტატიკურობას, თუმცა მაინც შეინიშნება მოძრაობის ცვალებადობა, სწრაფვა, ამასთან, იგი გარკვეულ მიმართებას გვიჩვენებს ადამიანურ პროპორციებთან. ფიგურები გამოირჩევა ფერებით – კაცის სხეული მუქია, ყავისფერი, ხოლო ქალისა – თეთრი, თვალები ფრონტალურად იმზირება. იგრძნობა ეგვიპტელთა გავლენა, თუმცა კრეტულ ხელოვნებას არ მოუღწევია ეგვიპტური ხელოვნების ნიმუშთა ე.წ. „ზომიერი ნატურალიზმისათვის“, რაც ეგვიპტურში ადამიანისა თუ ცხოველის ზუსტი გადმოცემით ხდება.

მინოსელი მხატვარი ყურადღების მიქცევას ცდილობს არა იმდენად სიუჟეტით, არამედ სინამდვილის რეალისტური მიბაძვით, არა ამბის მოსათხრობად, რასაც გონების დაძაბვა სჭირდება, არამედ თვალის გასახარად, მაჟორული განწყობილების შესაქმნელად. ძვ. წ. II ათასწლეულის მხატვრები ხატავენ არა მარტო შესანიშნავ დეკორატიულ გვირისტებს, არამედ ყოფით საგნებსა და საკულტო ცერემონიალებს. ხელოვანთა ოსტატობა ჩანს ცოცხალი ბუნების გადმოცემაში, თანდათან მეტად ხდება აბსტრაჰირება და ჩნდება მხატვრული შაბლონები (კნოსოსის სასახლე).

მონუმენტური ქანდაკება მინოსურმა კულტურამ არ იცის. სკულპტურებმა ჩვენამდე მცირე სტატუების სახით მოაღწია. მაგ: ძვ. წ. XVI ს.-ის 30 სმ სიმაღლის აკრობატის ქანდაკება. თავისებურია

კრეტაზე მიცვალებულთა დამარხვის წესები, რიტუალი შემორჩენილია თიხის სარკოფაგზე. მიცვალებულს მარხავდნენ იარაღებით, ტანსაცმლით, ღმერთების შესაწირად კლავდნენ ხარებსა და თხებს, მიცვალებულის გვერდით ალაგებდნენ ხარების გამოსახულებებს. რელიგიური ცერემონიალები ცეკვებისაგან, სიმღერებისაგან შედგებოდა. მშვიდობიანია ცხოვრება, თუმცა გაურკვეველია, რას ეყრდნობოდა მინოსური საზოგადოების კეთილდღეობა.

პირველი, რაც მინოსური სცენების გაცნობისას თვალში გვხვდება, ესაა მისი საოცრად ახალგაზრდული სული. მართლაც, თითქოს საგანგებოდ, სადაც კი გამოსახულია ადამიანი, ყველგან ბუნების აყვავების მხიარული დროა აღბეჭდილი – ხანდაზმულობა, მიძინება, ჭკნობა არ იზიდავდა მინოსელ მხატვრებს. ყურადღებას იპყრობს მინოსური მხატვრობის იმპრესიონისტული ხასიათი, შთაბეჭდილებით მიღებულ განცდათა ხაზისა და ფერების საშუალებით გადმოცემა.

ძველი აღმოსავლური ხელოვნებისაგან განსხვავებით, მინოსურ ხელოვნებაში შეინიშნება მზარდი სწრაფვა განახლებისაკენ, ცვალებადობისაკენ. თუ ეგვიპტურ გეომეტრიულ ფრესკებში სწორხაზოვნება, მეფური დიდებულება მკაცრი რიცხობრივი მოდელის მიხედვით იქმნება, რაშიც გამოსახვის კანონიკურობა მკაცრად განსაზღვრულ სახვითობაში ჯდება, კრეტის ფრესკებზე მოქნილი, მოლივლივე ხაზებია, ლამაზი სიუჟეტები, ადამიანური ზომისა და ფორმის ნაკვთები მეტი სირბილით, თავისუფალი მოძრაობით გამოირჩევა. ქალის პლასტიკური და ფრესკული გამოსახულება იმდენად ბუნებრივი და ადამიანურია, რომ ჩანს, ქალს განსაკუთრებული პატივით ეპყრობიან ეგეოსელი ხელოვანები, განსხვავებით ეგვიპტისაგან, სადაც ქალის პორტრეტული გამოსახულება სოციალური იერარქიის გარკვეულ საფეხურზე მიუთითებს.

კრეტა-მინოსური კულტურის ისეთი სფეროებიდან, როგორიცაა ლიტერატურა და მუსიკა, ჩვენთვის დღემდე ბევრი რამ უცნობია. არქეოლოგიურმა გათხრებმა აღმოაჩინა მინოსური დამწერლობით შესრულებული ბევრი წარწერა, რომლებიც ჯერ არ გაშიფრულა, მაგრამ ადასტურებენ, რომ ისინი დამწერლობის ყველაზე ძველ სისტემას წარმოგვიდგენენ. ეს არის ე.წ. იეროგლიფურ–პიქტოგრაფიული დამწერლობა, რომელიც გამოიყენებოდა ძვ. წ. III ათასწლეულში, დაახლოებით, 1900-1700 წწ. დამწერლობის ეს სისტემა ქვის, სპილოს ძვლის, მეტალის ბეჭდებზეა აღბეჭდილი. დღესაც დავაა იმაზე, თუ რა ტიპის უნდა ყოფილიყო იგი. ზოგი მასში იეროგლიფურ სისტემას ხედავს და ვარაუდობს, რომ ნიშნები იდიოგრამებს ან სიმბოლოებს წარმოადგენს, ზოგი კი ფიქრობს, რომ აქ მარცვლოვანი დამწერლობის ადრეულ საფეხურებთან გვაქვს საქმე.

კრეტაზე 1908 წ. ფესტოსის სასახლის ჩრდილო-დასავლეთში 16 სმ-ის თიხის დისკოზე აღმოჩენილია დამწერლობის კიდევ ერთი სისტემა, ე.წ. „ფესტოს დისკოს" წარწერა. მის ორივე მხარეზე ამოტვიფრულია პიქტოგრაფიული ნიშნები, სულ 45. ამრიგად, კრეტაზე რაღაც სახით (პიქტოგრაფიული), დამწერლობა რომ არსებობდა, ფაქტია, თუმცა ვერაფერს ვიტყვით კრეტელთა ლიტერატურულ შემოქმედებაზე. მითების, ლეგენდების წერილობითიფიქსაცია არ ხდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ სიმღერას დიდი ადგილი უჭირავს კრეტელთა ყოფაში. ამას მოწმობს ერთ-ერთ ქვის ჭურჭელზე ამოკვეთილი პროცესიის სცენა: წინა პლანზე წამოწეულია მომღერლის ფიგურა, აქვეა ლირაზე დამკვრელი. კნოსოსსა და ფესტოსში აღმოჩენილია ამფითეატრები – ევროპის ტერიტორიაზე პირველი თეატრალური ნაგებობანი.

მინოსური კულტურა თითქოს შეუმჩნევლად გაქრა ისტორიის ასპარეზიდან. შესაძლოა, ეს იყო შედეგი დიდი გეოგრაფიული კატასტროფებისა, რაც ეგეიდას კუნძულებზე დატრიალებულა, ბიბლიური წარღვნის ან მიწისძვრის მსგავსი. ცნობები ამგვარი კატასტროფების შესახებ არა მარტო ბიბლიაში, არამედ ფილოსოფოსებთანაც გვხვდება. მაგალითად, პლატონს „ტიმეიოსში" და „კრიტიასში" აღწერილი აქვს მსგავსი კატასტროფა, რომლის შესახებაც ძვ. წ. 590 წელს ეგვიპტეში მოგზაურობისას სოლონს მოუსმენია. პლატონის გადმოცემით, ატლანტიკის ოკეანეში ყოფილა კუნძული ატლანტიდა მაღალგანვითარებული ცივილიზაციით, რომელიც ჩაძირულა დიდი გეოლოგიური კატასტროფის –წარღვნის შედეგად. მთელი მიმართულება შეიქმნა მეცნიერებაში „ატლანტიდალოგია". არქეოლოგიით დასტურდება კუნძულ თერაზე (სანტორინი) მომხდარი კატასტროფა – ვულკანის ამოფრქვევა, თუმცა ქრონოლოგიურად იგი პლატონის ატლანტიდის დაღუპვას არ თანხვდება. სამაგიეროდ, უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან ბერძნულ მითოლოგიურ ტრადიციაში დაცული მითი დევკალიონის წარღვნის შესახებ. მითოლოგიური ქრონოლოგიის შესაბამისად, იგი უნდა მომხდარიყო ძვ. წ. XV ს.-ში. საბერძნეთი დასახლებული ყოფილა არაბერძნული ტომებით. კატასტროფას ეგეოსის ზღვაში ძალთა თანაფარდობის გადანაწილება მოუხდენია და ბერძნები გამოსულან ასპარეზზე. კუნძულ თერაზე ძვ. წ. 1500 წ. – 1470 წწ. დიდი ვულკანური ამოფრქვევა დადასტურებულია არქეოლოგ სპირიდონ მარინტოსის (ბერძნული წარმოშობისაა) გათხრებით. ეს კუნძული მდებარეობს კრეტის ჩრდილო–აღმოსავლეთით. სწორედ ეს საშინელი კატასტროფა აირეკლა დევკალიონის მითში. დევკალიონი და მისი

მეუღლე პირა კიდობნით გადმოსულან პარნასოსის მთასთან. ღმერთის ბრძანებით მათ ზურგს უკან ქვები უსვრიათ და ადამიანებიც გაჩენილან. ამრიგად, დევკალიონი ძირითადი ბერძნული ტომების (ეოლების, დორიტების, იონელების) მამა ყოფილა. კ. თერაზე ადამიანის კვალი ვერ იპოვეს. ეტყობა, მოსახლეობამ ამოფრქვევამდე დატოვა კუნძული. სამაგიეროდ, აღმოჩენილია კნოსოსის სახლებში მხატვართა ნამუშევრები –მოკრივე ბავშვების, მაიმუნების ფრესკები.

სანტორინის (თერას) კატასტროფას კრეტა მთლიანად არ წაულეკავს, გადარჩა კნოსოსის სასახლე, თუმცა ამან დაარღვია კრეტის ცივილიზაციის ჰარმონიულობა. კრეტელებს 1500 წლის ძლიერი მიწისძვრის შემდეგ კვლავ აღუდგენიათ თავიანთი კულტურა. მერე იწყება კრეტაზე უცხო ტომების (ბერძნების) შემოსვლა. ინგრევა კნოსოსის სასახლე, თუმცა ბერძნები იწყებენ კრეტის ხელახალ განაშენიანებას.

კრეტა-მინოსური კულტურა ბერძნებზე დიდ გავლენას ახდენს. ბერძენთა ახალი ტალღის შემოჭრის შემდეგ ძვ. წ. 1380 წ. კნოსოსის სასახლე საბოლოოდ ინგრევა. ცხოვრება გრძელდება, მაგრამ ეს უკვე ბერძნების სხვა ცივილიზაციის დასაწყისია. მინოსური სამყარო კარგავს პოზიციებს და იგი საერთო ბერძნული კულტურის პერიფერიულ ნაწილად იქცევა. ჩვენ არ ვიცით, რას უწოდებენ მინოსური კრეტის მკვიდრნი თავის თავს. „ოდისეაში“ ჰომეროსი ჩამოთვლის კრეტაზე მცხოვრებ ბერძენ ტომთა წინაპრების სახელებს: პელასგები, დორიტები, აქაველები, იონელები და ა.შ. ბერძნულ ეთნოსს მხოლოდ აქაველები და დორიელები განეკუთვნებიან, დანარჩენები – წინარე ბერძნულ მოსახლეობას. დორიელები ჩრდილოეთიდან შემოდიან საბერძნეთის ტერიტორიაზე ძვ. წ. XI ს.-ში.

ძველი კრეტის ცივილიზაციიდან ბერძნებმა აიღეს მრავალი კულტურული ელემენტი და თუმცა ძველი ბერძნები ეგეოსურ კულტურას თავისად მიიჩნევენ, საკუთარ წვლილს მაინც მოკრძალებულად აღნიშნავენ. ბევრი ბერძნული მითი სწორედ კრეტის ისტორიიდან უნდა იყოს აღებული, მაგალითად, მითი მინოტავრზე, დედალოსზე. ათენელი არქიტექტორი და მოქანდაკე დედალოსი ცნობილია, როგორც მინოსის ლაბირინთისა და არიადნეს საცეკვაო მოედნის ამგები. მან შურის გამო აკროპოლისის კედლიდან გადააგდო თავისი მოწაფე და ნათესავი, არეოპაგმა იგი დამნაშავედ ცნო და ათენიდან გააძევა. დედალოსმა თავი კრეტას შეაფარა. კრეტის მინოსური კულტურა შემდგომ ელინებმა განავითარეს.

მინოსური კულტურა ამქვეყნიური ცხოვრებისკენ არის მიმართული, თავისუფალია რელიგიური დოგმებისაგან, კულტურული ღირებულებებიდან წინა პლანზე სწევს ესთეტიკურ ღირებულებებს. ძველი აღმოსავლური კულტურა რელიგიის წნეხის ქვეშ ვითარდება, მას არ ახასიათებს ავტონომია, ხოლო მინოსური კულტურის აღმშენებლობითი, მშვიდობიანი ხასიათი ამ კუნძულის მოსახლეობის მაღალ საზოგადოებრივ მორალზე მიუთითებს. მმართველობის ფორმა კოლექტიურია და არა მონარქიული. კრეტაზე, შესაძლოა, არც ჰყავდათ მეფე თავისი სრულყოფილი სტატუსით. აქ ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიაა, არ ჩანს ძალადობისა და ანტაგონიზმის კვალი. მინოსური კულტურა გამოირჩევა თავისი ადამიანურობით. მისი მასშტაბები არაა გრანდიოზული, იგი ადამიანურ მასშტაბებს ითვალისწინებს და მოქალაქეთა დათრგუნვისაკენ კი არ არის მიმართული, არამედ სასიამოვნო ემოციებისაკენ.

მთავარი, რაც ბერძნულმა ელინურმა კულტურამ აიღო მინოსურისგან – არის მუდმივი სწრაფვა სიახლისაკენ, რაც ნორმატიული შეზღუდვებისგან ათავისუფლებდა ხელოვანს, პიროვნების შემოქმედებით ძალებს აღვიძებდა და ააქტიურებდა. მინოსური კულტურიდან ესტაფეტა სანტორინის კატასტროფის შემდეგ მიიღეს აქაველებმა ანუ მიკენელებმა. მიკენი უკვე კონტინენტური ელინური სამყაროს ცივილიზაციის დასაწყისია.

**Ratiani Lali**
*Professor Doctor Staatlicher*
*Universität Sochumi*



**SATZGEFÜGE MIT DEM KONDITIONALSATZ**
**(BEDINGUNGSSATZ)**

Der Konditionalsatz erfüllt die Funktion der Adverbialbestimmung der Bedingung, weist auf die Bedingung, unter welcher sich der Vorgang im Hauptsatz vollzieht, führt die Voraussetzung für die Gültigkeit dieses Vorgangs ein und sagt seine Folge vorher. Die Konditionalsätze antworten meistens auf die Frage: **in welchem Falle**?, seltener – auf die Frage: **unter welcher Bedingung? unter welcher Voraussetzung**?z.B.**Falls** es nicht regnet, wollten wir einen Ausflug machen (R. Klappenbach)_In welchem Falle (unter welcher Bedingung wollen wir einen Ausflug machen?

Der Stellung nach sind die Konditionalsätze **Vorder** – oder **Nachsätze**, seltener **Zwischensätze**.z.B.**Falls** die natürlichen Bedingungen günstig sind, gelingt uns der Versuch. (R. Klappenbach). Er kann, **falls** die Flugkarte gebucht wird, morgen abreisen (R. Klappenbach)

Nach der Art der Verbindung mit dem Hauptsatz unterscheidet man konjunktionale und konjunktionslose Konditionalsätze. Die konjunktionalen Konditionalsätze werden meistens durch die Konjunktion **wenn**, seltener durch: **falls, sofern, insofern, wofern** eingeleitet. Die zwei letzteren werden als Varianten zu **sofern** betrachtet und sind kaum gebräuchlich. Als gleichwertiger Ersatz für diese Konjunktionen treten in den Konditionalsätzen relativ selten die Fügungen auf: **im Falle, dass..., für den Fall, dass..., unter der Voraussetzung, dass....** Wie die Konjunktionen als auch die angeführten Fügungen weisen auf die Vorbedingung hin, die vorhanden sein müssen, um etwas anderes zu ermöglichen.z.B.**Wenn** wir keine Furcht kannten, könnten wir sie auch nicht überwinden. (H. Mann).**Falls** es regnen sollte, bleiben wir zu Hause. (Duden).Wir werden kommen, **sofern** es auch passt. (Duden). Er will mir Nachricht geben, **wofern** er nicht selbst kommen kann (G. Wahrig).**Im Falle,** dass du in Schwierigkeiten gerätst, kannst du auf meine Hilfe rechnen. (Duden).**Unter der Voraussetzung**, dass er einverstanden ist, soll er dieses Amt übernehmen. (R. Klappenbach)

Von den obengenannten Konjunktionen gilt die Konjunktion **wenn** als die gebräuchlichste, Sie ist nicht eindeutig und kann auch einen temporalen Gliedsatz einleiten z.B.

**Wenn** er ein paar Tage Aufenthaltserlaubnis erhielt, konnte er beim Komitee für Flüchtlingshilfe für ungefähr eine Woche Ess–und Schlafkarte bekommen. (E. M. Remarque)

Der angeführte Nebensatz lässt sich einerseits fragen mit: „wann konnte er beim Komitee für Flüchtlingshilfe Ess–und Schlafkarte bekommen?“ und andererseits mit: „in welchem Falle konnte er beim Komitee für Flüchtlingshilfe Ess–und Schlafkarte bekommen.“ Die Antwort auf die erste Frage: „wenn er ein paar Tage Aufenthaltserlaubnis erhielt“–ist durch einen Temporalsatz darzustellen. Dieselbe Antwort auf die Zweite Frage aber weist auf die Vorbedingung für die Geltung des im Hauptsatz angegebenen Vorgangs hin und ist ein Konditionalsatz. Zweideutig ist die Konjunktion **wenn** auch im folgenden Satz:

**Wenn** man auf den Knopf drückt, öffnet sich die Tür von selbst. (G. Wahrig)

Wann öffnet sich die Tür von selbst? / In welchem Falle öffnet sich die Tür von selbst?

Wenn aber in dengleichen Sätzen eine temporale Angabe, ein auf die Zeit hinweisendes Element, wie: dann, immer, jetzt, jedesmal, manchmal, ab und zu, selten, oft, damals, einst usw. vorhanden ist, ist der Nebensatz eindeutig temporal.z.B.

***Immer***, wenn sich die alten Freunde zusammenkommen, ist es total lustig. (G. Wahrig)Wann ist es total lustig? **Jedesmal**, wenn ich ihm begegne, erinnern wir uns an unsere Studienkollegen, wie oft erinnern wir uns an unsere Studienkollegen?In den Sätzen solcher Art ist „**wenn**“ nicht durch die Konjuktionen „**falls**“ oder „**sofern**“ zu ersetzen.

Im Unterschied zu der Konjunktion „**wenn**" und diese Konjunktionen eindeutig konditional – sie unterstreichen die Tatsache, dass die Verwirklichung der im Nebensatz angegebenen Bedingung hypothetisch, nur angenommen, auf einer noch unbewiesenen Vermutung beruhend zu betrachten ist.z.B.Sie dürfen den Elefanten behalten, **falls** Sie ihn gut versorgen (Chr. Hirte) = Sie dürfen den Elefanten behalten, **nur im Falle**, wenn Sie ihn gut versorgen.Wir werden kommen, sofern es auch passt. (Duden) (Wir kommen nur im Falle, wenn es auch passt).

Es ist hervorzuheben, dass bei den **sofern** – Konditionalsätzen die Anfangstellung im Satzgefüge selten ist. Schon veraltet ist die Konjunktion **wofern**. Sie wird nur ausnahmsweise gebraucht.z.B.Er will mir Nachricht geben, **wofern** er nicht selbst kommen kann (G. Wahrig)

Die Konditionalsätze können dem Hauptsatz auch konjunktionslos angeschlossen werden. Da nimmt der Nebensatz im Satzgefüge die Anfangstellung ein und wird durch das finite Verb eingeleitet.z.B. Hat man viel Geld, findet man leicht Freunde, (Wolf-Dietrich Zielinski).Hätte von drauβen jemand zur Burg hinaufgeschaut, hätte er die hellerleuchtenden Fenster mit den Augen groβer Eule vergleichen können. (Kamil Bernar)

In den konjunktionslosen Bedingungssätzen treten die Korrelate **so** oder **dann** fakultativ auf.z.B. Gelingt es uns auch nicht die Feinde heute ganz niederzuwerfen, so soll **/** soll die Stadt des Latinus das Kriegsschicksal treffen (R. Carstensen) Hätte Madame Catherine wirklich den Buckel und die Klauen gehabt, **dann wäre / wäre** das Ganze noch zu verstehen gewesen. (H. Mann). Die angeführten Korrelate kommen nicht selten auch in den **wenn** – und **falls** Konditionalsätzen vor.z.B. **Wenn** er ein einziges Mal teurer anstatt billiger produziere, **dann** könne er nicht mehr auf Existenzgesetz verweisen. (Chr. Hirte).**Wenn** du noch etwas Mitleid für uns hast, so stille den Brand und rette unsere Schiffe vor der Zerstörung. (R. Carstensen).Falls vom Arzt nicht anders verordnet wird, so nimm täglich zehn Tropfen von dieser Arznei. (R. Klappenbach)

Die im Nebensatz eingeführte Bedingung kann für den Vorgang im Hauptsatz erfüllen, **real** oder **unerfüllbar**, irreal, nur angenommen sein. Dementsprechend zerfallen die Konditionalsätze in zwei Gruppen: **reale** und **irreale Konditionalsätze**.

**Die realen Konditionalsätze** nennen die Bedingungen, von denen die Verwirklichung des Vorgangs im Hauptsatz abhängig ist. Dabei unterstreichen sie, dass die Erfüllung dieser Bedingungen für tatsächlich gehalten wird. Dementsprechend werden in den realen Konditionalsätzen die Zeitformen im Indikativ gebraucht. Wenn in den realen Konditionalsätzen die Vorgänge im Haupt – und im Nebensatz synchron verlaufen, so werden sie durch identische Zeitformen dargestellt.z.B.**Wenn** sich kein Besitzer meldet, keine Verlustanzeige vorliegt, gehört die Fundsache mir zu. (Chr. Hirte). Fällt Turnus im Kampfe, so erntet er ewigen Ruhm und steigt zu den Göttern empor. (Chr. Carstensen)

Wenn aber der Vorgang im Hauptsatz dem Vorgang im Nebensatz vorangeht oder nachfolgt, kommen verschiedene Zeitformen vor.z.B.**Wen**n Gott Mensch werden **konnte, kann** er auch Katze werden. (R. Musil.)**Falls** sich der Lehrer für den Unterricht nur ungenügend **vorbereitet hat**, ist es auch sofort zu merken. (R. Klappenbach)

Im Satzgefüge mit einem realen Konditionalsatz tritt der Hauptsatz nicht selten in der imperativischen Form auf.z.B.**Wenn** etwas an Dido dir lieb und gut war, so **ändere** deinen Sinn. (R. Carstensen).Sprich, **wenn** du ein ehrlicher Kerl bist. (Brüder Grimm)

Die Konditioanlsätze, die sich auf die Gegenwart beziehen, haben oft einen allgemeinen Charakter.z.B. **Wenn** man befehlen will, muss man gehorchen lernen. (Sprichwort).Bist du geboren, magst du für andere sorgen. (Sprichwort) In den **realen Konditionalsätzen** werden die Zeitformen des Indikativs gebraucht.

Die **irrealen Konditionalsätze** deuten darauf hin, dass die Bedingungen, durch die die Realisierung des Vorgangs im Hauptsatz eingeschränkt wird, unerfüllbar, möglicherweise erfüllbar oder nur angenommen sind. Auβer den Bedingungen werden in diesen Sätzen auch die Resultate des Vorgangs als etwas Irreales, bloβ als Erwünschtes hervorgehoben. In den irrealen Konditionalsätzen werden sowohl im Haupt–als auch im Nebensatz nur die präteritalen Zeitformen des Konjunktivs in ihrer absoluten temporalen Bedeutung gebraucht–die im Präteritum – Konjunktiv auftretenden Verben deuten auf die gegenwärtige oder die zukünftige Handlung, die im Plusquamperfekt angegebenen Verben – auf die vergangene Handlung hin.z.B.**Wenn** wir etwas Schmiere hätten, kämen wir noch ein gutes Stück weiter. (W. Bredel)

**Wenn** kein Abteil gewesen wäre, hätte er einen anderen D-Zug genommen. (Chr. Hirte)

Bei der Realisierung der zukünftigen Semantik sowohl in den realen, als auch in den irrealen Konditionalsätzen kann das Präteritum durch die Verbindung des Inhaltsverbs mit dem Modalverb **sollen** im Präteritum Konjunktiv ersetzt werden. In dieser Funktion verliert das Verb **sollen** seine lexikalische Bedeutung und dient nur zum Ausdruck des künftigen Vorgangs.z.B. **Falls** er die Arbeit nicht allein schüfe **/ schaffen sollte**, werden wir ihm helfen. (R. klappenbach)**Wenn** hier irgendein Spektakel losbräche **/** losbrechen sollte, so werde ich mich in dir verstecken. (K. Bedner)

Fallen die Formen des Verbs im Präteritum Konjunktiv mit den Formen des Präteritum – Indikativs zusammen, so wird im Haupt – oder im Nebensatz der Konditionalis I als die umschreibende Form des Konjunktivs gebraucht.z.B.**Wenn** er regelmäβig trainieren würde, würde er mehr erreichen. (R. Klappenbach) (statt: trainierte **/** erreichte).

Es ist zu bemerken, dass in den Satzgefügen mit den Konditionalsätzen die Verben im Haupt – und im Nebensatz manchmal in verschiedenen Modi gebraucht werden.z.B. **Wenn** es noch schwer wäre, will ich es einmal lernen. (Brüder Grimm)**Wenn** ich ein Brünnlein **wüsste,** so ging ich und trank einmal. (Brüder Grimm)

Wenn sich der Vorgang auf die Vergangenheit bezieht, so deutet die irreale Bedingung des Plusquamperfekt an:.Hätte er das zugegeben, wäre er auch wegen verbotener Arbeit strafbar gewesen. (E. M. Remarque)

Der durch das Präteritum dargestellte irreale Vorgang kann auch realisiert werden. Die Verwirklichung des im Plusquamperfekt angegebenen Vorgangs ist aber völlig ausgeschlossen.

Analog zu den realen können auch die irrealen Konditionalsätze einen allgemeinen Charakter haben.z.B.**Wenn** mancher Mann wüsste, wer mancher Mann wr; gäb mancher Mann manchem Mann manchmal viel Ehr. (Sprichwort).

In den Satzgefügen mit einem Konditionalsatz treten im Haupt–und im Nebensatz oft identische Hilfsverben auf. Um die Wiederholung der gleichen Formen der Hilfsverben zu vermeiden, werden im Hauptsatz satatt desPlusquamperfekt-Konjunktivs die Formen des Konditionalis 2 gebaucht. z.B.**Wäre** er etwas liebenswürdiger gewesen,**wären** die Gäste länger geblieben./ **würden** die Gäste länger **geblieben sein**.

Die Konditionalsätze können in einige synonyme Strukturen transformiert werden. Als solche sind zu nennen:- **Satzreihen**:**Wenn** ich nicht zeitig aufgestanden wäre, könnte ich den Bus verpassen = Ich bin zeitig aufgestanden, deshalb habe ich den Bus nicht verpasst. -I**nfinitivkonstruktionen**: Man fühlt sich glücklich, **wenn** man positive Resultate eigener Arbeit sehen kann =Man fühlt sich glücklich, positive Resultate eigener Arbeit sehen zu können.

- bei -, mit -, ohne- **Präpositionalfügungen**: **Wenn** es regnet, können wir unter diesem Baum Schutz finden = Beim Regen können wir unter diesem Baum Schutz finden.

- **Partizipialgruppen**: Die Wahrheit ist uneingreifbar, **wenn** sie aus dem Munde von Kindern kommt = Die aus dem Munde von Kindern kommende Wahrheit ist uneingreifbar.

Die strukturell–semantischen Besonderheiten der Satzgefüge, die die Realisierung der syntaktischen Funktion der Adverbialbestimmung der Bedingung durch einen Nebensatz bedingen, können als folgende strukturell-semantische Modelle dargestellt werden:

**Reale Konditionalsätze**

I

| | | | |
|---|---|---|---|
| HS – Subjekt<br>Subst. Pron. -<br>Person, Ding,<br>Erscheinung | + Prädikat<br>Verb – Vorgang, Zustand,<br>Veränderung des Zustandes, Indikativ | + (Objekt)<br>Subst. Pron. – Person,<br>Ding. Erscheinung | + |
| + wenn **/** falls **/** im Falle, dass **/** sofern – NS<br>[Bedingung] | | | |

z.B. Ich verspreche alles, **wenn** du mir nur die Kugel wiedergibst. (Brüder Grimm)
II

| | |
|---|---|
| wenn **/** falls **/** im Falle, dass – NS + HS – Prädikat + [Bedingung] Verb – Vorgang, Zustand, Veränderung des Zustandes | |
| + Subjekt<br>Subst. Pron. -<br>Person, Ding,<br>Erscheinung | + (Objekt)<br>Subst. Pron. – Person, Ding.<br>Erscheinung |

z.B. **Wenn** du mir versprichst, artig zu sein, lasse ich dur meinen Wagen für die Ferien. (Duden)
III

| | | | |
|---|---|---|---|
| Prädikat – NS + (Korrelat) – HS – Prädikat + | | | |
| Verb – Vorgang, Zustand – Indikativ | [Bedingung] | so **/** dann | Verb – Vorgang, Zustand – Indikativ |
| + Subjekt<br>Subst. Pron. -<br>Person, Ding,<br>Erscheinung | + (Objekt)<br>Subst. Pron. – Person,<br>Ding. Erscheinung | | |

z.B. Wills du dicke Mauer sehen, (dann) musst du in meinem Hof kommen (B. Kellermann)
IV

| | | |
|---|---|---|
| wenn **/** falls **/** im Falle, dass – NS + ( Korrelat – so **/** dann)<br>[Bedingung] | | |
| + HS – Prädikat<br>Verb – Vorgang, Zustand – Indikativ | + Subjekt<br>Subst. Pron. -<br>Person, Ding,<br>Erscheinung | + (Objekt)<br>Subst – Pron. – Person, Ding,<br>Erscheinung |

z.B. **Wenn** es noch gerechte götter gibt, so sollst du nach deiner Dido rufen. (R. Carstensen)

**.Irreale Konditionalsätze**

**V**

| | | | |
|---|---|---|---|
| Prädikat – NS + (Korrelat – so,) + HS – Prädikat + | | | |
| Verb<br>präteritaler Konjunktiv | [Bedingung] | dann | Verb – Vorgang, Zustand<br>präteritaler Konjunktiv |
| + Subjekt<br>Subst. Pron. -<br>Person, Ding,<br>Erscheinung | + (Objekt)<br>Subst. Pron. – Person,<br>Ding. Erscheinung | | |

z.B. Hätte er das jedoch zugegeben, (so) wäre er auch wegen verbotener Arbeit strafbar.
**V**I

| | | | |
|---|---|---|---|
| HS – Subjekt<br>Subst. Pron.<br>Person, Ding,<br>Erscheinung | + Prädikat<br>Verb – Vorgang, Zustand,<br>präteritaler Konjunktiv | + (Objekt)<br>Subst. Pron.<br>Person, Ding,<br>Erscheinung | + wenn, falls – NS<br>[Bedingung] |

z.B. Ich wäre so gern herangewachsen, **wenn** ich nur gewusst hätte – wie. (Chr. Hirte)

**VII**

| | | |
|---|---|---|
| wenn **/** falls **/** im Falle, dass – NS + ( Korrelat ) +<br>[Bedingung] [so **/** dann] | | |
| + HS – Prädikat<br>Verb – Vorgang, Zustand – präteritaler Konjunktiv | + Subjekt<br>Subst. Pron. - Person, Ding, Erscheinung | + (Objekt)<br>Subst – Pron. – Person, Ding, Erscheinung |

z.B. **Wenn** ihm der Abschluss gelänge, wäre die Versicherung sehr hoch. (L. Frank)

**VIII**

| | | |
|---|---|---|
| Prädikat – NS + (Korrelat – so **/** dann) + HS – Prädikat + | | |
| Verb – Vorgang, Zustand, präteritaler Konjunktiv | [Bedingung] | Verb – Vorgang, Zustand präteritaler Konjunktiv |
| + Subjekt<br>Subst. Pron. - Person, Ding, Erscheinung | + (Objekt)<br>Subst. Pron. – Person, Ding, – Erscheinung | |

z.B. **Hätten** uns nur die wilden Tiere im Walde gefressen, so wären wir doch zusammen gestorben.

**IX**

| | | |
|---|---|---|
| HS – Subjekt<br>Subst. Pron.<br>Person, Ding, Erscheinung | + Prädikat<br>Verb –<br>Vorgang, Zustand, Konditionalis | + wenn – NS<br>[Bedingung] |

z.B. Diese dort würde selbst mir gefallen, **wenn** ich ein Prinz wäre. (K. Bednar)

**KONDITIONALSATZ**

**FRAGEN ZUR SELBSTKONTROLLE**

**1**.Welche syntaktische Funktion erfüllen die Konditionalsätze, worauf weisen sie hin?**2**.Auf welche Fragen antworten die Konditionalsätze, wie sind die Konditionalsätze ihrer Stellung nach im Satzgefüge? **3**.Welche Arten der Konditionalsätze unterscheidet man nach der Art hrerVerbindung mit dem Hauptsatz ,durch welche Konjunktionen werden die Konditionalsä-tze eingeleitet? **4**.Welche von diesen Konjunktionen ist die Gebräuchlichste? **5**.Wodurch unterscheidet sich die Konjunktion **wenn** von den anderen Konjunktionen, in welchem Fall realisiert diese Konjunktion nur die temporale Bedeutung und worauf weisen die Konjunkti-onen **falls** und **sofern** auf? 6. Durch welche Korrelate können die Konditionalsätze eingele-tet werden und wie ist die Stellung des konjunktionslosen Konditionalsatzes im Satzgefüge? 7. In wieviel Gruppen zerfallen die Konditionalsätze undwodurch wird der grundlegende Unterschiedzwischen realen und irrealen Konditionalsätzen ausgedrückt? u. v. a.

**Übungen**

**1**. **Scheiden Sie von den unten angeführten zusammengesetzen Sätzen die Konditionalsätze aus**.

1. wenn du ins Wasser gesprungen bist, sollst du dich wie ein Tisch benehmen. (Sprichwort)
2. Wenn er mit ihr ausging, merkte er den erstaunten Blick manches Vorübergehenden. (R.Musil)

3. Wenn er auch mein Freund ist, so kann ich ihm doch in diesem Fall nicht unterstützen. (R.Klappenbach)
4. Wenn ich dran denke, muss ich gleich lachen. (E. Strittmater)
5. Die Arbeit gelingt, wenn man dabei singt. (Sprichwort).
6.Wenn man dem Teufel den kleinen Finger gibt, so nimmt er gleich die ganze Hand. (Sprichwort)
7. Wenn der Alte gut gelaunt ist, erzählt er zur Unterhaltung allerlei Geschichten.

**2. Ergänzen Sie die angegebenen Konditionalsätze durch passende Hauptsätze.**

1. ... ... ... , wenn man bei der Arbeit Aufmerksam ist.2. Falls er an meiner Schwester grosses Gefallen findet, ... ... ... .3. Falls er die Arbeit nicht allein schafft, ... ... ... .4. Sofern sich die Schwierigkeit häufen, ... ... ... .5. ... ... ... wenn er sein Wort hält.6. ... ... ... , wenn wir alle zusammen sind.7. ... ... ... , falls die Ursache geklärt wird.

**3. Vervollständigen Sie die Hauptsätze durch reale oder irreale Konditionalsätze.**

1. Ich könnte abends meine Freundin besuchen, ... ... ... .2. ... ... ... , bekomme ich das Versprochene unbedingt.3. ... ... ... , macht er Dummheiten.4. Der Prüfling hätte eine gute Zensur verdient, ... ... ... .5. Es wäre uns lieber, ... ... ... .6. ... ... ... , darf es spielen gehen.
7. Alles wird in Ordnung, ... ... ... .

**4. Beantworten Sie die Fragen. Verwenden Sie dabei die in Klammern angegebene Lexik sinngemäβ in realen oder irrealen Konditionalsätzen.**

**Muster**: In welchem Fall ist das Kind fähig schon im vorschuligen Alter mit einer Fremdsprache zu beginnen? (das Kind ist begabt).Falls das Kind begabt ist, ist es fähig mit einer Fremdsprache schon im vorschuligen Alter zu beginnen.

1. Unter welcher Voraussetzung sind die Leistungen einer Sprachgruppe zu steigern? (die Lerner sind ihrer Pflicht bewusst).
2. In welchem Fall hätte er sein Ziel erreicht? (Er hat sich auf das Problem konzentriert).
3. Unter welcher Bedingung kann man beim Erlernen einer Fremdsprache gute Resultate haben? (die Fertigkeit im Sprechen ständig verbessern).
4. Unter welcher Voraussetzung könnten die Sprachkenntnisse der Lerner erweitert werden (man arbeitet zielbewusst).
5. In welchem Fall hätte er sein Ziel erreicht? (er konzentrierte sich auf das Problem).
6. Unter welcher Bedingung ist die Arbeit in der Gruppe zielgerichtet. (die Lehrmaterialien sind zweckmäβig gewählt).
7. In welchem Fall würde der Lehrer von den Studenten hochgeschätzt? (in seinem Fach gut beschlagen sein).

**5. Ersetzen Sie in den irrealen Konditionalsätzen den gegenwärtigen Vorgang durch den vergangenen.**

**Muster**: Glaubte er ihr nicht, schickte er sie fort;
Hätte er ihr nicht geglaubt, hätte er sie fortgeschickt.

1. Wenn sie sich wiederum auffällig benähme, ginge ich nicht mit.
2. Ich atmete erleichtert auf, falls mich jemand von meinem Leiden befreite.
3. Wenn er ein normales Leben führte, bliebe er noch einige Jahre ganz gesund.
4. Käme er von diesem Mädchen zeitig los, könnte er eine nette Familie gründen.
5. Wenn er diese unerklärte Furcht vor der Prüfung nicht hätte, fiele er nicht durch.
6. Bestätigte er die Meldung offiziell, gäben wir sie weiter.
7. Falls er von den neugierigen Menschen nicht umringt wäre, fühlte er sich viel besser.

**6. Bilden Sie aus zwei Elementarsätzen das konjunktionslose Satzgefüge mit einem realen / irrealen Konditionalsatz. Übersetzen Sie sie ins Georgische!**

**Muster**: Er tut den Mund auf. Er lügt. Tut er den Mund auf, lügt er. (real)
თუ პირი გააღო, ტყუილს იტყვის.
Täte er den Mund auf, löge er. (irreal)

პირი რომ გაეღო, ტყუილს იტყოდა.
1. Dem Publikum gefällt der Sänger, Es ehrt ihn stürmisch.
2. Das Experiment ist misslungen. Die Verantwortung dafür trägt der Betriebsleiter.
3. Die Ware ist nicht qualitätsgerecht. Sie ist auch nicht zugänglich.
4. Die erzieherischen Probleme sind nicht leicht zu lösen. Die Eltern sind zu jung und noch unerfahren.
5. Sie kaufen sich einen Stadtplan. Sie finden sich in der Stadt zurecht.
6. Die Schwierigkeiten werden nicht beseitigt. Es ist schwer das Ziel zu erreichen.
7. Einigen jungen Menschen ist manchmal ein Vorwurf zu machen. Sie beleidigen durch ihr Verhalten die Mitmenschen.

**7. <u>Verwenden Sie das erste Verb von den verbalen Paaren im Nebensatz, das zweite – im Hauptsatz in der Form des Imperativs. Verwenden Sie die in Klammern angegebene Lexik sinngemäβ im Haupt – oder im Nebensatz</u>.**
**Muster**: auftauchen – lösen (das Problem)
Wenn ein Problem auftaucht, bemühe dich es rechtzeitig zu lösen
1. sich häufen – überwinden (die Schwierigkeiten).2. erreichen – arbeiten (das Ziel).3. ehren – schonen (der Nächste).4. anfangen – führen (etwas).5. sich interessieren –fragen (ein kluger Mensch).6. sich sehnen – besuchen (kranker Freund).7. bekommen –sich freuen (das Geschenk).

8. <u>Verwandeln Sie das Satzgefüge in eine Satzreihe.</u>
**Muster**: **Wenn** das Kind ganz gesund wäre, hätte es nicht so oft Fieber.
Das Kind ist nicht ganz gesund, darum (deshalb **/** deswegen **/** folglich) hat es oft Fieber.
1. Wenn der Forscher zu bedeutungsvollen Resultaten gekommen wäre, hätte er eine volle Befriedigung verspürt.2. Er freut sich herzlich, falls du ihn besuchst.3. Wenn der Student im Verlauf des Semesters die Vorlesungen nicht versäumt hätte, hätte er bei der Prüfung keine Schwierigkeiten.4. Falls das Experiment mir nicht glückt, stelle ich es wiederholt an.5. Falls er meine Bitte auβer Acht lässt, geht unsere Freundschaft in die Brüche.6. Wenn ich selbst keine finanziellen Schwierigkeiten hätte, böte ich ihm meine Hilfe an.7.Wenn die Alte imstande wäre den Haushalt allein zu führen, würde sie keine Aufwartefrau brauchen.

**9. <u>Gebrauchen Sie die angegebenen Wendungen in den Satzgefügen mit realen / irrealen Konditionalsätzen</u>.**
1. j-n auf die richtige Bahn lenken.2. über etw. Bescheid wissen.3. ans Bett gefesselt sein.4. sich nach dem Beutel richten.5. mit dem Studium Ernst machen.6. ein gutes Gewissen haben.7.alle Karten in der Hand haben.8. kein Maβ kennen.9. j-m den kleinen Finger geben – dieganze-Hand nehmen.10. mit der Herde laufen.

**10. <u>Formen Sie die konjunktionalen Konditionalsätze in die konjunktionslosen um</u>.**
**Muster**: Es kann der Beste nicht in Frieden leben, wenn es dem bösen Nachbar nicht gefällt.
(Sprichwort)
Gefällt es dem bösen Nachbar nicht, kann es der Beste nicht in Frieden leben.
1. Ich wäre so gern herabgestiegen, wenn ich gewusst hätte–wie. (Chr. Hirte).2. Wenn der Verdächtigste Mörder ist, werden Sie selbst auf ihn stoβen. (Fr. Dürrenmatt).3. Das wäre ermüdend gewesen, wenn es nicht die guten Witze gegeben hätte. (H. Mann).4. Wenn er schon nichts weiss, sollte er Mund halten. (Duden)5. Wenn das Geschick uns diesen Mann am Leben erhalten hat, so werdet ihr es nie bereuen uns Entgegenkommen gezeigt zu haben. (R. Carstensen).6. Wenn ich könnte, so möchte ich euch eure Religion abkaufen. (H. Mann).
7.Falls es nötig ist, komme ich selbst zu Ihnen, kann man ihn leicht finden. (W. Bredel)/

**11. <u>Transformieren Sie die realen Konditionalsätze in die irrealen</u>.**

1. Wenn ich Sie bitte, so helfen Sie uns hinüber. (Br. Grimm).2. Sie brauchen mich nicht zu nehmen, wenn Sie Angst haben. (A. Seghers)3. Falls er auf meine Bitte verrichtet, bleiben alle unsere Bemühungen ohne Erfolg.4. Wenn er es nicht ist, werden Sie den Richtigen gefunden haben. (Fr. Dürrenmatt).5. Wenn du darauf keinen wert legst, so irrst du dich.6. Falls du Lust hast dorthin zu fahren, das kannst du auch machen. (Duden).7.Wenn du mir die Laune verderben willst, bleiben deine Bemühungen ohne Erfolg. (Duden).

**12. Transformieren Sie die Nebensätze 1-5 in die synonymischen Infinitivstrukturen, die Nebensätze 6-10 – in die Partizipialgruppen.**

**Muster**: Wenn der Student seine Jahresarbeit nicht abgeliefert hat, wird er zur Prüfung nicht zugelassen = Seine Jahresarbeit nicht abgeliefert zu haben, wird der Student zur Prüfung nicht zugelassen.
Wenn unsere Regierung die Verhandlungen mit anderen Ländern anknüpft, vertritt sie damit die Politik der friedlichen Koexistenz. = Die Verhandlungen mit anderen Ländern angeknüpft, vertritt unsere Regierung damit die Politik der friedlichen Koezistenz.

1. Du musst dich schämen, wenn du deine Pflicht auch diesmal vergessen hast.2. Du verlierst viel, falls du dich auch künftig so zurückhaltend benimmst.3. Ich wäre sehr froh, wenn ich die Frist verlängern dürfte.4. Es wäre vernünftiger, falls wir unser altes Auto nicht mehr reparieren lieβen.5. Du bist kein ehrlicher Mensch, wenn du deinen Freund im Stich lassen kannst.6. Du darfst ganz ruhig weiterhandeln, im Falle, dass du deiner Überzeugung bewusst bleibst.7. Wenn du meinen Auftrag zeitig erledigst, wirst du reichlich beschenkt.

**13.Transformieren Sie die angegebenen Nebensätze in die synonymischen bei – Präpositionalfügungen**.

**Muster**: Ich fühle mich unbehaglich, wenn er plump scherzt = Bei seinem plumpen Scherz fühle ich mich unbehaglich.
1. Wenn der Arzt den Patienten sorgfältig untersucht hätte, hätte er die Krankheitsursache festgestellt.2. Wenn die Besprechung dieser peinlichen Angelegenheit durchgeführt wird, müssen alle Mitarbeiter anwesend sein.3. Ist das Wetter regnerisch, verliert man die Lust spazierenzugehen.4. Wenn die Produktion von Autos erhöht wird, kann man groβe Gewinne abschöpfen.5.Wenn er sein Vermögen sinnvoll verwendet hätte, könnte er es vervielfachen.6. Falls man ein wertvolles Ding kauft, muss man es von allen Seiten aufmerksam betrachten.7. Im Falle, dass die Kinder vorbeugend behandelt werden,werden sie von dieser schweren Krankheit geschützt.

**14. Formen Sie die Nebensätze 1-5 in die synonymischen *mit* -, die Nebensätze 6-10 in die synonymischen *ohne* – Präpositionalfügungen um.**

**Muster**: Wenn dir echte Freunde zur Seite stehen, überwindest du alle Hindernisse = Mit echten Freunden zur Seite überwindest du alle Hindernisse. Wenn er nicht sofort operiert wird, droht ihm eine tödliche Gefahr = Ohne sofortige Operation droht ihm eine tödliche Gefahr.
1. Wenn wir uns wiederholt bemühen, gelingt uns sicher einen rafinierten Plan auszudenken.2. Hätte er mehr Erfolg bei den Frauen, wäre er schon längst verheiratet.3. Man kann sogar das härteste Herz gewinnen, wenn man sanft redet.4. Hätte sie eun gütiges Geschick, würde sie vor bitteren Enttäuschungen bewahrt.5. Im Falle, dass man viel Geld hat, erreicht man das Ziel leichter.6. Unterstützest du deinen Freund nicht tatkräftig, geht er zugrunde.7. Der junge Mann darf die Leitung der Firma nicht übernehmen, falls er auf diesem Gebiet keine Erfahrung hat.

**15. Übersetzen Sie ins Georgische**

1. Wir wären eingesperrt werden, wenn wir geblieben wären. (E. M. Remarque).2. Wenn man Meister werden will, muss sich früh üben. (Sprichwort).3.Wenn er mit Geschäften nicht überlastet wäre, wäre alles in Ordnung. (R. Klappenbach).4. Wenn dich die bösen Buben locken, dann bleib zu Haus und stopf die Socken.(Sprichwort).5.Was man in Berlin oder Paris mit diesen Bauern tun würde, wenn sie mit ihren Kühen in die Stadt kämen. (B. Kellermann).6. Was kümmert's den Mond, wenn ihn die Hunde anbellen. (Sprichwort).7.Wenn wir sie nicht bedienen, bedient sie die Konkurenz. (Chr. Hirte).

**16. <u>Übersetzen Sie ins Deutsche</u>.**
1. საწარმოს ხელმძღვანელი კეთილი რომ არ ყოფილიყო, თანამშრომლების თხოვნას არ გაითვალისწინებდა. 2. ამჯერად გამოცდის ჩასაბარებლად თუ მზად არ ხარ, ეცადე შემდეგისთვის გადაიტანო ის. 3. ამ სტუდენტს უკეთესად ვერ გავიცნობდი, ჩვენს სამეცნიერო მუშაობაში რომ არ მიეღო მონაწილეობა. 4.თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვს, ეს საღამო ერთად გავატაროთ. 5. შემეძლო შენთვის დახმარება შემომეთავაზებინა, დროში შეზღუდული რომ არ ვიყო. 6.ძალზე გამეხარდებოდა, შაბათს რომ გვეწვეოდეთ. 7. თუ რამე გაუგებარია ტექსტის ამ მონაკვეთში, შეგიძლიათ მკითხოთ.

**17. <u>Analysieren Sie syntaktisch und morphologisch die Sätze</u>.**
1. Wenn sie ihn zum Abend nicht fortgeschickt hat, muss ich ihn töten. (R. Musil).2. Wenn er jetzt nicht hier wäre, würde ich dir was blasen mit deiner Schwindelei. (Er. Strittmater)3. Würden sie meine Lampe tatsächlich ausschalten, so wäre ich beim Betreten meiner Wohnung von vornherein darauf gefasst. (Chr. Hirte).4. Wenn ich gewollt hätte, dann wäre es ein sehr lustiger Abend geworden. (HChr. Andersen).5. Wenn er der König von Navarra ist, bin ich der König von Polen. (H. Mann).6. Wenn es ihn überkäme, sie zu schlagen, wäre es scchon notwendig gewesen. (H. Fallada).7. Gibt das Geschick uns unseren König zurück, so wird es uns gelingen, das italienische Land zu erreichen (R.Carstensen).

**ლალი რატიანი**

**სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელები პირობის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში**

**რეზიუმე**

ქვეწყობილი წინადადებების თავისებურებები, რომლებიც სინტაქსური ფუნქციების რეალიზაციას დამოკიდებული წინადადებებით განაპირობებენ, სქემატურად შესაძლებელია წარმოდგენილ იქნენ მრავალრიცხოვანი სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელების სახით.

ნაშრომის მიზანია რთული ქვეწყობილი წინადადებების, კერძოდ კი პირობის გარემოებით დაქვემდებარებული წინადადებების დაწვრილებითი დახასიათება, მათი თავისებურებებისა და სპეციფიკის დადგენა, წინადადებების მოდელებისა და სტრუქტურების, მათი განსაზღვრული სინტაქსური ფუნქციების აღწერა, ცნობილი გერმანელი მწერლების ნაწარმოებებიდან ამოკრეფილი პირობის გარემოებითი დაქვემდებარებული წინადადებების სახეებით გამყარებული სავარჯიშოების გაცნობა და მათი შესრულების აუცილებლობა, გერმანული ენის შესწავლისას ქართული აუდიტორიისათვის დამახასიათებელი სირთულეების გათვალისწინება, გამონაკლისი შემთხვევების გამოვლენა.

ილუსტრირებული ენობრივი მასალა ხომ გერმანული წინადადების არა მხოლოდ სტრუქტურული თავისებურებების გაცნობის, არამედ ენის შემსწავლელთათვის ენობრივი ჩვევების გაუმჯობესებისა და შესაძლო შეცდომების არიდების გარანტიაა.

**Lali Ratiani**

**Structural – semantic Models in the adverbial clause of condition**

**Summary**

The features of complex sentences which condition the realization of syntactic function by subordinate clauses, schematically they can be presented as numerous structural- semantic models.

The purpose of the paper is to characterize in detail a complex sentence, privately a adverbial clause of condition determine their features and specifics, describe models and peculiarities of sentence structures and also present examples on adverbial clause of condition taken from famous German authors' works and necessity of doing them. It should be considered difficulties characterized for the Georgian audience during learning German and reveal exceptional cases.

The illustrated language material for language learners is the guarantee not only acquaintance of structural features of German sentences but development of language skills and avoiding of errors.

**თამარ ბარბაქაძე**



# მირზა გელოვანის „დაბრუნებული" სონეტები და სხვა ლექსები[2]

(დასაწყისი წინა ნომერში)

მირზა გელოვანის ლექსის „აშულურის" შთაგონებად იქცევა და აღმოსავლური ჰანგის, მუხამბაზის, ფორმით ამეტყველდება:

იფქილივით იზარდე და იხარე
მცხელა, ჩრდილად ჩემკენ გადმოიხარე.
სიცივესაც მარტო შენ თუ მაშორებ
ახლოსა ხარ, შენი ქცევით გაშორებ.
ან მომკალი, კარგო, ან დამიფარე.
(გელოვანი 2009: 94)

მირზა გელოვანის ლექსი „აშულური" ერთგვარი სავარჯიშოა, ცდაა უცხოური სალექსო ფორმებისა და მელოდიების შესასწავლად ისე, როგორც „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალიდან" გადმოწერა მირზამ ერთხელ „უბის წიგნაკში" დიდი პოეტის „გაზელა": „არა ზეცა, არა ლანდი – არაფერია...", მერე მირზას კუთვნილად რომ მიიჩნია ზოგიერთმა მკვლევარმა თუ გამომცემელმა და დაბეჭდა სათაურით „ირანული მოტივებიდან". ტიციან ტაბიძე აშულური ლექსების წერას განსაკუთრებულ დამსახურებად მიუთვლიდა ნინო ორბელიანს, რომელიც, საიათნოვას გავლენის მიუხედავად, „ქალური ინსტინქტით" ავსებდა ლექსის ამ სახეობას (ტაბიძე 2008: 66). „მეარღნეებისა" და „პოეტების", „საიათნოვას სიმღერებით აყვანილი დუქანი" და „მუხამბაზი, რომელიც არ იმღერება" ტიციან ტაბიძის – ქართული ლექსის მკვლევრისა და ესთეტის – მიერ აღქმული და შეფასებული ქართული პოეზიის აღმოსავლური ნაკადია, რომელიც შესწავლასა და გაანალიზებას ითხოვდა. „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის" ავტორმა, იოსებ გრიშაშვილმა შეავსო მერე ეს დანაკლისი. მირზა გელოვანი კი „აშულურს" ქართული მუხამბაზისათვის შერჩეული საზომით: თერთმეტმარცვლედით (4/4/3) და ხუთტაეპიანი სტროფებით მართავს, თუმცა რითმათა კომბინაცია დარღვეულია: სავალდებულო რითმა მეხუთე ტაეპისა გადადის მეორე სტროფშიც. მუხამბაზის ეს ნიმუში მირზა გელოვანის შემოქმედებაში სწორედ ტიციან ტაბიძის პოეზიით გატაცების ანარეკლია და არა აღმოსავლური ფორმებით პოეტის დაინტერესებისა.



გავლენის თეორიის, „გავლენის შიშის" ჰაროლდ ბლუმისეული კონცეფცია პოეზიას თეორიის საგულისხმო ცოდნით ამდიდრებს, თუმცა კონკრეტულად, მირზა გელოვანის პოეზიაში ტიციან ტაბიძის პიროვნებისა და ლექსის ხატზე როდესაც ვსაუბრობთ, შეუძლებელია, მისი მეშვეობით ავხსნათ ორი პოეტის ურთიერთკავშირი. მირზა გელოვანისათვის ტიციან ტაბიძე აღმოჩნდა ის იდეალური სულიერი წინაპარი, ნებაყოფლობით მსხვერპლშეწირვის მაგალითი რომ უჩვენა შეშინებულსა და უზნეო საზოგადოებას და ამით „ლირიკის ელიზეუმს" უბოძა თავისი ბედისწერა. ტიციანის ცხოვრებამ და ლექსებმა კი, ბაძვისა და გამეორების კეთილი სურვილით, მკაფიო ანაბეჭდი დატოვა, ასევე, ეპოქისა და „მძლავრ კაცთაგან" განწირული პოეტის, მირზა გელოვანის, შემოქმედებაში.

„მე მზრდიდა წიგნი ლურჯი ზარნიშნით", – აღიარებს მირზა გელოვანი, რომლის ლირიკა, თვითნაბად ნიჭიერებასთან ერთად, გალაკტიონისა და „ცისფერყანწელების", ეროვნული ლექსის კლასიკოსთა ნაწერებით იკვებებოდა. „დაბრუნების", მირზა გელოვანის საარქივო გამოცემის

[2] ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის „ევროპული და აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმები ქართულ პოეზიაში (ისტორია. თეორია. ქრესტომათია)" ფარგლებში. ხელშეკრულება № ფლ/496$_2$-110/14.

კითხვისას, სასიამოვნო გაოცებამ მომიცვა: ერთ-ერთი პირველი სონეტი პოეტს 1935 წელს დაუწერია! მაშინ, როდესაც სონეტების წერაც და ბეჭდვაც საქართველოში პოპულარული აღარ იყო; უფრო მეტიც, ზოგჯერ ამ მყარი სალექსო ფორმით დაწერილ პოეტურ თხზულებას ბურჟუაზიული კულტურის გადმონაშთად და ფორმალიზმით გატაცებად მიიჩნევდნენ „ძლი-ერნი ამა ქვეყნისანი". მირზას სონეტი „მე სიზმარეთში გადავესახლე" 1935 წლის 23 მაისს, თიანეთში, დაუწერია და იგი 2009 წლამდე ავტოგრაფის სახით ინახებოდა (სლმ. № 280343); კანონიკური სტროფიკით, ქართული სონეტისათვის ტრადიციული მეტრიკით (5/4/5), კატრენების რკალური (აბბა) და ტერცეტების სამჯერადი, კანონიკურისაგან ოდნავ განსხვავებულად განლაგებული, რითმებით (ცდდ ეეც), 18 წლის მირზა გელოვანის მიერ დაწერილი ეს პირველი სონეტი 30-იანი წლების ქართული ლირიკის მნიშვნელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რადგან, როგორც ვთქვით, ამ დროს სონეტები საქართველოში თითქმის აღარ იწერებოდა.

სავარაუდოა, რომ ამავე, 1935 წელს დაეწერა მირზას სონეტი „ვაჟას კრიალოსანი", რომელიც სონეტის ფორმით არ გამოქვეყნებულა; იგი სამსტროფიანი ლექსის სახით დაიბეჭდა, ამავე სათაურით, მხოლოდ 1964 წელს (გელოვანი 1964: 2-3). დღეს, როდესაც „დაბრუნებულია" მირზა გელოვანის სონეტი „ვაჟას კრიალოსანი", შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს ორი, დამოუკიდებელი ლექსია. ნაწილობრივ მეორდება რამდენიმე ტაეპი მეორე კატრენისა; შესაბამისად, მეორე სტროფისა (ნაბეჭდ ლექსში) და ბოლო ტერცეტისა და ლექსის უკანასკნელი ორტაეპედი. სონეტის პირველ კატრენი კი, პირველი ტერცეტთან ერთად, ორიგინალური სახისმეტყველებით იქცევს თანამედროვე მკითხველის ყურადღებას:

მდინარე ძალად ჩაახველებს მოქუშულ ხევში,
ქარი შეარხევს პატარა ქუჩს კლდეების მხევალს,
ვილაც უცქერის დაჟინებით უცხოდ ნახელავს
ღრუბელს დაფლეთილს და განაბულს სხივების შქერში.
მეხი ზღვებს იქით გააშიშვლებს ელვის სატევარს,
გადაჰკრავს შოლტს და გაირეკავს ღრუბლების ყევარს
და ღრუბელივით გამოჰყვება ბილიკს მგოსანი.

(გელოვანი 2009: 374)

სამსტროფიანი ლექსი „ვაჟას კრიალოსანი" და სონეტი „ვაჟას კრიალოსანი" – ორივე – კომპოზიციურად, სიუჟეტის განვითარების ხაზით, ამბის გადმოცემას ეყრდნობა: ვაჟა-ფშაველა უცხო სილამაზის კრიალოსანს უჩვენებს „ფშავლის გოგოს", თუმცა, სონეტის მეშვეობით, ეს კონკრეტული ფაბულა უფრო ფართოდ განზოგადდება და დიდი პოეტის უკვდავება მარადიული დროის სიმბოლური გამოხატულებით – კრიალოსნისა და ღრუბლების – მეტაფორებით შევიცნობთ.

სონეტი „ლანდი-დირიჟორი" (1936) „ცისფერყანწელთა" მხატვრულ სახე-ნიღბებითა და თავისმკვლელის სულიერი ფორიაქით არის აღსავსე. რკალურად გარითმულ კატრენებს აბბა აბბა, ტერცეტების გარითმვის განსხვავებული, მირზასთვის დამახასიათებელი სქემა მოსდევს: ცდდ ეეც (გავიხსენოთ მ. გელოვანის „მე სიზმარეთში გადავესახლე"); ვინ არის ლანდი, რომელიც დირიჟორია პოეტის ცხოვრებისა? სონეტის მიხედვით, ლირიკული გმირის ოთახის კარებს „სოველი ჭინკა" აკაკუნებს და მთელი ღამის განმავლობაში, განთიადამდე, გრძელდება ავსულთა, ლანდთა, შემოსევა, რამაც, შეიძლება, თვითმკვლელობამდე მიიყვანოს პოეტი. „სიმღერა, სადაც დირიჟორად შენი ლანდია", ალბათ, ტიციან ტაბიძეს ეძღვნება. მირზა გელოვანის მიერ ამ სონეტში ნახსენები „სოველი ჭინკაც" ტიციან ტაბიძის „პრინცი მაგოგის" სტრიქონებიდან გვეცნობა:

ჩემთან მოვიდა ნოემბრის ჭინკა
ხელში მას ღვინის ეჭირა ჭიქა,
იზმორებოდა და მოკლე ყბები
მეკითხებოდა: ხომ წამომყვებით?!
რად დავდიოდით, მე ეს არ ვიცი,
დავძრწოდით, როგორც დამფრთხალი კვიცი.
სიჩუმე რაშიც უკან მოგვდევდა,
სიჩუმეს გულში ეხუტა სევდა.

(ტაბიძე 1985: 69)

ტიციან ტაბიძის ტრაგედია, რომელიც ეპოქის მიერ მოტანილი ცხოვრების – „ბლუსა და ღამესავით გაფითრებულის“ – შავბნელ სიმბოლოდ იქცა, იშვიათი მხატვრული სიღრმითა და ფსიქოლოგიზმით აისახა მირზა გელოვანის სონეტში „ტიციანს“ (1938):

როგორც ცისკარი ხის ტოტებში დაკიდებული,
ისე ანათებს სიჭაბუკეს ერთი დროება
მერე დადგება სისადავე და მყუდროება,
ცხოვრება ბლუ და ღამესავით გაფითრებული.
(გელოვანი 2009: 210)

ეს ეპითეტი – „ბლუ“ – ცხოვრების ნაცვლად, ფიქრებს მიემართება, ასევეა იგი, ახლახან „დაბრუნებულ“ მირზას ლექსში: „***ტივზე არღანი მეარღნის ხელა“, სადაც ისევ ტიციან ტაბიძის პოეტური სახე ხმიანობს:

...ამ ღვინოშია ჩვენი ბოლო და
დაუბეჭდავი ჩვენი წიგნები...
დალიე, ყველა ჩვენგანმა იცის
ფიქრები ბლუ და უნაპირონი...
(გელოვანი 2009: 352)

საგულისხმოა, რომ მირზა გელოვანის სონეტი „ტიციანს“ (1938) უფრო ადრე შექმნილი ლექსის გადამუშავების შედეგია: „ხატის დამსხვერევა“ მირზას 1936 წელს დაუწერია (სლმ. №28068); ამ ლექსის ავტოგრაფს ემატება კიდევ ერთი სტროფი:

ეხლაც, შუა-ღამეში, გაქროლება მომინდა,
თითქოს გული მტკივანი აფართხალდა ბუდეში,
შენობა ვერ გასწიეს, თუმცა ბევრი მოვიდა,
ზოგი შენზე სათუთი, ზოგი შენზე უხეში.
(გელოვანი 2009: 362)

სრულიად გამორჩეულია არა მხოლოდ მირზა გელოვანის სონეტებში, არამედ ქართველ პოეტთა სონეტებში, 1942 წელს, ფრონტზე დაწერილი მირზას „სურათი“:

ბავშვი ეკითხებოდა მამას: – როდის წავალთ სახლში?
ღრუბლები არა ჰგვანდნენ ღამურებს, –
ღრუბლებს შეეჭამათ ცა.
და მტირალა ბავშვი, როგორც მოლაღური
ეკითხებოდა ხმას საკუთარს:
– როდის წავალთ სახლში?
იმ ღამეს მზის გარდა არაფერს ეძინა.
– გვიშველეთ, გვიშველეთ, – ჰკიოდა გრიგალი.

– გვიშველეთ: ხეებმა შეიბეს ფეხები,
რომ, როგორც ჭინკებმა,
იქროლონ ცაში!
– არ გესმით? როგორც ბალახის
ჩურჩული, კითხულობს ხმა:
– როდის წავალთ სახლში?!
(გელოვანი 2009: 245)

„ტირის არღანი და მოლაღური / და სადღაც თვალში ცრემლები ჩანან“... (გელოვანი 2009: 352), – წერდა მირზა ზემოხსენებულ ლექსში: „***ტივზე არ-ღანი...“ და აქაც მოლაღური ცრემლთან, მწუხარებასთან, ბავშვის უსასოობასთან არის დაკავშირებული. სონეტად პირობითად თუ მივიჩნევთ ამ, ვერლიბრით შესრულებულ, ორ სტროფულ მონაკვეთად (8+6) გაყოფილ პოეტურ ტექსტს, რომელშიც სამგზის მეორდება სასოწარმკვეთი კითხვა, ხმა ბავშვისა: „როდის წავალთ სახლში?“ და თხოვნა-ვედრება: გვიშველეთ! გვიშველეთ! გვიშველეთ!

სონეტი „სურათი“ ფანტასმაგორიულ, საშინელ პეიზაჟს ხატავს, სადაც ცა და მიწა გაერთიანებულია: მიწა – სახლი დაკარგულია, ცა კი – გადაგვარებულა: „ღრუბლებს შეეჭამათ ცა“, „ხე-

ებმა შეიბეს ფეხები, რომ, როგორც ჭინკებმა, იქროლონ ცაში!“ ბავშვი – ბალახი კი ჩურჩულებს მხოლოდ და შინ დაბრუნებას ითხოვს. ამ საშინელ „სურათში“ მზეს სძინავს მხოლოდ 1942 წელს, ფრონტზე დაწერილი ამ არაკანონიკური სონეტით, მირზა გელოვანმა ადეკვატური სურათი დახატა იმისა, სადაც ღმერთს, მზეს აღარ სურს, თვალი ადევნოს თავის მიერ შექმნილი სამყაროს დამახინჯებულ სახეს. იძულებითი, ხმაურიანი და საშიში ხმების ფონზე მხოლოდ ბავშვები ჩურჩულებენ და სიმშვიდეს, სახლს, ითხოვენ. მირზა გელოვანის „ომის ლირიკაში“, ვფიქრობ, ეს სონეტი გამორჩეულია პოეტის ბავშვური გულწრფელობითა და პრინციპულობით.

საბედნიეროდ, გამართლდა „ჭაბუკად დარჩენილი“ პოეტის ნატვრა:

...მაგრამ ჩემს ლექსში ჩამრჩალ თვალებზედ
ვინმე შეკრთება გრძნობებით სავსე...
... როგორც ყოფნაში შეუხვედრელთა
მოუხუცებელ ლექსში შეხვედრა.
(გელოვანი 2009: 247)

ქართული ხმები: „მტირალა ბავშვი, როგორც მოლაღური“, „ბალახის ჩურჩული“ და ბავშვისა და მამის დიალოგი – ქართული ხალხური ზღაპრებისა და ტკბილად მოსაგონარი წარსულის სახსოვარი – ფრონტის საშინელი და მახინჯი ხმების დათრგუნვაში ეხმარებოდა პოეტს, რომელსაც არ ეეჭვებოდა, რომ მისი ლექსები მკითხველთან მარადიული შეხვედრების მონაწილენი იქნებოდნენ. მირზა გელოვანის ცნობილი შედევრის: „***იქ, სადაც სხვები ქვებს დაემსგავსნენ“ თემაც ეხმაურება ამ სონეტის სათქმელს:

... და სასიკვდილო ტყვიების ფარფატს
ღამეში გაწვდილთ ცეცხლის ენებად,
მე ვუცქეროდი როგორც სანახავს
ხანძრებს ღამეთა კალთაზედ გაშლილთ,
გზებზედ ჩახერგილ ღამეთა ლოდებს
მე ვუცქეროდი თვალებით ბავშვის,
რომელნიც ასე გიყვარდენ ოდეს.
(გელოვანი 2009: 262)

კიდევ ერთი სონეტი, რომელიც მირზას ფრონტზე, 1943 წელს, დაუწერია, 1958 წელს დაიბეჭდა ჟურნ. „ცისკარში“ (№ 2, გვ. 100), თუმცა 2009 წლამდე იგი მირზა გელოვანის ლექსთა კრებულებში აღარ შესულა. სონეტი „***არ არის ძნელი ითამაშო ოტელოს როლი“ (გელოვანი 2009: 261) კანონიკურია: აბბა აბბა ცცდ ეედ გარითმვის სქემით, 5/4/5 საზომითა და კლასიკური სიუჟეტური ხაზით: თეზის, ანტითეზისა და სინთეზის ერთიანობას რომ გულისხმობს, სამიჯნურო ხასიათისაა. 1943 წელს, ფრონტზე დაწერილი ეს სონეტი მირზა გელოვანს ნიკოლოზ მიქავასათვის გამოუგზავნია იმავე წლის 13 თებერვალს: „მე გადავწყვიტე, არავის მივწერო წერილი, მხოლოდ შენ მიიღებ ჩემს წერილებს და დარწმუნებული ვარ, რომ გამიგებ... გიგზავნი „სონეტს“. აი, ხომ ხედავ, მომავალზე ვფიქრობ, სიყვარულზე“ (გელოვანი 2009: 519).

ვფიქრობ, სონეტად უნდა მივიჩნიოთ „დაბრუნებაში“ დაბეჭდილი კიდევ ერთი ლექსი „***გარშემო იწვნენ ლურჯი ქედები“ (სლმ. № 28035):

გარშემო იწვნენ ლურჯი ქედები,
ტბას დასცქეროდნენ – ხელივით გაშლილს.
აქ, ყოველ ზაფხულს, თეთრი გედები
მოდიოდნენ და ბუდობდნენ ტბაში.
(გელოვანი 2009: 272)

სიმეტრიული ათმარცვლედით (5/5) შესრულებული, ჯვარედინი რითმით გამართულ ამ კატრენს (აბაბ), მოსდევს ე.წ. სონეტის გასაღები, ორტაეპედი:

და სძულდა ზეცას სილურჯე ტბისა,
სიკამკამე და თეთრი გედები.

ამ ორტაეპედს აგრძელებს ორი კატრენი:

და რომ შეფიცულ ღრუბლებს და ქარებს
მობეზრებოდათ ლაჟვარდი წმინდა
ცაც დასაქცევად გახსნიდა კარებს

და ნისლიანში თვეობით წვიმდა,
მაშინ სტოვებდნენ ტბის სუფთა სარკეს
შეშფოთებული თეთრი გედები
და ისველებდნენ ფრთებს უსპეტაკესს
და მიფრინავდნენ ვით იმედები.

მშობლიური გარემოდან იმედის წასვლის, უფრო სწორად, შეშფოთებული გაქცევის სურათია აღწერილი ზემოთ მოხმობილ ლექსში, რომელიც, პირობითად, შეიძლება არაკანონიკურ სონეტად მივიჩნიოთ.

მირზა გელოვანს, პოეტს, აწუხებდა და გულს უკლავდა ომი, რომელიც ნელ-ნელა სპობდა მასში სიწმინდესა და სინაზეს, ამიტომაც მოითხოვდა:

დააჩუმეთ ზარბაზნები,
გულმა უნდა იმღეროს.
(გელოვანი 2009: 354)

მირზა გელოვანისათვის მომაბეზრებელი, მოსაწყენი, არასასურველი იყო სამხედრო სამსახური, რომელიც მასში, როგორც ვთქვით, კლავდა პოეტს. „... დაე, ვიწვები და აღარ ავდგები, ოღონდ მწყობრში ნუ ჩამაყენებენ, ნუ მათვლევინებენ საკუთარ ნაბიჯებს. ვერ წარმოიდგენ, როგორ ვპატარავდები მწყობრში...

აქ რაც ჩამოველ, არც ერთი მზიანი დღე არ მინახავს... არსად არაფერი მოსჩანს, შენ სდგეხარ და გგონია, შენიდან იწყება უსასრულობა... ძვირფასო მეგობარო, ყოველდღე ვფიქრობ: რატომ არ არის ადგილი, სადაც დავწვები, თავისუფლად გავეკვრები მიწას და ვიყვირებ: – ვარსკვლავები დავინახე-მეთქი!" – წერდა მირზა გელოვანი გიორგი შატბერაშვილს (გელოვანი 2009: 509-510).

მირზა გელოვანის ნაწერების საარქივო გამოცემა უამრავ საფიქრალსა და სათქმელს აღძრავს. ზოგიერთი რამ ამ წერილით ითქვა, მაგრამ უფრო ბევრი – გამოსაკვლევი და საანალიზო – ელის მკვლევარსა და კრიტიკოსს..

**დამოწმებანი:**

**ვალერი 1958:** Valery, P. *The Art of Poetry*. Bollingen series, 45. New York: 1958.

**ვალერი 2010:** ვალერი პ. პოეზია და აბსტრაქტული აზრი. *ლიტერატურის ქრესტომათია*. II. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

**გელოვანი 1964:** გელოვანი მ. *„უბის წიგნაკიდან"*. თბილისი: „საბჭოთა საქართველო", 1964.

**გელოვანი 2009:** გელოვანი მ. *„დაბრუნება"*. თბილისი: ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანე", 2009.

**სოსიური 2002:** სოსიური ფ.დ. *ზოგადი ენათმეცნიერების კურსი*. თბილისი: „დიოგენე", 2002.

**ტაბიძე 1985:** ტაბიძე ტ. *ლექსები. პოემები. პროზა. წერილები*. თბილისი: „მერანი", 1985.

**ტაბიძე 2008:** ტაბიძე ტ. *ახალი ქართული ლიტერატურა XIX ს.-XX ს. 30-იან წლებამდე (მოკლე ნარკვევი)*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.

**ჯაბუშანური 2008:** ჯაბუშანური გ. მწერლობაში მოვიდნენ მირზა და ლადო. წიგნში: *მირზა გელოვანის ცხოვრებისა და შემოქმედების წიგნი „ივრისპირელი მზეჭაბუკი"*. თბილისი: „აბული-7", 2008.

**Tamar Barbakadze**

**Mirza Gelovani's "Returned" Sonnets and Other Verses**

**Summary**

*Key words:* "Return", sonnets, young man from Iori, Titsian

In the epoch of Soviet totalitarianism the works of many poets had been lost to Georgian writing for a long time and the poems depicting an objective picture of social life were under lock in archives. Censorship was harsh − not a single poetic line reflecting the anti-Soviet sentiment must have reached the reader. The works of the great Georgian poet Mirza Gelovani, who was perished in the World War II, have been unfairly hidden from Georgian literary criticism and versification. Only in the early 2000s it became possible to get acquainted with Mirza Gelovani's creativity in full: first in 2008 and then in 2009 by Archive edition.

By these publications the creativity of the "returned" poet is to be assessed and it should occupy an appropriate place in the history of Georgian literature. The unique character of Mirza Gelovani's poetry was influenced by Galaktion Tabidze's creativity, on the one hand, and on the other − Titsian Tabidze's tragic fate and original way of reception of the verse. The observation the euphony of Mirza Gelovani's verse proves that "intimate relation between word and notion"; "hesitation between sound and sense" (Paul Valeri) was realized in the verses dedicated to Galaktion Tabidze. Young Mirza presents Galaktion Tabidze's verses on the Georgian Parnas: in a verse dedicated to Galaktion and written in 1943: "I remember you" the key words [SegvRaRadeben~, `maRlobs~, `maRals~, `maRalo~] show the poetic ideal recognized by Mirza Gelovani.

In the verse dedicated to Galaktion the poet makes use of a graphical metaphor ("arms of a verse") asking for protection, entreating poets-patrons not to keep their works under lock.

In Mirza Gelovani's "returned" poetry of particular importance are the verses dedicated to Titsian Tabidze and Terenti Graneli – the victims of the Soviet regime.

M. Gelovani wrote the sonnet "To Titsian" in 1938. It is this stable verse form by which the young poet expressed his inner protest and love to elder spiritual brothers, the victims of tragic epoch. Mirza Gelovani greatly appreciated the role of the symbolist movement Tsisperkantselebi ("Blue Horns") in the establishment of European verse technique.

New details of Mirza Gelovani's biography which we learn from the book "The Young Man from Iori" issued in 2008, testify to the fact that the poet "remained young" identified himself as a member of Titsian Tabidze's order: in a picture shot in 1936 Mirza Gelovani has a white carnation on the chest. Mirza's friend, Natela Berdzenishvili recalls that Mirza Gelovani frequently wore a white carnation on his chest.

The paper explains the reason of a young poet, 19-year-old Mirza Gelovani's particular attention to the white carnation, white color: white carnation is a response to Titsian Tabidze's red carnation and white is appreciation of purity, honesty so much admired by Mirza Gelovani which he expressed in his verses written in the years of 1935-1936: "White Land" and "Marble". Generally, dominant color in Mirza Gelovani's poetry is white, snow. After Galaktion's "snow" it was very brave of him to use the metaphors of snow – "the white garment of the land" and of beloved – "marble". However, Mirza Gelovani did not lack self-assurance and faith.

Mirza Gelovani felt deep spiritual connectedness with Titsian Tabidze's personality and poetry and, at the same time, he created his own, original, distinguished poetic images. To explain this fact we make use of a well-known linguist and founder of the structural linguistics Ferdinand de Saussure's idea concerning "the power of communication" and the soul of one's own bell tower": the distribution of linguistic subordinate the same law as any habit, even fashion. In any group of people constantly act two simultaneous and opposite direction forces. On the one hand, particularistic, the soul of one's own bell tower" and, on the other hand, "the power of communication" which creates the basis for relationship between people. … If "the soul of one's own bell tower" makes people the inhabitants of one place, "the power of communication" forces them to communicate. In a word, it is a united principle and opposes to the disconnected act of one's own soul.

Georgian poets repressed by the soviet regime were united by tragedy of situation and the sentiment of being the sons of the subjugated country that became "the power of communication" and despite the fear, forced to communicate, and, on the other hand, original vision of concrete metaphors and peculiarity of verse parameters sounded with poet's own voice.

Mirza Gelovani's interest in "Blue Horns" movement and, especially Titsian Tabidze's fate and poetic images did not go unnoticed among his friends. This is evidences from the recollection of a well-known Georgian poet Gabriel Jabushanuri as he once was going to commit suicide in the city of Orjonikidze. In Mirza Gelovani's poem unpublished before 2009, "The Toast" which presumably was written after tragic death of Titsian Tabidze, when Mirza Gelovani's sonnet "To Titsian" was composed reminds several verses of Titsian: "Let it be their Toast", "Ria-Ria".

Mirza Gelovani's "Toast" is printed in several versions in the "Return" (M.Gelovani's archival edition) and it seems the poet did not finish wor-king at it.

"The soul of one's own bell tower" and "the power of communication" as a whole represent a source of Titsian Tabidze's and Mirza Gelovani's common pain in the poems: on the one hand, T. Tabidze's "If the Tergi be double" and, on the other hand, cited by Mirza, inspired by the title and content of T. Tabidze 's poem, the composition with the same title.

Mirza Gelovani together with T.Tabidze follows the way of I.Chavcha-vadze's patriotism and voices his protest against Georgia's enemies.

Titsian Tabidze's urban, festive poetry of ashugs also appears in Mirza Gelovani's works. He wrote his verse "Ashuruli" in honor to T.Tabidze and, on the other hand it is an attempt to master the technique of oriental verse in the form of the mukhambazi.

The verse form of sonnet so much favored by T.Tabidze and members of the Blue Horns in Mirza Gelovani's poetry was unknown until 2008-2009 because the poet's pocket books were under lock in the archive and hence, neither I, nor other scholars have ever mentioned Mirza Gelovani's sonnets. The "returned" sonnets evidence that Mirza Gelovani wrote 7 sonnets between the years 1935-1943. He wrote his last sonnet at the front in 1943 and sent it to his friend, Nikoloz Mikava with a remark that this sonnet was about love and he himself was thinking about love. This sonnet inspired by Othello and Desdemona is canonical: with the rhyme schemes (abba abba ccd eed), strophe – 2 quatrains

and 2 tertsets with metric (5/4/5). Mirza Gelovani's sonnets "I've gone to the Dreamery" (1935), "Shadow-Conductor" (1943), the undated sonnets: "I am in a coat of a ghost", "Vazha's beads" show Mirza Gelovani's interest in European stable verse forms. The poet wrote both by compositional scheme arranged in French sonnet (4+4+3+3) and English (12+12), and sonnets arranged by different systems of rhyming (French, Italian). One sonnet "The Picture" written at the front is created using free verse and poetic device of repetition.

ჟურნალი „სჯანი“, №16, 2015. გვ. 130-147.

**მანანა კვატაია**

## ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ სივრცეთა მიმართებისათვის

ვიქტორ ნოზაძის არქივში, რომელიც ამჟამად თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმში ინახება, მკვლევრის გერმანულ ენაზე დაწერილი ნაშრომია დაცული ორმაგი სათაურით: „Parallele zwischen Nibelungen und georgischen Epos (Parallele zwischen der hofischen Dichtung der mittelalterlichen Georgien und des westlichen Europas)“ – „პარალელები ნიბელუნგებსა და ქართულ ეპოსს შორის (პარალელები შუა საუკუნეების საქართველოსა და დასავლეთ ევროპის საკარო პოეზიას შორის)“. ტექსტი საბეჭდ მანქანაზეა გადაბეჭდილი და ზოგან ავტორის მიერ ხელითაა შესწორებული.

„ვეფხისტყაოსანი“ ისეთი ქართული ნაწარმოებია, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთსაც ერთნაირად გასცქერის და მაინც იგი წმინდა ეროვნული ხასიათისაა“, – წერს ინგლისელი ფილოლოგი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი მ. ბაურა. შუა საუკუნეების დასავლურ სარაინდო მწერლობასთან რუსთაველის მიმართების კვლევისას იგი ამ ეპოსთა საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს გამოჰყოფს. იმავე საკითხს ეხებიან ევროპელი მეცნიერები: ე. ჟალუ, რ. ლაკოტი, მ. ბიონი, ა. ზუტნერი, რ. ბლაიხშტაინერი, ჰ. ჰუპერტი, რ. სტივენსონი, ქართველი მეცნიერი ნ. სალია და სხვები (იხ. კრებული, რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, თბ., 1976 წ.). ამ მიმართებით ვ. ნოზაძის ხსენებულ გერმანულენოვან სამეცნიერო შრომას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: ჩანს, მისი მიზანი ევროპელი მკითხველისათვის ქართული მწერლობის ამ საგანძურის გაცნობა გახლდათ.

„პარალელები ნიბელუნგებსა და ქართულ ეპოსს შორის (პარალელები შუა საუკუნეების საქართველოსა და დასავლეთ ევროპის საკარო პოეზიას შორის)“ შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: „შესავალი“, „ეპოსის წინასიტყვაობა,“ „ეპოსის პერსონაჟები“, „რუსთველოლოგია“, „სტილი და ეპოსი (რუსთაველის პოეტიკა)“, „რუსთაველი და რელიგია“, „რუსთაველის მსოფლმხედველობა“, „ფეოდალიზმი „ვეფხისტყაოსანში“. ამას გარდა, სარჩევის მიხედვით, ნაშრომში უნდა ყოფილიყო „რუსთაველის ბიოგრაფია,“ „რუსი მწერლები რუსთაველის შესახებ“, „ბიბლიოგრაფია“ და „დასკვნა“, რაც საქაღალდეში ვერ ვიპოვეთ.

ქვემოთ გთავაზობთ ვ. ნოზაძის ზემოაღნიშნული გერმანული თხზულების ერთ მონაკვეთს, რომლის ქართული თარგმანი ჩვენ შევასრულეთ.

*ვიქტორ ნოზაძე*

## რუსთაველი და „ნიბელუნგების სიმღერა“

„ნიბელუნგების სიმღერა“ მე-12 საუკუნის დასასრულს ან მე-13 საუკუნის დასაწყისში შუა ზემოგერმანულად, განვითარებული შუასაუკუნეების ენაზე დაიწერა.

პირველი ოთხი სტროფი ასე ჟღერს:

„საკვირველ ამბებს გადმოგვცემს გარდასულ დროთა საგები,
გაბედულ გმირებს ჰქონიათ მხნეობა თუ რა საქები,
რა ცრემლები და გოდება, რა საზეიმო კრებანი,
გულად რაინდთა ბრძოლებზე ისმინეთ საოცრებანი.

ბურგუნდიაში ჰყვაოდა ასული კეთილშობილი,
ქვეყნად იმაზე ლამაზი არ იქნებოდა შობილი.
იწოდებოდა კრიმჰილდედ ეს ქალბატონი რჩეული,
მრავალმა გმირმა შესწირა მას სიცოცხლე და სხეული.

იქ სიყვარული მისადმი არავის ერცხვინებოდა.
არა ჰკიცხავდნენ იმას, ვინც მისის ტრფიალით დნებოდა.
ლამაზი იყო უზომოდ და ტურფა ზნეთა მჩენარი,
ყველა ქალების თვალი და იმათი დამამშვენარი.

მას სამი მეფე იცავდა, უამრავ განძთა მქონენი,
მხნე გუნთერი და გერნიტი, რაინდნი თავმომწონენი,
და გიზელჰერი, ჭაბუკი, მათებრვე მტერთა მზარავი,
იგი და იყო იმათი, ისინი მისი მფარავი".
(ნიბელუნგები 1961: 19).

ოთხი სტროფი ზუსტად ასევე კარგად გამოდგებოდა „ვეფხისტყაოსნის" პროლოგად, რადგან ისინი შინაარსითა და ფორმით მსგავსია.

„ნიბელუნგების სიმღერა" ნაწილობრივ ნამდვილ ისტორიულ მოვლენებს ასახავს. ამის საპირისპიროდ, რუსთაველის ეპოსში პოეტი თავის ფანტაზიას თავისუფალ გასაქანს აძლევს და, როგორც ჩვენ მოგვიანებით დავინახავთ, ის საქართველოს ისტორიულ ეტაპებს არ მისდევს.

„ნიბელუნგების სიმღერა" ორი ნაწილისაგან შედგება. 1. „ზიგფრიდის სიცოცხლე და სიკვდილი" და 2. „კრიმჰილდეს შურისძიება".

ა. ბარამიძე თავის შემადარებელ შტუდიებში „ნიბელუნგებს" „ვეფხისტყაოსანთან" მიმართებაში იკვლევს, აანალიზებს „ნიბელუნგების" მეორე ნაწილს, რომელსაც რუსთაველის ეპოსთან მართლაც მცირე მსგავსება აქვს. აქ კრიმჰილდეს შურისძიებაა გამოხატული მისი საყვარელი მეუღლის, ზიგფრიდის, მუხანათური მკვლელობის შემდეგ. ამ ნაწილში ნაზი ახალგაზრდა ქალი თითქმის შურისძიების ქალღმერთად გადაიქცევა. არა მხოლოდ ზიგფრიდის მკვლელები, არამედ სრულიად უდანაშაულო ადამიანებიც იხოცებიან, ნაწილობრივ, კრიმჰილდეს ახლო ნათესავებიც.

კრიმჰილდეს შურისძიების გვერდით ფერმკრთალდება თვით კოლხი მეფის ასულის, მედეას შურისძიება ბერძნული მითოლოგიიდან. კრიმჰილდეს ბრძანებითა და თავად მისი დახმარებით ბურგუნდებზე ისეთი მძიმე შურისძიება ეწყობა, რომ სისხლისღვრის დასასრულს ჰილდებრანდმა, ძველმა მებრძოლმა და კრიმჰილდეს მეორე ქმრის – ეტცელ-ატილას გერმანელმა ქვეშევრდომმა, ალბათ, ძლიერი ნერვების მამაკაცმა, ამის ატანა მეტად ველარ შესძლო და კრიმჰილდე სახელგანთქმული ხმლით – ბალმუნგით მოკლა, რომელიც წინათ მის პირველ ქმარს, ზიგფრიდს ეკუთვნოდა.

**მარცნიდან სიმონიკო ბერეჟიანი, ვიქტორ ნოზაძე, შალვა მარჯანიშვილი, შალვა მაღლაკელიძე**

თუ ჩვენ ამის საპირისპიროდ „ნიბელუნგების" პირველ ნაწილს „ვეფხისტყაოსანთან" შევადარებთ, ბევრ პარალელს მოვძებნით. ძირითადად ესაა სიყვარული ზიგფრიდსა და კრიმჰილდეს და ძმადნაფიცობა ზიგფრიდსა და გუნთერს შორის (მიუხედავად ამ უკანასკნელის ნაღვლიანი დასასრულისა მათი ცოლების ჩხუბის გამო). ძველ გერმანულ თქმულებაში ზიგფრიდი ნახევრად ღმერთი და გმირია. „ნიბელუნგების სიმღერაში" უკვე უფრო მეტად რაინდი და გმირია.

ზიგფრიდი ჯერ კიდევ გაგონილით შეიყვარებს კრიმჰილდეს, რადგან ის მთელს ბურგუნდსა და მეზობელ ქვეყნებში სილამაზითა და მომხიბლველობით იყო განთქმული. ზიგფრიდი ნიდერლანდებიდან ბურგუნდს გაემგზავრება, მისი ძმის ძმადნაფიცი ხდება და რაინდული წესისამებრ მის მოხიბლვას იწყებს, რათა ამგვარად მისი სიყვარული მოიპოვოს. კრიმჰილდე ზიგფრიდს თავისი ოთახის ფანჯრიდან შეხედავს და ის მალულად შეუყვარდება.

თავის სიყვარულში (მინნე) კრიმჰილდესადმი ზიგფრიდი სარაინდო სიყვარულის ყველა „რუსთაველურ" წესს ასრულებს, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის" პროლოგშია შემონახული. ის რუსთაველის იდეალური „მიჯნურია".

ჩვენ აქ პირველი შეხვედრის მოთხრობის ციტატას მოვიტანთ:

„გამოჩნდა ტურფა ისე, ვით ჩნდება ცისკარი დილისა,
გამფანტავი და მომსპობი შემოღრუბლულის ჩრდილისა.
ის, ვინც მისდამი ღრმა ტრფობის გამხელას ვერა ჰბედავდა,
მშვენიერებით შემოსილს ახლა თავის წინ ჰხედავდა.

მრავალი თვალი ძვირფასი მის სამოსელზე ნათობდა.
ვარდის ელფერი ღაწვთაგან შუქს მოციალეს ათოვდა.
უნდა სიტურფით მონატრულს ეთქვა აქ გამოტეხილად,
რომ ქვეყნად მსგავსი შვენება აქამდე თვალს არ ეხილა.

როგორც გავსილი მთოვარე, ვარსკვლავთა წინა სწრებული,
რომლისგან ღრუბლით გამოჰკრთის სხივთა ნათელი კრებული,
ისე ბრწყინავდა ქალთა წინ ნათელი მისის პირისა,
მის სილამაზეს შეეძლო ცეცხლად აღგზნება გმირისა.
საწოლთმსახურნი ვიდოდნენ წინაშე ქალბატონისა.
მჭვრეტელთა გასარღვეველად სისუსტე უჩნდათ ღონისა.
ვაჟნი ცდილობდნენ შეხედვას, მიმდგარნი, ვითარცა ტყენი.
ეს ზიგფრიდისთვის საამო იყო და თანაც საწყენი.

„როგორ ვფიქრობდი", ზრახვიდა ის გულში, ამის დამხედი,
„რომ მე შენ უნდა მიყვარდე? ო, სულელი და თავხედი!
მაგრამ მე შენსა სიშორეს აქ მირჩევნიან სიკვდილი".
ხან წითლდებოდა იგი და ხან ფერი ჰქონდა მიხდილი.

და ზიგელინდის ტურფა ძე იდგა, არ სხვათა გვანებით,
ვით პერგამენტზე ნახატი უდიდეს ხელოვანებით.
უნდა გულახდით გვეთქვა, რომ ჯერეთ არ არის ნახული
ქვეყნად სხვა სახე გმირისა, ეგზომ ლამაზად სახული".
(ნიბელუნგები 1961: 86-87).

გვეჩვენება, ზემო სტროფები თითქოსდა რუსთაველის მეტაფორებიდანაა ციტირებული, ვინაიდან ამ პირველ შეხვედრას ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის პირველ შეხვედრასთან საოცარი მსგავსება აქვს.

ამჟამად ჩვენ შევეხებით ძმადნაფიცობას გერმანულ ეპოსში.

„კეთილი იყოს", გაისმა ხმა ნორჩის გაზელჰერისა. –
„აქ მობრძანება თქვენი და თანამხლებლების თქვენისა.
ტოლ-მეგობრებით სამსახურს გაგიწევთ სავსე ლხინითა".
დაიწყო გამასპინძლება მეფე გუნთერის ღვინითა.

მაშინ სთქვა ქვეყნის მფლობელმა. „რაც ჩვენ გვეკუთვნის, ყოველი
გვთხოვეთ ზრდილობით და მყისვე გახდებით მისი მშოველი.
ჩვენს გონებას და სისხლსაც კი გაგიზიარებთ მთლიანად".
(ნიბელუნგები 1961: 41).

ხელგაშლილობა, რომელიც გამფლანგველობას ესაზღვრება, არა მხოლოდ რუსთაველის, არამედ „ნიბელუნგების" გმირებსაც ახასიათებთ. ასე ტარიელი, ავთანდილი და თინათინი თავიანთ სიმდიდრეს თავიანთ წრეში ინაწილებენ. ასევე გუნთერი, კრიმჰილდე და „ნიბელუნგების სიმღერის" სხვა გმირები უხვად ასაჩუქრებენ თავიანთ მსახურთ და მოგზაურ ხალხს (ე.ი. მომღერლებს, მუსიკოსებს, მოხეტიალე რაინდებს და სხვა), ეს სიუხვე (ხელგაშლილობა) სარაინდო კოდექსით იყო განსაზღვრული, ე.ი. კოდექსის თანახმად, მთელი ევროპელი (მათ შორის ქართველი) რაინდობისათვის მე-11-13 საუკუნეებში საყოველთაო იყო.

ჩვენს დღევანდელ მკითხველს შეიძლება ზოგჯერ განსაკუთრებულად მოეჩვენოს ის, რომ რუსთაველის გმირები ასე ხშირად ტირიან. „ვეფხისტყაოსნის" მთავარი გმირები – არა მხოლოდ ქალები, არამედ ჭაბუკებიც ხშირად ტირიან და ცრემლების „ნაკადულებს", „მდინარეებს", „ტბებს", „ზღვებს" ადენენ.

თუმცა 'ოდისეასა" და „ილიადაშიც" არის შემთხვევა. ბერძნული და სხვა ანტიკური ეპოსის გმირები, დიტრიხ ფონ ბერნი (თეოდორიხ დიდი), ეტცელ (ატილა) და სხვებიც ტირიან. ჩვენ ავიღებთ ნაწყვეტს „ნიბელუნგებიდან", სადაც ზიგფრიდის, გუნთერისა და კრიმჰილდის ტირილია აღწერილი, რომლებიც მათ ტრაგიკულ ბედისწერას წინასწარმეტყველებენ. „ისინი ალბათ გულით მომავალ უბედურებას გრძნობდნენ, მათ, როგორც აქ ერთმა თქვა, ყველას უნდა ეტირა. ცრემლების ოქრო მათ მკერდზე ჩამოედინებოდა, ისინი (ცრემლები) თვალებიდან ველზე უხვად ეცემოდნენ".

ჩანს, ეს მაშინდელ ქართულ და ევროპულ ჩვეულებებს და დროის გემოვნებას შეესატყვისებოდა.

**დამოწმებული ლიტერატურა:**

1. **ნიბელუნგები 1961:** „სიმღერა ნიბელუნგებზე". თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა, მე-3 გამოცემა, თბილისი: „საბჭოთა საქართველო", 1961.

# ისტორია

რონ მეტრეველი

## ფიქრები ისტორიაზე



XII საუკუნის დასასრულს ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობაც მოეწყო (1199 წ.). ამ ლაშქრობის მესვეური რომის პაპი ინოკენტი III გახლდათ. ვერც ამჯერად მოხერხდა დასახული მიზნის შესრულება. გამოვლინდა კი ერთი მთავარი რამ – ჯვაროსნული ომები მძარცველურ ხასიათს ატარებდა.

როგორი იყო საქართველოს სახელმწიფოს დამოკიდებულება ჯვაროსნულ ომებთან? ვფიქრობთ, დავით აღმაშენებლისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ჯვაროსანთა ომების რეალური მიზნები. ქართული ხელისუფლება აკვირდებოდა საერთაშორისო ვითარებას. დავით აღმაშენებლისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ჯვაროსანთა მარშრუტები, ბრძოლის შედეგები. აშკარად ჩანს, რომ საქართველოს მეფემ გარკვეულ კონკრეტულ ვითარებაში ქვეყნის პოლიტიკა შექმნილ საერთაშორისო ვითარებას მიუსადაგა. საგულისხმოა, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თურქ-სელჩუკების საქართველოს სამეფოს წარმატებებს, ქართლის მოშენებასა და ხარკის შეწყვეტას ჯვაროსანთა მიერ ანტიოქიისა და იერუსალიმის აღებასთან აკავშირებს[1].

ფაქტობრივად დავით აღმაშენებელმა ჯვაროსნული ომები თავის სასარგებლოდ გამოიყენა – ჯვაროსნების მიერ ახლად დაარსებული სამთავროები საქართველოს თავის მეგობრად თვლიდნენ. გარკვევით უნდა ითქვას, რომ საქართველო დამოუკიდებლად იბრძოდა თავისუფლებისათვის და არავის იმედზე არ ყოფილა[2].

ნიშანდობლივია ზურაბ ავალიშვილის აზრი, რომ საქართველოს ჯვაროსანთაგან არ საჭიროებდა და არც მოელოდა დახმარებას, პირიქით, საქართველოს დაპყრობაც (სხვა ქვეყნებთან ერთად) მათ მიზანს შეადგენდა[3]. იქნებ ასეც იყო, მაგრამ ჯვაროსანთა ომებმა, რომ თურქ-სელჩუკთა ძლიერება გატეხა, ეს აშკარაა, რამაც ხელი შეუწყო ქართველთა გამათავისუფლებელი ბრძოლის გააქტიურებასა და წარმატებას.[4]

არ არის შემთხვევითი, რომ დიდგორის ბრძოლაში დავით აღმაშენებელმა მოლაშქრეთა (40 000 ქართველი, 15 ათასი ყივჩაყი, 500 ალანი) შორის ევროპელი რაინდები (100 მეომარი) გამოიყვანა. ესენი ჯვაროსნული ომების დროს სხვადასხვა გზით საქართველოში მოხვედრილი ევროპელები იყვნენ.[5] ისტორიკოსები (თათარყან დადეშქელიანი, ივანე ჯავახიშვილი, სარგის კაკაბაძე, შოთა მესხია და სხვ.) სრულიად შესაძლებლად მიიჩნევენ დავით აღმაშენებლის ლაშქარში ჯვაროსნების მონაწილეობას[6].

საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან შემდეგ საუკუნეებშიც გრძელდებოდა.

ფაქტია, რომ XII საუკუნე ჯვაროსნებისათვის მეტად მძიმე და შედეგებით მწირი (შეიძლება ტრაგიკულიც) იყო.

ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობამ, რომელიც ქრონოლოგიურად XIII საუკუნეშიც გადავიდა, შე-

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 309.
[2] რ.მეტრეველი, ჯვაროსნული ომები და საქართველოს სამეფო, თბ., 2012, გვ. 16-22.
[3] ზ.ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, თბ., 1989, გვ. 27-44.
[4] იხ. რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002.
[5] ნიშანდობლივია, რომ 1118 წ. იერუსალიმში ჩამოყალიბდა „ტამპლიერთა" სამხედრო-სასულიერო ძმობა, ე.წ. „ტაძარი" („მეტაძრეთა ორდენია", რომელმაც ჯვაროსანთა მონაპოვრის დაცვა გაიხადა მიზნად.
[6] ზ. ავალიშვილი, იქვე, გვ. 106-107.

დეგად მიიღო ეფემერული ლათინური იმპერია (ბიზანტიმი), რომელმაც XIII საუკუნის შუაწლებამდე იარსება. საინტერესოა, რომ ამ პერიოდში პაპის მიერ ეკლესიისაგან განკვეთილმა ფრიდრიხ II-მ წარადგინა ქრისტიანთა უფლებები იერუსალიმში (1229 წ.), თუმცა სულ მალე იგი კვლავ მუსლიმებმა დაიკავეს.

გამოჩენილმა ფრანგმა ისტორიკოსმა, პროფესორმა ჟაკ ლე გოფმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო XII საუკუნეში ქალაქების როლს. მიიჩნია, რომ ქალაქმა დიდი წვლილი შეიტანა ადამიანთა სულიერ ცხოვრებაზე[1]. XI ს. და განსაკუთრებით XII საუკუნეში მონასტრებმა შექმნეს პირობები ხელოვნებისა და ზოგადად კულტურის განვითარებისათვის. ამ პერიოდისათვის კულტურის ცენტრებმა მონასტრებიდან ქალაქებში გადაინაცვლა. ეს განსაკუთრებით განათლებასა და არქიტექტურაში გამოჩნდა. XII საუკუნეში ქალაქის სკოლებმა აშკარად აჯობეს სამონასტროებს. ახალი სასწავლო ცენტრები გამოირჩეოდნენ თავისი პროგრამებითა და მეთოდიკით, პედაგოგთა დონით. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა უნივერსიტეტებში, რომლებიც ადამიანთა ინტელექტუალური შრომის კორპორაციას წარმოადგენდნენ. რომაული ხელოვნება XII საუკუნის განმავლობაში გარდაქმნის გზას დაადგა.

რომაულ სამყაროში ქალაქები, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური, ადმინისტრაციული და სამხედრო ცენტრები იყვნენ, შემდეგ – ეკონომიური. საერთოდ დასავლეთში ქრისტიანული რელიგია ზრუნავდა საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის. საეპისკოპოსო ქალაქები ნომინალურად ინარჩუნებდნენ გარკვეულ ეკონომიკურ ფუნქციას. ნიშანდობლივია, რომ XII საუკუნეში საკმაოდ მრავლად იყო ქალაქები აღმოსავლეთის ქვეყნებში, რომლებიც ძირითადად სავაჭრო და ხელოსნობის ცენტრები იყვნენ. გარკვეული განვითარება ჰპოვეს XII საუკუნეში საქართველოს ქალაქებმა. ისინი მრავალმხრივ საქმიანობდნენ. გარდა ძირითადი – ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებისა, პოლიტიკაშიც გარკვეულად მონაწილეობდნენ. გავიხსენოთ თბილისელი დიდვაჭრის ზანქან ზორაბაშელის მისია მეფე თამარისათვის საქმროს ჩამოყვანის საქმეში. საგულისხმოა, რომ ყუთლუ-არსლიანის გამოსვლის შემდეგ (თამარის წინააღმდეგ), სახელმწიფო დარბაზში საქალაქო ზედაფენების წარმომადგენლებიც შევიდნენ [ვფიქრობთ ამისი ნათელი მაგალითია აბულასანის პიროვნება, რომელიც თამარის მეუღლის კანდიდატურის დასახელებას საკმაოდ მაღალ წრეში (სამეფო დარბაზში) ბედავს]. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, ისე როგორც ისტორიის თითქმის ყველა დარგი, დიდმა ივანე ჯავახიშვილმა შეისწავლა. საგანგებო მონოგრაფია უძღვნა გამოჩენილმა ისტორიკოსმა შოთა მესხიამ. ეს ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევა დღესაც სამაგიდო წიგნია ქართველი ისტორიკოსისათვის. მანვე გამოსცა წიგნი „საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში“, რომელმაც დაასაბუთა, რომ XII საუკუნის პირველი მეოთხედის თბილისში არსებობდა ე.წ. საქალაქო კომუნა. ეს თამამი დებულება, რომელიც მე სრულიად მართებულად მიმაჩნია, გარკვეული დავის საგანი გახდა. ვფიქრობთ, შ. მესხიამ ამ დავაშიც დამაჯერებლად დაასაბუთა თავისი დებულების სისწორე. ყველა შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ XII საუკუნის თბილისი მაღალი განვითარების ევროპულ-აღმოსავლური ქალაქი იყო.

ხაზგასასმელია, რომ ევროპაში XII საუკუნის განმავლობაში საქალაქო სკოლები უპირატესობას იღებენ სამონასტროებთან. ჟაკ ლე გოფმა, ხატოვნად აღნიშნა, რომ „სქოლასტიკა ქალაქების ქალიშვილია“[1]. ქალაქებში ჩნდება ახალი სასწავლო დაწესებულებები – უნივერსიტეტები. თავის მხრივ უნივერსიტეტები წარმოადგენდნენ ინტელექტუალური შრომის ადამიანთა კორპორაციებს. სწავლა, ისე როგორც მეცნიერების ამა თუ იმ დარგის გადაცემა – სწავლება გახდა „ხელობა“ – მოღვაწეობის ერთ-ერთი იმ მრავალრიცხოვანი სახეობიდან, რომელიც საქალაქო ცხოვრებისათვის იყო დამახასიათებელი. მართლაც უნივერსიტეტები ევროპაში იყო პროფესორთა და სტუდენტთა კორპორაციები (universitates magistrorum et scolarium). ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ტერმინი „უნივერსიტეტი“ (universitas) „კორპორაციის“ ბადალია.

[1] Жак ле Гофф, цивилизасия средневекового зарада, Екатеринебург, 2005, ст.100

[1] Жак Ле Гофф, იქვე.

თანამედროვე მკვლევართა დამსახურებაა ეკლესიის (მონასტრების) როლის ჩვენება, რომელსაც ისინი ასრულებდნენ დიდგვაროვანთა ძალაუფლების კრისტალიზაციაში. ძღვენი, რომელიც მიმართული იყო ეკლესია-მონასტრებისათვის (ასეთი ბევრი იყო) „წმინდა მფარველის" გარანტია იყო დიდგვაროვანთა საკითხებში მიწის ფლობისა.

ე.წ. საოჯახო მონასტერი ან ეკლესია, რომელსაც მიწები ჰქონდა, პატრიმონიუმის როლს ასრულებდა. საოჯახო ეკლესიას უფლება ჰქონდა განეკარგა მიწები, სხვა ქონებაც (ეს ქონება შემოდიოდა ე.წ. „საეკლესიო მეათედის" (ნაათალი) საშუალებით. მონასტერში ხდებოდა სიმდიდრის აკუმულირება. საჭირო შემთხვევაში (ციხის აშენება, ჯარის დაქირავება-შეგროვება და სხვ.). შესაძლებელი იყო მისი გამოყენება. ამგვარი მოქმედება მაღალი საზოგადოებისათვის კაროლინგების დროიდან მოდიოდა. ამ დროს ეს ერთ-ერთი საშუალება იყო, რომელიც საიმპერატორო ხელისუფლებისაგან მიეღოთ ფეოდალებს. კაროლინგების იმპერიის დაცემის შემდეგ კერძო ეკლესიის ინსტიტუტი მნიშვნელოვანი ხდება ძლიერ დიდგვაროვანთა პოლიტიკაში.

XII საუკუნის დასავლეთის ბევრი ქვეყანა ნაბიჯს დგამს ეკლესიის განსაახლებლად, მიაჩნიათ, რომ რეფორმა აუცილებელია. „ხანგრძლივი XII საუკუნის" განმავლობაში სხვადასხვა მექანიზმი შეიქმნა ეკლესიის გარდაქმნისათვის. ეკლესიამ თანდათან შეიძინა „კლასიკური თვისებები".[1]

ვფიქრობთ, რომ მიუხედავად უკანასკნელ პერიოდში ჩვენში (საქართველოში) არსებული საეკლესიო ისტორიის ინტენსიური კვლევებისა, მომავალმა მედიევისტებმა უფრო ღრმად უნდა ჩაიხედონ და გაარკვიონ ლიტურგიკის პრობლემები (საეკლესიო საიდუმლოებები, განსაკუთრებით ზიარებასთან დაკავშირებული საკითხები, შუა საუკუნეების საეკლესიო სოციოლოგია და სხვ.). არ შეიძლება სწორედ XII საუკუნის მსოფლიოში არ დაინახო ევქარისტული კულტის განმტკიცება. ევქარისტია ტარდებოდა მხოლოდ ნაკურთხ ეკლესიებში (წინააღმდეგ ერეტიკოსთა სწრაფვისა ჩაეტარებინათ ტყეებსა და მინდვრებში), არსებული წესების მკაცრი დაცვით.

ზედმეტად მიმაჩნია ვრცლად შევჩერდე საქართველოში საეკლესიო რეფორმებზე, რომელიც XII საუკუნეში გატარდა. 1104 წელს დავით აღმაშენებლის მაგიერ მოწვეული და საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარე რუის-ურბნისის საეკლესიო კრება არსებითი ხასიათის ღონისძიება იყო, როგორც სახელმწიფო, ისე საეკლესიო სფეროში. საქართველოს საბოლოო გაერთიანება ეკლესიის – ამ დიდი ფეოდალური ძალის, მონარქიასთან ურთიერთობის მოუგვარებლად წარმოუდგენელი იყო. ეკლესიის ცალკეული დაწესებულებები ზოგჯერ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსული ერისთავების დაცვას კისრულობდნენ. ამით ეკლესია ხაზს უსვამდა (ზოგჯერ ებღაუჭებოდა) თავის პრიორიტეტს სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე.

რუის-ურბნისის კრებამ მიიღო უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, ე.წ. „ძეგლისწერაჲ წმიდისა და ღვთივშეკრებულისა კრებისაჲ". კრების დადგენილებით განიკვეთნენ ეკლესიისაგან ის პირები, რომლებსაც „ვერღირსებით" ჰქონდათ მოპოვებული თანამდებობები. არჩეულ იქნენ უფრო ღირსეული პირები, რომლებიც ასაკითაც და საქმიანობითაც შეეფერებოდნენ თანამდებობებს. დაკანონდა სამღვდელო პირთა ხელდასხმის წესი, განისაზღვრა ასაკი, აიკრძალა ეკლესიის გარეშე გვირგვინის კურთხევა, დაკანონდა გვირგვინის კურთხევის წესი. კრებამ აკრძალა სხვადასხვა უწესობანი, რაც დამკვიდრებული ყოფილა საეკლესიო პირთა შორის. გასწორდა სხვა ნაკლოვანებებიც, რაც მანამდე ეკლესიას გააჩნდა.

უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის „ხელის" თანამდებობის დაწესება. ესეც XII საუკუნის საქართველოს სამეფო ხელისუფლების მნიშვნელოვანი რეფორმატორული საქმიანობა იყო. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ჭყონდიდელ-მწიგნობარუხუცესობის დაწესების შემდეგ იყო ეკლესიაზე სამეფო ხელისუფლების გავლენის გაზრდა-გაფართოება: „მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგს ლოცვისას და ყოველსა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდნენ, ვითარცა კანონსა უცდომელსა, ყოვლად შუენიერსა და დაწყობილსა კეთილწესიერებისა ლოცვისა და მარხვი-

[1] П.Ю. Уваров, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

სა“[1].

ამგვარად, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულების მოდელი XII საუკუნის საქართველოში ასეთია: ეკლესია სახელმწიფო ხელისუფლების გავლენას განიცდის (განსაკუთრებით ამ საუკუნის I მეოთხედში), თუმცა XII საუკუნის მეორე ნახევარში ადგილი აქვს ამ გავლენის გარკვეულ შესუსტებას. ასე მაგალითად, ორბელთა ამბოხების ჩახშობის (1178 წ.) შემდეგ გიორგი მესამემ გაითვალისწინა ეკლესიის პროტესტი და გასცა „საქართველოს ეკლესიის შეუვალობის განახლების სიგელი“, რომელიც აცხადებს „ეკლესიათა სამეფოჲსა ჩუენისათა ყოვლისა ბეგრისა უსამართლოჲსათა და დაჭირებულისაგან“ ხსნასა და განთავისუფლებას. როგორც ჩანს, მეფემ ეკლესიაზე გასცა საგადასახადო იმუნიტეტი.

ეკლესიამ ქალაქებთან ერთად მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სულიერი, კულტურული ცხოვრების განვითარებას. ეს განსაკუთრებით სწორედ XII საუკუნეში გამოჩნდა. ეკლესიამ კეთილმყოფელი გარემო შექმნა ხელოვნებისა და კულტურის განვითარებისათვის. ევროპის მონასტრებში თვალსაჩინოდ განვითარდა მისტიკური სპირიტუალიზმი და რომანული ხელოვნება. დროდადრო კულტურის ცენტრებმა მონასტრებიდან ქალაქებში გადაინაცვლეს[1].

არსებითი იყო XII საუკუნის ეკლესიის როლი ქრისტიანული სამყაროს აღზევებაში. ეკლესია ქმედით ძალას წარმოადგენდა ეკონომიკაშიც. იგი გარკვეულ საშუალებებს, რისი მფლობელიც იყო, აბანდებდა კიდეც. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მშენებლობებში, მათ შორის, საეკლესიო მშენებლობებში, რომელიც დიდ ფინანსირებას ითხოვდა, ეკლესიის ქონების მიმოქცევაში შემოტანას. ეკლესიების ამ ქმედებაში ძირითადი ეკონომიკური რეალიები იყო (ამას იმიტომ უსვამდნენ ხაზს, რომ ზოგჯერ სასწაულს მიაწერდნენ ეკლესიის მიერ გადადგმულ მეტად სასარგებლო ნაბიჯებს).

ეკლესია მთელი XII საუკუნის განმავლობაში მფარველობდა ვაჭრებს, ყოველგვარად ცდილობდა შეემცირებინა დაპირისპირება ფეოდალებს (სენიორებს) და ვაჭრებს შორის. ეკლესია ყოველმხრივ ზრუნავდა ეკონომიკის განვითარებაზე. იგი იწყნარებდა შერისხულებსაც, რომლებიც „ღვთისწყრომის“ გამო დასჯილები (ცოდვილები) თავგამოდებით შრომობდნენ „არსობის პურის“ მოსაპოვებლად.

ეკლესია ყოველგვარად ერგებოდა საზოგადოების ევოლუციას და სასულიერო ლოზუნგებით უზრუნველყოფდა (ეს კარგად გამოჩნდა ჯვაროსნული ლაშქრობების დროს). ეკლესია გარკვეულად მხარში ედგა წარმატებულ მდიდრებს, რომლებიც შეწუხებული იყვნენ თავისი სიმდიდრით (სახარება პირდაპირ მანიშნებს მდიდართა სამოთხეში ვერ მოხვედრის შესახებ).

თუ გადავხედავთ აღმოსავლეთის ქვეყნებს, XII საუკუნე აქაც გამორჩეული პერიოდია მათ ცხოვრებაში. სწორედ ამ საუკუნეში ამაღლდა აზერბაიჯანული კულტურა. აქ კულტურის განვითარებაში დიდი იყო არაბთა წილი. მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ირანელებიც, ტაჯიკები, უზბეკები. გავრცელებული იყო არაბული ენა და ბევრი სხვადასხვა ეროვნების მოღვაწე არაბულად წერდა. ამასთან, მათ მიერ შექმნილი ესა თუ ის ნაწარმოები სამშობლო ქვეყნის საკუთრებას წარმოადგენდა. არაბულენოვანები იყვნენ ისტორიკოსები და გეოგრაფოსები წარმოშობით ტაჯიკი და ირანელი – თაბარი, ბალაძორი, ალ-ბალხი, ალ-ისთახარი, უზბეკი – ხორეზმი, ასევე შუააზიელი მეცნიერები ბირუნი და აბუ ალი იბნ-სინა (ავიცენა). მსოფლიო პოეზიის სიამაყეს წარმოადგენენ ტაჯიკი რუდაქი, ირანელი ფირდოუი, აზერბაიჯანელი ხაგანი და ნიზამი განჯელი. საგულისხმოა, რომ ზემოდასახელებულ ავტორებს დაცული აქვთ ცნობები საქართველოს, მისი კულტურისა და ზოგადად ისტორიის შესახებ.

მაღალ დონეს აღწევს არქიტექტურა. ამაზე მეტყველებს XII საუკუნის შუაწლებში ხუროთმოძღვარ აჯამის მიერ აგებული რამდენიმე მავზოლეუმი. როგორც ჩანს ნახჩევანის არქიტექტურული სკოლა მნიშვნელოვანი იყო. მისი გავლენით სხვადასხვა ქალაქებშიც (მარაგი, ურმია, ჯულფა) აიგო

[1] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ.
[1] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ.

სასახლეები, ქარვასლები, მუზეუმები, ხიდები, ციხესიმაგრეები და სხვ. შემახის მახლობლად მთაზე აგებულ იქნა სახელგანთქმული ციხესიმაგრე, გიულისტანი.

XII საუკუნის ბევრი ხუროთმოძღვრული ძეგლია შემორჩენილი სამარყანდაში, გერათში, მეშხედში, ისპაჰანში, ბაღდადში. აღმოსავლეთში განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე იყო პოეზია. ამას ხელისუფლებაც უწყობდა ხელს. ამ მხრივ გამორჩეული იყო შირვანშაჰები – მენუჩეხრ II (1120-1149 წწ.) და მისი შვილი ახსიტან I (1149-1203 წწ.). პირველ მათგანს „პოეტების მეფეს" (მელიქ-უშშუარა) უწოდებდნენ. ისინი საგანგებოდ მართავდნენ პოეტურ შეჯიბრებებს (მეჯლისებს) და ახალისებდნენ მათ (გავიხსენოთ დავით IV აღმაშენებლის დამოკიდებულება, მისი დიდი ამაგი ხელოვნების მუშაკების, მათ შორის, პოეტებისადმი). გერმანიის იმპერატორის ფრიდრიხ ბარბაროსას (1155-1190 წწ.) ანალოგიური ქმედებები. არ შეიძლება არ აღინიშნოს ხაგანი შირვანის (1120-1190 წწ.) მოღვაწეობა. იგი ღრმად განათლებული პიროვნება იყო. მისთვის, რწმენით მუსლიმისთვის, კარგად იყო ცნობილი ქრისტიანული რელიგიის საფუძვლები. ხაგანი მისი ფსევდონიმია და „მეფეს" ნიშნავს. მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, რომ ხაგანი შირვანს მეტად საინტერესო ცნობები აქვს საქართველოს შესახებ. საინტერესოა ხაგანი შირვანის ცნობა, რომ „აბხაზს მოსახლე გავხდი და ქართულად მოლაპარაკეო" (მ. თოდუა, ქართულ-სპარსული ეტიუდები, III, გვ. 33). ეს ინფორმაცია ადრეც მიგვიწოდებია მკითხველისათვის, მაგრამ ახლაც აუცილებლად ჩავთვალეთ მისი მოტანა. გარდა იმისა, რომ ამ ფრაზიდან ხაგანი შირვანის დამოკიდებულება ჩანს საქართველოსადმი (იგი როგორც თითონ ამბობს, აქ ცხოვრობს და ლაპარაკობს ქართულად), ხაზს უსვამს ტერმინ „აბხაზის" მნიშვნელობას, რომ „აბხაზი" „ქართველის" ბადალი ტერმინია. ხშირია შემთხვევები, რომ დავით IV აღმაშენებელს „აბხაზის პატრონად" მოიხსენიებენ, ე.ი. საქართველოს მეფედ მიიჩნევენ – „აფხაზეთს" „საქართველოსთან" აიგივებენ. ერთი მუსლიმი გამგებლის დავით IV აღმაშენებლისადმი გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „... ქრისტეს მოწაფეთა გვირგვინისა; ტახტთა და გვირგვინთა მემკვიდრეობით მპყრობელისა; აღმოსავლეთისა და დასავლეთის სტეფანოსისა, ქრისტეს სარწმუნოების მცველისა; ა ბ ხ ა ზ ი ს , შაქის, ალანის და რუსის მეფეთ-მეფისა". სხვა წერილშიც ასეა მოხსენიებული: „... აბხაზთა მეფეთ-მეფისა; რუმისა და რუსის მარზმანის; ქრისტეს სარწმუნოების შემწის (დღეგრძელიმც ჰყოს ალაჰმა მეუფება მისი)..." და ა.შ. იქნებ არც იყო აუცილებელი ამ ცნობების მოწოდება, მაგრამ საჭიროა თუნდაც იმიტომ, რომ ვაჩვენოთ წყაროებში მოტანილი „აფხაზეთის" „საქართველოსთან" იდენტურება, და ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ, რომ „აფხაზთა სამეფო" დასავლეთ ქართული (ხაზს ვუსვამთ – ქართული) პოლიტიკური ერთეულია (იხ. აფხაზთა მეცნიერების, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ზურაბ ანჩაბაძის სტატია „აფხაზთა სამეფო" ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, (ტ. II)

ყოველივე ეს მსჯელობა მოვაყოლეთ იმას, რომ მიგვენიშნებინა ხაგანი შირვანის მრავალმხრივობაზე და მის საქართველოსთან დამოკიდებულებაზე. იგი ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, როგორც ქართველი კულტურის კარგი მცოდნე. პოეტმა თავის ლექსიკონში ქართველი სიტყვებიც შეიტანა. მნიშვნელოვანია ხაგანი შირვანის პოეტური ციკლი, რომელსაც „ხაბსიი" („ციხისანი") ეწოდება. პოეტის ნაწარმოებში „თოხფეტულ-ირაგეინ („ორი ერაყის საჩუქარი") ასახავს მის პილიგრიმულ მოგზაურობას მექასა და მედინაში. ხაგანი შირვანის შემოქმედება აღიარებული იქნა მთელს აღმოსავლეთში.

XII საუკუნის აღმოსავლეთის შემოქმედთა შორის გამორჩეულია ნიზამი განჯელი (1141-1209 წწ.). მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ქ. განჯასთან არის დაკავშირებული. იმ დროს შესაფერისად, სხვა პოეტების მსგავსად, მას ფარსის ენაზე უხდებოდა წერა. თავისი ხუთი პოემის კრებულში („ხამსე") გამორჩეული იყო მისი პირველი პოემა „საიდუმლოებათა საუნჯე". ეს პოემები XII საუკუნის 70-იან წლებში შეიქმნა. შემდეგ ამას მოჰყვა უკვდავი პოემები „ხოსროვი და შირინი", „ლეილი და მეჯნუნი", „შვიდი მზეთუნახავი" და „ისკანდერ-ნამე". ნიზამი განჯელი იყო თავისი დროის გენიალური მოაზროვნე. მან დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის აღმოსავლურ მწერლობაზე.

ხაგანი შარვანი და ნიზამი განჯელი მიუთითებენ აღმოსავლეთის მეცნიერებისა და კულტურის მაღალ განვითარებაზე.

რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობაა XII საუკუნის შუა აზიაში. როგორც ცნობილია, X საუკუნეში ხალიფატს გამოეყო სამანიდების სახელმწიფო, რომელმაც გააერთიანა შუა აზია და ხორასანი.[1] ამ გაერთიანებამ კულტურულად ვერ განაცალკევა შუა აზია ირანისა და მგალობელი აღმოსავლეთისაგან. თუმცა ხელი შეუწყო სახელმწიფოს ფარგლებში ახალი ეროვნების – ტაჯიკების შექმნას, რომელსაც ხალიფატის სხვა რეგიონების ტრადიციებსა და მიღწევებზე დაფუძნებული კულტურა ჰქონდა. ამ ფუძეზე შეიქმნა შუა საუკუნეების აღმოსავლეთის ისეთი გიგანტები, როგორებიც იყვნენ იბნ-სინა, ალ-ფარაბი და ალ-ბირუნი.

XII საუკუნეში შუა აზია პოლიტიკურად დაქუცმაცებული იყო. თუმცა ამას გავლენა არ ჰქონია ეკონომიკურ და კულტურულ ერთიანობაზე. ვითარდებოდა ქალაქები, საქალაქო ცხოვრება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მომთაბარეთა თავდასხმები დიდ ზიანს აყენებდა ქვეყანას. ხორასნისათვის განსაკუთრებით მძიმე იყო XII ს., როცა მტრის თავდასხმებისაგან ბევრი ქალაქი დაინგრა. გარკვეულ დაცემას განიცდიდა მეცნიერება და ლიტერატურა მავერანახრში[2]. შეწყდა საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარება, დაქვეითდა ისტორიული დარგი, არ გამოჩენილა ამ პერიოდში არც ერთი მნიშვნელოვანი სახე პოეზიაში. მხოლოდ რელიგიური მეცნიერება განაგრძობდა განვითარებას.

შუა საუკუნეების ახალი გაერთიანება XIII საუკუნიდან დაიწყო ხორეზმის მეთაურობით. აქაც უნდა ითქვას, რომ ხორეზმშ-ბეის ვრცელი სახელმწიფო, რომელიც მუსლიმური სამყაროს მთელ ძალაუფლებაზე აცხადებდა პრეტენზიას, ეყრდნობოდა მომთაბარეთა ლაშქარს (ყივჩაყებს). მონღოლთა შემოთხვევებმა ამ იმპერიასაც მოუღო ბოლო.

XII საუკუნეში დაწინაურებული ქალაქებია ანისი და დვინი. ანისი ამ პერიოდში ასი ათასამდე მცხოვრებს ითვლიდა და სომხეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი იყო. XI საუკუნის 60-იანი წლებიდან სელჩუკებმა დაიპყრეს. 1072 წელს შედადიანებმა (ქურთული წარმოშობის დინასტია ირანსა და სომხეთში) გამოისყიდეს და თავის სამფლობელოდ აქციეს.

1124 წელს ანისის მოქალაქეთა წარმომადგენლებმა დავით IV აღმაშენებელს შესთავაზეს ქალაქის ჩაბარება. საქართველოს მეფემ გაილაშქრა ანისზე, აიღო იგი და საქართველოს სამეფოს შემოუერთა. დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ ყმადნაფიცობის პირობით კვლავ შედადიანებმა დაიბრუნეს. 1174 წელს გიორგი III -მ დაატყვევა შედადიანის მმართველი და ანისი შემოიმტკიცა – ქალაქს ივანე ორბელი მართავდა. გარკვეული დროის შემდეგ კვლავ შედადიანთა ხელში გადავიდა. 1199 წელს ქართულმა ლაშქარმა გაათავისუფლა ქალაქი მაჰმადიან მფლობელთაგან და აქედან მოკიდებული სომხეთთან ერთად საქართველოს შემადგენლობაში შემოვიდა.

რთული ბედის იყო ქალაქი დვინიც. ეს სომხური ქალაქი უცხო დამპყრობელთა ხელში მძიმე პირობებში აღმოჩნდა. თუმცა აქაც ქალაქი და საქალაქო ცხოვრება ვითარდებოდა, იგი, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მსხვილი სავაჭრო ცენტრი იყო.

როცა აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიას, მათ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობას განვიხილავთ, აშკარად თვალში საცემია დაწინაურებული, მაღალი დონე (ეს, ცხადია მხოლოდ XII საუკუნეს არ ეხება). იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ვითარება პოლიტიკურად არასაიმედოა, კულტურული წინსვლა მაინც ჩანს. ამიტომ, სრულიად ბუნებრივად დადგა საკითხი მეცნიერებათა გარკვეულ ჯგუფს ეფიქრა და ემსჯელა კიდეც აღმოსავლურ რენესანსზე. რას გულისხმობს რენესანსის მცნება? რენესანსი ანუ აღორძინება კულტურული და იდეოლოგიური განვითარების პერიოდია, კერძოდ, XIV-XVI საუკუნეები – იტალიაში, დასავლეთისა და ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებში XV საუკუნის დასასრული და XVI საუკუნე. რენესანსის სპეციფიკურ ნიშნებად მიჩნეულია: ჰუმანისტური მსოფლმხედველობა (ჰუმანიზმი), საერო ხასიათი, ანტიკური მემკვიდრეობისად-

[1] ხორასანი ისტორიული ოლქი იყო შუა აღმოსავლეთში. მოიცავდა ირანის ჩრდილოაღმოსავლეთ ნაწილს, მარვის ოაზისს, თურქმენეთის სამხრეთ ოაზისებს. ავღანეთის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებს. მთავარი ქალაქები იყო: მეშჰედი, მარფი, ნიშაბური, ბალხი და სხვ.

[2] А.М. Беленицкий, И.Б. Беитович, О.Г. Большаков, Средневековый город средней Азии, Ленинград, 1973, стр. 135.

მი ინტერესი (სწორედ ანტიკური მემკვიდრეობის აღორძინება იგულისხმება ტერმინ „რენესანსში“).

ქართული კულტურის, ქართული მწერლობის შესწავლის დონემ განაპირობა ის გარემოება, რომ მკვეთრად ჩამოყალიბებულიყო მოსაზრება ქართული ლიტერატურის ჰუმანისტურ ხასიათზე (დასავლეთ ევროპულზე ბევრად ადრე), აქვე ხაზგასმულიყო ქართული მუსიკალური შემოქმედების, ხუროთმოძღვრებისა და მხატვრული ხელოვნების მაღალი დონე. ამ დონემ პიკს XII საუკუნეში მიაღწია. ქრონოლოგიურად აღმოსავლური რენესანსი, წინ უსწრებდა რა ევროპულს, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიასთან. მასში შედიოდნენ აღმოსავლეთის გზით მიღებული კულტურული ნაკადები. ევროპელებთან შედარებით ქართველები ელინური და ელინისტური მწერლობის ძეგლებს რამდენიმე საუკუნით ადრე იცნობდნენ. ამის წყარო ბიზანტია იყო. ბერძნულის მეშვეობით თეოლოგიური (ქრისტიანულ) ფილტრში გატარებული მასალა შემოდიოდა. ქართული საერო ლიტერატურული მწერლობაც (როგორც დასავლეთევროპული) ძირითადად ქრისტიანობის ბაზაზე აღმოცენდა. ადამიანის სულიერი სამყაროს ასახვის ბრწყინვალე ნიმუშია დავით აღმაშენებლის პოემა „გალობანი სინანულისანი“, „ამირანდარეჯანიანისა“ (მოსე ხონელი) და „ვისრამიანის“ (სპარსული პოემის სარგის თმოგველისეული ქართული პროზაული თარგმანი) ეპოსები. ისინი XII საუკუნის ისტორიულ ანალიებთან ერთად ქართული ჰუმანისტური ლიტერატურის მთლიან სახეს ჰქმნიან. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ XII საუკუნის პირველ მეოთხედში დავით აღმაშენებელის მიერ დაფუძნებული გელათისა და იყალთოს აკადემიებში ფართო მასშტაბის მრავალფეროვანი კულტურული საქმიანობა მიმდინარეობდა.

დიდი ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის მიერ ნეოპლატონიკოს პროკლეს „თეოლოგიის პირველი საფუძვლების“ („კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“) ქრისტიანული ინტერპრეტაცია და მისი საქართველოში გავრცელება, ეფრემ მცირის მიერ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ტრაქტატებისა და ეპისტოლების თარგმნა, მათი საერო მწერლობაში გამოყენების საშუალებას იძლეოდა. XII საუკუნისა (და საერთოდ) ქართული მწერლობის, განსაკუთრებით კლასიკური პერიოდის ოქროს ხანის გვირგვინია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. პოემა, რომელიც გამოირჩევა ქრისტიანულ ეთიკაზე დაფუძნებული უდიდესი ჰუმანიზმით.

ქალისადმი უნატიფესი დამოკიდებულებით (სასიყვარულო ჰიმნი ქალისადმი), მეგობრობის ჭეშმარიტი იდეების ქადაგებით (სხვა ფაქტორებთან ერთად) რენესანსის დამახასიათებელი რეალური ნიშნების არსებობაზე მსჯელობის მყარ საფუძველს იძლევა.

აღმოსავლური რენესანსის პრობლემას არაერთი მეცნიერი შეეხო. ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აკადემიკოს შალვა ნუცუბიძეს. მეცნიერმა თავისი მოხსენება „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ 1940 წელს წაიკითხა მოსკოვში მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის ღია სხდომაზე. 1941 წელს გამოქვეყნდა შალვა ნუცუბიძის შრომა „აღმოსავლეთის რენესანსი და ევროპოცენტრიზმის კრიტიკა“, 1942 წელს – „ფსევდო-დიონისე არეოპაგელის საიდუმლოება“. 1947 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა მეცნიერის მონოგრაფია „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“.

ნიშანდობლივია, რომ შალვა ნუცუბიძის გამოკვლევა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შესახებ მხარი დაუჭირა ბელგიელმა მეცნიერმა ერნსტ ჰონიგმანმა. ასევე საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთის რენესანსის პრობლემა მსოფლიო მასშტაბის საკითხად იქცა. 1976 წელს გამოვიდა შალვა ნუცუბიძის შრომების IV ტომი, რომელშიც შევიდა მეცნიერის გამოკვლევა „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“. აღნიშნულ პრობლემას შალვა ნუცუბიძემ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ II ტომში[1]. მეცნიერი ხაზგასმით გამოჰყოფს XII საუკუნეს, „როცა დასავლეთის აზროვნება ჯერ კიდევ სავსებით სქოლასტიკის სიბნელეშია გახვეული“[2]. საქართველოში (ისე როგორც აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში) ფილოსოფიური აზროვნება მნიშვნელოვნადაა განვითარებული.

[1] შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1958, ტ. II, გვ. 23-41.
[2] შ. ნუცუბიძე, იქვე, გვ. 41.

შალვა ნუცუბიძის მოსაზრებით, რუსთაველის იდეოლოგიის საფუძველს ანტიკური მსოფლგაგება შეადგენდა. გვიანი ანტიკურობის დროს რთული ისტორიული სიტუაცია იყო, როცა ნეოპლატონიზმი ცდილობდა აღედგინა ერთიანი მსოფლმხედველობის მთლიანობა.

აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე მიიჩნევს, რომ „ვეფხისტყაოსანში" მოცემულია დაბადების ფილოსოფია, როგორც რენესანსის აღორძინების პირობა. აი ერთი სტროფი ავთანდილის ანდერძიდან:

„ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად,
ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
იგი გახდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად".

მეცნიერი განმარტავს, რომ აქ მოცემულია მითითება იმის შესახებ, რომ დაბადებიდანვე მოცემულია აღორძინების შესაძლებლობა. ამასთან იგი მინიჭებული აქვს ყოველ მიწიერ არსს უხილავი ძალის მიერ[1].

შალვა ნუცუბიძე უჩვენებს, რომ რუსთაველს პირდაპირი კავშირი აქვს V საუკუნის ქართულ მოაზროვნესთან – პეტრე იბერიელთან. ადამიანის საზომი არეოპაგიტულ აზროვნებაში ღმერთი იყო, რამდენადაც ადამიანის წინაშე იყო შესაძლებლობა ამაღლებულიყო ღმერთამდე და თვითონ გამხდარიყო ღმერთი[2]. პეტრე იბერმა (ფსევდო-დიონისემ) გადაჭრა ნეგატიური უსასრულობის პოზიტიური აღქმის პრობლემა.

შოთა რუსთაველმა ეს საკითხი მარტივი ფორმით წარმოადგინა:

„ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
იგი გახდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად".

რუსთაველმა ჭეშმარიტად სწორად დაინახა ადამიანის ამაღლების იდეა და რენესანსის – როგორც ადამიანის აღორძინების იდეა. „ვეფხისტყაოსნის" არაერთი სტროფი შეიცავს რენესანსის რუსთველისეულ გაგებას (ადამიანის დაბადების მომენტი, რომელიც თავისთავში შეიცავს ადამიანის გამარჯვების გარანტიას):

„ჰე ღმერთო, ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,
მუნ დამიფარე ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა".

შალვა ნუცუბიძე მიესალმება, რომ არეოპაგიტიკასა და აღმოსავლეთის რენესანსის იდეებს შორის კავშირი აღიარებულია („ნიჭიერ მკვლევართა ახალ თაობას მაღლა უჭირავს არეოპაგიტელისა და რენესანსის დროშა").

აღსანიშნავია, რომ 1940 წელს შალვა ნუცუბიძემ მოსკოვში მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში გააკეთა მოხსენება „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი". ამ საკითხზე დისკუსიაც გაიმართა. ზოგიერთი მეცნიერი, მაგალითად სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ს.მ. ჟირმუნსკი, წამოყენებული დებულების წინააღმდეგ გამოვიდა. საგულისხმოა, რომ ორი ათეული წლის შემდეგ ეს მეცნიერი კვლავ შეეხო აღმოსავლური რენესანსის პრობლემებს. როგორც ჩანს, იგი გაეცნო 1947 წელს გამოსულ შ. ნუცუბიძის მონოგრაფიას „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი". ამჯერად, ვ.მ. ჟირმუნსკი თავად აღიარებდა ნუცუბიძისეულ დებულებას აღმოსავლური რენესანსის შესახებ. კერძოდ, მან „ლენინგრადის უნივერსიტეტის მოამბეში" გამოაქვეყნა შრომა ალიშერ ნავოის შესახებ, სადაც ამ მოღვაწეს სწორედ აღმოსავლური რენესანსის წარმომადგენლად მიიჩნევს. სხვათა შორის ალიშერ ნავოის მკვლევარი პროფ. ა. ხაიტმეტოვიც აღმოსავლური რენესანსის მომხრეა.

ნიშანდობლივია, რომ აღმოსავლური რენესანსის პრობლემით სომეხი მეცნიერებიც დაინტერესდნენ. 1940 წელს მოსკოვში ჩატარდა სომეხი ლიტერატურის დეკადა, რომლის დღის წესრიგში შეტანილ იქნა აღნიშნული პრობლემაც და მისი წარდგენა აკადემიკოს ი.პ. ორბელსა და შ.ნუცუბიძეს დაევალა.

[1] შ. ნუცუბიძე, რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი, შრომები, ტ.IV, თბ., 1976, გვ. 432.
[2] იქვე, გვ. 434

ერთი რამ საგულისხმოა, რომ მეცნიერებაში საგანგებოდ აღინიშნა, რომ აღმოსავლური რენესანსის საკითხი პირველმა შალვა ნუცუბიძემ დააყენა (აკადემიკოსი ნ. კონრადი). ზემოხსენებული ვ.მ. ჟირმუნსკიც აღნიშნავდა, რომ „შ. ნუცუბიძე აღმოსავლური რენესანსის იდეის ძველი ქომაგია". აკადემიკოსმა ნ.ი. კონრადმა 1960 წელს „ნოვიი მირ"-ის მე-9 ნომერში გამოაქვეყნა სტატია „შექსპირი და მისი ეპოქა". აქ იგი მკაფიოდ იცავს აღმოსავლური რენესანსის იდეებს. ავტორს ხაზი აქვს გასმული, რომ რენესანსის უნივერსალურ მსოფლიო მოვლენებში არსებობდა რეგიონალურიც (ცხადია, აღმოსავლური რენესანსიც). აკადემიკოსი ნ.ი. კონრადი ასკვნის, რომ აღმოსავლური რენესანსი საფუძვლად დაედო მსოფლიო რენესანსს[1].

აი ერთი სტროფი „ვეფხისტყაოსნიდან":

> „მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი:
> კლდით ნადირნი, წყალში თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით მფრინველნი"

და საინტერესო გაგრძელება:

> „ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მაღრიბელნი,
> რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი".

რუსთაველი აქ წარმოაჩენს კულტურათა მოძრაობის სქემას – აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. ჩამოთვლილი ქვეყნები რეგიონალური რენესანსის რგოლებს წარმოადგენენ. ყურადღება მისაქცევია, რომ აქ არ ჩანს იტალია, რომელიც XII საუკუნის ჰორიზონტზე ჯერ კიდევ არ გამოჩენილიყო[2].

გვინდა მოვიტანოთ გამოჩენილი რუსი მწერლის ალექსეი ტოლსტოის შეფასება: „... შ. ნუცუბიძის ლიტერატურულ-მხატვრულ და სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას განსაკუთრებული ღირებულება აქვს. ისეთი ძეგლის ჭეშმარიტი სახის ცხადყოფა, როგორიცაა რუსთაველის პოემა, ზუსტ ფაქტიურ საფუძველს ქმნის აღმოსავლური რენესანსის მეცნიერული შესწავლისათვის. შ. ნუცუბიძის მეცნიერული დაკვირვებანი და დასკვნები პირველი და გადამწყვეტი ნაბიჯია ამ მიმართულებით და სწორ ორიენტაციას გვაძლევს იმ საკითხზე, თუ სად დაირწა რენესანსის აკვანი".

ჩვენ საგანგებოდ ვრცლად შევჩერდით აღმოსავლური რენესანსის საკითხზე იმ მიზნით, რომ გვეჩვენებინა პრობლემის არსი და ხაზი გაგვესვა XII საუკუნის აღმოსავლეთის პოლიტიკურ და კულტურულ დაწინაურებაზე. ხაზი გაგვესვა XII საუკუნეზე – როგორც მნიშვნელოვან პერიოდზე მსოფლიო ქვეყნების ისტორიაში.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ XII საუკუნე, როგორც დასავლეთ ევროპის, ისე აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაში გამორჩეული და არსებითი დროა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. შ. ნუცუბიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 447.
[2] შ. ნუცუბიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 449.

**ნიკო ხერკელაძე**



# შაჰ-აბას I, მისი მიზნები და განხორციელების მცდელობები აღმოსავლეთ საქართველოში

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-24-ებში და ანთოლოგიის მე-5 ტომში)

## ქართლის ბედზე მზრუნველი

შაჰი ცდილობდა გამოენახა გზები და იმერეთში მყოფი თეიმურაზი და ლუარსაბი მისთვის ჩვეული მაცდური დაპირე-ბებით, – რომ არაფერს ავნებდა – ირანში გაეტყუებინა. განსაკუთრებით ლუარსაბზე ამახვილებდა ყურადღებას. „თავის შვილად და ძმად მიაჩნია, ნუ მოიქცევა თეიმურაზის მსგავსად, ეახლოს დიდ შაჰს და ისიც სიხარულით მხარში ამოუდგება, ქართლის მოვლა-პატრონობაში მიეხმარებაო,“ – ასეთ დაპირებებს ავრცელებდა შაჰი ერთგული კაცების საშუალებით, რომელთაც ადრესატებამდე მიჰქონდათ მისი დანაბარები.

„თუ ლუარსაბი უფროსი ძმისა და სიძის ასეთს „კეთილ შეთავაზებას“ არ მიიღებს, მაშინ, გვერდით ჰყავს „ქართლის მოურავი“ და მას დატოვებს ქართლის გამგებლად, თვითონ კი თავის ქვეყანაში დაბრუნდებაო.

სააკაძე ღრმად იყო ჩახვედრილი შაჰის განზრახვებს, მას კარგად შეცნობილი ჰყავდა იგი მთელ რიგ ურთიერთობებში. შაჰი ყოველ ღონეს იხმარდა თავისი სანუკვარი მიზნის ასრულებისათვის, რომ კახეთის და ქართლის დაპყრობის შემთხვევაში მის ყიზილბაშურ არმიას უამრავი ქართველი „ღულამი“ (მონა) და „შაჰისევანი“ (მეგობარი) მიმატებოდა. იცოდა გიორგიმ, რომ შაჰს იგი მხოლოდ დამხმარედ და ხელისშემწყობად სჭირდებოდა.

„დათვი“ დიდი ძალის მქონე და მომრევი იყო, ამიტომაც დროებით იძულებით „ბაბას“ დაძახებაც იყო საჭირო.

მთავარი ფიქრი სააკაძისა ის იყო, რომ ქართლი და მისი მოსახლეობა კახეთის მსგავსად უმწეო დღეში არ ჩავარდნილიყო, ამიტომ ერთადერთი გზა რჩებოდა ხსნისა, მოთმინება და შერიგება პირად მტრებთან, ბერუკა და ქაიხოსრო ჯავახიშვილებთან, შადიმანთან და ციციშვილთან.

სააკაძის შერიგება მის მოსისხლეებთან მომავალი განმანთავისუფლებელი ბრძოლების დროს შაჰის ჯარების გასანადგურებლად ერთიანი ქართული ლაშქრის შეყრისას მათ (დიდებულთა) დახმარებას გულისხმობდა. მხოლოდ და მხოლოდ დათმენა და მოთმენა სააკაძისაგან, რის ხარჯზეც ქართლი უნდა გადარჩეს! წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სააკაძე სიკვდილით გაუსწორდებოდა იმ „ოთხ გმირს“, ამით თავის გულს მოიოხებდა, შურს იძიებდა, ამ მხრივ საქმეც დამთავრდებოდა, საქართველოს კი რა სიკეთე მიადგებოდა? გიორგი სააკაძემ თავისი შემწყნარებლური ბუნებით, მიმტევებლობით სულიერად ამაღლებული ადამიანის იმიჯი შეიქმნა ქართულ მოსახლეობაში, რაც სანდოობის, თანაგრძნობისა და თანადგომის ატმოსფეროს ქმნიდა მომავალი ბრძოლების ერთად წარმოებისათვის.

სააკაძის ასეთ მოქმედების მიზანი იყო, რომ შეენელებინა შაჰის აგრესია და როგორმე უმსხვერპლოდ გაეყვანა ქართლიდან.

შაჰ-აბასის გონება დღე-ღამე იმის ფიქრში იყო, რომ იმერეთში გიორგი მეფის კარზე მყოფი თეიმურაზი და ლუარსაბი გადმოეყვანა. არ უნდოდა შანსის ხელიდან გაშვება. საგანგებოდ მოამზადა აზერბაიჯანის ვეზირი სარუ-ხოჯა ელჩად და მუქარის წერილიც გაატანა იმერეთის მეფესთან: „ჩემი ქვეშევრდომი ქართლ-კახეთის მეფენი შეგიფარავს, დაუყოვნებლივ უკან გამომიგზავნეთ, ამისთვის ჩემგან დიდ გასამრჯელოს მიიღებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემი ჯარებისაგან რისხვა არ ასცდებაო შენს ქვეყანას“.

სარუ-ხოჯასაგან გადაცემული წერილი მეფე გიორგიმ ლევან მეორე დადიანს და მამია გურიელს გააცნო. მათ ერთად აღშფოთებით განაცხადეს, „შაჰი ჩვენ ასეთი წინადადებით თეიმურაზისა და ლუარსაბის საღალატოდ მოგვიწოდებს, თანამემამულეთა და სტუმრის წინაშე თავის შერცხვენას იმერთა სამეფო არასოდეს არ დაუშვებსო".

გიორგი მეფემ და იმერეთის მესვეურებმა ითათბირეს და შაჰს დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი მალაქია და თავადი ლევან აბაშიძე გაუგზავნეს ელჩად.

შაჰ-აბასმა პირ-ღიმილით მიიღო გიორგი მეფის ელჩები, რომლებმაც იმერეთის სამეფოს შენათვალი გადასცეს: „ირანის მძლეთამძლე შაჰ-აბას, დიდი გავლენის მქონე ხელმწიფე ბრძანდებით. თვითონ ბებიით ქართველს, კარგად მოგეხსენებათ ქართველთა ისტორია და დიდი დავითის სახლის მტკიცე მოდგმის ბუნება და ხასიათი. თეიმურაზი და ლუარსაბი დღეს დროებით ჩვენი სტუმრებია. სტუმართან თავის შერცხვენა და ღალატი არასოდეს მოხდება. მართალია, ისინი თქვენი ქვეშევრდომები არიან, მაგრამ თქვენს რისხვას თავი აარიდეს და დროებით ჩვენთან გადმოსვლა ინებესო. ბრძენო შაჰ-აბას, თეიმურაზი და ლუარსაბი თქვენს მშვიდობიან წასვლას ელოდებიან ჩვენი ქვეყნიდან. როგორც კი ეს მოხდება, ისინი დაუბრუნდებიან თავ-თავიანთს მეფობას და თქვენთან კეთილ ქვეშევრდომობას გააგრძელებენო".

შაჰი დაიბნიდა იმერთა მეფის გონივრული შენათვალით. დასავლეთი საქართველო ოსმალეთის ქვეშევრდომად ითვლებოდა, ვერ გადავიდოდა საომრად, ასეთი ნაბიჯით ოსმალეთთან საზავო პირობას დაარღვევდა და საქმეს გაირთულებდა, რაც მისი ავი პოლიტიკისათვის ურგები იყო.

რა მკაფიოდ ჩანს შაჰ-აბასის უტიფარი ბუნება, სისხლის-მღვრელის თავხედობა, – კახეთი ააოხრა, გული იჯერა, ქართლ-კახეთის მეფეებმა გაცლა ამჯობინეს უიმედო შეწინააღმდეგებას. შაჰი ქართლში გადავიდა კბილის მოსასინჯად, რა საპირისპირო ძალასთან ექნებოდა მომავალში საქმე. აღმოსავლეთ საქართველოს ქვეშევრდომობა შაჰისათვის პირდაპირ მონობის პირველ საფეხურზე ყოფნას ნიშნავს. ფიქრობს, ქართლის მმართველად ციციშვილი დანიშნოს, ლუარსაბი კი ქართლიდან წაიყვანოს და ქვეყანა უმეფოდ დატოვოს. გარდა ამისა, სარუ-ხოჯასათვის გატანებულ წერილში შეურაცხმყოფელ ძალადობას ავლენს იმერეთის მეფისა და დიდებულების მიმართ – თეიმურაზი და ლუარსაბი უკან გამომიგზავნეო. ავიწყდება, რომ ისინიც მეფეები არიან თავ-თავიანთი ქვეყნისა, მირონცხებულნი და უფლებამოსილნი. მეფე გიორგის „სთხოვს," სინამდვილეში კი ემუქრება, რომ აიძულოს მეფეთა უკან დაბრუნება, თითქოს ცხვრები იყვნენ, ან პატიმრობიდან გაქცეული და იმერეთის კარს თავშეფარებული დამნაშავენი. თან ისეთი მოტივით, ქართული ბუნება რომ არასოდეს დაუშვებს, როცა ქართულ მოდგმას სწორედ სტუმრისთვის გაღებული სამსახურით ეამაყებოდა და მოსწონდა თავი.

შაჰი ისევ ჯიუტად სთხოვს იმერეთის ელჩებს, გადასცენ მეფე ლუარსაბს უვნებლობის ფიცი და უსტარი მისი.

უხვადაც დაასაჩუქრა ელჩები და სარუ-ხოჯაც გააყოლა იმერეთში. თავისი „მაღალი უსტარით" შაჰი ლუარსაბს აუწყებდა: „დიდი ალაჰია თავმდები, კახეთში ჩემი ჯარით შესვლა და აოხრება არ მსურდა. თეიმურაზს ვთხოვე, მწვეოდა და მეგობრად გვერდით მყოლოდა; მან ეს არ ისურვა, ამიტომ ჩემგან კახეთის აოხრებაში მას მიუძღვის ბრალი. ახლა მე შენს სამეფოში მოვსულვარ, შემიძლია, იგივე რისხვა გამოვიჩინო, მაგრამ ამას არ ვიზამ. ველოდები შენს მოსვლას. ნუ აჰყვები უგუნურთა რჩევებს და შენი სამეფოს დაკარგვის მიზეზი ნუ შეიქმნებიო".

იმერეთიდან მობრუნებულმა სარუ-ხოჯამ შაჰს ლუარსაბის საპასუხო წერილი გადასცა. მეფე იმასვე წერდა წერილში, რასაც ფიქრობდა, მოითხოვდა, შაჰს უვნებლად დაეტოვა ქართლი.

აჭინჭრებული შაჰი ვერ ისრულებდა გულის წადილს, საგონებელში ჩავარდა...

* * *

დამპყრობთა მიზნები, სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა დროს, მაინც ერთმანეთის მსგავსი იყო. საერთო ენა გამოენახათ დასაპყრობად გამიზნული სასურველი ქვეყნების წარჩინებულ ფენებთან. მტრის ფსიქოლოგიამ იცოდა, ეკონომიურად მოძლიერებული დიდებულები, თავიანთი პრივილეგირებული მდგომარეობის დაკარგვის შიშით, მტრებთან გარიგებას ამჯობინებდნენ,

მტრის ულტიმატუმების მოსმენა და მათთან გარიგება საკუთარი მიწა-წყლის გულგრილობაში აისახებოდა. ასეთი რთული ვითარებები ჩვენს ქვეყანას ხშირად დასდგომია, სამშობლოს დაცვა და გადარჩენა სჭირდებოდა. გადამრჩენნი, სისხლის და ამაგის გამღებნი, გულშემატკივარი ადამიანები, საშუალო ფენებიდან უფრო გამოდიოდნენ, როგორც სულანთებული პატრიოტები. უნდა ითქვას, შაჰ-აბასმა უფრო მშვენივრად იცოდა ასეთი ხერხებით მოქმედება, მას საქართველოში თავისი გეგმების მოწინააღმდეგე რომ არ ჰყოლოდა, დიდებულთა ნაწილი თანამზრახველად გაიხადა და გ. სააკაძის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყობინა. ქართლის მეფე ლუარსაბ II-ს ცოლი დედოფლობიდან გააშვებინეს და ცოლის ძმა, სააკაძე, რომელიც სიკვდილს გადაურჩა, საქართველოდან გააძევეს.

შაჰ-აბასის აზრით, ასეთმა ვითარებამ ლუარსაბ II მოთვინიერებული გახადა, რადგან 1612 წლის, წავკისის, სააკაძის წინააღმდეგ შეთქმულებაში შადიმანისაგან, ლუარსაბ II გადაბირებული იყო. შაჰს ისევ შადიმანის იმედი ჰქონდა, რომ ირანში ლუარსაბ II-ის, წაყვანის საქმეში მხარში ამოუდგებოდა. როგორც მეფის აღმზრდელს და მრჩეველს, ეს მისია უნდა შეესრულებინა, რადგან სააკაძე ქართლში უკვე აღარ იყო. ლუარსაბი მოთვინიერებული კი იყო, მაგრამ მაინც დიდებულთა აზრს არ იზიარებდა იმ მხრივ, რომ მათი ასულებიდან ცოლად არავის არ ირთავდა, რადგან ჯიუტობდა. ეს იყო მიზეზი და საფუძველი, შადიმანს და მის მომხრეებს შაჰისთვის ხელი შეეწყოთ, ლუარსაბის ირანში წაყვანით, ქართლის სამეფოს შაჰის გავლენით თვითონ მოუვლიდნენ.

შაჰის მიზანი იყო, ლუარსაბი უნდა დარწმუნებულიყო იმაში, რომ ირანის ლომი მისთვის კეთილის მოსურნეა და ირანში უნდა გაჰყვეს დროებით. გავიხსენოთ 1610 წელი როცა შაჰმა ლუარსაბი მიიწვია ირანში, ტაშისკარის ომის გამარჯვებით კმაყოფილმა ლუარსაბმა შაჰს, თბილისიდან ირანული ჯარის გაყვანა მოსთხოვა, შაჰმა ეს მოთხოვნა შეუსრულა. შემდეგ დაბოღმილმა, ყაზახის ხანის მეშვეობით, ლუარსაბის მოკვლა სცადა. არ გამოუვიდა, ქართლი გამარჯვებული იყო, სააკაძე გვერდში ჰყავდა. ქართველებმა ისევ გაიმარჯვეს ყაზახის ხანის, ყაზა-ყლარის თავი გაუგზავნეს შაჰს. უტყუარი ფაქტია, შაჰი ლუარსაბს სამაგიეროს გადახდას დაუპირებდა, მეფეს სარწმუნოება რომ შეეცვალა, შაჰი მას არ მოჰკლავდა.

შადიმანს, როგორც ქრისტიან დიდებულს, ლუარსაბ II-ის მიმართ როგორც თავისი აღზრდილისა, გულის-გულში ერთგვარი სინანული მაინც ექნებოდა, მაგრამ იმ დროშიც ძალა აღმართს ისევ ხნავდა და შადიმანს თაო და თაო ერჩივნა ქვეყანაზეც და ხალხზეც მეტად.

დიდებულთა ნაწილი, ძლიერის წინაშე გამოხატავდნენ მორჩილებას, იმ დროში ძლიერი კი შაბ-აბასი იყო. შადიმანს, სინანულის, რაღაც ადამიანური განცდა, დედით ბარათაშვილ გ. სააკაძესთანაც ექნებოდა, მაგრამ პირად ამბიციებს ვერ ელეოდა, შადიმანის ჯგუფს სააკაძის წინააღმდეგ სამსჯავრო რომ მოეწყოთ ხალხთან ერთად, ასეთი მოვლენა მეტად დამაფიქრებელი იქნებოდა.

მაგრამ ამის საფუძველის მიზეზი ერთი მისხალიც არ ჰქონდათ, ვინაიდან სააკაძემ თავისი ხალხი ოსმალთაგან განადგურებას 1609 წელს გადაარჩინა ტაშისკარის ომში გამარჯვებით და თან მისი და ლუარსაბ II-მ გულით შეიყვარა და ჯვარიც დაიწერა ქვათახევის მონასტერში. ამიტომ სააკაძის წინააღმდეგ, შაჰის გეგმების მიზნით, შეთქმულება იყო მათთვის საუკეთესო გზა. ამიტომ მტრის ხერხი – დაყავი და იბატონე, მიზანი იყო, ამიტომ საკუთარი ტყავის დახევას, საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას ამჯობინებდნენ, რაც მტრის სასარგებლოდ დათმობაში გამოიხატებოდა.

მაგრამ რა ვუყოთ, ქართულ, სათნო მართლმადიდებლურ ფსიქოლოგიას, ზოგჯერ ფიცხსა და მაქსიმალისტს, რა ვუყოთ ქართულ სტუმართმოყვარეობას, რომლის საფუძველი ხალხთა სიყვარულია.

მაშ რა ვუყოთ ქართველებისათვის სახასიათო თვისებას, რომელსაც სიძულვილის დიდხანს ტარება არ შეუძლია.

მაშ რა მხრით დავინახოთ, სახლ-კარ გადამწვარი, გაძევებული გ. სააკაძის ფსიქოლოგია, რომელიც თავის მოძულე მხარეს ისევ თვითონ უწვდის შერიგების ხელს?

მაშ რატომ ამბობს ჩვენი დიდი შოთა რუსთაველი, ოდეს მტერსა მოერია, ნუღარ მოჰკლავ შეიბრალე... იქნება უფალსაც იმიტომ ვუყვარვართ, რომ შემბრალე ერი ვართ, და ამ საფუძველზე დღემდე ვვარსებობთ.

ყურადღება მივაქციოთ შაჰ-აბასის თავხედობას, ის იმ ხანებში, ქართლში, კერძოდ, გორში იდგა, შუა საქართველოში და ცდილობდა ლუარსაბ II-ის იმერეთიდან გადმოყვანას. ყველა ხერხს მიმართავდა, თავის ცოლს ლელა-თინათინსაც კი აიძულებდა, ძმაზე, ლუარსაბზე ზეგავლენა მოეხდინა და შაჰს ხლებოდა. საიდუმლო წერილების დიდი ტრფიალი შაჰი – ცალკე იმერეთის მეფეს გიორგი III-ს მუქარის წერილებს უგზავნიდა, თუ ლუარსაბი არ მეახლება, შენს სამეფოსაც ავი დღეები დაადგებაო. მეორე მხრივ კი ლმობიერების წერილს უგზავნიდა, შთააგონე ლუარსაბს სიჯიუტეს თავი დაანებოს, ჩემი მოთხოვნა შეასრულოს, მეახლოს, თორემ, ჩემთვის ხომ ცნობილია, შენს შვილს, ალექსანდრეს სამეფო კბილი ამოსული აქვს და ქართლის სამეფოს სულაც მას გადავულოცავო. რადგან სამივე მეფე იმ ხანად იმერეთში ერთად იყვნენ, მათ ბჭობა ექნებოდათ, როგორ მოქცეულიყო ლუარსაბ II, რადგან შადიმანი ლუარსაბ II-ის აღმზრდელი და მრჩეველი იყო და ისიც ურჩევდა მეფეს, შაჰთან გამოცხადებულიყო, როგორც უკეთესი ნაბიჯი ქართლის სამეფოს გადარჩენისათვის, ფაქტიურად, თეიმურაზ I და გიორგი III შადიმანის აზრს დამორჩილდნენ.

თუმცა, თავდაპირველად, ყველაზე დიდი წინააღმდეგი, ლუარსაბის შაჰ-აბასთან გამოცხადებაზე თეიმურაზ I იყო. მას მხარში ოდიშის მთავარი ლევან დადიანიც ამოუდგა, თავის დაზე მარიამზე დაქორწინებაც კი შესთავაზა, ასეთი იყო ლუარსაბის ფსიქოლოგიური კონტური.

ხშირად, უფრო მეტად, სხვათა აზრის ყურის დამგდები ახლა მხოლოდ თავის მამულიშვილურ გულისხმას უსმენდა, დემეტრე თავდადებულის სული ეცხადებოდა ხშირად მეფე ლუარსაბსო, ასეთი ხმები ვრცელდებოდა იმხანად მოსახლეობაში.

სიმონ I-ის შვილიშვილს ლუარსაბ II-ე მეფეს მცირე საწუთისოფლო დღეები ჰქონია, მაგრამ ღირსეული, 1609 წელს, როგორც მეფემ, სამაგალითო ტაშისკარის ომი მოიგო ოსმალეთთან. გ. სააკაძის გვერდში დგომით.

1610 წელს, როგორც მეფემ, სააკაძის ჩაგონებით, შაჰ-აბასს ირანული 700 კაციანი ჯარი გააყვანინა თბილისიდან. 1611 წელს როგორც ახალგაზრდა მეფემ, სუფთა კაცური, სპეტაკი გულით, შეიყვარა ქალი, გ. სააკაძის და იმავე წელს, ქვეყანას, და ხალხს დაუმტკიცა თავისი გულის სიწრფელე და ჯვარი დაიწერა სააკაძის დაზე ქვათახევის ტაძარში. 1615 წელს, ლუარსაბი თავის სამშობლოს გამოეთხოვა და შაჰ-აბასს გაჰყვა ირანში. 1622 წელს მოწამეობრივად აღესრულა.

დავაკვირდეთ 1612 წლის წავკისურ, სააკაძის წინააღმდეგ მოსაკლავ შეთქმულებაში, შაჰ-აბასი როგორ ფარულად მოქმედებს, თითქოს არ ჩანს, სინამდვილეში მამოძრავებელი ღერძი ის არის. აი ლუარსაბ II-ის საქართველოდან ირანში წაყვანისთვის, როგორ ღიად, ხილულად მოქმედებს.

ქართველი მოსახლეობის ცნობიერების სასწორზე, შეკითხვები, ჩაუქრობ, ნაცარმიყრილ ნაღვერდლებად მუდამ იარსებებს.

რომ არა შაჰ-აბასი და მისთვის ხელისშემწყობი ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე, გ. სააკაძეს მოკვლას დაუპირებდნენ ან გააძევებდნენ? ან ლუარსაბ II-ს საქართველოს მიწა-წყლიდან ვინმე წაიყვანდა.

ლუარსაბ მეფე ვალდებულიც კი იქნებოდა, გაეანალიზებინა ქვეყნისა და თავიანთი მდგომარეობა, რადგან ლუარსაბისა და თეიმურაზის იმერეთის სამეფოში გადასვლა შაჰ-აბასის კახეთზე თავდასხმამ და აოხრებამ გამოიწვია; ფაქტიურად თეიმურაზმა მიატოვა სამეფო, თავს უშველა, კახეთი კი მტერს დაუტოვა სათარეშოდ. მუხრანში მათი შეხვედრისას გაირკვა, რომ არც თეიმურაზსა და აღარც ლუარსაბს მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლოთ. შაჰს დიდი სურვილი ჰქონდა, თეიმურაზი ტკბილი სიტყვით ან შეპყრობით ირანში წაეყვანა და კახეთის სამეფო თავის ნებაზე ემართა, მაგრამ ამას ვერასგზით ახერხებდა, რაც აცოფებდა და მთელ ბაღლამს კახეთის მოსახლეობაზე ანთხევდა; ამას მშვენივრად ხედავდა ლუარსაბიც და მის სუფთა გულს გაუმართლებლად მიაჩნდა თეიმურაზისაგან თავის საშველად კახეთის მოსახლეობის მიტოვება; ხვდებოდა, რომ მის სამეფოსაც იგივე მოელოდა. მართალია, შაჰი ჯერჯერობით

ქართლს არ აოხრებდა, მაგრამ თვითონაც ხომ მიატოვა მოსახლეობა და თეიმურაზთან ერთად იმერეთს შეაფარა თავი. გრძნობდა თეიმურაზის პოზიციას, რომ ის შაჰს არაფრით ეახლებოდა, ამას მისი სამეფოს ნგრევა მოსდევდა, ლუარსაბს კი ამის დაშვება არ შეეძლო, წმინდა მამულიშვილური გრძნობა ამოძრავებდა, თავის ქვეყანაზე ძვირფასი არავინ და არაფერი გააჩნდა – შვილი არ ჰყოლია, გიორგი სააკაძის დის განტევების შემდეგ, ცოლიც არ შეურთავს, – ოღონდ ცოტა მაინც შვება მოეტანა თავისი ხალხისათვის, ოღონდ თავისი თვინიერი ბუნებით ოდნავ მაინც დაერწყულებინა შაჰის მძვინვარება ქართლზე, გადადგა ასეთი სარისკო ნაბიჯი.

შაჰ-აბასისთვის ქრისტიანული მოსახლეობა მტრის ბანაკს ნიშნავდა ყოველთვის, თავის ცოლისძმისთვისაც შური და მძულვარება უდუღდა გულში, მაგრამ სამოკეთეო ნიღბით ფარავდა. აბასს „ირანის ლომს“ უწოდებდნენ, მაგრამ სულაც არ ჰქონდა ბუნება ლომისა, რომელიც თავისი ღრიალით იუწყება სანადიროდ გამოსვლას; მას ქვეწარმავლის მსგავსება უფრო ჰქონდა, ჩასაფრებით, მალულად ესხმოდა მსხვერპლს და ბოლოს უღებდა.

შაჰმა გაიძვერობით მიიტყუა ლუარსაბი, მაგრამ ეს არ აკმაყოფილებდა, მთავარი მიზანი მისთვის ლუარსაბის ქრისტეს სარწმუნოებისაგან ჩამოცილება იყო.

შაჰმა ძვირფას ტყვესთან ერთად სასწრაფოდ დატოვა გორი, თბილისის ციხეში ირანული ჯარი შეაყენა და ყარაბახისკენ გასწია. მეფე ლუარსაბი ფიქრობდა, რომ შაჰის პირობისამებრ თბილისში დარჩებოდა, მაგრამ „მზეზე მაღალმა“ ახლა თაფლში ამოაწო ენა, ისევ გაიმეორა: „თბილისთან ახლოს, სოღანლუღში, კარგი სანადირო ადგილებია, მინდა იხილონ ჩემმა თვალებმა ჭაბუკი მეფის მიზანაუცდენელი ნასროლიო“.

სავარაუდოა, რომ ლუარსაბი მიხვდა შაჰის განზრახვას და სანადირო ადგილების შერჩევის მომიზეზებით სცადა შეუმჩნევლად განრიდება და უკან დაბრუნება – შესაძლებელია, დამხმარე ქართველი ერთგულებიც მას ფარულად მიჰყვებოდნენ კიდეც, – ეს ყველაზე მოსახერხებელი იქნებოდა, მაგრამ ვერ შეძლო; ცხადია, შაჰი ესოდენ ძვირფას ტყვეს, რომლის ხელში ჩასაგდებადაც მთელი თავისი მზაკვრული ნიჭი გამოიყენა, უმეთვალყურეოდ არ დატოვებდა და განსაკუთრებულ დაცვასაც კი მიუჩენდა.

სულ მალე შაჰ-აბასმა იხმო კახეთში მოთარეშე სარდლები, თავი მოუყარეს კახეთიდან წამოყვანილ ტყვეებს, შეკაზმეს და შეამზადეს ძვირფასი ნადავლით დატვირთული ჯორ-აქლემები და ირანისკენ გაემართნენ. ოქრო-ვერცხლით მორთულ ბედაურზე მჯდარი ფიქრდამძიმებული ლუარსაბ მეფეც მიჰყვებოდა თავის თანამემამულეებს. ადვილი წარმოსადგენია, როგორი მძიმე და დამთრგუნველი იქნებოდა მისთვის ასე მორჩილად, შესაწირი ზვარაკივით სიარული ირანის ხრიოკ გზებზე.

ტკბილი სიტყვით შაჰის ტყვე შეიქმნა ლუარსაბი; იცოდა, რომ ვერავითარი წამებით ვერ აიძულებდა ლუარსაბს ქრისტესაგან განდგომას, ამიტომ ნელა, შეპარული მოქმედებით აპირებდა ნიანგის მოთმინების მქონე აბასი მეფის გატეხვას.

(გაგრძელება იქნება)

# ეკონომიკა

**ვალერი მოსიაშვილი**
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*პროფესორი*

**თამარ ესიავა**
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*სტუდენტი*



## საბაზრო რისკის შეფასების მეთოდები და შემცირების ხერხები

ფინანსური ინსტრუმენტებისა და პორტფელის მიხედვით შესაძლო დანაკარგების შეფასების სხვადასხვა მეთოდოლოგიები არსებობს, რომელთა შორის ძირითადებია:

- VaR (Value-at-Risk – „ღირებულება რისკის ქვეშ“);
- Shortfall;
- ანალიტიკური მიდგომები (მაგალითად, დელტა-გამმა მიდგომა);
- Stress Testing (ახალი მეთოდიკა).

განვიხილოთ საბაზრო რისკის სავაჭრო პოზიციების სიდიდის რაოდენობრივი შეფასების ყველაზე გავრცელებული მეთოდი – VaR:

**VaR** – არის **საბაზო ვალუტის შეფასების სიდიდე** გამოხატული ფულად ერთეულებში, რომელსაც დროის მოცემული პერიოდის განმავლობაში (დროითი ჰორიზონტი) დასახული ალბათობით (ნდობის დონე) მოსალოდნელი დანაკარგები არ გადააჭარბებს. დროის დადგენილი პერიოდის განმავლობაში წარსულში, VaR-ის შეფასებისათვის ბაზას ინსტრუმენტების კურსებისა და ფასების დინამიკა წარმოადგენს.

დროითი ჰორიზონტი ხშირად – პორტფელში ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის ვადიდან გამომდინარე ანუ მისი ლიკვიდობიდან – ბაზარზე მოცემული ინსტრუმენტის არსებითი ზარალის გარეშე შესაძლო მინიმალურად რეალურ ვადაში რეალიზებიდან გამომდინარე შეირჩევა. დროითი ჰორიზონტი სამუშაო ან სავაჭრო დღეების რიცხვით იზომება.

ნდობის დონე, ანუ ალბათობა, ბანკის მარეგლამენტირებელ დოკუმენტებში გამოხატული რისკის მიხედვით უპირატესობის მიკუთვნებიდან დამოკიდებულებაში შეირჩევა. პრაქტიკაში ხშირად 95% და 99%-იანი დონე გამოიყენება. ბაზელის კომიტეტი საბანკო ზედამხედველობის მიხედვით 99% დონის გამოყენების რეკომენდაციას იძლევა, რომლზედაცაა საზედამხედველო ორგანოები ორიენტირებული.

სიდიდე VaR გაიანგარიშება სამი ძირითადი მეთოდით:

- პარამ,ეტრიულით;
- ისტორიული მოდელირების მეთოდით;
- მონტე-კარლოს მეთოდით.

ქვემოთ VaR მეთოდით რისკის სამივე მეთოდით შეფასების მოკლე მიმოხილვაა მოყვანილი.

**VaR-ის გაანგარიშების პარამეტრიული მეთოდი:**

მოცემული მეთოდი შეიძლება ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო რისკის შეფასებისათვის იქნას გამოყენებული, რომელთა მიმართებაში ბანკს ღია პოზიცია აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ პარამეტრიული მეთოდი არახაზობრივი ფასობრივი მახასიათებლებიანი აქტივების რისკის შეფასებისათვის ნაკლებად გამოსადეგია. მოცემული მეთოდის ძირითად ნაკლოვანებას ფინანსური ინსტრუმენტების შემოსავლების ნორმალური განაწილების შესახებ მისაზრება წარმოადგენს, რომელიც, როგორც წესი, რეალური ფინანსური რისკის პარამეტრებს არ შეესაბამება. VaR-ის პარამეტრიული გაანგარიშებისათვის საჭიროა ფასიანი ქაღალდების, სავალუტო კურსების, საპროცენტო განაკვეთების ან სხვა რისკ-ფაქტორების (ცვალებადი, რომლზეც ბანკის მიერ გაღებული პოზიციების ღი-

რებულების ცვლილება უდიდესი ხარისხითაა დამოკიდებული) კოტირებების ვალატიურობა რეგულარულად იქნას გაანგარიშებული.

VaR-ის განსაზღვრისათვის საბაზო ფორმულას, აქტივის პოზიციის ღირებულების გათვალისწინებით, შემდეგი სახე აქვს:

**VaR = V x L x B,**

სადაც: L (ლამდა) – ნორმალური განაწილების კვანტილია შერჩეული ნდობითი დონისათვის. კვანტილი გვიჩვენებს შემთხვევითი სიდიდის საძიებო მნიშვნელობის მდგომარეობას პორტფელის შემოსავლიანობის სტანდარტული გადახრების რაოდენობაში გამოსახულ საშუალოსთან მიმართებაში. საშუალოდან 99%-ის ტოლი გადახრის ალბათობისას ნორმალური განაწილების კვანტილი შეადგენს 2,326, ხოლო 95%-სას კი – 1,645;

B (ბეტა) – რისკ-ფაქტორის ცვლილების ვოლატიულობაა. ვოლატიურობა – არის რისკ-ფაქტორის მნიშვნელობის მისი წინა მნიშვნელობიდან მიმართებაში ცვლილების სტანდარტული (საშუალოკვადრატიული) გადახრა;

V – ღია პოზიციის მიმდინარე ღირებულებაა. ღიაპოზიციის ქვეშ გაიგება, ბანკის მიერ მოგების მიღებისათვის ან სხვა მიზნებისათვის (ისეთი სახით, რომ საბალანსო და გარესაბალანსო ანგარიშებზე განსახილველ მომენტში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობა ნულის ტოლი არ არის), შეძენილი ან გაყიდული ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულება.

**VaR-ის გაანგარიშების ისტორიული მოდელირების მოდელი:**

მოცემული მეთოდი საბაზრო ფასების უახლოეს მომავალში მოქმედების სტაციონალურობის შესახებ მოსაზრებაზეა დაფუძნებული. თავიდან დასაწყისში დროის პერიოდი (სამუშაო ან სავაჭრო დღეების რიცხვი) შეირჩევა, რომლის განმავლობაში პორტფელში შემავალი ყველა აქტივების ფასების ისტორიულ ცვლილებებზე დაკვირვება ხორციელდება. დროის თითოეული პერიოდისათვის ფასის ცვლილების სცენარების მოდელირება ხორციელდება. აქტივის გიპოტეტიური ფასი გაიანგარიშბა როგორც მისი მიმდინარე ფასი გამრავლებული მოცემული სცენარის შესაბამისი ფასის ნამატზე. შემდეგ ისტორიული სცენარების საფუძველზე მოდელირებული ფასების მიხედვით, მთლიანად მიმდინარე პორტფელის სრული გადაფასება ხორციელდება, და თითოეული სცენარისათვის გაიანგარიშება თუ რამდენად შეიძლება მიმდინარე პორტფელის ღირებულება შეიცვალოს. აღნიშნულის შემდეგ მიღებული შედეგების შმცირების რიგითობის ნომრების მიხედვით (ყველაზე დიდი ნაზარდიდან ყველაზე მაღალ ზარალამდე) რანჟირება ხორციელდება. საბოლოოდ, დასასრულს, ნდობის სასურველ დონესთან შესაბამისობაში VaR-ის სიდისე განისაზღვრება როგორც ისეთი მაქსიმალური ზარალი, რომელიც რიცხვის მთლიანი ნაწილის ტოლ ნომრიანი ცვლილების აბსოლუტური სიდიდის ტოლია (1 – კვანტილი ნდობის დასახული დონისას) x სცენარების რიცხვზე.

პარამეტრიული მეთოდისაგან განსხვავებით ისტორიული მოდელირების მეთოდი რისკის თვალსაჩინოდ და სრულად შეფასების შესაძლებლობას იძლევა და იგი არახაზობრივი ფასობრივი მახასიათებლებიანი აქტივების რისკის შეფასებისათვის კარგად გამოყენებადად ითვლება. ისტორიული მოდელირების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი მოდელური რისკის მაღალ ზემოქმედებას გამორიცხავს და ბაზარზე ფასების დინამიკის ნორმალურ განაწილებასთან ან რომელიმე სხვა სტოხასტიკური მოდელის მოსაზრების გათვალისწინების გარეშე, მოდელის წარსულში რეალურ დაკვირვებებზეა დაფუძნებული. უნდა აღინიშნოს, რომ VaR-ის მოცემული მეთოდით გაანგარიშებისას ისტორიული ამორჩევის მცირე პერიოდისას გაზომვის შცდომების მაღალი ალბატობა არსებობს. გარდა ამისა, ამოსარჩევიდან ყველაზე ძველი დაკვირვებები არ გამოირიცხება, რაც მოდელის სიზუსტეს მკვეთრად აუარესებს.

**VaR-ის გაანგარიშების მონტე-კარლოს მეთოდი:**

მონტე-კარლოს მეთოდი, ანუ სტოხასტიკური მოდელირების მოდელი VaR-ის გაანგარიშების ყველაზე რთულ მოდელს წარმოადგენს, მაგრამ მისი სიზუტე შეიძლება მნიშვნელოვნად მაღალი იყოს, ვიდრე სხვა მეთოდებში. მონტე-კარლოს მეთოდი ისტორიული მოდელირების მეთოდის მსგავსია, იგი ასევე აქტივების ფასის ცვლილებაზეა დაფუძნებული, მხოლოდ განაწილების დასახული პა-

რამეტრებით (მათემატიკური მოლოდინით, ვალატიულობით). მონტე-კარლოს მეთოდი პორტფელთან მიმართებაში ფინანსური შედეგის გაანგარიშებასთან ბაზარზე სიტუაციების განვითარების ერთჯერადი მოდელირების დიდი რაოდენების გამოკვლევების განხორციელებას ითვალისწინებს. მოცემული გამოკვლევების განხორციელების შედეგად შესაძლო ფინანსური შედეგების განაწილება იქნება მიღებული, რომლის საფუძველზე არჩეული ნდობითი ალბათიბის თანახმად ყველაზე უარესების გამორიცხვის გზით შეიძლება VaR-შეფასება იქნას მიღებული. მონტე-კარლოს მეთოდი მთლიანობაში პორტფელის ანალიტიკური შეფასების მისაღებად ფორმულების შეკვეცას და გავრცობას არ ითვალისწინებს, ამიტომ პორტფელის მიხედვით შედეგისათვისაც, ვოლატიურობებისათვისაც და კორელაციებისათვისაც შეიძლება მნიშვნელოვნად უფრო რთული მოდელები იქნას გამოყენებული. მეთოდი მდგომარეობს შემდეგში: რეტროსპექტიული მონაცემების მიხედვით (დროითი პერიოდის მიხედვით) მათემატიკური მოლოდინებისა და ვოლატიურობის შეფასებები გაიანგარიშება. შემთხვევითი რისცხვების ჩამრთავის მეშვეობით ნორმალური განაწილების მეშვეობით მონაცემების გენერირება ხორციელდება და შეიტანება ცხრილში. სემდეგ მოდელირებადი ფასების ტრაექტორია ნატურალური ლოგარითმის ფორმულის მიხედვით გაიანგარიშება და პორტფელის ღირებულების გადაფასება ხორციელდება.

რამდენადაც მონტე-კარლოს მეთოდით VaR შეფასება პრაქტიკულად ყოველთვის პროგრამული საშუალებების გამოყენებით ხორციელდება, მოცემული მოდელები შეიძლება თავისთავად არა ფორმულებს, არამედ მნიშვნელოვნად რთულ ქვეპროგრამებს წარმოადგენდნენ. ამრიგად, მონტე-კარლოს მეთოდი რისკების გაანგარიშებისას პრაქტიკულად ნებისმიერი სირთულის მოდელების გამოყენების შესაზლებლობას იძლევა. მონტე-კარლოს მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს კიდევ იმასი, რომ ნებისმიერი განაწილებების გამოყენება არის შესაძლებელი. გარდა ამისა, მეთოდი ბაზრების ქცევის – ტრენდების, მაღაალი ან დაბალი ვოლატიურობის კლასტერების, რისკის ფაქტორებს შორის ცვალებადი კორელაციების, სცენარების „რომ თუ“ და ა.შ. მოდელირების შესაძლებლობას იძლევა. ამასთან ღირს აღინიშნოს, რომ მოცემული მეთოდი მძლავრ გამოთვლით რესურსებს მოითხოვს და უმარტივესი რეალიზაციებისას შეიძლება ისტორიულ ან პარამეტრისეულ VaR-თან ახლოს აღმოჩნდეს, რაც ყველა მათი ნაკლოვანებების მორგებამდეც მიგვიყვანს.

რისკების შეფასების VaR მეთოდის ნაკლოვანებას წარმოადგენს ის, რომ იგი ძალიან მრავალ მნიშვნელოვან და საინტერესო დეტალების იგნორირებას ახდენს, რომლებიც საბაზრო რისკების რეალური წარმოდგენისათვის არის საჭირო. მეთ%ოდი VaR არ ითვალისწინებს, თუ რისკში რა წვლილი შეაქვს ბაზარს, პორტფელის როგორი სტრუქტურული ცვლილებები ადიდებს რისკს, ასევე ჰეჯირების რომელი ინსტრუმენტები აკონტროლებს სპეციფიკურ რისკს. მოდელი არ იძლევა VaR-ის მნიშვნელობის საზღვრებს გარეთ ინფორმაციას ყველაზე უარესი შესაძლო ზარალის შესახებ (ნდობის 95%-იანი დონისას რჩება უცვლელი, როგორი შიძლება იყოს დანაკარგები დარჩენილ 5%-იან შმთხვევებში).

საბაზრო რისკის შეფასების ალტერნატიული ღონისძიების სახით შეიძლება Shortfall მეთოდოლოგია იქნას გამოყენებული, რომელიც თავისთავად დანაკარგების VaR-ს გადაჭარბებულ საშუალო სიდიდეს წარმოადგენს. Shortfall – რისკის უფრო კონსერვატიული ფორმაა, ვიდრე VaR. ალბათობის ერთი და იგივე დონისათვის Shortfall უფრო დიდი კაპიტალის დარეზერვებას მოითხოვს. ამრიგად, იგი დიდი დანაკარგების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც შეიძლება მცირეალბათობით მოხდეს. იგი ასევე პრაქტიკაში რისკის ისეთ გავრცელებულ შემთხვევაში უფრო ადექვატურად შეფასების შესაძლებლობას იძლევა, როდესაც დანაკარგების განაწილებას გააჩნია განაწილების ფუნქციების „მსხვილი კუდები“ (ნორმატიული განაწილებიდან გადახრები ალბათობების სიმჭიდროვის განაწილებისა კიდურებზე).

**რისკის გაანგარიშება რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის დებულებასთან შესაბამისობაში:**

საბაზრო რისკის სიდიდე ბანკის საკუთარი სახსრების (კაპიტალის) საკმარისობის ნორმატივის (ინსტრუქცია „ბანკების სავალდებულო ნორმატივების შესახებ“ შესაბამისად) გაანგარიშებაშია

ჩართული. საკრედიტო ორგანიზაციების მიერ საბაზრო რისკების გაანგარიშების წესი ასევე რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის „საკრედიტო ორგანიზაციების მიერ საბაზრო რისკის სიდიდის გაანგარიშების წესის შესახებ“ დებულება ითვალისწინებს. საბაზრო რისკის ერთობლივი სიდიდე გაიანგარიშება ფორმულით:

**სბრ = 12,5 x (პრრ + ფნრ) + სვრ,**

სადაც: სბრ – საბაზრო რისკის ერთობლივი სიდიდეა;

პრრ – პროცენტული რისკია, რომელიც საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისადმი მგრძნობიარე ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით საბაზრო რისკის სიდიდის განმსაზღვრელია;

ფნრ – ფინანსური რისკია, რომელიც წილობრივ ფასიან ქაღალდებზე მიმდინარე (სამართლიანი) ღირებულების ცვლილებისადმი მგრძნობიარე საპროცენტო მგრძნობიარე ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით საბაზრო რისკის სიდიდის განმსაზღვრელია;

სვრ – სავალუტო რისკია, რომელიც საკრედიტო ორგანიზაციების მიერ გახსნილი პოზიციების მიხედვით საბაზრო რისკის სიდიდის ნაწილია უცხოურ ვალუტებში და ძვირფას ლითონებში.

**საბაზრო რისკის შემცირების მეთოდები.**

**ფორვარდული შეთანხმება :**

საპროცენტო რისკისაგან დაცვის აღნიშნული მეთოდი ბანკსა და კლიენტ/კონტრაგენტს შორის, განსაზღვრული სიდიდითა და დადგენილი პროცენტის ქვეშ ან გარიგების თანხისა და ფორვარდული გაცვლითი კურსის შეთანხმებაში ფიქსაციისას, უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის შესახებ სესხის შეთანხმებულ დღეს მიწოდების შესახებ სპეციალური კონტრაქტული შეთანხმების დადებასთან არის დაკავშირებული. ასეთი შეთანხმების დადებით, ბანკი თავისთავს სესხის გაცემის მომენტისათვის საბაზრო საპროცენტო განაკვეთების/გაცვლითი კურსის დაცემის შემთხვევაში დანაკარგების რისკისაგან იცავს. აღნიშნული განაკვეთების/გაცვლითი კურსის ამაღლებისას კი კლიენტი/კონტრაგენტია მოგებული, რომელიც კრედიტ/ვალუტას უფრო დალი ფასით მიიღო. ჰეჯირების მოცემული მოდელი, ამრიგად, კლიენტ/კონტრაგენტსა და საკრედიტო ორგანიზაციას შორის საპროცენტო განაკვეთებია ან სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკის დაყოფის შესაძლებლობას იძლევა. ფორვარდები დაიდება არასაბირჟო ბაზარზე (მაგალითად, ვალუტა საერთაშორისო ბაზარზე), ამიტომ საქონელის რაოდენობა შეიძლება იყოს ნებისმიერი და მყიდველსა და გამყიდველს შორის შეთანხმებაზეა დამოკიდებული.

**ფიუჩერსული კონტრაქტები:**

ფიუჩერსული კონტრაქტები მათ მფლობელს შესაბამისი აქტივის მომავალში წინასწარ დადგენილი ფასით შეძენაზე ან გაყიდვაზე აძლევს უფლებას. ფიუჩერსული კონტრაქტები აქტივის საბაზრო ღირებულების მერყეობებზე თამაშისა და ასეთი მერყეობებისაგან დანაკარგების რისკის შმცირების შესსაძლებლობას აძლევს.

ფიუჩერსები (ფიუჩერსული კონტრაქტები) ბირჟაზე საქონელის ან აქტივის, კინტრაქტებად ან ლოტებად წოდებული, სტანდარტიზირებული პორციების სახით შეიძინება და გაიყიდება. ამასთან მრავალი ფიუჩერსული კონტრაქტი საერთოდ აქტივის მიწოდებას არ ითვალისწინებენ, უბრალოდ ფულადი ურთიერთანგარიშსწორება ხორციელდება. ფორვარდული კონტრაქტის დადებით, მონაწილესარ შეუძლია მისგან კონტრაგენტის თანხმობის გარეშე გავიდეს, ამიტომ ფორვარდის მიხედვით ვალდებულებებისაგან უარის თქმა შეიძლება მეტად პრობლემატიური იყოს. ფიუჩერსისაგან კი შეიძლება ნებისმიერ მომენტში ითქვას უარი, მასზე უკუ გარიგების განხორციელების გზით. სწორედ ამაშია ფიუჩერსების მთავარი განსხვავება ფორვარდებისაგან.

**ოფციონი:**

ოფციონი არსებობს ორი სახეობის: ევროპული და ამერიკული. ევროპული ოფციონი მის მფლობელს აძლევს უფლებას, მაგრამ არა კონტრაქტის მოქმედების დასრულების მომენტში აქტივების გარკვეული რაოდენობის წინასწარ დადგენილი ფასის მიხედვით (აღსრულების ფასი) შეძენაზე (ოფციონი „კოლლი“) ან გაყიდაზე (ოფციონი „პუტი“) ვალდებულებას. ამერიკული ოფციონი მის მფლობელს უფლებას აძლევს კონტრაქტის მიქმედების დასრულების მომენტამდე ნებისმიერ დროს აღ-

სრულების წინასწარ დადგენილი ფასის მიხედვით აქტივების გარკვეული რაოდენობა შეიძინოს ან გაყიდოს.

**სვოპი:**

სვოპური კონტრაქტი – ერთი აქტივებიდან სამომავლო გადახდების ნაკადის სხვა აქტივებიდან სამომავლო გადახდების ნაკადზე გაცვლის შესახებ თანხმობას ეწოდება.

საპროცენტო რისკის შემცირების ერთ-ერთ ხერხს პროცენტებთან (პროცენტული სვოპი) „სვოპ" ოპერაციები წარმოადგენენ, როდესაც ორი მხარე ერთმანეთს შორის გარიგებას დებენ, რომლის პირობების თანახმად წინასწარ შეთანხმებულ ვადებში გარკვეული ვალდებულებების მიხედვით ერთმანეთისათვის პროცენტების გადახდის ვალდებულებას იღებენ. ჩვეულებრივად ფიქსირებული განაკვეთიანი გარიგების მიხედვით პროცენტული გადახდების გაცვლა ხორციელდება ცვალებადი (მცურავი) განაკვეთიანი გარიგების საპირისპიროდ. ამასთნ მხარეს, რომელიც ფიქსირებული განაკვეთის მიხედვით გადახდის განხორციელების ვალდებულებას ღებულობს, გარიგების პერიოდში ცვალებადი განაკვეთების მნიშვნელოვანი ზრდის იმედზეა, ხოლო საწინააღმდეგო მხარე კი – მათ შემცირების იმედზეა. გარიგების შედეგად იგებს ის მხარე, რომელმაც საპროცენტო განაკვეთების დინამიკის სწორი პროგნოზირება გააკეთა.

სავალუტო სვოპი თავისთავად ორ მხარეს შორის ძირითადი თანხისა და სესხის მიხედვით ფიქსირებული პროცენტული გადახდების ერთ ვალუტაში მეორეზე გაცვლის შესახებ შეთანხმებას წარმოადგენს.

**დაზღვევა** საბაზრო რისკის – არის მთლიანად რისკის სადაზღვევო ორგანიზაციაზე გადაცემა.

**დივერსიფიკაცია** პორტფელის – არის ფართე წრის ფასიანი ქაღალდების საინვესტიციო პორტფელში, ფასების დაცემის შემთხვევაში სერიოზული დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით, ერთი ან რამდენიმე ფასიანი ქაღალდის ჩართვა. რამდენად უფრო მეტადაა დივერსიფიცირებული პორტფელი, იმდენად უფრო ნაკლებ ზარალს უჩვენებს იგი ერთი ემიტენტის ფასიანი ქაღალდის ღირებულების დაცემისას იმ პირობებში, რომ დანარჩენი ფასიანი ქაღალდების ფასი არ შეიცვალა. შესაძლოა ზარალი საერთოდ არც იყოს, თუ სხვა ფასიანი ქაღალდები პორტფელში გაიზარდა.

**კონტრაგენტის საანგარიშსწორებო რისკის** (გარიგების მონაწილის მიერ ფასიან ქაღალდებთან ანგარიშსწორების მიხედვით ვალდებულებების არათავისდროულად შესრულებისა და (ან) შეუსრულებლობის რისკის) **კონტროლი.** კონტრაგენტის საანგარიშსწორებო რისკი, რომელიც არასაბირჟო ბაზარზე გარიგებების განხორციელებისას წარმოიშობა, წინასწარგადახდის და წინასწარმიწოდების უპირატესი პირობებიანი ხელშკრულებების დადებით შეიზღუდება.

**პოზიციური ლიმიტების დადგენა:**

საბაზრო რისკების შეზღუდვის მიზნით ბანკი ადგენს შემდეგ პოზიციურ ლიმიტებს: ლიმიტები ინსტრუმენტების სახეობების მიხედვით (აქციები, ობლიგაციები, რეპო შთანხმებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები); ლიმიტები პორტფელებზე (ფინანსური ინსტრუმენტების ცალკეული პორტფელები); ლიმიტები ცალკეულ ინსტრუმენტებზე. პოზიციური ლიმიტები ცალკეული ინსტრუმენტების მიხედვით პოზიციის შეზღუდვის და პორტფელის კონცენტრაციის რისკის შემცირების შესაძლებლობას იძლევა.

პორტფელის კონცენტრაციის რისკი – არის რისკის მსგავსი ფაქტორებით ზემოქმედი ერთგვაროვანი ფინანსური ინსტრუმენტების ზედმეტად კონცენტრაციის შდეგად, ბანკის ფინანსური დანაკარგების ალბათობა. კონცენტრაციის რისკის შემზღუდავი ლიმიტების დამტკიცება ანალიტიკური მონაცემებისა და გაანგარიშებების საფუძველზე ხორციელდება. პორტფელების კონცენტრაციის რისკის მონიტორინგი ყოველდღიურობის საფუძველზე ფასიანი ქაღლდების პორტფელის მდგომარეობისა და ბანკთაშორისო კრედიტების ბაზარზე ოპერაციების შესახებ ანგარიშგების შდგენის მეშვეობით ხორციელდება. პოზიციური ლიმიტების განსაზღვრისას ფასიანი ქაღალდების ემიტენტის ფინანსური მდგომარეობის ყოველმხრივი და კომპლექსური ანალიზი ხორციელდება. VaR-ის საანგარიშო მნიშვნელობა პოზიციური ლიმიტების დადგენისათვის ბაზას ემსახურება.

**კრედიტების გაცემა მცურავი საპროცენტო განაკვეთებით:**

ასეთი ღონისძიებები ბანკს, საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერრყეობის შესაბამისობაში, გაცემულ კრედიტთან მიმართებაში საპროცენტო განაკვეთის სიდიდეში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას აძლევს. შედეგად ბანკს, სასესხო პროცენტის საბაზრო ნორმის გადიდების შემთხვევაში, ალბათობრივი დანაკარგების თავიდან აცილების შესაძლებლობა ეძლევა.

**აქტივებისა და პასივების ვადების მიხედვით შეთანხმება:**

აღნიშნული შეთანხმება როგორც ბანკის მთლიანი ბალანსის მიხედვით (მაკროჰეჯირება), ასევე კონკრეტული აქტივისა და კონკრეტული პასივის მიხედვითაც (მიკროჰეჯირება) არის შესაძლებელი. საპროცენტო რისკის მაქსიმალურად ჰეჯირებისათვის აქტივისა და პასივის მიხედვით ვადები სრულად თანხვედრები უნდა იყოს, რაც, ამასთან, ბანკის საქმიანობაში მანევრირებულობას მნიშვნელოვანი სახით ზღუდავს. აღნიშნულის შედეგად აქტივისა და პასივის თანხების შესაბამისი ვადების მიხედვით შორის წყვეტადობა დაიშვება. მოცემული სხვაობის მართვის მიზნით, ბანკები ჩვეულებრივად, აქტივებისა და პასივების ვადის მიხედვით შესაბამისიბის ნორმებს ადგენენ მათი იმ სახეობებისათვის. რომლებიც საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისადმი მგრძნობიარეები არიან.თუ მოსალოდნელია, რომ საპროცენტო განაკვეთები მომავალში გაიზრდება, მაშინ სხვაობა დადებითი უნდა იყოს. აღნიშნული მიგვიყვანს იქამდე, რომ უფრო მაღალ განაკვეთებიან კატეგორიაში გადაადგილდება მეტი აქტივი, ვიდრე პასივში, და ბანკის სუფთა პროცენტული შმოსავალი მოლოდონზე უფრო მეტად გადიდდება. პირიქით, საპროცენტო განაკვეთების მისალოდნელი შემცირებისას სხვაობა უარყოფითი უნდა იყოს.

**ვანო შუშტაკაშვილი**



## ლონდონის კლუბის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

ლონდონის კლუბი (ინგლ. London Club) წარმოადგენს არაფორმალურ საერთაშორისო კომპანიას, ადგილმდებარეობით ლონდონში და აერთიანებს ბანკებს, რომლებმაც სესხები მისცეს ცალკეული ქვეყნების მთავრობებს ან ამ ქვეყნების ცალკეულ იურიდიულ პირებს და განიცდიან მათ დაბრუნებასთან დაკავშირებულ სირთულეებს. ლონდონის კლუბი შეიქმნა XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს რიგი ქვეყნების უუნარობის გამო პასუხი ეგოთ თავიანთ ვალდებულებებზე. კერძოდ, მისი პირველი სხდომა ჩატარდა 1976 წელს ზაირის დავალიანების პრობლემების მოგვარების მიზნით.[3]

*ლონდონის კლუბი* არის ფორუმი კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების დაფარვის ვადების გადახედვის მიზნით. რადგან ეს მოლაპარაკებები ხშირად მიმდინარეობს ლონდონში, ამ კლუბმა მიიღო „ლონდონის კლუბის“ სახელწოდება. აღნიშნული „კლუბი“ წარმოადგენს კომერციულ ბანკებისგან შემდგარ არაოფიციალურ ორგანოს, რომელთა წინაშეც დავალიანება აქვთ „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნებს.

1982 წელს მექსიკაში განვითარებულ სავალო კრიზისამდე პერიოდში, ამგვარი გადაფორმება ჩვეულებრივ გულისხმობდა ვადაგადაცილებულ გადახდებს ვალის ძირითადი თანხის დაფარვით, ახალი სახსრების გაცემის გარეშე. მექსიკაში სავალო კრიზისის შემდეგ ბანკებმა სესხების გადაფორმებაზე შემოიღეს მრავალრიცხოვანი საგანგებო ოპერაციები, რომელთა დროს მოვალეებისადმი გამოიყენებოდა სერიოზული სანქციები. 1985 წლიდან ბანკებმა გააცნობიერეს, რომ რეპრესიული ღონისძიებები ამცირებენ გადახდების ალბათობას და მხოლოდ აუარესებენ მდგომარეობას, რის გამოც რესტრუქტურიზაციის პირობები შერბილებულ იქნა სპრედების შემცირების გზით, კონსოლიდაციით და დაფარვის პერიოდის გაგრძელებით.

[3] http://investments.academic.ru/1118/%D0 %D1%83%D0%B1

შემდეგი, კიდევ უფრო ფუნდამენტური ნაბიჯი გადადგმულ იქნა 1989 წელს ბრეიდის გეგმის კონტექსტში, რომელშიც აღიარებული იყო ერთობლივი სავალო ტვირთის შემსუბუქების აუცილებლობა ვალის შემცირებისა და მისი მომსახურების ღონისძიებების მეშვეობით.

„ბრეიდის ობლიგაციები" არის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც გამოშვებულია კომერციული ბანკების კრედიტების გირაოთი უზრუნველყოფილ ახალ ობლიგაციებზე გადაცვლის გზით. ბრეიდის გეგმის უპირატესობა იყო ის, რომ ვალის რესტრუქტურიზაციის საკითხის გადაჭრისას გვთავაზობდა ე.წ. „ვარიანტების მენიუს", რაც ანიჭებდა მსესხებლებს დიდ მოქნილობას სუვერენული ვალების პორტფელების ეფექტური მართვისთვის. მიუხედავად ამისა, გაუგებარია, თუ რა უპირატესობები ექნებოდა კრედიტორს ვალის შემცირებისა და „ვარიანტების მენიუს" გამოყენებიდან. ვალის ფორმის ცვლილება ნიშნავს, რომ კრედიტორს გააჩნია ნაკლები ინფორმაცია და მსესხებლების მოქმედებაზე გავლენის მოხდენის ნაკლები შესაძლებლობა.

ლონდონის კლუბის ეგიდით კომერციული ბანკების მიერ ვალების რესტრუქტურიზაციის შესახებ ხელშეკრულებები დაფუძნებულია სამ მთავარ დებულებაზე:

- დებულება საერთო წვდომის შესახებ. დავალიანების დაფარვისას არ დაიშვება არც ერთი მსესხებლის დისკრიმინაცია;
- დებულება თანასწორუფლებიანობის შესახებ. ყველა კრედიტი განიხილება თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, ითვალისწინებს ერთნაირ უფლებებს გადახდასა და გირაოზე, რომლებიც დამოკიდებულია ბანკის რისკის ფაქტიურ მოცულობაზე;
- დებულება აუცილებელი ხელმოწერის შესახებ. ვალის დაფარვისას ვადაზე ადრე გადახდების შემთხვევაში მათი განაწილება გამსესხებლებს შორის წარმოებს თანაბარ საფუძველზე.

ჩვეულებრივ, ლონდონის კლუბი თავის სხდომებს მოვალის თხოვნით ატარებს, რომელსაც ან დეფოლტი ემუქრება, ან ვარაუდობს გადაუხდელობას და იმყოფება ვალის სერიოზული დაგროვების საფრთხის წინაშე. მოვალე, როგორც წესი, მიმართავს ბანკს, რომლისგანაც ელის თანაგრძნობას თავისი მოთხოვნის მიმართ. უმრავლეს შემთხვევაში ეს არის ბანკი, რომელსაც მისთვის გაცემული აქვს სესხების მაქსიმალური ოდენობა. ამის შემდეგ ადგენენ ყველა გამსესხებლის სიას და ბანკები ნიშნავენ საკოორდინაციო კომიტეტს, რომელსაც ენიჭება უფლებამოსილება იმოქმედოს ყველა ბანკი-კრედიტორის სახელით.

საკოორდინაციო კომიტეტის შემდეგი ნაბიჯი მდგომარეობს სხვადასხვა ქვეკომიტეტების შექმნაში. მათგან უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური ქვეკომიტეტი, რომლის ვალდებულებაში შედის დავალიანებასთან დაკავშირებული მდგომარეობისა და ქვეყნის ზოგადი ეკონომიკური პერსპექტივების შეფასება მოვალის მიერ თავისი სავალო ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობების შესაფასებლად, სხვა კომერციული ბანკი-კრედიტორების ინფორმირების მიზნით.

ლონდონის კლუბი მოიცავს წამყვან ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს. ლონდონის კლუბის საორგანიზაციო სტრუქტურის საფუძველს წარმოადგენს საბანკო საკონსულტაციო კომიტეტი (სსკ), რომელიც შედგება ლონდონის კლუბის ყველაზე მსხვილი ბანკების წარმომადგენლებისაგან. სსკ წარმოადგენს დავალიანების დარეგულირების ზოგადი პრინციპების შემმუშავებელ ორგანოს. ლონდონის კლუბის რეგულარულ სხდომებზე მიიღება გადაწყვეტილებები დავალიანების დაუფარაობის პრობლემების მოგვარების შესახებ. სხდომებზე იდება ხელშეკრულებები მოვალე ქვეყნებთან. როგორც წესი, ისინი, ერთის მხრივ, მოიცავენ ისეთ ზომებს, როგორიცაა დავალიანების რესტრუქტურიზაცია, დაფარვის გადავადება, განახლებადი სესხების გაცემა, ხოლო მეორეს მხრივ, მკაცრ ზომებს სესხების დაბრუნების უზრუნველსაყოფად: დავალიანების გადახდების განრიგის დადგენა, დავალიანების ნაწილის დაუყოვნებელი გადახდა და ა.შ. ლონდონის კლუბის ოპერაციების მოცულობა შთამბეჭდავია. სავალო კრიზისის წლებში (1982-1985 წწ.) ლონდონის კლუბმა დადო 47 შეთანხმება საერთო თანხით 130 მლრდ დოლარი.

ლონდონის კლუბი აქტიურად თანამშრომლობს პარიზის კლუბთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მაგრამ ეს თანამშრომლობა ატარებს, პირველ რიგში, საინფორმაციო ხასიათს, რადგან მათგან განსხვავებით, ლონდონის კლუბის ძირითად მიზანს საკუთარი სახსრების დაბრუნება წარმოადგენს.

ლონდონის კლუბის წინაშე რუსეთის ფედერაციის დავალიანების მოცულობა შეადგენს 32,3 მლრდ დოლარს. მათგან ვალის ძირითადი თანხაა 22,2 მლრდ დოლარი, რომელიც რესტრუქტურიზებულ იქნა 1994 წელს და გაფორმდა PRIN ობლიგაციებში. დაგროვილი პროცენტები დაახლოებით 6,8 მლრდ დოლარის ოდენობით გაფორმდა ობლიგაციებში IAN. ვალის კიდევ 2,8 მლრდ დოლარი შეადგენს ვადაგადაცილებულ გადახდებს. ვალების მომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემები დაიწყო 1998 წლის აგვისტოს შემდეგ. 2000 წლის თებერვალში მიღწეულ იქნა მოლაპარაკება სსკ-თან PRIN-ის ობლიგაციებში ძირითადი საბჭოთა ვალის ოდენობის 37,5%-ით და IAN-ის ობლიგაციებში დაგროვილი პროცენტების 33%-ით ჩამოწერის შესახებ. შედეგად რუსეთის ფედერაციის ვალი ლონდონის კლუბის წინაშე შემცირდა 21,3 მლრდ დოლარამდე. ხელმოწერის შემდეგ აღნიშნული კატეგორიის ვალი გადაფორმებულ იქნა ახალ 30-წლიან ევროობლიგაციებად.

*ლონდონისა და პარიზის კლუბებს შორის მსგავსება და განსხვავება.* ისევე, როგორც პარიზის კლუბი, ლონდონის კლუბიც ცდილობს შეამსუბუქოს განვითარებადი ქვეყნების ტვირთი ვალის უშუალო მომსახურებაზე. ეს კლუბები არ წარმოადგენენ საერთაშორისო ორგანიზაციებს. მათი „წევრების შემადგენლობა" არასტაბილურია, და არ აქვთ ოფიციალური მანდატი. თითოეული კლუბს გააჩნია წესებისა და პროცედურების კომპლექსი ვალის გადახედვაზე ოპერაციების ჩასატარებლად. ლონდონის კლუბში ბანკი-კრედიტორების ინტერესებს წარმოადგენს საკონსულტაციო კომიტეტი იმ ბანკების შემადგენლობით, რომლებზეც მოდის აღნიშნული ქვეყნის ვალის მაქსიმალური წილი (პარიზის კლუბში გამსესხებლები ყველაზე ხშირად წარმოდგენილი არიან ყველაზე გავლენიანი ბანკებით კონკრეტულ ვალში მათი წილის მიუხედავად). პარიზის კლუბის სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც გულისხმობს სავალო ვალდებულებების გარდაუვალ შესრულებას, დაკრედიტების პირობების და სავალო ტვირთის შემსუბუქებაში ერთობლივ მონაწილეობას, თანაბრად გამოიყენება ლონდონის კლუბისადმიც. მიუხედავად ასეთი სტრუქტურული და პროცედურული მსგავსებისა, ლონდონისა და პარიზის კლუბებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები.

ლონდონის კლუბი კომერციული სტრუქტურებისთვის ახორციელებს ვალების რესტრუქტურიზაციას, მაშინ როდესაც პარიზის კლუბი განიხილავს ვალებს ოფიციალური მსესხებლებისთვის. ლონდონის კლუბს არ ჰყავს მუდმივი თავმჯდომარე ან სამდივნო, და მისი პროცედურები ატარებენ გაცილებით უფრო თავისუფალ ხასიათს. ამიტომ წესები, რომლებიც არეგულირებენ ლონდონის კლუბის სხდომების ჩატარებას, მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების შესაბამისად. მიდგომების ასეთი მოქნილობა აძნელებს ლონდონის კლუბის პროცედურების აღწერას. ლონდონის კლუბში ვალის დაფარვის ვადების გადახედვის ფორმალური ვადების არ არსებობის გამო კომერციული ბანკები, რომლებიც გაწევენ მაქსიმალურ რისკს დავალიანების რესტრუქტურიზაციის მთხოვნელი ქვეყნის მიმართ, ქმნიან ხელმძღვანელ კომიტეტს სახელწოდებით „საბანკო საკონსულტაციო კომიტეტი" (სსკ) იმ კომერციული ბანკების ინტერესების დაცვისთვის, რომლებიც სთავაზობენ კრედიტებს ამა თუ იმ ქვეყანას. მართალია, ლონდონის კლუბის მიერ ვალის რესტრუქტურიზაციისას მონაწილეობა შეიძლება მიიღოს ასობით ბანკმა, აღნიშნული ხელმძღვანელი კომიტეტის შემადგენლობაში შედიან არაუმეტეს 15 ბანკის წარმომადგენლები. მოვალე ქვეყანასა და ხელმძღვანელ კომიტეტს შორის მიღწეულმა შეთანხმებამ საჭიროა მიიღოს იმ ბანკების მხარდაჭერა, რომლებზეც მოდის მოვალის დაუფარავი ვალდებულებების 90-95%, და მხოლოდ ამის შემდეგ აღნიშნული შეთანხმება შეიძლება იყოს ოფიციალურად ხელმოწერილი. ამრიგად, ლონდონის კლუბში ვალის რესტრუქტურიზაცია მოვალე ქვეყნისთვის შეიძლება იქცეს დამქანცველ, ხანგრძლივ და ძვირადღირებულ პროცედურად. და პირიქით, მოლაპარაკება პარიზის კლუბში წარმოებს უფრო სწრაფად და მოვალე ქვეყნისთვის თითქმის დანახარჯების გარეშე.

როგორც წესი, ლონდონის კლუბი არ ახდენს პროცენტების გადახდების გადახედვას, მაშინ როდესაც პარიზის კლუბი ახდენს როგორც ვალის ძირითადი ოდენობის, ისე პროცენტების გადახდის გადახედვას. ნაცვლად ამისა, კომერციული ბანკები ქვეყანას აძლევენ ახალ სესხს რესტრუქტურიზაციისთვის ღონისძიებათა პაკეტის ნაწილის სახით. ცალკეული ბანკების წილები ასეთ კრედიტში, ჩვეულებრივ, დაფუძნებულია მოვალე ქვეყანაში მათი რისკების სიდიდეზე. მაგრამ უკანასკნელ წლებში ბანკები სულ უფრო ნაკლებ სურვილის ავლენენ მოვალეთა უმეტესი ნაწილისთვის დამატებითი სასხრების

გაცემაზე. ბოლოდროინდელ შეთანხმებებში ვალის გადახედვის შესახებ არსებობს ალტერნატიული ფინანსური შესაძლებლობების ნაკრები, რომელიც მოიცავს ვალის შემცირების ინსტრუმენტებს. ლონდონის კლუბს, პარიზის კლუბისგან განსხვავებით, შეუძლია გადახედოს ვალის დაფარვის ვადებს ისე, რომ არ მოსთხოვოს მოვალე ქვეყანას სსფ-თან სარეზერვო კრედიტების შესახებ ხელშეკრულების დადება. პარიზის კლუბი, ჩვეულებრივ, არ თანხმდება ერთ წელიწადზე მეტი ხანგრძლივობის კონსოლიდაციის პერიოდებზე, ხოლო ლონდონის კლუბი ამჯობინებს, რომ ისინი შეადგენდნენ ორ-სამ წელიწადზე მეტს. ამავე დროს, პარიზის კლუბმა თანდათან გაზარდა თავისი კონსოლიდაციის პერიოდები, მაშინ როდესაც ლონდონის კლუბი არ ავლენს მოქნილობას ამ საკითხში.

**ლონდონის და პარიზის კლუბების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები**

| ფუნქციონალური ნიშანი | ლონდონის კლუბი | პარიზის კლუბი |
|---|---|---|
| საქმიანობის მიზანი | განვითარებადი ქვეყნების ფინანსური ვალის მომსახურების და დაფარვის მიზნით | პრობლემების გადაჭრა, საგარეო |
| სტატუსი და ორგანიზაციული სტრუქტურა | არაფორმალური კომპანიები ოფიციალური ცვალებადი შემადგენლობით | მანდატის გარეშე მონაწილეების |
| საქმიანობის პროცედურა | დებიტორების ფინანსური ქცევის შეფასებისა ძირითადი მიდგომები იდენტურია | და დაკრედიტების პირობებისადმი |
| სხდომების მოწვევის პერიოდულობა | მკაცრად არ რეგლამენტირდება, სხდომები მიხედვით | ტარდება მიმდინარე საჭიროების |
| საქმიანობის დაწყება | 1976 წ. | 1956 წ. |
| საქმიანობის სფერო | კომერციული სტრუქტურების მიმართ დავალიანების რესტუქტურიზაცია | ოფიციალური (სახელმწიფო) სტრუქტურების მიმართ დავალიანების რესტრუქტურიზაცია |
| რესტრუქტურიზაციის პროგრამის დაწყება | განისაზღვრება დებიტორის მიერ (თარიღი, მითითებული მოვალის მიერ საინფორმაციო შეტყობინებაში ვალების გადახდაზე უარის თქმის შესახებ) | განისაზღვრება მევალის მიერ (თარიღი, საიდანაც ქვეყნები-კრედიტორები უარს აცხადებენ მისცენ მსესხებელს ახალი სესხი) |
| ინტერესების დაცვა | მევალის ინტერესებს წარმოადგენს საბანკო საკონსულტაციო კომიტეტი (სსკ) ყველაზე დაინტერესებული ბანკებიდან | მევალის ინტერესებს წარმოადგენენ ყველაზე გავლენიანი ბანკები, მიუხედავად მათი წილისა |
| პროცენტების და ძირითადი თანხის გადახედვის შესაძლებლობა | „ძველი“ სესხების პირობები არ განიხილება. კლუბი ათანხმებს ღონისძიებების პროექტს დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ და ბანკები ხდებიან ახალი ევრობონდების მფლობელები | წინა პერიოდების შეთანხმებები შეიძლება იქნეს გადახედილი |
| დებიტორების მხარდაჭერის აუცილებლობა სსფ-ის ან სხვა ფინანსური დაწესებულებების მიერ | არ არის აუცილებელი | დავალიანების რესტრუქტურიზაცია ერთიანდება მოთხოვნასთან ხელშეკრულების დადებაზე სსფ-ს ტრანშების გამოყოფაზე და სხვა წყაროებიდან ალტერნატიულ დაკრედიტებაზე |

*კომერციული ვალის დაფარვის გადახედვის პროცესი.* ლონდონის კლუბში ვალის რესტრუქტურიზაცია ხორციელდება შვიდ ეტაპად. ჯერ მოვალე აცხადებს მორატორიუმს გადახდებზე და ადგენს საინფორმაციო მემორანდუმს. ამის პარალელურად გამსესხებლები ქმნიან საბანკო საკონსულტაციო კომიტეტს. მხარეები იწვევენ თათბირს მდგომარეობის შესასწავლად, შემდეგ ათანხმებენ ძირითად პირობებს, და ბოლოს, დოკუმენტურად აფორმებენ შეთანხმებას ვალის გადახედვის შესახებ.

რესტრუქტურიზაციის პროცესი იწყება მაშინ, როდესაც მოვალე ქვეყანა აცხადებს კონკრეტულ ზღვრულ თარიღს, რომლიდანაც ის დაიწყებს გადახდების შეჩერებას თავის ვალდებულებებზე. ასეთი განცხადება მორატორიუმის შესახებ ნიშნავს მსესხებლის უუნარობას მოემსახუროს მთელ დაუფარავ ვალს ან მის ნაწილს და მოუწოდებს ამ ვალის დაფარვის ვადების გადახედვის შესახებ მოლა-

პარაკების დაწყებისკენ. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებას არ აქვს არანაირი იურიდიული ძალა, პირველ ხანებში გამსესხებლებზე მოქმედებს როგორც ჰიპნოზი: ის ხელს უშლის მათ ნებისმიერ ცდას ცალმხრივად აღძრან სასამართლო სარჩელი, რომლის უფლება მათ აქვთ, ჩვეულებრივ, სესხის გაცემის შესახებ თავდაპირველი შეთანხმებით. განმარტება მარტივია – რომელიმე გამსესხებლის ცალმხრივი მცდელობა აიძულებს ყველა სხვა გამსესხებელს მიიღოს ზომები თავისი ვალების რეპატრიაციისათვის და, ამრიგად, შეაქვთ რა არეულობა, შეიძლება საერთოდ დატოვონ სხვები რაიმე ანაზღაურების გარეშე. ამიტომ არ უყენებდნენ ოფიციალურ მოთხოვნებს ბანკი-კრედიტორები რუსეთის ფედერაციას მის მიერ 1998 წლის 17 აგვისტოს მორატორიუმის გამოცხადების შემდეგ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ Lehman Brothers, მაგრამ მისი მოთხოვნა მაინც არ იყო სხვების მიერ მხარდაჭერილი).

მოსამზადებელი სამუშაოების დაწყების შემდეგ, რომელიც მოიცავს ვალის დარეგულირების სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავებას, მოვალე ქვეყანა ატარებს კონსულტაციებს თავის მთავარ კრედიტორებთან ხელმძღვანელი კომიტეტის შექმნის მიზნით. ჩვეულებრივ, მოვალე ქვეყანა ირჩევს ბანკებს, რომლებიც გაგებით ეკიდებიან სსკ-ს შემადგენლობაში მის მიერ წამოყენებულ მუშაობის პირობებს და წარმოდგენენ ძირითად გეოგრაფიულ რეგიონებს, რომელთა წინაშეც ქვეყანას აქვს ვალდებულებები.

**ჯუმბერ ხარაიშვილი** **ნოდარ ხარაიშვილი**





## საბანკო კონსულტაციები

მუშაობის მრავალწლიანმა გამოცდილებამ საშუალება მისცა საბანკო საკონსულტაციო კომიტეტებს გამხდარიყვნენ საკმაოდ კომპეტენტურნი ქვეყნების ეკონომიკური პერსპექტივების დეტალური შეფასების და სსფ-ის დახმარებით უფრო რეალისტურ საფუძველზე ინვესტიციების დაბანდების სქემის აგების საქმეში. კერძოდ, ამჟამად ბანკები აწარმოებენ მოლაპარაკებას დაკრედიტების გრძელვადიანი სქემების შესახებ, რომელთა ფარგლებში ახდენენ გადახდების რეფინანსირებას ვალის კაპიტალური თანხის დაფარვის ანგარიშში. ამ სქემების თანახმად, *ინვესტიციათა დაბანდება* ყოველ წელს დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, სსფ-ში კარგი რეპუტაციის შენარჩუნების ჩათვლით. კაპიტალის გრძელვადიანი დამატებითი დაბანდებისას ბანკებმა გამოავლინეს გაცილებით მეტი წარმოსახვა, ვიდრე ოფიციალურმა გამსესხებლებმა. გარდა ამისა, მათ რეალურ დონემდე შეამცირეს საგარანტიო ანარიცხების ოდენობა და უმრავლეს შემთხვევაში გააუქმეს ერთჯერადი საკომისიო.

მაგრამ გამსესხებელთა ინტერესების ზუსტი თანაფარდობა დამოკიდებულია თითოეული ჯგუფის შემადგენლობაზე, გამსესხებელთა ნებისმიერ კონკრეტულ ჯგუფში შეიძლება ვიპოვოთ განსაზღვრული „ჯგუფები განსაკუთრებული ინტერესებით“.

გამსესხებელთა ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენს ის, რომელზეც მოდის ძირითადი რისკი. ამ გამსესხებლებს სავსებით შეიძლება წარმოადგენდნენ მსოფლიოს უმსხვილესი ბანკები. კრიზისის ადრეულ ეტაპებზე სუვერენულ სახელმწიფო-მსესხებელთა ვალების ოდენობა აღემატებოდა ბანკების კაპიტალის ღირებულებას. ამ ბანკებს ემუქრებოდათ საკმაოდ დიდი ზარალი, რასაც შეიძლება ისინი დაეყენებინა გაკოტრების ზღვარზე, ამიტომ იძულებული იყვნენ დაედოთ ხელშეკრულებები თავიანთ სუვერენულ მოვალეებთან, რომლებიც იცავდნენ მათი დაუფარავი აქტივების

ღირებულებას. ამისათვის ბანკებს უნდა უზრუნველყოთ, რომ მოვალეებს არა მარტო ეღიარებინათ თავიანთი ვალდებულება ვალის ანაზღაურებაზე, არამედ განეხორციელებინათ ვალზე პროცენტების გადახდა მიმდინარე საფუძველზე. არ არის აუცილებელი მსხვილი გამსესხებლების ინტერესები ემთხვეოდეს იმათ ინტერესებს, რომელთაც შედარებით მცირე რისკები გაჩნიათ. წვრილ გამსესხებლებს უფრო მეტად აწუხებდათ ხარჯები, რომლებსაც ისინი გასწევდნენ ვალის დაფარვის პირობების გადახედვისას, და ასევე პრეცედენტები, რომლებსაც ისინი შექმნიან, ვიდრე ის ზარალი, რომელსაც ისინი განიცდიან, თუ ეცდებიან მოვალის წინააღმდეგ საკუთარი უფლებების დაცვის მიღწევას ან თუ მოლაპარაკებები ჩაიშლება და ისინი ვერ ამოიღებენ ფულს მოვალისგან. მაგრამ ამ ბანკებს გააჩნიათ ინტერესი, სუვერენული სახელმწიფოს მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად არ დაუშვან მსხვილი ბანკების გაკოტრება. ამ უკანასკნელმა შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს საერთაშორისო ფინანსური სისტემის სტაბილურობა და მდგრადობა, რაც აშკარად არ პასუხობს უფრო წვრილი ბანკების ინტერესებს.

საინფორმაციო მემორანდუმის მომზადების შემდეგ პირველ ოფიციალურ კონტაქტს მოვალე ქვეყანასა და სსკ-ს შორის წარმოადგენს მოვალის მდგომარეობის შესწავლის მიზნით თათბირის მოწვევა, რომლის შემდეგ აღნიშნული მემორანდუმი ვრცელდება ყველა ბანკ-კრედიტორს შორის.

ძირითადი პირობების შეთანხმება იწყება მონაწილეთა შერჩევიდან გამსესხებლისა და მოვალის მხრიდან, თანაც უკანასკნელის მხრიდან ასეთი შერჩევის წარმოება საკმაოდ ძნელია. ეს აიხსნება იმით, რომ მოვალის ქვეყნის შიდა კანონმდებლობამ შეიძლება გააძნელოს ცენტრალური ბანკის მიერ სახელმწიფო ვალის საკუთარ თავზე აღება. დავა შეიძლება წარმოიქმნას მაშინ, როდესაც ცენტრალური ბანკი გამოიყენება მთავრობის, მისი უწყებების, დაწესებულების ან ნახევრად სახელმწიფო საწარმოს საშუალო- და/ან გრძელვადიანი ვალების ან მთავრობის მიერ გარანტირებული ვალების რესტრუქტურიზაციის მიზნით. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ იურიდიული და კონსტიტუციური თვალსაზრისით მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოს შეუძლია აიღოს საკუთარ თავზე თავისი უწყებების ან სუბიექტების ვალები. მაშასადამე, ცენტრალურ ბანკს არ შეუძლია პასუხი აგოს, მაგალითად, რესპუბლიკების ან შტატების მთავრობების, ცენტრალური მთავრობების ან ნებისმიერი სამთავრობო ორგანოს ვალებზე. პრაქტიკაში ბანკები არ ცდილობენ შევიდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობებში მთავრობასთან ან სახელმწიფოსთან. სწორედ ცენტრალური ბანკი და არა სახელმწიფო არის, ჩვეულებრივ, ქვეყნის სავალუტო აქტივების მფლობელი. და ისევ, ცენტრალური ბანკი, როგორც სახელმწიფო ორგანო არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს გარანტი. ამიტომ ბანკები, როგორც წესი, დაჟინებით მოითხოვენ, რომ სახელმწიფომ მოაწეროს ხელი შეთანხმებას ვალის გადახედვის შესახებ, ხოლო ცენტრალურმა ბანკმა აიღოს ვალდებულება ამ შეთანხმების თანახმად სავალუტო გადახდებზე. რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებულ შემთხვევაში მთავრობის აგენტად ქვეყნის საგარეო ვალზე თავიდანვე არჩეულ იქნა Внешэкономбанк-ი.

ამის შემდეგ განისაზღვრება, თუ რა ვალები ექვემდებარება და არ ექვემდებარება რესტრუქტურიზაციას. მაგალითად, საშინაო ვალი არ ექვემდებარება რესტრუქტურიზაციას, რადგან სუვერენული სახელმწიფოები იშვიათად აღიქვამენ დადებითად გამსესხებლების ცდებს ჩაერიონ ადგილობრივ ვალუტაში გადასახდელი საშინაო ვალის მომსახურეობის პროცედურებში. ისინი შეიძლება, აგრეთვე, არ დაეთანხმონ იმ ვალის საგარეო ვალად განსაზღვრას, რომელიც მიეკუთვნება ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის გადახდილ სავალუტო ვალდებულებებს, რადგან ასეთ გადახდებს თავისთავად არ მივყავართ უცხოური ვალუტის გადინებამდე.

ვალუტების ჩამონათვალის, პროცენტებისა და საპროცენტო პერიოდების, საკომისიოების, სესხის გამოყენების პირობებისა და კონტროლის პროცედურების შეთანხმების შემდეგ ხდება ვალის გადახედვის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა.

*ვალის დაფარვის პირობების გადახედვა.* ვალის გადახედვის პროცესის მთავარი თავისებურებების გაგებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია მოვალესა და გამსესხებელს შორის ურთიერთობათა არსებული მდგომარეობა იმ მომენტში, როდესაც მსესხებელი ქვეყანა აცხადებს, რომ ის ვერ შეძლებს თავისი სავალო ვალდებულებების შესრულებას მათი დაფარვის ვადის დადგომისას. მსესხე-

ბელ ქვეყანაში მოვალეთა რიცხვში შეიძლება შედიოდეს არა მარტო თვით სუვერენული სახელმწიფო, არამედ ისეთი იურიდიულად დამოუკიდებელი დაწესებულებები სახელმწიფო სექტორიდან, როგორებიცაა ცენტრალური ბანკი და სხვა სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებსაც გააჩნიათ კრედიტების აღების უფლებამოსილება. ამ იურიდიული პირებიდან ერთი ნაწილი დამოუკიდებლად იღებს კრედიტებს, ხოლო მეორეს სესხები გარანტირებულია სუვერენული სახელმწიფოს მიერ. გარდა ამისა, შესაძლებელია მსესხებლების არსებობა კერძო სექტორიდან, რომელთა ვალი შეიძლება იყოს ან არ იყოს გარანტირებული ოფიციალური ხელისუფლების მიერ, მაგრამ შესაძლოა დაზარალდნენ, თუ სუვერენული სახელმწიფო შეეცდება ჩაერიოს ქვეყნის სავალუტო რესურსების მართვაში.

მთლიანობაში, ამ ვალებს აქვთ დაფარვის სხვადასხვა ვადები, შეიძლება გამოიხატებოდნენ სხვადასხვა ვალუტებში, ჰქონდეთ განსხვავებული მიზნობრივი დანიშნულება და რეგულირდებოდნენ სხვადასხვა იურიდიული ნორმებით, მოქმედი კანონმდებლობის ჩათვლით. გარდა ამისა, მოვალე შეიძლება იყოს მრავალი მსესხებელი. მცირე ვალის მქონე ქვეყნების შემთხვევაშიც კი ბანკების საერთო რაოდენობა შეიძლება უახლოვდებოდეს ასს.

მართალია, ვალების მრავალფეროვნება ართულებს სუვერენული სახელმწიფოს ვალის გადახედვის პროცესს, მაგრამ უფრო რთულს მას ხდის დიდი რაოდენობით ჩართული მხარე. გარდა ამისა, ბანკები შეიძლება ავლენდნენ ერთმანეთისადმი უნდობლობას და არ წავიდნენ დათმობაზე, რამაც შეიძლება მათ ხარჯზე უპირატესობა მისცეს სხვა გამსესხებლებს.

ამ პროცესის მოსაწესრიგებლად იქმნება სწორედ საბანკო საკონსულტაციო ან ხელმძღვანელი კომიტეტები. კომიტეტები შედგებიან ბანკი-კრედიტორების წარმომადგენლობითი ჯგუფისგან, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებას მოვალესთან გამსესხებლების მთელი ჯგუფის სახელით.

ხელმძღვანელ და საკონსულტაციო კომიტეტებს არ გააჩნიათ მსესხებელთან ისეთი შეთანხმების დადების იურიდიული უფლემოსილებები, რომელიც აუცილებელი იქნება სხვა მსესხებლებისთვის. საკრედიტო შეთანხმებებში არ არის გათვალისწინებული რაიმე როლი საკონსულტაციო ან ხელმძღვანელი კომიტეტებისთვის, ხოლო მსესხებლები არ იღებენ საკუთარ თავზე ვალდებულებას დაემორჩილონ კომიტეტების გადაწყვეტილებებს. ამრიგად, კრედიტორს, რომელიც არ ეთანხმება ახალი მოლაპარაკების ძირითად პირობებს, ყოველთვის გააჩნია შესაძლებლობა სასამართლოს მეშვეობით მიაღწიოს თავდაპირველი სავალო ვალდებულებების შესრულებას, რომლებიც აქვს აღებული მოვალეს მის წინაშე.

ერთ-ერთ გარემოებას, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელი ან საკონსულტაციო კომიტეტის იურიდიულ სტატუსს, წარმოადგენს ის, რომ მან მაქსიმალურად უნდა წარმოადგინოს გამსესხებელთა ჯგუფის საბანკო და გეოგრაფიული სტრუქტურა.

საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებები იზიარებდნენ გამსესხებელთა დაინტერესებას მსხვილი ბანკებისა და, მთლიანობაში, საფინანსო სისტემის გადარჩენის საქმეში. ბანკი-კრედიტორების რთულმა მდგომარეობამ გააძლიერა უმსხვილესი მოვალე ქვეყნების პოზიცია მოლაპარაკებების პროცესში. ყველა ბანკს უმსხვილესების ჩათვლით, ჰქონდა ნაკლები რისკი უფრო პატარა მოვალე ქვეყნებში. მაგრამ ბანკების შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ნებისმიერი შეთანხმება ამ ქვეყნებთან სხვა ქვეყნების მიერ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც პრეცედენტი და წარმოადგენდეს ვალის გადახედვის თაობაზე სხვა მოლაპარაკებებზე მუდმივი სპეკულირების საგანს.

მოვლენათა ასეთი განვითარების წინაშე გამსესხებლები არ იზიარებენ მოვალეთა შეფიქრიანებას მათი მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თაობაზე. უფრო მეტიც, ისინი ამტკიცებდნენ, რომ მოვალეები ნებაყოფლობით ჩაეფლნენ ვალებში და პასუხს აგებენ თავიანთი ვალდებულებების შესრულებაზე.

ბანკების აქტივების ღირებულების შენარჩუნებიდან, როგორც მოლაპარაკების მთავარი პრინციპიდან, გამომდინარეობს რიგი მნიშვნელოვანი დასკვნები. ეს პრინციპი აუცილებლად აიძულებს მოვალე ქვეყნის მთავრობას პრიორიტეტი მიანიჭოს თავისი ვალის მომსახურეობას. აღნიშნული პრიორიტეტი საკმაოდ სადავოს ხდის შემდეგ საკითხს: უნდა დაუთმოს თუ არა სუვერენულმა მოვალემ თავისი მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვასა და განათლებას მეტი ყურადღება, ვიდრე სავა-

ლო ვალდებულებების მომსახურებას. გამსესხებლები ნებისმიერ მოვალეს, რომელიც ცდილობს მიაღწიოს ასეთი საკითხების განხილვას, უყურებენ როგორც მიამიტს ან ყურადღების გადატანის ტაქტიკის გამტარებელს.

**ციური ხარაიშვილი**



## საბანკო რისკების ანალიზის ლიზინგური ოპერაციებისას

**ლიზინგი** – არის ლიზინგის ხელშკრულების რეალიზაციასთან დაკავშირებით წარმოქმნადი ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობების ერთობლიობა. ლიზინგი შეიძლება იყოს – ოპერატიული და ფინანსური. ოპერატიული ლიზინგისას არენდაგამცემი შეიძენს ქონებას და ხელშეკრულების გარკვეული პირობების შესაბამისად დროებით სარგებლობაში გადასცემს მას ლიზინგმიმღებს. ლიზინგის ხელშკრულების დასრულების შემდეგ მოწყობილობა დაუბრუნდება არენდაგამცემს, ან ლიზინგის ხელშეკრულება ხელახლა გაფორმდება. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ლიზინგის მოცემული სახეობა მოწყობილობის არენდის მცირე ვადებისას გამოიყენება, მაშინ როგორც ნაკეთობის სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლივობა არენდის კონკრეტულ ვადაზე მნიშვნელოვნად მეტია. ასეთ ლიზინგს კიდევ უწოდებენ საექსპლოატაციოს. ფინანსური ლიზინგისას ქონების გამოყენების ვადა ხანგრძლივობასთან მიმართებაში მისი ექსპლოატაციის და ქონების ღირებულების მთლიანი ან მეტი ნაწილის ამორტიზაციის ვადას უახლოვდება. ფინანსური გარიგებიდან ლიზინგამცემი, ხელშკრულების ვადის განმავლობაში ლიზინგური გადახდების შემონატანების ხარჯზე, ქონების მთლიან ღირებულებას იბრუნებს და ღებულობს მოგებას (20, გვ. 257-262).

**ლიზინგური გადახდები** – არის ლიზინგის ხელშკრულების მოქმედების მთლიანი ვადის განმავლობაში ლიზინგის ხელშეკრულების მიხედვით გადახდების საერთო თანხა, რომელშიც შედის – ლიზინგის საგნის შეძენასთან და ლიზინგმიმღებზე გადაცემასთან დაკავშირებული ლიზინგგამცემის დანახარჯების ანაზღაურება, ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა მომსახურეობის განხორციელებასთან დაკავშირებული დანახარჯების, ასევე ლიზინგამცემის შემოსავლის ანაზღაურება.

ლიზინგური გადახდების სიდიდე დამიკიდებულია შემდეგი პარამეტრებისაგან:

• ლიზინგური ქონების ღირებულება (რამდენად მეტია ღირებულება, იმდენად მეტია გადახდა);

• ლიზინგის ვადა და საავანსო გადასახადი (რამდენსდ მეტია ვადა და ავანსი, იმდენად ნაკლებია ლიზინგური გადასახადი);

• ამორტიზაციული ანარიცხები (როგორც წესი, ქონება ლიზინგამცემის ბალანსზე იმყოფება, აქედან გამომდინარე, ამორტიზაციასთან მიმართებაში ხარჯების მისია);

• ლიზინგამცემზე კომპენსაცია ბანკის საკრედიტო სახსრების გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯების, როგორც წესი, ლიზინგური გარიგების თანხიდან 3%-დან – 5%-მდე ჩარჩოებში (საპროცენტო განაკვეთი კრედიტთან მიმართებაში, საკომისიოები და სხვა დანარჩენი ხარჯები);

• ლიზინგამცემის დამატებითი მომსახურების გადახდა (მარჟა სადაზღვევო კომპანიის, შეფასება და ა.შ.).

**ლიზინგმიმღები** – არის იურიდიული პირი, რომელიც ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისობაში ვალდებულია ლიზინგის საგანი მიიღოს ლიზინგის ხელსკრულების შესაბამისად დროებით სარგებლობაში და გამოსაყენებლად გარკვეული საზღაურით, გარკვეული ვადით და გარკვეული პირობებით.

**ლიზინგგამცემუი** – არის იურიდიული პირი, რომელიც მოზიდული და/ან საკუთარი სახსრების ხარჯზე, ლიზინგის ხელშეკრულების რეალიზაციის მსვლელობაში საკუთრებაში იძენს ქონებას და ლიზინგის საგნის სახით მას ლიზინგმიმღებს მიაწვდის დროებითი ფლობისა და გამოყენებისათვის გარკვეული საზღაურით, გარკვეული ვადით და გარკვეული პირობებით, ლიზინგის საგანზე საკუთრების უფლების ლიზინგმიმღებზე გადასვლით ან გადასვლის გარეშე.

ლიზინგმიმღებები შეიძლება ხუთ სხვადასხვა ჯგუფებზე იქნან მიკუთვნებულები მათი სამეურნეო საქმიანობის სპეციალიზაციიდან და სდეგებიდან გამომდინარე:

• რენტაბელურად მომუშავე მსხვილი და საშუალო საწარმოები, რომელთაც ახალი წარმოებისა და ტექნოლოგიების მოდერნიზაციის, ტექნიკური გადაიარაღებისა და შექმნის მიზნით, მოწყობილობის შეძენისათვის ლიზინგის პროგრესული, რესურსდამცავი და გადასახადით დაბეგვრის ნაწილში შეღავათიანი ლიზინგის სქემის გამოყენების სურვილი გააჩნიათ;

• ინვესტიციურად მიმზიდველი საშუალო და მცირე საწარმოები, რომელთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის განსახილველ პერიოდში და პერსპექტივაზე ანალიზი, მათ მდგრად გადახდისუნარიანობას გვიჩვენებს;

• მცირე საწარმოები პროექტების დაბალი ღირებულებით;

• უცხოური ფირმები, სტაბილურად მომუშავენი და თავისი თავის კარგად რეკომენდირებულნი ქვეყნის ბაზარზე;

• ინდივიდუალური მეწარმეები.

ლიზინგში მიზანშეწონილია გადაცემული იქნას – ძირითადი საშუალებები, რომლებზეც მუდმივი მდგრადი მოთხოვნაა ჩამოყალიბებული, და რომლებიც მაღალტექნოლოგიურებს, სწრაფად უკუგებადებს და მაღალლიკვიდურებს წარმოადგერნენ, კერძოდ: ტრანსპორტი, სატვირთო და მსუბუქი ავტომობილები, მოწყობილობა კვების პროდუქტების წარმოებასთან და დაფასოებასთან მიმართებაში, სამშენებლო და საგზაო-სამშენებლო ტექნიკა და მოწყობილობა, სავაჭრო მოწყობილობა, ხისდამამუშავებელი მოწყობილობა, საპორტო მოწყობილობა და ა.შ.. რამდენადაც ლიზინგური მოწყობილობა აუცილებელი პირობით ბანკის გირაოში ფორმდება, ლიზინგის ობიექტი მოქმედ კანონმდებლობას და შიდასაბანკო დოკუმენტებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. ასე მაგალითად, ლიზინგის საგანი არ შეიძლება იყოს – მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი უძრავი ქონება.

**ლიზინგური ოპერაციების რისკების დაფინანსებისა და ანალიზის თავისებურებები:**

ბანკის მიერ ლიზინგური ოპერაციების დაფინანსების ძირითად თავისებურებაა ის, რომ სახსრების დაბრუნების ბოლო წყაროს ბანკის უშუალო მსესხებლად არ მყოფი ლიზიმგმიმღების პროექტი წარმოადგენს. ამრიგად, საკრედიტო პროდუქტის შეფასება და მონიტორინგი თავისთავში არა მარტო მსესხებელის – ლიზინგური კომპანიის, არამედ ლიზინგმიმღებისა და მისი პროექტის შეფასებასაც და მონიტორინგსაც მოიცავს. ამასთან ერთდროულად ლიზინგმიმღების საკრედიტო რისკის შეფასება იგივე პრინციპით ხორციელდება, როგორითაც ლიზინგგამცემის. ლიზინგმიმღების – ინდივიდუალური მეწარმის ფინანსური მდგომარეობის შეფასება ფიზიკური პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეების დაკრედიტების შიდა წესის შსაბამისობაში ხორციელდება.

**რისკის მინიმიზაციის ხერხები:**

ეკონომიკური დანაკარგების რისკის შემცირების მიზნით ბანკი ღებულობს რისკის მინიმიზაციის შემდეგ ხერხებს:

• კრედიტის თანხა აუცილებელი წესით დამატებითი უზრუნველყოფის საგირავნო ღირებულებით უნდა იქნეს გადაფარული იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის საგნის საგირავნო ღირებულება სასესხო დავალიანებისა და კრედიტის მიხედვით პროცენტების დასაფარავად არ არის საკმარისი;

• იმის გათვალისწინებით, რომ კრედიტის დაფარვის წყაროს ლიზინგური გადახდები წარმოადგენს, ბანკის მიერ ლიზინგური კომპანიების დაფინანსება როგორც ლიზინგამცემის, ასევე ლიზინგმიმღებისაც მდგრადი ფინანსური მდგომარეობისას ხორციელდება;

• საკრედიტო ხელსკრულების მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედების ვადას;

• ლიზინგმიმღბის ფულადი ნაკადების პროგნოზები უნდა იყოს დოკუმენტალურად დასაბუთებული და ყოველთვიური ლიზინგური გადახდების შემოსულობებს უნდა უზრუნველყოფდეს;

• ყოველთვიური ლიზინგური გადახდების სიდიდე კრედიტის მიხედვით გადახდების სიდიდის ტოლი უნდა იყოს, ლიზინგური კომპანიის მარჟისა და ყველა აუცილებელი გადასახადების თანხის გათვალისწინებით;

• ლიზინგის ხელშკრულების მიხედვით კონკრეტული ფასები უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ მოწყობილობაზე საშუალო საბაზრო ფასებს;

• ლიზინგგამცემის მიერ საავანსო გადახდის ქონების ღირებულებიდან არანაკლები 10%-ის მიღება, სასურველია 30 40% (როგორც ბანკისათვის გარანტია გარიგების გაბხირციელებაში);

• ლიზინგური გადახდების არ მიღების რისკის შემცირების მიზნით ლიზინგური ქონება ინდა იქნეს დაზღვეული, ამასთან სარგებელშემძენის ბანკი უნდა იქნეს მითითებული;

• ლიზინგური ქონების გირაოს ხელშკრულების, ლიზინგმიმღბი თავდებობის ხელშეკრულებისა და ლიზინგის ხელშეკრულების მიხედვით ამონაგების უფლების დათმობის ხელშკრულების გაფორმება (როგორც წესი, სავალდებულო პირობას რმოადგენს).

**ლიზინგის ხელშეკრულების პირობები:**

ლიზინგის ხელშკრულების სავალდებულო პირობების სახით უნდა აღინიშნოს:

• ლიზინგის ხელშეკრულების თანხა (ხელშეკრულების საერთო თანხაში შეიძლება ლიზინგის საგნის გამოსასყიდი ფასი იქნეს ჩართული, თუ ლიზინგის საგანზე საკუთრების უფლების ლიზინგმიმღებზე გადასვლაა გათვალიზწინებული);

• მონაცემები, რომლებიც ლიზინგის საგნის სახით ლიზინგმიმღებზე გადაცემის ქვემდებარე ქონების გარკვეულად დადგენის შსაძლებლობას იძლევა (ლიზინგში გადაცემას დაქვემდებარებული საგანის შესახებ პირობა ლიზინგის ხელშეკრულებაში აღნიშნული მონაცემების არ არსებობისას, მხარეების მიერ სუთანხმლებლად ითვლება, ხოლო ლიზინგის ხელშეკრულება გაფორმებულად არ ითვლება);

• ლიზინგმიმღების ვალდებულება ლიზინგის საგანი ხელშეკრულებაში მითითებული წესით მიიღოს;

• ლიზინგმიმღების ვალდებულება ლიზინგის ხელშკრულების მიქმედების ვადის დასრულების მიხედვით ლიზინგის საგანი დააბრუნოს, ან ლიზინგის საგანი ყიდვა-გაყიდვის ხელშკრულების საფუძველზე შეიძინოს საკუთრებაში;

• გადაუხადოს ლიზინგგამცემს გადასახადები ლიზინგის ხელშკრულებით დადგენილი წესით და ვადებში;

• ბანკის მოთხოვნის მიხედვით წარუდდგინოს ბუღალტრული ანგარიშგება და სხვა ნებისმიერი სალიზინგო გარიგებასთან და პროექტის რეალიზაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია;

• ვალდებულებების მითითება, რომლებსაც მხარეები ვალდებულებების დარღვევად, ლიზინგის ხელშკრულების მიქმედების შეჩერებისა და ლიზინგის საგნის დაბრინების საბაბად ითვლებიან;

• პირობა იმის შესახებ, რომ ლიზინგური გადახდების სიდიდე და ხელსკრულების ძირითადი პირობები შეიძლება მხოლოდ ბანკთან შეთანხმებით მხარეების შეთანხმების საფუძველზე შეიცვალოს, რადგანაც ხელშეკრულება შეიძლება ლიზინგმიმღების უფლებას მოიცავდეს ლიზინგის ვადის გაგრძელებასთან ან ლიზინგის ხელშეკრულების პირობების ცვლილებასთან დაკავშირებით.

• ლიზინგმიმღების თვალსაზრისით, ლიზინგური სქემის ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს ლიზინგზე დიდი გადასახდელი, რადგანაც გაძვირების პროცენტი რამდენადმე აჭარბებს საბანკო კრედიტების მიხედვით განაკვეთს. უპირატესობებს შეიძლება მივაკუთვნოთ უფრო ხანგრძლივი დაფინანსება, საგადასახადო ეკონომია, ასევე ლიზინგის სქემის მიხედვით დაფინანსების მიღების გამარტივებული პროცედურა.

# სოფლის მეურნეობა

**ონერ ძაძუა**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი



## კაკლის კულტურა და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში

კაკალი – უძვირფასესი კაკლოვანი კულტურაა, მისი ნაყოფი ანუ ნიგოზი ხასიათდება განსაკუთრებული მაღალი ყუათიანობით, მასზე მოთხოვნილობა პრაქტიკულად შეუზღუდავია. შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინებს, ცხიმებს, ცილებსა და ნახშირწყლებს. კვებითი ღირებულებით უფრო მაღლა დგას: ვიდრე-პური, ხორცი, რძე, უახლოვდება კარაქის ყუათიანობას. ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა კერძების, საკონდიტრო ნაწარმის მოსამზადებლად. რბილობისაგან ილებენ მაღალი კვებითი ღირებულების ზეთს, რომელიც წააგავს ზეთისხილის ზეთს, რომელიც გამოიყენება კულინარიასა და მედიცინაში.

კაკლის მერქანი მიეკუთვნება მაღალი სიმკვრივის მქონე მცენარეთა მერქნის ჯგუფს გამოკვეთილი ზოლოვანი ფერებით. გამოიყენება ძირითადად საეკლესიო ხატების და სხვა ნაკეთობების, ძვირად ღირებული ავეჯის, პარკეტის წარმოებაში. კაკალი სწრაფმზარდი მძლავრი ხეა, რომელიც საშუალოდ სიმაღლეში 25 მეტრამდე იზრდება. მისი შტამბი 50-60 წლის ასაკში 0,5-0,8 მეტრი დიამეტრისა, აქვს მსხვილი მომრგვალო ფორმის ფოთლები, რომლებსაც ფიტონციდების მაღალი შემცველობა ახასიათებს და მსგავსად ევკალიპტისა, გამოიყენება კოღოებისა და სხვა მავნე მწერების წინააღმდეგ. შემჭიდროებულ ნარგაობაში ივითარებს მაღლა აშოლტილ ტანს, ხოლო ცალკე მდგარი ხე – მომრგვალო ფორმის, მეტად ლამაზი და ხანგრძლივი სიცოცხლის უნარის მქონე, ამავე დროს გზისპირებზე, ქარსაცავი ზოლებისა და პარკებისათვის საუკეთესო სახეივნო მცენარეა. სხვადასხვა წყაროების ცნობით, კაკალი უფრო ყინვაგამძლეა, ვიდრე წაბლი. აქედან გამომდინარე შეიძლება წინასწარ დავასკვნათ, რომ მისი გავრცელება შეიძლება საქართველოს მთისწინა ზონაშიც, სადაც ამჟამად მისი გაშენების დიდი შესაძლებლობები არსებობს, ამ ღონისძიებებზე განსაკუთრებით დაბალი დანახარჯების გაღების პირობებშიც კი.

კაკალს ამრავლებენ თესლით და მყნობით, პირველ წლებში ახალგაზრდა ხეები ინვითარებენ მძლავრ მთავარღერძა ფესვს. ამიტომ 2-3 წლის თესლნერგები უნდა გადაირგას მთავარი ღერძის გადაჭრით, რომელიც ამოჭრილ ორმოში გადარგვის დროს ირგვება ბრტყელ ქვაზე ან შუშის ნაჭერზე, რათა მთავარი ღერძი არგანივითაროს და სტიმული მიეცეს გვერდითი ფესვების განვითარებას, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს ამ კულტურის პროდუქტიულობას. ასეთ შემთხვევაში ზრდასრული ხის ფესვები 4 მეტრამდე სიღრმეზე ვრცელდებიან და მათი განვითარება ნიადაგში ვარჯის სიგანეს აჭარბებს. თესლით გამრავლების შემთხვევაში მსხმიარობას კაკალი 7-8 წლის ასაკში იწყებს, ხოლო მყნობით მიღებული ნარგები 4-5 წლის ასაკში. მსხმოიარობს თითქმის ყოველწლიურიდ მაგრამ ძლიერ მსხმოიარობას ყოველთვის ცვლის შედარებით სუსტი მხმოიარობა. ზრდასრული მცენარიდან გარჩეული ნიგოზის მოსავალი 50-100 კგ-ია, ზოგჯერ კი ხელსაყრელ გარემო პირობებში 150 კგ-მდე.

კაკალი თესლით გამრავლებისას ითიშება და მიიღება დედა მცენარისაგან განსხვავებული თაობა. ამიტომ, ძვირფასი ჯიშების ნიშანთვისებების შესანარჩუნებლად კაკალს ამრავლებენ ვეგეტატიურად ან მყნობით, ძირითადად მყნობით.

კაკლის ნაყოფებს თესლისავთის ამზადებენ ჯანმრთელი და უხვმოსავლიანი ხეების სამხრეთი ექსპოზიციიდან. კაკალს თესავენ გვიან შემოდგომით ან ადრე გაზაფხულზე. გაზაფხულზე თესვისას თესლს უტარებენ 10-12 დღიან სტრატიფიკაციას (უნდა მოვათავსოთ გამდინარე წყალში) სანერგისათვის განკუთვნილი ნიადაგი შემოდგომით ღრმად იხვნება (45-50 სმ), წინასწარ შეაქვთ

40-50 ტ/ჰა ორგანული, აგრეთვე მინერალური (ფოსფოროვანი და კალიუმიანი) სასუქები, ხოლო აღმოცენების შემდეგ აზოტოვანი სასუქები 80-100 კგ/ჰა მომზადებული ნიადაგის ფიზიოლოგიურად მომწიფების შემდეგ მის ზედაპირს თანაბრად ასწორებენ და 70 სმ-იან და 8-10 სმ სიღრმის კვალებად ხაზავენ. კვალში კაკლის თესლს აწყობენ ზურგზე დაწვენილს, კვალის მიმართულებით ერთმანეთისაგან 20 სმ დაშორებით, 1 ჰა-ზე თესავენ 1000-1500 კგ კაკლის გადარჩეულ კონდიციურ თესლს.

საძირეთა სკოლაში მოვლის ძირითადი ღონისძიება რწყვა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში პირველ წელს უნდა ჩატარდეს არანაკლებ 10-ჯერ. ყოველი მორწყვის შემდეგ ნიადაგის ზედაპირი უნდა გაფხვიერდეს და გაიწმინდოს სარეველებისაგან. დამატებითი გამოკვების სახით შეაქვთ მინერალური სასუქები: 100-120 კგ აზოტი და 50-60 კგ ფოსფორი. თესლნერგები კარგი მოვლის შემთხვევაში პირველსავე წელს 60-70 სმ სიმაღლეს აღწევენ და კარგ სამყნობ მასალას წარმოადგენენ.

მყნობის საუკეთესო დროა – ზაფხული, ივნისიდან აგვისტომდე, სანერგეში კაკალს ამყნობენ სპეციალური ოთხკუთხა დანით, რომლის გვერდების ზომებია 3X1,7 სმ. ან პარალელურპირიანი სამყნობი დანით, რომელთა შორის მანძილი 3 სმ. ასეთი დანით ფესვის ყელიდან 10-12 სმ სიმაღლეზე საძირის ჩრდილოეთ მხარეს კანს ამოჭრიან. ზუსტად ასეთივე ამონაჭერს, ოღონდ კვირტიანს (ყლორტიანს) იღებენ იგივე დანით სამყნობი მასალიდან და ათავსებენ ამოჭრილ საძირეზე. შემდეგ მჭიდროდ ახვევენ პოლიქლორვინილის სპეციალური პერფორირებული აფსკით და ღიას უტოვებენ მხოლოდ ყლორტის თვალს.

მყნობიდან ორი კვირის შემდეგ ნამყენი ადგილიდან აფსკს ფრთხილად აცილებენ, რომ კალუსი არ გაიხსნას ან არ დაზიანდეს. ივნისში დამყნობილ საძირეს მყნობის წერტილიდან 10-15 სმ-ზე სეკატორით ჭრიან, რითაც აქტიურდება ნამყენი კვირტის ზრდა, 2 კვირის შემდეგ აცილებენ საძირიდან ამონაყარ კვირტებს. საძირეები, რომლებზეც მყნობა მოხდა ივნისში პირველსავე წელს ნამყენი 50-60 სმ-მდე იზრდება და ვეგეტაციის დასასრულს მთლიანად ყავისფერი ხდება. მეორე წლის გაზაფხულზე საძირის გადანაჭერი უნდა გადაიჭრას ნამყენი კვირტს ზემოთ, რომელიც დატოვებული იყო 10-15 სანტიმეტრი სიგრძის, მყნობიდან მეორე წელს ნამყენი აღწევს 2 მეტრის სიმაღლეს.



აგვისტოში დამყნობილ საძირეებზე კვირტს ზემოთ გადანაჭერს ვაკეთებთ შემდეგი წლის გაზაფხულზე, ამ დრომდე დამყნობილი თვალი რჩება მიძინებულ მდგომარეობაში, შესახვევი აფსკი აუცილებლად უნდა მოეშვას. გაზაფხულზე გამოღვიძებული თვალიდან ვეგეტაციის დასასრულამდე ნაზარდი 1-1,5 მეტრს მიაღწევს.

ერთწლიანი (აგვისტოში დამყნობილი), ან ერთნახევარი წლის ნამყენებს (ივნისი, ივლისი მყნობა) იღებენ გვიან შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე და გადააქვთ სანერგიდან სამრეწველო ბაღების გასაშენებლად.

სანერგე მეურნეობის ორგანიზაციული მოწყობისა და სამრეწველო საწარმოო პლანტაციების გეშენების საკითხებზე მასალები დაიბეჭდება ეტაპობრივად შემდეგ ნომრებზე.

# ინტერვიუ

**თინათინ სიყმაშვილი**



## როცა სულიერებას ემსახურები, ყველა ტკივილს უძლებ!...

## წიგნის ქომაგიდან - აკადემიის პრეზიდენტობამდე

### ინტერვიუ გულნაზ ხარაიშვილთან

არიან ადამიანები, ვისაც ბედმა არცთუ იოლი ცხოვრება არგუნა, მაგრამ სიცოცხლის, ადამიანების სიყვარულმა თავისი გზა აპოვნინა, სულიერებას ემსახურება და ამაში ჰპოვებს შვებასა და სიხარულს.

მინდა ახლოს გაგაცნოთ რუსთაველი ქალბატონი გულნაზი ხარაიშვილი, ერთდროულად თავმდაბალი და გამორჩეული შემოქმედი, ვინც თვითონ ცდილობს, ჩრდილში იყოს, მაგრამ რუდუნებით გაკეთებული საქმეები თავისთავად წარმოაჩენენ მას, წარმოაჩენენ კი, უპირველესად, როგორც სულიერების უანგარო მსახურს.

პოეტი, ჟურნალის მთავარი რედაქტორი, სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი... სითბოთი, სიყვარულით გულსავსე. მოყვასისათვის სიკეთისა და სითბოს უშურველად მიმგები.

***– ქალბატონო გულნაზი, დღეს თქვენს სახელს ბევრი რამ უკავშირდება, რაც ზოგისთვის შეიძლება შორეული, მიუწვდომელი ოცნება იყოს და თავის საქებად სულ მცირე, ათ ქალს მაინც ეყოფოდა... მაინც, როგორი იყო დასაწყისი, რა გზა გაიარეთ და როგორ?***



– მე კი ყოველთვის მგონია, რომ ერთი ჩვეულებრივი ქალის ცხოვრებით ვიცხოვრე და დღესაც ვცხოვრობ. არაფერი განსაკუთრებული: დავამთავრე თბილისის პუშკინის სახელობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი, შემდეგ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. ვმუშაობდი ჩემი მშობლიური ქარელის რაიონის სოფელ კოდის ბიბლიოთეკის დირექტორად. მერე თბილისში გადავედი. ვიყავი კულტურის ცენტრის დირექტორი, ზვიად გამსახურდიას სახელობის ფართოპროფილიანი სკოლა-კოლეჯის ფილიალის პრორექტორი და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის კერძო სკოლის „გრაალის" დირექტორი. თითქოს ყველაფერი გარკვეული იყო, მაგრამ 2010 წელს ყველაფერი შეიცვალა, როცა ცნობილმა მოგზაურმა და ფილოსოფოსმა ჯუმბერ ლეჟავამ სიხარულით მიიღო ჩემი წინადადება, რომ დაგვეარსებინა მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია და მე, ცხონებულ ჯუმბერის სიცოცხლეშივე, მისივე ხელდასმით, გავხდი ამ აკადემიის პრეზიდენტი...

***– ეს ძალიან საინტერესოა... რას გვეტყვით აკადემიაზე?***

– აკადემია შემოიფარგლება საგამომცემლო საქმიანობით, გამოდის კვარტალში ერთხელ სამეცნიერო-შემოქმედებითი ჟურნალი „ათინათი", რომლის რედაქტორ-გამომცემელი გახლავართ. „ათინათი" სამასგვერდიანი, ფერადი, ილუსტრირებული ჟურნალია, საკმაოდ პოპულარული მკითხველთა შორის, მთელ საქართველოში და აგრეთვე ინტერნეტის საშუალებით საზღვარგარეთაც ვრცელდება. მისი მკითხველები არიან თბილისის და რუსთავის სკოლების მოსწავლეები, მასწავლებლები. ყოველწლიურად გამოვცემთ „ათინათის" ანთოლოგიას, უკვე ხუთტომეული გვაქვს გამოცემული. „ათინათში" თანამშრომლობენ ყველა დარგის მეცნიერები, იბეჭდება ყველა ასაკის პოეტების, პროზაიკოსების მხატვრული ნაწარმოებები, გვაქვს რუბრიკა "ნორჩი ათინათელები" – ესენი არიან შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები 1-

დან მე-12 კლასის ჩათვლით, რაც ხელს უწყობს მათი უნარ-შესაძლებლობების წარმოჩენას და განვითარებას.

როგორც აკადემიის, ისე „ათინათის" ძირითადი დანიშნულება და მიმართულება სულიერების სამსახურია. ამ მიზნით, ყველა დარგის მეცნიერების და ხელოვანთა მონაწილეობით ტარდება კონფერენციები. აქტიურად თანამშრომლობენ სოხუმის უნივერსიტეტის სრული პროფესორები: ლუარა სორდია, ტიტე მოსია, ლიტერატურის ინსტიტუტის პროფესორი მანანა კვატაია, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პროფესორი ლიანა წურწუმია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გიორგი კვესიტაძე, ვიცე-პრეზიდენტი როინ მეტრეველი, მხატვრები და პროზაიკოსები რევაზ მიშველაძე, ლევან ბაბუხადია, მხატვარი რეზო ადამია, ნიკო ხერკელაძე, ჯგუფ „ზღვარი"-ს წევრები: სერგი ლომაძე და კახა ბაციკაძე, გიორგი ზუხბაია, ვასო ლომაძე, მათი შემოქმედება ჩვენს თანამედროვეთა სულიერებას, პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდას ემსახურება.

***– ეს ყველაფერი, თავისთავად, მისასალმებელია. მაგრამ თქვენთვის, პიროვნულად რას ნიშნავს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის პრეზიდენტობა?***

– ჯუმბერ ლეჟავა, ეს მსოფლიო მნიშვნელობის მოგზაური, დიდი ქართველი კაცი, გენესის 12 გზის რეკორდსმენი, ვინც უნიკალური წარმატება მოიპოვა, 9 წლის მანძილზე მსოფლიოს ველოსიპედით შემოუარა, მრავალი ქვეყანა და ხალხი გაიცნო და ქართული კულტურაც გააცნო მათ, თავისი მოგზაურობის მდიდარი შთაბეჭდილებები სამემკვიდრეოდ დაგვიტოვა, მისაბაძი იყო და არის ყველა თაობებისათვის. მან ეს მოგზაურობა საქართველოს ეროვნულ გმირს ჟიული შარტავას და მეუღლის ლიანა ალიბეგაშვილის ხსოვნას მიუძღვნა. მაგრამ თავის სიცოცხლეშიც მისი პიროვნებაც და ღვაწლიც ღირსეულად არ იყო დაფასებული. მისი სახელობის აკადემიის წევრების და პირადად ჩემი მიზანია მისი სახელის უკვდავყოფა. ჩვენმა დღევანდელმა და მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ ჯუმბერ ლეჟავას საქმეები და იამაყონ მისით...

***– ჩვენს დროში ეს ადვილი როდია. სულიერებას ყოველთვის უჭირდა. დღეს მით უმეტეს. მაინც ვისგან გრძნობთ მხარდაჭერას და თანადგომას?***

– პირველ რიგში პოეტი ქალბატონის, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მაყვალა გონაშვილისაგან, თანათავმჯდომარეების – რევაზ მიშველაძის, თემურ ჩალაბაშვილის, ბაღათურ არაბულისაგან, აგრეთვე ერეკლე საღლიანისაგან... ასევე, ფაზისის სამეცნიერო აკადემიის სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის ნუგზარ ნადარაიას, პროფესორ გია კვაშილავას, ჟურნალისტ სიმონ ზაქარაიასაგან... ბოლოს გავიცანი მამა ამირანი, ის ჩემი საყვარელი მამაოა, რუსთავში მამა ანდრია აბაშიძე, რომელიც ჩემი კუთხის, საჩხერის შვილია, თანაც მამაჩემის დისშვილიშვილის მეუღლეა.

***– თქვენ დიდი ტკივილები შეგხვდათ... დაკარგეთ ახლობელი, გულით საყვარელი ადამიანები...***

– ჩემი, როგორც ქართველი ქალისათვის, დიდი ტკივილი იყო სამაჩაბლოს დაკარგვა, იმ უთანასწორო ბრძოლაში მე აქტიურად ვიყავი ჩაბმული, მოვლენებს შორიდან არ ვუყურებდი... ძლივს გადავურჩი... ამ ყველაფერს პირადული ტრაგედიაც დაემატა: გარდამეცვალნენ მშობლები – ნიკიფორე და დონიკა შუბითიძე, ძმები – ლევანი და ბეჟანი, მეუღლე ვახტანგი, ჩემი შვილი, გელა სხირტლაძე... რომლებიც სრულიად ახალგაზრდები წავიდნენ ამქვეყნიდან და მოურჩენელი, ღია ჭრილობა დამიტოვეს...

***– როგორ გაუძელით და უძლებთ ამ გაუსაძლის ტკივილებს? თქვენს ადგილზე ზოგი გაბოროტდებოდა, ყველასა და ყველაფერს შეიძულებდა... თქვენ კი ისევ სიკეთეს ემსახურებით...***

– გავუძელი კი? თუ დღეს ცოცხალი ვარ და რაიმე სასიკეთოს, სასარგებლოს ვაკეთებ, ეს ადამიანების სიყვარულით... მათი სიყვარული მეხმარება. მადლობელი ვარ უფლის, რომ ამის უნარი მომცა... ჩემზე უფროსი ასაკის ადამიანები ხშირად დედას მეძახიან, დეეო, ასე მომმართავენ, ალბათ იმიტომ, რომ ჩემგან დედურ სითბოს, სიყვარულს გრძნობენ...

***– თვითონ რა გახარებთ, ვისი სიყვარული გათბობთ?***

– თამარ, ლევან, თეონა, ნანა, ვახტანგ სხირტლაძეების, შვილთაშვილ იოანე ლობჯანიძის სიყვარული მახარებს, მათბობს და მასულდგმულებს...

***– თქვენ ხართ ათი პოეტური კრებულის: „ფიქრები", „შენ მენატრები", „მზის მკლავებში", „სულის არე", „ღმერთკაცი და თოლია", „მკვლელობა საკუთარ სახლში", „დარდის პირამიდები", „ფიქრის ხეივანი" – ავტორი. სხვადასხვა დროს დაჯილდოებული ხართ გალაქტიონის, მარიკა ბარათაშვილის,***

***თქვენი პოეტი ძმის ბეჟან ხარაიშვილის სახელობის ლიტერატურული პრემიებით, „კულტურის ამაგდარის“, „ღვაწლმოსილის“ წოდებებით, „მშვიდობის ვარსკვლავით“, იაკობ გოგებაშვილის მედალი აღმზრდელობით დარგში... როგორც შემოქმედს, როგორი დამოკიდებულება გაქვთ ჯილდოებთან?***

– ყოველგვარი ჯილდო: პრემიები და წოდებები თვითონ ავტორის მხატვრულ შემოქმედებას არაფერს მატებს, არც პოეტს – პიროვნულად. უბრალოდ, ეს ღვაწლის დაფასებაა და ადამიანურად სასიამოვნო და სასიხარულოა... და მეც ამ სიხარულს ვუსურვებ ყველა შემოქმედს, ვინც სულიერებას ემსახურება...

**ზეინაბ ასისტაშვილი**

## 65 წლის იუბილე

***ვუძღვნი გულნაზ ხარაიშვილს***

ქალურად ნაზი, ქალურად თბილი
თუ გაჭირდება, კლდე ძლიერია.
კარგი დედა და კარგი ბებია
კარგი საქმენის შემომქმედია.

ახალგაზრდობა გამოგიზრდიათ
კიდევაც გაზრდით კეთილს და ჭკვიანს,
გულში დათესავთ სიკეთის მარცვალს,
ძმათა მოყვარულს კაცს ალალმართალს.

სახელოვანი ვაჟკაცნი შვილნი,
ქალიშვილები, ნაზი და თბილი...
უერთგულებენ სამშობლო დედას,
თქვენი სიკეთეც აქ გამოჩნდება.

ჩუმად მრავალჯერ ცრემლი დაღვრილი,
გულს თან დაჰყვება დარდი და სევდა,
სხვისთვის ხართ მუდამ იმედიანი,
სხვისთვის ხართ მუდამ ხალისიანი.

ფარხმალს ნუ დაჰყრი კეთილო დედავ,
დიდხანს იცქირეთ იმედის თვალით,
თქვენი სიკეთე ბევრი და ბევრი...
შუქურა არის დღისა და ღამის.

67 წელი გაფრინდა,
კიდევ მოფრინდეს წლები ამდენი...
კარგი საქმენი ბევრი და ბევრი...
კიდევაც მეთქვას კარგი სათქმელი.

67 ფიქრობთ ბევრია?
67 არაფერია.
ამდენი კიდევ გაჩუქოს ღმერთმა.
საკეთებელი ისევ ბევრია.

# ნორჩი ათინათელები

ახალი სასწავლო წლის პირველი დღეა, ჩემი პატარა მეგობრები გულწრფელად, ღიმილით ყვებიან ზაფხულის დაუვიწყარ შთაბეჭდილებებზე, მერე თავიანთ ჩანაწერებს მჩუქნიან...

ბავშვები, ლაღი სიცილითა და მოსიყვარულე პაწაწა გულებით, თბილი სიტყვებითა და ხალასი ნაფიქრით, სამყაროს სილამაზეს მატებენ...

***ლამარა გერგედავა***
*167-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და*
*ლიტერატურის მასწავლებელი*



❖

ეს წერილი, მარიამმა, ორი წლის წინათ, 2015 წელს დაწერა.



ვაჟა-ფშაველას მაგიდა

**წერილი მასწავლებელს!..**

პატივცემულო, ლამარა მასწავლებელო!

წერილს პირველად გწერთ. მინდა შთაბეჭდილებები გაგიზიაროთ. მეოთხეკლასელი ვიყავი, როდესაც, შემოდგომისას, წითელ-ყვითლად აფერადებულ ფშავში, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი ვნახე.

ჩარგალი ულამაზესია, ჩარგლურა კი თითქოს პატარა, მაგრამ, თურმე, ზოგჯერ ადიდებული და ძლიერი... ეს კუთხე საუცხოო ბუნებით გამოირჩევა...

იცით ძალიან რამ დამაფიქრა? პოეტის სახლი რომ დავათვალიერე, გამიკვირდა, გაუსაძლის პირობებში როგორ ახერხებდა შემოქმედი მუშაობას...

თურმე, მისი სახლის წინ ერთი ხე იდგა, რომელიც ძალიან უყვარდა...როგორი მოკრძალებულია მისი სამუშაო მაგიდა, აქ ქმნიდა პოეტი უკვდავ ნაწარმოებებს, იმ დღეს მასზე იები ეწყო...

მსურს ისევ ვნახო ჩარგალი, ჩვენთან ერთად წამობრძანდით, ექსკურსიაზე...

პატივისცემით, თქვენი მოსწავლე მარიამი

**მარიამ ტყეშელაშვილი**
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე*



❖

**ჩემი სიზმრები**

დღეს...
 ამ ღამეს...მივდივარ სიზმრებში,
თან მომყვებიან ჩემი ფიქრებიც...
მიდიან ნისლებში, გასცდნენ ამ მთას,
გასცდნენ ამ ზღვას,
გასცდნენ ულამაზეს სამყაროს,
მიდიან შორს, ძალიან შორს,
წუთები გადის...

**თამარ ლოევენი**
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე*



❖

**შემოდგომა**

შემოდგომის ფოთლები,
მიფრინავენ ცაში,
ლამაზ ბგერებს გამოსცემენ,
ფარფატებენ ქარში...

**ლიზი ლეკიშვილი**
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე*



❖

**ზაფხული ქუთაისში**

ლამაზი ქალაქია, აქ ბევრი სანახაობაა...ბაგრატის ტაძარი ვნახე, იქიდან საუცხოო ხედი მოჩანს...

ჟიულ ვერნის „საიდუმლო კუნძული“ წავიკითხე, დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით ვარ სავსე...

მიხარია ზაფხულის მოსვლა, ქუთაისში საყვარელი ბებო, დეიდა და მეგობრები მხვდებიან...

მიყვარს „სავარდო და სამაისო“ ქუთაისი...

**ნინი მელაძე**

*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე*



**ბათუმი და ბორჯომი...**

ბათუმში ვისვენებდი...

ზღვა საოცრად ლამაზია...ბულვარში ვის არ ნახავთ...რა ლამაზი არქიტექტურა აქვს ქალაქს...

ბორჯომი ყოველთვის იზიდავდა მნახველებს, მეც იქით გამიწია გულმა, მაგრამ, ახლა, მის გახსენებაზე, სევდა შემომაწვება ხოლმე, იქ ულამაზესი ტყის მასივი გაანადგურა ცეცხლმა...

არდადეგებზე პალაციოს „საოცრება“ წავიკითხე, რომელმაც მასწავლა, რომ ყველა ადამიანს უნდა ვცეთ პატივი... ჟიულ ვერნის წიგნიდან, „80 000 კილომეტრი წყალქვეშ“. ყველაზე მეტად დამამახსოვრდა საინტერესო ინფორმაციები ზღვაოსნობაზე.

საინტერესო ზაფხული იყო...

**ელენე ლეთოდიანი**

*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე*



**ბაკურიანში...**

დიდველი, საბაგირო და ტაბაწყური შთამბეჭდავია...

ბაკურიანში, ყოველ 2 აგვისტოს, აღნიშნავენ ელიაობას...ტყეში, ელიას სახელობის ეკლესიის ნანგრევებში, პატარა სალოცავია... მოვინახულე და აღფრთოვანებული დავრჩი...

წავიკითხე წიგნები: დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“ და ერთ-ერთი ავტორის „დეტექტივი კალე ბლუმკვისტი რისკზე მიდის“...

შთაბეჭდილებებით დატვირთული ზაფხული მქონდა...

**მარიამ ბექაური**

*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე*



### აბასთუმანი-ვარძია-სათაფლია

სოფელი აბასთუმანი გრილია, მაღალმთიანი, იქ, ბებო და ბაბუა, ყოველ ზაფხულს, სიხარულით მომელიან.

დავათვალიერე: ვარძია, კლდეში ნაკვეთი ქალაქი, რომელიც თამარ მეფის სახელს უკავშირდება, სათაფლია- დინოზავრის ნაკვალევით, იდუმალი, მაგრამ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო, პრომეთეს მღვიმე, ამბობენ, მღვიმე ასთმით დაავადებულებს კურნავსო...

ზღვაზეც ვიყავი. ტალღების ხმაური მამშვიდებდა.

არდადეგებზე ოთხი წიგნი წავიკითხე: ჟიულ ვერნის „საიდუმლო კუნძული“, ჩარლზ დიკენსის „დევიდ კოპერფილდი“, ასტრიდ ლინდგრენის „ბიუერლიუელი ბავშვები“, ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“.

მკითხველთა კლუბის წევრებს საინტერესო შთაბეჭდილებებს გავუზიარებ...

**ნათია ადვაძე**

*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე*



❖

### ფიქრები ვაჟა-ფშაველას ერთ ლექსზე

ნაწარმოები, „რამ შემქმნა ადამიანად“, პოეტს თავისი ქალიშვილის, გულქან რაზიკაშვილის, შთაგონებით დაუწერია. შემოქმედის თქმით, უმჯობესი იქნებოდა, წვიმად მოვლენოდა ქვეყნიერებას, ღრუბლები აიტაცებდნენ, მზეს მიუახლოვდებოდა, ცა და ხმელეთი იქნებოდა მისი სამოგზაურო არეალი...

ვფიქრობ, პოეტს ამით იმის თქმა უნდა, რომ მას ადამიანებსა და ზეცას შორის შუამავლობის გაწევა და დიდი სიკეთის ჩადენა სურს, რადგან, წვიმად მოვლენის შემთხვევაში, სამყაროს გამოაცოცხლებდა...

წვიმა და ღრუბელი მარადიულია, ვაჟა-ფშაველას ოცნებაც სწორედ ამას უკავშირდება... მარადიული მოგზაურობა ცასა და ხმელეთს შორის და ასევე მარადიული სიკეთის ჩადენა მთელი ქვეყნიერების სასარგებლოდ...

**სერგი ფხიკიძე**

*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე*




**მოსიაშვილი ნატა**
(კასპის მეორე საჯაროს
სკოლის მერვე კლასი)

## ბაზალეთის ტბა

(გაგრძელება)

გავიდა ხანი . . .
ნაპირზე, ამოტივტივდა აკვანი,
გარს სირინოზნი ეხვივნენ
დაცვაში არ ჰყავთ ბადალი.

დრო გადიოდა ტიალი
ყრმა გაიზარდა ჭკვიანი
შესაშურ იყო მისი ხმა
მჩქეფარე, ომახიანი.

რომ შეხედავდი იტყოდი,
ნეტავი ეს ყრმა ვინ არის?
რომელსაც ვეძებთ ის არის?
ქართველთ გმირია, დამცველი?

მემგონი ის ყრმა ვიპოვეთ,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც ოდესღაც ნამდვილად
შეიყვარებენ ქართველნი.

## სამშობლო

მე ვცხოვრობ საქართველოში,
ქვეყანა არც თუ დიდია,
მაგრამ ხალხია ისეთი,
ასეთი იშვიათია.

რათქმა უნდა ყველა არა,
ზოგზე ასე არ ითქმის
მისი ქვეყნის სადიდებლად
სიტყვასაც არ გაისვრის.

პოეტები ბევრი არის
სუსტებიც და ძლიერი
ზოგი პატარძალად დადის,
ზოგიც არის მშიერი.

ყველას უყვარს საქართველო.
უცხოელსაც, ქართველსაც,
იქნებ ერთად გავამრავლოთ
სულით ვიყოთ ჯანმრთელად,

## გაზაფხული

გაზაფხულდა, ყვავილების,
სურნელება, დადგაველად
ჩიტუნების ჟრიამული
მოესმოდა სოფლად ყველას.

ეს ხეებიც შეიმოსნენ,
აღარ დგანან სულ ტიტვლები
იქნებ ხენო, როგორ გცივათ
შემოდგომას რომ შიშვლდებით.

როცა ზამთარს გარეთ დგახართ
თეთრი შუბით შემოსილნი,
არ გსციოდათ მაგრამ მაინც მაინც
არ იყავით კმაყოფილნი.

მოჩუხჩუხებს გაზაფხული
აბიბინდა მწვანედ მდელო
როგორ ვიყო კმაყოფილი
არ მცილდები გვერდით მტერო.

# ნატო მოსიაშვილის შემოქმედება











**გონგლიაშვილი ქეთევან**
*ქარელის მე 2 საჯარო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე*

## დედის გულში

შვილო გული რომ ელვარებს,
სანთელივით დნება
ეს სინათლე, შენთვის მინდა,
დედა მეუბნება,
ჩემი დედა არის ჩემთვის,
გულის ნატვრისთვალი.
ყველაფერი მსურს მიუძღვნა
გულის ნაფიქრალი
ამ ლექს ყველა დედას ვუძღვნი,
და ჩემს ნანა დედას
ეს სიტყვები ჩემს დედიკოს
გულზე დაადნება.

## დედას

მინდა მოგიძღვნა სიკეთე,
მინდა, გაჩუქო ვარდები,
მინდა დედიკო გაგანდო
სუყველა გულში ნადები.
თუ გაბრაზდები თქვენ ჩემზე
ჩემგან სიკეთეს მიიღებთ.
სულ კარგი გოგო ვიქნები,
სხვისას არაფერს ავიღებ.

## ეკლესია

ქართული ეკლესია,
მართლაც ლამაზია.
ისე ლამაზია,
სულის დარბაზია
ყველაფერი უფლითა მაქვს
თუ რამ მაბადია.

## ტაძარში

დავით გარეჯის კედლებში,
ჩიტუნა როცა გალობდა,
ჩვენს საქართველოს წმინდანებს,
ღმერთი ყოველთვის წყალობდა.
მტერი კი ბოღმით ავსილი,
ტყუილუბრალოდ შარობდა.

## საქართველო

ყველაფერზე ლამაზია
ჩემი ტურფა საქართველო.
ახლა მტრისგან დაიწიწკნა,
იქნებ ისევ გავამთელო
დადნა, გახდა ერთი ციდა,
ჰოდა უნდა გავამთელო!

## ცისარტყელა

ცისარტყელა გადაეკრა,
ზეცას როგორც არტახი
ცისარტყელავ ლამაზი ხარ,
მზის სხივებით ნახატი.

## ყვავილო

პაწაწინა ყვავილო,
რა ლამაზად იშლები.
შენ კი ლურჯო ია–იავ,
ფერით რად არ იცვლები?

## ჩიტუნები

გაზაფხულის მერცხლებით
ლამაზია სამყარო
აქეთ ნაძვი, იქით მუხა,
ტანმაღალი ვერხვებით.
ხის ბუდეში ჭყლოპინებენ,
პაწაწინა ბარტყები
დედას ელოდებიან და...
დგანან როგორც მაყრები.

## გაზაფხული

ლამაზი გაზაფხულია,
ამოიჩიტა ენძელა...
გადაიპენტა იები,
გაჩნდა სიცოცხლის იმედი,
ვარდის კოკორმა გაშალა
ფურცლებინაირფერით
დაკაკანობენ ხოხბები,
მეც სიხარულით მღერი.

## ჭიკჭიკებენ ჩიტები

ჭიკჭიკებენ ჩიტები
დედის ნაშენ ბუდეში
დედა ჩიტი ყოველ ღამით
იკრავს გულის უბეში.

## გაზაფხულზე

გაზაფხულზე იზრდებოდა,
ნაზი ფერის ყვავილები
აკაციას ტანს ემოსა,
თეთრი ფერის დალალები.

იზრდებოდა ყვავილები,
ჩიტი ფრენდა ცაშიო,
ჩემი ლექსიც მათთან ერთად
დაქრის როგორც რაშიო.

# გახსენება

**მირანდა ხოდელიძე**

## *მირანდა წიკლაურის ხსოვნას*

### *ჩემო უსაზღვრო ტკივილო და მონატრებავ!*



*ჩემო საყვარელო პატარა ანგელოზო, ჩემო მირანდა, ნამდვილად, რომ ანგელოზად მოევლინე ამ ქვეყანას და ლამაზმა ანგელოზებმა წამართვეს შენი თავი. წაგიყვანეს შორს, ძალიან შორს ზეციურ საქართველოში.*

*ჩემო მირანდა, ვგრძნობ თუ როგორ მეცლება ძალა და ენერგია, როგორ უძლურდება ჩემი გული. საკუთარ თავს ვეღარ ვერევი.*

*შენი სული ქსოვრელებთან ტრიალებს, ჩემო მირანდა იქნებ შენი ხმის ტემბრით ეხმარები ზეციდან მათ. შენ ყველას ეხმარებოდი აქაც და ცათა სასუფეველიდანაც შველი ყველას. აი კიდევ ერთი საოცრება, 27 ივლისს შენს საყვარელ სოფელ ლიჩში გაემგზავრნენ შენი დედიკო, მარიამი, დეიდა, ნინო, ბაბუა დათო ძია. მოხდა ნამდვილი სასწაული, რომელსაც მანქანამ გადაუხვია სოფლისაკენ, იქვე ხევის გადასახვევში მანქანა შეეჯახა კლდეს და აცდა ხევს, ყველამ სიკვდილს ჩახედა თვალებში. უეცრად გამოჩნდა ერთი ახალგაზრდა თავისი მანქანით და შესთავაზა დახმარება. რამდენიმე წუთში მანქანა მწყობრში მოიყვანა. როდესაც შენმა ბადრი ბაბუამ ჰკითხა ვინაობა, მან უპასუხა რომ დათო ხარაიშვილი ვარ, გულნაზ ხარაიშვილის ძმის შვილი. აი აქ კიდევ ნამდვილად კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ნამდვილად შენ და გელა ბიძიამ უშველეთ და დათო გამოუგზავნეთ მხსნელად.*

*ჩემო მირანდა კიდევ ერთხელ დავრწმუნდი თუ როგორ გვეხმარება შენი ლამაზი სული ყოველთვის. უღრმესი მადლობა ჩემო ანგელოზო, შენ და ყველა ცათა ბინადართ, ვინც შენთან ერთად მფარველობს, ლოცულობს და იცავს ჩვენს*

ოჯახს განსაცდელისგან. დარწმუნებული ვარ რომ მარტოს გაგიჭირდა ამ უბედურების თავიდან აცილება და გული ბიძიას და ბეჟანი ბაბუას სთხოვე დახმარება და მათ დათო ხარაიშვილი გამოუგზავნეს მხსნელად. გადაარჩინეთ მთელი ოჯახი და მეც არ დამტოვეს მარტო.

ჩემო საყვარელო პაპარა ანგელოზო, ჩემო უსაზღვროდ დიდო სიყვარულო და ამავე დროს უდიდესო ტკივილო, დღეს წმინდა მარიამ ღვთისმშობლის მიძინების დღეა. მინდა მოგილოცო ეს უდიდესი საუფლო დღესასწაული. აი სწორედ დღეს შევძელი, რომ გაგესაუბრებოდი, შენ უზომოდ გიყვარდა უფალი და ჭეშმარიტი მართმადიდებელი იყავი, ახლაც ჩამესმის ყურში შენი ნაზი ხმა, თუ როგორი წრფელი გულით ლოცულობდი და გალობდი ღვთის სადიდებელ ლოცვებს. შენ ხომ იყავი უკეთილშობილესი, მადლს და სიკეთის ეტალონი, უღალატო, გულთბილი, იმედის მომცემი, ყველას ტკივილის გამზიარებელი და სპეტაკი, როგორც ციდან წამოსული პირველი თოვლი

ჩემო მილალუკა ძალიან მიჭირს უშენობა, ძალიან ძნელი და აუტანელი ყოფილა უსაზღვრო მონატრება. ისღა დამრჩენია შენი თბილი და ტკბილი სხეულის ნაცვლად შენს სურათს და ცივ ქვას ჩავეხუტო, საიდანაც შენი მდუმარე, ყოვლისმთქმელი თვალებით ცდილობ მანუგეშო.

ჩემო ერთადერთო და განუმეორებელო, გთხოვ სიზმარში მაინც მოდი ჩემთან, რომ ჩაგეხუტო გულში, მოგეფერო, დაგიკოცნო ეგ ნაღვლიანი თვალები. მინდა რომ შევიგრძნო ეგ შენი ფაქიზი და საოცარი სურნელი. შენი დარიგება და ნუგეში მჭირდება, რაც ყოველთვის საოცრად გამოგდიოდა.

„ფიქრო უსასრულო,წუთი დასაცდელი,
ჩემო სიხარულო, ჩემო განსაცდელო,
ჩემო ერთადერთო ლამაზ თვალებაო
წამო ბედნიერო ჩემო მირანდაო“.

ახლა მეტად აღარ შეგაწუხებ ჩემი საუბრით, დაისვენე. დარჩი მანდ ცათა სასუფეველში შენს დედა ღვთისმშობელ მარიამთან, ჩასჭიდე მას ხელი მაგრად, ჩაეხუტე და აღარ მოსცილდე. უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი.

*შენი უბედური ბებო, მირანდა ხოდელიძე.*

## მედიკო ფურცელაძე-სხირტლაძის გახსენება



წავიდა ცათა სასუფეველში, იქ ღირსეული ქართველი ქალების გვერდით დაიკავებს ადგილს. მან უმწიკლოდ ჩაა-ბარა ის გამოცდა რასაც შვილების აღზრდის და მეუღლი-სადმი პატივისცემის ერთგულება ჰქვია. დატოვა ორი ადა-მიანობის სულისკვეთებით გაჯერებული შვილი, კახა სხირ-ტლაძე და მარინე სხირტლაძე. მეუღლე ილია სხირტლაძე. შვილიშვილი ნიკა სხირტლაძე, რძალი ნინო, ოჯახის ყველა წევრი უმაღლესი განათლებითა და წმინდა სულისკვეთებით დგანან ახლობლებისა და თანამშრომლების გვერდით, თვი-თონ ქალბატონი მედიკო ტექნოლოგი იყო და მუშაობდა თავისი სპეციალობის მიხედვით.

ქალბატონი მედიკო ორი სახელით ცხოვრობდა, ერთი აქ დარჩა სათნოებითა და მიმტევებლობით აღსავსე. ქართველ მანდილოსანს მეორე თან გაჰყვა ცათა სასუფეველში.

***ჟურნალ „ათინათის“ რედაქცია.***



## ციცინათელა

*ეს პატარა გოგონა რომლის სურათსაც ციცინა-თელა შევარქვი, ავარიის მსხვერპლი გახდა. ავარიი-სა რომლის საჭეს თვითონ ანგელოზის დედა მარ-თავდა, მანქანაში ამ პატარა გოგონასთან სხვებიც ისხდნენ, ყველა გადარჩა ეს გოგონა რომლის თვა-ლებიდან უკვდავების ზღვა ლიცლიცებს თითქოსდა საუბრობს და ამბობს მე ღამის ციცინათელა ვარ, უკუნეთს რომ ანათებსო.*

ბნელეთის გასაშუქებლად
უფლის მორჩილი წავედი
ავანთე ღამის შუქებად,
ჩემს ბედისწერას დავნებდი.

პატარა ფერიავ, გზა ნათელი გქონებოდეს, უცოდველო ანგელოზო.

***ჟურნალ „ათინათის“ რედაქცია.***

# მილოცვა

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია ახალი 2017-2018 სასწავლო წლის დაწყებას ულოცავს საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობას





# სარჩევი

**მხატვარები: გიორგი ლარიაშვილი, ხატია ლარიაშვილი და არჩილ სარჯველაძე**
ხორცით ზიარება ... 3
**მხატვარები: გიორგი ლარიაშვილი, ხატია ლარიაშვილი და არჩილ სარჯველაძე**
სისხლით ზიარება ... 4

**მამა ამირან ამირანაშვილი**
აღსარება ... 7
**იროდი ასანაშვილი**
მამა ღმერთი, ძე ღვთისა, სული წმიდა ... 10
**გულნაზ ხარაიშვილი**
ჩემო სამშობლოვ! ... 11

პოეზია

**მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)**
ჩანახატი ... 12
უფალო ტკბილო ... 12
* * * უკეთუ საკუთარ თავს მოერიე... ... 12
* * * დაგვლოცე და დაგვიფარე, უფალო.... ... 12
ო, დიდება შემოქმედო ... 13
* * * ნეტარნო მამანო ... 13
**მამა ამირან ამირანაშვილი**
დასასრულებელი ... 14
ბათუმი 2017, 22 აგვისტო ... 14
ჩემო სოფელო ... 14
აღსარება ... 15
**მაყვალა გონაშვილი**
იქნებ გაგვახსენდეს ... 16
ძახილი ... 16
ზვარაკი ... 17
სხვა რა ძალმიძს ... 17

ჯგუფი ხოვარი

**სერგი ლომაძე**
სიცოცხლემისჯილი ... 18
გული ... 18
**ნელი გულისაშვილი მოლოდინი ... 18**
**კახა ბაციკაძე**
გადმოსვლა შენს თვალებში
ქალი, რომელიც ზღვასავით მიხმობს...
პოეზია და სიყვარული ... 19
**გურამ ჭავჭანიძე, Гурам Чавчанидзе**
დილა ... 20
შემოდგომა ... 20
როცა ნავარდობს სიცოცხლე ... 20
გულისტკივილით ... 20
ვაზი ... 20
ვლადიმერ მაიაკოვსკი (თარგმანი). თქვენ შეძლებდით? ... 21
**Владимир Маяковский. А Вы могли бы? ... 21**
ვლადიკავკაზი-ტფილისი ... 21
**Владикавказ –Тифлис ... 21**

**Автор текста** Лебедев-Кумач В., **Композитор** Дунаевский И.,
**Как много девушек хороших ........ 21**
რამდენი ტურფა ასულია ამქვეყნად ........ 21
**Александр Пушкин. Про себя ........ 21**
ალექსანდრე პუშკინი (თარგმანი). ჩემს შესახებ ........ 21
**ირინოლა ორბელიანი**
*** სუ... არ გინდაო... ........ 22
*** მინდორში გვირილა ზღვასავით ლივლივებს... ........ 22
**თამარ (იამზე) ჭელიძე**
+ + + დროვ ძლიერ მინდა სიწმინდეში შემომესახლო ........ 23
ნუგეშისმცემელს დავეძებ ყველგან ........ 23
**თეა კანდელაკი**
მე მოგართმევდი წითელ თაიგულს ........ 24
მიყვარხარ ძლიერ, ბატონო ........ 24
* * *ფალო ღმერთო, რაღაც მტანჯავს... ........ 24
მე მოვალ შენთან ვით გაზაფხული 25
მე დაბადება არ მითხოვია 25
* * * აწმყომ დარდი დამავიწყა... ........ 25
**უშანგი მოსიაშვილი**
ჩვენი ცხოვრება წააგავს ალბათ...
საქართველოს
შურიან კაცს ........ 27
შთამომავლობამ იცხოვროს კარგად ........ 27
უნდა გჯეროდეს ........ 27
ო, როგორ გიჭირს კურთხეულო, ჩემო ქვეყანა! ........ 28
გალიარებენ კარგ კაცთა ტოლად ........ 28
საქართველოს გასაჭირი ........ 28
ნუგზარ ნადარაიას ........ 29
შალვა ილურიძეს ........ 29
**მანანა ბრაჭული**
სურათი ........ 30
მწვერვალებისკენ! ........ 30
ხარების ვარდები ........ 30
სულ ცოტა დარჩა. . ........ 30
აგვისტო ........ 31
მარინე! ........ 31
გაზაფხულდება ........ 31
**ზეინაბ ასისტიშვილი**
სამკაულად დამეკიდე
ჩემს პირველ შვილს ........ 32
ჩემს ლიას ........ 32
შემოდგომა ........ 33
ჩემო ბებო, ჩემო პაპა ........ 33
**ლამარა ასისტიშვილი-ჯამასპიშვილი**
* * * ჩემო დებო; ჩემო ძმებო! ........ 34
ლილე ........ 34
„ჩვენ ცოდვილნი ვართ ყველა...“ ........ 35
„ვის უნდა ვენდოთ ნეტავ?...“ ........ 35
**ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილისა**
დედას ........ 36
მშობლიურ ჭალებს ........ 36
ჩემს ბაღნარში ........ 37
მე ვცხოვრობ ყველგან ........ 37

**გერონტი მესხი**
საქორწინო სადღეგრძელო ........ 38
ნებართვა ........ 39
გამრავლება ცხრა ძმამდე ........ 39
**ხათუნა ჩიტაძე**
* * * არ ვუშინდებით წლებს, გადაფრენილს... ........ 40
ავტოპორტრეტი ........ 40
* * * წვიმას ჩემი სურვილები მოაქვს... ........ 40
მთებიდან ........ 40
მე ვარ ქალი! ........ 41
მონატრება ........ 41
როცა... ........ 41
**მანანა ზაზიკაშვილი**
სად ჩავსახლდები ........ 42
ქუდზე კაცი ........ 42
ქვაც მიყვარს ჩემი მამულის ........ 42
კარგი მითხარით რამე ........ 42
დაგჭირდებათ ილეთი ........ 42
**ნიკო ბაღაშვილი**
აღტაცებული დავალ ამ ქვეყნად ........ 43
ცხოვრება თითქოს ქარიშხალია ........ 43
ფიქრი მაცალეთ ........ 43
**ლეილა გაფრინდაშვილი**
წვიმა ........ 44
მე ჯარისკაცი ვარ! ........ 44
რას გაუგებ ნეტავ? ........ 44
ქალი ვარ ........ 44
შიში ........ 45
სძინავს ქალაქს ........ 45
მგლოვიარე გვირგვინები ........ 45
გამიძელ ........ 45
**ლეილა ვადაჭკორია**
ღირდა სიცოცხლე ........ 46
თავის გზით მიდის ........ 46
შენ გქონდეს ........ 46
გთხოვ ზეციერო ........ 46
მიწაც დატოვე ........ 47
მიზანთან ........ 47
სულ ნატრული ვარ ........ 47
მომნატრებია ........ 47
მაინც წინ ვიწევთ ........ 47
ხელმეორედ დავიბადები ........ 47
ვერ შეელევა ........ 47
**მაია ხოფერია**
დღეს ხომ შენი დაბადების დღეა... ........ 48
ზღვიდან მთებში ........ 48
ქალი ათასი ........ 48
* * * ყველაფერი ვთქვი რისი თქმაც მსურდა ........ 48
მე არ მინდა
* * * ახლა შენი მოფერება ჰაერივით მჭირდება... ........ 48
გამახსენდება ........ 49
სახალისო ........ 49
მინდა წავიდე ........ 49
ვით ბედისწერა ........ 49
**იზო სანთელაძე**
*** გაზაფხულს, მინდა შევხვდე რაჭაში... ........ 50

*** შემომეჩვიე ისე თამამად ..... 50
*** ვდგავარ სიყმაწვილის ბაღთან... ..... 50
**მაკა გელაშვილი**
ციური ნათლიას ..... 51
+ + + იესო ტკბილო, ჩემი განცდა ხარ... ..... 51
**დილარ ივარდავა**
ვედრება ..... 52
მოჰქრის განახლების მარტი ..... 52
**ბელა ალანია**
ფრენის ხიბლი ..... 53
მოვალ შენამდე... ..... 53
ქართული მიწა ..... 53
არ ვიტყვი ..... 53
**იზა ჭიკაიძე**
მინანქრული ფრთებით ..... 54
არ მომანატრო ლექსი ქართული ..... 54
ღმერთის ხელები და ხელოვნება ..... 54
ღმერთი და ჭეშმარიტება ..... 55
დავაგვიანე ..... 55
კაცი და ხე ..... 55
**ლალი ასაბაშვილი**
* * * ..... 56
* ალბათ მთებზე გაწოლილი... ..... 56
* ოქროსფერი შემოდგომა... ..... 56
* ..... 56
* დავილალე... –ამ ცხოვრებით... ..... 56
* მთელი ღამე ვიჯექ ბაღში... ..... 57
* ვფიქრობ წავიდე ხევსურეთში ... ..... 57
მოგონება ..... 57
**ბეჟან ხარაიშვილი**
* * * ყურძენს მიჩვეულმა ბავშვმა... ..... 58
რომელი ჯობნის ..... 58
სიზმარი ..... 58
* * * მომიახლოვდი, როგორც არასდროს... ..... 59
ეს ცხოვრება ..... 59
* * * ისევ გინატრე ყვავილობისას... ..... 59
სხვაობა ..... 59
**გულნაზ ხარაიშვილი**
ახლოს მსურს ვიყო ..... 60
სანამ ვიცოცხლებ ..... 60
შენი ლოცვა ..... 60
გამახარე ..... 60
ძმას მას ვუწოდებ ..... 61
მასწავლებელო ..... 61
ალი და ნინო ..... 61
როცა ..... 61
მინდა ..... 61
წარსულის ანარეკლო ..... 61
ასეთი უგულო ..... 62
რამხელა გული მქონია ..... 62
ეს ყველამ უნდა იცოდეს ..... 62
გულის სარკე ..... 62
დროვ არ გამინაპირო ..... 62
ბეღურა ჩიტი ..... 63
მე ..... 63
დროს ვსადილობთ ..... 63

აღარ მჭირდება ........ 63
ჩემი ლექსი ........ 63
წადი ........ 63
კალამი ........ 63
ვფიქრობ ........ 64
წლებო ........ 64
მივხვდი ........ 64
ისრიმი რითმა ........ 64
დარდო ........ 64
ჩუმი დარდი ........ 65
არ ვიცნობდი მამის დედას ........ 65
ვიღებ შენიშვნას ........ 65
**დათო ყანდაშვილი**
ავტორისაგან ........ 66
ლექსი ლექსებს ........ 66
სასოწარკვეთილების ზღვარზე ........ 66
გულახდილობაში გამოწვევა ........ 66
გამოუთქმელი წუხილი ........ 67
სუსტი წერტილი ........ 67
წარსულში შეხვედრილ ადამიანებს ........ 67
მუზა ........ 67
ნოსტალგია ........ 67
**მზიური დათიაშვილი-აფციაური**
მიძღვნა ........ 68

## საბავშვო განყოფილება

**გურა ანგურა**
ღვთისშვილის ბრძოლა დევ-კერპებთან საყმო ლაშქართან ერთად (მითოსი) ........ 75
**ნაირა ნიჟარაძე**
ხანძარი ........ 91
მგელი და მერცხალი ........ 93
ბუნების შვილი ........ 94
**მზეგული ტყეშელაშვილი**
მიცუნცულებს მელა ........ 95
სიტყვა მივეცი ........ 95
მინდვის თაგვი ........ 95
ნაცარა ........ 95
ვისაც უყვარს ........ 95
რა შუაშია ........ 96
ბეკეკა ........ 96
სააღდგომოდ ........ 96
მოძალადე ........ 96
პრანჭიკუდა ........ 96
ჭრელა ........ 96
**„მეზღაპრე“ ლალი კახიძე**
„ლუსია“ ........ 97
მზეჭაბუკი ........ 97
„საქო და კაკო“ ........ 98
სპილო და გოგონა ........ 99

## პოემები

**სერგი ლომაძე**
უსაზღვროება (პოემა) ........ 100

## სიბრძნის სკივრი

**დათო ყანდაშვილი**........................................ **104**

## თარგმანები

**მაყვალა გონაშვილი**
მარ ბაჯიევი (პოემა) ........................................ 108
**Ratiani Lali**
Weg des Ruhmes (Fortsetzung)........................................ 113

## პროზა

**რევაზ მიშველაძე**
რას მერჩოდი........................................ 118
მაღდადური ცოლიკაური........................................ 123
ქართველები ........................................ 125
**თეა კანდელაკი**
ხელოვნებაა უხილავი სული ღმერთისა........................................ 128
ინტუიცია!........................................ 129
ვინძლო ჩვენამდე მოაწიოს საუფლომ განსჯის........................................ 129
**სერგი ლომაძე**
რუსთავ-თბილისის შემოქმედებითი ურთიერთგადაკვეთა........................................ 130
**გულნაზ ხარაიშვილი**
ის რისი გაკეთებაც შეგიძლია ........................................ 133
ზღვასავით ღელვა შოთა რუსთაველის ვეფხვისტყაოსანის სტროფის ჩაწერისას........ 133
**ანზორ ჯაფარიძე**
ანზორ ჯაფარიძის აღსარება ........................................ 134
**ციცინო ჩხაიძე**
ანბანური ინტეგრალები ........................................ 139

## ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

**დათო ყანდაშვილი**
სულიერ ფასეულობათა ანბანი ........................................ 141

## პროექტი

**ანზორ ჯაფარიძე**
კახეთისა და აჭარის შიდა ბაზრისა და კუთხეების დაკავშირების შესახებ .................. 144

## წერილები

**ლუარა სორდია**
გალაკტიონ ტაბიძის მებაღე, მემარნე და მეღვინე........................................ 147
**ლიანა წურწუმია**
ანტიკური ხელოვნება........................................ 150
**Ratiani Lali**
Satzgefüge mit dem Konditionalsatz (Bedingungssatz) ........................................ 156
**თამარ ბარბაქაძე**
მირზა გელოვანის „დაბრუნებული“ სონეტები და სხვა ლექსები................................ 165
**მანანა კვატაია**
ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ სივრცეთა მიმართებისათვის.............................. 171

## ისტორია

**როინ მეტრეველი**
ფიქრები ისტორიაზე ........ 174
**ნიკო ხერკელაძე**
შაჰ-აბას I, მისი მიზნები და განხორციელების მცდელობები აღმოსავლეთ საქართველოში ........ 183

## ეკონომიკა

**ვალერი მოსიაშვილი, თამარ ესიავა**
საბაზრო რისკის შეფასების მეთოდები და შემცირების ხერხები ........ 188
**ვანო შუშტაკაშვილი**
ლონდონის კლუბის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები ........ 193
**ჯუმბერ ხარაიშვილი, ნოდარ ხარაიშვილი**
საბანკო კონსულტაციები ........ 197
**ციური ხარაიშვილი**
საბანკო რისკების ანალიზის ლიზინგური ოპერაციებისას ........ 200

## სოფლის მეურნეობა

**ონერ ძაძუა**
კაკლის კულტურა და მისი განვითარების პერსექტივა საქართველოში ........ 203

## ინტერვიუ

**თინათინ სიყმაშვილი**
როცა სულიერებას ემსახურები, ყველა ტკივილს უძლებ!... ........ 204
**ზეინაბ ასისტაშვილი**
65 წლის იუბილე ........ 207

## ნორჩი ათინათელები

**ლამარა გერგედავა** ........ **208**
მარიამ ტყეშელაშვილი
წერილი მასწავლებელს!.. ........ 208
თამარ ლოევენი
ჩემი სიზმრები ........ 209
ლიზი ლეკიშვილი
შემოდგომა ........ 209
ნინი მელაძე
ზაფხული ქუთაისში ........ 209
ელენე ლეთოდიანი
ბათუმი და ბორჯომი... ........ 210
მარიამ ბექაური
ბაკურიანში... ........ 210
ნათია ადვაძე
აბასთუმანი-ვარძია-სათაფლია ........ 211
სერგი ფხიკიძე
ფიქრები ვაჟა-ფშაველას ერთ ლექსზე ........ 211
**მოსიაშვილი ნატა**
სამშობლო ........ 212
ბაზალეთის ტბა ........ 212
გაზაფხული ........ 212

**გონგლიაშვილი ქეთევან**
ეკლესია ........ 215
დედის გულში ........ 215
ტაძარში ........ 215
საქართველო ........ 215
დედას ........ 215
ცისარტყელა ........ 215
ყვავილო ........ 216
ჩიტუნები ........ 216
გაზაფხული ........ 216
ჭიკჭიკებენ ჩიტები ........ 216
გაზაფხულზე ........ 216

## გახსენება

მირანდა ხოდელიძე. ჩემო უსაზღვრო ტკივილო და მონატრებავ! ........ 217
მედიკო ფურცელაძე-სხირტლაძის გახსენება ........ 219
ციცინათელა ........ 219

## მილოცვა

აკადემია ულოცავს ........ 220

# ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი" არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია."

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593657921;
0341227287.
790657921

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო", რეზო ადამიას შექმნილი ხატი. გარეკანის ბოლო გვერდზე რეზო ადამიას ნახატი რუსთაველი და კოსმოსი (უფლის მზერა).

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: გიორგი ბეჟიტაშვილი – პროფესორი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
ვანო შუშტაკაშვილი – პროფესორი და ალადინ გარაბაგლი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები:
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ისტორიის განყოფილების რედაქტორი: როინ მეტრეველი – ეროვნული აკადემიის ვიცეპრეზიდენტი
მხატვრული განყოფილების რედაქტორები:
სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი
კახა ბაციკაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი.
ხელოვნების განყოფილების რედაქტორები: გელა ლარიაშვილი – მოქანდაკე,
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი.
საბავშვო განყოფილების რედაქტორები:
ლამარა გერგედავა – აკადემიის ნამდვილი წევრი
ყამარ ბლიაძე – ჟურნალ „ლამპარის“ დამფუძნებელი
სოფლის მეურნეობის განყოფილების რედაქტორები: ანზორ ჯაფარიძე,
ონერ ძაძუა

ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი(აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე-პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – ნანა სხირტლაძე და თამარ სხირტლაძე
ჟურნალი დაკაბადონდა გამომცემლობა „უნივერსალში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, II სართული, მეთხუთმეტე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით **gulnazi5@bk.ru**

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge